სიმონ ხუნდაძე

მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის

საბჭოთა მწერალი
1949 თბილისი

ნ. გ. ჩერნიშევსკი და 60-იანი წლების ქართველი ინტელიგენცია

ნ. გ. ჩერნიშევსკის, რომლის დაბადების ასი წლის თავი ამ ჟამად იდღესასწაულა საბჭოთა საზოგადოებამ,* უდიდესი გავლენა იქონია რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების საქმეზე. კერძოდ მისი იდეური გავლენით ჩამოყალიბდა რუსეთის 60-70-იანი წლების სოციალისტური და რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობანი. მაგრამ ნ. ჩერნიშევსკის გავლენა მარტო რუსეთის საზოგადოების ფარგლებით არ ამოიწურებოდა. დღეს უკვე ისტორიული ფაქტია ის, რომ ნ. გ. ჩერნიშევსკის დიდი გავლენა მოახდინა სხვა ერების აზროვნების განვითარებაზე და მათ შორის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების წარმატების საქმეზედაც.

ამჟამად, როდესაც მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა იხდის ამ დიდი მოაზროვნის, სოციალისტისა და რევოლუციონერის დაბადების ასი წლის თავს და ისტორიულად აფასებს მის მოღვაწეობას საზოგადოებრივ ასპარეზზე, ზედმეტი არ იქნება დაწვრილებით განვიხილოთ ამ ბუმბერაზი ადამიანის გავლენა 60-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეზე.

ნ. გ. ჩერნიშევსკის გავლენა 60-იანი წლების ახალი თაობის ქართველ ინტელიგენციაზე მეტად საგრძნობი და მნიშვნელოვანი იყო. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების აღორძინებაზე 60-იან წლებში ნ. გ. ჩერნიშევსკიმ და მისმა „სოვრემენიკმა“ დიდი გავლენა მოახდინა:**

---

* ეს ნარკვევი დაწერილია 1928 წელს, გამოქვეყნდა იმავე წლის ჟურნალ „ქართულ წიგნიერებაში“, № 12.—რედ.

** შეიძლება აქ აღინიშნოს, რომ ქართული ლიტერატურის ეს აღორძინება რამდენადმე იწინასწარმეტყველა ნ. ჩერნიშევსკიმაც. 1855 წ. თბილისში გამოცემულ ალმანახის „Зурна“-ს შესახებ, რომელშიაც მოთავსებული იყო რამდენიმე ქართველი პოეტის ნაწარმოებიც, ჩერნიშევსკიმ „სოვრემენიკში“ (№ 7, 1855წ.) მოათავსა ვრცელი ბიბლიოგრაფია, რომელშიც სწერდა: «Все, что они пишут, заслуживают полного участия и одобрения, как залоги более удовлетворительного развития тифлисской литературы в будущем... Мы

უშუალოდ ჩერნიშევსკის იდეური და თეორიული ზეგავლენით ჩამოყალიბდა ქართულს ნიადაგზე რადიკალ-დემოკრატიული და სოციალისტური მიმდინარეობანი და საფუძვლები ჩაეყარა ახალ საზოგადოებრივ აზროვნებას. ამიტომ სრულ სიმართლეს სწერდა ჩერნიშევსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საუკეთესო მკვლევარი ი. სტეკლოვი თავის ერთ ნარკვევში: „კერძოდ, ჩერნიშევსკის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა კავკასიელთა ჯგუფი, რომელიც შესდგებოდა მაშინდელ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებისაგან (ი. ისარლიშვილი, ნ. ნიკოლაძე, გ. ე. წერეთელი, ნ. გ. და დ. ე. ღოღობერიძეები, კ. შ. ლორთქიფანიძე, ეჯუბოვი და სხვ.). მრავალი მათგანი შემდეგში, როდესაც ისინი გახდენ ჟურნალისტებად და საზოგადო მოღვაწეებად, შეუდგა თავის თანამემამულეთა შორის რუსული რადიკალიზმის პოპულარიზაციას. „სოვრემენიკისა“ და ჩერნიშევსკის დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა აგრეთვე 60-იანი წლების სომხეთის ჟურნალისტიკა (სტ. ნაზარიანი, მ. ნალბანდიანი და სხვ.). და თუ შემდეგ პერიოდში კავკასიამ ასეთი საპატიო ადგილი დაიჭირა რევოლიუციის რიგებში, ეს უნდა მიეწეროს ჩერნიშევსკის დამსახურებას, რომელმაც პირველმა დასთესა იქ სოციალიზმის თესლი“.*

ამხ. ი. სტეკლოვი ასეთ საინტერესო დასკვნამდე მივიდა მხოლოდ რუსულად არსებულ და რუსეთში მოთავსებულ ისტორიული დოკუმენტების შესწავლის მიხედვით. მაგრამ თუ ჩვენ შევისწავლით ადგილობრივ ისტორიულ დოკუმენტებსა და ქართულ ლიტერატურას, უფრო მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტებს ვიპოვით ჩერნიშევსკისა და მისი „სოვრემენიკის“ გავლენის შესახებ ქართული რადიკალურ-დემოკრატიული და სოციალისტური აზროვნების ჩამოყალიბების საქმეზე.

რუსეთში ჩერნიშევსკის ეპოქა ხასიათდებოდა, ერთი მხრივ,

радуемся, что между коренными тифлисскими жителями являются люди, имеющие наклонность к литературным занятиям; пройдет еще несколько лет—и между ними некоторые будут писать гораздо лучше, иные, быть может, и в самом деле прекрасно. С этой точки зрения мы радуемся появлению грузинской романистки (50-ი წლების მწერალ ქალის მელანია ბადრიძის შესახებ არის ლაპარაკი.—ს. ხ.), которая пишет, право, недурным слогом» (Н. Чернышевский: собр. соч. ტ. II, გვ. 72).

* Ю. Стеклов: Н. Г. Чернышевский и революционное движение 60-х годов. ჟურნ. „Вестник Ком. Академии“ № 27. გვ. 173—74, 1928 წ.

კაპიტალიზმის განვითარებითა და ძველი ეკონომიურ-საზოგადოებრივ წყობილების რღვევის პროცესებით, ხოლო, მეორე მხრივ, დემოკრატიული ფენების ამოძრავებითა და პოლიტიკურ ცხოვრების გამოცოცხლებით. ყირიმის ომმა ნათელჰყო რუსეთის ძველი წყობილების უვარგისობა და გამანადგურებელი მახვილი ჩასცა მას, აამოძრავა სოციალური ფენები და განახლების იმედები გაუღვივა მათ. ამ აღორძინების იდეური ხელმძღვანელი იყო ნ. გ. ჩერნიშევსკი, რომლის დიდი გავლენის ქვეშ ჩამოყალიბდა 60-იანი წლების რუსეთის დემოკრატიული და სოციალისტური აზროვნება.

შეიძლება ითქვას, რომ მინიატურაში საქართველოს სინამდვილეშიაც ასეთსავე სოციალ-ეკონომიური ხასიათის პროცესებს ჰქონდა ადგილი. რუსეთის კაპიტალის შემოჭრამ საქართველოში XIX-ე საუკუნის დასაწყისიდანვე საგრძნობი ცვლილებები გამოიწვია ნატურალური მეურნეობის დაშლის მიმართულებითა და თავადაზნაურობის ეკონომიურად დაცემის ხაზით. ასეთი გავლენა უკვე საგრძნობი გახდა 40-50-60 წლებში, როდესაც უკვე მომწიფდა საქართველოში ნიადაგი კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისათვის. ამას ნათლად გრძნობდნენ ლიბერალურ თავად-აზნაურობის მიმდინარეობის წარმომადგენელნი, როდესაც (1862 წ.) სწერდენ: „ჩვენი დრო—არის ისეთი, რომ ერთს მდგომარეობიდან გადავდივართ მეორეში და თანდათან უტოვებთ ყოფილსა და ძველებურსა ჩვეულებასა“.* რასაკვირველია, ასეთს გარდამავალ ეპოქას არ შეეძლო თავისი შესაფერისი გავლენა არ გამოეწვია საზოგადოებრივ აზროვნებასა და პოლიტიკურ მიმდინარეობაში. 50-იან წლებიდან იწყება ქართული კულტურული ცხოვრების აღორძინების პერიოდი, ხოლო ყირიმის ომის შემდეგ ნათელი გახდა ქართული პოლიტიკური აზროვნების გამოცოცხლება თავადაზნაურულ ლიბერალური და რადიკალურ-დემოკრატიული მიმართულების ხაზით.

ყირიმის ომის შედეგებმა თავის გავლენა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზედაც მოახდინა. ჯერ კიდევ 1865 წ. გერცენის „კოლოკოლში“ ახალგაზრდა ნ. ნიკოლაძე სწერდა:

„ოსმალეთის 1853-56 წ. ომის შემდეგ გლეხთა განთავისუფლების საკითხი საქართველოში აღელვებდა მისი საზოგადოებრივი

---

* კ. მამაცაშვილის წერილი „გუთნის დედაში“, 1862 წ.

წყობილების ყველა ელემენტებს და თავისი დასაწყისიდანვე მიიღო მან დამოუკიდებლად თავისი სოციალური ხასიათისა, ხასიათი პოლიტიკური ბალანსისა. ამ საკითხის წამოყენებას არ შეეძლო არ გამოეღვიძებია ქართველი ხალხის პოლიტიკური ინსტინქტები და რადგან გლეხთა საკითხი, მიუხედაღად რუსეთის ბატალიონების ენერგიული ჩარევისა, იზრდებოდა საქართველოში არა დღეობით, არამედ საათობით, ამიტომ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება განვითარდა რაღაც ათი წლის განმავლობაში წარმოუდგენელი სისწრაფით, თანდათან უკავშირებდა რა თავის ბედს გლეხთა საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტას".*

ამ ახალი ეპოქის სულის ჩამდგმელი და მისი იდეების განმსახიერებელი შეიქმნა საქართველოში ახალი თაობის ინტელიგენცია, უმთავრესად ჯერ კიდევ თავად-აზნაურული ~~წრეებიდან გამოსული~~, რომელიც რუსეთის 60-იანი წლების გონებრივი მოძრაობის ქვეშ იზრდებოდა. ამ ახალი თაობის ინტელიგენციამ ენერგიულად გაილაშქრა დახავსებული წყობილების, ბატონყმური ურთიერთობისა და სქოლასტიკურ-რელიგიურ აზროვნების წინააღმდეგ და ქართულ ლიტერატურაში რაციონალიზმის, უტილიტარიზმისა და დემოკრატიზმის პრინციპები შემოიტანა. პირველი მერცხალი ამ ახალი აზროვნებისა იყო ქართველი „რაზნოჩინელი" დ. ჭონქაძე, რომელმაც აუცილებლად განიცადა რუსეთის 60-იან წლების რადიკალური მიმდინარეობის ცხოველმყოფელი გავლენა და რომელმაც პირველმა მიიტანა მაგარი იერიში ქართულ ლიტერატურაში ბატონყმური უღლის წინააღმდეგ. შემდეგი თაობა, რომელმაც განაგრძო დ. ჭონქაძის გზა, იყო „თერგდალეულთა" თაობა, რომელმაც ფართო ლიტერატურული ხასიათის ბრძოლა გააჩაღა ძველი, თავადაზნაურული აზროვნების წინააღმდეგ და 1863 წ. თავისი საკუთარი ორგანოც დააარსა „საქართველოს მოამბის" სახით.** ამ ახალი ინტელეგენციის დიდი უმეტესობა იზრ-

---

* Рио Нели (ნ. ნიკოლაძე): „Освобождение крестьян в Грузии", ჟურ. „Колокол", № 198, 1865 წ.

** 1861 წ. ი. ჭავჭავაძემ გაილაშქრა რა „ცისკრის" წინააღმდეგ, შეადგინა თანამოაზრეთა ჯგუფი, რომელშიაც შედიოდენ მაშინდელი ახალთაობის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელნი: პ. ნაკაშიძე, გ. ყაზბეგი, ივ. პოლტარაცკი, მიხ. ყიფიანი, ივ. ბერიძე, დ. ვ. ყიფიანი. გ. ჩიქოვანი, ალ. სავანელი, მიხ. ჩიკვაიძე, ილ. წინამძღვარიშვილი, გ. თულაშვილი, პ. უმიკაშვილი. შემდეგში მათ შეუერთდა ცნობილი ბეს. ღოღობერიძე, რომელიც მხურვალე მონაწილეობას იღებდა

დებოდა რუსეთის უნივერსიტეტებში, სადაც ისინი ეცნობოდნენ რუსეთის ცხოვრებასა და რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნების ვითარებას და შემდეგ პროგრესიულ-დემოკრატიული მისწრაფებანი გადმოჰქონდათ საქართველოს სინამდვილეში. აი ამ ინტელიგენციამ უშუალოდ განიცადა 60-იანი წლების მოაზროვნის ნ. გ. ჩერნიშევსკის დიდი გავლენა. იგივე ნ. ნიკოლაძემ ერთ თავის საინტერესო წერილში 1872 წ. შემდეგნაირად აგვიწერა ის ცხოველმყოფელი გავლენა, რომელიც მოახდინა ჩვენს ახალთაობაზე 60-იან წლების რადიკალურ-სოციალისტურმა მიმდინარეობამ და განსაკუთრებით კი ნ. ჩერნიშევსკიმ და მისმა „სოვრემენიკმა“. იგი სწერდა:

„რა დრო იყო მაშინ, რომ იცოდე, მკითხველო, რანაირი მოუთმენლობით და წყურვილით ველოდით ჩვენ ახალგაზრდები იმ ბედნიერ დღეს, როცა საყვარელი ჟურნალის („სოვრემენიკჯეა“ ლაპარაკი.—ს. ხ.) ახალი წიგნი გამოვიდოდა. რა აღტაცებით და აჩქარებით, რა სიხარბით და დაუღალავად ვეწაფებოდით ჩვენ მის კითხვას... რამდენი გრძელი, ბოლო მოუღებელი, ჩრდილოეთის ზამთრის ღამეები გაგვითენებია ჩვენ მის კითხვაში, მისი აზრების რჩევაში, მისი სიტყვების სჯაში, მასზე დავაში... ვინ დათვლის იმ ხანგრძლივ ბედნიერების აღტაცებას, ტვინის წვალებას და გრძნობის ამაღლების დღეებს, ან ვინ დაიეიწყებს მათ სანიადაგოთ გულში ჩაჭედილ კვალს... სად არიან დღეს ის გმირები, ვისი სიტყვები ჩვენ გონებას გვიხსნიდა, ვისი მაგალითი კაცად გვხდიდა, ვისი შრომა და ტანჯვა გვაკეთილშობილებდა და გვამაღლებდა? „Одних уже нет, а те далече“. ზოგი მოკვდა, ზოგი დაიკარგა, ზოგი კი...“ (კატორღაში იტანჯება, უნდა სთქვას ავტორს, გულისხმობს რა ჩერნიშევსკის.—ს. ხ.).*

ნ. ნიკოლაძე აქ მარტო თავისთავზე არ სწერდა. ასეთსავე აღფრთოვნებასა და აღტაცებას განიცდიდნენ ნ. ჩერნიშევსკისა და

1861 წლის სტუდენტთა არეულობაში. ჯგუფში კითხულობდნენ რეფერატებს და ლიტერატურულ ნაწერებს. ამ ჯგუფის ხელმძღვანელობით გამოვიდა „საქართველოს მოამბე“, რომელსაც მხურვალედ მიესალმა პეტერბურგის სტუდენტობა. მათ შორის კ. ლორთქიფანიძემ და გ. წერეთელმა თავიანთი ნაწერებიც გამოუგზავნეს ჟურნალს. (А. Хаханов: Очерки по истории грузинской словесности, ტ. IV გვ. 121).

* ნ. სკანდელი (ნ. ნიკოლაძე): „სხვათა შორის“, „კრებული“, № 4, გვ. 151—52; 1873 წ.

„სოვრემენიკის“ მოღვაწეობით დიდი ნაწილი ქართველი მოწინავე ახალგაზრდობისა. აღსანიშნავია, რომ რუსეთში მყოფი ჩვენი ახალგაზრდობა პირადათაც იცნობდა ნ. გ. ჩერნიშევსკისა და მის ოჯახობას. ამის შესახებ ჩვენ ძეტად საინტერესო დოკუმენტები გვაქვს: ერთის მხრივ, ნ. ნიკოლაძის მოგონებები, რომელიც დროგამოშვებით იბეჭდებოდა პერიოდულ გამოცემებში, მეორეს მხრივ კი, ი. ისარლიშვილის მოგონება, რომელიც 1913 წელს გამოაქვეყნა გ. თუმანიშვილმა. ჩვენ აქ არ შევეხებით ნ. ნიკოლაძის მოგონებებს, იგი საკმაოდ ცნობილი და ხელმისაწდომია.* მოვიყვანთ მხოლოდ ი. ისარლიშვილის** მოგონებას უფრო ვრცლად:

„ქართველ სტუდენტთა ჯგუფი,—მოგვითხრობს ძველი მოღვაწე,—რომელთა შორის იყვენ ისეთი პირები, რომლებმაც შემდეგში მეტად დიდი როლი ითამაშეს კავკასიაში პერიოდული გამოცემის დაარსების საქმეში და საერთოდ კავკასიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეიტანეს დიდი გამოცოცხლება, ძლიერ მიისწრაფოდა „სოვრემენიკის“ რედაქციისაკენ. ზოგიერთ ჩვენთაგანს დამოკიდებულება და გულღია მოპყრობა, რომელსაც ჩვენ ვხვდებოდით ჩერნიშევსკის ოჯახში, ძლიერ გვიტაცებდა საღამოებზე, რომელსაც ექსპრომტად აწყობდენ ამ ოჯახში. ჩვენ ჩვეულებრივად მივდიოდით საღამოობით ჩაიზე, როდესაც სახლში დაგვხვდებოდა ოლღა სოკრატის ასული (ჩერნიშევსკის მეუღლე.—ს. ხ.) თავისი დით. დროს ვატარებდით უბრალო საუბარში, არც პოლიტიკურ შეთქმულებას, არც ლიტერატურულ საღამოებს ჩვენ არ ვმართავდით, მხოლოდ უბრალოთ ვსაუბრობდით, ვოხუნჯობდით და ერთმანეთს ვაცნობდით იმ ახალ ამბებს, რომლითაც დაინტერისებული იყო მთელი პეტერბურგი. თვით ჩერნიშევსკი იშვიათად გამოდიოდა ჩვენთან; ის იჯდა თავის კაბინეტში და მუშაობდა. მხოლოდ ერთხელ, როგორც მახსოვს, ახალ წლის წინა ღამით, ჩვენ ოლღა სოკრატის ასულის მეთაურობით შევიჭერით მის კაბინეტში და გამოვიყვანეთ ის ჩვენს „კოსტუმებით“ მოწყობილ საღამოზე.

---

* იხ. ნ. ნიკოლაძე: „მოგონებანი სამოციან წლებზე“ ჟურნალ „კავკასიონსა“ და „ახალ კავკასიონში“; „სტუდენტობის პირველი დრო“, კრებულში „საახალწლო“, 1887 წ. (ორივე მოგონება შესულია ს. ხუნდაძის რედაქციით 1931 წ. გამოცემულ ნ. ნიკოლაძის თხზულებათა ტ. I-ში, გვ. 88—144 და 35—87.—რედ.).

** ისარლიშვილი 60-იან წლებში ორჯერ იყო დაპატიმრებული: პირველად 1861 წ. სტუდენტთა არეულობის გამო, ხოლო მეორედ—1864 წ.

მას ოლღა სოკრატის ასულმა გადააცვა ქალის კოსტუმი და დაბეჯითებით იწვევდა საცეკვაოდ. ქმარიცა და ცოლიც ყურადღებით გვეპყრობოდენ ჩვენ. ხანდისხან შემოდიოდენ ჩვენთან, რომ წავეყვანეთ სადმე. ერთხელ, როგორც მახსოვს, ჩერნიშევსკები ჩემთან შემოვიდენ მეოთხე სართულზე, ინიციატივა ყოველთვის ეკუთვნოდა ცოცხალსა და მომჭმედს ოლღა სოკრატის ასულს, რომელთანაც ჩვენ დავამყარეთ წმინდა ამხანაგური დამოკიდებულება.

იმ კავკასიელთა რიცხვში, რომელნიც დადიოდენ ჩერნიშევსკის ოჯახში, მე მახსოვს: ნ. ი. ნიკოლაძე, გ. ე. წერეთელი, ნ. ვ. ღოღობერიძე, დ. გ. ღოღობერიძე, ეჯუბოვი... და სხვები. იქ ჩვენ არაერთხელ ვხვდებოდით „სოვრემენიკის“ ახალგაზრდა თანამშრომლებს: ნ. ა. დობროლიუბოვს, პიოტროვსკის, პანტელეევსა და სხვებს. სტუდენტთა მოძრაობასთან დაკავშირებით, კავკასიელებიდან ბ. ლ. ღოღობერიძე არა ერთხელ თათბირობდა ჩერნიშევსკისთან, ანტონოვიჩთან და ელისეევთან.* „სოვრემენიკის“ ჯგუფის დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა აგრეთვე ქართველი სტუდენტი კირ. ბეკ. ლორთქიფანიძე, შემდეგში ქართველი ჟურნალისტი და მწერალი“.**

ასე გადმოგვცემს სამოციანი წლების ერთი მოღვაწეთაგანი ქართველ სტუდენტთა ჯგუფის ჩერნიშევსკისთან დამოკიდებულებისა და პირადი ნაცნობობის ამბავს.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 1861 წ. ქართველმა სტუდენტებმა (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ბ. ღოღობერიძე, ი. ისარლიშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ა. ჩოლოყაშვილი, დ. ღოღობერიძე და

* ბ. ღოღობერიძე, შემდეგში ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სტუდენტობის დროს დაახლოვებული იყო „სოვრემენიკის“ ჯგუფთან. მას პანტელეევიც იხსენიებს თავის მოგონებებში. იგი სამოციან წლებში ნ. გ. ჩერნიშევსკისთან ერთად მოღვაწეობდა ერთ-ერთ კომიტეტში (იხ. Герцен: XV, გვ. 25-5). 1862 წელს, როდესაც მესამე განყოფილებამ გააცხოველა ჩერნიშევსკიზე თვალყურის დევნება და მთელი რიგი პირებისა შეიტანა სიაში, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედონი ჩერნიშევსკისთან დამოკიდებლობის გამო. ამ სიაში ბესარიონ ღოღობერიძეც მოხვდა. ჟანდარმთა სამმართველოს აგენტი აღნიშნავდა: „ნიკოლოზ უტინი, პეჩატნიკი და ღოღობერიძე—სტუდენტები—შენიშნული არიან სტუდენტთა არეულობებში. მოაწყევს დემონსტრაცია კოსტომაროვის ლექციაზე, იცნობენ ჩერნიშევსკის და ბრალად ედებათ პავლოვის სასარგებლოდ მოწოდების დაბეჭდვა“ (იხ. Герцен: X. გვ. 391 და შემდეგ). უდავოა, რომ ჩვენი ახალ თაობის ინტელიგენცია პრაქტიკულადაც ებმებოდა რევოლუციურ მოძრაობაში.

** Г. Туманов: „Чернышевский и кавказцы“, წიგნში: „Характеристики и воспоминания“, кн. 1-ая, გვ. 230—33, 1913 წ.

სხვ.) მხურვალე მონაწილეობა მიიღეს სტუდენტთა დემონსტრაციებში პეტერბურგში. 60-იანი წლების წვრილბურჟუაზიულ „რაზნოჩინური“ ინტელიგენციის მოძრაობამ დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა ქართველ ინტელიგენციაზე. ეს პირველი მაგალითი იყო საქართველოს ისტორიაში, როდესაც ქართველი ინტელიგენცია გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე და დემოკრატიულ-რეფორმაციონურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო. ამ პირველ გამოსვლისათვის მან ციხეც იგემა, მაგრამ ეს ფაქტი კიდევ უფრო ამტკიცებდა ინტელიგენციის კავშირს დემოკრატიულ მოძრაობასთან. ეს სტუდენტთა პირველი მნიშვნელოვანი დემონსტრაცია და მასში ქართველ სტუდენტთა მონაწილეობა ვრცლად აგვიწერა ნ. ნიკოლაძემ თავის მოგონებებში:

„სექტემბრის 24-ს... სასადილოში შემოვიდნენ ორი ღოღობერიძე ნ. გ. და ბ. ლ... მათ გადმოგვცეს, რომ ხვალ მთელი სტუდენტობა დემონსტრაციაზე გამოდის და ჩვენც გამოუკლებლივ უნდა მივიღოთ მონაწილეობა... შეუძლებელია ქართველები ჩამორჩნენ, როდესაც დემონსტრაციაზე მონაწილეობას ყველა იღებენო... ბევრი კამათის შემდეგ ნიკოლოზ ღოღობერიძემ წასვლისას ეს სიტყვები გვესროლა: „ვინც მშიშარა ხართ, სახლში დარჩითო“. ეს კი საკმაო იყო იმისათვის, რომ არა თუ დემონსტრაციაზე წავსულიყავით, არამედ თავი კედელზედაც მიგვეხეთქა“.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ქართველი მოწინავე ინტელიგენცია 60-წლებში ჩაება საერთო მოძრაობის ფერხულში და მონაწილე გახდა ახალი დემოკრატიული მოძრაობისა. ეს სტუდენტთა და წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის მოძრაობა ჩერნიშევსკის მიმდინარეობის და აზროვნების უშუალო გავლენას განიცდიდა. ქართველ სტუდენტობაზე ამ გზითაც არ შეიძლებოდა გაეელენა არ მოეხდინა 60-იანი წლების ფართო დემოკრატიულ-რეფორმაციონურ მოძრაობას. მაგრამ ნ. ჩერნიშევსკის აზროვნებას უშუალოდ ეცნობოდა ქართველი ინტელიგენცია, განიცდიდა მის გავლენას და ცდილობდა მისი იდეების საქართველოს ნიადაგზე გადმონერგვას,* მაგრამ ჩერნიშევსკის გავლენა ორი მიმართულებით გამოიხა-

* სრულიად საფუძვლიანად სწერს თავის მოგონებებში გ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი: „ჩერნიშევსკის ახალგაზრდა თაყვანისმცემელნი, სამშობლოში დაბრუნებისთანავე შეუდგნენ საზოგადოებასა და მწერლობაში მისი იდეების პოპულარიზაციას.

ტა ქართველ მოწინავე ინტელიგენციაზე: ქართველი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა შეითვისა ჩერნიშევსკის რადიკალურ-დემოკრატიული აზროვნება, ხოლო მეორე ნაწილმა დემოკრატიულ აზროვნებასთან ერთად მისი ნაროდნიკულ-სოციალისტური მსოფლმხედველობაც (ნ. ნიკოლაძე და შემდეგ პერიოდში გამოსული ნაროდნიკული ინტელიგენცია).*

„თერგდალეულთა“ თაობა გამომხატველი იყო იმ მიმდინარეობისა, რომელმაც უშუალოდ შეითვისა ჩერნიშევსკის რადიკალ-დემოკრატიული შეხედულება, ამ თაობამ შემოიტანა ჩვენში რუსეთის 60-იან წლების ახალი იდეები და გაცხარებული ბრძოლა გაჩაღდა ძველი თაობის ინტელიგენციის წინააღმდეგ. აქედან მი-

---

(იქვე, გვ. 233). ბ. ღოღობერიძის შესახებ იგივე თუმანიშვილი აღნიშნავს: „მას შეტად დიდი გავლენა ჰქონდა მოსწავლე ახალგაზრდობაზე და, მიუხედავად თავისი საკმაოდ მაღალ ოფიციალური მდგომარეობისა, არ მალავდა თავის თანაგრძნობას სამოციანების იდეებისადმი“ (იხ. გვ. 234).

მაგრამ ჩერნიშევსკის იდეების პოპულარიზაცია მარტო ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე კი არ ხდებოდა, არამედ მოსწავლე ახალგაზრდობაშიაც. უკვე 60-იან წლებიდან ჩერნიშევსკის გავლენა და სახელი შეიჭრა ახალ თაობის წრეებში და ამის უმთავრესი მეთაურები იყვენ რუსეთიდან დაბრუნებული სტუდენტები. ელისაბედ ყაზბეგი თავის მემუარებში საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს თავის ძმის, ნაროდნიკი დიმიტრი ყაზბეგის შესახებ, რომელიც სტუდენტთა მოძრაობაში დიდ მონაწილეობას ღებულობდა. „დიმიტრის შინ დაბრუნებამ (1865)— სწერს ელ. ყაზბეგი,—ნათელი სხივები შემოიტანა ჩვენს მივარღნილს ოჯახში სოფლის მყუდრო ცხოვრება შეირყა, გაიღვიძა, გამხიარულდა და გამაცოცხლებელმა სიომ დაბერა... დიმიტრიმ შესცვალა ჩვენი შინაური ცხოვრება ჩვენ დებს სხვადასხვა წიგნებს გვაძლევდა წასაკითხად, წაკითხულს გვიხსნიდა; დობროლიუბოვის, ბელინსკის და კიდევ მრავალი სხვა რუსი გამოჩენილ მწერლების სახელები პირველად იმისაგან გავიგონე. იმის ამხანაგები ხშირად თითო კვირაობით რჩებოდენ ჩვენთან და მაშინ დიმიტრის ლაპარაკი და სხვადასხვა საგნებზე ბაასი დაუშრეტელ წყაროთ ხდებოდა. დიმიტრიმ მშვენიერის კილოთი იცოდა ხმამაღალი კითხვა და არა ერთხელ დაუტკბივართ მე-60-წლების ჟურნალ-გაზეთების კითხვით. პირველად მაშინ აღიძრა ჩემში სურვილი წიგნების კითხვის და ჩემი შრომით სიცოცხლის სახსრის მოპოების; იმ დროს მისწრაფებანი შეიქმნენ ჩემი მომჯადოებელნი.“ (ელ. ყაზბეგი: „დ. ყაზბეგისა და ალ. ყაზბეგის ბიოგრაფიის, ცნობები“, „მნათობი“, № 4, გვ. 191, 1925 წ.).

* ნ. ნიკოლაძე გადმოგვცემს: „იმ დროს არც ერთს ჩვენგანს აზრადათაც არ ჰქონია თავისი ჭერძო თავმოყვარეობა ან სარგებლობა. მაშინდელი ჩვენი მუსაიფის ან მსჯელობის საგანი, მაშინდელი ჩვენი შრომის მიზანი ის იყო, თუ რა მოვალეობა გვაწევს კისერზე ხალხისადმი, ან რა სახით უფრო სჯობია მომზადება ამ მოვალეობის ასასრულებლად (იხ. „სტუდენტობის პირველი დრო“).

იღეს მათ დაცინვით სახელწოდება: „თერგდალეულებისა“, რაც თავისთავად ნიშნავდა რუსეთის აზროვნების შეთვისებაზე მითითებას. ამ „თერგდალეულთა“ თაობამ პირველად თავადაზნაურულ ორგანოში „ცისკარში“, შემდეგ კი საკუთარ ჟურნ. „საქართვ. მოამბეში“ (1863 წ.) წამოაყენა მთელი რიგი ღრმამნიშვნელოვანი საკითხებისა. ორგანოს რედაქტორი ი. ჭავჭავაძე—პოეტი, ბელეტრისტი და პუბლიცისტი იმ ხანებში რუსეთის 60-იანი წლების დიდ გავლენას განიცდიდა, ხოლო 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან იგი გახდა თავადაზნაურული ლიბერალიზმის მეთაური საქართველოში. ილია ჭავჭავაძის პირველი ნახევრის მოღვაწეობას აუცილებლად ატყვია ჩერნიშევსკის დემოკრატიული აზრების და საერთოდ 60-იანი წლების პროგრესიულ მიმდინარეობის გავლენა. ამ პერიოდის ილ. ჭავჭავაძის მხატვრული ნაწერები, მიმართული ბატონ-ყმობის უღლის წინააღმდეგ დაწერილი არის ჩერნიშევსკის და „სოვრემენიკის“ დიდი გავლენის ქვეშ. ცნობილი პოემის „აჩრდილის“ „შრომის სუფევის“ მოტივები ნათლად ამტკიცებს ამ დიდ გავლენას.

რასაკვირველია, აქ ჭავჭავაძის სოციალიზმზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ მის დემოკრატიულ აზროვნებაზე, რომელიც უშუალოდ მომდინარეობდა რუსეთის 60-იანი წლების პროგრესიულ-დემოკრატიულ მიმდინარეობიდან.

ამ გარემოებას 60-იანი წლებშივე მიაქციეს ყურადღება, როდესაც მას ჩვენში ბელინსკობა და ჩერნიშევსკობა დასწამეს. „ჩვენა და თქვენ ამ შემთხვევაში ბელინსკობა და ჩერნიშევსკობა არ გამოგვადგება. ჯერ კოპიც არის უნდა მიგვიგავდეს იმათა და მერე მიებაძოთ“, სწერდა 1863 წ. ი. ჭავჭავაძის შესახებ ან. ფურცელაძე. 80-იან წლებში ამ გარემოებაზე ნაროდნიკული ინტელიგენციაც მიუთითებდა: ილია ჭავჭავაძე „იმ ქართველ ყმაწვილების რიცხვში მოყვა, რომელნიც იზრდებოდნენ და იწვრთნებოდნენ ჰუმანიურ და სოციალისტურ ნაწერებით დობროლიუბოვის და ჩერნიშევსკისა“—სწერდა ნაროდნიკული „იმედი“ 1882 წ.

„საქართველოს მოამბემ“ ხელოვნებისა და მეცნიერების საკითხში შეიტანა რეალიზმისა და უტილიტარიზმის პრინციპი.* იმისი

* ჟურნალში ვხედავთ დობროლიუბოვის და ბელინსკის ზოგიერთ წერილების თარგმანს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბელინსკის ესთეტიკური თეორიის განმარტება სპ. ჩიტორელიძის წერილებში (იხ. „საქ. მოამბე, № 7, 8,—1863).

აზრით ხელოვნება ხალხის გულიდან უნდა კრეფდეს მასალას და ხალხს უნდა ეხმარებოდეს ცხოვრების განახლებაში. „ჩვენ მეცნიერებასა და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის გამოსადეგსა და მოსახმარსა,— სწერს ჟურნალი,—მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებებით, ცხოვრების ახსნით და გაგებით, მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვებზედა“.*

„ხელოვნებასაც იმას მოვთხოვთ,—განაგრძობს ჟურნალი,—რომ სარკესავით ცხოვრება გადმოსცეს, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ... დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირში, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრს მარგალიტსა და უფრო ბევრს ლექს და ლაფსა, არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეცნიერებასა“.

ასეთი რეალისტური და უტილიტარული პრინციპები შემოიტანა „საქართველოს მოამბემ“ ქართულს ლიტერატურაში. ხელოვნება მისთვის ცხოვრების მსახური არის, მისი გაუმჯობესებისათვის მებრძოლი ძალაა. თეორია: ხელოვნება ხელოვნებისათვის, რომელიც გაბატონებული იყო რუსეთის ჩერნიშევსკის წინადროის ლიტერატურაში, გადაჭრით უარჰყო ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის მესვეურებმა საქართველოში და ქართული აზროვნების რენესანსის დასაწყისში მათ პირნათლად გადმონერგეს ჩვენში ბ. ბელინსკისა და ნ. ჩერნიშევსკის ესთეტიკურ-ლიტერატურული თეორიები. რეალისტური და უტილიტარული პრინციპები, რომელიც „საქართველოს მოამბემ“ გაამეფა ქართულ ლიტერატურაში, სრულიად ახალი ხილი იყო უკანასკნელისათვის. ნაცვლად ძველი თაობის სქოლასტიკურ-რელიგიური აზროვნებისა, რომელიც აღმოცენებული იყო ანტონ კათალიკოსის შეხედულებებზე, აღნიშნულმა ორგანომ საფუძვლები ჩაუყარა ახალ აზროვნებას, რომელმაც შემდეგში ღრმად გაიდგა ფესვები ჩვენს ლიტერატურაში. რაციონალიზმი,— აი რა ედვა საფუძვლად 60-იანი წლების ჩვენი ახალი თაობის ინტელიგენციის ისტორიულ-სოციოლოგიურ მსოფლმხედველობას.

თუ ჩერნიშევსკის სოციოლოგიურ შეხედულებას ახასიათებდა მატერიალისტური და იდეალისტური ელემენტები, 60-იანი წლების ქართველმა დემოკრატიულმა ინტელიგენციამ ნ. ჩერნიშევსკის

* „საქართველოს მოამბე“, № 1, გვ. 123, 1863 წ.

მოძღვრებიდან უშუალოდ გადმოიღო უკანასკნელი და ამით ჩვენს ლიტერატურაში განამტკიცა ისტორიული იდეალიზმი. ამ იდეალისტური რაციონალისტური საზომით აშუქებდა 60-ანი წლებისა და შემდეგი პერიოდის ჩვენი ინტელეგენცია საზოგადოებრივ პრობლემებს.

იბრძოდა რა სქოლასტიკურ-რელიგიური აზროვნების წინააღმდეგ, ჟურნალი მასთანავე გარკვევით ქადაგებდა დემოკრატიზმს, მიუხედავათ სასტიკი ცენზურული პირობებისა და ილაშქრებდა ბატონყმობის წინააღმდეგ; მოითხოვდა ხალხში განათლების შეტანას და ფართო მასების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ თავის სახელმძღვანელო წერილში სწერდა: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა. მისი გაუმჯობესება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“ (№ 1). განათლების შეტანა ხალხში და ხალხის წინ წამოყენება, მისი ინტერესების დაცვა მთავარ სამოღვაწეო საქმეთ გადაიქცა „თერგდალეულთა“ თაობისათვის 60-იანი წლების დასაწყისიდანვე.

„ეს ისტორიით დამტკიცებულია, რომ რა სახელმწიფოშიაც მოხდენილა რაიმე ცვლილება, ეს მოხდენილა ყოველთვის განათლებულთაგან, როგორც ყველგან, რაც უნდა სთქვას სხვამ, აწარმოებენ თავის ნებაზე ხალხის სამეუფო ნებასა, ე. ი. მიიმხრობენ მდაბიო ხალხსა, როგორც უძლეველსა ძალასა და იმის შემწეობით ასრულებენ საქმესა“,*— ასე სწერს ვ. თულაშვილი „საქართველოს მოამბის“ ფურცელზე და აქ მისი პირით 60-იანი წლების „განმანათლებელი“ ქართველი ღაღადებს, რომელმაც ჩერნიშევსკის სკოლაში შეისწავლა განათლების მნიშვნელობა და ხალხისადმი სამსახური.

განსაკუთრებით აღსანიშნავი არის ჟურნალის მიერ თავისუფალი შრომის პრინციპების წამოყენება, რომელიც პირდაპირ გადმოღებული არის ჩერნიშევსკის მოძღვრებიდან. დ. ყიფიანი სწერდა: „თავისუფალი შრომა უფრო ნაყოფიერია... მთელ საზოგადოებაში ყოველი კერძოობით კაცი უნდა იყოს მშრომელი და მშრომელი თავისუფლათა და, მაშასადამე, ნაყოფიერათაც: და თუ საზოგადოებაში ყოველი მისი წევრი ნაყოფიერად შრომობს, საზოგადოებაც კეთილ მდგომარეობაში შეეა“**

* ვ. თულაშვილი—„სხვადასხვა ამბავი“,—„საქართველოს მოამბე“, № 1, 1863 წ. გვ. 150.

** დავით ყიფიანი.—„სხვადასხვა ამბავი,“ „საქართველოს მოამბე“, № 4, 1863 წ. გვ. 109.

რასაკვირველია, თავისუფალი შრომის პრინციპის წამოყენება ჯერ კიდევ არ ნიშნავს სოციალისტური აზროვნების შეთვისებას, მაგრამ ეს პრინციპი საუკეთესო იარაღი იყო ახალი თაობის ინტელიგენციის ხელში ძველი დახავსებული წყობილების კრიტიკის საწარმოებლად. შემდეგში ამ პრინციპმა დემოკრატიულად მოაზროვნე ინტელიგენციაში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა.

არ შეიძლება აქ არ აღინიშნოს გ. წერეთელი, ცნობილი ბელეტრესტი და პუბლიცისტი, რომელიც „თერგდალეულთა“ თაობის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს. გ. წერეთელი, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელმაც 1861 წ. სტუდენტთა არეულობაშიაც მიიღო მონაწილეობა, საკმაოდ იცნობდა რუსეთის ლიტერატურასა და საზოგადოებრივ-რადიკალურ აზროვნებას. მისი აზროვნება უკვე 60-იან წლებიდან განვითარდა რადიკალიზმის გზით.* ეს რადიკალურ-დემოკრატიული ნაკადი მის ნაწერებში შეუწყვეტლივ მიმდინარეობდა 90-იან წლებამდე. 1873 წ. ერთს თავის პუბლიცისტურ წერილში იგი სწერდა: „ამ სახით ჩვენი თავად-აზნაურობის დასუსტება და მუშა ხალხის სულის ჩადგმა, იმისი წინ წამოწევა,—აი ერთი სანუგეშო მიზანთაგანი ამ დროებისა. ჩვენი ქვეყნის ბედნიერება შემდეგში ამათს ერთმანეთთან დაკავშირებაზე და დამეგობრებაზეა დამოკიდებული“.**

ამრიგად, გ. წერეთელი 60-იანი წლების მოღვაწეთა მიმდევრად და განსაკუთრებით ჩერნიშევსკის ერთ საინტერესო მოწაფეთ უნდა ჩაითვალოს იმდენად, რამდენადაც მან შეითვისა ამ ეპოქის დემოკრატიულ რადიკალური აზროვნება და მას ემსახურებოდა თავისი ხანგრძლივი ლიტერატურული მოღვაწეობის პერიოდში.

ამრიგად, ყველა ზემო ჩამოთვლილი დებულებები 60-იანი წლების ქართველმა ინტელიგენციამ უშუალოდ შეითვისა რუსეთის 60-იანი წლების რადიკალურ აზროვნებიდან და ამით სრულიად უჩვეულო ნაკადი შეიტანა ქართულ აზროვნებასა და ქართულს ლიტერატურაში. ჩერნიშევსკის გაელენა დემოკრატიულად მოაზროვნე ინტელიგენციაზე აქ უდავოთ უნდა იქნეს ცნობილი: მისი ესთეტიკური თეორია, რეალიზმი, კრიტიკა მაშინდელი არსებული წყობილებისა. რაციონალიზმის, უტილიტარიზმისა და დემოკრა-

* იხ. მისი წერილები „საქართველოს მოამბეში“, № 5 და სხვ.

** გ. წერეთელი:—„ამ დროის მოძრაობა“, „კრებული“ № 3, გვ. 231, 1873 წ.

ტიზმის პრინციპები საკმაოდ გამოიყენა ინტელიგენციამ და გაამდიდრა ქართული ლიტერატურის ოჯახი რუსეთის ახალი აზროვნების ნაყოფით. შემდეგში „თერგდალეულთა“ და „საქართველოს მოამბის“ იდეური მიმდინარეობის გამგრძელებელი შეიქნა გაზეთი „დროება“ (1866-85), „კრებული“ (1871-73) და „მნათობი“ (1869-72). მათ უფრო გააღრმავეს „საქართველოს მოამბის“ დაწყებული საქმე და განამტკიცეს დემოკრატიულ-რადიკალური და რაციონალისტური მსოფლმხედველობა.

მაგრამ ჩერნიშევსკისა და მისი ჯგუფების უშუალო გაელენით ქართველმა ინტელიგენციამ შეითვისა არა მარტო დემოკრატიულ რადიკალური აზროვნება, არამედ სოციალისტურ-ნაროდნიკული მსოფლმხედველობაც. როგორც ცნობილია, ჩერნიშევსკის მოძღვრებაში და სოციალურ აზროვნებაში თავმოყრილი იყო, როგორც მეცნიერული სოციალიზმის ელემენტები, აგრეთვე ნაროდნიკული უტოპიზმის დებულებაც. ქართველი სოციალისტური ინტელიგენციისათვის მისაბაძი გახდა სწორედ ეს ნაროდნიკული მსოფლმხედველობა და მისი ასოციაციის თეორიები.

უნდა ითქვას, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ქართველი ინტელიგენციის წინაშე წამოიჭრა ღრმად მნიშვნელოვანი საკითხი საქართველოს ეკონომიური განვითარების შესახებ; რომელი გზა სჯობია საქართველოსათვის: გზა ინდივიდუალურ-კაპიტალისტური, თუ ასოციაციურ-კოოპერატიული.

ამ საკითხის გამორკვევის დროს ინტელიგენციამ გამოიყენა ჩერნიშევსკის მოძღვრებიდან შეთვისებული კაპიტალიზმის კრიტიკა და უარყო მისი განვითარების სარგებლიანობა საქართველოსთვის. ინტელიგენციის საგრძნობ ნაწილს ღრმად აფიქრებდა „პროლეტარიატში ჩაცვენის“ შიში და მოითხოვდა ასოციაციების და კოოპერატივების დაარსებას, როგორც სოფლად, ისე ქალაქად. აქაც ინტელიგენცია აყენებდა შრომის პრინციპს, მხოლოდ მის განხორციელებას მოითხოვდა კოლექტიურ ფორმაში. აღსანიშნავია, რომ ყველა ამ დებულებების დასამტკიცებლად მაშინდელ პერიოდულ ორგანოებში არა ერთხელ ვხვდებით „სოვრემენიკის“ გვერდებზე მითითებებს. ამრიგად, ინტელიგენციამ ფართოდ შეითვისა ჩერნიშევსკის დებულებები და თავისებურად გამოიყენა იგი საქართველოს სინამდვილისათვის გარკვეულ კოლექტიურ-ასოციაციური პროგრამის შემუშავების საქმეში.

კერძოდ, ჩერნიშევსკის დიდ გავლენას განიცდიდენ 60-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის ისეთი საუკეთესო წარმომადგენლები ახალი ასოციაციის სოციალისტური მიმდინარეობისა, როგორიც იყვნენ: ან. ფურცელაძე, გრ. თარხან-მოურავი, კ. ლორთქიფანიძე, მ. ქიქოძე და სხვები.* ანტონ ფურცელაძე ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელი არის 60-იანი წლების ჩვენი ახალი თაობისა, რომელმაც რუსეთის სოციალისტური აზროვნების დიდი გავლენა განიცადა. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა მრავალმხრივია, 70-იან წლებში იგი პრაქტიკულ მონაწილეობასაც ღებულობდა ნაროდნიკულ მოძრაობაში. მას ეკუთვნის მთელი რიგი სოციალისტური ხასიათის წერილები 60-—70-იან წლების ქართულ მწერლობაში.

თარხან-მოურავის ნაწერები, რომელთაც ატყვია ჩერნიშევსკის აზროვნების დიდი გავლენა (იგი ხშირად მიგვითითებს „სოვრემენიკის“ წერილებზე), საინტერესოა ეკონომიური მომენტის პირველ რიგში წამოყენებით, შრომის ღირებულების შეთვისებით და ასოციაციური თეორიის დაცვით. იგი გადაჭრით მოითხოვს ასოციაციიდან ფულის გამოდენას და შრომის პრინციპის გაბატონებას მასში. საქართველოს ერთადერთ ხსნას იგი შრომის ასოციაციების დაარსებაში ხედავდა. აშკარაა, რომ ამ მწერალმა ჩერნიშევსკის პროგრამის თანახმად მოინდომა ჩვენში ასოციაციების შემოღება და მით საქართველოს გადარჩენა კაპიტალიზმის გამანადგურებელ გავლენისაგან.

მაგრამ ყველაზე უფრო დიდი გავლენა ჩერნიშევსკის აზროვნებისა 60-იან წლებში განიცადა ნ. ნიკოლაძემ.** ნიკოლაძე პირადათ იცნობდა ჩერნიშევსკისა და მის ოჯახობას.*** შემდეგში იგი მონაწილეობას ღებულობდა ჩერნიშევსკის განთავისუფლების საქმეში, როდესაც „ნაროდნაია ვოლიამ“ ერთ-ერთ პირობად რუსეთის

---

* იხ. ამის შესახებ ჩვენი წიგნი: „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, ტომი პირველი.

** ამის შესახებ იქვე, აგრეთვე წერილი „ქართულ მწერლობაში“ 1928 წ. (№ 4).

*** ნ. ნიკოლაძე: მოგონებანი 60-იან წლებზე, „კავკასიონი“, № 3, 4, 1924 წ. აგრეთვე მისივე წერილი: „სტუდენტობის პირველი დრო“ (1861 წ.), კრებულში „საახალწლო“, 1880 წ. (იხ. თხზ. ტ. I, 1931 წ., გვ. 88—144 და 35—144.—რედ.).

თვითმპყრობელობას ჩერნიშევსკის კატორღიდან განთავისუფლება მოსთხოვა.*

ნიკოლაძეს რუსეთში იმ პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა, როდესაც სტუდენტთა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. 1861 წელში მომხდარ სტუდენტთა არეულობაში მან სხვა ქართველ სტუდენტებთან (გ. წერეთელი, დ. ღოღობერიძე, ბ. ღოღობერიძე, კ. ლორთქიფანიძე, ჩოლოყაშვილი, ალხაზიშვილი, ისარლიშვილი და სხვ.) ერთად მონაწილეობა მიიღო, რისთვისაც რამდენიმე ხანი იჯდა კრონშტატის ციხეში. 1864—68 წლებში ნიკოლაძე მოხვდა საზღვარგარეთის ემიგრაციაში: პირველ ხანებში იგი მონაწილეობას ღებულობდა გერცენის „კოლოკოლში", ხოლო შემდეგში დასცილდა მას და ცხარე პოლემიკასაც აწარმოებდა მის წინააღმდეგ. 1865 წ. „კოლოკოლში" მან მოათავსა რამდენიმე წერილი, რომელშიც ნათლად არის გამოთქმული მისი ნაროდნიკული შეხედულება და რომელთაც აზის ჩერნიშევსკის გაელენის ბეჭედი. ერთს წერილში იგი სწერს: „ჩვენ რელიგიურად დარწმუნებული ვართ, რომ ერთადერთი ფორმა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა, რომელსაც შეუძლიან ნამდვილი სარგებლობა მოუტანოს საქართველოს, არის თემობრივი განაწილება მიწისა და ყველა სხვა საკუთრებისა და თემობრივი ორგანიზაცია, როგორც სახალხო შრომისა, ისე სახელმწიფოებრივი მმართველობისა... ღრმად დარწმუნებული ასეთი სახელმწიფოებრივი წყობილების უდიდეს სარგებლიანობაში, ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, რაც შეიძლება უახლოეს დროში შემოვიღოთ იგი საქართველოში. **

შეითვისა რა ნაროდნიკული სოციალიზმის უტოპიური შეხედულება თემურ წყობილებაზე, ნ. ნიკოლაძემ უარყო ევროპის კაპიტალიზმის საჭიროება და სარგებლიანობა საქართველოსთვის. იგი გადაჭრით უარყოფს კაპიტალიზმის განვითარების სარგებლიანობას საქართველოსთვის და მოითხოვს თემური წყობილების გზით ქართველი ხალხის ეკონომიურ აღორძინებას.

აღსანიშნავია, რომ იმ მთავარ სადავო საკითხში, რომელიც სწარმოებდა ჩერნიშევსკისა და გერცენის შორის ევროპის განვი-

---

* Н. Николадзе: „Освобождение Чернышевского", „Былое", 1906 წ.

** Рио Нели: „Освобожд. крестьян в Грузии,—„Колокол", № 199, 1865 წ.

თარების შესახებ, ნიკოლაძე ვადაჭრით იცავდა ჩერნიშევსკის ხაზს. იგი სწერდა:

...„ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ დასავლეთი ევროპა თავის ცხოვრებაში დახავსდა და მას არ შეუძლია უკეთესად მოეწყოს სლავური ან რომელიმე სხვა ელემენტის დაუხმარებლად. ამ შემთხვევაში ჩვეპატიონ „კოლოკოლის“ დიდად პატივცემულმა გამომცემლებმა (ე. ი. გერცენმა და ოგარიოვმა), რომ ჩვენ სავსებით არ ვიზიარებთ მათ უსასოებას თანამედროვე ევროპის არევ-დარევის შესახებ. წინააღმდეგ მათი აზრისა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ევროპა მაინც გაიტანს თავისას და მაინც მიაღწევს (უმაღლეს) იდეალამდე“... *

1866 წ. ნ. ნიკოლაძემ გამოსცა ჟენევაში საინტერესო წიგნაკი კარაკოზოვის ტერორისტული აქტის გამო: „Правительство и молодое поколение“, Никифор Г... ფსევდონიმით. ამ ბროშურაში ნიკოლაძე უარყოფს ტერორისტულ ტაქტიკას, მაგრამ რადიკალურად განწყობილი არის არსებული წყობილებისა და არსებული მთავრობის წინააღმდეგ. იგი აღნიშნავს, რომ მთავრობასა და ახალგაზრდობას შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ომი არის გაჩაღებული და მათ შორის „შეუძლებელია, სრულიად მოუხერხებელია რაიმე სახით დაახლოვება, შეუძლებელია რაიმე შეთანხმება, წარმოუდგენელია რაიმე დათმობა“.** ამ პერიოდში ნიკოლაძე უკვე ებრძოდა გერცენს და მის „კოლოკოლს“ და სცდილობდა ჩერნიშევსკის ხაზის გატარებას საზოგადოებრივ საკითხებში. იმავე ბროშურაში ნიკოლაძე სწერდა:

„ახალი თაობა 1856 წლიდან შეუდგა საზოგადოებაში ახალი აზრების გატარებას საზოგადოებრივ ურთიერთობასა, ხელოვნებასა, მეცნიერებასა და სხვათა შესახებ... ასეთი იყო ჩერნიშევსკის მეგობრების მოღვაწეობა მთელი 1856—1862 წლების განმავლობაში. ჩერნიშევსკი და მისი მეგობრები წარმოადგენდენ ახალ თაობას,—ისინი მუშაობდენ მათი (ახალი თაობის) მისწრაფებების განსახორციელებლად და ასრულებდენ შესაძლებლობისდაგვარად მათს პროგრამას... ეს ჯგუფი იცავდა გლეხთა უფლებას მიწაზე, მხარს

---

* Рио Нель: „Освобожд. крестьян в Грузии“, „Колокол“, № 199, 1865 წ.

** Никифор Г... (ნ. ნიკოლაძე): „Правительство и молодое поколение“, გვ. 29, 1866 წ., Женева.

უპერდა თემობრივ მფლობელობას მიწის კერძო საკუთრების წინააღმდეგ, ის სცდილობდა გაევრცელებია საზოგადოებაში შეგნება საკუთარ ინიციატივის აუცილებლობისა, ის ავრცელებდა ცალკე პირებში აზრს პირადი დამოუკიდებლობისა და ადამიანური ღირსების შეგნების შესახებ, ის აყენებდა ყველაზე მაღლა საერთო კეთილდღეობას და ამ საზომით უარყოფდა ყოველგვარ ძალდატანებასა და ექსპლოატაციას" (იქვე გვ. 33—34).

1868 წ. ნ. ნიკოლაძე ლ. მეჩნიკოვთან ერთად სცემს პატარა ჟურნალს „Современность",* რომელშიაც იგი სცდილობს გაატაროს ჩერნიშევსკის ხაზი.

უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ნიკოლაძეს ჩერნიშევსკი არ მიაჩნია რევოლუციონური შეთქმულების და ტერორისტული ტაქტიკის მომხრედ. იგი აღნიშნავს, რომ ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი იყურებოდნენ რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრების სიღრმეში, მეცნიერულად არკვევდნენ მისი ჩამორჩენის მიზეზებს და სცდილობდნენ დახავსებული წყობილების რადიკალურად გარდაქმნას. მაგრამ მათი ტაქტიკა არ მიდიოდა შეთქმულებასა და ტერორამდე. ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი ფიქრობდნენ, რომ ამჟამად აუცილებელია უფრო გონივრული და პრაქტიკული ცდები შესაცვლელად—ასე თუ ისე გარკვეული ფარგლების მიხედვით—იმ ცხოვრებისა, რომელიც ჩვენ არ მოგვწონს, და აშენება პირადი ცხოვრებისა და ახლობელ პირთა ცხოვრებისა იმ საფუძვლებზე, რომელიც უფრო სამართლიანია, რომ თანდათან შეიქმნეს და გაიზარდოს ძალა საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძვლების უფრო ფარ-

---

* გოროხოვი ამ ჟურნალის შესახებ სწერს, რომ ის იყო „საერთო რევოლუციონური მიმდინარეობის, მაგრამ არა სოციალისტური" („Русская секция 1-го интернационала", გვ. 11). ეს შეცდომაა: აღნიშნული ჟურნალი საერთოდ სოციალისტური მიმდინარეობისა იყო, მაგრამ არა რევოლუციონური. ამ ჟურნალის შესახებ ა. გერცენი სწერდა: „მიმართულება სავსებით რადიკალურია და სოციალისტური" (ტ. 20 გვ. 295) პროფ. ა. ხახანაშვილი აღნიშნავს, რომ ჟენევაში ყოფნის დროს ნიკოლაძემ დააარსა ქართველთა კავშირი „უღელის" სახელწოდებით, რომელიც სცემდა თავის ორგანოს „Современность" (იხ. მისი „История груз. словесности". ტ. 4. გვ. 296). აქ ფაქტების არევაა ჭრთმანეთში: „უღელი" დაარსდა ციურიხში 1873 წ. (იხ. „დროება", № 16, 1873 წ.), ხოლო აღნიშნული ჟურნალი „Современность" გამოდიოდა 1868 წ. ჟენევაში.

თო და რეალურ გარდაქმნისთვის".* რასაკვირველია, ნ. ნიკოლაძემ, ისე როგორც სხვებმა, შეცდომით გაიგო ჩერნიშევსკის ტაქტიკა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ იგი ჩერნიშევსკის მოწაფედ სთვლის თავის თავს და მისი აზრების გავრცელებას ცდილობს.** ემიგრაციიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ (1868 წ.) ნიკოლაძე მხურვალე მონაწილეობას ღებულობს ქართულ პრესაში და 70-იან წლების განმავლობაში ატარებდა იმ ხაზს, რომელიც მან გამოსთქვა „Современность"-ის ფურცლებზე ჩერნიშევსკის პროგრამის განმარტების დროს. სრულიად საფუძვლიანად სწერს თავის მოგონებაში გ. თუმანიშვილი, რომ „ნ. ი. ნიკოლაძე არა ერთხელ ატარებდა საზოგადოებაში ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის იდეებს".*** მართლაც, საკმარისი არის გადავათვალიეროთ ნ. ნიკოლაძის ნაწერები 70-იან წლებში, რომ დავინახოთ ჩერნიშევსკის გავლენა მასზე. მას, როგორც იგივე თუმანიშვილიც აღნიშნავს, ხშირად მოჰყავს ჩერნიშევსკის ნაწერებიდან ვრცელი ციტატები, მაგრამ ავტორს კი არ ასახელებს ცენზურულ პირობების გამო. მაგ. „კრებულის" პირველ ნომერში (1871 წ.) „მკითხველთა საუბარში" ნიკოლაძეს მოყვანილი აქვს ჩერნიშევსკის რომანიდან („Что делать?") ეპიგრაფად რუსულად და ქართულად ვერა პავლოვნას მეოთხე სიზმარის შემდეგი ცნობილი ადგილი: „მომავალი ბრწყინვალე და მშვენიერია. შეიყვარეთ იგი, გაეშურეთ იმისკენ, იმუშავეთ იმისთვის, დაიახლოვეთ იგი, რამდენის გადმოღებაც შეგიძლიანთ, გადმოიღეთ იქიდგან ამ ცხოვრებისთვის. თქვენი ცხოვრება იქნება იმდენათ ნათელი, სავსე სიკეთით, მხიარულებით და სიამოვნებით, რამდენათაც უფრო ბევრის გადმოღებას მოახერხებთ მომავალი ცხოვრებისგან აწინდელში. გაეშურეთ მისკენ, იმუშავეთ იმისთვის, რამდენიც შეგიძლიანთ გადმოიღეთ იქიდგან ყოველივე ეხლანდელ ცხოვრებისათვის".****

ნიკოლაძის სხვა ნაწერებშიაც ჩვენ ხშირად ვხვდებით ციტა-

---

* ხელმოუწერელი წერილი: „Два поколения"—„Современность", № 6, გვ. 82, 87, 1869 წ. ამავე წელში ნ. ნიკოლაძის ასეთი პოლიტიკისა და ტაქტიკის წინააღმდეგ ა. სერნო-სოლოვიოვიჩმა გამოუშვა ბროშურა „Миколка публицист".

** უნდა აღინიშნოს, რომ 1868 წ. გამოვიდა ნ. ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი ტომი ნ. ნიკოლაძის რედაქციითა და წინასიტყვაობით, რომელშიაც აღნიშნულია ჩერნიშევსკის დიდი ღვაწლი რუსეთის ლიტერატურაში.

*** Туманов: „Характеристики"... გვ. 234.

**** იხ. „კრებული", № 1, გვ. 158, 1871 წ.

ტებს დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკის ნაწერებიდან. მაგრამ ეს ხდებოდა იმ პერიოდში, როდესაც ნიკოლაძე ჯერ კიდევ განიცდიდა სოციალისტური აზროვნების გავლენას; 80-იანი წლებიდან მისი აზროვნება საკმაოდ შეიცვალა და იგი გახდა საქართველოში პროგრესიული ბურჟუაზიის იდეოლოგი.

მაგრამ ჩერნიშევსკის გავლენა ქართველ ინტელიგენციაზე არც ზემოთ აღნიშნული მომენტებით ამოიწურება და არც 60-იან წლებით არ შემოიფარგლება. ჩერნიშევსკის გავლენის ქვეშ იდგნენ ქართველი ინტელიგენციის რადიკალ-რევოლუციონური მიმდინარეობის წარმომადგენელნი. 70—80-იანი წლების ქართველ ნაროდნიკული ინტელიგენცია ხარბად ეწაფებოდა ნ. ჩერნიშევსკის ნაწერებს და ითვისებდა მის სოციალისტურ იდეებს. ამის დასამტკიცებელი მასალები ჩვენ ბლომად მოგვეპოება ცალკე მოგონებებისა და საარქივო მასალების მიხედვით.* იგივე გ. თუმანიშვილი გადმოგვცემს: „ჩერნიშევსკის გადასახლების დიდი ხნის შემდეგაც იგი ახა-

* აი რას სწერდა 70-იანი წლების ინტელიგენციის 60-იანი წლების იდეებით გატაცების შესახებ ამავე წლების რევოლუციონური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი სტ. ჯრელაშვილი:—„ჩვენის გულისა და სულის უდაბნოში წამოიჭიმა ჩინებული წალკოტი, რომელსაც აღტაცებით შეჰხაროდა ჩვენი ნორჩი ჯაჭუა და გრძნობა. რაკი ასეთმა საზოგადოებრივმა აზრებმა მიიზიდა ახალგაზრდის გული, უკან გამობრუნება მოუხერხებელი-ღა იყო, გინდაც რომ ძალა მიგეტანათ, საკუთარის ნებით ხომ უკან კი აღარ, პირიქით, წინ უნდა წასულიყო სურვილი, რამდენიც სწავლის გემო გაუჯდებოდა გვერდებში ახალგაზრდას. ასეც მოხდა. ჩვენს სასწავლებლებში ყმაწვილები გამოფხიზლდნენ. ამხანაგობა გაიმართა და ურთიერთის დახმარებით შეუდგნენ ახალგაზრდები თავიანთს განათლებას—კითხულობდნენ, ბაასობდნენ, იმართებოდა აზრების აღებმიცემობა და სხვა ამისთანა სიკეთე. დამშეულივით დაეწაფა ჩვენი ახალგაზრდობა 60-იან წელთა მდიდარ ლიტერატურას რუსეთისას, ბევრი საკაცთმოყვარო აზრები შეითვისა თვით იმ ასაკში, როდესაც ყმაწვილს თამაშისა და ცელქობისათვის უფრო უნდა ერჩოდეს გული. შეუძლებელი იყო, რომ ამ აზრებს არ ეჩინა თავი ახალგაზრდის ყოველ დღიურს ცხოვრებაში. იჩინა თავი და საქმე ისე წავიდა, რომ 1878 წლამდე, სულ რაღაც ოთხის წლის განმავლობაში, მარტო თბილისის სემენარიას მოაკლდა ოთხოცდა რვა საუკეთესო შეგირდი (ე. ი. რევოლუციონური აზრებისათვის გამორიცხული იქნენ სასწავლებლიდან.—ს. ხ.), რომელნიც გულს მოდგენით ემზადებოდნენ ქვეყნის სამსახურისათვის. თითქმის ამისთანავე ამბავი დაატყდათ ჩვენებურ დანარჩენ სასწავლებლებსაც. ქართველ შეგირდების რიცხვმა საშინლად იკლო სასწავლებლებში. იმ დღიდამა ვხედავთ, რომ თითქმის ყველა ახალგაზრდა, რომელსაც კი შეეტყობა რაიმე ნიშან-წყალი სიკეთისა, ვერ გასცილდება ბოლმე მეხუთესა და მეექვსე კლასს". (სანო (ს. ჯრელაშვილი). „ძველი და ახალი თაობა" გაზ. „ივერია" № 189, 1888 წ.,

ლი თაობისათვის კავკასიაში საყვარელ პიროვნებას წარმოადგენდა ისე, როგორც რუსეთის სხვა ადგილებში. გასული საუკუნის 70-იანი წლებში გიმნაზიაში, სადაც მე ვიზრდებოდი, როდესაც მოწაფეებმა დაიწყეს ლიტერატურული საღამოების გამართვა, პირველ ყოვლისა მათ წაიკითხეს რომანი „Что делать?“ და პისარევის წერილი ამ რომანზე. ნოვრასიის უნივერსიტეტის ჩემს სტუდენტობის დროს, კავკასიელ სტუდენტებს ჰქონდათ თავისი ბიბლიოთეკა, საკმაოდ მდიდარი მეცნიერული წიგნებით. ბიბლიოთეკაში იყო მხოლოდ ერთი პორტრეტი დიდი ჩარჩოებით ჩამოკიდებული კედელზე და ეს იყო ჩერნიშევსკის პორტრეტი... და ეს სრულიად არ იყო რაღაც გამონაკლისი მოვლენა. ის საესებით ეგუებოდა იმ საერთო თაყვანისცემას, რომლითაც შემოსილი იყო ჩვენში ჩერნიშევსკის სახელი. ასე დიდად აფასებდენ რუსეთის დიდ პუბლიცისტს, რუსეთის შორეულ კუთხეებშიაც“.*

რასაკვირველია, ჩერნიშევსკის წიგნების გავრცელება ლეგალურის გზით ჩვენში შეუძლებელი იყო, მაგრამ არალეგალურის გზითაც ამ ნაწერებმა საკმაოდ დიდი როლი ითამაშეს ქართველი ინტელიგენციის გათვითცნობიერებისა და სოციალისტურად აღზრდის საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ 80-იან წლებიდან ნ. ჩერნიშევსკის აზრები და მისი მოძღვრება ქართველმა ინტელიგენციამ მუშა-ხელოსნებშიაც შეიტანა. მ. ჩოდრიშვილის და ზ. ჭიჭინაძის მოგონებები ჩვენ გადმოგცემენ, რომ 80-იან წლების დასაწყისში ახალგაზრდა სემენარიელი ნაროდნიკები ხშირად უკითხავდენ მუშა-ხელოსნებს ჩერნიშესკის ნაწერებსა და აცნობდნენ მის მოღვაწეობასა და ცხოვრებასა,** მაგრამ ამ საკითხს ჩვენ აქ ერცლად ვერ შევეხებით.***

ამ პატარა ნარკვევიდან მკითხველი ნათლად ხედავს, თუ როგორი დიდი როლი ითამაშა ნ. გ. ჩერნიშევსკიმ ქართულ რადიკა-

---

* Г. Туманов. „Характеристики“, გვ. 136 —38.

** ცნობები მოყვანილია ჩვენი წიგნის—„სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“—მეორე ტომში, გვ. 88, 112.

*** აღსანიშნავია, რომ ნ. ჩერნი'შევსკის გარდაცვალების შესახებ მხოლოდ ერთი პატარა წერილის დაბეჭდვა მოახერხა რადიკალურმა ინტელიგენციამ ქართულად: „წარსულის თვის უკანასკნელ რიცხვებში გარდაიცვალა რუსის გამოჩენილი მწერალი ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი“—სწერს გაზეთი „თეატრი“ და შემდეგ მოჰყავს მხოლოდ ცნობები მისი დაკრძალვის შესახებ (იხ. „თეატრი“, № 37-38 გვ. 12, 1889 წ. წერილი: „ნიკოლოზ გაბრიელისძე ჩერნიშევსკი“), სასტიკმა ცენზურამ საქართველოშიაც შებორკა მისი პატივისმცემელნი.

ლურ-დემოკრატიულ და სოციალისტურ აზროვნების განვითარების საქმეში. ჩერნიშევსკის გავლენა ქართულს აზროვნებასა და ლიტერატურაზე გამოიხატა შემდეგში:

1. იმ პერიოდში, როდესაც მნიშვნელოვანი პროცესები დაიწყო საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ წყობილებაში კაპიტალისტური ურთიერთობის მიმართულებით, რაც იწვევდა სოციალური ჯგუფების ამოძრავებასა და ახალ იდეოლოგიურ ძიებებს, ნ. გ. ჩერნიშევსკიმ და მისმა თანამებრძოლებმა უდიდესი როლი ითამაშეს ქართველი ახალთაობის ინტელიგენციის გამოუხიზლებისა და მათთვის ახალ აზროვნების მიწოდების საქმეში.

2. ჩერნიშევსკის აზროვნების უშუალო ზეგავლენით ჩამოყალიბდა ჩვენში ახალი მიმდინარეობა რადიკალ-დემოკრატიული შინაარსით, რომელმაც შეითვისა ჩერნიშევსკისა და მისი ჯგუფისაგან არსებული წყობილების კრიტიკა, შრომის პრინციპი, პიროვნებისა და საზოგადოების თავისუფლება. „თერგდალეულთა" თაობა იყო ამ პრინციპების შემომტანი საქართველოში. შემდეგში ღრმად გაიდგა ფესვები ამ დემოკრატიულმა მიმდინარეობამ ქართულ ლიტერატურაში.

3. იმავე წყაროდან შემოიპრა ჩვენში რაციონალისტური და პოზიტიურ-უტილიტარული აზროვნება, რომელმაც გამანადგურებელი მახვილი ჩასცა ჩვენში გამეფებულ სქოლასტიკურ-რელიგიურ აზროვნებას. იმავე ჩერნიშევსკის ზეგავლენით განმტკიცდა ჩვენს კრიტიკულსა და მხატვრულ ლიტერატურაში რეალისტურ-უტილიტარული პრინციპი. პირველად ესთეტიკის საკითხსა და კრიტიკულ წერილებში ეს პრინციპი გამოიყენა ილია ჭავჭავაძემ, ხოლო შემდეგში მისი ერთგული დამცველი გახდნენ იმავე ლიტერატურის კრიტიკის სფეროში: ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და ნაროდნიკ-კრიტიკოსები (სტეფ. ჭრელაშვილი, ნ. ხიზანაშვილი და სხვ.).

4. სოციალისტური აზროვნების პირველი მნიშვნელოვანი ნაკადული ქართულს აზროვნებაში ნ. გ. ჩერნიშევსკის მოძღვრებიდან გამომდინარეობდა. კაპიტალისტური წყობილების კრიტიკა, უმაღლესი სოციალური იდეალები, შრომის პრინციპი, ასოციაცია და თემური წყობილების თაყვანისცემა, ხალხთან დაახლოება და ხალხისათვის ზრუნვა,—აი რა შეითვისა უკვე 60-იან წლების დასაწყისიდან ჩერნიშევსკის იდეური გავლენით ქართველი ინტელი-

გენციის ნაწილმა. 70—80 წლებში ამავე წრიდან განვითარდა ნაროდნიკული მიმდინარეობა საქართველოში, რომელმაც საკმაოდ დიდი როლი ითამაშა ქართული აზროვნების ევითარებაში. ცხადია, ეს ქართული ნაროდნიკული ინტელიგენცია ნ. ჩერნიშევსკის უშუალო მოწაფედ სთვლიდა თავის თავს.

5. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ჩერნიშევსკისა და მისი სკოლის ეს გავლენა თავისებურ ელფერსა და შინაარსს ღებულობდა საქართველოს სინამდვილეში: დიდი რევოლუციონერის სოციალ-პოლიტიკური პროგრამა და შეხედულებანი თავისებურს ცვლილებებს განიცდიდა ჯერ კიდევ განუვითარებელსა და მოუმწიფებელ ნიადაგზე, არსებითად ღებულობდა რა ბურჟუაზიულ ხასიათს. მაგრამ ეს სრულიად არ უარყოფს იმ ისტორიულ ფაქტს, რომ ნ. გ. ჩერნიშევსკი და მისი ჯგუფი გადაიქცა ქართველი მოწინავე ინტელიგენციის მისაბაძ მაგალითად უკვე 60-იან წლებიდანვე.

1928 წ.

ქართველ მწერალთა კერძო წერილები

იღია ჭავჭავაძე*

ილია ჭავჭავაძეს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეჭირა მეცხრამეტე საუკუნის ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ლიტერატურაში. მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო მისი საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობა.

სამწუხაროდ, ამ პიროვნების ცხოვრება, მოღვაწეობა და მოქმედება სათანადოთ შესწავლილი და გამოკვლეული არ არის. მაგრამ, რაც უფრო აღსანიშნავია, ჯერ კიდევ არ არის სავსებით გამოქვეყნებული და გამოცემული ყველა მისი ნაწერები, კერძო წერილები და სხვა დოკუმენტები. 1925 წლიდან დაწყებულია მისი სრული ნაწერების გამოცემა. ჯერჯერობით გამოვიდა ათი ტომი და თითქმის ერთი იმდენივე კიდევ შესაგროვი და გამოსაცემია. როდის დამთავრდება ეს გამოცემა ილია ჭავჭავაძის სრული ნაწერებისა, ამის თქმა ჯერჯერობით ძნელია. სანამ სპეციალური გამოცემა ამას შესძლებდეს და ამას ხელმისაწვდომს გახდიდეს, ჩვენ საჭიროდ დავინახეთ გამოვაქვეყნოთ ილია ჭავჭავაძის ზოგიერთი დოკუმენტები და კერძო წერილები შესაფერისი კომენტარიებით. ამჟამად ჩვენ ვაქვეყნებთ ჩვენ ხელთ არსებულ დოკუმენტებისა და წერილების მხოლოდ ნაწილს. დანარჩენი გამოქვეყნებული იქნება შემდეგში. წერილები დალაგებულია ქრონოლოგიური წესით. ყოველ წერილს გაკეთებული აქვს ჩვენ მიერ შენიშვნები.

წერილი გ. სულხანიშვილისადმი[1]

[1858 წ.]

...ამას წინეთ მგონია შენი სტატიები[2] იყო „ცისკარში“[3] და მოლაყბედ[4] აცხადებდი შენ თავს. შენ იყავ თუ სხვა, პირფერობით არ ვიტყვი, კარგი რამ იყო. რაც კი შეეხება ენას, სწორეთ ფენომენი იყო ჩვენს გორიზონტზედ. ჰაზრითაც არ იყო დასაწუნი. დასაწუნი-მეთქი? დასაწუნი კი არა, ძლიერ მოსაწონიც იყო, რა მახვილათ დაეცა მოლაყბე ქართველობას, რა კარგა დაიწყო ქართველის

---

* გამოქვეყნებულია 1933 წ. ჟურ. „მნათობში“ № 8—9.—რედ.

უბედურებაზე დაცინება და რა ლამაზ ქართულ ჯარაზედ დართულ სიტყვებით ტიტინებდა! რა სიხარბით ვკითხულობდით მარტივ სიტყვასა კარგის გულიდამ გამოსულს. უნდა გენახა, რა სიჩქარით გადადიოდა ხელიდამ ხელში ის ბედნიერი ცისკრის ნომრები, სადაც მოლაყბეს ფურცლები ბრწყინავდნენ სხვათა შორის...

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. ეს წერილი პირველად 1863 წლის „ცისკარში“ გამოაქვეყნეს (იხ. „ცისკარი“ № 7, გვ. 370—371, ქერელი ბექას წერილი: „ქართული ლიტერატურა“). ჟურნალში წერილის მხოლოდ ნაწილია დაბეჭდილი, დანარჩენი ნაწილი დაკარგულია.

ეს წერილი შემდეგს პირობებში გამოაქვეყნა „ცისკრის“ რედაქციამ. როგორც ცნობილია, 1861 წელს ცხარე კამათი გაჩაღდა ძველ თაობასა და ახალ თაობას შორის. პირველ წლებში (1861-62) კამათი თვით „ცისკრის“ ფურცლებზე სწარმოებდა. შემდეგში, როდესაც 1863 წელს ილია ჭავჭავაძის ჯგუფმა თავისი საკუთარი ორგანო დააარსა („საქართველოს მოამბე“), ხოლო „ცისკრის“ უახლოესი თანამშრომლობა იკისრა ანტონ ფურცელაძემ, კამათმა უფრო მწვავე და მკაცრი ხასიათი მიიღო. ანტონ ფურცელაძემ სხვადასხვა ფსევდონიმით (ქერელი ბექა, თავხედი, ულოღიკო) მთელი რიგი წერილებისა მოათავსა „საქ. მოამბის“ ჯგუფის წინააღმდეგ. ერთს წერილში იგი სწერდა:

„ვსთქვათ, მოლაყბე შესცდა... მაგრამ „მოამბე“ ვეღარ არის წყალობის თვალით მოლაყბეზედა, რადგანაც თანამშრომელია „ცისკრისა“, რომელსაც სდევნის ყოვლის მეცადინეობით. ერთს დროს თითონ ილია ჭავჭავაძე სხვაფრივ გაიძახოდა ამ ლიტერატორზე...“ (იხ. ქერელი ბექა: „ქართული ლიტერატურა“, „ცისკარი“, № 7, გვ. 370-71, 1863 წ.).

ამ ადგილს „ცისკრის“ რედაქცია შემდეგ შენიშვნას უკეთებს:

„ცისკრის რედაქცია საჭიროთ რაცხს დაბეჭდოს ამ სხოლიოში თ. ილია ჭავჭავაძისაგან მოწერილი წიგნი მოლაყბის შესახებ, დასამტკიცებლად ამის,—რომ უფ. მოამბის რედაქტორი (ე. ი. ილია ჭავჭავაძე.—ს. ხ.) არა სდგას არასოდეს ერთს აზრზედ—აი რასა სწერს...“ იქვე, გვ. 370).

ამის შემდეგ მოყვანილია ზემოდ ციტირებული ნაწყვეტი ილ. ჭავჭავაძის წერილიდან. „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ პასუხიდან გამოირკვა შემდეგი: 1) აღნიშნული წერილი მოწერილი ყოფილა გ. სულხანოვისადმი; 2) იგი გამოგზავნილი ყოფილა პე-

ტერბურგიდან 1858 წელს, და 3) შეეხებოდა მიხ. ბირ. თუმანიშვილს. მოუსმინოთ გ. სულხანოვს:

„უფ. „ცისკრის“ რედაქტორო! ეგ წიგნი ჩეთან იყო მოწერილი და თქვენ რა უფლება გაქვთ, რომ სხვისაგან და სხვასთან მოწერილს წიგნსა დაუკითხავათა ბეჭდამთ?.. მაგ წიგნით უნდა გეჩვენებინათ, რომ ჰავჰაევაძე ერთს აზრზედ არა დგასო, რადგანაც მაშინ მოლაყბეს აქებდაო და ეხლა კი აძაგებსო; მაგ წიგნის თარიღი რომ გამოგეცხადებინათ მაშინ, თქვენი ცილის შეწამება თავის თავად დაირღვეოდა, ამას მიმხვდარხართ, რომ თარიღი წიგნთან არ დაგიბეჭდიათ. თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ მოლაყბეს სახელითა ბევრი სხვადასხვა კაცი ჰსწერდა თქვენს „ცისკარში“. ისიც კარგად იცით, რომ პირველი ორი სტატია (უნდა იყოს სამი.— ს. ხ.), ერთი მგონია 1857 დეკემბრის და მეორე 1858 იანვრის ცისკარში მოლაყბეს სახელით რომ დაიბეჭდა, ასეთი კარგნი იყვნენ, რომ მრავალნი მბაძავი გააჩინეს და იმ მიმბაძავეებმა მოლაყბის სახელით დაიწყეს წერა. იმათში მგონი თითონ თქვენც (ე. ი. ივანე კერესელიძე.—ს. ხ.) ერიენით. მაგრამ ეს მიმბაძავნი იმ პირველ მოლაყბესთან გროშად არა ღირდნენ, რომელმაც იმ ორ სტატიის შემდეგ ერთი სტრიქონიც აღარ აღირსა თქვენს „ცისკარსა“. უფ. ჰავჰაევაძე იმ პირველს, იმ ორ სტატიის დამწერს აქებს მაგ წიგნით, რომელსაც თქვენ და თქვენი რაზმი ისე უხეიროდ ჰბაძავდა და ვერ მიჰბაძა კი. ამას თითონ წიგნის თარიღი დაგიმტკიცებთ, ეგ წიგნი პეტერბურგიდამ მგონი თებერვალში, თუ მარტში არის მოწერილი 1858 წლისას. მაგ დრომდის იმ ორ სტატიის დამწერი გარდა სხვა არავინ იყო მოლაყბე“ (გაბრიელ სულხანოვი: „შენიშვნა“—„საქართველოს მოამბე“, № 7, გვ. 105-6, 1863 წ.).

სულხანოვის ცნობა იმ მხრივათაც არის საინტერესო, რომ გვაწვდის ცნობებს „ცისკრის“ მწერლებისა და ფსევდონიმების შესახებ.

2. გ. სულხანოვს თავის წერილში შეცდომად აქვს აღნიშნული ორი წერილი. 1858 წლის თებერვლამდე დაბეჭდილი იყო სამი წერილი. მათი საერთო სათაურია: „ს ა ლ ა ყ ბ ო ფ უ რ ც ე ლ ი“ (იხ. „ცისკარი“, № 11, 12, 1857 წ. და № 1, 1858 წ. ან „რჩეული ლექსები მიხ. თუმანიშვილისა,“ გვ. 29—55, 1881 წ.).

3. ჟურნალი „ცისკარი“ პირველად დააარსა გ. ე რ ი ს თ ა ვ მ ა მ. ს. ვორონცოვის დახმარებით. მისი რედაქტორობით გამოდიოდა ორი წლის განმავლობაში (1852-53), 1857 წელს მისი გამოცემა განაახლა ი ვ. კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე მ (1827—1829). თავისი მიმართულებით იგი კონსერვატიულ-რეაქციონური იყო. დაიხურა 1875 წელს.

4. ე ს მ ო ლ ა ყ ბ ე ფსევდონიმი იყო არა გაბრიელ სულხანოვისა, როგორც ეს ძლიას ჰგონებია, არამედ მ ი ხ. ბ ი რ. თ უ მ ა-

ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა (1818—1875 წ.). იგი იყო პუბლიცისტი და პოეტი; წერილებს სწერდა რუსულად და ქართულად. 1836 წლიდან სახელმწიფო სამსახურში იყო. 1864 წ. ის დანიშნეს გლეხთა განთავისუფლების კანცელარიის უფროსად და 1874 წ. მეფის მოადგილის საბჭოს წევრადაც იყო დანიშნული. აქვს წერილები „კავკაზში“ (1852 წ.) ქართული თეატრის შესახებ, აგრეთვე „დროებაში“ (№ 21, 18[6]7 წ.). დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თავის. დროზე „სალაყბო ფურცლებმა“ მათ შესახებ ამხ. ფ. მახარაძე სწერდა:

„... თვით „ცისკრის“ რედაქტორი, ი. კერესელიძე, ბატონ-ყმობის წინააღმდეგი ყოფილა იმდროს, თუმც ამას აშკარათ ვერ აცხადებს. ასევე ითქმის „ცისკრის“ ერთ მაშინდელ თანამშრომელთაგანზე, სახელდობრ „მოლაყბეზე“ (ფსევდონიმი თ-დ მიხეილ თუმანიშვილისა), რომელიც ზევით მოყვანილ იმპ. ალექსანდრე II სიტყვების გამო „ცისკრის“ იმავე ნომერში ამბობს: „იმ სიტყვების წაკითხვაზე ყოველი ჩემი გონება, სული და თითოული ასო გარდაიქცა გრძნობათ... ქართველნო! ჩვენი მეფე შესდგომია იმისთანა საზოგადო კეთილ აზრს, რომელზედაც კვირობს მთელი ევროპა“. როგორც ხედავთ, აქაც ყრუ პროტესტი ჩანს ბატონ-ყმობის წინააღმდეგ; ალბათ, სხვაგვარი პროტესტი ან შეუძლებელი იყო საცენზურო პირობების გამო და ან ძნელი გასაბედავი თვით ავტორების მხრით“ (მოსაუბრე—მახარაძე—„საუბარი სხვადასხვა საგნებზე“—„კვალი“ № 47, გვ. 963, 1901 წ.).

შემდეგში, 1871-72 წლების ცნობილ ლიტერატურულ შეტაკებების დროს, ილია ჭავჭავაძემ თავის ცნობილ „გამოცანებში“ სასტიკად გაილაშქრა მ. თუმანიშვილის წინააღმდეგ. (იხ. ტ. I, გვ. 326—27). მ. თ—ლი უახლოესი მეგობარი იყო ნ. ბარათაშვილისა. მიხ. თუმანიშვილის შესახებ იხ. პროფ. ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს წერილი („განათლება,“ № 2, 1911 წ.), გრ. ყიფშიძის წერილი „მიხ. თუმანიშვილი“ („საქართველო“, № 118, 120,—1918 წ.).

წერილი ნინო აფხაზისადმი

18 თებერვალს 1859 წელსა

სულზედ უტკბესო დაო ნინო![1]

ძლივს დავამარცხე ჩემი ზარმაცობა და როგორც ხედავ, გწერ წიგნსა. რა არის, ნინუცი, რომ იწერებით წიგნს და ახალ მანდაურ ამბებს არა მწერთ ხოლმე. დაიწყობ, ბატონო, ჩემ დამტირებელ თვალებს დავკოცნიო და დამტირებელ თვალებითვე გაათავებთ ხოლმე. ან მოსავალზედ თქვი რამე, ან მანდაური შექცევაზედ ან კუტრობაზე,

მაგრამ კუტრობა წამომცდა, კუტრობაზედ ნურას მომწერთ, თვითონ მე კარგათ ვიცნობ რა წითელი კოჭიცა ბრძანდება. ჩემ ჯიბეში ნეტავი ჩამოგახედა, რა ამბავია. რუსეთულ თაგვებს ისეთი ჯირითი გააქვსთ, რომ მეტი არ იქნება. ღმერთმანი ჰრელ-ჰრელ მანეთებს წამოკრავენ ფეხს, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს! ისეთი მოწმენდილია იქაურობა, რომ ყაბახის მოედანზედ არ იქნება ისე. ნეტავი ეხლა მანდ ვიყო, რომ გავძღე ყბედობით. ისეთი ლაპარაკი ჰსცოდნია და ჰყვარებია ჯიბე ცარიელობას, რომ ვეღარ მომითმენია. ნეტავი ეხლა შენს ტახტზედ ვიყო წამოწოლილი და შენი განათლებული ბონჟურა პირის მთქნარებით და თავის ქექით ნაცარ ქექიას ზღაპარს მეუბნებოდეს და შენი პატარა გიგლო დარბაისელ ბიძას მშვენიერ ლანძღვის სიტყვებით მამკობდეს. რასა იქ, როგორა ხარ, ჩემო ნინუცი? სახლი აიშენე თუ არა! ან შენი ქმარი და ჩემი სიძე რასა იქს! არა სცხვენიან, რომ ერთხელ არ გამიხსენებს, ნუთუ[2]...

ახლახან მამიდა სალომეს წიგნი მივიღე, ძალიან მიამა და ძალიან მადლობელიცა ვარ; ღმერთმა აცოცხლოს დიდხანს, მაგრამ ჩემ მაგიერ მოტევება სთხოვე, რომ ეხლა წიგნს ვერა ვწერ შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა. კოხტა[3] ძალიან კარგათ არის, აგრეთვე მისი ბიძა მიხაკო. შენ და ნიკოლოზს მოკითხვას გიგზავნიან.

სხვა რა მოგწერო, ჩემო კარგო დავ, პეტერბურღი ისევ პეტერბურღია, ცივი, ქვით მოსიპული და უზარმაზარი, ახალი ამბები არა არის რა ჩემი ჯიბის კუტრობის მეტი, მაგრამ ეს დიდი ხნის ამბავია. ილიკო ჩოლაყაშვილის ცოლი გავიცან, ძალიან ჭკვიანი და კარგი ქალი ყოფილა, გამაკვირვა იმის ლაპარაკმა და განსჯამ.

ერთი რამა მაქვს შენთვის სათხოვარი და თუ გიყვარდე, თუ ჩემი მცირედი სიყვარული გაქვს, ამისრულე. ერთმა ქალმა ქალური ვერცხლისა ქამარი მთხოვა ხანჯლიოა და დავპირდი, შენი ჰირიმე, ნინუცი, ნუ გამამტყუნებ იმ ქალთან, მერე უნდა იცოდე რა ქალია! იმათ ოჯახში, როგორც შვილი ისე ვარ მიღებული, ასეთი დედმამა ჰყავს, რომ თავი შემაყვარეს[4]—თუ შეიძლება, შენი სულის ჰირიმე, ნინო, სააღდგომოთ გამომიგზანე, ვიცი რომ გიყვარვარ, თუმცა ცოტა ხელის მოჭერა გიყვარს, მაგრამ ჩემი სიყვარული გაგაბედვინებს.

იყავ მშვიდობით, წიგნი მომწერე ხოლმე შხირათ, მანდაური ამბები, დროს როგორ ატარებთ, როგორ შეექცევით და უფრო რითა სწამლობთ კუტრობას მეც მასწავლეთ.

შენი ძმა ილიკო.

იანვრის „ცისკარში“ [5] ჩემი ლექსია დაბეჭდილი, წაიკითხე თუ არა? აი გინდოდა ჩემი ლექსები გენახა ცისკარში და აგისრულე, თორემ შენ რომ არ გსურებოდა, არც მაგას დავაბეჭდვინებდი იმიტომ, რომ ჩვენი „ცისკარი“ ჯოჯოხეთის კარია და არა ცისა.[6]

თემურა[7] ძალიან კარგათ არის, გაიხარე, ნინუცი, კარგი ჰკვიანი ძმა გვყავს, ღმერთმა აცოცხლოს; მარტო ერთი არ მომწონს თემურში, ძალიან ფიქრიანი არის.

ნინუცი! მეგონა ეს წიგნი გამოგიგზავნე შენ და ეხლა ვიპოვე ქაღალდებში, აქ დამრჩენია თურმე და ეხლა გიგზავნი. ნუ დამცინებ ჩემ დაუდევნლობაზედ, მეც იმისთანა ქართველი ვარ, ვითარცა სხვა. ამისა გამო მომეტევება ვითარცა ცათა შინა ეგრეთცა ქვეყანასაზედა, აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

მშვიდობით, შენი ილიკო ჭავჭავაძე.

თიკო თუ მანდ იყოს, მოკითხვას მოვახსენებ, კოლა ძალიან კარგათ არის. შენი ბიჭ ბუჭულები და უზესთაესთა ხერუბიმი მაიკო ჩამიკოცნე, გიგლოს კი ყური გაუწიე, ჰკვას ისწავლის.

18 მარტი 1859 წელს.

შ ე ნ ი შ ე ნ ი ო

1. ნ ი ნ ო იყო უფროსი და ილიასი, მეუღლე ნიკოლოზ აფხაზისა.

2. აქ მოხეულია ადგილი.

3. კ ო ხ ტ ა ა ბ ხ ა ზ ი — ილიას ბავშვობის მეგობარი და მასთან შუხრდილი. დაიბ. 1838 წ. აქვს დაწერილი მოგონება ილიას შესახებ.

4. აქ ილიას მხედველობაში უნდა ყავდეს გენერალ ჩაიკოვსკის, ცნობილ კომპოზიტორ ჩაიკოვსკის მამის ოჯახი, რომლის ასულზედაც შეყვარებული ყოფილა ილია. კოხტა აბხაზიც აღნიშნავს თავის მოგონებაში: „ამ გენერლას ოჯახში ხშირად დავიარებოდით და კარგადაც გვიღებდნენ. მახსოვს, როდესაც პირველად მოვემზადეთ იმათთან წასვლას სადარბაზოდ, დიდს გაჭირვებაში ჩავარდით, ერთი მუნდირი გვქონდა სტუდენტური და მარტო-კი არც მე მინდოდა წასვლა, და არც ილიას.“

როგორც ცნობილია, ამ ტრფობის ნაყოფია ი. ჭავჭავაძის ორი ლექსი: „ს... ჩ... სას“ და „ჩ... სას“

5. „ცისკარში“ პირველად ილიას ლექსი დაიბეჭდა 1857 წელს. შემდეგ დროგამოშვებით ათავსებდა იგი თავის ლექსებსა და თარგმანებს „ცისკარში.“ 1859 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილია ილიას თარგმნილი ლექსი: „ბედა მქადაგებელი“ (გოეთესი). „ცისკარში“ თანამშრომლობას თავი დაანება 1861 წლიდან.

6. „ცისკრისა“ და მისი მწერლების წინააღმდეგ ილიამ სასტიკად გაილაშქრა მწერლობაშიაც 1861 წ. (იხ. მისი წერილი: „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდან „შეშლილის“ თარგმანზედ.“ „ცისკარი,“ № 4, 1861 წ.). ამ წერილს მოყვა ცხარე პასუხი მოწინააღმღეგეთა (იხ. „ცისკარი,“ № 5, 6, 1861 წ. და სხ.). ჰავჰავაძე პირველ წერილშიეე აღნიშნავდა, რომ „თუ „ცისკარი“ უვარგისია, კიდევ თქვენგან, ყვაეებო, ფარშევანგის ფრთებითა, ბულბულებო, ყორნის ჩხავილით“ (იხ. „ცისკარი“, № 4). მეორე საპასუხო წერილში იგი სწერდა:

„ნუთუ მართლა, რაც „ცისკარში“ იწერება, საქართველოს ხალხის ფიქრია, ჭკუაა, გონებაა, ჩვეულებაა? ნუთუ მართლა „ცისკარში“ ჩვენი განათლებაა, ჩვენი განათლების ხარისხია გამოთქმული? ნუთუ მართლა ეგრე დაეცა რუსთველის ხალხი, რომ ეგრე ფიქრობს, ეგრე ჰგრძნობს? მეც მაგასა ვჩივი და ვსტირი, რომ არა, ათასჯერ არა. მეც იმიტომ ესე პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედავად ბღაჯნის, აღარ ბღაჯნოს, რადგანაც იგინი თავის ბღაჯნითა ამდაბლებენ ჩვენს ენას. მე იმისათვის ვლაპარაკობ ავრე სასტიკად, პირმოუფერებლად, რომ უნიჭონი და ამასთან უსწავლელნიც თავის ოთახიდან ფეხს ნუ გამოსდგამენ გარეთ, ლიტერატურაში. ამას გთხოვთ ხალხის სახელითა, ხალხისავე სახელის დაცვისათვის...“ („ცისკარი“, № 6, 1861 წ.).

ამის შემდეგ ჰავჰავაძეს „ცისკარში“ აღარაფერი დაუბეჭდია. 1863 წ., როდესაც „საქართველოს მოამბე“ დაარსდა, კამათმა უფრო ცხარე ხასიათი მიიღო „ცისკართან.“

7. თემურ იყო უმცროსი ძმა ილიასი, იგი პეტერბურგის კადეტთა კორპუსში სწავლობდა, გარდაცვლილა პეტერბურგშიეე 1760 წელს. არის ამის შესახებ ილიასავე წერილი მამიდამისისადმი. (იხ. გრ. ყიფშიძე: „ილია ჭავჭავაძე“,—გედეევანიშვილის გამოცემა, გვ. XIII, 1914 წ.).

წერილები კ. ღორთქიფანიძისადმი [1]

წერილი პირველი

1864 წ. 24 აგვისტო, ქუთაისი.

დიდი სიხარულით წავიკითხე შენი წიგნი ჩემთან მოწერილი. ღმერთმა ხელი მოგიმართოს ყოველს მაგისთანა საქმეში, რომელიც ყველასათვის ერთნაირად სასიამოვნოა. მეც ჩემის მხრით მაღლო-

ბას გეუბნები, რომ მაგისთანა კეთილს საქმეში ჩემი ხელიც გაურიე: საკვლაოდაც თუ ჩემი დახმარება რაშიმე ივარგებს და დაგჭირდება, გთხოვ, ყოველთვის და ყველგან მიგულვო სულით და გულით გამზადებული.

რაც გითხოვნია, მათთა შორის რაც უპირატესია, აღგისრულებ, ე. ი. ლექსებს, თუ ივარგებს ოცდა ცხრას ამ თვეს მოგართმევ. ძალიანა ვწუხვარ, რომ ადრე არ შემატყობინე, იქნება ახალი რამ მომემზადებინა. მაქვს კი ძველი იმისთანა ლექსები, რომელიც ჯერ არ დაბეჭდილა, მათგანს ყველას გამოგიგზავნი. ამას კი გთხოვ, არც ერთს ლექსს ჩემი სახელი არ მოაწერო: ნეტაი ლექსმა ივარგოს, თორემ სახელი რა საჭიროა. თუ ძალიან და ძალიან გინდა, რომ მაგ წიგნში ჩემი სახელიც იყოს, შეგიძლიან თავში საზოგადოდ მოიხსენიო, რომ სხვათა შორის ამ წიგნში ჭავჭავაძის ლექსებიც არის-თქო და რომელი ლექსია ჭავჭავაძისა თვითეულად და სახელდობრ ნუ მოიხსენიებ. ამისათვის მე პატივსადები საბუთი მაქვს.

ფულისას იწერები. ნეტაი, ჩემო ძმავო, იმოდენა ფული აიღო, რომ შენი შრომის და წიგნის ხარჯი გამოვიდეს და სხვაზედ ნურას ნაღვლობ. თუნდ რომ ბევრი ფულიც დაგრჩეს, მაინც მე წინადვე ვარი მიყვია: შენ თითონ მოიხმარე—ეგ უკეთესი იქნება, ან სხვას მოახმარე, იმისთანას, რომელიც გაჭირვებული-ა. მანდ ჩვენი ამხანაგები ბევრნი იმისთანანი არიან, რომელთაც დღიური ლუკმაც უჭირსთ, პირველი ჩვენი შრომის შემოსავალი იმათი კუთვნილია, იმათ გადაეცი: ჩვენი ლექსები, დამიჯერე, უკეთეს ვერას იზამენ. არ ვიცი სხვა რას ფიქრობს და ჩემთვის კი ისიც სამყოფია, რომ ჩემმა ლექსმა სხვათა შორის ისიც შეიძლოს, რომ ერთს ჩვენთაგანს უფრო გაჭირებულს ერთს თვეს მაინც მუცელი გაუძღოს. აძას გევედრები, რომ ამისთანა რამ ჩემის სახელით არ იყოს. ეს წიგნიც რომ დახიო, ურიგო არ იქნება.

მაგ შენგან დაპირებულის ლექსების წიგნის სახელი არ მომწონს: ჰსჯობს, „ქართული ლექსების კონა“ დაარქვა. „კრება“ სხვა რიგად ესმის ქართველსა და რუსულიდამ თარგმნულსა ჰგავს. სხვაფრივ მსურს ბედნიერად შესრულება მაგ საქმისა.

შენი ილიკო ჭავჭავაძე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა

1. კირილე ლორთქიფანიძე 60-იანი წლების მწერალთა ჯგუფს ეკუთვნოდა. იგი პირველად (1862 წ.) თერგდალეულის ფსევდონიმით „ცისკარში“ სწერდა, შემდეგ უახლოესი თანამშრომელი იყო „საქართველოს მოამბისა“ (1863 წ.), „დროებისა“ და „კრებულის.“ იგი ახლო მეგობარი იყო ი. ჭავჭავაძის. 1864 წ. კირ. ლორთქიფანიძემ განიზრახა პეტერბურგში გამოეცა ლექსთა კრებული „ჩონგურის“ სახელწოდებით. კირილემ წერილში ილიას სთხოვა მიეღო მონაწილეობა აღნიშნულ კრებულში. ამის პასუხია ილიას პირველი წერილი. შემდეგ ი. ჭავჭავაძემ ლორთქიფანიძეს პეტერბურგში გაუგზავნა მთელი რიგი თავისი ლექსებისა დასაბეჭდათ. ლორთქიფანიძის არქივში ინახება ორი ავტოგრაფი ი. ჭავჭავაძის 1864 წელს გაგზავნილ ლექსებისა: 1) „ქართველი სტუდენტების სიმღერა“ (დაწერილია 1860 წ.) და 2), „ნანა“ (დაწ. 1859 წ.) ზემოთმოყვანილი წერილი პირველ ავტოგრაფზეა მიწერილი, მაშასადამე, იგი დაწერილია 1864 წ.

წერილი მეორე

ბი რის გამოგზანა ეხლა შევიძელი. „ქართლის დედას“ არ გიგზავნი, მიტომ რომ ვერას გზით ვერ გავასწორე, გაუსწორებლად კი ვერ გამოგიგზავნე იმიტომ—რომ შიგადაშიგ უფრო რიტორიკაა, ვიდრე სხვა რამე. „რამდენიმე სურათი,“ ანუ „ეპიზოდი ყაჩალის ცხოვრებიდან“ [1] მე თუმცა დასრულებული მაქვს, მაგრამ არ გიგზავნი, რადგანაც ვიცი, რომ არ დაბეჭდავენ. თუნდ მანდა როგორმე მოახერხო და ნების დართვა აიღო,[2] აქ მთელ წიგნს აგიკრძალავენ, ეს მე ნამდვილად ვიცი. მეც ბევრი ვეცადე აქაურ ცენზურის კომიტეტში, მაგრამ ძალიან ამიკრძალეს. დასაწყისი მაგისი რაოდენიც „საქართველოს მოამბეშია,“ თუ გნებავს, დაბეჭდე. სხვა ახალი ლექსი, პატიოსან სიტყვას გაძლევ, სრულიად არა მაქვს. მაქვს უწინდელი ზოგიერთი სატრფიალო ლექსები, ჯერ დაუბეჭდავი, ვიცი, შენ არ გამოგადგება და ამიტომ არ გიგზავნი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. ეს პოემა ილ. ჭავჭავაძეს დაწერილი აქვს 1860 წ. პეტერბურგში. როგორც ავტოგრაფებიდან სჩანს, შემდეგში იგი აღარ შეუკეთებია. „ქაქო ყაჩაღი“ ხელთნაწერის სახით ძლიერ გავრცელებული იყო 60-იან წლების ინტელიგენციაში. საინტერესოა ამ

პოემის შესახებ ილიას მეგობრისა და ახლო ნათესავის კოხტა აბხაზის მოგონება. იგი სწერდა:

...რაც შეეხება მის შეძოქმედებას და მის ნაწარმოებების ისტორიას, მე მხოლოდ „კაკო ყაჩაღის“ შესახებ მახსოვს კარგად, რომ კაკო პირდაპირ ცხოვრებიდან არის აღებული. კაკო გახლავთ ერთი კარდანახელი გლეხი, ვინმე გაუხარაშვილი, რომელმაც მართლა ესროლა თავის ბატონს (რომელიღაც ვაჩნაძეს) და ყაჩაღად გავარდა. იმალებოდა კარდანახის ტყეში და გამელელ-გამომელელს სცარცვავდა. ხმა და სახელი დიდი ჰქონდა გავარდნილი. ერთხელ ილია სწორედ იმ გზით მოდიოდა ჩვენსა კარდანახში, თან ახლდა მოსამსახურე ბიჭი. უცბად ერთ ალაგას წინ გადასდგომია შეიარაღებული გაუხარაშვილი და შეუჩერებია, გამოუკითხავს ვინაობა და მოგზაურობის მიზანი. რომ გაუგია ჭავჭავაძის გვარი, უკითხამს, ჭავჭავაძეს კარდანახში რა უნდაო. ბიჭს აუხსნია, რომ კარდანახში თავის ნათესავ აბხაზთან მიდისო. მაშინ ყაჩაღს თოფი დაუშვია ძირს და ილია მიუწვევია თავის ბინაზე, კარგად გაჰმასპინძლებია და დაუთვრია კიდეც. ასე რომ, როდესაც ილია ჩვენსა მოვიდა, ბარბაცებდა და მარტო იმას გაიძახოდა ენის ბორძიკით: „დამაძინეთ, დამაძინეთო!“ მეორე დღეს კი გვიამბო თავის თავგადასავალი, ხოლო დაუმატა, რომ გაუხარაშვილი სულ ბატონებს სწყევლის და აგინებსო.“

2. პეტერბურგში ქართული ნაწერების ცენზურას, პროფ. დ. ჩუბ'ი ნ ა შ ვ ი ლ ს მიანდობდენ და ამიტომ ჰფიქრობდა ილია, ალბათ, რომ შესაძლებელია დაბეჭდვის ნება დართონო.

წერილი მესამე

1863 წ. 19 დეკემბერი, დუშეთი.

ძმაო კირილე! მოგეწერა, რომ „კაცია ადამიანის?!“[1] დაბეჭდა მოვიწადინეთო და ნების დართვა მთხოვე.[2] მაგას რაღა თხოვნა უნდოდა: მომიცია სრული ნება დაბეჭდვისა და თუ ძალიან გსურო, ჩემი სახელიც ჩაურთეთ ჯიმშერიძის მაგიერად.[3] წინასიტყვაობისა უნდა მოგახსენო, რომ მე იგი ცალკედ არ დამიწერია.[4] მართალია, როცა ეგ მოთხრობა გავათავე, მინდოდა ცალკე წინასიტყვაობაც დამებლაჯნა, მაგრამ როცა გადავიკითხე, გამოჩნდა, რომ რაც წინასიტყვაობაში მინდოდა მეთქვა, სულ ყოველისფერი შიგ მოთხრობას (აჩნდა) ჩემდა უნებურად. მგონი, ყურადღებით წაკითხვა ამას შენც დაგარწმუნებს.

პატივცემა ყველას ჩემგანს ჩემშიერ,
შენი ილია ჭავჭავაძე.

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი

1. „კაცია ადამიანი?!“ პირველად 1863 წლის „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა.

2. პეტერბურგში 60-იან წლების დასასრულს შესდგა ჯგუფი სტუდენტებისა კ. ლორთქიფანიძის მეთაურობით, რომელმაც მოინდომა გამოეცა ცალკე წიგნებად ქართველ მწერლების ნაწერები. ამის შესახებ ქართულ გაზეთებში განცხადებაც იბეჭდებოდა. პირველად 1869 წ. „კაცია ადამიანი?!“ გამოვიდა. შემდეგ აპირებდნენ დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ დაბეჭვდასაც, მაგრამ იმ ხანებში იგი არ დაბეჭდილა.

3. „კაცია ადამიანი?!“ პირველად 1863 წ. ჯიმშერიძის ფსევდონიმით დაიბეჭდა. 1869 წ. იგი ავტორის ნამდვილი სახელითა და გვარით არის დაბეჭდილი.

4. ჭავჭავაძეს „კაცია ადამიანის“ ცალკე წინასიტყვაობაც დაუწერია. მის არქივში ინახება ოთხი ვარიანტი ამ წინასიტყვაობისა. ავტორს ეს წინასიტყვაობა არ გამოუქვეყნებია. ამჟამად ეს ვარიანტები გამოქვეყნებულია (იხ. მისი ნაწერები, ტომი II, გვ. 295—309).

წერილი მეოთხე

ძმაო კირილე! გიგზავნი ჩემს „გლახის ნაამბობს“.[1] ჯერ ვიდრე დაჰბეჭდდე, შენებურად გადიკითხე და შენი პირ-მოუფერებელი აზრი მაცნობე. რაკი არ მომეშვი აი „ტრფიალების“ ლექსს ჩემსას გიგზავნი[2] და ერთს ნ. ბარათაშვილისას.[3] თუ ჰკვაში მოგივიდეს, დაბეჭდე. ხანდისხან ამისთანა ლექსებიც ჰსდომებია ამ უდარდელს და ცრუდ-მოტრფიალეს ქვეყანასა.

P. S. ეს ლექსი,[3] როგორც დედანშია, ისე აქ არ არის გადმოწერილი. შენი ჰირიმე, კირილე, ჩემი „გლახის ნაამბობის“ ფურცლები არ დამიკარგო, მაგის ღეტი არც თეთრი მაქვს და აღარც შავი. მესხს[4] უთხარი, რომ შენი წიგნი დღეს მივიღე-თქო. მე თუ თავი როგორმე დავაღწიე, იქნება ჩვიდმეტს ამ თვეს ჩამოვიდე ქალაქში და მაშინ მოვილაპარაკოთ-თქო. იმ დრომდე არას გზით მანდ ჩამოსვლა არ შემიძლიან.

თუ ეს ლექსები არ მოგეწონოს, უმიკოეს ჩემი „აჩრდილი“ აქვს, ახლად გადაკეთებული, იქიდან VII, VIII და IX მუხლი დაბეჭდე იმ სათაურით, როგორც ადრე იყო დაბეჭდილი კრებულში.

რედაქციას ჩემი სტატია „ზოგიერთი რამ“[5] უნდა ჰქონდეს. მაცნობე ჰბეჭდავთ მაგ სტატიას, თუ არა. ოღონდ ეგ დაიბეჭდოს და შეიძლება ცენზორს ბევრი დაუთმოთ. ჩემ „გლახის ნაამბობზედ“ შენი აზრი მალე მაცნობე.

შენი ილია ჭავჭავაძე

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. „გლახის ნაამბობის“ პირველი ნაწილი (ექვსი თავი) პირველად 1863 წ. „საქ. მოამბეში“ (№ 1) დაიბეჭდა. ავტორს ეს მოთხრობა იმ ხანებში არ ჰქონდა დამთავრებული, იგი დაამთავრა 1872-73 წლებში და სრულად დაიბეჭდა „კრებულში“ (№ 1, 2, 3, 1873 წ.). აქ გამოქვეყნებულ წერილებს დიდი მნიშვნელობა აქვს „გლახის ნაამბობის“ დაწერის თარიღებისა და ავტორის შემოქმედებითი პროცესის შესასწავლად. რასაკვირველია, შემცდარია ჰაეპავაძის სრული ნაწერების კომენტატორი, როდესაც სწერს, რომ „გლახის ნაამბობი“ ავტორმა დასწერა 1859 წ., ხოლო საბოლოოდ გადახედა 1862 წ. ახლად გამოქვეყნებულ მასალების მიხედვით მტკიცდება, რომ მოთხრობა დაწყებულია 1859 წ. ხოლო მისი მეორე ნაწილი—მეშვიდე თავიდან დაწერილია 1872-73 წლებში.

2. სამი სატრფიალო ლექსი გაუგზავნა. მოგეყავს მათი დასაწყისი სტრიქონები:

1. „ვიხილე სატრფო: იგი ცრემლს ღვრიდა,
ბედს და სიყვარულს მწარედ დასტირდა,“
3. „ჩემო მკვლელო! ვიცი, ვიცი,—
არ ხარ ისე მმვენერი,..“
3. „მაშინ დავსტკბები სრულის სამოთხით,
როს ვით მე გეტრფი, შენცა მეტრფოდე“...

3. ნ. ბარათაშვილის ლექსი: „დაჰკრთა ქარმა სასტიკმან—
თან წარმიტანა ყვავილი...“
4. ს. მესხი—„დროების“ რედაქტორი.
5. „ზოგიერთი რამ“ ადრეა დაწერილი, იგი პირველად მხოლოდ 1876 წელს დაიბეჭდა „დროებაში.“

წერილი მეხუთე

ძმაო კირილე! გიგზავნი ბარათაშვილის წიგნებს,[1] შენ იცი და შენმა რიგიანობამ, როგორც კარგად, შეუშლელად და შეუმცდარად დაჰბეჭდავ. მართლ წერა და ნიშნების ხმარება სრულად და შეუმცდარად დედანისა არის და აგრეთვე უნდა დაიბეჭდოს. საკვირველია, რომ ჩვენგან გაკიცხულს ასოებს არც ნიკ. ბარათაშვილი ხმარობს მაგრე რიგად. ჰსჩანს მაგ ასოებს არც ის ეწყობოდა. შესანიშნავია. გთხოვ მაგ წიგნებს ამისთანა შენიშვნა გაუკეთო:

„ეს ოთხი წიგნი, ნიკ. ბარათაშვილისაგან ერთ და იგივე პირთან მიწერილი, გადმოგვცა ჩვენ ერთმა პატივცემულმა პირმა, ქართულის ენისა და მწერლობის მოყვარემა. ვისაც ესმის—რა გვარი მნიშვნელობა აქვსთ ამ გვართა წერილთა ლიტერატურის ისტორიისათვისა და თვით მწერლის მიმართულებისა და თვისების

ახსნისათვის,—იგი ჩვენთან ერთად გულითად მადლობას მოახსენებს მაგა წიგნების პატივცემულს გარდმომცემელსა."[2]

ამ გვარი კმევა საჭიროა, ჩემო კირილე! ტყუილად კი არ არის ნათქვამი: Мир управляется слабостями людскими.

დღეს მივყავ ხელი „გლახის ნაამბობის" გაგრძელებას. ღვთით, რომელიც შენ არ გწამს, დასრულდება. „გლახის ნაამბობის" კორრექტურა უკანასკნელი მე უნდა გავშინჯო. ყმაწვილებს მოკითხვა უთხარი.

9 დეკემბერი (1872 წ.)

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. იგულისხმება ოთხი წერილი, მიწერილი მაიკოსადმი. წერილები აღმოჩენილია ილიას დასა და სიძესთან. (რომელთან, არა სჩანს).

2. ნ. ბარათაშვილის წერილები დაიბეჭდა „კრებულში" (№ 1, 1873 წ.), რედაქციას ილიას თხოვნა შეუსრულებია და ეს შენიშვნა წერილების წინასიტყვაობაში არის დაბეჭდილი.

წერილი მეექვსე

ძმაო კირილე! გიგზავნი გლეხურს სიმღერებს,[1] ოცდა ათზე მეტია, გამოიზოგე. სხვა ლექსებს ვეღარ გიგზავნი მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა. ჯერ ეს იმყოფე, კაი სიმღერებია.

„გლახის ნაამბობი" დავასრულე და თებერვლის ათამდინ გამოგიგზავნი, რაც დაბეჭდილია იმაზედ, თუ არ მეტი, ნაკლები არ გამოვა. დიდი ხანია ეგ ნაამბობი გულში მედო და ძლივს მოვიშორე. არ ვიცი როგორ მოგეწონებათ. ზოგიერთი ადგილები მაინც, მგონი კარგი უნდა იყოს. მაგრამ რაც არის, არის, ღმერთმა მშვიდობა მიჰსცეს, მე ხომ თავიდან მოვიშორე და!

ჩემი საქმე მეტად ცუდად მდგის: ნიკო ჭავჭავაძემ[2] ბანკის თაობისა გამო მიმტრო.[3] მაგას გაუძლებ, ცუდ-კაცობა იმას შერჩება და მე ისევ ის ვიქნები, რაც ვარ. ვაი რა დუდგულის თოფებს ისვრიან ისინი, ვინც მე ბანკის თაობაზე გადავიმტერე! შურის-ძიებაზედ მე შორსა ვარ, მე მარტო მეცინება იმათ უილაჯობის საქციელზედ.

ნიკოლაძეს მიულოცე ჩემ მაგიერ საქმის მოგება.[4]

ბარათაშვილის წიგნები, როგორც არის ისე დააბეჭდინე.

შენი ილია ჭავჭავაძე
29 იანვარი, 1873 წ.

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი

1. „გლეხური სიმღერები“ ი. ჭავჭავაძის მიერ შეგროვილი, დროგამოშვებით იბეჭდებოდა „კრებულში.“ შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოვიდა.

2. 60—70-იან წლებში ორი ნიკო ჭავჭავაძეა ცნობილი: რომელმა ჭავჭავაძემ უმტრო ილიას, არ არის გამორკვეული.

3. 70-იანი წლების დასაწყისიდან ილიას ახალი თაობა იწვევდა ბანკის თავმჯდომარედ.

4. ნიკოლაძეს იმ ხანებში ტყიბულის საქმეების გამო ჰქონდა პროცესი სასამართლოში, ალბათ ამის შესახებ სწერს ილია.

წერილი მეშვიდე

ძმაო კირილე, 29 გვერდზე ქვევიდან 3, 4, 5 და 6 სტრიქონებში, რაღაც არეულობაა—ჩემს ნაწერთან გასინჯე და ისე გაასწორე.[1]

შენი ჭირიმე კირილე! თუ ივანოვის ბიბლიოთეკაში იყოს ეს წიგნი, უსათუოდ გამომიგზავნე: Философия и наука. Очерки из современных европейских писателей. изд. Вольфа. თუ არ ჰქონდეს, მაღაზიებში იკითხე, მიყიდე და გამომიგზავნე. ფულს მოგართმევ დიდის მადლობითა. მალე კი უნდა გამომიგზავნო და მაცნობო ამ თხოვნის პასუხი.

შენი ილია ჭავჭავაძე
14 მარტი

ესეც გამომიგზავნე თუ ივანოვსა აქვს: Всеобщее землеописание, география для чтения и справок по плану... (გაურკვეველია.—ს. ხ.) и. т. д.

(1873 წ.)

შ ე ნ ი შ ვ ნ ა

1. „გლახის ნაამბობის“ კორექტურაზეა ლაპარაკი.

წერილები პეტრე უმიკაშვილისადმი[1]

წერილი პირველი

21 თიბათვეს 1872 წელს დუშეთიდამ

პეტრუს ბეგ! შენი წიგნი მამიევიდა, მაგრამ პასუხი დაგიგვიანე, მამიტევე, რაც წიგნში მოგეწერა, ყველაფერზედ ჩემი სრული თანხმობა გამომიცხადებია. ახალის რისამე გამოგზავნას მთხოვ, მაგრამ

ახალი მე გათავებული ანუ უკეთ ვსთქვათ, შესრულებული არა მაქვს რა, რომ დასაბეჭდათ ღირსი იყოს.[2] გაგიკვირდება ჩემი ზარმაცობა, მაგრამ დამიჯერე, რომ ზარმაცობით არ მომდის. მე, სწორედ გითხრა, ცუდის აგებულობის კაცი ვარ. დიდი მოსვენება და და შეღავათი მინდა, რომ დავწერო რამე და მინამ მე ჩინოვნიკობას[3] თავს არ დავანებებ ეგ მოსვენება და შეღავათი ჩემთვის სიზმარია. თუ დავიწყე რამე და არასფერმა არ დამიშალა, დაწყობილს მალე შევასრულებ და თუ დაწყობილი შემაწყვეტინა რამემ, გათავდა! მე იმ დაწყობილს ველარ დავუბრუნდები. ეხლანდელი ჩემი წყეული მდგომარეობა ისეთია, რომ წერისათვის ხანგრძლივი მოცალეობა არა მაქვს და ამის გამო უხეიროთ და უნაყოფოდ მიდის ჩემი ორიოდე დღის ცხოვრება. დიდად ვწუხვარ ამგვარ მდგომარეობისათვის, მაგრამ შველა არსით არი. ეფიქრობ თავი დავანებო სამსახურს, მაგრამ რით ვიცხოვრო. ვაი თუ უფრო მოცალეობა მომაკლდეს ლუკმა პურის შოვნის დევნაში, სამსახურს რომ თავი დავანებო. ესეა ჩემი ვითარება, მაგრამ მაინც კიდევ ვეცდები როგორმე დავწერო რამე. წინადვე არას გპირდები, რომ ბევრჯელ დაპირებული ვერ ავასრულე.[4]

შენი ილია ჭავჭავაძე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. პ ე ტ რ ე უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი (1838—1904) უახლოესი მეგობარი იყო ილია ჭავჭავაძისა. იგი ახლო მონაწილეობას ღებულობდა 60—70-იან წლების ჟურნალ-გაზეთებში („დროება," „კრებული", „სასოფლო გაზეთი," „ივერია"). სწერდა სხვადასხვა ფსევდონიმებით.

2. უმიკაშვილი, როგორც სჩანს, ილიას სთხოვდა ნაწერებს ჟურნალ „კრებულისათვის." ჭავჭავაძემ მთელი რიგი თავის ლექსებისა, პოემებისა და მოთხრობისა „კრებულში" მოათავსა.

3. ი. ჭავჭავაძემ „ჩინოვნიკობა" დაიწყო 1864 წლიდან. პირველად იგი გაგზავნეს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცალკე მინდობილობათა მოხელედ. მას დაავალეს გამოერკვია ბატონყმური ურთიერთობა მემამულეებს და ყმებს შორის. 1864 წელსვე იგი გაგზავნეს მომრიგებელ შუამავლად დუშეთს, შემდეგ მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობას ასრულებდა დუშეთშივე. ამ თანამდებობაზე იგი ირიცხებოდა 1874 წლამდე.

4. ამ წერილის ნაწილი პირველად გამოაქვეყნა გრ. ყიფშიძემ (იხ. დასახ. წერილი გვ. XXXV).

წერილი მეორე

შენი წიგნი დღეს მივიღე და დღესვე პასუხს გწერ.[1] ჩემი აზრი ეს არის: კრებული[2] უნდა არსებობდეს უსათუოდ, ვიცი ამ მდგომარეობაში, რომელშიაც ჩვენა ვართ, ძნელია მაგ კრებულს ნოყიერი საზრდო მიეცეთ, რადგანაც ნიჭიერი მწერლები მაინც და მაინც არა გვყავს. იქნება მაგ კრებულის საქმე რიგიანად წასულიყო, რომ მწერლებს ჟურნალის გარდა სხვა კავშირიც ერთმანეთთან ჰქონოდათ, მაგალ. რომ ქალაქში იმისთანა სახლი მოხერხებულიყო, საცა შესაძლო ყოფილიყო მწერლებისა და სხვა თანამგრძნობელთ ერთად თავის მოყრა თვითეულის გონების საუნჯის აღებმიცემობისათვის. ჩვენდა საუბედუროდ არც ესა ხერხდება. მართალი ხარ შენ: გაფანტულობა და დაქსაქსულობა გვღუპავს ჩვენ. მაგრამ მაინც და მაინც კრებული უნდა არსებობდეს, თუმცა დიდს შემწეობას მე ვერა ვპირდები. მწერალს დამოუკიდებლობა უნდა, მწერალს თავისი დრო სულ მას უნდა ეკუთვნოდეს. სხვისა არ ვიცი და მე კი ესეთი აგებულებისა ვარ.

მწერ, მოახერხე როგორმე, უეჭველად ქალაქში გადმოხვიდეო.[3] ეგ ჩემი გადმოსვლა ადვილია. თუ ვაკანსია გაიხსნება, დაპირებულებიც არიან. მაგრამ ჩემს დამოუკიდებლობას ეგ რას უშველის, თუ კიდევ სამსახურში ვიქნები. მე უნდა სამსახურს გარედ ვიყო. სამსახურის თავის დანებება ჩემთვის ამ ჟამად დიდი არაფერია. და თუ სამსახურიდამ გამოვალ მარტო იმისათვის, რომ ჟურნალი გამოვპსცე. ვჰფიქრობ, ვჰფიქრობ და ეგ გამოცემა ვერ მომიხერხებია.[4] აი სრულადი დაბრკოლება ჩემი, რომელიც ხელსა და ფეხს მიკრავს. თუ ორიოდ და სამიოდ რიგიანს (სად არიან) მწერალზედ იმედი მექნება, ანუ უკეთ, მომეცემა, მაშინვე დავკრავ ფეხს, გადავვარდები ბახტრიონ გალავანზედა. იერემიას გოდება როგორღაც თავში ვერ მომდის და ამისათვის არ გაგილექსე: სწორედ გითხრა, იმიტომ არ მომივიდა, რომ არ მესმის, თუმცა დიდის ყურადღებით წავიკითხე. საძაგლად არის თარგმნილი ჩვენს დაბადებაში, თუმცა ალაგ-ალაგ კარგია. კორესპონდენტად, ანუ უკეთ, კომისიონერად წიგნების გასასყიდად, დუშეთში გიშოვნე სანდო კაცი, ზურაბ სვიმონის ძე მორთულაძე. ეს მოგიხერხებს წიგნების გასყიდვასა.

მომავლის ნომრისათვის ჩემი „აჩრდილის“ დაბეჭდეთ პირველი სამი ხანა. მეტი არა მაქვს რა.[5]

მუხრანსკის ბროშურა წავიკითხე,[6] აი ჩემი პასუხი: Лише право сильного раб свято почитает.

მაგ ბროშურის პასუხად აი რა დავწერე და გთხოვ „დროებაში“ [7] დააბეჭდინო, ჩემს გვარს ნუ მოაწერ.[8]

რჩევა[9]

თუ გინდა, ძმაო, იგემო
ამა ქვეყნისა შვებანი.

როგორ არა გცხვენიან, რომ რაც ქართული წიგნები გამოდის არ მიგზავნი? ამ ქალებს რომ უთარგმნიათ,[10] გამომიგზავნე. ფული არ დაგეკარგება.

[1872]

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. ამ წერილზე პ. უმიკაშვილის მიერ მიწერილია: „მივიღე დუშეთიდამ 1872 წ. ენკენისთვის 1-სა პ. უმიკაშვილმა ეს წერილი და სახე ილიასი.“

2. „კრებული“—დააარსა გ. წერეთელმა და გამოდიოდა 1871—1873 წლებში. მისი უახლოესი თანამშრომლები იყვენ: ნ. ნიკოლაძე ს. მესხი, პ. უმიკაშვილი, ი. ჭავჭავაძე, აკაკი და სხვები. იგი „დროების“ დამატებას წარმოადგენდა თავის მიმართულებითა და შინაარსით.

3. იმ ხანებში ი. ჭავჭავაძემ ვერ მოახერხა ქალაქში გადასვლა, თუმცა მას ახალი თაობის ინტელიგენცია დაჟინებით სთხოვდა დაეტოვებია დუშეთი და გადასულიყო თბილისში, რათა ახლო მონაწილეობა მიეღო ლიტერატურულ-საზოგადოებრივ საქმეებში. ნ. ნიკოლაძე ერთ თავის წერილში სწერს:

„ილია ჭავჭავაძეს დიდი ხანია სრულებით მიტოვებული ჰქონდა ჩვენი ჟურნალ-გაზეთები. ის დუშეთში ცხოვრობდა, საცა მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობას ასრულებდა, ჩემი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ ყველა მაშინდელი ახალთაობის მომხრენი შევაგროვე და დავაჯერე—დუშეთში ავიდეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევ ქართულ მწერლობას დაუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ-მეთქი. ამ აზრით და მიზნით 1871—1873 წლებში ხუთჯერ მაინც ავსულვართ დუშეთს „გროვათ“ ქართული მწერლობის და აღორძინების მოტრფიალენი...“ (იხ. ნ. ნიკოლაძის წერილი, ჟურნალი „განთიადი“ № 8, გვ. 21, 1915 წ.).

4. თავისი ჟურნალის გამოცემა ილიამ, ვერ მოახერხა 1877 წლამდე; ამ წლის მარტში გამოვიდა მისი რედაქტორობით „ივერია“.

5. ი. ჭავჭავაძის „აჩრდილი“ დროგამოშვებით იბეჭდებოდა 1872—1873 წლების „კრებულში“ შემდეგი სათაურით: „რამოდენიმე ხანა პოემისა აჩრდილი“ (იხ. № 8, 9, 10, 11, 12, 1772 წ.— ს. ხ.). ზოგიერთი „მკვლევარები“ სწერდენ, რომ ავტორმა ეს პოემა გამოაქვეყნა მხოლოდ 1881 წელს. ეს შეცდომაა. „კრებულში“ აჩრდილიდან ცენზორის მიერ მრავალი ადგილია ამოშლილი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ილიას „აჩრდილის“ ავტოგრაფი, საიდანაც „კრებულში“ დაიბეჭდა ეს პოემა, ინახება ქუთაისის მუზეუმში, კ. ლორთქიფანიძის არქივში. ეს ავტოგრაფში ნასწორებია კ. ლორთქიფანიძის ხელით და ამ სახითვე არის დაბეჭდილი. იქვეა ილიას წერილი კირილესადმი. აღსანიშნავია, რომ ეს ავტოგრაფი, შედარებით ყველა შემდეგ გამოცემულ და დაბეჭდილ „აჩრდილ“-თან იმითაც განსხვავდება, რომ რამდენიმე ათეული ბწკარით არის მეტი. ახლო მომავალში ამ ავტოგრაფს გამოვაქვეყნებთ ჩვენი შენიშვნებით.

6. ლაპარაკია გ. კ. მუხრან-ბატონის წიგნზე: „О существе национ. индивидуальности и об образоват. значении крупных народных единиц“, რომელიც 1872 წ. „კავკაზის“ დამატებად გამოვიდა. გ. მუხრანსკი სენატორი იყო, დიდი მემამულე და კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი. ამ შრომაში იგი ამტკიცებდა წვრილი ეროვნული ერთეულების გაქრობას და რუსეთის სახელმწიფოებრივობას უკმევდა გუნდრუკს. წიგნმა დიდი აღშფოთება გამოიწვია ჩვენს მწერლობაში (იხ. ს. მესხი, ტ. I, გვ. 96, მ. პეტრიძის წერილი „კრებულში“, ცნობილ გაბრიელ ეპისკოპოზის წერილი მუხრანსკისადმი და სხვ.). დავით ერისთავს მუხრანსკისათვის მიუწერია:

О существе ты написал,
Мой друг, более ста страниц,
Но этим только доказал,
То что мы знаем без того,
Что ты совсем не существо
И нуль меж крупных единиц.

(იხ. გედევანიშვილის გამოცემა, გვ. XIV)

თავის „პასუხის პასუხში“ (1873 წ.) ილია მის შესახებ ამბობს:

პირველ თქვენგანმა
იმა ბედ-შავმა
მას მკვდრის სუდარა გადააფარა.

7. „დროება“ იყო მაშინდელი ახალი თაობის ორგანო. 1866-69 წლებში მას რედაქტორობდა გ. წერეთელი. 1869-83 წლებში მისი რედაქტორი იყო სერ. მესხი.

8. ილიას ეს ცნობილი ლექსი დაბეჭდილია „დროების“ 8 სექტემბრის ნომერში (№ 35, 1872 წ.) ლექსი დაბეჭდილია ფელეტონში. ჯერ დაბეჭდილია სერ. მესხის ბიბლიოგრაფია ამავე წიგნზე, შემდეგ მოთავსებულია ლექსი ხელმოუწერავი.

9. „რ ჩ ე ვ ა“-ს ცალკე აეტოგრაფზე ილიას ხელით მიწერილი და შემდეგ წაშლილია „უსათუოდ „დროებაში“ დააბეჭდინე. გიგზავნი ჩემს სახეს.“ ქვევით: „კორექტურას შენ განდობ“.

10. 1872 წ. ქართველმა ქალებმა გამოსცეს წიგნი: „თარგმანი საამო საკითხავთა თხზულებათა, გამოცემული ქართველი ქალებისაგან“ (წიგნი პირველი).

წერილი მესამე[1]

ჩვენო დედა-ბოძო და არა-ბოძო პეტრუს-ბეგ! ჩვენი[2] ნათარგმნი ლექსი[3], აქამომდე მიღებული ჭექნება და გადაკითხულიცა. მაშინ მოგწერეთ, რომ დააბეჭდინე მეთქი კრებულში. ეხლა ორს შეუცვლელ პირობას გიდებ: 1) ისე უნდა დაბეჭდონ, რომ ლექსი არ გატეხონ, ესე იგი, მთელი სტრიქონი ერთს სტრიქონზედ უნდა დასტიონ და 2) რომ ეგ პირველი მოქმედება ერთს ნომერში სრულად, ხელუხლებლად დაბეჭდონ და კორექტურა კი შენს გაფაციცებულს თვალს მიანდონ.[4]

ცუდი არ იქნება, რომ მაგ თარგმანზე შენი ჩვეულებრივი პირუთვნელი აზრი მოიწერო ამ ადრესით, Студенту СПБ университета Ивану Георгиевичу Мачабели с передачею Илье Чавчавадзе.

სანდრო ერისთავი ამ წიგნის მიღებისავე უმალ ნახე და უთხარი, რომ დამღუპავს თუ, რაც დამპირდა, არ აღასრულა.

შენი ილია ჭავჭავაძე.

P. S. თუ ეგ ნათარგმნი მოგეწონა, მაშ იმასაც გახარებ, რომ მეორე მოქმედებაც დღეს გავათავეთ და პირველ მოქმედებას სიკეკლუცით არ ჩამოუვარდება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. ეს წერილი გამოგზავნილია 1873 წელს პეტერბურგიდან. 1873 წელს ილია ჭავჭავაძე და დიმიტრი ყაზბეგი რუსეთში გაგზავნეს საბანკო საქმეების გასაცნობად და შესასწავლად (ამის შესახებ იხ. ქვემოთ შენიშვნები).

2. ჩ ვ ე ნ ი—იგულისხმება ი. ჭავჭავაძე და ივ. მაჩაბელი.

3. ე. ი. შექსპირის ტრაგედია: „მ ე ფ ე ლ ი რ ი.“ როგორც ცნობებიდან სჩანს, „ლირის“ თარგმანი პირველად დაუწყია ივ. მაჩაბელს (იხ. ამის შესახებ მისი ძმის ვას. მაჩაბლის წერილი 1872 წლის „დროებაში“), შემდეგ როდესაც ილია ჩასულა პეტერბურგში, შეერთებულად დაუწყიათ თარგმნა.

4. ჯ. უმიკაშვილს „მეფე ლირის“ თარგმანი დაუბეჭდავს 1873 წელს, „კრებულში“ (№ 10, გვ. 1—80). ფაქტიურად ეს ნომერი გამოვიდა 1874 წელს (ცენზორისაგან ნებართვა მიღებული აქვს 1874 წ. 1 იანვარს). აქ დაბეჭდილია მხოლოდ პირველი მოქმედება. ტრაგედიის ლექსები დაბეჭდილია პეტიტითა და გაუტეხავად, ხოლო პროზა ჩვეულებრივად.

წერილები ნიკო ნიკოლაძისადმი[1]

წერილი პირველი

18 იანვარს [1873 წ.]

ძმაო ნიკო! უკანასკნელის შენის წიგნის საპასუხოდ გაუწყებ შემდეგსა: ტყუილ-უბრალოდ შეუწუხებიხართ „გლახის ნაამბობის“ კორექტურის თაობაზედ. მე გთხოვეთ მარტო უკანასკნელი კორექტურა გამომიგზავნოთ იმ პირობით, რომ მეორეს დღესვე უკან დაგიბრუნდეთ. გლახის ნაამბობის გასწორება ფიქრად აღარა მაქვს, როგორც დაბეჭდილია, ისე გადაბეჭდეთ. დეე მაგ პირმშო ძემან ჩემმან ისე იაროს ქვეყანაზედ, როგორც თავდაპირველ შობილა. ვისაც არ მოეწონოს, გზა აუქციოს.

განგრძელება მზადდება, ოთხი თავი, რომელიც უდრის 35 გვერდს საქართველოს მოამბისას, მზად არის კიდეც „კრებულის“ სამსახურისათვის. მე მგონია, რომ შესრულებისათვის ერთი ამოდენა კიდევ დამჭირდეს ასე, რომ თებერვლისა და მარტის კრებულსა თავ-საყრელად ეყოფა. ვწერ კი, მაგრამ არ ვიცი როგორი მოსაწონი გამოვა. ცუდი საქმე მიყავით, რომ ეგრე ცოტა დრო მომეცით ნაამბობის შესასრულებლად. რაც ახალი დამიწერია, მინდოდა შენთვის გამომეგზავნა, რომ შენ და კირილეს თვალი გადაგევლოთ და მის შემდეგ თქვენი პირუთვნელი აზრი ჩემთვის გეცნობებინათ. ამ განზრახვასაც თავი დავანებე. რაც იქნება, ის მოხდეს. ჩვენის პოეტისაგან ნათქვამია, ბრძენი სიფრთხილით წახდებაო, მაგრამ ღლეული ვაჟკაცი ან მოჰკლავს ან შეაკვდებაო. ქართველი კაცი ვარ და უჯერებ ჩვენს ქართველს პოეტსა. რაც მინდოდა, იმას კი ვიტყვი ჩემს „გლახის ნაამბობში“ და კარგად ვიტყვი თუ ცუდად—ამის დარდი ბევრი არა მაქვს. დღეს ველი რევიზორს. აბა იფიქრე რა რიგად მოუხდება რევიზორი ჩემს „გლახის ნაამბობს“.

ჩემის „აჩრდილის“ პირველს ნაწილს გიგზავნი, თუ მოგეწონათ

სრულად დაბეჭდეთ. ვიცი, რომ XVI ხანის უკანასკნელ ოთხ სტრიქონს ცენზორი ამოშლის. ისევ ისა სჯობია ჩვენ წინადვე დავასწროთ, რომ სხვაზე მაინც არ აღელდეს.

ბარათაშვილის ოთხი წიგნის მეტი ჩემს დას და სიძეს არ ჰქონდათ და ოთხივე მანდ გამოგიგზავნეთ.

შენი ილია ჭავჭავაძე.

P. S. სხვადასხვა მიზეზთა გამო ჯერ ხანობით აჩრდილს არ გიგზავნით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა

1. ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ე (1843—1928) პირველ ხანებში ახლო მეგობარი იყო ილია ჭავჭავაძისა. იგი საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ (1869 წ.) უახლოეს მონაწილეობას ღებულობდა „დროებაში“, „კრებულში“ და „ტფილისის უწყებაში“ (დაარს. და 1873 წ.). იგი ერთ-ერთი მეთაური იყო „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფისა, რომლის დაარსებასაც მას მიაწერენ. ეს ჯგუფი დაარსდა 1869 წელს და იმოღვაწეეა 1877 წლამდე. 1876 წელს ნიკოლაძემ ცხარე კამათი გამართა ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ საბანკო საკითხების შესახებ. ამ კამათმა დიდხანს გასტანა რუსულსა და ქართულს გაზეთებში. კამათმა გამოიწვია ი. ჭავჭავაძის „დროების“ რედაქციიდან გასვლა 1876 წელს და თვისი საკუთარი ორგანო „ივერიას“ დაარსება. 1877 წელს სერ. მესხთან უთანხმოების ნიადაგზე ნიკოლაძეც გავიდა „დროებიდან“ და 1878 წ. თავისი საკუთარი ორგანო „ობზორი“ დააარსა.

წერილი მეორე

[6 დეკემბ. 1873 წ.]

„ძმაო ნიკო! წავიკითხე შენი გამოსალმება,[1]—წავიკითხე, მაგრამ წაკითხული აქამდისაც არ მჯერა. ნუთუ მართლა შენ დასწერე ის, რასაც შენი არ უსახელო სახელი აწერია ქვეშ? ნუთუ მართლა შეუშინდი ჰიაღუებს და იმათ ბზუილზე გაფრთხი? მე იმდენად შენ პატივსა გცემ, რომ იმის დაჯერება არ მინდა, რასაც შენ ეგრე გაცხარებით გვაჯერებ. არ დავიჯერებ, რომ შენისთანა საიმედო კაცი მაგისთანა სულმოკლეობამ დაიბრიყოს. მე მგონია, რომ ეგ ფელეტონი წუთიერის მღელვარების შედეგია და არა დამჯდარის გონიერების დასკვნა. წუთიერის მღელვარებით გატაცება შენისთანა მდუღარე კაცის თვისებაა. მარტო ამით თუ გავამართლებ შენს ფელეტონს, თორემ სხვა გასამართლებელი არა აქვს რა.

ვის ესალმები და რას ესალმები? სად მიხვალ, სად?[2] იქით, ამ-

ბობს შენი ფელეტონი, სადაც უკეთესი ცხოვრებააო. არა, ერთი მითხარი, მაგას ლუარსაბ თათქარიძე კი ვერ იზამდა. ვითომ რა არის მანდ საკვირველი? არაფერი, გარდა ერთისა. მანდ საკვირველი ის არის, რომ შენისთანა კაცი ბრძოლას ექცევა და თბილ ოთახში აპირებს გადაგორ-გადმოგორებასა. მერე იცი რა კბილი ჩავარდება იმ რაზმს, რომელ'მიაც შენ ფალავნად გეეგულები და ყველას, ვინც კი შენი თანაზიარი იყო. ჯერ რიგიანი ბრძოლაც არ გამართულა და შენ კი ეხლავე გინდა თავს უშველო. ეგ ვერაფერი ძალგულოვნებაა. განა წინადვე არ იცოდი, რომ მაგ გზაზე, რომელსაც შენ დაადექ, ათასი ვაივაგლახი, ბეზღი, ცილი, ლანძღვა და თრევა დაგხვდებოდა ჯილდოთ შენის შრომისა და მოღვაწეობისა? ეგ ამბავი არ ახალია, ძველია. ვითომ რად გიკვირს, რომ მოსალოდნელი მოვიდა და რად არ გიხარიან, რომ იმოდენა ძალა გქონია, რომ მკვდრებიც კი ააყაყანე. მეტი რა გინდა? ძალიან ჰკარსო, სჩიჩი შენ. მძორი ყოველთვისა ყარს და მაშინ უფრო, როცა სადგისს წასჩხვლეტ. დავიჯერო, რომ ეს ყოველი შენ წინადვე არ გცოდნოდეს? და თუ იცოდი, ესეთი მოულოდნელი რა დაგხვდა მაგ უმადურს ეკლიანს გზაზედ, რომ როგორც მხდალი, ისე გაგარფთხო? ექცევი რას და ვისა? შენს ქვეყანას, შენს შრომას, შენს მეგობრებს და თანამოაზრეთა. ნუთუ კაცობა იყოს ეგე? რას შვრები, რას? შენ. მაგითი ისეთს სირცხვილს იდებ თავზედ, რომ ველარაფრით ჩამოირეცხავ შემდგომში. პირმოთნეობაში არ ჩამოვართვა და შენ პატივსა გცემდი, როგორც ნიჟიერს, რიგიანს, გამბედავს და დაუშრომელს მოღვაწესა, როგორც კაცსა, რომელზედაც კაცურ-კაცის თვალი იმედით შეჩერდებოდა და რომელთანაც დაბეგობრება და ერთად უღელში შებმა სახარბიელოა.

თუმცა ჩვენ „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ერთმანეთი ისე არ გაგვიცვნია, რომ სული სულში გაგვეყაროს, მაგრამ იმდენად კი გიცნობ, რომ არ დავიჯერო იგი ცილი, რასაც შენს თავს ეგრე მოურიდებლად და წინდაუხედავად შენვე სწამებ. ვითომ შენ ეგ იყო, რასაც შენი ფელეტონი, შენდა საუბედუროდ, აბობს! არა და ათასჯერ არა! შენ ჩემს თვალში მაინც ისეთი კაცი ხარ, რომლის გულშიც, კაცი თუ მონახავს, მადანს იპოვის და ამის გამო აი რას გთხოვ:

თუ მართლა გიყვარს ის, რისთვისაც ისე თამამად და უშიშრად იღწვოდი, თუ ის ყოველიფერი, რითაც შენ მოსაწონი ხარ, ჭარის მოტანილი არ არის, ნუ ალახრულებ მას, რასაც გვიქადი. დარჩი

მაგ უბედურს ქვეყანაში; მაგრე სამარცხვინოთ ბოლოს ნუ მოუღებ მას, რაც ეგრე რიგიანად შენ თითონვე დაიწყე. დარჩი და იშრომე,—და მხოლოდ ის გქონდეს ხსოვნაში, რომ მარტო უბედურთ უნდა შველა და არავის სხვასა; კვლავ მოჰკიდე ხელი შენს პატიოსანს საქმეს და შენ, ჩვენს მოძმეს, ცოტაოდნად წაბარბაცებულს, გაპატიებთ წუთიერ სისუსტეს და სულმოკლეობას და თვით შენს შეურაცმყოფელს ფელეტონს დავიწყებას მივცემთ. თუ ამას არ იქმ, მაშინ გეტყვით: ეჰ, ქარის მოტანილი ყოფილხარ და დეე, ქარმავე წაგიღოს; გეტყვით ამას, მაგრამ გულში კი ერთი ძარღვი ჩაგვწყდება. თუ შენ ის სკანდელი ხარ, როგორიც იყავი, მაშინ მიხვდები, რა სურვილი და რა გრძნობა მაწერინებს ამ წერილსა. დასასრულ ამასაც გეტყვი, რომ ქართველი გამოსალმების დროსაც ერთს მშვენიერს სიტყვას ხმარობს: „გამარჯვებითო“. მაგრამ სალამს გამოთხოვებისას თავის დღეში არ აღირსებს მას, ვინც ბრძოლიდამ გარბის: იმას „მშვიდობითო“ ეტყვიან. მსურს, რომ შენ ისე მოიქცე, რომ შეგვეძლოს შენთვის თქმა: „გამარჯვებით“ და არა „მშვიდობით“.

შენიშვნები

1. ჭავჭავაძის ეს წერილი დაწერილია 1873 წლის ბოლო თვეებში და გამოგზავნილია პეტერბურგიდან, სადაც იგი იმ ხანებში საბანკო საქმეებისათვის იყო გაგზავნილი. ეს კერძო წერილი გამოუწვევია ნ. სკანდელის (ნიკოლაძის) „დროებაში“ მოთავსებულ ფელეტონს: „მშვიდობით, მშვიდობით“ (იხ. „დროება“ № 45, 1873 წ. ან ნ. ნიკოლაძის „რჩეული ნაწერები“ ტ. II გვ. 107—110, 1932 წ.). როგორც „დროების“ წერილებიდან სჩანს, ნიკოლაძის ამ წერილს დიდი გახმაურება გამოუწვევია ახალთაობის წრეებში. პეტერბურგიდანვე გამოგზავნილია წერილი „წიგნი რედაქტორთან“ (იხ. № 404, 1873 წ.), რომელსაც ხელმოწერილი აქვს ფსევდონიმი ჩვენ უჩინონი. ამ „წიგნის“ არსებითი შინაარსი და სტილი იგივეა, რაც ილიას კერძო წერილისა. ნ. ნიკოლაძემ, როდესაც 1927 წ. ილიას ზემოთ დაბეჭდილი კერძო წერილი გადმომცა თავის არქივიდან, მითხრა, აგ წერილთან ერთად ილიკომ პეტერბურგიდან გამოგზავნა რედაქციაში თავისი ხელით დაწერილი, მაგრამ პეტერბურგელი სტუდენტების სახელით, „დროებაში“ დასაბეჭდი წერილიო. ამრიგად წიგნი რედაქტორთან ილიას კალამს ეკუთვნის.

„დროებამ“, რომელსაც მაშინ დროებით კ. ლორთქიფანიძე რედაქტორობდა, მკითხველების საპასუხოდ დაბეჭდა შემდეგი:

„უფ. სკანდელი მხოლოდ რამოდენიმე მცირე ხნის ვადით მი-

დის საზღვარგარეთ. ის სრულებით არ სტოვებს სალიტერატურო ასპარეზს ამ ცოტა ხნის განმავლობაშიაც. („მკითხველებს"—„დროება", № 400, 1873 წ.).

2. თავის წერილში ნიკოლაძე სწერდა: „დაღალული, დაქანცული, ილაჯგაწყვეტილი ვტოვებ მე ჩვენი მწერლობის ასპარეზს და ჩვენი სამშობლოს ჰაერს, სრული ბედნიერებით ვეთხოვები ყველას, ვისაც ვძულვარ ან უყვარვარ, ვესალმები ყველას, ვინც მებრალება ან მიყვარს, და მტერ-მეგობარს ნიტარებით ვეუბნები—„მშვიდობით" (იხ. „დროება", № 45, 1873 წ.).

ეს ადგილი მაშინდელმა ახალთაობამ ისე გაიგო, თითქო ნიკოლაძე საბუდამოდ ეთხოვებოდა ქართულ მწერლობას.

3. ნ. სკანდელის ფსევდონიმით სწერდა 70-იან წლებში ნიკოლაძე.

სერგეი მესხი*

ქვემოთ გამოქვეყნებული წერილები ეკუთვნის 70-იანი წლების შესანიშნავ და საინტერესო პუბლიცისტს სერგეი სიმონის ძე მესხს. მან თავის დროზე დიდი როლი ითამაშა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების საქმეში. სერგეი მესხი 14 წლის განმავლობაში ეწეოდა განუწყვეტლივ ქართველი ჟურნალისტისა და რედაქტორის მძიმე მოვალეობას. „თოთხმეტი წელიწადი გოშაგად უდგა ჩვენს მწერლობასა, მას მოუტანა სერგეი მესხმა მსხვერპლად თავისი სიყმაწვილე, თავისი გონებისა და სხეულის ძალ-ღონე, თავის ცხოვრების მოსვენება და ბოლოს, პირველი და უკანასკნელი საუნჯე ყოველი კაცისა, თავისი ჯანის სიმრთელე“,—ასე ახასიათებდა სერ. მესხის მოღვაწეობას მისი უახლოესი მეგობარი და თანამეკალმე პეტრე უმიკაშვილი.** ხოლო მისი მეორე თანამებრძოლი, გიორგი წერეთელი უკანასკნელ გამოსასალმებელ სიტყვაში ამბობდა:

„აწ საქართველოში ისეთი წერაკითხვის მცოდნე არ მოიპოება, რომ სერგეი მესხის სახელი არ გაეგონოს, თოთხმეტის წლის განმავლობაში ამ ქველ-მოქმედმა კაცმა აუტანელის ჯაფით ატარა მაღლა ქართულის ლიტერატურის დროშა.

არც ერთი კაცი არ მოიძებნება ჩვენ შორის, რომ არ გრძნობდეს ამ დიდს ღვაწლს; მაგრამ ჯერ კიდევ არ დასდგომია მას დრო ღირსეულად დაფასებისათვის. ვერც ერთი თქვენთაგანი იმ საშინელს ჯაფას და თავგანწირულებით ბრძოლას ვერ წარმოიდგენს, რაც მე და ჩემს ამხანაგებს გვინახავს და გაგვიცდია სერგეი მესხთან შრომაში. კვირის-კვირაობამდის, თვის-თვეობამდის, დღე-ნიადაგ უძილობა, მუდამ რკინის მტვერში ყოფნა და მათი სუნთქვა, იმ მძიმე ჰაერით ფილტვების ლპობა“.***

ასე ახასიათებდნენ სერ. მესხის ამხანაგები და თანამებრძო-

---

* დაიბეჭდა ჟურ. „მნათობში“ № 8—9, 1932 წ.—რედ.

** პ. უ.—„სერგეი მესხი“, „ივერია“, № VII—VIII, გვ. 158—59, 1883 წ.

*** იხ. „სერგეი მესხის დასაფლავება“, „დროება“, № 145, 1883 წ.

ლები მის მოღვაწეობასა და შრომას ქართული ლიტერატურის სასარგებლოდ. მესხმა სავსებით დაიმსახურა ეს ქება.

ამ პატარა წერილში ჩვენ მიზნად არ ვისახავთ სავსებითა და სრულიად დავახასიათოთ სერ. მესხის მსოფლმხედველობა და მისი იდეოლოგია. ეს ცალკე გამოკვლევის საქმე არის. აქ მხოლოდ გაკვრით შევეხებით ამ საკითხს.

სერ. მესხი 60-იანი წლების მოღვაწეთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც არ იყო კმაყოფილი აღნიშნული ეპოქის „რეფორმებით“ და რომელმაც 1869 წელს ახალი ჯგუფი ჩამოაყალიბა. ამ ჯგუფის მეთაურები იყვნენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, სერ. მესხი და სხვ. მათ აღარ აკმაყოფილებდა 1861 წ. შემდგარ ე. წ. თერგდალეულთა ჯგუფის სამოღვაწეო პროგრამა. ახალი ჯგუფი არსებითად ბურჟუაზიულ თვალსაზრისით იხილავდა საკითხს და მისი სამოღვაწეო პროგრამაც ამ კლასის ინტერესებთან იყო შეწონილი. მართალია, ჩვენი ბურჟუაზია უხერხემლო და უმოქმედო იყო, იგი ჯერ კიდევ მშობიარობის პროცესში იმყოფებოდა, მაგრამ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება რუსეთის სავაჭრო სამრეწველო კაპიტალის ზეგავლენით, უკვე ღრმა ცვლილებებს განიცდიდა და ამ კაპიტალისტური განვითარების ინტერესებს გამოხატავდა თავისი პროგრამით სერ. მესხი და მისი ჯგუფი. შედარებით 1861 წლის ილია ჭავჭავაძის ჯგუფთან ეს ახალი მიმდინარეობა უფრო რადიკალური იყო, მაგრამ რადგან ის მოკლებული იყო მტკიცე და აქტიურად მომქმედ დასაყრდენ ბურჟუაზიულ კლასს, ამიტომ ამ ჯგუფის პრაქტიკულ მოღვაწეობასაც ფრთები ჰქონდა შეკვეცილი. მართლაც, შრავლის მეტყველი არის თუ გინდ ის სერიოზული ფაქტიც, რომ ჩვენი პირველი სერიოზული ორგანო „დროება“-ს რედაქტორი მთელს საქართველოში 400-დე ხელის მოწერასაც ვერ შოულობს, რომ გაზეთს ოდნავ მაინც მატერიალური ბაზა გაუუმჯობესოს. დღეს, როდესაც პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალისტური მშენებლობის პერიოდში, კულტურული ფრონტი დიდად გაფართოვდა, გაზეთებით მოიფინა მთელი საქართველო, როდესაც პარტიის ცენტრალურ ორგანოს „კომუნისტს“ ასი ათასზე ბევრად მეტი ხელისმომწერი ჰყავს,—აღნიშნული ფაქტი ჩვენი ჟურნალისტიკის ისტორიიდან მეტად სასაცილო მოვლენად გვეჩვენება. მაგრამ ეს ფაქტი ჩვენი მაშინდელი საზოგადოებრივი ურთიერთობისა და გაბატონებული წრეების უკულტურობის გამომხატველი იყო: თავად-აზნაურულისა

და ბურჟუაზიულ საქართველოს ჩამორჩენილობისა და უკულტურობის მაჩვენებელი იყო.

აქედან ცხადია, თუ როგორ პირობებში უხდებოდათ 60—70-იან წლების ბურჟუაზიულ პუბლიცისტებს მოღვაწეობა. მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება საკითხის სირთულე. ისტორიულად საქართველოს ბურჟუაზია უხერხემლო იყო, პოლიტიკურად პასიური და შემგუებელი. იგი აქტიურად ვერ გამოდიოდა და არც გამოსულა არსებული წყობილების შესაცვლელად: ბურჟუაზია ფაქტიურად მოკლებული იყო რაიმე რევოლუციონურ მნიშვნელობას. 1905 წლის პერიოდში და მის შემდეგ ხანებში კი მან ის კუდშეკვეცილი ლიბერალური განწყობილებაც დაჰკარგა, რომელიც წინა პერიოდში ამ კლასსა და მის მეთაურ ინტელიგენციას ახასიათებდა და რევოლუციის მოწინააღმდეგე აქტიური ძალა გახდა.

ზედმეტი არ იქნება აქ ორიოდე სიტყვით გავიცნოთ ს. მესხის ბიოგრაფიული ცნობები.

სერგეი მესხი დაიბადა 1845 წელს, ტარიბი აზნაურის ოჯახში. მისი მამა, სიმონი, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ნასწავლი იყო, და ღარიბ ჩინოვნიკად ითვლებოდა. დედა სერგეისა, მაგდალინა, მარჯანიშვილის ქალი იყო. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ოჯახიდან გამოვიდნენ: ცნობილი რედაქტორი და პუბლიცისტი სერ. მესხი, სახელგანთქმული არტისტი და დრამატურგი კოტე მესხი, არტისტი და მთარგმნელი ეფემია მესხი, ჟურნალისტები: ივანე და დავით მესხები.

პირველ დაწყებითი სწავლა სერგეის დედის ხელმძღვანელობით დაუწყია.

1856 წელს იგი მისცეს ქუთაისის გიმნაზიაში. 1863 წელს მან დაამთავრა გიმნაზია და პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე. იგი სტუდენტობის დროს სტიპენდიას ღებულობდა „კავკასიის კომიტეტისაგან“. 1867 წ. კურსდამთავრებული დაბრუნდა ქუთაისში. პირველ ხანებში იგი სახელმწიფო სამსახურში შევიდა, მაგრამ ადრე დაანება თავი. მასწავლებლობის ადგილი, რომელიც მას ძლიერ უნდოდა, იმ ხანებში ვერ იშოვა.

1869 წლის აპრილში სერგეი მიიწვიეს გაზ. „დროების“ დროებით რედაქტორად. ამ ხანებში საზღვარგარეთიდან დაბრუნდა ნ. ნიკოლაძე და შესდგა ახალი დასი: გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, ს. მესხისა და კ. ლორთქიფანიძის მეთაურობით.

1869 წლის მაისში „დროების“ რედაქტორი გ. წერეთელი პეტერბურგში გაემგზავრა პირად საქმეების გამო. მესხი ჩადგა გაზეთის სათავეში და ამ დღიდან მოკიდებული 14 წლის განმავლობაში მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული „დროების“ ისტორიასთან.

მისი დაუცხრომელი შრომითა და დაუშრეტელი ენერგიის წყალობით გაზეთი თავის სიმაღლეზე დადგა და საუკეთესო ინტელიგენტური ძალები შემოიკრიბა თავის გარშემო. 1873—1874 წლებში ერთი წლის ვადით სერგეი საზღვარგარეთ წავიდა, სწავლის შესაძენად და ევროპის ცხოვრების გასაცნობად. * ამ ხნის განმავლობაში „დროებას“ რედაქტორობდა კ. ლორთქიფანიძე და უახლოეს თანამშრომლობას ეწეოდა მეველე (დავით მიქელაძე). თვით სერგეი განუწყვეტლივ გზავნიდა წერილებს საზღვარგარეთიდან.

დაბრუნების შემდეგ სერგეი განახლებული ენერგიით შეუდგა გაზეთის წარმოების საქმეს. იგი ნახულითა და გაგონილით აღფრთოვანებული, მხურვალეთ მიესალმა საზოგადოებას.** ამავე წელს მან ცოლად შეირთო პროფ. პ. მელექიშვილის და, ეკატერინე, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა მას გაზეთის წარმოების საქმეში. პ. უმიკაშვილი სწერს: „რედაქტორს მუდამ თანამშრომლად მარტო ბატონი ეკატერინე ჰყავდა თარგმანშიაც, კორექტურის დაჭერაშიაც და გაზეთის ექსპედიციაშიაც. ეს პირველი შემთხვევა იყო ქართულს მწერლობაში, რომ ცოლ-ქმართ სალიტერატურო შრომა ერთად გაეწიათ“. 1875 წლამდე, „დროება“ კვირაში ერთხელ გამოდიოდა, ამ წლიდან—კვირაში სამჯერ, 1877 წლიდან ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა.

არ ყოფილა არც ერთი საჭირბოროტო საკითხი ჩვენს ცხოვრებაში წამოჭრილი, რომ მესხის კალამი არ შეხებოდეს მას. 1869 წლამდე იგი კორესპონდენციას გზავნიდა „დროებაში“ ლაზარე მეხიშვილის ფსევდონიმით, აქვს აგრეთვე თარგმნილი ლექსებიც ამ ფსევდონომით. შემდეგ იგი გამუდმებით სწერდა მეთაურებსა და ფელეტონებს საკუთარი ხელის მოწერით, ხან ს. მ. მეკენჭეს, სოლოლაკელისა და სხვ. ფსევდონიმებით, ხან სულ ხელმოუწერლად ათავსებდა წერილებს. ქართული ვაჭრობა-

* იხ. „ხამი მოგზაურის შენიშვნები და ფიქრები“—სერ. მესხის ნაწერები, ტ. I, გვ. 165,—208, 1904 წ.

** იხ. „სალამი“, იქვე გვ. 208—211.

მრეწველობის გაჩაღება, გლეხის განთავისუფლება მემამულის ბატონობისაგან, თვითმმართველობის (ერობის, ქალაქის) შემოღება, ქართული კულტურისა და ენის გაძლიერება, ეროვნული თვითდაცვა და მრავალი სხვ.—აი რა აინტერესებდა „დროებას“ და სერ. მესხს.

ბოლო ხანებში იგი შეუწყვეტელი მუშაობით ძლიერ დასუსტდა, ანევრიზმით იქნა დაავადებული. გარდაცვალების რამდენიმე თვით ადრე გაზეთი გადასცა ივანე მაჩაბელს. გარდაიცვალა 1883 წ. ივლისში, აბასთუმანში.

მისი ნაწერები 5 ტომზე მეტი იქნება. გამოცემულია მხოლოდ ერთი ტომი 1904 წ.

ქვემოთ მოთავსებული წერილები საუცხოო ცნობებს იძლევა ამ დაუღალავი მუშაკის შრომისა და მოღვაწეობის შესახებ. აქ, ინტიმურ წერილებში, ფართოდ არის გადაშლილი გაზ. „დროების“ ცხოვრება და ისტორია.

წერილების დედნები ინახება ქუთაისის მუზეუმში, კ. ლორთქიფანიძის არქივში.

წერილი პირველი

თბილისი, 1869 წ. 17 მაისს.

კ ი რ ი ლ ე[1]!

13 მაისს გამოვგზავნე დეპეშა და ძალიან მიკვირს, რომ ჯერაც არ მიმიღია შენგან პასუხი. მე გწერდი, რომ ბერენშტამის ხელით ბაზუნოვთან გიგზავნი 180 მანეთს-თქო ხამაშურიძისათვის;[2] ჩემი დეპეშა უნდა მიგეტანა ბაზუნოვთან და მოგცემდა ფულებს. ეს ფულები ზოგი აქ შეეკრიბეთ ამხანაგებში და 100 მან. ამატუნს ქონდა კავკაზიის ყმაწვილების სასარგებლოდ აივაზოვსკის გამოფენიდან მოკრეფილი და იმიდგან შესდგა. რასაკვირველია, ბეჟანი ამ ფულებს, როგორც უნდა ისე მოიხმარს. თუმც ჩვენ გზისათვის გამოგიგზავნეთ, ჩემი ძმური რჩევა კი იქნებოდა, რომ თუ მართლა ისე ავათ იყო, როგორც აქ ჩამოიტანეს ამბავი, ცოტა ხნით მაინც ჩამოვიდოდეს და მერე, დარწმუნებული იყოს, რომ იშოვის უკან დაბრუნების საშუალებას; არ ვიცი ეს რა ჯიუტობაა, რა სისულელეა რომ აქ სიკვდილი მირჩევნიაო! მართალია, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა—სიკვდილი სახელოვანი“, მაგრამ იქნება „სიცოცხლე ნაზრახი“ ვსთქვათ უდიპლომოთაც რო ჩამოვიდეს?

შენ დეპეშას მე დღეს ან ხვალ მოველი უსათუოდ. პეტრე უმი-

კაშვილისათვის [3] მოგეწერა, რომ ხუდიაკოვის „სამოუჩიტელიდან“ მინდა სტატიები „დროებისათვის“ [4] გამოვგზავნოო. შენ მგონია შეიტყობ ეხლა, რომ დროებით მე ვარ ეხლა „დროების“ რედაქტორი: [5] ეს, რასაკვირველია, ძალიან გაგიკვირდება ჩემგან. მე მოვკიდე მარტო იმისათვის გიორგის [6] მოსვლამდე ხელი, რომ მინდა გაზეთი არ დაეცეს, არ მოკვდეს: თუ ეხლა არა, შემდეგში მაინც იმედია მოიტანს „დროება“ სარგებლობას და რომ მნიშვნელობა ექნება. ხუდიაკოვიდან სტატიები „დროებას“ აწყენს, დარწმუნებული ვარ, ამიტომ რომ ჩვენ აზნაურ-თავადებს („დროების“ მკითხველებს) უნდათ სასიამოვნო, ადვილი საკითხავი რამეები. რასაკვირველია, ისინი უნდა მიაჩვიოს კაცმა ხეირიანი სტატიებისა და წიგნების კითხვას; მაგრამ გაზეთი მოკვდება ამისთანა სტატიებით, სანამ ისინი მიეჩვევოდნენ. შენი სტატიები, თუ გამოგზავნი, ძალიან კარგი და სასარგებლო იქნება „სასოფლო გაზეთისათვის“,[7] რომელსაც თითქმის მარტო გლეხები ჰკითხულობენ. შენც კარგათ იცი, რომ გლეხები ისე განაზებული არ არიან, იმათ ისე წახდენილი გემო არ აქვთ, როგორც მათ უწინდელთ (და ეხლანდელ) ბატონებსა; ისინი ზრუნავენ უფრო ლუკმა-პურზედ, სასარგებლოზედ. მაშ, ხუდიაკოვის წიგნს თუ ჩვენი გლეხობის გასაგებად გარდააკეთებ და ისე გამოგზავნი, ძალიან კარგს იქ.

გიორგი [8] ჩამოსული იქნება ეხლა, მგონია. უთხარი რომ, საქმეს არ ვახდენ-თქო და რაც შემიძლია ვცდილობ, რომ საინტერესო ნომრები გამოვიდეს-თქო. მეც ვატყობ და სხვებიც მეუბნებიან, რომ უწინდელ ნომრებზე ცუდი არ გამოსულა ჩემ ხელში. „სასოფლო გაზეთის“ მე-9 №-ს გიგზავნი. მე-8 და მე-9 №-ში სტატია ვერეშჩაგინის [9] არტელებზე, მგონი შესანიშნავია ჩვენთვის; ამ საქმეზე მგონია, ღირს მოლაპარაკება. ერთ ყმაწვილ აბხაზის მებატონეს [10] უნდა ამისთანა ამხანაგობა გამართოს აბხაზეთში, სადაც რძე და საბალახო ადგილები ოხრად არის თურმე. ამ საგანზე მე ხვალ ვსწერ ვერეშჩაგინს წიგნს, რომ დარიგება და რჩევა მოგვცეს. კარგი იქნება, რომ გიორგი მივიდეს в Вольноэкономическое общество და შეიტყოს კარგათ, თუ მანდ არის ვერეშჩაგინი, ამ საქმის ყველაფერი დაწვრილებით. სხვას ეხლა, კირილე, მეტს ვერას გწერ, რადგან მეჩქარება. შენი სიწმინდის მოყვარულობა რო ვიცი, არ მოგეწონება ჩემი გათხუპნული წიგნი, მაგრამ რა გაეწყობა—წაიკითხავ ხომა?

მართლა, ჩემდა სამწუხაროდ, შენი პლეშჩეევის ლექსები[11] არ გაუშვა ცენზორმა—ეს „მარსელიოზაიო“ ამბობს. შენ ვერ წარმოიდგენ—როგორ გვავიწროებს ცენზურა:[12] რაც რუსულად იბეჭდება, იმის მეოთხედსაც არ გვაბედვინებენ და ჩვენ, ჩვენდა საუბედუროდ, ისე წერა არ ეიცით ჯერ, რომ მკითხველმა სტრიქონებს შუა გაიგოს ჩვენი აზრები. ამხანაგები მოიკითხე.

შენი სერ. მ ე ს ხ ი.

PS. იმედი მაქვს—წიგნს მოიწერ.- ჩემი ადრესი:

„დროების“ რედაქცია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. ეს წერილი მიწერილია კირილე ლორთქიფანიძისადმი პეტერბურგში. ლორთქიფანიძე (1839—1918) 60-იანი წლების მოღვაწე იყო. 1861 წ. მან მონაწილეობა მიიღო პეტერბურგის სტუდენტთა არეულობაში, რისთვისაც რამდენიმე თვე იჯდა კრონშტატის ციხეში. სწერდა სხვადასხვა ფსევდონიმებით (თერგდალეული, თ. კარგარეთელი და სხვ.) ხშირად ხელმოუწერლად იბეჭდებოდა მისი წერილები. თანამშრომლობდა „საქართველოს მოამბეში“ (1863) „დროებაში“, „კრებულში“, 1881—83 წლებში ქუთათურ გაზ. „შრომაში“.

2. ბ ე ჟ ა ნ ხ ა მ ა ს უ რ ი ძ ე—60-იანი წლების მეორე ნახევრის ახალთაობის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად ითვლებოდა. მის შესახებ ხშირად ეხვდებით ცნობებს მაშინდელ მოღვაწეთა კერძო წერილებში. გარდაცვლილა პეტერბურგში 1869 წ. (იხ. ნ. ნიკოლაძის ნაწერები, წ. I, გვ. 133—36, 1890 წ.).

3. პ ე ტ რ ე უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი (1838 — 1904) 60-იანი წლების მოღვაწე, უახლოესი თანამშრომელი გაზ. „დროების“, „კრებულის“ და „სასოფლო გაზეთის“. სწერდა სხვადასხვა ფსევდონიმებით (მ. პეტრიძე, პ. უ. და სხვ.).

4. გაზ. „დ რ ო ე ბ ა“ პირველად გამოვიდა 1866 წ. 1866-69 წლებში, მას რედაქტორობდა გ. წერეთელი. იყო ახალთაობის ორგანო. მასში მონაწილეობას ღებულობდენ მაშინდელი საუკეთესო ძალები.

5. 1869 წლის აპრილში გ. წერეთელმა „დროების“ რედაქტორობა დროებით გადასცა სერ. მესხს, რომელიც მანამდე უბრალო კორესპონდენციებს ათავსებდა გაზეთში და სახელმწიფო სამსახურში იყო; თვითონ გ. წერეთელი პეტერბურგში გაემგზავრა ქართული ენის მასწავლებლის გამოცდების ჩასაბარებლად. 1870 წ. ს. მესხი დამტკიცებულ იქნა „დროების“ მუდმივ რედაქტორად. როგორც

ცნობილია, იგი „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფის მიერ იქნა წამოყენებული რედაქტორის თანამდებობაზე. რედაქტორობდა 1883 წლამდე.

6. ე. ი. გიორგი წერეთელი, რომელიც უახლოესი წევრი იყო ახალი ჯგუფისა და „დროების“ სულის ჩამდგმელი. გიორგის მეგობრული კავშირი ჰქონდა მესხთან. 1879 წლიდან მან თავი დაანება „დროებაში“ თანამშრომლობას. 1883 წ. წერეთელმა მესხის დასაფლავებაზე ხაზგასმით აღნიშნა უკანასკნელის დიდი ღვაწლი ჩვენს ლიტერატურაში (იხ. „დროება“, № 145, 1883 წ.).

7. „სასოფლო გაზეთი“ გამოდიოდა 1868 წლიდან გ. წერეთლის რედაქტორობით. იგი სოფლის გლეხობისათვის იყო დანიშნული.

8. ე. ი. წერეთელი.

9. ვერეშჩაგინის შესახებ „დროებაში“ ბევრს სწერდენ. თვით ს. მესხსაც აქვს წერილები მის შესახებ (იხ. „მეყველეთა ამხანაგობა“, 1869 წ. მესხის ნაწერები—ტ. I. გვ. 5—15). ბევრს სწერდა მის შესახებ ახლედიანიც, რომელმაც სპეციალურათ შეისწავლა რუსეთში „ამხანაგობათა“ მოწყობის საქმე. თვით ვერეშჩაგინი იყო მეთაური თავის სოფელში მეყველეთა და რძის არტელის დაარსებისა (1865—1869 წ.). ასეთი ამხანაგობების იდეამ გაიტაცა „დროების“ მიმდევრებიც.

10. შეიძლება ეს აფხაზი მებატონე დ. ჩხოტუა იყო, რომელიც ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ღებულობდა მონაწილეობას.

11. კ. ლორთქიფანიძე რუსულიდან ლექსებსაც თარგმნიდა. მას გადმოთარგმნილი აქვს დობროლუბოვის, ნეკრასოვის, პლეშჩეევისა და სხვათა ლექსები. ათავსებდა ხან ხელმოუწერლად, ხან თომა კარგარეთელის ფსევდონიმით.

12. მაშინდელი პრესა ძლიერ შევიწროებული იყო ცენზურის მიერ. ქართულ გაზეთებს არ ჰქონდათ უფლება ორიგინალური წერილი მოეთავსებინათ პოლიტიკაზე. იგი აუცილებლად ნათარგმნი უნდა ყოფილიყო ოფიციალურ გაზეთებიდან. მაშინდელი ცენზურის შესახებ ბევრია ცნობები გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, აკაკის და სხვათა კერძო წერილებში.

წერილი მეორე

თბილისი, 1859 წ. 14 იკლისი

ძმაო ბეჟან![1]

ბე შენ დიდი ხანია გრაცხდი განსვენებულად „წიაღსაშინა აბრამისათა“. წარმოიდგინე, როგორ გამიკვირდებოდა, შენი წიგნი რო მივიღე გუშინა. კაცო, წიგნებს ვგზავნი, დეპეშებს ვგზავნი და

კაცი პასუხს არ მაძლევს; ეს რა ამბავია! ნეტა ვიცოდე კირილე ცოცხალია თუ მკვდარი: თუ ცოცხალია, რად ერთი წიგნი არ მაღირსა ჩემი წიგნების პასუხად; რად დეპეშის პასუხი არ მომწერა, ტყუილ უბრალოდ რად დამაკარგვინა დეპეშისათვის 9 მანეთი. გაუხმეს მაგას გოგრა.

იწერები 26 მან. რად დახარჯეთ ჩემთვის ფულების გამოგზავნაზეო. პირველად უნდა გითხრა, რომ 26 მან. კი არა 13 და 80 კაპ. დავხარჯეთ 4 მან. 80 კ. ბერენშტამმა წაიღო, 3 მან. ბაზუნოვისთვის დეპეშის მისაწერად და 1 მან. და 80 კაპ. კომისიისათვის; დანარჩენი 9 მან. მე დავხარჯე დეპეშაზე, რომლებიც კირილეს მოვწერე და რომელზედაც არც ერთი პასუხი არ მომსვლია,—მა'შ სადაური 26 მანეთიო? ბაზუნოვს ხო არ გადაუხდევინებია მანდ? აქ ბერენშტამმა მითხრა, რომ არაფერს არ გადაახდევინებს ისაო.

ფოჩითი იმიტომ ვერ გამოგიგზავნეთ, რომ, როცა 23 აპრილის შენი დეპეშა მოგვივიდა, მაშინ ჩვენ ხელში არ გვქონია ფული. 15 მაისისთვის მოუყარეთ თავი და რადგან დეპეშაში ოწერებოდით, რომ 20 მაისს შეგეძლება წამოსვლა, ჩვენ ავიჩარდით და იმ რიგად გამოვგზავნეთ, რა რიგათაც მიიღე; რომ გვცოდნოდა—შემოდგომამდინ არ წამოხვიდოდი, მაშინ, მგონია, არ გამოვგზავნიდით ამ რიგათ—შემოდგომამდი მაგ ფულები, რასაკვირველია, შემოგეკმება და მერე დარჩები ყუყზე და შეიძლება ზამთარში მანდ კიდეეაც ჩაკვდე... თავი ნუ მოგიკვდება, ეცადე, ეცადე რომ არ მოკვდე, თორემ ხომ იცი—რა შვილი მოაკლდება მამულს... იმ 180 მანეთიდან, რომელიც შენ გამოგიგზავნეთ 100 მან. გამოვართვით—ამატუნს, რომელსაც ოთხასი მან. (400) აქვს კავკაზიელ სტუდენტებისათვის აივაზოვის სურათების გამოფენიდან შეკრებილი. ამ ფულების გამორთმევის დროს, ჩვენ ვუთხარით ამატუნს, რომ თუ მოვკრიფეთ ფულები, ისევ დაგიბრუნებთ თქვენ 100 მანეთსა და თუ ვერა, მაშინ მოგცემთ რასპისკას, რომ 100 მან. ხამაშურიძის სასარგებლოთ ავიღეთ თქო; ის დათანხმდა.—მე მაქვს კიდევ შენთვის აქ 49 მან. და თუ გაგიჭირდება და ამატუნმა არ გადაგვახდევინა, მომწერე და გამოგიგზავნი. ჩვენ ვაგროვებდით აქ ფულს ერთი ღარიბი სტუდენტისათვის!! შენი თავის მოყვარეობა დაკმაყოფილებული უნდა იყოს... მამა შენს მივწერე, რომ შენ ავად იყავი და ეხლა კარგად ხარ; ეს იმიტომ ვქენი, რომ იქ მიდიოდენ ჩვე-

ნები და მეგონა ეტყოდენ შენს დედას შენს უიმედო მდგომარეობაზე; მე, მეგონა, სანუგეშებელი წიგნი მივწერე და არა შესაშინებელი.

ეს ხომ ანგარიშებს მოერჩით. ეხლა სხვა რაზმედმე მოვილაპარაკოთ. გიორგი ეხლა, რასაკვირველია, მანდ იქნება; უთხარ ჩემ მაგიერ, რომ საქმეები გვარიანად მიდის-თქო. იმედი მაქვს, ბეჟან, თუ კითხულობ ეხლა „დროებას“ და „სასოფლო გაზეთს“, შეატყობდი რამე ცვლილებას, ან თუ არაფერი ცვლილება შეატყო, ისიც კიდევ უკეთესი; ის იმას ნიშნავს, მაშ უკან მაინც არ წავიყვანე ისინი. რა ვიცი, სხვები კი მარწმუნებენ, რომ თუ არ გავაუმჯობესე, არ ვახდენ მაინცა და.—რაც შემიძლია ვსცდილობ კი, თუ ავადმყოფობამ არ მომდევა კვანტი; ჩემდა საუბედუროდ—ეს სამი კვირაა მაციებს და ხშირად თავი მტკივა. გიორგის უთხარი, რომ „სასოფლო გაზეთისათვის“ სუფსიდიის იმედია-თქო. სიტოვსკიმაც და ორლოვსკიმაც ძალიან იმედი მომცეს-თქო. ეხლა ორლოვსკის თხოვნა უნდა მივცე და გავახსენო. ეს საქმე—გიორგის მოსვლამდის ვერ მოიცდის, რადგან კერესელიძე[3] წინათვე იღებს მთელი წლისას და ამ წლის რო ვერ მოასწროს აღება, ჩვენ ეხლავე უნდა ვეცადოთ საქმის გარიგება. იმის გარდა რომ ორლოვსკის თხოვნა უნდა მივსცე, სიტოვსკიმ მთხოვა რომ ავსწერო „გუთნის დედის“[4] „ღირსებაები“ და მივსცე იმას ეს ზაპისკა. რასაკვირველია, ვეცდები, რომ შევამკო ეს მშვენიერი სამეურნეო გაზეთი.

„მნათობის“[5] ორი ნომერი გამოვიდა. მეორე №-ში Он заигрывает с „დროება“ და ზოგან კიდევაც იკბინება ვითომ.[6] მომავალ „დროების“ №-ში მე ამაზე უნდა ვსთქვა რამე,[7] კაცს რომ შენი კბენა უნდოდეს, უნდა დაასწრო და პირველად შენ უკბინო, მერე ველარ გაბედავს კბენას, ამის გარდა ლიტერატურული კარგი საქმეა, მკითხველებისათვისაც და თითონ გაზეთისთვისაც.

ამას გარდა გიორგის გადაეცი, ბეჟან, რომ კერესელიძე მართლა ყოფილა აჭარაში, არა, აჭარაში კი არა, ახალციხეს გაუტარებია დრო და ეხლა ჩამოვიდა აქ და თავის მოგზაურობა აწერა;[8] ერთი იფიქრე, იმასაც კი ამბობს, თუ რა ნაირად უნდა მოვაქრისტიანოთ ჩვენ, ე. ი. რუსებმა, ეს ხალხიო. ამას გარდა მე ვიცი, რომ ჩვენი მეზობლის (მაისუროვის) შვილის ხელით იმან გაგზავნა იქ ორასი თუ სამასი ეგზემპლიარი თავის „ცისკრისა“. ამაზე გიორგიმ უნდა მოიფიქროს.

• ჰკითხე გიორგის—როგორ მოეწონა მე-23 „დროების“ №-ში რედაქციისაგან შენიშვნა თავის გარეშე თანამშრომლებზე.[9] მე იძულებული ვიყავი მექმნა ამისთანა განცხადება ამიტომ, რომ ხშირად მაქვს უკმაყოფილება თანამშრომლებთან; ნამეტურ უ. ბეთანოვის[10] უშვერმა და ხეპრულმა წიგნმა ვამომითხოვა ამაზე.

სხვა კარგად იყავი... შენს წიგნს მალე მოველი.—

სერ. მესხი

— ამ ცოტა ხანში გიორგის განსაკუთრებით წიგნს მიეწერ.—

ს. მ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. წერილი გაგზავნილია პეტერბურგში ბეჟან ხამასურიძესთან.

2. ს უ ფ ს ი დ ი ი ს მ ი ღ ე ბ ა ს „სასოფ. გაზეთის“ რედაქცია ცდილობდა „ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისაგან“.

3. ი ვ. კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე (1827-93) — „ცისკრის“ რედაქტორი. სცემდა აგრეთვე „გუთნის დედასაც“.

4. „გუთნის დედა“ გამოდიოდა 1861 წლიდან კერესელიძის რედაქტორობით. ეს იყო ქართული ორგანო „სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა“ და ემსახურებოდა მემამულეთა ინტერესებს. 1873 წლიდან მის რედაქტორად დაინიშნა ანტ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, რომელმაც გაზეთს ნაროდნიკული ელფერი მისცა.

5. „მნათობი“ 1869-72 წლებში გამოდიოდა ს. ავალიშვილის რედაქტორობით. უმთავრესად ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმართულებისა იყო.

6. ლაპარაკია „მნათობის“ მეორე ნომერში მოთავსებული მოწინავე წერილზე: „მნათობზე“.

7. მესხის წერილი „მნათობის“ შესახებ—დაიბეჭდა № 28-ში ლაზ. მეხ-შვილის ფსევდონიმით. წერილი იუმორისტული ხასიათისაა. „მნათობის“ შესახებ გაკვრით არის მოხსენებული ანჩიხატისუბნელის (ვ. უმიკაშვილის) წერილშიაც (№ 25, 1869).

8. კერესელიძემ თავისი მოგზაურობა ასწერა 1869 წ. „ცისკრის“ № 5-6.

9. „დროების“ 1869 წ. № 23-ში მოთავსებულ განცხადებაში რედაქცია აძლევს პასუხს თავის თანამშრომლებს, რომელნიც საყვედურს აცხადებდენ წერილების შესწორებისა, შემოკლებისა და ენის შეცვლისათვის.

10. ბ ე თ ა ნ ო ვ ი დაახლოებული იყო „დროების“ რედაქციასთან, ღებულობდა მონაწილეობას წიგნების გამოცემაში, მის მიერ არის გამოცემული „კაცია ადამიანი“?! (1869 წ.).

წერილი მესამე

თბილისი, 1869 წ. 2 ივლისს

კ ი რ ი ლ ე!

დიდი ხანია ველი წიგნს, მაგრამ არ მომდის, არ ვიცი რას მიეაწერო... ხამასურიძის ამბავი ბეჯითი არ ვიცი რა. თითონ მწერდა მე, რომ შემოდგომამდი არ მოვდივარო და ეხლა შენ იწერები, რომ ფულები გამოგზავნეო, არ ვიცი ვის დაუჯერო. მე მაინც მივწერე კალანდარიშვილს და ლოლუას, ფულები გამოგზავნონ და სანამ ეს წიგნი მოგივიდოდეს, მგონია, ფულები მოგივა; აქაც არის 50 მან. და მათაც თუ 140 მან. გამოგზავნეს, 200 მანეთამდი მოგივა ბანკის სახელზე; მაცნობე კი როგორც მოგივიდეს,—ამ წიგნს ჩემი ძმა მოგიტანს.[1] შენ ხომ ო ტ ჩ ე ნ ა შ ი ხარ და ამიტომ კეთილ გ ზ ა ზ ე უ ნ დ ა დ ა ა ყ ე ნ ო ჩ ე მ ი ძ მ ა, ე ს შ ე ნ ი ვ ა ლ ი ა. პირველად შენთან ჩამოხტება, შენ მოუნახე სახლი, დაარიგე, როგორც რიგია, თორემ ჯერ სულ გამოუცდელია. სთხოვე, რომ იაროს შენთან და ელაპარაკე სხვადასხვა საგნებზედ. კეთილი წადილები აქვს, მართალია, მაგრამ ეს არ არის საკმაო კაცისათვის, ექიმობას რომ აპირობს; მე ძალიან მომწონს; კარგია, შრომას მიეჩვევა. რატომ გიორგი წერეთელის არაფერი არ ისმის. იმისთანა წიგნის მოწერას, ის რო მოიწერა, არ მოეწერა ის სჯობდა. თავის ამბავს— დ ა ი ჭ ი რ ა ე გ ზ ა მ ე ნ ე ბ ი, თუ არა, ან სხვა რამეს, არაფერს არ იწერება. მიკვირს ამდენი ხანი „კაცია ადამიანს?!“[2] რად არა გზავნით; აქ ჰკითხულობენ მოვიდა თუ არაო. ტყვილად დამაბეჭდინე „დროებაში“ განცხადება, რომ მაისის დამლევს აქეთ გამოიგზავნებაო.—გიორგი წერეთელს უთხარი ამ კვირაში წიგნს მოგწერთქო.

სანამ შენ წიგნს არ მივიღებ, მანამ დიდს და ხეირიან წიგნს არ მოგწერ.

შენი ს ე რ. მ ე ს ხ ი

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ე ბ ი

1. აქ ლაპარაკი უნდა იყოს ი ვ. მ ე ს ხ ზ ე. შემდეგში იგი საზღვარგარეთ წავიდა და ციურიხში სწავლობდა. მონაწილეობას ღებულობდა „დროებაში“, „კრებულში“. სწერდა ი.—ი-ს ფსეუდონიმით. გარდაიცვალა 1932 წ.

2. ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“ ცალკე წიგნად გამოსცეს 1869 წელს პეტერბურგის სტუდენტებმა. ამის შესახებ წინასწარ განცხადებებიც იყო მოთავსებული 1869 წლის „დროებასა“ (№ 17) და „სასოფლო გაზეთში“.

წერილი მეოთხე

თბილისი, 1869 წ. 30 აგვისტო

ძმაო კირილე! დარწმუნებული ვარ, რომ თუ შენთან ხშირი მიწერ-მოწერა გავმართე, პუნქტუალურად წერას მიმაჩევე და ეს, შენც იცი ჩემი ხასიათი, ძალიან სასიამოვნო არ იქნება ჩემთვის. მე არც ცხოვრებაში და არც წერაში არ მიყვარს ნემეცური სიფაქიზე და წესიერება, მაშინასავით მორთული კაცის სიცოცხლე რა სიცოცხლეა. გარწმუნებ, რომ ხანდისხან თავხედობას და უწესობას თვით ბუნებაც მოითხოვს!... ეგეც შენთვის წინასიტყვაობა, რომელიც უსათუოდ გამოგვადგება თუ ყურადღებას მიაქცევ...

ეხლა დავიწყებ თავიდან და ვეცდები ყოველს შენი წიგნის პუნქტზე პასუხი მოგახსენო; მაგრამ ღმერთმანი, ხელი მიჩერდება, როცა გამახსენდება, რამდენ რამეებზე უნდა მოვილაპარაკო შენთან; ნამეტურ შენი წიგნის პირველ გვერდს რო გარდავხედავ, სწორეთ სასოწარკვეთილებაში ვარდები: ხუმრობაა ძველი დეპეშებისა და ტელეგრაფის კვიტანციების ამოღება არხივიდან და იმათი გაჩხრეკა? ხუმრობაა ისე პუნქტებით გამოანგარიშება, როგორც შენ გიქნია? ამისათვის მე არც მომატებული დრო მაქვს და არც მოთმინება. ამის გამო ამ საგანზე ორ-სამს გეტყვი და აღარც შემდეგში მოუბრუნდები, იმედი გქონდეს.—შენ სულ უბრალოდ მოგჩვენებია, რომ მე „ძალიან გრვცხარდი“ ჩემი წიგნების და დეპეშების უპასუხოთ დატოვებისათვის; რასაკვირველია, სასიამოვნო არ არის, როცა მეგობარს უბრალო წიგნსა სწერ და ხმას არ გცემს, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე სულ სხვანაირად იყო: ჩემი პირველი დეპეშის პასუხი ისე ჩემთვის არ იყო საჭირო, როგორც იმათთვის, ვინც ფულები გამოიღეს და სხვა მონაწილეობა მიიღეს ამ საქმეში; იმათ მეორე დღესვე სურდათ შეტყობა მიიღე შენ მანდ ფულები თუ არა და შენ კი მწერ, რომ რას სწუხდი, მეთექვსმეტე დღეზე ხომ შეგატყობინებდა ტელეგრაფის სტანციაო? ასე თუ გედომებოდა, არც „საპასუხო“ ფულებს (3 მან.) დავხარჯავდით და გთხოვდით წიგნით გეცნობებია. თუ კალანდარიშვილის და შენ პასუხს

ორი კვირა უცადეთ, შენ რატომ ვერ მოიცდიდიო იწერები, თავი ნუ მოგიკვდება, მართალი სთქვი, ვის უფრო შეფეროდა მოცდა შენ და წერეთელს, თუ მე? მოიფიქრე რანაირ შემთხვევა»ში ვიცდიდი მე და რა ნაირში—თქვენ, შენ წიგნში სამჯერ-ოთხჯერ არის მოხსენებული ჩემი სიტყვები: „გაუხმეს კირილეს გოგრაო“; როგორც გეტყობა, კისერში გაგჩერებია ეს სიტყვები და ვერ გადაგიყლაპავს. ძალიან მიკვირს, რომ გულით ნათქვამს სიტყვას ვერ არჩევ ფრაზასთან; თუმცა, როგორც ჰხედავ, მე სრული უფლება მქონდა მეთავე სიტყვები მომეხსენებია შენთვის, მაგრამ (დახე, ჩემ სულგრძელობას!) ფრაზის მეტი არა მითქვამს რა.—შენ ამბობ, რომ ჩემი დეპეშა ბაზუნოვმა წაიღო და ზედ მომაწერინა ხელი აქ (ბერენშტამისთვის) გამოსაგზავნათო.—ძალიან მიკვირს, რომ არ მიგიღია ყურადღებაში ის, თუ რა ბეჯითად და რა სიჩქარით ასრულებენ წიგნის მაღაზიები კერძო პირების თხოვნას და მინდობილობას; რატომ არ იფიქრე, რომ ბაზუნოვს ერთი თვის შემდეგ შეეძლო გამოეგზავნა ბერენშტამისათვის შენი ხელმოწერილი დეპეშა და რომ ამ საქმის შეტყობა ჩვენთვის საჩქაროთ იყო საჭირო? წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ არც „საპასუხო“ ფულებს გადავიხდიდით. შენ ორმოცჯერ იმეორებ ეს და ეს უნდა გეფიქრნაო: ეხლა ხომ ხედავ, რომ ცოტა შენც გეფიქრნა და იქწამსვე გამოგეგზავნა წიგნი ან დეპეშა, კარგს იზამდი.—ჩემი სამღურავები შენთან პასუხის გაუცემლობისათვის უკან წამიღია. მართლა, მიკვირს, როგორ ვერ მოვიფიქრე—რამდენი დრო სჭირდება კირილეს ჯერ დასაწერად მომზადებისათვის, მერე თითონ წერისათვის, მერე გამოგზავნისათვის და სხვა! შენ ძალიან კარგად ამბობ, რომ 14 დღეზე ადრე პასუხის მოწერა ხომ არ შეიძლებოდაო (!) მართლა, 28 დღის შემდეგ, როცა შენზე სამღურავი მივწერე ბეჟანს, რომ შენი პასუხი მოსულიყო, კირილე, ძალიან არ შევრცხვებოდი, მაგრამ, უნდა გითხრა, ეს უფრო ძალიან გამიკვირდებოდა, რომ მოვიფიქრებდი...

ბეჟანის ამბავი რომ უფრო დაწვრილებით არ მომწერე, გემდური, ძალიან მაკვირვებს, როცა შენ, რაღაც წყენით, ამბობ, რომ ბეჟანი ბეთანოვსა და ანტონოვს[1] ავიწროებსო. მე მგონია, ანტონოვი მაინც არ სჩივის ამ შევიწროებაზე და ბეთანოვს კი ცოტათი ვიცნობ: დარწმუნებული ვარ, რომ ისინი შევიწროებულნი არიან; მაგრამ კარგი ამხანაგისათვის და კარგი კაცისათვის რომ კაცმა

ცოტა საქმე გაიჭირვოს, მე მგონია ეს დიდი საქმე არ არის.—30 ივლისს გამოვგზავნე შენ სახელზე ფოჩტით 125 მან. ბეჟანისათვის; თავი ნუ მოგიკვდება, კირილე, ეცადე, რომ წამოვიდეს, თუ შეუძლია, სისულელე არ არის, არ წამოვალო რო ამბობს? მაგ დალოცვილს მანდ სიკვდილი ურჩევნია, თუ აქ წამოსვლა და სიცოცხლე? განა, რომ გამორჩება, მერე არ შეუძლია ისევ დაბრუნდეს? ის 125 მან. თუ არ ეყოფა, ან ნიკოლაძისაგან,[2] ან სხვისგან სადმე უშოვეთ და გარდაიხდის კაცი.—მართალია ნიკოლაძე და წერეთელი მოდიან, თუ არ წამოსულან კიდევაც; კარგი იქნება, რომ იმათ წამოჰყოლოდა: თუ ისე ავათ არის, მარტო წამოსვლა, რასაკვირველია, არას გზით არ შეუძლია.

გიორგი თუ წამოსული არ არის ახლა, ძალიან ცუდი ამბავი იქნება, ამიტომ რომ, სხვა სალუკმა-პურო საქმეები ავიჩინე, იმათ უნდა მოვკიდო ხელი და გაზეთებისათვის ძალიან ცოტა დრო დამრჩება: ამის გამო ისინი, იმედია კიდევ უფრო შესუსტდებიან. სხვა საქმეს იმიტომ მოვკიდე ხელი, რომ კაცს ყველაზე პირველად სტომაკი აწუხებს. გაზეთს („დროებას“) რომ ჩემი რჩენა შეეძლოს როგორმე, ვინ მამაძაღლი, ხელს აიღებდა იმაზე. მე ვიცი, რომ „დროებას“ 300 ხელის მოწერით ერთი კაცის დარჩენა კარგათ შეუძლია; რადგან 800—1000 მანეთამდი დარჩება ხარჯს გარდა, მაგრამ უბედურება ეს არის, ჩემი თავის იმედი არა მაქვს; იმედი არა მაქვს, რომ ხეირიანად წავიყვანო ანგარიში; ამას გარდა დეკემბრამდი რითი უნდა იცხოვროთ (სანამ ხელის მოწერის ფული არ შემოვა)? ნიკოლაძე რომ აიღებდეს გაზეთს თავის რისკზე (თუმც რისკი არ არის ეს) და ერთათ წავიყვანდეთ საქმეს, მგონია, ძალიან კარგი იქნება; მაშინ სხვა გარეშე საქმეს მივატოვებდი და გაზეთს მოვახმარდი მთელ დროს. ამას გარდა ნიკოლაძეს შეუძლია მელიქოვის და კომპ.[3] სტამბაში წილი ჰქონდეს, დ. ბაქრაძე[4] ყიდის თავის წილს 2,000 მანეთათ და თუ უნდა, იყიდოს. სტამბის საქმე ეხლაც კარგად ძიდის და თუ скоропечатная машина გამოიწერეს, როგორც აპირებენ, მაშინ კიდევ უკეთ წავა, უეჭველია. ეს სხვაფრივაც ძალიან სასარგებლო იქნება, მე მგონია. ამ საქმეზე, რომ ჩამოვა ნიკოლაძე, მაშინ მოველაპარაკები და მოველაპარაკებიან.

„მნათობზე“ იწერები, რომ არ მეგონა თუ ამისთანა იქნებოდაო. მიკვირს, ამაზე უარესი-რაღა უნდა გგონებოდა. მითხარი,

ოთხს ნომერში რამდენი სტატიის წაკითხვა ღირს? ერთი, ორი და и обсчитался! ჟურნალის ხასიათი, მე ვგონია, მარტო ორ ან სამს სტატიას აქვს. სბორნიკისთვის კი ივარგებდენ ზოგიერთი თარგმანები. შენ ამბობ: „მეორე ნოვერში[5] მკითხველებთან მიქცეული სიტყვები თანაგრძნობის აღმძრელიაო“. წაიკითხე მეორეთა და მერე სთქვი. რა მოგაგონდა, როცა ის სიტყვები წაიკითხე ამ სტატიაში, რომ ჩვენ „საქარ. მოამბესავით“ არ ვეცდებით, რომ თავიდანვე გამოვილიოთ ჩვენი ძალა და მერე ყუყუზე დავრჩეთო (აზრი ეს არის)! მე კი ეს მომიეიდა იმ წამსვე ფიქრში: ჩეჩო ძმებო! მაშ თქვენ ძალიან ცოტა ძალა გქონიათ, რომ ასე მალე გეშინიათ იმის გამოლევა! ამას გარდა, ეს სიტყვები კიდევ იმას ნიშნავს, რომ ჯერ... მიირთვით, მკითხველებო, და მერე შაქარს მოგართმევთო! ის აზრები („დროებასთან“ კონკურენციაზე და სხვა), რომელსაც ავტორი ებრძვის,[6] მარტო ერთმა კაცმა წარმოსთქვა და არა საზოგადოებამ.—სად მონახე შენ „მნათობში“ стремление к решению практических вопросов, ან პრაქტიკული გზა, არ მესმის. ერთი მარტო ჯანაშვილის სტატია[7] განა ჟურნალს მიმართულებას აძლევს!

შენი მოწონება ცოტათი მაინც „დროებისა“ და „სასოფლო გაზეთის“, დარწმუნებული იყავი, მე ძალიან მიამა. ჩემდა საუბედუროთ, უკანასკნელი სამი თუ ოთხი „დროების“ ნომერი, ჩემი ავადმყოფობის გამო (მაციებდა) ძალიან შესუსტდა; სწორეთ საზაფხულო ნომრები იყვნენ. თუ არავინ მომეხმარა და ან წერეთელი და ნიკოლაძე თუ მალე არ ჩამოვიდენ, მომავალი ნომრებიც ესეთები იქნებიან, ზემოხსენებული მიზეზების გამო. ამ ზაფხულში მაინც ეს ოხრები არავინ არაფერს არ გზავნის, არც კორესპონდენციებს და არც სტატიებს. მარტო ქუთაისიდან უხეირო ლექსებმა გააჭირვეს საქმე. კირიღე, ერთი შენებურათ რომ მოიქაჩალებდე თავს, გააბრტყელებდე ორ-სამს ფურცელს და გამოგზავნიდე, სწორეთ ძალიან კარგ საქმეს იზამ. მასალების ნაკლებობა, მგონია, არ იქნება.—შენს სტატიებზე „სას. გაზეთისათვის“ არაფერს არა გწერ, რადგან გადაგიდვია იმათი წერა.

ძალიან ვწუხვარ, რომ ვერცერთი შენი თხოვნა ფიცხელაურთან, სარაჯოვთან და უმიკაშვილთან ვერ აგისრულე; არც ერთი იმათგანი ამ ჟამათ აქ არ არიან; ფიცხელაური და უმიკაშვილი სადღაც სოფლებში წავიდენ და სარაჯოვი ტემირხანშურაშია. პირველ ორს

როგორც ჩამოვლენ, იმ წამსვე გარდაესცემ შენ თხოვნას და ან იმათ მოვაწერინებ შენთვის წიგნსა და ან მე მოგწერ იმათ პასუხს; სარაჯოვს მივწერ ტემირხანშურაში წიგნს და როგორც მომივა პასუხი, შეგატყობინებ.

ჩემი ძმა როგორ მოთავსდა მანდ—თუ იცი; თუ ძმა ხარ, კირილე, იქონიე იმასთან საქმე; იარეთ ერთმანეთთან, ილაპარაკეთ, ხეირიანი წიგნები მიეცი საკითხავათ და სხვა. თუ გინდა, რომ „ив пашихъ“ იყოს.

ეხლა მშვიდობით... თუ წიგნი მომწერო, ოპტიკის კანონები იქონიე მხედველობაში, თავი ნუ მოგიკვდება: ქრისტიანო, ერთი თაბახი ქაღალდი ნამეტანი წავიდეს, დაგღუპავს?... მანდაური ჩემი ნაცნობები ყველა მომიკითხე; განსაკუთრებით ბეჟანი და ანტონოვი; პირველს უთხარი—არ მოკვდეს, თორემ დაგემდურებით-თქო...

შენი სერ. მესხი

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. ანტონოვი—ახალი თაობის წევრი იყო. აქვს რამდენიმე წერილი ნათარგმნი „კრებულში“.

2. ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე—იმ ხანებში ახლად დაბრუნებული იყო საზღვარგარეთიდან და თავის პირად საქმეებისათვის იმყოფებოდა პეტერბურგში. 1870 წლიდან მან ახლო მონაწილეობა მიიღო „დროებაში“. 1874 წელს შესწყვიტა მუშაობა ამ გაზეთში და მხოლოდ 1876 წელს დაუბრუნდა, დაახლოებით ერთი წლის შემდეგ დასცილდა ს. მესხს და 1878 წ. „ობზორის“ დაარსებასთან ერთად ცხარე კამათი გაიმართა მათ შორის.

3. ს ტ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი—ძმა პროფ. პ. მელიქიშვილისა, რომლის სახელზედაც ნ. ღოღობერიძემ, ვ. თულაშვილმა და დ. ბაქრაძემ გახსნეს სტამბა 1865 წ. ამ სტამბაში იბეჭდებოდა „დროება“.

4. დ ი მ. ბ ა ქ რ ა ძ ე ცნობილი ისტორიკოსი, ერთ-ერთი დამაარსებელი „დროებისა“ და სტამბის მონაწილე. პირველ ხანებში უახლეს მონაწილეობას იღებდა „დროებაში“, შემდეგ ცენზორადაც იყო დანიშნული.

5. აქ ლაპარაკია „მნათობის“ მეორე №-ის მოწინავე წერილზე, „მნათობზე“

6. ზემომოყვანილ წერილში არის აღნიშნული, რომ „ზ—ლი აწერს „მხათობს“ „დროების“ კონკურენციისათვის დაბადებას“.

7. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი—ი ნ გ ი ლ ო—„მხათობისა“ და „დროების“ თანამშრომელი, სწერდა სტატიებსა და ისტორიულ წერილებს.

აღნიშნულ „მნათობში“ მას მოთავსებული ჰქონდა: „კაცს განათლებამ უნდა მისცეს სახსარი ცხოვრების გაფაქიზებისა და სიმდიდრის მოპოებისა“.

წერილი მეხუთე

თბილისი, 1869 წ. 28 დეკემბერს.

ძმაო კირილე!

მომიტევე, რომ ისე მალე ვერ გწერ შენი წიგნის პასუხს, როგორც შენ გეთხოვა და რიგი იყო. ახლა, რადგან საკმაოდ მაქვს თავისუფალი დრო (დღესასწაულების გამო) წიგნსაც გწერ და შენ ნათხოვ წიგნებსაც („ბუნების კარს“, ანბანს და „სახელმძღვანელოსაც“)[1] გიგზავნი. შენი სტატია,[2] ჩემს გარდა, სხვებსაც ბევრს მოეწონა. გოგებაშვილმა[3] მიიღო ცნობაში ზოგიერთი შენიშვნები და დარიგებები: განსაკუთრებით მოსწონს იმას შენი „მანერა — изложения“ და ფრაზების არ ყოფა შენს სტატიაში. ჩემი მხრით, შევნიშნავ ბოლოდ ერთს (ამას შენც მიმხვდარხარ): შენი პირიმე, კირილე, უფრო მეტი სიცოცხლე, — შუშხი და ნაკლები სიმშრალე. დარწმუნებული იყავი, რომ ამას იმიტომ ვაჭირებ, რომ ვიცი „დროების“ მკითხველების და საზოგადოთ ჩვენი საზოგადოების გახსნა და ხასიათი.—ნუ მეტყვი, საგანი იმისთანა არისო, რომ იმაზე შუშხიანათ ლაპარაკი შეუძლებელი არისო; შენც კარგად იცი, ყოველს საგანზე შეიძლება ცხოველათაც და მშრალადც სწა. იქნება შენ მითხრა: უსულო საგნის გაცხოველებას ნიჭი უნდაო; მე მგონია, მაგდენი არა: ვისაც საზოგადოთ წერა შეუძლია, იმას ცოცხალი, მკვახე სიტყვების ხმარება და გადაკერით, по поводу ლაპარაკიც არ გაუჭირდება მაგდენათ.

დანარჩენ შენ სტატიებს, რომელზედაც იწერები, მოუთმენლად მოველი. საზოგადოთ იმედი მაქვს შენი, რომ დამეხმარები მერმისს გაზეთის გაუმჯობესებაში. თუ შენისთანა კაცებისაგან რამე შემწეობა მექნება, მაშინ აღარ ვიქნები იძულებული დავბეჭდო ხალხისხან უახროდ და უფერული კორესპონდენციები და სტატიები ზოგიერთი ჩვენი პსევდო მწერლებისა. თავი ნუ მოგიკვდება, ნუ იფიქრებ, რომ ამას გწერ მე ვითაარცა რედაქტორი მუქთ თანამშრომელს; შენც კარგად იცი, რომ გაზეთის გაუმჯობესობა ჩემი, კერძო საქმე არ არის: ამის (გაზეთის გაუმჯობესების) შედეგები

როგორც ჩემთვის, ისე ყოველი ჩვენი რჯული კაცებისათვის ერთნაირად სასურველი და სანატრელია.

შენს აზრზე, რომ იმნაირი ისტორიული სტატიები „დროებაში“, როგორც მე მოვწერე ნ ი კ ო ს,[4] შეუძლებელი არისო, ვერ დაგეთანხმები: მე მგონია, რომ ისეთი სტატია, რომელიც დაეტევა სამს „დროების“ ნომერში (დაახლოებით ერთი ბეჭდის თაბახი, 2 თაბახი) ცოტაოდნათ მაინც გააგებინებს ფრანციის ამ საუკუნის ცხოვრებას, მაგალითად, ავტორმა, რასაკვირველია, მხოლოდ ისეთს მომენტებზე და ისტორიულ მოვლინებაზე უნდა უჩვენოს, რომელთაც ამ ჟამათაც აქვთ ხალხის ცხოვრებაზე გავლენა და რომლებზე სჯა და მოლაპარაკება ჯერაც არ გათავებულა.—ამნაირი სტატიების დაწერა არა მგონია ისე ძნელი იყოს, როგორც შენ იწერები! იმათ, იმ დანიშნულებას გარდა, რომლისთვისაც დაიწერებიან, თავისთავადაც ექნება დიდი მნიშვნელობა ჩვენი მკითხველებისათვის. სპეციალისტობა კი ამისთვის, მართალი გითხრა, სრულიადაც არ არის საჭირო. ქრისტიანო! მთელი ტრაქტატის დაწერას ხომ არ გეუბნებიან. კონსტიტუციების აღწერა, მგონია ვერ აასრულებენ ამ სტატიების დანიშნულებას, რადგან ისინი მარტო ერთი, პოლიტიკური მხრით შეეხებიან საგანს და შენც იცი რომ ახლანდელი ევროპის ხალხების ცხოვრებაში სოციალური მოძრაობას უფრო მომეტებული მოძრაობა აქვს, ვიდრე პოლიტიკურსა, პოლიტიკური შინაარსიანი ფელეტონები კი აკრძალულია „დროებაში“, როგორც საზოგადოთ ყოველი სხვა სტატია პოლიტიკური შინაარსით. პოლიტიკური ცნობების გარდმოღების ნება (პროგრამით) „დროებას“ შეუძლია მარტო „Кавказ“-იდან და „Правит. Вестник“-იდან. ერთი სიტყვით, იმედი მაქვს, ამ საგანზე კიდევ მოიფიქრებ, კირილე, და მალე შემატყობინებ გარდაწყვეტით პასუხს. სტატიებს არ უჭარი, მაისისთვის თუ იქნება, საკმაოა.

ამ დღეებში ნიკოს წიგნი მივიღე და პასუხი მინდოდა მომეწერა, მაგრამ მწერს, რომ ამ ორ კვირაში გამოვალ აქედანაო და ამიტომ აღარ ვწერ წიგნსა თუ მახდ არის. კიდევ, უთხარი, კირილე, ჩემს მაგიერ პირველად მოკითხვა და მერე წიგნები წამოიღოს ბევრი „დროებისთვის“ გამოხადეგი (გაიხსენე სენაჭარწრენი). როგორც შევიტყვე, სხვა ჩვენებურებთ შორის, მამა მაგისიც მანდ ყოფილა: სიბერის დროს გახსენებია მაგ დალოცვილსაც რაინდობა—წმ. გიორგის ჯვარის კავალერი! ნიკომ დაიჭირა ეგზამენები,

თუ არა? არაფერს არ იწერება ამაზე—იმის ნიშანია, რომ უკუქცეულა საშინელი სამჯავროსაგან...

ნამდვილ რედაქტორად მე ჯერაც არა დამტკიცებულვარ, ამასაც ხლაფორთი და დავიდარაბა ნდომებია. იმედი მაქვს კი, რომ დამამტკიცებენ, რადგან დამაბრკოლებელი მიზეზი არრა არის რა. ახლა დეკემბრის დასასრული რომ არის „დროებას“ ჰყავს 50-მდე ხელის მომწერი მომავლის წლისა; ამ გარემოებამ მე კინაღამ სასოწარკვეთილებამდი მიმიყვანა, მაგრამ უწინდელმა გამომცემლებმა ნუგეში მომცეს მით, რომ შარშანდელი ჟურნალი მიჩვენეს; აქედან შევიტყვე, რომ შარშან ამ დროს „დროებას“ 50 კიდევ ნაკლები ხელის მომწერი ყოლია, და უმეტეს ნაწილს იანვარში და თებერვალში მოუწერია ხელი: ასეთი ჩვეულება აქვთ თურმე, წელს „დროებას“ 290-მდი ხელის მომწერი ჰყავდა; ვნახოთ, მე-1870 წელიწადი რას იტყვის! 400 ხელის მომწერი, მარტო 400 რომ მეყოლებოდეს—ოთხასჯერ გარდავალ ყირამალაზე!

სხვა, კირილე, რასა იქ, ან შენ, ან სხვა ჩვენები და ჩვენი ამხანაგები რასა შერებიან? ჩემი ძმა რას შერება; ხშირად ხედამ ხოლმე თუ არა? როგორ ატყობ? ყველაფერი მომწერე, თუ ძმა ხარ, მოცლილი რო იქნე. ამას წინეთ რომ გაფხუკიანდი და მოგეწერა წიგნი, რომლის სტრიქონებს შუა ურემი გაიარდა, ისე ნუ იქ. დაწვრილებით ნუ მომწერ-თქო ის კი არ მითხოვნია, წვრილად ნუ მომწერ-თქო ის გთხოვე მარტო!

მიუნხენიდან გამოვიდა ცაგარელისაგან[5] უშველებელი სტატია, სახელად: „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“ по поводу „каиа адамианн“.

შენი სერ. მესხი

[მინაწერი ამიაზე] „სასოფლო გაზეთი“ თბილისის გუბერნიაში 3 მანეთად ღირს და ქუთაისის 4-ათ, იმიტომ, რომ ის, როგორც ნახევარი-ოფიციალური გაზეთი აქაური присутствия по кредит. делам სახელმწიფო ხარჯით იგზავნება, ქუთაისში კი არა. ათიოდე სურათები ცხოველებისა გიორგიმ მოსკოვიდან ჩამომიტანა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. ი. გოგებაშვილის ეს სახელმძღვანელოები ქართულად გამოვიდა 1868-9 წლებში, „ბუნების კარი“ ი. გოგებაშვილმა გამოსცა 1868 წელს.

2. აქ ლაპარაკია კ. ლორთქიფანიძის შემდეგ წერილზე: „ორი-

ოდე შენიშვნა უფ. იაკ. გოგებაშვილისაგან შედგენილ ხელმძღვანელებზედ" („დროება" № 51, 1869 წ.) ხელმოწერილი აქვს კ ი ლ ო კ ა ვ ა ძ ე.

3. ცნობილი პედაგოგი ი. გოგებაშვილი, რომელიც ახლო იდგა „დროების" ჯგუფთან.

4. ნიკო ნიკოლაძე.

5. ა ლ. ც ა გ ა რ ე ლ ი—შემდეგში ცნობილი პროფესორი. იმ ხანებში იგი დატოვებული იყო პეტერბურგის უნივერსიტეტთან და მიუნხენში მივლენილი საბუნებისმეტყველო მუშაობისათვის. ცაგარელი „დროების" დაარსებიდანვე თანამშრომლობდა ამ გაზეთში. მოთავსებული აქვს მოთხრობები. აღნიშნული წერილი ხელმოუწერელი დაიბეჭდა 1870 წ. იანვრის ნომრებში. ავტორი ამ წერილში ეხებოდა ქართულ მწერლობას და მის მიმართულებას. დიდი ხნის განმავლობაში ამ წერილის ავტორის ვინაობა ჩვენში უცნობი იყო (იხ. არ. ჯორჯაძის მეხუთე წიგნი).

წერილი მეექვსე

თბილისი, 1870 წ. 15 თებერვალს.

კირილე! შენი კეთილი გულის ამბავი ვიცი და ამიტომ იმედი მაქვს, არ მიწყრები, რომ ამდენი ხანია შენ წიგნზე პასუხი ვერ მოგწერე. შენი სტატია და წიგნი ეს ორი კვირა იქნება რაც მივიღე, მაგრამ დახე ჩემს ცულღუტობასა, ჯერაც არ წამიკითხავს (რასაკვირველია, სტატია) და ამის გამო იმაზედ ვერაფერს ვერა გწერ. ეს გარემოება არც სულ მართალია, ჩემს ცულღუტობას არ უნდა მიეწეროს. მე არ დაუჩქარდი იმის წაკითხვას ერთი მხრივ იმიტომ, რომ საჩქარო არ იყო, რადგან იმისაგან ქვეყნის დანახვა ნიკოზედ არის დამოკიდებული და სანამ ის არ მოიწერს (როგორც შენ მთხოვე), მანამ ვერ დავბეჭდ; მეორე მხრით, იმიტომ, რომ სხვა საჩქარო საქმეები მქონდა. თვე ნახევარზე მეტია, რაც ნიკო ქუთაისს ჩამოვიდა; ერთი წიგნი მოიწერა ამ ერთი თვის წინეთ და მეუბნებოდა ორ კვირაში უსათუოდ ჩამოვალო, მაგრამ ჯერაც არსად ჩანს არც ის და არც იმის სტატიები, რომლებზედაც მწერდა. მომივიდა თუ არა შენგან სტატია, იმ წამსვე შევატყობინე და ინსტრუქციები ვთხოვე, მაგრამ ისევ დუმილი. დღეს კიდევ ვწერ წიგნს უფრო დაწვრილებით და ვთხოვ როგორც ამაზედ, ისე შენთვის ფულების გამოგზავნის თაობაზედაც მალე შემატყობინოს გარდაწყვეტილი ამბავი. შენ სახელს არ

ვახსენებ, ნუ გეშინია, მომივა რამე ამბავი თუ არა იმ წამსვე შეგატყობინებ.

შენი ფსევდონიმის გამომჟღავნებაში,[1] მგონი მე ვარ დამნაშავე და ამიტომ ყური მომიშვერია და ნებას გაძლევ მომწიო. მართალი გითხრა, ფსევდონიმს ჩვენში ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც შენ მიუწერ. მენ შენ გარწმუნებ, რომ კ ი რ ი ლ ე ლ ო რ თქიფანიძე რო მოგეწერა უფრო ბევრი იცნობს, ვიდრე კილოკავაძეს.[2] დიახ, კირილე, ჩვენში ეს საბუთია. მეორე. შენ ამბობ, რომ ჩემი ამხანაგებისაგან, ნაცნობებისაგან და საზოგადოთ მკითხველებისაგან მხოლოთ მაშინ გავიგონებდი ნამდვილს და მიუფერებელ აზრს ჩემ სტატიაზეო, როცა იმათ ჩემი ფსევდონიმი არ ეცოდინებათო. შენ სცდები, ჩემო კირილე, მე მგონი, ამაში კ ე თ ი ლ გ ო ნ ი ე რ ი შენი ამხანაგები და ნაცნობები, მე მგონია, პირმოთნეობით არ აქებენ შენ სტატიას, თუ ის. ცუდია, და არ გიგინებენ, თუ კარგია, წინააღმდეგ შემთხვევაში მე იმათ კეთილგონიერებად ვერ ჩავთვლი; და ოხრების აზრი, რასაკვირველია, შენთვის გამოუსადეგია. სხვათა შორის, შენ ამისთანა საფუძველიც მოგყავს: „თუ ერთი ორი სტატია ფსევდონიმისა ივარგებდაო, მაშინ საზოგადოთ ფსევდონიმის სტატიებს მკითხველები ყურადღებას მიაქცევდენო და ეს გაზეთისათვისაც სასარგებელი იქნებაო.“ ერთი მითხარი, შენი ჭირიმე, განა არ შეიძლება—ყველა ეს მოხდეს, როცა შენ სტატიას ნამდვილი შენი გვარი მოეწეროს?

ჩემი აზრით ფსევდონიმს მავნებელი მოქმედება აქვს ლიტერატურაზე. აი, როგორა, როდესაც კაცმა წინათვე იცის, რომ იმის რომელიმე მოქმედებას მთელი ქვეყანა გაიგებს და ყველანი ამ საქმით დაიწყებენ იძის პიროვნებაზე სჯას და ლაპარაკს, მაშინ, უეჭველია, ის უფრო ეცდება, რომ იმის საქმე საქებარი და სამაგალითო იქნეს, ვიდრე მაშინ, როცა ის დარწმუნებულია, რომ საქმის მომქმედს კაცი ვერ გაიგებს. ჩვენ „კაცნი ვართ, ადამიანნი.“ ყოველი კარგი საქმე გვინდა მივითვისოთ და ცუდი, სხვას ვისმეს დაუსაკუთროთ. ჩემ თაეზე აი რა გამომიცდია: როცა ჩემ საყვარელ „დროებას“ ხანდისხან კირიანი საკვები შემოკლებია, მე ამიღია კალამი და ერთი ან ორი საათის განმავლობაში დამიჯღაბნია რამე უხეირო: ამისთანა სტატიის ქვეშ მე არ მომიწერია ხოლმე არასოდეს ჩემი საკუთარი გვარი. რატომ? მისთვის, რომ მრცხვენია ამისთანა სუსტი ქ მ ნ ი ლ ე ბ ი ს მითვისება, კარგი რამ რომ დამეწერა, დარწმუ-

ნებული იყავი, დიდი სიამაყით მოვაწერდი სრულ სახელსაც და გვარსაც. საკუთარი სახელის მოწერა ამისათვის არის კარგი, რომ არ გააბედვინებს კაცს ასეთი რამ დაანახვოს ქვეყანას, რომლის მითვისება თითონვე ეთაკილებოდეს.

ეს ჩემი აზრია; შენ, რასაკვირველია, შეგიძლია არ დამეთანხმო ამაზე და მომთხოვო, რომ შენი სახელი არ მოვაწერო შენს სტატიებს და დარწმუნებული იყავი, რომ ავასრულებ ამ მოთხოვნილებას без разсуждений.

კირილე, ერთი ამბავი უნდა მოგწერო, რომელიც, მგონია, ძალიან გაგაკვირვებს. ამ წლიდან „დროების“ რედაქციას აქვს შეძლება ღონორარი აძლიოს თავის თანამშრომლებს.[3] ჯერ-ჯერობით მე მაქვს გარდადებული თანამშრომლებისათვის 600 მანეთამდი და მალე, მგონია, მომემატოს. თავდაპირველად მინდოდა ერთი თანამშრომლის აყვანა და ეს ფული იმისათვის მიმეცა, მაგრამ მოფიქრების შემდეგ, ვარჩიე სტატიებისათვის ღონორარის მიცემა ისეთ პირებს, რომელნიც განსაკუთრებით საჭიროებენ და, რასაკვირველია, ხეირიანი რასმეს დაწერა შეუძლიათ.—ეს საქმე იცოდე, საიდუმლოა; შენ და ინაშვილის[1] მეტმა ამ საქმეზე არავინ არაფერი არ უნდა გაიგოს. მე ჩემი მიზეზები მაქვს. აი, რანაირი წინადადება უნდა მოგცე, კირილე, თუ დრო გაქვს და იკისრებ, მე შემიძლია ყოველ თვე 20 მანეთი გიგზავნო იმ პირობით, რომ თვეში რვა „დროების“ კოლონის ასავსები მასალები ჩამაბარო; „დროების“ თითო კოლონაში 80 სტრიქონია, ასე რომ სტრიქონზე თითქმის 3 კაპიკი მოგივა; მართალია ცოტაა, უღმერთობაა, მაგრამ რას იქ, მეტი არ შეიძლება თუ გინდ ისე, უვადოთ, მოგირიგდეთ, ე. ი. როდესაც და რამდენსაც გამომიგზავნი, იმის ფასს მოგცემ მაშინვე, ეს ორიგინალური სტატიებისათვის და ნათარგმნისათვის კი სტრიქონზე—2 კაპიკის მეტი არა. ამაზედ ამასთანავე ვწერ ინაშვილსაც და იმასაც ამგვარ პირობებს უთვლი; თუ შესაძლო იქნება და დამეთანხმებით, მე მგონია, ორივე მხარესათვის სახარბიელო იქნება. ამას გარდა, კირილე, ერთი პირობა უნდა გამოგართვათ (განსაკუთრებით, შენ): სტატიებზე თქვენი სახელი და გვარი უნდა მოაწეროთ. ჩემი ანგარიშები ითხოვენ ამას. მომავალს მარტში მიიღებ ჩემგან, თუ ნიკომ არ გამოგიგზავნა, 30 მანეთს მაინც. მომავალ კვირას ინაშვილს მოუა 25 მან. მაგრამ გაზეთის ფულებიდან კი არა.

ამას გარდა მე მინდა ზოგი ცვლილება მოვახდინო „დროებაში“ ივლისიდან (შუა წლიდან) ან ახალი წლიდან; შეიძლება ფორმატი გამოვცვალო და ერთ თაბახის მაგივრად თაბახ ნახევარი გამოვსცე კვირაში, ანა და ფასი დაუკლო ერთი მანეთი მაინც, თუ მეტი არა, შეიძლება, კიდევ, რომ გაზეთს ესეც ფასი დარჩეს, მაგრამ წელიწადში სამი დამატება მაინც გამოვსცე, თითო სამი ან ოთხი დაბეჭდილი თაბახი. ამაზე ჯერ ხეირიანად არ მომიფიქრებია. ეს კი ვიცი, რომ შვიდ მანეთზე ზევით აწევა ფასისა არას ეზით არ მოხერხდება.

ყველა ამ საგნებზე შენ თუ მალე და დაწერილებით პასუხს მომცემ, ძალიან კარგი იქნება.—ერთხელ კიდევ გთხოვ, კირილე, ეს ამბავი შენ და იხაშვილის მეტმა არავინ იცოდეს. ამას სხვათა შორის იმიტომ გეუბედრებით, რომ სხვებმა რომ გაიგონ, დაიწყებენ წერას და სუსტ სტატიებში ფულებს ითხოვენ; „სხვებს თუ აძლევთ ჩვენ რა ვართო!“ დამეთანხმე, რომ ყოველ უბრალო კორესპონდენციაში (რომელიც, შეიძლება დაბეჭდის ღირსი იყოს) ფულის მიცემა გასაჭირია. ეს მიზეზი, გეუბნები, სხვათა შ ო რ ი ს ა რ ი ს, უმთავრესი კიდევ სხვა არის, რომელზედაც არც შენ და არც სხვამ არავითარი იცის და ვერც უნდა გაიგოს.

ნიკოს მიეწერე, თუ სანახევროთ შემომიდგება, ამ ორ თვეში გამოვსცემთ ერთ დამატებას წიგნათ,“ რომელიც „დროების“ ხელის მომწერლებსაც დაერიგება და ცალკეც გაიყიდება. იმაში დავბეჭდ მაშინ შენ სტატიას; ამას გარდა მე მაქვს კიდევ სხვა სასბორნიკო სტატიები და ლეკსებიც. რა კარგი იქნება, რომ ამ სბორნიკისათვის ერთ კარგ, პატარა მოთხრობას ან რომანს, რასაკვირველია, (ჩვენი ცხოვრებიდან) დაწერდეს ვინმე! ოთხ კაპიკს მივსცემ სტრიქონში. თაჳი ნუ მოგიკვდება, კირილე, ეს ამბავი ღონორარზე საეჭვოდ არ მიგაჩნდეს, იცოდე, რომ აქ ერთი სიტყვა არ არის მომატებული და წინ დაუხედავათ ნათქვამი; რაზედაც გწერ ყველაფრის ასრულებას შენ თითონ ნახავ და თუ დამეთანხმები ზემო თქმულზე, შენ თავზედაც იგრძნობ, მეტი არა მინდა რა ახლა, რომ ერთი ხეირიანი ქრონიკერი ვიშოვნო ქუთაისში; არ იცი, კირილე, შენ—რა საჭიროა „დროებისათვის“ კარგი ქრონიკერი ქუთაისში...

კიდევ რაღაცაები მაქვს მოსაწერი და მოსალაპარაკებელი, მაგრამ ეხლა დრო აღარ არის, სხვა დროისათვის დარჩეს. შეიძლება მალე მოგწერო კიდევ წიგნი. ამის პასუხს კი მოველი მალე, შენგან.

მანდაური ძველი ქართული წიგნების თაობაზე, თითონ უმიკაშვილი ან წერეთელი აპირებენ მოწერას და ამიტომ მე არას გწერ.[6] ჩემ ძმაზე მომწერე რამე. გ. წერეთელი ასწავლის კი ქართულ ენას რეალურ გიმნაზიაში, მაგრამ მასწავლებლად ჯერაც არ დაუმტკიცებიათ. „სასოფლო გაზეთს“ არც წელს მისცეს ჯერ-ჯერობით სუფსიდია. მერმისათვის კი უსათუოდ დაჰპირდენ 900 მანეთის მიცემას. ჯერ ისევ კერესელიძეს აძლევენ. ვერ მოიწერები რა ამბავია, რომ ეს ორი კვირა არის, რაც რუსეთის ფოჩთები არ მოდის აქ?...

ვ ე ნ ა ხ ს ნ ე ბ ი

1. როგორ პირობებში და როგორ გამომჟღავნდა კ. ლორთქიფანიძის ფსევდონიმი, არ არის ცნობილი.

2. კილოკავაძის ფსევდონიმით „დროებაში“ მოთავსებულია რამდენიმე წერილი (იხ. „დროება“, № 51. 1869 წ. და 1870 წლის ნომრები).

3. შესძლო თუ არა „დროებამ“ თავისი თანამშრომელებისათვის ჰონორარის მიცემა, ან საიდან აპირებდა ამ თანხის შოვნას ს. მესხი, არ არის ცნობილი. პ. უმიკაშვილი აღნიშნავს, რომ „დროებას“ დიდ მატერიალურ დახმარებას აძლევდა ახალგაზრდა მდიდარი სტეფანე ზარაფოვიო (იხ. „ივერია“, № 7, 1881 წ.).

4. ნ ი კ ო ნ ი ნ ა შ ვ ი ლ ი „დროების“ თანამშრომელი. „მნათობში“ მოთავსებული აქვს ორი წერილი და მილის თარგმანი ქალთა განთავისუფლებაზე. გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა 1870 წელს (იხ. ნიკო ნიკოლაძის წიგნი, გვერდი 133—36).

5. „დროების“ ეს დამატება არ გამოსულა.

6. 1869 წლიდან პ. უმიკაშვილი, გ. წერეთელი და ნ. ბერძნიშვილი შეუდგნენ ძველი ქართული ხელნაწერების შეგროვებასა და გამოცემას. პირველად გაეწოსცეს „დავითიანი“ გ. წერეთლის წინასიტყვაობით. ცხადია, ისინი პეტერბურგის არქივებშიაც ეძებდენ ხელნაწერებს.

7. ამ წერილს ბოლო აკლია.

წერილი მეშვიდე

თფილისი, 1870 წ. მარტის 29-ს

ძმაო კირილე! ღმერთმა კი იცის, რომ მე ვერ გამიგია შენი მოსაზრება ფსევდონიმის მნიშვნელობაზე... რას ნიშნავს, მაგალითად, შემდეგი სიტყვები: თუ ნამდვილ სახელს მოუპოებია სახელოვანება, მაშინ იმის შედარებით ფსევდონიმი იმაზედ უმდარესი იქნება და თუ ფსევდონიმი გაიცნო საზოგადოებამ მოქმედებით, მა-

შინ ეს ნამდვილ სახელსაც ემჯობინება. „რას ნიშნავს ეს სიტყვები? მართალია ფსევდონიმიცა და ნამდვილი სახელიც „იარლიკია“; მაგრამ შენი ნამდვილი სახელი მე იმიტომ მინდა, რომ იმას უფრო იცნობენ ჩვენი მკითხველები (როგორი მხრითიც უნდა იყოს, ეს სხვა საქმეა) და „კილოკავაძეს“ კი იქნება ყურადღებაც არ მიაქციონ, აი ჩემი ანგარიშები.

მეორე ალაგას ფსევდონიმის თაობაზედვე შენ ამბობ, თუ მაინცა და მაინც იტყვის, რომ ფსევდონიმი სჯობიაო, მაშინ ნურც ერთ სტატიას ნუ მოაწერ ავტორის სახელსაო; ამ შემთხვევაში კერძოობითი პირების ნაცვლათ, შეკრებილებითი პირი, გაზეთი მოიპოვებს რენომესაო და ეს საჭიროა მკითხველების გამრავლებისათვისო. მიკვირს, როგორ არ გესმის, რომ გაზეთს ან ჟურნალს მოემატება მკითხველები ამას გარდა იმ შემთხვევაშიაც, როცა ამ გაზეთში ან ჟურნალში საუკეთესო და გამოჩენილი მწერალნი სწერენ და თავის სახელს აშკარათ აცხადებენ. წარმოიდგინე რომელიმე უფერული ჟურნალი, მაგ. „Библиотека для чтения“ 1861 წლისა, წარმოიდგინე, რომ ჩერნიშევსკიმ და დობროლიუბოვმა იყიდეს იმ დროს ეს ჟურნალი: გაუმრავლდებოდა იმათ მკითხველები, რომელთაც გაგებული ექნებოდათ ეს ამბავი, თუ არა? ნაცნობი სახელები განსაკუთრებით ჩვენი მკითხველებისათვის, ერთი სიტყვით, ბევრს ნიშნავს, კირილე, იცოდე.

ჩემი აზრი იმაზე, რომ ფსევდონიმების მიმადლით ხშირათ სტატიებს ღირებულება აკლდებათ, ბეჯითი მიმაჩნია (ჩემი სიტყვებიდან არა სჩანს, მგონია, რომ შენ მყავდი სახეში. მე საზოგადოთ ვლაპარაკობდი). მაგრამ შენი მოსაზრება, რომ მაშ რედაქციაც იმიტომ აწერს სტატიების ქვეშ ავტორების სახელს, რომ ეშინიან თვითონ იმას არ მიაწერონო, სრულებით უსაფუძვლოა. ავტორების სახელებს რედაქცია იმიტომ აწერს სტატიების ქვეშ, რომ ამას თითონ ავტორები თხოულობენ. ეჰ, კმარა ამაზე...

ინაშვილისაგან ჯერ წიგნი (პასუხი) არ მომსვლია. ჩემთვის ძალიან საჭიროა, რომ მალე შევიტყო გადაწყვეტილი ამბავი, რადგან შენ მუდამ თანამშრომლობას ვერ ჰპირდები გაზეთს, ამის გამო, შენი სტატიების მოსვლისთანავე, იმ ანგარიშით, როგორც წინანდელ წიგნში გწერდი, სტრიქონებზე გამოგიგზავნი ფულებს. ამ ფულების წყაროზე, რომლის შეტყობას ისე ესწრაფის შენი ცნობის-მოყვარეობა, ჯერ ვერა გწერ ვერაფერს, მხოლოდ იმას გარდა,

რომ პატიოსან სიტყვას გაძლევ, რომ ამ წყაროსაგან „სმევა“ არც ერთი პატიოსანი კაცისათვის სათაკილო არ არის. ანა და მიკვირს что за шелестильность такая! ჩვენ თუ გლეხების ნაოფლარი და ნაღვაწი ფულებით ვიკვებებით, ამის გამო შემდეგ ამაზე უარესი სათაკილო კიდევ იქნება რამ?.. შენი მახვილი გონება შეცდა; ამ ფულებს არავითარი კავშირი არა აქვს იმ სიტყვასთან, რომელიც მე ვსთქვი ა. ჯ. ორბელიანის დასაფლავებაზე.[1] თითონ მისი ოჯახი ღარიბი და ღატაკია. ძალიან მწყენს თუ ასე ცუდი აზრის ხარ შენ ჩემზე, რომ მე ანგარიშ მოყვარეობით ყველაფერი ცუდ-კაცობა შემიძლია, ძალიან მწყენს აგრეთვე, რომ ვერ მიხვდი, რისთვის ვთქვი მე ამნაირი სიტყვა გენერალიტეტის წინა...

ამ ფულების წყაროს კიდევ სხვა ბევრ კარგ საქმეებთან აქვს კავშირი და როდისმე ყველაფერს ერთად და დაწვრილებით მოგწერ იმ იმედით, რომ არ გამცემ.

ამ წელს ოთხი სბორნიკის გამოცემა შეუძლებელი საქმეა, სხვადასხვა მიზეზების გამო. ორი კი შეიძლება. პირველათ, როგორც გწერდი, გამოვა მაისში ან ივნისში და მეორე კი ნოემბერში ან დეკემბერში. მერე გაისს, ნებართვა უნდა ვითხოვო, რომ დროგამოშვებით სბორნიკების გამოცემის ნება მოგვეცეს დროების დამატებასავით.

ნიკოსაგან 20 ნომრის საყოფი სტატიები კი არა 20 სტრიქონი არ მომსვლია შარშან ზაფხულის შემდეგ. ძალიან მაწუხებს იმის დაუდევრობა: ორი თვეა მწერს მოვალო და ჯერ კი არსად სჩანს და არც იქიდან არაფერს იგზავნება. ამბობენ, მამის საქმეებშიაო გართული.

ყველაზე უფრო მე მაკვირვებენ დ. აბდუშელიშვილი და ლოლუა. ამბობენ რომ ახალმა სულმა და ადვოკატობამ ისე ჩაჰყლაპა ისინიო, რომ სუდებნი უსტავის სტატიების მეტს არაფერს დასდევენ ქვეყანაშიო; მუდამ იმაზე აქვთ თურმე სჯა, ბაასი და ჩხუბი: აი ეს სტატია ასე უნდა გაიგოს კაცმა, ამ კასსაციონნი რეშენიას ეს აზრი აქვსო და სხვა. აბდუშელიშვილისაგან მაინც არ მოველოდი. საზოგადოთ, ძმაო, ახალმა სუდმა თხუთმეტა იმდენი ვნება მოიტანა, რაც სარგებლობა: ყველა ახალგაზრდა და ცოტანი მაინც საიმედო პირები სრულებით შთანთქა. ეს კარგი პოლიტიკაა მმართველობის მხრივ.

ცაგარელის სტატია მეორედ და მესამედ რომ წავიკითხე, უფრო მომეწონა, ასე რომ ეხლა ვნანობ იმ შენიშვნისათვის, რომელიც

პირველ სტატიას გაუკეთე. 10 პუნქტი მაინც ვნახე, რომელზედაც შეიძლება გაჩერდეს და მოიფიქროს კაცმა. მაშ მე შენ აზრზე ვერ დაგეთანხმები. ამაზე როდესაც შეიძლება უფრო დაწვრილებითი მოლაპარაკება.

აკი მოგწერე მგონია, რომ შენგან გამოგზავნილი სტატია სბორნიკისათვის მაქვს შენახული-მეთქი? ძალიან კარგი რამ არის, მაგრამ ჩემი აზრით, მძიმეთ ნათარგმნია, ერთობ ბევრი ახალი და ზოგან გაუგებარი ქართული სიტყვებია ნახმარი. მაგ., რა არის „შესახვედრობა," ამისთანა სიტყვები ბევრია, სხვაც „გამორიცხვაო" და სხვა, განა არ შეიძლებოდა გვერდი აგვეარა ამისთანა სიტყვებისათვის?

დამიგვიანდა ფოსტაში და ამიტომ მეტს ვერას გწერ, ესეც მივჯღაბნ-მოვჯღაბნე და თუ გაიგებ ხომ კარგი. ამ საალდგომოთ მე ქუთაისში მივდივარ ორი კვირის ვადით, მინდა იმერეთი დავიარო გაზეთის თაობაზე. მანდედან ძალიან ცუდი ამბები ისმის, გახშირებული არესტებიაო და მესამე განყოფილება დიდ ამბებში ჩასდისო. განა საშიშია ამაზედ რომ რაიმე მოიწეროს?

შენ თავზე რათ არაფერს იწერები: როდისთვის ემზადები ეგზამენის დაჭერაზე და ჩამოსვლას? ამბობენ, რომ შენ კარგათ გაგიზეპირებია იურიდიული ლექციები, მაგრამ ეგზამენზე მისვლა გეშინიაო, მომეტებული სიფრთხილე ხომ სიძაბუნის ნიშანია...

შენი სერ. მესხი

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ა

1. 1869 წ. დეკემბერში გარდაიცვალა ცნობილი ა. ორბელიანი, ერთ-ერთი მეთაური 1832 წლის შეთქმულებისა, „ცისკრის" თანაშრომელი, დრამატურგი და ჟურნალისტი. სერ. მესხმა წარმოსთქვა მის დასაფლავებაზე სიტყვა. ამ სიტყვის დედანი ინახება მესხის არქივში (იხ. საქ. მუზეუმის საქმე, № 5103).

2. ცაგარელის წერილებს შენიშვნები ჰქონდა გაკეთებული, რომ რედაქცია არ ეთანხმება მას ზოგიერთ მოსაზრებებშიო.

წერილი მერვე

ივნისის 2, 1870 წ. თბილისი

ძმაო კირილე! იმედი მაქვს, არ მემდური, რომ ეს ორი წიგნი მომივიდა შენგან და მარტო ახლა მოვახერხე პასუხის მოწერა. პირველი წიგნი რომ მოვიდა შენი, მაშინ მე ქუთაისში ვიყავი და

ამიტომ ვერ მოგწერე. ახლა ეს ერთი თვეა აქა ვარ, მაგრამ, საუბედუროთ, ვრცელ წიგნს ვერც ახლა გწერ, რადგან დღეს გაზეთი გამოდის და შენც მიხვდები—მოცალება არ მექნება. უკანასკნელ დროს არც შენ იტეხ თავს გრძელი წიგნების მოწერით. ძალიან სასიამოვნოა, რომ ნიკოლაძის ჩამოსვლა და „დროებაში“ იმისაგან მონაწილეობის მიღება ასე დაეტყო გაზეთს. ნეტა განახვა ამ თავით რანაირათ არის ის გართული ამ გაზეთში (это свойство всех стремительных натур). ვნახოთ შემდეგში... ამ მოკლე ხანში ბევრი ადგილებიდან მოგვივიდა თანაგრძნობის და ქების წიგნები; „დროება“ უკანასკნელ დროებაში ძალიან გაკეთდაო, განსაკუთრებით აღტაცებაში მოუყვანია ჩვენი ახალგაზრდობა მ ე თ ე ქ ვ ს მ ე ტ ე ნომერს; მაგრამ ამ ნომერში ლექსებზე და მელექსეობაზე ნიკოლაძის შენიშვნა რედაქციისაგან მე, მართალი გითხრა, სრულიათ არ მომწონს. მიზეზები: ერთი ეს, რომ შარშანდელ ერთს №-ში რედაქციისაგან იყო ნათქვამი, რომ „ჩვენმა მწერლებმა, წერის მსურველებმა, ჯერ წერა უნდა დაისწავლონ და მერე გზავნონ სტატიები დასაბეჭდათ-თქო.“ ახლანდელი რედაქციის შენიშვნისაგან სჩანს, რომ რედაქციას უბეჭდია „დროებაში“ ისეთი მწერლების ლექსები,[1] რომელთაც წერა არ სცოდნიათ და რომელთა ლექსები ღირსი არ ყოფილან დაბეჭდვისა. Явное противоречие. მეორე—ამიტომ, რომ დააფრთხო ჩვენი ახალგაზრდა პოეტები და ახლა არავინ აღარ გზავნის ლექსებს „დროებაში“ დასაბეჭდათ; ყველამ ისე გაიგო შენიშვნა, რომ ლექსების წინააღმდეგი შექმნილა რედაქციაო და აწი იმათ აღარ დაბეჭდავენ გაზეთშიო. ეს ხომ ხეირიანი საქმე არ არის, როგორ იტყვი შენ? ხომ იცი როგორ უყვართ ჩვენში ლექსები, თუნდ უხეიროც იყვნენ? მე ვიცი და გამიგონია კიდეც, რომ ბევრი მარტო ლექსებისთვის იწერს გაზეთს და სანატრელია, რომ უიმისოთაც მკითხველების ვიწრო წრეს მოაკლდეს? მე მგონია, რომ თუ ცუდი ლექსები იყო „დროებაში“ (ამაზე თანახმა ვარ), შეიძლებოდა შემდეგში მიგვექცია ამ საქმისათვის ყურადღება და აუარებელ ლექსებში, რომლებსაც დასაბეჭდათ აგზავნიან, საუკეთესო გამოგვერჩია. არც ისეთი ახალგაზრდა პოეტების ხელის-კვრაა საქები, როგორც მაგ, ჭალადიდელი,[2] რომელსაც უეჭველია ნიჭი აქვს და რომელსაც, შეიძლება, ხელები ჩამოეშვას.

„კრებულის“ ბეჭდვა დავიწყეთ,[3] ამთავით იბეჭდება შენგან გა-

მოგზავნილი სტატია,[4] რომელშიაც ორი, თუ ორ ნახევარი თაბახი წაშალა ცენზორმა, მაგრამ, ღეთის მადლით, მაგის დაწერს ისეთი შანერა აქვს წერისა, რომ ერთსა და იგივე აზრს ორჯერ-სამჯერ დაღეჭს და ისე მიართმევს მკითხველს. ცენზორს სრული დაღეჭვა არ მოეწონა; სტატიის აზრი არ გამოცვლილა, რაც უნდოდა ავტორს, ყველაფერი ნათქვამია ისევ; მაგრამ ნაკლები სიცოცხლით და განმარტებით. გულსმოდგინე მკითხველი ყველაფერს ადვილად გაიგებს, რაც უნდოდა ეთქვა ავტორს.

გივზავნი 20 მანეთს.

რატომ შენ საქმეებზე არაფერს არ იწერები? რათ არ მოგწონს ოდესა? ნუთუ იმ საქმეს, რომლისთვისაც ჩამოდი მანდ, ვერ მოიყვან სისრულეში? დავით ღოღობერიძე ჩამოსულა ქუთაისში; ვიღაცამ სთქვა.

სხვა, მშვიდობით. შენ წიგნს მალე მოველი.

ს ე რ. მ ე ს ხ ი

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. ნიკოლაძეს აღნიშნული წერილი ხელმოწერილია და სათაურად აქვს „რედაქციის შეხიშვნა“ (№ 16).

2. პოეტმა გ. ჭალადიდელმა (ქოჩაკიძემ) იმ ხანებში დაიწყო ლიქსების ბეჭდვა გაზ. „დროებაში“ (იხ. № 15, 25), შემდეგში მან, როგორც პოეტმა საკმაოდ გაითქვა სახელი.

3. „კრებულის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1871 წ. გ. წერეთლის რედაქტორობით.

4. ეს სტატია შეიძლება იყოს „ს ა ზ რ დ ო“, რომლის დედანიც კ. ლორთქიფანიძის არქივში ინახებოდა, ხოლო დაიბეჭდა „კრებულში“ და დედანთან შედარებით სჩანს, რომ შიგ მრავალი ადგილებია ამოღებული ცენზორის მიერ.

წერილი მეცხრე

თფილისი, 1872 წ. 26 იანვარს.

ძმაო კირილე!

მე და შენ შუა იმდენი ხანია მიწერ-მოწერა შეწყდა, რომ შენი წიგნი, რომ არ მომსვლოდა არ მეცოდინებოდა—რაზედ გელაპარაკო, რით დავიწყო და როგორ გავათაო. მაგრამ ეხლა პატარა ბარათში იმდენი კითხვებია, რომ თითო კითხვაზე, ორ-ორი სიტყვის მოწერით ძლიერ ვრცელი ბარათი შესდგება. შენ იქვნეული

კაცი ხარ, ჩემო კირილე, და მეშინია—ვაი თუ ჩემი ამდენი ხნის წიგნის მოუწერლობა, როგორმე სხვანაირად ახსნა, ამიტომ პირდაპირ გეტყვი, რომ ამის მიზეზი არც დროს უქონლობა იყო, არც რაიმე სამდურავი და არც სხვა რაიმე ამგვარი გარემოება. ამის მიზეზი იყო ქართველური დაუდევრობა. დღეს, აი ხვალ მივსწერ-მეთქი და ამასობაში დღეები და თვეები კი არა, წელიწადები გავიდა და ერთი წიგნი ვერ მოგწერე. მაგრამ ამაზედ კმარა... სჯობს ისევ საქმეს შეუდგე და აქაური ამბები, ჩვენი ალიან-ჩალიანის ამბები მოგწერო, მაგრამ ამ წამში იმდენი რამეები მომიგროვდა თავში, რომ, ღმერთმანი, არ ვიცი რომელი ერთიდამ დავიწყო... ისევ „დროებიდამ" მოვყვეთ.

შენ მართალი გაგიგონია, რომ მე კინაღამ „დროებას" თავი არ დავანებე. საქმე აი რაშია: წასული წლის ოქტომბერში მე და ვახ. თულაშვილს[1] (მელიქოვის სტამბის გამგებელს) ლაპარაკი მოგვივიდა იმის თაობაზე, რომ ხშირათ სტამბა სრულიად დამზადებულს გაზეთს თავის დროზე არ აბეჭდინებდა და ამის გამო გაზეთი პარასკევის მაგიერათ, კვირას ან ორშაბათს გამოდიოდა: თფილისს და გარეშე ხელის მომწერლებისაგან მე საყვედური საყვედურზე მომდიოდა, რომ „დროება" თავის დროზე არ მოგვდისო. ზოგიერთები სულაც აღარ აწერდენ გაზეთზე ხელს ამის გადამკიდე, მელიქოვის სტამბა კი თავის ბლანკებსა და სხვა განცხადებებს ჰბეჭდავდა ამ დროს, და გაზეთი ფეხებზე ეკიდა. აი ეს გარემოება იყო პირველი მიზეზი ჩვენი უთანხმოებისა... მე და ვახ. თულაშვილმა კარგა-გვარიანათ შევლანძღეთ ერთმანეთი. ცოტა ხანს შემდეგ მე შევიტყე, რომ კამპანიას[2] (მელიქიშვილს, თულაევსა და დ. ბაქრაძეს) ერთმანეთში მოლაპარაკება ჰქონიათ და მგონი კიდეც გადაუწყვეტიათ, რომ 1872 წლიდამ მესხი ნუღარ გვინდა რედაქტორათ, სხვა რედაქტორი ვიშოვოთო. ხშირათ იკრიბებოდნენ მაშინ ისინი და არჩევდნენ, ვინ ამოვირჩიოთ რედაქტორათო? ერთი ანბობდა გ. იოსელიანი (წყალტუბელი)[3] დავაყენოთო, მეორე სერ. მელიქოვიო (გინახავს?), მესამე (ე. ი. ანტ. ფურცელაძე)[4] ურჩევდა, რომ ჩემი ცოლი დავაყენოთო და სხვა ამგვარები. როდესაც ეს ამბები შევიტყვე, ავდექი და პირდაპირ ულტიმატუმი წარუდგინე: ან სრულებით მე მომეცით გაზეთი-მეთქი (გამომცემლობაც) და ან თუ არ მომცემთ, ღმერთმა მოგახმაროსთ, მე ხელს ვიღებ გაზეთზე-მეთქი. თულაშვილმა, ფიცხელი უარი

სთქვა და დანარჩენმა ორმაც კვერი დაჰკრეს. მაშ ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, დღეის შემდეგ მე გაზეთზე ხელს ვიღებ-ჭეთქი, გამოუცხადე იმათ და შეუდექი ახალი გაზეთის გამოცემის თადარიგს. ეს იყო ნოემბრის (ამოშლილია სიტყვა) მაგრამ ბოლოს თითონ ისინივე მოვიდნენ და ერთს თავის კრებაზე მიმიწვიეს უკანასკნელად მოსალაპარაკებლად. ამ კრებაზე, ბევრი ყიჟინისა და ყბედობის შემდეგ, გადავსწყვიტეთ: 1) „დროების“ გამომცემლათ 1872 წლიდამ უნდა ვიქნე მე და სტ. მელიქიშვილიც, 2) გაზეთი გადამაქვს მელიქოვის სტამბიდამ და სადაც მსურს, იქ ვბეჭდავ; 3) ეკონომიური მხარე გაზეთისა (ყოველგვარი შემოსავალ-გასავალი) ჩემ ხელშია, 4) უჩემოთ მელიქოვს არ შეუძლია გამომცემლობა ვისმეს გადასცეს და უმისოდ—მე, და ზოგი სხვა წვრილმანი პირობები შევკარით ერთმანეთში, ნოტარიუსის წესით, და განეშორდით ერთმანეთს. თუ ამ წლის პირველ ნომრებზე გამომცემლათ მარტო მელიქოვის გვარს ჰკითხულობ, ამის მიზეზი ის არის, რომ ჯერ ვლავინი უპრაველნიას არ დაუმტკიცებივარ მე გამომცემლათ, რადგან ქაღალდი გვიან შევიტანეთ.[5] —აი მოკლეთ იმ ხმების ამბავი, რომელიც შენ მანდ გაგიგონია, ამ ჩემს შეტაკებაში ბევრი კომიკური და ბევრი ტრაგიული ეპიზოდები იყო, მაგრამ ყველასი წიგნით გადმოცემა შეუძლებელი საქმეა.

დღემდი შენ „დროება“ (2 ნომერი) უნივერსიტეტში გეგზავნებოდა და დღეის შემდეგ ახალი ადრესით გამოგიგზავნი, თუ ის ნომრები დაგეკარგა და თუ გინდა მის მაგიერი გამოგიგზავნო, მომწერე. ახალი სათაური „დროებისა“[6] მაგდენად მე თითონაც არ მომწონს და აბა შენ რათ მოგეწონება. შეგიძლია თითოეულ ასოს ნაკლოვანებაზე თითო ტომი დასწერო და გამომიგზავნო; მაგრამ ამაზე უფრო იმას დაგიმადლებ, ახალ ასოებს რომ დამიხატავდე, კარგათ, შენებურათ, და გამომიგზავნიდე. ეს ასოები დიმ. ყიფიანმა[7] დახატა. ჩვენ აქ უკეთესი ვეღარ მოვიგონეთ და ამასთან კიდეც გვეჩქარებოდა. თუ გამოგზავნი, ამომჭრელს აქაც კარგს ვიშოვნით. „დროება“ ჯერ ჯერობით მაგრათ დგას. მე ცხადათ ვატყობ, რომ აქაც და განსაკუთრებით იმერეთშიც „დროებას“ ახლა უფრო მომეტებულის ინტერესით ჰკითხულობენ ვიდრე იმ ორი-სამი წლის წინათ. ეს ხალის მომწერლების მომატებაზედაც ეტყობა, სხვა არა იყოს რა. რასაკვირველია, „დროება“ და მისი გავლენა და მდგომარეობა მე ცისარტყელ. ს სინათლეში (როგორც

ნიკოლაძე იტყოდა) არ მეჩვენება, მაგრამ ისიც კარგია, რომ ცოტათი მომეტებულის ინტერესით ჰკითხულობენ და ხანდისხან წაკითხულსაც ყურადღებას აქცევენ ხოლმე.

ეხლა „კრებულზე“. დიახ, ჩემო კირილე, დიდათ სამწუხაროა, რომ „კრებულმა“ თითქმის კიდეც გადააჭარბა „მნათობს“ ფხმძიმობაში.[8] მაგრამ რა გაეწყობა! გაეწყობოდა ბარემ რამე, მაგრამ ღმერთმა ნიკოლაძეს და იმის ტყიბულას მოჰკითხოს.[9] „კრებულის“ წაყვანა ნიკოლაძემ ითავა, მაგრამ არ ვიცი—საუბედუროთ თუ საბედნიეროთ, ამავე ნიკოლაძემ ამავე დროსვე ტყიბულის ქვის ნახშირსაც მოჰკიდა ხელი და მილიონების იმედი აქვს. ხუმრობა გაშვებით და [ნახევარი სტრიქონი დაზიანებულია] მითქვამს თვითონ იმისათვის, რომ ჩვენ, რომელნიც მუდამ „მნათობს“ დავსცინოდით ღოღიალზე, თითონვე იმაშივე სასაცილო შევიქენით, მაგრამ ეს არაფერი, თუ ნიკომ თავისი (ე. ი. ტყიბულის საქმეები) კარგათ მოათავა; იმედი კი არის ამისი. ამ დღეებში გამოვიდა „კრებულის“ მეექვსე წიგნი. ამასაც და იმ დინაკლის წიგნებსაც, რომელზედაც შენ იწერები, ერთად გამოგიგზავნი მალე, მოკლე ხანში მეშვიდე წიგნიც გამოვა; ეხლაც თითქმის სულ მზად არის; მხოლოთ ერთი კრიტიკული სტატია აკლია. რადგანაც „კრებულზე“ და ნიკოზე ლაპარაკი ერთმანეთში აურიე, ბარემ ნიკოს ამბავს სულ მოვათავებ, მაგრამ ტყიბულის და ნიკოს ამბავი ამჟამად არ გაიყოფება. ტყიბულის ამბავი ცოტათი ხომ გეცოდინება, თუ სხვა გზით არა, „დროებიდამ“ მაინცა. ნიკომ სულ იყიდა ეს მთა მეპატრონეებისაგან (მებატონეებისაგან); გლეხების ნაწილი ხომ უიმისოთაც იმის ხელშია. ამ დღეებში ნიკომ 52,000 მანეთი წააგო ნოეოსელსკის, რომლისთვისაც მეპატრონეებს ნაყიდობის წერილი უნდა დაემტკიცებინათ, ეს წერილი არ დაუმტკიცეს და ამის გამო ქუთაისის ოლქის სასამართლომ დაადგა იმათ ჯარიმის ფული (40,000 მან.) და ბეის ფული, რომელიც ნოეოსელსკის თავიდამვე მიეცა იმათთვის. ტყიბულის მამულს „ზაპრეშჩენია“ დაადვეს; მაგრამ ნიკო აინუნშიაც არ იგდებს ამ ფულს. იმედი აქვს, რომ ამ ფულს ის კამპანია გადაიხდის, რომელიც ახლა პარიეში სდგება (Для эксплоатации ткибульских каменно-угольных копей). ამ კამპანიის შედგენას ნიკოც უნდა დაესწროს პარიეში, როგორც „პრედსედატელი“ და ამიტომ ის, დ. ღოღობერიძე და ი. თარხანოვი ერთად მოდიან მანდეთკენ მომავალ კვირაში.

მას აქეთ, რაც შენი წიგნი მივიღე, უმიკაშვილი არ მინახავს და ამიტომ არ ვიცი—რათ არ გამოგიგზავნა იმან რაღაც ლექსებია. რაც შეეხება იმას, რომ მე არაფერი არ მოგწერე და ვერც მოვკრიბე ფულები მანდაური „დამარცხებული“ ყმაწვილებისათვის, რომელთაც „მაკარი რომ ხბორებს სდევნის, იქ ვგზავნიან“.[10] ამაზე უნდა გითხრა, რომ საქმეს მე გულ-გრილად მოვკიდე ხელი. ამის მიზეზი ერთი, რომ საზოგადოთ რუსეთში სხვა ჩვენი ყმაწვილებიც არიან, რომელთაც მართლადა, არსად არ აგზავნიან, მაგრამ ულუკმა-პურობა იმათთვისაც კარგა საგრძნობელია: მეორე, აქ მე ძალიან ცოტა მყავს ისეთი ნაცნობები, რომელთაც შეწევნა შეეძლოთ და ვინც არიან ჩემსავით ჯიბე ცარიელები. შენზე ადრედ მიქელაძემ[11] მომწერა ამ საქმის თაობაზე, მაგრამ ვერა გავიგე რა.

„ჩონგურის“ ფულს მე და პ. უმიკაშვილი (20-ან 30 მანეთამდე) მომავალ კვირაში გამოგიგზავნით.

„დროებისათვის“ წერა სულ დაგავიწყდა? წელიწადში რომ რამდენიმე სტატია გამოგზავნო, ხელი მოგტყდება? ერთი სიტყვით, მგონია სულ ამ ქვეყნის მოშორებას აპირებ როგორც სხეულითაც აგრეთვე სულით. აგრეთვე იმედი მექნება, კირილე, რომ ამ ზამთარში [დაზიანებულია] „შენი კალმის ნაწარმოებს“ გამომიგზავნი. უთუოთ, კირილე, გესმის? ჩაუჯექი შენებურათ სტილს, სწერე, სწერე, სწერე და მერე გამომიგზავნე.

იქნება არ იცოდე, რომ ჩემი ძმა ივანე, ეხლა ციურიხშია. ისა და ვლ. ნიკოლაძე[12] ერთად წავიდენ. ამათ გარდა ოთხი სხვები არიან ახლა ჩვენები შვეიცარიაში: ძიგოევი[13] და ჯაფარიძე[14] ჟენევაში და სუმბათოვი (მანდაური) და ქადაგოვი[15] ციურიხში. ეს კიდევ არაფერი: ერთი ჩვენებური ქალიც მიდის მალე იქ, მედიცინის სასწავლებლად![16] კარგად შემოგვხედე...

ჩვენში ძალიან ბევრი ახალი ამბებია, განსაკუთრებით კურიოზული ხასიათისა, მაგრამ წიგნი უიმისოთაც გაგრძელდა და ახლა დროც აღარა მაქვს ამათზე წერისა. გეტყვი მხოლოთ, თფილისში ჰყვავის... ლიტერატურა[17]. ორი ისეთი ხელთნაწერი პანფლეტი გამოვიდა აქ ამ დღეებში, რომელმაც მთელი ქალაქი შესძრა. ერთი „გამოცანები“,[18] რომელშიაც აწერილი არიან (ანუ ჯერეთ ვსთქვათ, გალანძღული არიან კარგა ლაზათიანად): გრ. ორბელიანი, გ. და კ. მუხრანსკები, იასე ანდრონიკოვი,[19] პლატონ იოსელიანი, ბეს. ღოღობერიძე, რევაზ ანდრონიკოვი და დიმ. ჯორჯაძე. ნიმუშათ

მოგიყვან ბესარიონ ღოღობერიძის[20] ხარაკტერისტიკას (ზეპირად ვსწერ და კარგად არც ეს მახსოვს):

ერთი ვინმე შავგვრემანი სუსტია და პირად ხმელი,
დიდებაში ბრმად ქებული, მაგრამ არის ჭკუა-თხელი.
დიდთა ქებით გაბერილა, ვით ავი სენით ტრიკია!
[დაზიანებულია] ის ჩატეხილი ხიდია.
ქვეყანა და ქვეყნის საქმე მასაც ფეხებზე ჰკიდია![21]

ორი თუ სამი სტრიქონი ამ ლექსში გამოტოვებულია; თითქოსდა ეს პირის შემკობა უკანასკნელი ლექსით თავდება. ამის გარდა გამოვიდა მეორე ლექსი, სახელად: „Благодарю, не ожидал!“[22] რომელსაც სოლოგუბს[23] მიაწერენ, მაგრამ ტყვილია...

ამ შემთხვევაში კმარა... შენ სრული უფლება გაქვს, კირილე უპასუხოთ დააგდო ეს ჩემი წიგნი, როგორც მე ორი თუ სამი შენი წიგნი დავაგდე, მაგრამ იმედი მაქვს, შენ შურისძიებას არ დაიწყებ, და წიგნს და შენ და საზოგადოდ მანდაურ ამბებს მომწერ, განსაკუთრებით გთხოვ „დროებისათვის“ რაიმეს გამოგზავნას...

შენი სერ. მესხი

შ ე ნ ი შ ვ ნ ე შ ი

1. ვახ. თულაშილი—ი. ჭავჭავაძის ჯგუფის წევრი იყო. თანამშრომლობდა „საქ. მოამბეში“ (1863 წ). ვ. თ.ს ფსევდონიმით. „დროების“ ერთ-ერთ წამომწყებთაგანი იყო. შემდეგ სახელმწიფო სამსახურში შევიდა. გარდაიცვალა 1911 წ.

2. ეს კამპანია ითვლებოდა „დროების“ გამომცემლად. როგორც ცნობილია, 1865 წ. ამ კამპანიამ ნიკ. ღოღობერიძის დამატებით იკისრა „დროების“ გამოცემის საქმის მოწყობა და გ. წერეთელი მოიწვია რედაქტორად.

3. გ. იოსელიანი (წყალტუბელი) იმ ხანებში თანამშრომლობდა „მნათობში“. ცნობილი პედაგოგი და ჟურნალისტია. აქვს რამდენიმე წერილი „დროებაშიც“.

4. ანტ. ფურცელაძე იმ ხანებში ცხარე პოლემიკას აწარმოებდა „დროების“ ჯგუფის წინააღმდეგ. თანამშრომლობდა „მნათობში“. ხშირად აწერდა წერილებსა და ლექსებს ზურაბ მოეწინაძე ს. ერთხანს იგი „დროებაში“-ც თანამშრომლობდა.

5. ამის შემდეგ „დროების“ გამომცემლებად იყვნენ: სერ. მესხი და სტ. მელიქიშვილი. რედაქტორად სერ. მესხი.

6. აქ ლაპარაკია „დროების“ სათაურის მხატვრული გამოხა-

ტულების შესახებ: 1872 წელში მისი ძველი ფორმა შეაცვლევინა ს. მესხმა. 1873 წელს, როდესაც დროებითი რედაქტორობა იკისრა კ. ლორთქიფანიძემ, თავის მხრივ მანაც ახალი „რეფორმა“ მოახდინა „დროების“ სათაურის გამოხატულებაში.

7. დ ი მ. ყ ი ფ ი ა ნ ი—ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ერთ-ერთი წარმომადგენელი ძველი თაობისა, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე.

8. „კრებული“ 1871 წლიდან გამოდიოდა გ. წერეთლის რედაქტორობით. მაგრამ მისი ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდა ნ. ნიკოლაძეს. ბოლო ხანებში ნომრები ერთობ გვიან გამოდიოდა. „მნათობსაც“ ეს სენი სჭირდა.

9. 1871 წლიდან ნ. ნიკოლაძემ ტყიბულის საქმეს მოკიდა ხელი, რის გამო მას დიდი დავა მოუხდა სხვადასხვა პირებთან. საქმე სასამართლოებშიაც ირჩეოდა რამდენიმე წლის განმავლობაში.

10. აქ აღნიშნულ ფაქტის შესახებ ცნობები არ არის ცნობილი. რომელ „დამარცხებულ“ ყმაწვილებზეა აქ ლაპარაკი, ან სად აგზავნიდენ ბათ, არ ვიცით. შეიძლება აქ ლაპარაკი იყოს „ნეჩაევის პროცესის“ დროს გასამართლებულ „ყმაწვილებზე“ (ვ. ჩერქეზიშვილი და სხვ.).

11. დ ა თ ა მ ი ქ ე ლ ა ძ ე, რომელიც მეველეს, დ. კულაშელისა და დ. ზურაბიშვილის ფსევდონიმით თანამშრომლობდა „დროებაში“.

12. ვ ლ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე—ნიკო ნიკოლაძის ძმა. გარდაიცვალა ციურიხში 1872 წ., აქვს „დროებაში“ მოთავსებული კორესპონდენციები.

13. ძ ი გ ო ე ვ ი—იყო ჩვენებური ოსი, ანარქისტი—ბაკუნინის შიმდევარი. აგზავნიდა ჟენევიდან „დროებაში“ კორესპონდენციებს. ადრე გარდაიცვალა.

14. ბ ე ს. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე—1869 წლის სტუდენტთა არეულობის მონაწილე. დაპატიჭრებიდან განთავისუფლების შემდეგ წავიდა საზღვარგარეთ. თანამშრომლობდა „დროებაში“ ბ. ჯ-ს ფსევდონიმით. გარდაიცვალა 1877 წ.

15. დ ა ვ. ქ ა დ ა გ ი ძ ე—წევრი ციურიხის ქართველთა საზოგადოების „უღლისა“.

16. 1872-73 წლებში რამდენიმე ქართველი ქალი წავიდა საზღვარგარეთ სწავლის მისაღებად (დები ნიკოლაძეები, გ. წერეთლის და, ოლ. გურამიშვილი და სხ.). ეს პირველი მაგალითი იყო ჩვენს ისტორიაში.

17. 1871-72 წლებში ჩვენში გავრცელდა არალეგალურად მთელი რიგი ლექსებისა, რომელშიაც დაგმობილი იყო მაშინდელი ძველი თაობის მოღვაწენი (გრ. ორბელიანი, გ. მუხრანსკი, დ. ჯორ-

ჯაძე, რ. ანდრონიკაშვილი, პ. იოსელიანი, ლევ. მელიქიშვილი, მ. თუმანიშვილი და სხვ.). ამ ლექსების ავტორები იყვნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი. ამას მოწყვა გრ. ორბელიანის ცნობილი ლექსი, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ი. ჭავჭავაძის „პასუხის პასუხი“ და აკაკის „ღენერალი ხარაბუზა“, „კოლო-ბუზების პასუხი“. ამ ლიტერატურული ბრძოლის შესახებ აკაკი ერთ თავის შენიშვნაში სწერს:

„1870 წელს ჩამობრძანდა ხელმწიფე საქართველოში, ხალხს უნდა მიერთმია ადრესი და გაეცხადებია სათხოვარიც თუ რამ ექნებოდა.—აირჩიეს კომისია ადრესის შესადგენად რვა კაცი, ოთხი ახალთაობიდან: ილია ჭავჭავაძე, თარხნიშვილი (მერე აკადემიკოსი), ბესარიონ ღოღობერიძე და ნ. ნიკოლაძე, ოთხიც ძველებიდან: გ. ორბელიანი, მ. ბირთველიჩი თუმანიშვილი, დიმიტრი ჯორჯაძე და რევაზ ანდრონიკაშვილი (მარშალი). ახალ-თაობა ქვეყნის სურვილისამებრ ითხოვდა უნივერსიტეტს, ან სხვა რამ მაღალ სასწავლებელს, მაგრამ, რადგანაც ამის წინააღმდეგი იყო ბარონ ნიკოლაი, ძველები შეჩერდენ კადეტის კორპუსზე, რომელიც მაინც უნდა გახსნილიყო. ახალთაობისა და ქვეყნის სურვილმა ხმის უმეტესობით გაიმარჯვა და ადრესში იყო ხათხოვი უმაღლესი სასწავლებელი. მაგრამ თავმჯდომარემ და ძველებმა, რადგანაც იმათ ბესარიონ ღოღობერიძეც მიუდგა, გადაასხვაფერეს ადრესი, სასწავლებლის მაგიერ სრულიად უმნიშვნელო საგანი ითხოვეს და ისე მიართვეს ხელმწიფეს. ამან გამოიწვია უსიამოვნება ძველის და ახალთაობას შუა. ილია ჭავჭავაძემ დასწერა ლექსი, სადაც მოიხსენია ძველები. დასტალუღათ ამბობდა: „ქვეყანა და ქვეყნის საქმე ამას ფეხებზე ჰკიდიაო“ (იხ. აკაკი: „ჩემი ნაწერები“, ტ. II, გვ. 96-98, 1913 წ). თვით მესხი ამ ბრძოლას შეეხო 1872 წლის „დროების“ მეთაურში (იხ. წერილი: „ჩვენი მამები და შვილები“, ს. მესხის ნაწერები გვ. 66—71).

18. ამ „გამოცანების“ ავტორია ი. ჭავჭავაძე. ამ გამოცანაში ავტორი ეხებოდა რვა წარჩინებულ თავადს. შემდეგ ავტორმა გამოაქვეყნა „ი დ ე ვ გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი“, რომელშიაც ეხებოდა ხუთს (მ. ლორის-მელიქოვს, ლ. მელიქიშვილს, ი. თარხნიშვილს, თუმანიშვილს და დ. ყიფიანს).

19. სხვა ცნობით: იასე ჭავჭავაძე, საგუბერნიო სამმართველოს წევრი იყო „გამოცანებში“ გაკიცხული.

20. ბ ე ს ა რ ი ო ნ ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე ერთ-ერთი მეთაურთაგანი იყო ახალ თაობის ინტელიგენციისა. ახლო იცნობდა ნ. ჩერნიშევსკის, დობროლუბოვს, პანტელეევს; მეთაურობდა 1861 წ. სტუდენტთა არეულობას. შემდეგში სახალხო სკოლების ინსპექტორად იყო. ბოლოს ქუთაისის ბანკის თავმჯდომარედ. გარდაიცვალა 1879 წ.

21. ილიას ავტოგრაფების მიხედვით ეს ადგილი სხვაგვარად არის ცნობილი:

ერთი ვინმე შავგვრემანი სუსტია და პირად ხმელი,
დიდებში ბრძნად ქებული, ჰკვა-მოკლე /და ენა-გრძელი,
დიდთა ქებით გაბერილა, ვით ავი სენით ტრიკია,
ახლის აღთქმის კაცი იყო, ეხლა ქუემძრომი ხვლიკია.
ახლისა და ძველის შუა ის ჩატეხილი ხიდია,
ამ ტყუილის ბრძენსაც ქვეყანა, ძმანო, ფეხებზედ ჰკიდია.

22. ეს რუსული ლექსი არ არის ცნობილი.

23. სოლოგუბი (1814-82) — რუსი მწერალი. ჩვენში მოღვაწეობდა ვორონცოვისა და ბარიათინსკის დროს (1850-54, და 1857-60 წლებში), აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა თბილისის თეატრის მოწყობის საქმეში, თანამშრომლობდა „კავკაზში“. მას ეკუთვნის ცნობილი ლექსი „ალავერდი“, რომელზედაც დავ. ერისთავმა უპასუხა „იახმიოლით. (იხ. „Акты“, ტ. XI, გვ. 10, „Театр в Тифлисе, 1845—56“. 1888).

წერილი მეათე

15-16 ივლისი, ოდესა, 1873 წ.

ძმაო კირილე!

ეს არის რკინის გზაზე მივდივარ და რამდენიმე სიტყვის მოწერას ვეპირები.[1] დღეს შენგან დეპეშა მომივიდა, რომელშიაც იწერები, რომ „დროების“ საქმე სამშაბათს გადაწყდებაო.[2] მადლობა ღმერთს, მე კი ნიკომ გული მომიკლა ტელეგრამებით; სამჯერ კი მომწერა, რომ თუ არ ჩამოხველი, გაზეთს დახურამენო. მე დარწმუნებული ვარ, რომ არ ჩამოველი უკან, კარგი ვქენი, რადგან საქმე უჩემოთაც გაკეთდება და მე კი ტყუილ-უბრალოთ ერთს, და იქნება, ორ კვირასაც დავკარგავდი.

პარახოდზე გიორგი შარაშიძე გავიცანი, რომელიც გლავნი უპრავლენიაში მსახურებს და იმან დამპირდა, რომ ვეცდები, ამ საქმეს არავითარი დაბრკოლება არ ექნესო, მხოლოდ ლორთქიფანიძემ ან ნიკოლაძემ მიამბოს როგორ მდგომარეობაში არის საქმეო, რომ იმის დაგვარად მოველაპარაკო პრობილს და ბარნსაო. ერთი სიტყვით, მე გულდამშვიდებული მივდივარ, რომ ჩემი აჩქარებით გაბეთს არა დააკლდება რა.

ამასთანავე გიგზავნი იაკობ ისარლოვის[3] გადასაცემად ჩემ ხელწერილს, რომელიც იმის ვექსილის დაბრუნების მაგიერობას იზამს. რა მუხრუჭი მომიპირეთ მაგ ისარლოვის ვექსილის გამოისობით.

ჩემი თხოვნა საჭირო არ არის, კირილე, რადგან ვიცი, რომ ჩვენს საქმეებს და განსაკუთრებით „დროების“, იმედია ეცდები რაც შეიძლება, კარგად წაიყვანთ.

ნიკოს შემახვეწნე, რომ მალე გამომიგზავნოს ფულები ციურიხში, ჩემი ძმის სახელზე, თორემ გზაზე კარგა ლაზათიანათ შემომეხარჯა და, უეჭველია, რაც დაჭრჩა, ისიც მალე შემომეშმება.

თუ ციურიხიდამ ჩემ სახელზე წიგნი ან სხვა რამე მოვიდეს, უკანვე გამომიგზავნეთ.

ნახვამდის, შენი ს ე რ. მ ე ს ხ ი.

ეს რასპისკა ისარლოვს მხოლოთ იმ შემთხვევაში მიეცით, თუ ნამდვილათ გაათავისუფლა ზარაფოვის ზალოგები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. 1873 წლის ივლისის თვეში ს. მესხი საზღვარგარეთ წავიდა. მისი მთავარი მიზანი იყო გასცნობოდა ევროპის ცხოვრებას, შეესწავლა იქაური პირობები და უფრო მომზადებული დაბრუნებულიყო საქართველოში და განეგრძო თავისი საყვარელი საქმე. თავისი შთაბეჭდილებანი მან აღწერა წერილებში: „ხამი მოგზაურის შენიშვნები და ფიქრები“ (ს. მ ე ს ხ ი ს ნაწერები, ტ. I).

ევროპაში ს. მესხი თითქმის ერთი წელიწადი დარჩა. აქედან იგი ხშირად გზავნიდა წერილებს „დროებაში“, რომლის დროებითი რედაქტორობაც კ. ლორთქიფანიძეს ჩააბარა, ხოლო უახლოეს თანაშრომლად მოიწვია ევროპიდან იმ ხანებში დაბრუნებული დავით მიქელაძე-მეველე.

2. აქ ლაპარაკია კ. ლორთქიფანიძის დროებით რედაქტორად დამტკიცებაზე.

3. ი ს ა რ ლ ო ვ ი — 60-იანი წლების სტუდენტი იყო, მონაწილე 1861 წლის სტუდენტთა არეულობისა. მისი მოგონება გამოაქვეყნა მ. თუმანიშვილმა (იხ. მისი „Характеристики“, წ. I).

წერილი მეთერთმეტე

პარიჟი, 23 დეკემბერი. 1873.
Boulevard st Michel, 32

ძ მ ა ო დ ა ვ ი თ!

არ ვიცი ღმერთმანი, რას მივაწერო ამდენი ხანი თქვენი ხმის ამოუღებლობა; ყველანი ხომ არ ამოწყდით, თქვე ოხრებო, რომ ერთ სიტყვას არ იწერებით!

გიგზავნი კორესპონდენციას.

ჟენევიდამ მოგიეათ, მგონია ამ ცოტა ხანში ბეთანიშვილის წერილი „უღელთან“[2] მიწერილი, რომელიც პირველს ფურცელს გარდა (როგორც თვითონაც ჩემს ძმას სწერს), გამოსადეგი იქნება დასაბეჭდათ, და ძლიერ საინტერესოც არის ჩვენი მკითხველებისთვის. დღეს მეორე იმდენივე წერილი მივიღე მე ჩემი ძმისგან და რომ წავიკითხავ ჟენევაში გავუგზავნი „უღელის“ წევრებს წასაკითხავად და მერმე მანდ გამოგზავნიან რედაქციაში. მგონი „კრებულისათვის“ კარგად გამოდგეს.

დროება! დროება! დროება!

ქრისტიანებო! ეს ორი თვეა, რაც „დროების“ არც ერთი ნომერი არ მომსვლია და ჟენევიდან რომ არ გამოეგზავნა მელიქოვის ქალს,[3] მგონი ჯავრითაც მოვკვდებოდი!.. რა გაჭირდა ერთი ეგზემპლიარის გამოგზავნა ჩემ სახელზე, სირცხვილი არ არის!

გუშინ წინ დავით ბაქრაძე[4] წამოვიდა აქედამ და ხუთი თუ ექვსი ამ მომავალი წლის კალენდარი (ალმანახი) გამოგიგზავნეთ. თქვენი („დროების“) კალენდრისათვის,[5] მაგრამ, მგონი დაგვიანდა.

ჩემი ძმები რას შვრებიან?[6] უთხარი, უთუოდ წიგნი მომწერონ. საქმეები როგორ მიდის? ხმა ამოიღეთ და!

შენი მეგობარი სერ. მესხი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. ეს წერილი მიწერილია დავით მიქელაძისადმი, რომელიც იმ ხანებში „დროების“ რედაქციაში მუშაობდა.

2. „უ ღ ე ლ ი“ ციურიხში დააარსეს ქართველმა სტუდენტებმა თვითგანვითარების და ურთიერთ დახმარების მიზნით. ამ „უღელის“ საქმიანობაში მონაწილეობა მიიღეს გ. წერეთელმა და სერ. მესხმაც.

3. ე კ ა ტ ე რ ი ნ ა მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი ს ა, და პროფ, პ. მელიქიშვილის, შემდეგში სერ. მესხის მეუღლე; 1875 წლიდან იგი სერ. მესხს დიდ დახმარებას უწევდა გაზეთის წარმოების საქმეში; თითონაც სწერდა და სთარგმნიდა. გარდაიცვალა 1928 წ.

4. ქუთაისელი მოღვაწე, 1881-83 წლებში ქუთათურ „შრომის“ თანამშრომელი.

5. „დროების“ კალენდარი შემდეგ წლებში გამოვიდა.

6. ლაპარაკია კ ო ტ ე მ ე ს ხ ს ა (შემდეგში ცნობილი არტისტი) და დავით მესხზე (შემდეგში ჟურნალისტი).

წერილი მეთორმეტე

პარიჟი, 15 იანვარი, 1874 წ.

ძმაო დავით!

როგორც ვატყობ, სწორეთ შაჰის მუშათ გინდათ გადამაქციოთ! მართლა, რა ამბავია, რომ ამდენი ხანი, ერთს გარდა, ჩემი კორესპონდენციები არ იბეჭდება! მე ლამის მადა დამეკარგოს, ღმერთმანი, წერისა! რისთვის, ვისთვის ვწერო, თუ არ დამიბეჭდავთ? მიზეზს მაინც რატომ არა მწერთ, თუ რისგან არის, რომ რამდენი ხნის გამოგზავნილი კორესპონდენციები (რომელთაც დროებით მნიშვნელობა ჰქონდათ) არ დაგიბეჭდიათ: ცენზურის ბრალი არა მგონია იყოს, რადგან იმაში ისეთი არა იყო რა. ეხლა რაღა აზრი და მნიშვნელობა ჰქონდა ბაზენის თაობაზე დაბეჭდილ წერილს, როდესაც ამ ორი ნომრის წინ გამოცხადებული იყო, რომ ბაზენს აპატიესო! თავი ნუ მოგიკვდებათ, ან თავის დროზე დაბეჭდეთ წერილები ან სულ ნუ ბეჭდავთ.

ამას გარდა, როგორც მე გეხოვეთ, რატომ იმ რიგათ არ დაბეჭდეთ? თუ ფელეტონში არ შეიძლება, ცალკე მაინც დაგებეჭდათ იმავე სათაურით (ქართველი ევროპაში და სხვა) და იმ რიგათ, როგორც დაწერილი იყო.

უკანასკნელი (შენი) №№ საზოგადოთ კარგი ცოცხალი ნომრებია, თუმცა ნაკლულევანება არ აკლია. შენი ფელეტონები და ლუარსაბთან მიწერ-მოწერა საზოგადოთ არ მომწონს. ფელეტონებს ერთობ отвлеченно (განყენებით) და აბსტრაქტულათ სწერ. დაანებე, თავი ნუ მოგიკვდება, თავი ამ ბოროტებაზე, სიკეთეზე, პატიოსნებაზე და სხვა ამგვარ მაღალ და დაბალ გრძნობებზე და ჰაზრებზე წერას და უფრო მიწიერ, უფრო ყოველდღიურ, უფრო შესახებელ საგნებს მოჰკიდე ხელი, ისეთ საგნებს, რომელიც მკითხველს ცხვირში ეცეს და გამოაღვიძოს ძალაუნებურად. მიწერ-მოწერილი ფორმა ლიტერატურისა ერთობ გაცვეთილი, ერთობ ძველი ფორმაა.

წვრილ ამბებს უფრო მომეტებული ყურადღება; ნარევის მოსპობისათვის დიდი საყვედური;[1] ცნობათა-ფურცელი კარგია, მაგრამ, როგორც ვხედავ, ფასებს და რიცხვს არა სცვლით და ამნაირი განცხადება სარგებლობის მაგიერ ვნებას მოიტანს.

მე „დროება“ გამომიგზავნეთ, ერთხელ კიდევ მოგაგონებთ...

ამას წინათ სტეფანე ზარაფოვს[2] ტელეგრამმა მივსწერე, რომ რაიმე საშუალება მიეცა ჩემი ძმის კოტესთვის და აქეთ გამოეგზავნა. პასუხი ჯერაც არ მომსვლია და ძალიან მაწუხებს, თუ ის ეხლაც ამ უთაებოლო მდგომარეობაშია. რამე მოუხერხე, თუ ძმა ხარ, დათა, და როგორმე გამოატანე ვისმეს აქეთ ივანესთან,[3] თორემ მანდ ეხლა რას გააკეთებს. ეხლა ახალი წელიწადი დაწყებულია მანდ და ფულები ბლომათ შემოვა რედაქციაში. თუ მოახერხო, ცოტაოდენი გამომიგზავნე, თორემ ჩემი საქმე ძალიან ცუდათ არის უფულობით. რამდენი ხანია, ერთი სანტიმი არა მაქვს და ხან ერთისაგან ვსესხულობ თითო ოროლა ფრანკობით სადილის ფასს და ხან მეორესაგან. ასე ცხოვრება აქ არ იქნება. სტეფანემ დამპირდა და ძალიან იმედიც მაქვს იმისი, მაგრამ მიკვირს, რატომ აქამდი არაფერს არ მიგზავნის და არც წიგნს მწერს. ნიკო სად არის?

თუ ძმა ხარ, დათა, მიიღო თუ არა ეს წიგნი, იმ წამსვე შემატყობინე ჩემი ძმის და ჩემთან ფულების გამოგზავნის საქმე, თუ შეიძლება დეპეშით.

შენი ძმა სერ. მესხი.

შ ე ნ ი შ ე ნ ი შ ი

1. „ნარევი“ ცალკე განყოფილება იყო „დროებაში“
2. ს ტ ე ფ ა ნ ე ზ ა რ ა ფ ო ვ ი — ახალგაზრდა მდიდარი კაცი იყო, რომელიც დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა ჩვენს ლიტერატორებს.
3. ივანე მესხთან, სერგეის ძმასთან.

წერილი მეცამეტე

კ ი რ ი ლ ე!

გიგზავნი ამ კორესპონდენციას; თუ ცენზურისგან რამე დაბრკოლება არ შეემთხვა, კარგი იქნება. ამ სამ-ოთხ დღეში მოგივა ვიქტორ ჰიუგოს უკანასკნელი რომანის (Quatrevingtroise) თარგმანი; მაგრამ სრული კი არა: საუკეთესო ადგილები სიტყვა სიტყვით იქნება გადმოთარგმნილი და დანარჩენი ნაამბობი ჩემი სიტყვით. იმდენი გამოვიდეს, მგონია, რომ „დროების“ ხუთ ან ექვს ფელეტონს ეყოს.[1] თუ მოხერხდეს „დროებაში“ დაბეჭდე და თუ

„კრებული“ გამოდის,[2] იმაში, ერთი სიტყვით, შენთვის მომინდვია; სადაც ემჯობინება. მხოლოთ ნუ შეცვლი, ნუ შეამოკლებ.

სტეფანე (ზარაფოვს) გადაეცი, რომ 680 ფრანკი მიეიღე და იქიდამ 340 ბეს. ჯაფარიძეს გაუგზავნე. სთხოვე, ერთი წიგნი მაღირსოს და შემატყობინოს: რა და რა დროს უნდა მოველოდე იმისგან ფულებს. იმის წიგნებს ამ დღეებში გამოვგზავნით.

ჩემი ძმების ამბავი? ნიკო სად არის? მოდის თუ არა? საქმეები, „დროება“ როგორ მიდის? წიგნი! წიგნი! ერთ წიგნში ნახევარი სახელმწიფო! რამდენია ამ ჟამად „დროების“ ხელის მომწერლები? შენი აზრი ჩემს კორესპონდენციებზე! ერთი სიტყვით, ყველაფერი.

შენი მეგობარი ს ერ. მ ე ს ხ ი.

შ ე ნ ი შ ე ნ ი შ ი

1. ეს თარგმანი დაიბეჭდა 1874 წ. „დროებაში“ ფელეტონებად.
2. „კრებულის“ გამოცემა 1874 წელში შეწყდა.

წერილი მეთოთხმეტე

პარიჟი, 15 თებერვალი, 1874
Boulevard st Michel, 32

ძ მ ა ო კ ი რ ი ლ ე!

ერთი რამ ახირებული ამბავი შევიტყე დღეს: სტეფანე მელიქიშვილი[1] გიორგის[2] მოთხრობას გაუცხარებია და რაღაც პასუხი დაუწერია „დროებაში“ დასაბეჭდათ. შევიტყვე, რომ ეს თავის ნაწარმოები სტეფანეს თავის ძმის—პეტრესთვის.[3] გამოუგზავნია გასასწორებლად; იმას მგონია, გაუსწორებია და უკან დაუბრუნებია.

რასაკვირველია, თქვენ უჩემოთაც კარგად მიხვდებით, რომ ამ სტატიის დაბეჭდვა არავითარ შემთხვევაში არ ივარგებს „დროებაში“, მაგრამ გულმა ვერ მომითმინა და მაინც გწერთ: გთხოვთ, რომ, რადგან მაგ სტეფანეს სტატია პასკვილი იქნება გიორგიზე და პასკვილიც რომ არ იყოს, მაინც არამც და არამც, თუ ძმა ხარ, არ დაუბეჭდოთ, განა „დროებას“ გარდა, ცოტაა თბილისში სხვა გაზეთები და ჟურნალები? წაიღოს და სადაც უნდა იქ დაბეჭ-

დოს. პეტრეს საიდუმლოთ მოსვლია სტეფანესაგან წერილი. უთხოვია, არავის უჩვენო და, მაშასადამე, სტეფანეს ნუ შეატყობინებ, რომ მე ეს ამბავი ვიცი (ძალიან მაკვირებს, პეტრე რად გარეულა ამ ბინძურ საქმეში).

რა ამბავია, კირილე, რომ მანდედამ სრულიად არაფერი ამბავი არ ისმის? მოუთმენლად მოველი წიგნს, ფულებს. ჩემი ძმების ამბავს, და კაცი ხმას არა მცემს,. თუმცა მე კი ხშირათ ვიწერები წიგნებს და ყველას გთხოვთ, რომ მანდაური გარემოება და ამბები მომწეროთ. ამბად გავიგე, ვითომ ჩემი ძმა, კოტე, ნიკოს მოჰყავდეს: ნამდვილი კი არ ვიცი რა. არც ის ვიცი, როდის მოდის ნიკო, ან მოდის თუ არა. ერთი სიტყვით, არაფერი არ ვიცი, და ყველაფრის ცოდნა და შეტყობა კი მინდა! მაგრამ ვინ არის მოწყალე კაცი—ჩემი ცნობის მოყვარეობის დამაკმაყოფილებელი? თუ ძმა ხარ, კირილე, შემატყობინე გთხოვ, ჩემი ძმების ამბავი და ამას გარდა სტეფანესთან მიდი და უთხარი ჩემ მაგიერ... მაგრამ არა, არ უნდა, მე თითონ მივწერე წიგნი და იმედია, მალე მიპასუხებს. სწორეთ გამიპირდა კი საქმე ამ უფულობისაგან; კარგი კიდევ, რომ კეთილი სახლის პატრონი ამომიჩნდა და სადგომს და სადილებს ნისიათ მაძლევს, თორემ, მგონი, შიმშილით არა ერთხელ ამეწოდა კუჭი: ერთი სიტყვით, თუ ამ ორ კვირაში ფულები არ გამიჩნდა საიდამვე, ჩემი საქმე ძალიან ცუდათ იქნება.

ღმერთმა ჩემი რედაქტორობის რისხვა ნუ მოგაკლოსთ ასე უთავბოლოთ ჩემი წერილების დაბეჭდვისათვის! „მიუნხენი“ ან როგორც იყო, ისე უნდა დაბეჭდილიყო, ან სულ უნდა გამოგეშვათ. თორემ ეხლა სულ უაზრო და უფერულია. „დროების“ საზოგადოთ ძალიან კმაყოფილი ვარ, მხოლოთ წვრილ ამბებს მომეტებული ყურადღება და ფილოსოფიურ ფელეტონებს ნაკლები ადგილი. მოიწერე, თუ ძმა ხარ, კირილე, შენი აზრი საზოგადოთ ჩემს წერილებზე. შემატყობინე აგრეთვე: რამდენ დღეზე მოგდით თქვენ ჩემი კორესპონდენციები და გახსაკუთრებით რა დღეს მოგდისთ? ეს ჩემთვის ძალიან საჭიროა რომ ვიცოდე.

მიქელაძემ შემატყობინოს: აქედამ წამოიღო რამე წიგნები, თუ არა? თუ წამოიღო, როგორ, რა გზით და საშუალებით ჩამოიტანა? დამოენაში რამ დაბრკოლება ჰქონდა, თუ არა?

„კრებული“ (10) რას შერება? „დროების კალენდარი“ გამოვიდა დანაპირები გამოცემის თუ არა? თუ არ დაიხარებ, ჩემო კი-

რილე, შენებურად და წიგნს მომწერ, გპირდები, რომ მერე მეც დიდ-უშველებელ წერილს მოგწერ და ჩემ აქაურს ცხოვრებას (თუ საინტერესო იქნება), ჩემ სწავლას, მომავალ პლანებს და სხვას ბევრ რამეებს მოგწერ. ოღონდ შენ ნუ დაიზარებ ამ კითხვაზე პასუხის შეტყობინებას. მართლა: რა გაჰირდა „ვეეო“, რომ გაზეთი ცალკე ადრესით ვერ გამომიგზავნეთ! მე აქ მოუთმენლათ მოველი ყოველ ნომერს და ყოველთვის იზმაილოვი[1]სად ვეძიო. 405 ნომერი სულ არ მომსვლია აქ. ყურადღება, თქვენი ჰირიმე...

შენი მეგობარი სერ. მესხი.

შ ე ნ ი შ ე ნ ი ს ა

1. სტეფანე მელიქიშვილი—„დროების“ გამომცემელი და სტამბის პატრონი.

2. გიორგი წერეთელის „მოთხრობაში“—უნდა იგულისხმებოდეს გიორგის „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკას“ მეორე ნიწილი, რომელშიც მხატვრულად აწერილია გაზ. „დროების“ დაარსების საქმე და შიგ გამოყვანილია მისი დამაარსებელნიც (ნ. ღოღობერიძე, დ. მიქელაძე, ს. მელიქიშვილი) და რედაქტორიც (თვით გიორგი წერეთელი). ამ მოთხრობის მეორე ნაწილი დაიბეჭდა „კრებულის“ № 9-ში.

3. პეტრე მელიქიშვილი,—რომელიც იმ ხანებში საზღვარგარეთ იმყოფებოდა.

4. პ. ი ზ მ ა ი ლ ო ვ ი—ახლო მეგობარი სერ. მესხის, გ. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის. შემდეგში თბ. ქალაქის თავი.

წერილი მეთხუთმეტე

კ ი რ ი ლ ე!

დაპირებისათანავე, გიგზავნი ვ ი ქ ტ ო რ ჰ ი უ გ ო ს რ ო მ ა ნ ი ს დასაწყისს. ეს თითქმის პირველი ტომის შინაარსს შეადგენს, კიდევ სამი ან ოთხი ამდენი იქნება, მგონია მეტი არა, და ამასაც ამ ორსამ დღეში გამოგიგზავნი უთუოთ. ჩემი სიტყვები და ავტორის ალაგები, რასაკვირველია, სხვადასხვა შრიფტით უნდა დაიბეჭდოს. თუ „დროებაში“ დაბეჭდავ (ოთხ ან ხუთ ფელეტონად გაიყოფა), მაშინ ადგილის მოსაგებად, ჩემი სიტყვები, რადგან უფრო ცოტაა, შეიძლება უფრო დიდი ასოებით დაიბეჭდოს, და ავტორის—კორპუსით. თუ „კრებულში,“ მაშინ სულ ამის საწინააღმდეგოდ.

მეორე და მესამე ტომიდამ უფრო დიდი ალაგების სულ სიტყვა-სიტყვით გადმოთარგმნა დამჭირდება, რადგან იქ მშვენიერი ალაგებია.

ერთი რამე უნდა გთხოვო! თუ შეიძლება, კირილე, ჩემი კორესპონდენციები, თუ ძმა ხარ, ხელ-ხლებლად დაბეჭდე, ისევე დაყოფილ პერებათ ან სხვა რამეთი და ხელმოწერილი, როგორც მე ვგზავნი. მე არა მაქვს ჩვეულება, რომ ხელ-მეორეთ გადავიკითხო ჩემი ნაწერები და შეიძლება, რასაკვირველია, რამე, წერის დროს ან სიტყვა გამოუშვი, ან საზოგადოთ რამე შეცდომა მომხვიდეს. ამის გასწორება, რასაკვირველია, შეგიძლიანთ. სხვა არა.

გუშინ წინ დიმიტრი დადიანი[1] ჩამოვიდა და, სხვათა შორის, ერთი ცუდი ამბავი ჩამოიტანა: რომ აკაკი[2] გაგიჯავრებიათ და „დროებაში“ წერას თავი დაანებაო. იქნება მოუქონოთ როგორმე თავი...

შენი მეგობარი ს ე რ. მ ე ს ხ ი.

პარიჟი, 25 თებერვალს 1874 წ.

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ა

1. დ. დადიანი—„დროების“ თანამშრომელი იყო, შემდეგში ქუთაისში სცემდა „შრომას.“

2. პოეტი აკაკი წერეთელი.

წერილი მეოქვსმეტე

ძ ვ ე ლ ი კ ი რ ი ლ ე!

როგორც ხედავ, ამ კორესპონდენციას ჟენევიდამ გიგზავნი, სადაც დროებით ჩამოველი. ამ ერთ კვირაში უკანვე დავბრუნდები. იქნება ერთი კორესპონდენცია კიდევ აქედამ მოგივიდეთ. მერე კი ისევ პარიჟიდამ დავიწყებ გზავნას. უკანასკნელი ჩემი კორესპონდენცია, ელზას-ლორანის თაობაზე—საშინლად დაბახინჯებულია. როცა ამისთანა ლუკმები ამოაგლიჯონ, ნუ დაგავიწყდება, თუ ძმა ხარ, რამოდენიმე წერტილი, ან მთელი სტრიქონი დაუსვი, რომ დაინახოს მკითხველმა, რომ ასე მიუბმელად და უკავშიროთ არ ყოფილა დაწერილი. ამასთანავე ძალიან გთხოვ, „კრებულის“ მეათე წიგნი გამომიგზავნო (პარიჟში იზმაილოვის სახელობაზე); აქ არავის არ მიულია, თუმცა, როგორც სჩანს, დიდი ხანია გამოსუ-

ლა. ამას გარდა, თითო ეგზემპლიარი ყველა ქართული წიგნებისა გამოგვიგზავნე, ნუ დაიზარებ, მაგისთანა ბეჯითი კაცი ხარ; ერთი ტენევაში ვისმეს სახელობაზე, ერთი ცხურიხში და ერთი ჩვენ პარიჟში. რაღაც კომედია გამოსულა ჩვენზე ვ. თარხნიშვილისა[1]—საინტერესოა, რაც უნდა იყოს და ისიც, საზოგადოთ ყველაფრის გამოცემა მოგვაწოდე.

ნიკო პარიჟშია, ამ ორ-სამ დღეში, მგონი, აქ ჩამოვიდეს და აქედამ ერთად დავბრუნდებით უკან. იმის საქმეებზე ბეჯითს ვერაფერს ვერ მოგწერ, რადგან არ ვიცი. პირველად რომ ჩამოვიდა პარიჟში, ამბობდა, რომ პერთოლეს ხეირიანი რაპორტი არ წარმოუდგენია ტყიბულის თაობაზე: უნდა გადაეხედნათ ერთად და შეესწორებინათ. იმედი არ დაუკარგავს კი... მიქელაძე, ბარაქალა მარჯვეთ შრომისათვის!

შენი მეგობარი სერ. მესხი.
1874 წ.

შ ე ნ ი შ ე ნ ა

1. 1874 წელს თბილისში გამოვიდა ვ. ა. თარხან-მოურავის: „ქართული ენის მზრუნველები“ (სცენები ჩვენი მწერლობის მოქმედებიდამ). ავტორი სრულიად უცნობი პიროვნება არის ჩვენს მწერლობაში. „სცენებში“ სასაცილოდ არის აგდებული ქართული ჟურნალ-გაზეთები და მათი რედაქტორები და თანამშრომლები. „სცენებში“ გამოყვანილია შემდეგი გმირები:

ა) კიკო, რედაქტორი „ფერმკრთალისა.“ იგულისხმება ნ. ავალიშვილი, „მნათობის“ რედაქტორი.

ბ) გოგიტელა, „ვნებულის“ რედაქტორი—გ. წერეთელი, „კრებულის“ რედაქტორი.

გ) სესიკელა, „აჭია ბაჭიას“ რედაქტორი—სერ. მესხი, „დროების“ რედაქტორი.

დ) კოკოკო კოლიანი, ამორი რედაქტორის მრჩეველი—ნიკო ნიკოლაძე.

წერილი მეჩვიდმეტე

პარიჟი, 13 მარტი 1874.
Boulevard st Michel 32.

ძ მ ა ო დ ა ვ ი თ!

დღეს სწორეთ უბედური დღე გათენდა ჩემთვის: ჯერ ლოგინიდამ წამომდგარი არ ვიყავი, შინიდამ გამოგზავნილი წერილი შემომიტანეს, რომელშიაც მწერდენ, რომ ჩემი უფროსი ძმა (გიორგი) ძალიან ავად არისო. თუმცა ექიმების ჩვეულებრივ იმედს

მწერდნენ, მაგრამ ცხადათ ჩანდა წიგნიდამ, რომ იმის მორჩენა ძალიან საეჭვოა და ვინ იცის, იქნება, ეხლა მომკვდარიც იყოს... საწყალი... მაგრამ კიდევ უფრო საწყალი იმის ახალგაზრდა ცოლი და სამი პატარა შვილი! რა ეშველებათ? ყველა ეს ჩვენს ოჯახს დააწვება და, ვინ იცის, როგორ დაიხლართება ჩემი საქმეები...

ცოტა ხანს შემდეგ, შენი წიგნიც მომივიდა. ყველაფერს მოველოდი, და თუ სტეფანე იმდენ კაცობას არ გამოიჩენდა, რომ კოტეს მხოლოდ აქ წამოსასვლელად 150 მანეთს არ მისცემდა,—ამას კი არ მოველოდი. რასაკვირველია, ეს უფულობის მიზეზი არ არის. „სხვა არაფერი ღონის-ძიება არ არის, რედაქციის საშუალება შენც კარგად იცი“-ო,—ღმერთო ჩემო, რა ეშველება, აბა, ამ ყმაწვილს! ღმერთი არ არის, რომ მაგ ხანში, მაგისთანა მოცადინე და გონიერი ყმაწვილი სწავლას მოკლებული დარჩეს? მაგრამ მეტი რა ღონეა! მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ შენ ან, კირილე, რამე რიგათ სამგზავრო ფულს უშოვნით, გამოისტუმრეთ, და თუ „არავითარი ღონისძიება“ არ იქნება, ჩემ ჩამოსვლამდი დარჩება როგორც არის, მე რომ ჩამოვალ, ვეცდები და რითაც და როგორც იქნება გამოვისტუმრებ აქეთ უთუოთ. მანამ კი, თუ მანდ იქნება, შენი და კირილეს იმედი მაქვს, რომ რიგიანათ უგდებთ ყურს და საკითხავ წიგნებსაც ამოურჩევთ.

ისეთ საძაგელ გუნებაზე ვარ, რომ მეტი არაფრის მოწერა არ შემიძლია. მშვიდობით...

შენი მეგობარი ს ე რ. მ ე ს ხ ი.

[მინაწერი:]

ღმერთი. არა გრწამს, რომ აქ, პარიჟში, უმარკო წიგნს მიგზავნი! ამ ორი კვირის შემდგომ მე სახლს ვიცვლი და გაზეთი და სხვა რამე, რაც იქნება ჩემ სახელობაზე,—დღეის შემდგომ იზმაილოვის სახელზე გამომიგზავნეთ დროებით, სანამ ჩემ ადრესს შეგატყობინებდეთ.

წერილი მეთვრამეტე

პარიჟი, 24 ივნისს 1874

Brd st Michel, 107.

ახირებული ხალხი ხართ, ღმერთმანი! ასე უთავბოლოთ დეპეშის მოწერა შეიძლება? მოდიო! როგორ, რითი, რატომ? რაღანც იწერებით, ჰგავს საჭიროა ჩემი მანდ ყოფნა, მაგრამ ერთი სიტყვა დაგეტანათ მაინც არის ტელეგრამმაში, გამეგო, თუ რისთვის შე-

ვიქვნი ასე უეცრად მანდ აუცილებლად საჭირო და რა ამბავია. ეს კიდევ არაფერი: განა თქვენ არ იცით, რომ მე ეხლა კაპეიკი არ გამაჩნია? არა თუ მე, ნიკოს და იზმაილოვს რაც რამე გაგვაჩნდა, ყველაფერი დაგირავებული გვაქს, ამას ვარდა მე აქ ცოტა ოდენი ვალიც მაქვს და ასე როგორ წამოვალ? დღეს ტელეგრამის მოწერა მინდა თქვენთვის, 14 ფრანკი არ გამაჩნია, რომ გამოგიგზავნოთ. ზარაფოვი სად არის მაინც, მოგეწერათ, რომ იმისთვის შეგვეტყობინებინა და წამოსასვლელი ფულები გამოეგზავნა. ამას წინათ იზმაილოვს მოუვიდა ამბავი, რომ ზარაფოვი ამ დღეებში მანდეთ მოდისო, თორემ თფილისში მოვწერდი. ჩემი ანგარიშით, აქამდინაც უნდა მოსულიყო მე იმისგან თვის ფული, მაგრამ არ მომდის.

ყოველ შემთხვევაში, დღეს-ხვალ ტელეგრამის ფულს ვიშოვნი, მოგწერთ და როგორც თქვენგან ცოტათი გარკვეული ამბავი და ზარაფოვისაგან ფულები (უკანასკნელი 350 მანეთი) მომივა, იმ წამსვე გამოვსწევ.

თუ ფულები მექნა, სხვა არაფერი დამაბრკოლებს, თუმცა ასე მოულოდნელად წამოსვლა ზოგიერთ ჩემ აქაურ პლანებს სრულებით ყირამალაზე მიყენებს და მიფუშავს სამ კვირაზე, მგონი, მანდ ვიქნები. მანამ, რაც უნდა იყოს, თქვენი ჰირიმე, საქმეებს ნუ დააბრკოლებთ. მგონი ეს გაზეთის საქმე უნდა იყოს. ნიკოს აზრით, იქნება სტეფანემ უხრიკა გაზეთსა და დაბეჭდვას არ უპირებდესო. ეს კიდევ ბევრი არაფერია, ამის გასწორება შეიძლება, რომ ჩამოვალ; მაგრამ მე ის მაწუხებს, ვაი თუ ცენზურისგან ან მმართველობისაგან რაიმე გასაჭირი დაადგა გაზეთს. რაც უნდა იყოს, ამ წიგნის მოსვლის შემდეგ, მე ერთ კვირაზე ან კვირა ნახევარზე მანდ გავჩნდები და მანამ თქვენ იცით. ოდესაში მომწერეთ თუ ძმა ხართ, პოსტ-რესტანციით უფრო დაწვრილებით—რაში მდგომარეობს საქმე.

აქეთ წამოსვლაც უბედური იყო ჩემი და დაბრუნებაც ასეთივეა...

თქვენი სერ. მესხი.

ოდესაში ეხლავე მიიწერე უთუოთ, არ დაგავიწყდეთ, თორემ ექვსი-შვიდი დღე ზღვაში მგონი, ჯავრით სული ამომხდება.

ს. მ.

წერილი მეცხრამეტე

15 სექტემბერი, 1875 წელი. თფილისი

ძ მ ა ო კ ი რ ი ლ ე!

დღე ერთია და ქანდაქარის მოსვლა ორი... სწორედ ტვინი წაიღო, აი! გუშინ გადაწყვეტით მითხრა, რომ ამ თვის დამლევამდი თუ ცოტა მაინც რამ არ მომეცით, მეტი გზა არ მაქვს, უნდა წარვადგინო თქვენი ვექსილი და უნდა გიჩივლოთ.

თუ ძმა ხარ, იქნება ერთი 100 ან 200 მანეთი მოუხერხო, მანდ როგორმე იშოვნე და ან მე გამომიგზავნე და გადავსცემ და ან პირდაპირ მაგის სახელზე გამოგზავნე.

აკაკი თუ ნახო, ჩემ მაგიერ უთხარი, რომ სცხვენოდეს ასე ჩვენი დავიწყება. ერთი ფელეტონი მაინც რატომ ვერ გამოგზავნა ქუთაისიდამ? ქუთაისიდამ მან კარგი „ცხელ-ცხელ ამბების“ გზავნა იცოდა ხოლმე!

მოიკითხე ყველანი. მე ახალ სახლში გადავედი, როგორც იქნა; იმ პატარა სახლში, რომელიც შენც ნახე.

მშვიდობით, ფულები არ დაგავიწყდეს, თუ ძმა ხარ, კიდევ გთხოვ.

შენი ს ე რ. მ ე ს ხ ი.

წერილი მეოცე

თფილისი, 1876, 14 დეკემბერს

ძ მ ა ო კ ი რ ი ლ ე!

თუ ძმა ხარ, ამ ქანდაქარისგან მიხსენი როგორმე: დღე ერთია და ამის მოსვლა ორჯერ. განსაკუთრებით ახლა, ქალაქში ხარჯი მაქვს შესატანიო 31 ქრისტეშობისთვემდინ 400 მანეთიო და თუ როგორმე არ მიხსენით, რაც უსიამოვნება მოგადგეს ჩემგან, ნურას უკაცრავათო, — ასე ამბობს. იქნება როგორმე შენ შენის მხრით 200 მანეთი მოუხერხო ამ 31 დეკემბრისათვის; სწორეთ რომ მეც მიხსნი გაჭირვებისაგან და შენც დაგიმადლებს. ჩემი მდგომარეობა რომ იცოდე, იტყვი — იმას თავის დარდიც და თავის ვალებიც ეყოფაო, და ამიტომ მომიტევებ თუ ასე ხშირად გწერ ამ კაცის ვალზე; შენ რომ ცოტას მაინც შენსას გაისტუმრებ, იქნებ მე ხელი შემიშვას, თორემ რამდენი ხანია არც ერთს გროშს არ მოგვიცდიდა და ვინ იცის, რას არ ჰფიქრობს. სულ კი მე მაწყდება ამის ყვედრება და უსიამოვნება.

მაშ ეგრე, ეცადე თუ ძმა ხარ, როგორმე 200 მან. მაინც უშოვნე და გამოუგზავნე. ყოველ შემთხვევაში წიგნი მოსწერე, გემდურის, წიგნი მივწერე და პასუხიც არ მაღირსაო.

აკაკის უთხარი სცხვენოდეს, რომ ამდენი ხანი ხმას არ იღებს და არაფერს არ იწერება. იქნება კიდევ რაზედმე გაბუტული მყავს?! მიზეზი მაინც შემატყობინოს, რომ ვიცოდე და იქნება თავის გამართლება მოვახერხო, თუმცა ალახმა იცის, არაფერ შეცდომას არ ვგრძნობ ჩემში მაგის შესახებ.

თუ ბ. ღოღობერიძეს ღმერთი უწყრება და ახერხებს ფულების ძლევას ბანკიდამ, ფულები ცოტათი მაინც დატრიალდებოდა მანდ და ისე ძნელი საშოვარი აღარ უნდა იყოს, განსაკუთრებით შენთვის და აკაკისთვის... მაგას ჰე, აფსუს, მამულებო, რომ დროზე მოხვარება და გამოყენება არ იცით!

საშობოთ თუ არა, სანათლებოთ მაინც ჩამოვალ და იქნება сами-друг, ესღა გვაკლდა, განა!

შენი ს ე რ. მ ე ს ხ ი.

გიორგი წერეთელი*

ამჟამად ინტერესი ქართული აზროვნების ისტორიის შესწავლისა მეტად გაცხოველებულია ჩვენში. მაგრამ ისიც უნდა ითქვას გარკვევით, რომ ამ ინტერესის რეალურად განაღდებას ბევრი რამ დამაბრკოლებელი მიზეზი ეღობება წინ: პირველი ის, რომ დღემდე ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლის საქმეში ძალიან მცირედი რამ იყო გაკეთებული, ხოლო გასაკეთებელი კი ერთობ ბლომად არის; მეორე ის, რომ დიდძალი მასალები ამ დარგიდან არამც თუ გამოქვეყნებული არ არის, არამედ სრულიად უცნობია. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენში დღესაც არ არის გამოცემული ნაწერების სრული კრებული, თუ გინდ ერთი რომელიმე ჩვენი პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მოღვაწისა. ეს დიდი დანაკლისი და სამწუხარო ფაქტი არის. მაგრამ ამას დაძლევა ესაჭიროება და ეს შესაძლებელია მხოლოდ კოლექტიური გზით. ამ მხრივ აღსანიშნავია და საყურადღებო „სახელგამთან“ ე. წ. კლასიკოსთა სექციის დაარსება, რომლის მიზანია გამოსცეს თუ სრული არა, ყოველ შემთხვევაში, რჩეული ნაწერები ჩვენი მწერლებისა და პუბლიცისტების. უკვე მუშაედება ხუთწლიან გეგმასთან დაკავშირებით სქემა ამ გამოცემისა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ სახელგამი უკვე შეუდგა გ. წერეთლის პუბლიცისტური ნაწერების ბეჭდვას, მხადდება დასაბეჭდათ ნ. ნიკოლაძის რჩეული ნაწერები და დიმიტრი ყიფიანის „მემუარები“, უნდა აღინიშნოს აგრეთვე, სახელგამისავე განზრახვა ე. ნინოშვილის ნაწერების აკადემიური გამოცემისა; აკაკი წერეთლის ოთხი ტომი რჩეული ნაწერების გამოცემა, ილია ჭავჭავაძის ათი ტომი სრული ნაწერებისა და სხვა. ამრიგად, საქმე უკვე დაწყებულია და სასურველია მისი უფრო ენერგიული საშუალებით გაფართოება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ დიდ მუშაობას საკმაო დახმარებას გაუწევს, თუ პერიოდულ გამოცემათა ფურცლებზე დრო გამოშვებით გამოქვეყნებული იქნება ჩვენი პუბლიცისტებისა და მწერ-

* გამოქვეყნდა ჟურ. „მნათობში“ 1929 წ., № 11-12 და 1930 წ., № 2—3.—რედ.

ლების მიწერ-მოწერა და ლიტერატურული ხასიათის დოკუმენტები. თქმა არ უნდა, რომ ამ საშუალებით ძლიერ გაუადვილებთ გამომცემლობასაც და მკვლევართ თავიანთ მუშაობის საქმეს. ამგვარი ხასიათის მასალები და დოკუმენტები, ერთი მხრივ, იძლევა საინტერესო ბიოგრაფიულ და ბიბლიოგრაფიულ ცნობებს, გვაძლევს ძლიერ ხშირად მასალებს ისეთს საიდუმლო მოვლენებისათვის, რომელთა გამომზეურება წინათ შეუძლებელი იყო ოფიციალურ დოკუმენტებში; მეორე მხრივ, იგი აუცილებლად იწვევს ინტერესს თვით საზოგადოებაში,—წაახალისებს მას და მასთანვე ხელს შეუწყობს ცალკე ოჯახებში უხვად გაბნეულ საინტერესო დოკუმენტებისა და მასალების თავის მოყრას საზოგადოებრივ ორგანიზაციების ხელში.

პირველ რიგში ჩვენ ვაქვეყნებთ გიორგი წერეთლის კერძო წერილებს.* იანვარში სრულდება 30 წელი მისი გარდაცვალებიდან (1900—1930 წ.), ხოლო 88 წელი მისი დაბადებიდან (1842—1930 წ.). ეს საიუბილეო დატები აუცილებლად იწვევენ ინტერესს გ. წერეთლის ინტიმურ ცხოვრებისა—და მისი კერძო მიწერ-მოწერისადმი.

გ. წერეთელი ჩვენში საკმაოდ ცნობილი მწერალია; მაგრამ უნდა ითქვას, რომ იგი არ არის შესაფერისად დაფასებული: მისი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ჯერჯერობით არ ყოფილა გაშუქებული. მას ჩვენი მკითხველი საზოგადოება უფრო იცნობს, როგორც ბელეტრისტ მწერალს. ხოლო მისი საზოგადოებრივი პოლიტიკური და ეკონომიური მსოფლმხედველობა სრულიად არ არის შესწავლილი. გიორგი წერეთელი მრავალფეროვანი მწერალი იყო; მას, ისე როგორც სხვა ჩვენ მწერლებსა და მოღვაწეებს, მრავალგვარ სარბიელზე უხდებოდა მოღვაწეობა. იგი ერთსადა იმავე დროს რედაქტორიც იყო და მრეწველიც, პუბლიცისტიც და დრამატურგიც, პოეტიცა და ისტორიკოსიც, ბელეტრისტიცა და არქეოლოგიც, საზოგადო მოღვაწეცა და ბუნებისმეტყველიც. უნდა ითქვას, რომ გ. წერეთლის ბრძოლას ამ მრავალგვარ ფრონტზე უნაყოფოთ არ ჩაუვლია. მისი ღვაწლი ამ მხრივ აუცილებლად აღსანიშნავია, ქართული აზროვნების ისტორიაში გიორგი წერეთელს მეტად საპატიო ადგილი უჭირავს.

* ქართველ მწერალ-მოღვაწეთა კერძო მიმოწერის გამოქვეყნება განსვ. სიმონ ხუნდაძემ გიორგი წერეთლის წერილებით დაიწყო. მათ მოჰყვა სერგეი მესხის და ილია ჭავჭავაძის წერილებიც.—რედ.

გ. წერეთელი 60-იანი წლების მოღვაწეთა გუნდს ეკუთვნოდა. მან სხვა ჩვენ მწერლებთან ერთად მძლავრად განიცადა რუსეთის სამოციან წლების მოაზროვნეთა გავლენა. ის ღრმა დემოკრატიული ნაკადული, რომელიც ასე საგრძნობლად მოსჩქეფს გიორგი წერეთლის პირველ ნაწერებშივე, თავის სათავეს ჩერნიშევსკის, დობროლუბოვისა და 60-იანი წლების სხვა მოღვაწეთა ნაწერებიდან ღებულობს გაზ. „დროების“ პირველსავე ნომერში (№ 1, 1866 წ.), რომლის რედაქტორი და სულის ჩამდგმელიც ის იყო, გ. წერეთელი სწერდა, რომ იგი თავისი მოღვაწეობის მთავარ დანიშნულებას ბატონყმობის მოსპობაში ხედავდა. გ. წერეთელმა, აღზრდილმა განმათავისუფლებელ ეპოქის რადიკალურ-დემოკრატიული აზროვნების ნიადაგზე, ნათლად შეიგნო ბრძოლის - აუცილებლობა იმ დახავსებულ წყობილების წინააღმდეგ, რომელიც გაბატონებული იყო მაშინ საქართველოში. „საქართველოს მოამბის“ ფურცელზე მწერლის მოვალეობას გ. წერეთელი შემდეგნაირად განსაზღვრავდა: „მწერალი არის ერთი თავის საზოგადოების წევრთაგანი, ერთი იმ პირთაგანი, რომლების კრებაც შეადგენს საზოგადოებას. ეს არის საზოგადოების ტანჯვის და შვების თანაგრძნობელი. რაში მდგომარეობს მისი ღვაწლი საზოგადოების წინ?— აჩვენოს საზოგადოებას თავისი აზრი ამ ნაკლულევანების შესახებ, უჩვენოს იმ გვარი საშუალებები, რომლებიც მისი ფიქრით საუკეთესო არიან ამ ნაკლულოვანებების მოსასპობლად“.* მწერლობა უნდა ემსახუროს საზოგადოებას, ხელი შეუწყოს ცხოვრების განახლებას და წინმსვლელობას.—ასეთი არის ის ძირითადი პრინციპი, რომელიც შეითვისა გ. წერეთელმა 60-იანი წლების რუსეთის აზროვნებიდან და რომელსაც იგი გულმოდგინეთ ემსახურებოდა მთელი თავისი ხანგრძლივი საზოგადოებრივი-ლიტერატურული მოღვაწეობის პერიოდში.

მაგრამ მარტო ამ მომენტით არ ამოიწურებოდა გ. წერეთლის მსოფლმხედველობა: იგი მტკიცედ იდგა 60-იანთა „განმანათლებლის“ თვალსაზრისზე და რაციონალისტის საზომით იხილავდა საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატების საქმეს: განათლება და აზროვნება ქმნის წინმსვლელობის საქმეს,—ასეთი იყო ამ რაციონალის-

---

* გ. —თელი (გ. წერეთელი): „ცისკარს რა აკაკანებდა?“ ჟურ. „საქართველოს მოამბე“, № 5, გვ. 55, 1863 წ.

ტური სოციოლოგიის ძირეული საფუძველი. „რადგანაც კაცის გონიერებას,—სწერდა გ. წერეთელი,—მოსდგამს მუდამ სისრულეში მომავალობა, არაოდეს არც ხალხის ცხოვრება არ დარჩება მუდამ ერთ და იგივე მდგომარეობაში; აღიძვრის თუ არა ცხოვრებაში იმდენი ძალა, რომ საკმაო იქნება ახალ საშუალების მოსაპოებლად და ძველი ფორმის გადასაგდებლათ, იმავ წამს ცხოვრების წინმსვლელობაც დაიძერის და ატყდება გამწარებული ბრძოლა ძველ წყობილების და ახალ მოთხოვნილების შუა“.* აქ უკვე ნათლად მოსჩანს ევოლიუციონური პრინციპი, რომელიც იმავე 60-იან წლების მწერლების არსენალიდან არის გადმოღებული, მაგრამ ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის მოძღვრებიდან გ. წერეთელმა არა მარტო ევოლუციონური თეორია შეითვისა, არამედ ერთგვარი რევოლიუციონური მსოფლმხედველობაც. მას კარგად ესმოდა, რომ „ბრძოლა ძველ წყობილებასა და ახალ მოთხოვნილების შუა“ დაუცხრომელი და სასტიკია, რომ გადასვლა ერთი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან მეორეში—არ შეიძლება მოხდეს მშვიდობიანი გზით და საშუალებით.

ეს პრინციპები მტკიცედ შეითვისა გ. წერეთელმა 60-იან წლებში და მთელი თავისი მოღაწეობა მის რეალურად განაღდებას შეალია. ის უკვე თავიდანვე ფიქრობდა, რომ ჩვენი ცხოვრების სიღრმეში მოწინავე ინტელიგენციის მეთაურობით მოძზადდა ახალი ძალა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი არის ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განმტკიცება.

მაგრამ როგორი საზოგადოებრივი ურთიერთობისაკენ მიისწრაფოდა გ. წერეთელი, როგორი იყო მისი სოციალ-პოლიტიკური იდეალები?

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ჩვენ ისტორიულ-ობიექტურ პირობებში გ. წერეთლის მიერ შეთვისებულმა რუსეთის 60-იანი წლების იდეალებმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული შინაარსი მიიღეს. გ. წერეთელი ბურჟუაზიულად მოაზროვნე რადიკალი და დემოკრატი იყო. არავის ეს რადიკალ-დემოკრატიული და ბურჟუაზიული მსოფლმხედველობა ისე სწორად და ნათლად არ გაუტარებია ჩვენში, როგორც გ. წერეთელმა გაატარა. შეიძლება ითქვას, რომ იგი 60-იან წლებიდან ამ ახალი საწარმოო ძალის მებაირახტრე იყო.

* გ.—თელი (გ. წერეთელი): „ცისკარს რა აკაკანებდა?“ ჟურ. „საქართველოს მოამბე“ № 5, გვ. 55 1863 წ.

იგი ერთი მხრივ, ებრძოდა ძველ დახავსებულ წყობილების ფორმებს, ხოლო მეორე მხრივ. ოცნებობდა და ქადაგებდა საქართველოს ეკონომიურ აღორძინებას კაპიტალიზმის გზით. 1873 წ. იგი სწერდა: „ჩვენი თავად-აზნაურობის დასუსტება, დაქვეითება და მუშა ხალხის სულის ჩადგმა, მისი წინ წამოწევა, აი ერთი დიდათ სანუგეშო ნიშანთაგანი ამ დროებისა. მაშ გაუმარჯოს მშრომელს ერს და იმის მოთავე მშრომელს, განათლებულს ახალგაზრდობას! ჩვენი ქვეყნის ბედნიერება შემდეგში მათს ერთმანეთთან დაკავშირებაზეა და დაუეგობრებაზეა დამოკიდებული“.* ეს ბრძოლა ძველი წყობილების ნაშთების წინააღმდეგ და ინტელიგენციასა და მშრომელ მასაზე დაყრდნობა გარკვეით ააშკარავებს გ. წერეთლის დემოკრატიულ-პოლიტიკურ მისწრაფებებს.

მაგრამ როდესაც ჩვენ გადავშლით გ. წერეთლის ეკონომიური პროგრამის შინაარსს, ნათლად დავინახავთ, რომ იგი მრეწველობის, აღებ-მიცემობის, ვაჭრობისა და ეკონომიური წარმატების მქადაგებელი იყო ჩვენში. თავიდანვე გ. წერეთელი აღტაცებით ხვდებოდა ჩვენში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას. იმავე წერილში სწერდა: „ისინი (სოფლებიდან ჩამოსული ხალხი) დღიდან დღეზე მრავლდებიან ტფილისში და ტფილისის ბაზარზე ამრავლებენ საქართველოს მიწა-წყლის ნაწარმოებს და ადიდებენ საქართველოს ხალხის აღებ-მიცემობას“.**

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ გ. წერეთელი 60—70-იან წლებში მოქხრე იყო ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას ჩვენში ერთგვარი კოლექტიური სახე და ფორმა მიეღო, ე. ი. იგი ფიქრობდა საქართველოს სინამდვილეში კაპიტალიზმის განვითარებისათვის დაეკარგა თავის ჩვეული მკაცრი სახე და ბანკების, კოოპერაციების, ასოციაციებისა და არტელების გზით წასულიყო ჩვენი ეკონომიური ცხოვრება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თავიდანვე გ. წერეთელი ამიერკავკასიის ერთა სოლიდარობის პროგრამით გამოდიოდა და ცდილობდა სომხების, ქართველების და თათრების დაძმობილებას. 1879 წ. იგი სწერდა: „ჩვენ, საქართველოს ხალხს და იმათს დაწინაურებულს კაცებს დღეს ბაირაღზე ეს უნდა გვეწეროს: ერთმანეთთან დახმარება, ერთმანეთის პატივისცემა, სამივე ერის (სომ-

* გ. წერეთელი, „ამ დროის მოძრაობა“—„კრებული“ № 3, გვ. 231, 1873 წ.
** იქვე, გვ. 214—215.

ხების, ქართველების და თათრების.—ს. ხ.) გულისათვის ერთად ზრუნვა, ძმური კავშირი და საერთო ძალით იმ შინაური ცუდის გასწორება, რომელიც ასე აჩერებს ჩვენს კეთილ-მდგომარეობის გზაზე წინ წასვლას.“*

უკვე ფაქტია, რომ გ. წერეთელი 70-იან წლებში მომხრე იყო ამიერ-კავკასიის დემოკრატიულ-ფედერატიული რესპუბლიკის დაარსებისა და 1874 წ. ჟენევაში მოწვეულ კავკასიის მოღვაწეთა კონგრესზე, მან სწორედ ამ პროგრამას დაუჭირა მხარი.

ამრიგად, გ. წერეთლის სახით ჩვენში მეტყველებდა პროგრესიული ბურჟუაზია. მან საუცხოოთ ასახა ამ კლასის პროგრამა და რადიკალური მისწრაფებანი.

მეტად საგულისხმოა გ. წერეთლის დამოკიდებულება 90-იან წლებში ს.-დემოკრატიულ მიმდინარეობისადმი, რომელიც მან „მესამე დასელთა“ სახელწოდებით მონათლა.

1899 წ. გაზ. „ივერიის“ საპასუხოთ იგი სწერდა: „მარქსის თეორიას ეკონომიური მატერიალიზმისას პოლიტიკო-ეკონომიურ მეცნიერებაში იგივე ადგილი უჭირავს, რაც დარვინის თეორიას ბუნების მეცნიერებაში და ბიოლოგიაში. ეს არის უკანასკნელი მეცნიერული დასკვნა პოლიტიკო-ეკონომიაში და სოციოლოგიაში“.**

ნუთუ უნდა ვიფიქროთ, რომ გ. წერეთელმა სავსებით შეითვისა მარქსის მოძღვრება და გახდა მეცნიერული სოციალიზმის მიმდევარი?—რასაკვირველია, არა. იგი ბოლომდე დარჩა პროგრესიული ბურჟუაზიის მებაირაღტრედ. როგორც რუსეთში „ლეგალური მარქსიზმის“ წარმომადგენლებმა მოინდომეს მუშათა მოძრაობისა და სოციალ-დემოკრატიის გამოყენება თავიანთ ბურჟუაზიული ინტერესებისათვის, ისე გ. წერეთელიც შეეცადა ამ ახალი ძალების გამოყენებას ბურჟუაზიული ურთიერთობის ინტერესებისათვის. იგივე გ. წერეთელი 90-იან წლების დასაწყისში სწერდა:

„ჩვენ უნდა გავხსნათ ჩვენი საკუთარი სამრეწველო და სამეურნეო ბანკები, უნდა დავაარსოთ სამეურნეო და სამრეწველო ასოციაციები, უნდა ვისწავლოთ ვაჭრობა და აღებ-მიცემობა, გავხს-

---

* გ. წერეთელი, „ჩვენ და ჩვენი დროება“, გაზ. „დროება“, № 16. 1879 წ.

** გ. წერეთელი, „გაზ. „ივერია“ და მისი საპოლემიკო ხასიათი“, „კვალი“, № 5, 1899 წ.

ნათ ჩვენივე საკუთარი მოთხოვნილების დუქნები".* კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: 1899 წ. გ. წერეთელმა „კვალში" მოათავსა საინტერესო წერილები: „ქუთაისის საადგილმამულო ბანკი და ინტელიგენტთა პარტიები" (იხ. № 11, 12, 13, 1899 წ.). ამ წერილის შესახებ ა. წულუკიძემ „კვალში"-ვე მოათავსა ღია ბარათი გ. წერეთლისადმი, რომელშიაც იგი, სხვათა შორის, სწერდა: „ბატონო გიორგი, მაგრამ მითხარით როგორ მოვათავსოთ ერთად: ერთის მხრით ცნობილი მეცნიერის (ე. ი. კ. მარქსის.—ს. ხ.) მოძღვრება კლასიურ ანტაგონიზმზე, რომლის მომხრეთ თქვენ თავს სახავთ და მეორე მხრით, თქვენივე მფარველობითი კილო „ახლად აღორძინებულ ვაჭარ-მრეწველის კლასის" შესახებ??"**

ამ შეკითხვაზე გ. წერეთელი იმავე ნომერში უპასუხებს: „აქ არ არის არავითარი წინააღმდეგობა. ძველ, დროგადასულ წყობილების წინააღმდეგ ახალ წყობილებას (ე. ი. კაპიტალისტურს.—ს. ხ.), რომ ვიცავდე, ეს წინააღმდეგობა კი არა, ეთანხმება თვით „მოძღვრებას".***

აქედან უკვე ნათელი არის, რომ 90-იან წლებში გ. წერეთელი ცდილობდა პროგრესიულ-ბურჟუაზიული აზროვნება „შეეუღლებია" მარქსისტულ მოძღვრებასთან. რასაკვირველია, ასეთი ცდა მარცხით უნდა დამთავრებულიყო.

დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ გ. წერეთლის პიროვნების, აზროვნებისა და სოციალ-პოლიტიკური მისწრაფებების შესწავლა მეტად საინტერესო თემას წარმოადგენს. გ. წერეთელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა გასული საუკუნის ჩვენ ინტელიგენტთა შორის. მან თავისი ხანგრძლივი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ფართო კვალი დააჩნია ჩვენი აზროვნების განვითარების საქმეს.

* *

ქვემოთ მოყვანილი გ. წერეთლის კერძო წერილები შეეხება მისი მოღვაწეობის ორ მნიშვნელოვან ხანას: 70-იან წლებში გ. წერეთელი უმთავრესად საზოგადოებრივ-კულტურულ მუშაობას ეწეოდა, იგი რაზმავდა ახალგაზრდობას, ადგენდა პარტიებს და

* გ. წერეთელი, „კვალის ორი წლის ნაღვაწი", „კვალი", № 3, 1895 წ.

** ა. წულუკიძე, „ღია წერილი ბ-ნ გიორგი წერეთელს", „კვალი", № 16, 1899 წ.

*** იქვე.

ამუშავებდა მათთვის სამოქმედო პროგრამას. 80-იან წლებში ჯ. წერეთელი გაიტაცა პრაქტიკულმა საქმიანობამ—სამრეწველო საქმეებმა. აქაც იგი თავგამოდებით ადგენდა ჯგუფებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღორძინებისათვის და იწვევდა უცხოეთის კაპიტალისტებს. დიდი უმეტესობა წერილებისა აღმოჩნდა ნ. ნიკოლაძის არქივში (აქედან ჩვენ მხოლოდ ნაწილს ვბეჭდავთ), ხოლო რამდენიმე წერილი—ს. მესხის საქმეებში.

70-იანი წლების წერილები

1. წერილები ნიკო ნიკოლაძისადმი

წერილი პირველი

16 ოქტომბერს (1873 წ.). *

საყვარელო ძმაო ნიკო! ქუთაისში ძალიან ამბებია, დღე და ღამე სულ ჩვენზე ლაპარაკობენ და ჩვენს უსინდისობაზე. ვინ იცის, რაბდენს მოუსაზრებელს საძაგლობას არ გვახვევენ თავზე. „დროებაში“[1] რომ ბესარიონს ღოღობერიძესა[2] და შენს შუა პოლემიკა იყო,[3] ჩვენ როგორც გვეგონა, ისეთი კარგი გაელენა არ ქონებია. ყველანი იძახიან, რომ რაც უნდა იყოს, პირველათ ბეს. ღოღობერიძეს ხომ არ გამოუწვევიხართ გასალანძღავათო. თქვენ დაიწყეთ თავიდანვე იმისი ლანძღვა, ლანძღეთ კიდეც და ლანძღვითაც გაათავეთო. ამას გარდა ღოღობერიძეებიც[4] თუ კი რამეს ხელის მოსაელებელს ჩაიგდებენ ხელში, რომ ტალახი გვესროლონ, არას ზოგვენ. მაგალითად, თუნდ „თბილისის ვესტნიკი“[5] ავიღოთ, როდესაც წაუკითხავთ იქ პოლემიკა შენს და ტფ. ვესტნიკის რედაქციას შუა, აი როგორ უსარგებლიათ. რომელ ნომერშიაც იყო ბებუთოვის სტატია, სადაც გვეწამებოდა პიროვნებითს პოლემიკას, ის ნომერი ღოღობერიძეებს თითქმის ზეპირათ დაესწავლათ და დაჭონდათ თურმე კარდაკარ და იძახოდენ: „აი რუსული გაზეთი, როგორ გონიერათ სჯის „დროების“ რედაქციის უსინდისობაზეო“. როდესაც შენი პასუხი გამოვიდა, ის ნომერი, საცა ეს სტატია იყო დაბეჭდილი, თურმე მიმალეს და არავის წააკითხეს. აგრეთვე

* ფრჩხილებში ჩასმული წელთა აღრიცხვა ეკუთვნის წერილების რედაქტორს. ს. ბ.

მოიქცენ, როდესაც დ. ერისთავის „კომპრაჩიკოსული“ მხილება იყო დაბეჭდილი თურმე, ეს ნომერი მთელს ქუთაისში ჩამოატარეს, და ის ნომერი, რომელშიაც ჩვენი წიგნი და რედაქციის პასუხი იყო დაბეჭდილი მიმალეს. თურმე, კაცს თვალით აღარ უნახავს. თვითონ ღოღობერიძესთან შენს პოლემიკას არც მაზრებში ჰქონია კარგი გავლენა. ბევრი ახალგაზრდა ყმაწვილი კაცები, რომელნიც თითქმის „დროებით“ იყვნენ გაღვიძებულნი და „დროებისაგან“ იღებდენ მხოლოდ გონების საზდოსა, დღეს თურმე ისინიც ამბობენ: „არ გვეგონა, თუ „დროება“ პიროვნებითს მხილებას გამოუდგება და არ გვეგონა თუ „დროება“ რამდენსამე ნომერს იმის კითხვებით გააცსებდა, თუ ღოღობერიძემ რა თქვა და „დროების“ რედაქციის წევრებმა რა თქვესო, რაც უნდა თქვათ, რა პირობაც უნდა დაედვათ იმათ ერთმანეთში, ჩვენთვის სულ ერთია, მაგითი ჩვენი ბანკის საქმე წინ არ წაიწევაო; ჩვენ ვფიქრობდით, რომ „დროება“ ყველაზე პირველად ბანკის პროექტის გარჩევას შეუდგებოდა, დაგვანახებდა ნათლათ, რა იყო საგრძნობელი და სამძიმო ნაკლულევანება ღოღობერიძის პროექტში, რომ ამ ნაკლულევანების მითითებით ხელში გექონოდა საბუთი რომ გეუყვირა აი ამა და ამ მიზეზით პროექტი არ ვარგა და ხელმეორეთ კამისიას განვახილვინოთ, ვარჩევინოთ და ნაკლულევანი მუხლები გამოვაცვლევინოთო, დღეს ჩვენ არ ვიცით რა ნაკლულევანება აქვს ბეს. ღოღობერიძის პროექტს. ამას არც „დროება“ გვეუბნება და ვართ ორთა შუა დარჩენილი, ხმაც ვერ ამოგვიღია საწინააღმდეგოთი და იმასაც ვშიშობთ, ვაი თუ მართლა რამე დიდი ნაკლულევანება სჭირდეს ბესარიონის პროექტს და შემდეგში ცუდათ წაგვემართოს ჩვენი საუკეთესო საქმეებიო“. ამნაირი უკმაყოფილება მეორე გვარ იქნეულობასაც ბადებს ჩვენი საზოგადოების გულში: „იქნება მართლა „დროების“ რედაქციას თვითონ უნდოდა ხელში ჩაგდება ამ საქმისა, სარგებლობა და მხოლოდ იმისთვის დაუწყო ღოღობერიძეებს ჩხუბი, თორემ სხვა მიზეზი არა უქნიათ რაო“. როდესაც ამნაირს ეოსაზრებას ავხსნით, არ შეიძლია არა ვთქვა, რომ ჩვენ მრავალი წვრილმანი გარეშე საქმეების თავის თავზე მიღებით უმთავრესი საქმე გვავიწყდება ხოლმე და ამითი ჩვენს მომავალ საქმეებს და მდგომარეობას რომ ვნება არ ეძლეოდეს, არ იქნება. მართლაც, მე ახლა როგორც ვატყობ, ყველაზე უპირველესი ჩვენი საქმეები იყო:

1. ლაფრონისაგან კითხვებზე საჩქაროთ საფუძვლიანი პასუხების შეკრება და გაგზავნა.

2. ღოღობერიძის პროექტის საფუძვლიანათ შესწავლა, იმისი საფუძვლიანათ გარჩევა და ჩვენი საზოგადოების მომზადება ბანკის ოპერაციის გაგებისათვის.

3. ჩვენი საკუთარი საქმეების კარგათ დაწყობა: საზღვარგარეთ ხელის მიწვდენა,[7] საკორესპონდენციო კანტორების დაარსება ჩვენი ქართული წიგნების და ჟურნალების გასავრცელებლათ, საოსფლო ბანკების მასალების დამზადება და სასოფლო გაზეთის[8] ფეხზე დაყენება; ბიბლიოთეკის გადაკეთება.[9] პირველი ორი მუხლი რომ შეგესრულებია ადრევე, მესამე მუხლს ძალიან კარგათ მოვაწყობდით. ყველა ესენი შეხი მიუცილებელი მოვალეობა იყო: შენ შეგეძლო ამათი ადრევე ასრულება განსაკუთრებით, კიდეც მოახერხებდი, მაგრამ არ იქნა,—რატომ?—კითხე შენ თავს. ახლა, ძმაო, სამეგრელოში ასეა თურმე საქმე: „ვაი ნეტავი ერთი დროებაში წაგვეკითხა ბანკის ნაკლულევანებაზეო, რომ ფულების შეერთებაზე ხელი არ მოგვეწერა, სანამდის კამისიას არ დაეანიშვნინებდით და არ შეეასწორებინებდით უმთავრესს ნაკლულევანებებსაო. ახლა რა? სულ არაობას ცალი უღელი ხარი სჯობია; ისევ ისა სჯობს, შეუერთდეთ, ვინემ არც იქით ეიყოთ, არც აქეთ, თუმცა იქნება ეს შეერთება შემდეგ ჩვენთვის კარგათ არ დარჩესო". ამ შემთხვევაში მე დიდ ნაკლულევანებათ ვთვლი იმას, რომ მაზრებში ისეთი კორესპონდენტები არა გვყავს, რომელთაც ადევნონ ყური ხალხის ხმას, აზრს და ტვინს; და მომენტალური მიდრეკილება, იმისი შინაგანი დღიური ტოკვა და წადილი, მაჯის ფეთქა, თუ შეიძლება ასე ვთქვათ. გადმოგვცენ ხოლმე გაზეთში—ამისთანა კორესპონდენტების შოვნა ძალიან საჭიროა ჩვენთვის—მე დარწმუნებული ვარ, ამისთანა კორესპონდენტი რომ გვყოლოდა, ბანკის პროექტის გარჩევა აქამდის არ გადაიდებოდა. ნუ იფიქრებ, რომ ბანკის პროექტის გარჩევა ახლაც არ იყოს სასარგებლო. ძალიან საჭიროა ახლაც, ძალიან.

მეტი რა გზაა, ჩვენ კვირამდის დავრჩით. ეცადე ფული ოთხშაბათამდის იშოვნო, ჩემი და შენი სახლობის წასასვლელი, თორემ ცუდათ მოგვივა საქმე.[10] დედა შენი ამბობს, რომ ახლა არ წაიდე, ცოცხალი არ დავრჩებიო. მოიხმარე ყოველი შენი გამჭრიახობა და ეს საქმე აასრულე. ამაში ჩემი რჩევა და სიტყვები არ გჭირია,

თვითონ იცი, რა დიდათ საჭიროა ჩვენი წასვლა, ამ დღეებში უსათუოდ გელი, იმ დღეს რომ იყავი აღელვებული და მოწყენილი, ისე ხომ აღარა ხარ? მაგრამ რას ვამბობ, შენ ისეთი კაცი არა ხარ, რომ დარდმა დაგჩაგროს. ჩემის აზრით, ყველაზე უფრო კარგი თვისება შენი ეს არის. დარდი რას გარგებს? საქმეს მხნეობა, სულის სიმტკიცე და მოსაბრება უნდა, შენ არც ერთი ეს არ გაკლია.

შენი გიორგი.

კირილე[11] ხვალ მიდის შინ და ხუთშაბათს ქალაქს წამოვა. სტატიას გიგზავნი. „კრებულის“[12] გარჩევაც მოგივა. ახლა რომ სტატიას გიგზავნი, ეს და წინანდელი ერთად უნდა დაიბეჭდოს.

აკაკის სტატია გამოგზავნე.

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი

1. გაზ. „ცნობა“ დააარსეს 1866 წ. ვ. თულაშვილმა, ნ. ღოღობერიძემ და ს. მელიქიშვილმა, რედაქტორად მოიწვიეს გ. წერეთელი. 1869 წ. შესდგა ახალი სარედაქციო წრე ნ. ნიკოლაძის, ს. მესხისა და გ. წერეთლის შემადგენლობით. ოფიციალური რედაქტორობა გადაეცა ს. მესხს. ეს წრე განაგებდა რედაქციის საქმეს 1873 წლამდე. 1883 წლამდე გაზეთს რედაქტორობდა იგივე ს. მესხი, 1883-85 წლებში — ივ. მაჩაბელი. გაზეთი დემოკრატიული მიმართულებისა იყო. მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ჟურნალისტიკისა და ქართული აზროვნების განვითარების ისტორიაში. 1885 წ. იგი მთავრობის განკარგულებით დახურული იქნა.

2 ბესარიონ ღოღობერიძე ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე იყო 60-იანი წლებისა. ბას უახლოესი კავშირი ჰქონდა „სოვრემენიკის“ ჯგუფთან და პირადათ იცნობდა ნ. ჩერნიშევსკის. 1861 წლის სტუდენტთა მოძრაობის მეთაურთაგანი იყო, რისთვისაც რამდენიმე თვით კრონშტატშიაც იყო დაპატიმრებული. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, ხოლო ბოლო ხანებში ქუთაისის ბანკის თავმჯდომარე იყო. გარდაიცვალა 1879 წ.

3. 1873 წელს დაიწყო პოლემიკა საბანკო საკითხების გარშემო, ერთის მხრივ, ბ. ღოღობერიძესა და, მეორე მხრივ, „დროებას“ ჯგუფს შორის ნ. ნიკოლაძის მეთაურობით. კამათმა მეტად მწვავე ხასიათი მიიღო.

4. აქ იგულისხმება ნიკო, გიორგი და ბესარიონ ღოღობერიძეები.

5. „Тифлисский Вестник“ დაარსდა ბებუთოვის რედაქტორობით 1873 წ. 1375-77 წ.წ. გაზეთში უახლოეს თანამშრომლობას ეწეოდა ნ. ნიკოლაძე. 1878 წ. რედაქტორობდა დ. ერისთავი.

1879 წლიდან უახლოესი თანამშრომელი იყო გ. წერეთელი, რომელმაც თავი დაანება „დროებას“.

6. დავით ერისთავი—შვილი გიორგი ერისთავისა—ჟურნალისტი და დრამატურგი.

7. აქ ლაპარაკია საზღვარგარეთ (ციურიხსა, ჟენევასა და სხვ.) გაგზავნილ ახალგაზრდათა შესახებ, რომელთა უმეტესობა ნ. ნიკოლაძისა და გ. წერეთლის ხელმძღვანელობით წავიდნენ საზღვარგარეთ 70-იან წლების დასაწყისში. მატერიალურ დახმარებასაც ისინი უწევდენ აღნიშნულ ახალგაზრდებს. მათ საზღვარგარეთ შეადგინეს საზ-ბა „უღელი“ 1873 წელს. მათში ბლომად იყო ქალებიც. ამათ შესახებ 1895 წ. გ. წერეთელი იგონებდა: „...იმან (პროფ. ი. თარხნიშვილმა—ბუნებისმეტყველმა.—ს. ხ.) შექმნა მთელი ეპოქა მიძინებულს თბილისის საზოგადოებაში. იმან აღძრა უმაღლესი სწავლის სურვილი მთელს ახალგაზრდობაში, განსაკუთრებით, დედათა სქესში. უმეტეს ხაწილათ თ. ივ. თარხნიშვილის მკვირ-მეტყველებას და ცოცხალს მეცნიერულს სიტყვას უნდა მიეწეროს ის მოძრაობა, რომელიც აღმოჩნდა 1873 წელს თბილისის ახალგაზრდობაში. პირველი მაგალითი იყო, რომ ამ წელს ერთმა გუნდმა ახალგაზრდა ინსტიტუტ-ზავედენიის დასრულებულმა ქალებმა მოინდომეს საზღვარგარეთ წასვლა უმაღლეს სწავლა-მეცნიერების მისაღებათ (იხ. „კვალი“, № 12, გვ. 10, 1895 წ.). შემდეგ წერილებში ამ ჯგუფის შესახებ ხშირად იქნება საუბარი.

8. „სასოფლო გაზეთი“ დაარსდა 1868 წ. გ. წერეთლის რედაქტორობით. გამოდიოდა ორკვირაში ერთხელ და უმთავრესად გლეხობასა და სასოფლო მეურნეობის საკითხებს ეხებოდა. 1873 წლიდან რედაქტორობდა პ. უმიკაშვილი. დაიხურა 1880 წ. იგი პირველი სასოფლო საგლეხო გაზეთი იყო. 1861 წლიდან „ცისკარის“ დამატებად გამოდიოდა „გუთნის დედა“, რომელიც უმთავრესად თავად-აზნაურობას ემსახურებოდა.

9. „დროებას“ წრეს თბილისში გახსნილი ჰქონდა ბიბლიოთეკა, რის საშუალებითაც ავრცელებდა ახალგაზრდობაში ახალ იდეებს.

10. იმ ხანებში გ. წერეთელი უკვე გამზადებული იყო საზღვარგარეთ წასასვლელად.

11. კირილე ლორთქიფანიძე—60-იანი წლების საზოგადო მოღვაწე და მწერალი. გარდაიცვალა 1917 წ. გ. წერეთლისა და ს. მესხის საზღვარგარეთ წასვლის შემდეგ (1873 წ.). იგი რედაქტორობდა „დროებასა“ და „კრებულს“.

12. „კრებული“ დაარსდა 1871 წ. გიორგი წერეთლის რედაქტორობით. უმთავრესი ხელმძღვანელი და თანამშრომელი იყო ნ. ნიკოლაძე. დაიხურა 1873 წ. იგი „დროების“ ლიტერატურულ დამატებას უფრო წარმოადგენდა.

წერილი მეორე

(1873 წ. ბოლო რიცხვები)

საყვარელო ძმაო ნიკო, თითქმის ეს ორი კვირაა, რაც ციურიხში ვარ. ამ დროს განმავლობაში ჟენევაც მოვიარე. ყმაწვილები ვნახე და მეტი არ შეიძლება ისე კმაყოფილი დავრჩი, ყველანი კარგათ არიან. ითმენენ ბევრს გაჭირებას უფულობის გამო, მაგრამ წარმოიდგინე, ისე მხიარულათ არიან, თითქოს ეს მუდამი გაჭირება იმათ უფრო ახალისებს, თითქოს ასე ამბობდენ: ეს რა გაჭირებაა ჩვენთვის, ჩვენ გახურებულ საკირეში რომ ჩაგვყარო, მაშინაც იმ ებრაელ ყმაწვილებსავით ვიგალობებთო, რომელნიც ნაუქოდონოსორმა ჩაყარა გაეარვარებულს საკირეში თავის აზრებზე მტკიცედ დამყარებისათვის. ჩემის აზრით ყველანი სამაგალითონი არიან. ვერ წარმოიდგენ კატო[1] როგორ გამოცვლილა, გაკეთებულა, იმას საკვირველათ ეტყობა ჭაბუკობის ცეცხლის ალი-მღლი და ის გაუხრელი სულის ღონე, რომელიც ყოველს დღიურს გაჭირებას და დიდს შეეწროებას ხით-ხითით დასცინის, თითქოს ამ გულ მარტივი სიცილით გიმტკიცებდეს, მე ამისთანა გაჭირება სულაც არაფრათ გამკვირსო. გურამოვა, გურამოვა?...[2] ოჰ, რა არსებაა! მე მარტო ამ პირველი ნახვაზე წარმომიდგა იმისი ზღვასავით მოულეველი კარგი თვისებები. ორჯერ სამჯერ დავაკვირდი იმის წარბებს და თვალებს, იმის გაბუშტულს ცხვირს და იცი ვისი სახე წარმომიდგა? როდესაც ვეფხვი (барс) პირველ გამოვა სანადიროთ და ყოველ ბუჩქს დაწვრილებით გადაავლებს თავის თვალების შუქს, რომ არა გამოეპაროს რა, რომ თავის მსხვერპლი ხელითგან არ წაუვიდეს, სწორეთ ამგვარივე შთაბეჭდილება ჰქონდა ჩემზე გურამიშვილის ქალს. მე ვფიქრობ, თუ ნორმალურათ წავიდა იმისი გონების წვრთნა, ის უნდა გახდეს რამე კარგათ მოზრდილს საქმეში მოთავეთ და ძალის შემაერთებლათ. ამასთან რა გულჩვილია, რა მხურვალე გრძნობის არის! ამასთან რა გამბედავი და თავგამეტებით ხელ ამღებია იმაზე, ვისაც სცნობს უღირსად, დარწმუნდება, რომ იმისთვის ერთ დროს მახლობელი და ძვირფასი გვამი აღარ ვარგაო. რამდენადაც მხურვალე გრძნობისა არის თავისიანისათვის, იმდენადვე გულგამეხებული და შეუწყალებელია იმ თავისიანისათვის, რომელიც იმის აზრით საქმისთვის დაკარგულა. ეს მე იმის და კრიჟანოვსკის დამოკიდებულებაში შევნიშნე. ამ

უკანასკნელზე რაღა გითხრა! ის ჩემს თვალში დაკარგულია, გული მიკვდება იმისთვის, მე ის საშინლათ მეწყინება, მაგრამ ვერც ერთი ჩვენთაგანი იმას ვეღარ დაუახლოვდება. ჩვენ იმას ვძულვართ, როგორც ჭირი. ის გულგამეხებულა ყველაზე ჩვენზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ მას თუ მოაქცევს, ისევ დამბროსკის ქალის გული და მაგისი მეგობრობა, სხვა არავინ. ზიმიანსკი—ეს მართლაც, რომ ნამდვილი კლერხენ ყოფილა, იმის ვეტად ნაზის მგრძნობელობით, თავგანწირული სიყვარულით, ეს მხოლოდ მანამდის იქნება აყვავებული, ღონიერი სურნელოვანი, ედემის ყვავილი, მაისის ვარდი, სანამდის მას მაისის მზე თავის ბრწყინვალე შუქს არ მოაკლებს. ღმერთმან ნუ ქნას, რომ დაღრუბლოს და ამ ღრუბელმა მას მაცოცხლებელი მზის შუქები მოაკლოს, მაშინ ეს ნაზი სურნელოვანი ყვავილი უცბათ თავს დაკიდებს, დილას ცვარს ცრემლათ ჩამოღერის, დაჭკნება და საღამომდის მოწყდება თავის ღერზე, მაგრამ თუ თავისი მზე ზიმიანსკის არ ნოეშალა, ის მხნეთ იქნება, ის ბევრს კეთილს შესძლებს.

ყმაწვილებზე რა გითხრა, ისინი არიან ორი წრისანი: ჟენევაშია ჯაფარიძე,[3] მეტად მოსაწონი ყმაწვილია, მტკიცე და მაგრათ შეთვისებული აზრებითა. ის თავის გონების ძალით დგას მხოლოდ მაგრათ, ის აზრში და მოქმედებაში დამოუკიდებელი ახალგაზრდა კაცია, ის სხვისი ტვინით და აზრებით არ დადის, მაგრამ არ ვიცი, საქმეში როგორი ხნე გამოდგება. პასსიური ძალა ბევრი აქვს, მაგრამ აქტიური ძალა რამდენათ დიდია იმაში, არ ვიცი, თუ მომეტებული ფლეგმა არ იქნება ცხოვრების ასპარეზზე მოქმედების დროს, სხვა არა უჭირს რა. ციურიხის ყმაწვილები ყველანი ჭლაკები, ჯერ უწიფარნი და მოუწეველნი არიან. რა გამოვა, იმათგან არ ვიცი შემდეგში. მხოლოდ იმათში ერთი ციციანოვი[4] არის საიმედო ახალგაზდა. ეს ყმაწვილი მაგარი ხასიათის უნდა იყოს და ვგონებ, მოსაწონი დადგება. ივანე მესხი[5] კარგი გულის კაცია, მაგრამ ავადმყოფია და როგორც მოქმედი გვამი, ვგონებ, შესანიშნავი არა გამოვიდეს რა, მაშასადამი, ჩვენი იმედი არის ქალები და ზოგიერთი ახალგაზდა ვაჟები, რომელნიც აქ არიან. ჩვენი საზრუნავი ესეთი უნდა იყოს და დღე და ღამე იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ ამათ მატერიალურის მხრით არა გაუჭირდესთ რა და გავათავებინოთ თავისი სწავლა. რა უნდა ამას? მატერიალური ღონის ეკონომია. მე როგორც ვატყობ, შენი მატე-

რიალური საშუალება იქნება ამათი ფეხზე დამყენებელი და ამათი შემწე თავიანთი განზრახვის ასრულებაში. მით უფრო დიდი მოსაზრება და ჩაფიქრება გმართებს, რომ შენი მოქმედების სისტემა გამოიცვალო, ჩემის აზრით, შენი მატერიალური ძალა მარტო ამ საზღვარგარეთელ ახალგაზრდობის აღზრდაზე უნდა დააკავშირო და იმ ქართულ ლიტერატურულ გამოცემების ძირის გამაგრებაზე, რომელნიც დღეს ხელში გვაქვს, სხვა ახალი პლანების და საქმეების გამოწყება შეუძლებელი უნდა იყოს შენთვის იმ საშუალებით, რაც ხელში გექნება დღეს თუ ხვალ, თუ რომ არ გინდა ყველა საქმეები გაბნეულ მოქმედებით არ დაღუპო. ჩემის აზრით, „თბილისის ვესტნიკის“ მუდამი ხელის გაწყობა, ასე გასინჯე ბიბლიოთეკის მუდამ მოხმარება, თუ ბიბლიოთეკა თავის საშუალებით თავს ვერ გაიტანს, გადამეტებული უნდა იქნეს შენ მატერიალურ საშუალებაზე და ამ სახით შეიძლება ყოველივე ჩვენი საქმე ღრე კლდეზე გადაეშვას. ჩემის აზრით ძალიან საჭიროა ამნაირათ მატერიალური ძალის ეკონომია, იმისი ორ-სამ საგანზე დაკავშირება, მოგროვება და არა . . . . . * საქვეყნო მრავალგვარ საქმეების გამოწყებაში. ამ ნაირი მიდებ-მოდებითი მოქმედებით ის პაწაწაც დაგვეკარგება, რომელიც არის ჩვენი მომავალი იმედი და დიდება.

ციურიხის უღლის[6] შეკრებილებაში ერთი წინადადება შევიტანე, რომ შეგვედგინა მთარგმნელების კამისია სახელმძღვანელოების გამოსაცემათ ქართულ ენაზე. სხდომამ მხიარულათ მიიღო ეს წინადადება, ვენეველ წევრებსაც მოეწონათ ეს ამბავი და ახლა შეუდექით კიდეც ერთი წიგნის შედგენას, სახელათ „სწავლის წყარო.“ იმედი გვაქვს რაღენსამე თვეს გავათავებთ, მაგრამ თუ ძმა ხარ, სანამ წიგნი არ მოგვიღესთ და ხელი არ გექნესთ, მანამდის ამ საგანზე ნუ რას გამოაცხადებთ „დროებაში“.

იწერები ოცდახუთ დეკემბერს აქ უნდა იქნე. ნუთუ მანამდის მოასწრებ ტყიბულის საქმეების[7] და რედაქციების საქმეების გაწყობას. არა, არა მჯერა. და ეს საშინელს მწუხარე ფიქრებს სძრავს ჩემში. მე აქ ვხედავ დიდ საქმეების მიფურცუხ-მოფურცუხების კვალს. ვაიმე, ვაიმე!.. თუ რამე უფრო მძიმე დაბრკოლებაზე წაამტერიოს ფეხი ჩვენმა საქმემ ამნაირ მიფურცუხ-მოფურცუხებით.

---

* სიტყვა გაურკვეველია.—ს. ხ.

კატო, ზიმიანსკი, გურამიშვილის ქალი და მელიქიშვილის ქალი[8] აგრეთვე კრიჟანოვსკისა, ახლა ჟენევაში არიან. ჟენევაში საზოგადოების ცხოვრება ბევრათ უფრო მაღალი და პროგრესსიული ყოფილა ციურიხისაზე. იქ საზოგადოება ქალებს პატივისცემით უყურებს. ჟენევის აკადემია უნივერსიტეტათ გადაუკეთებიათ და ჩემის აზრით ჩვენი ქალებისთვის ეს ადგილი საუკეთესო სასწაველებელი ადგილი უნდა იყოს. თუმცა უნივერსიტეტი პროფესორების შედგენილობით კოჭლობს, მაგრამ ამ პირველ სემესტრში არა უჭირთ რა ქალებს და მერე ხომ ვიფიქრებთ, მანამდის ხომ ბევრი დროა. ციურიხში, მართლაც, რომ არ შეეძლოთ ჩვენ ქალებს დარჩენა, რათგან საზოგადოებაც და სტუდენტებიც საშინლათ დევნიდენ. ახლა მარტო ოლიმპიადა[9] და კოწია[10] არის ციურიხში, ფული რომ მოუა ოლიმპიადას, იქნება ისიც გადავიდეს იქ. მაგრამ ამ საქმის ჯერ განსაზღვრული კიდევ არა ვიცი რა. მე აქამდისაც უნდა წავსულიყავი ლეიპციგში, მაგრამ წარმოიდგინე მე და ჩემ დას კაპეიკი არა გვაქვს და სანამდის ფულს არ მივიღებთ შენგან, აქ, ციურიხში უნდა დავრჩეთ ძალა უნებურათ. თუ მოვახერხე ჩემ დას გავისტუმრებ ჟენევაში. მე დარწმუნებული ვარ, ეს და კატო რომ ერთად იქნებიან ამათი საქმე სწავლაში ერთი ორათ უკეთ წავა. კოწია, როგორც ქარდულს ისე ლაპარაკობს ნემეცურსაც, ასე გაშინჯე ციურიხელი პატიჟიც უსწავლია. ძალიან ცოცხალი და მკვირცხალე გონების ყმაწვილია.

სხვა, მომწერე მადაური ამბები დაწვრილებით, როგორ მიდის საზოგადოთ ჩვენი საქმეები, როდის აპირებ ნამდვილათ წამოსვლას.

შენი ძმა გიორგი.

ვ ე ნ ა ხ ვ ნ ე ბ ი

1. კ ა ტ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ე, ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს დ ა.

2. ლაპარაკია ო ლ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს ქალზე — შემდეგში ნ. ნიკოლაძის მეუღლე.

3. ბ ე ს ა რ ი ო ნ ჯ ა ფ ა რ ი ძ ე—1871-74 წლებში ბ. ჯ. ფსევდონიმით წერილს ათავსებდა ჟენევიდან გაზ. „დროებაში.“ 1869 წ. მან მონაწილეობა მიიღო პეტერბურგის სტუდენტობა მოძრაობაში, რის გულისათვის ის ადმინისტრატიული წესით გადაასახლეს თავის სოფელში რაჭაში. 1875-76 წლებში უახლოეს თანამშრომლობას ეწეოდა იმავე „დროებაში.“ გარდაიცვალა 1877 წ. (იხ. „ივერია“, № 44, 1877 წ.).

4. ა ლ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი—ცნობილი რევოლუციონერი, რომელიც აქტიურ მოსაწილეობას ღებულობდა ივ. ჯაბადართან, გ. ზდანოვიჩთან, ან. გაძყრელიძესთან და ჩიკოიძესთან ერთად რუსეთის რევოლუციონურ მოძრაობაში. გაასამართლეს „50-ის პროცესში“, გაგზავნილი იქნა ციმბირში და იქ გარდაიცვალა 1884 წ. (?) თვისი დიდი მამული გორის მაზრაში შესწირა „ნაროდნაია ვოლიას“ პარტიას.

5. ი ვ. მ ე ს ხ ი—ძმა სერ. მესხისა. „დროებაში“ თანამშრომლობდა ი.-მ-ის ფსევდონიმით. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საზ. „უღელის“ დაარსებაში.

6. საზოგადოება „უღელი“—ეს ახალგაზრდების საზოგადოება დაარსდა ციურისში 1873 წელს და მთავარ მიზნად ისახავდა სწავლა-განათლებისა და ცოდნის გავრცელებას ურთიერთშორის. ამჟამად ჩვენს ხელთ არის სამი ოქმი ამ საზოგადოებისა (№ 1, 2, 3) და სხვადასხვა ქერძო მიწერ-მოწერები მათ შესახებ. ვეცდებით შემდეგისათვის გამოვაქვეყნოთ ისინი.

7. ნ. ნიკოლაძე იმ ხანებში პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდა ტყიბულის მაღაროების დამუშავების მიზნით.

8. მელიქიშვილის ქალი, და პროფ. პ. მელიქიშვილისა და გაზ. „დროების“ გამომცემლის ს. მელიქიშვილის, მემდეგში მეუღლე ს. მესხისა, გარდაიცვალა 1928 წელს.

9. ოლიმპიადა ნიკოლაძე, გ. წერეთლის მეუღლე.

10. შეიძლება ნიკოლაძის ძმა იყოს.

წერილი მესამე

ქუთაისი. 27 მარტს. (1874)

საყვარელო ძმაო ნიკო! ძალიან საჭიროა ჩემთვის, საკუთრათ რაც მე გელაპარაკე ჩემი და სერგეი მესხის უკმაყოფილებაზე ან მელიქოვის ქალზე, რომ შევიტყო და ამისთვის გთხოვ ეს ცნობები დაწვრილებით მომწერო საჩქაროთ. გეთაყვანე, ნუ დაიზარებ. ჩვენ კარგათ ვართ, მხოლოდ უფულობისაგან თანდათან უფრო გვიჭირდება საქმე.

როგორც შენი ან სერგეი მესხის წიგნებისგან სჩანს, შენი მანდ ნალაპარაკევი ჩვენ უკმაყოფილების შესახებ სრულებით არ მომწონს, ნეტაი ერთი სერგეი მოვიდოდეს მალე, რომ პირის-პირ გვექნეს ლაპარაკი და ყოველივე უკმაყოფილება, თუ კი არის რამე, საჩქაროთ მოვსპოთ. მე როგორც ვატყობ, ჩვენი უკმაყოფილების მიზეზი სულ ამგვარი გადასხვაფერებული ლაპარაკი არის.

მომიკითხე სერგეი,[1] იზმაილოვი[2] და დადიანი[3]...

შენი გ. წერეთელი.

1. ს. მესხი „დროების“ რედაქტორი, ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. მის მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ წერილებში გატარებულია დემოკრატიული პრინციპი. 1904 წ. გამოიცა მისი წერილების I-ლი ტომი. გარდაიცვალა 1883 წ. მისი მოღვაწეობის შესახებ ცალკე ნარკვევს მოკათავსებ „მნათობში.“

2. პ. იზმაილოვი—თბილისელი სომეხი, რომელიც 60-იან წლებში ნ. ნიკოლაძესთან და გ. წერეთელთან ერთად მუშაობდა. 1873 წ. ნ. ნიკოლაძის, დ. მიქელაძისა და იზმაილოვის მეთაურობით პარიზში გამოვიდა გეკტოგრაფიული გაზეთი „დროშა“—სოციალისტური მიმდინარეობის. 90-იან წლებში იზმაილოვი თბილისის ქალაქის თავად იყო არჩეული.

3. ეს უნდა იყოს დიმ. დადიანი—1881-83 წ. რედაქტორი გაზ. „შრომისა.“

წერილი მეოთხე

ეს წიგნი მარტო შენ წასაკითხავად არის

ჟენევა, 1-ს აპრილს 1874

საყვარელო ძმაო ნიკო! შენი წიგნი მივიღე და ვერ წარმოიდგენ, რანაირათ გამეხარდა, რომ შენ აგრე მალე გამოგირკვევია ყოველივე საქმე და განსაკუთრებით ის შინაგანი თავი ხასიათი, ანუ უკეთ ვთქვათ, თვისება ჩვენი მომავალი ახალგაზრდობისა, რომელიც აქვე, ბევრათ ადრე უცებ ეკლათ მომხედა თავში. რომ იცოდე, რა გამწვა ამ ახალმა, იმან დადაგა ჩემი გული და გულ-გვამი: პირველად ყოველივე ჩემს თავს დავაბრალე, ჩემს უვარგისობას, ჩემს ზნეობით გარყვნილობას, აბა როგორ ვიფიქრებდი იმას, რომ რაც სისაძაგლე და ლექის ქვალი ჩვენს საზოგადოებაში ჩვენს მოპირდაპირებს ეცხოთ ამ ნორჩს და უკეთეს გარემოებაში ჩაყენებულს ჩვენს მომეტებულს ნაწილს ახალგაზდობას, დაჭირიანებულს საქონელსავით ტანში ედგმებოდა. დრო იყო, როდესაც ჩემი თავის გაკიცხვამ ისეთს ცუდს გარემოებაში სულით ჩამაყენა, რომ წყალწაღებულათ მიმაჩნდა ჩემი თავი და ვაპირებდი წასვლას, სად რომ იცოდე?.. უკანვე შინ გამგზავრებას, რომ ჩემის აქ დგომით ჩემი გასვრილი ზნეობა სხვებს არ მოედოს-მეთქი, მაგრამ რაც უფრო უკვირდებოდი იმ ჭირიანობას, ჩურჩულით ლაპარაკს და ჩურჩულით მიწერ მოწერას, რომელიც გამართა ჩვენმა საზღვარ-

გარეთელმა ახალგაზრდობამ ერთმანეთში, მაშინ როდესაც ამისთვის არავითარი საბუთი არ ჰქონდა, მე უფრო შემეფიქრა, ჩემი თავის იმედი უფრო მომეცა, მით უფრო რომ აქ ჩემს თავს სრულებით დანაშაულათა არ ეხდიდი, მხოლოდ ერთი დანაშაულობა იყო ჩემი, ის, რომ მე ჩემს აზრს ვიცავდი შეკრებილებებში ყოველთვის მაგრათ და ჩემი მოპირდაპირენი აზრში მეჩვენებოდენ ძალიან სუსტათ და წრეებშიაც იკიცხებოდენ, რომ ამ მხრით გამოჩნდნენ ისინი ძაბუნნი. მერე სხვა რიგათ დაიწყეს ბრძოლა, იმ წესით, როგორც ჩვენ გვებრძოდენ და გვებრძვიან ჩვენი ზნეობა წამხდარი და ყოველად უმაქნისი თაობის წარმომადგენელნი ჩვენი ქვეყნისა. ესე იგი ისინი აზრში საზოგადო სარგებლობას კი არ აქცევდენ ყურადღებას, ისინი ამ შემთხვევაში უფრო კერძოობითს სარგებლობისათვის ქველმოქმედობდენ. „რაკი წერეთელი მოვიდა, საქმე აგვირიაო, ერთმანეთს დაგვამტერაო,. შფოთი და ვაი უშველებელი ჩამოგვიგდოვო. წინათ ძალიან კარგი მეგობრობა გექონდაო, არც შფოთი, არც დავიდარაბა, ვიყავით ძმურათ და ერთმანეთის პატივისცემით გამოვდიოდითო“; ამას ამბობენ ისინი, რომელთაც ეგონათ, რომ ჩვენს საზღვარგარეთელ ამხანაგობებზე აქვთ გაელენა, არიან იმათი წინამძღოლნი, მოთავენი და რასაკვირველია, იმათგან პატივცემულნი. თუმცა ამის საბუთი ბევრი არა ჰქონდათ რა, მაგრამ რადგან ყოველივე მშვიდობიანათ მიდიოდა და თავის თავს ანუგეშებდენ უპირატესობის ქონვით, ამისთვის იყენენ სრული კმაყოფილნი თავის მდგომარეობისა, მაგრამ, აი მოვიდა, გ. წერეთელი, შემოიტანა წინადადება, მომეტებული ნაწილი ახალგაზრდობისა დათანხმდა ამ აზრზე, ამითი ცხადათ დაუმტკიცდათ იმათ, რომელთაც თავის თავები ოლიმპიის ღმერთებათ ეგონათ, პატივი, მოგვეკლოვო, ჩვენს აზრს აღარ აფასებენო, ან ეს სულ იმ გაიძვერა წერეთლის ბრალიაო და ამის შემდეგ შეიქნა მიწერ მოწერა, რომელშიაც ჩემს პიროვნებას, როგორც შენსას, სვრიდენ ტალახში და საკუთარი საბუთი რადგან არ ჰქონდათ, მიჰმართეს ღოღობერიძეებისაგან[1] და ანტონ ფურცელაძისაგან[2] წარმოდგენილს საბუთებსა, ისე, როგორც ანტ. ფურცელაძემ მიჰმართა „მოსკოვის ვედომოსტებსა“. ახლა წარმოიდგინე ახალგაზრდობა, რომელიც ასე მცირე პირადი სარგებლობის დასაცავათ, როგორც ამხანაგობაში უპირატესობის შეძენა, თუ ამდენს საძაგლობას მოახერხებს, რალა იქნება მაშინ, როდესაც ისინი ცხოვრებაში ჩადგებიან და მატე-

რიალურს კეთილმდგომარეობის სიტკბოებას გაიცნობენ. მერწმუნე, ესენი კიდევ უარესები იქნებიან ჩვენს წარსულს თაობაზე და უარესს საძაგლობასაც გამოიჩენენ. ესენი ნიჭით და ენერგიით ღონობერიძეებზე ნაკლებნი არიან და მოთხოვნილება ევროპის ბურჟუაზიის შემცქერლებს უფრო მეტი ექნებათ. მაშასადამე, ცხადია, საძაგლობასაც მეტს უნდა მოელოდეს კაცი ამათგან, ყოველი დაბალი და სუსტი არსების თვისება ეს არის. ამის პირადი მოთხოვნილება ცხოვრებისათვის უფრო გაღვივებული აქვს და ამ მოთხოვნილების მისაღწევათ ის უფრო ადრე მიადგება ყოველსავე უზნეო საშუალებას, რომ როგორმე თავი გაიტანოს, ვითომც ის, რომელიც თავის ბუნების ძლიერების გამო სრულებით არ საჭიროებს ამ საშუალებას. ყოველს სუსტს არსებას უფრო ეშინია თავის სიკვდილისა, უფრო ძვირფასათ მიაჩნია თავის სიცოცხლე, მაშასადამე, ის ვერ დაინდობს იმაზე ძლიერს არსებას, იმისი ეშინია, როგორც მჩაგვრელი ძალისა, როგორც იმაზე უძლიერესისა და ცხადია, იმას ვერც დაუახლოვდება და თუ ღოშორებულია, მაშინ მხოლოდ იმის ვნებისათვის ფიქრობს, თუმც რომ სრულებითაც დარწმუნებული იყოს იმის კეთილგანწყობილებაში. ეჭვიანობა სისუსტის მიზეზია და ეჭვიანობაც ბადებს ყოველსავე სისაძაგლეს ცხოვრებაში. ამ მოსაზრებებში ახალი არა არის რა და მე და შენ რომ უფრო დახელოვნებული ვყოფილვიყავით ცხოვრებაში, რომ უფრო ხშირი არ ვყოფილიყავით, ყოვლის უსაბუთოთ ერთი შეხედვით უნდა დავრწმუნებულიყავით ამ საქმეში, რომ თავი ასე წინ არ წაგვეშვა იმათთან დაახლოვებაში, როგორც ჩვენ ეს ვქენით, მოშორებით უნდა ვყოფილვიყავით და იმათვე გაუშფოთებლათ, იმათვე სასარგებლოთ და ჩვენი ძალის შესამატებლათ გეეკეთებინა საქმე. ჩვენ ამაში შევცდით, ამიტომ რომ წარმოვიდგინეთ, ყოველ სოკოსგან მუხა გაიზდება, თუ კი ის კარგ ნიხვიანს ნიადაგზე დარგე. სოკო რაც უნდა აკეთო მაინც სოკო იქნება, თუმცა სხვა სოკოებს კი ემჯობინება სიკეთით. ამ კერძო მოკლე ანალიზის შემდეგ აგიწერ ორიოდე სიტყვით ჩვენ საზოგადოების მდგომარეობას. თუმცა ეს შენ უკეთ იცი ჩემზე, მაგრამ მე მაინც სურვილი მაქვს შენთან სიტყვა გავაბა ამ საგანზე, რადგან ჩემი უკანასკნელი ჟამის ფიქრები სულ ამ ერთს კითხვაზე ტრიალებს.

ჩვენმა საზოგადოებამ იმ მდგომარეობამდის მიაღწია, როდესაც

მას უმთავრესი ბურჯის იმედი დაეკარგა და სცნო მტკიცეთ თავისიეე ხელით თავის ბედის წარმოება. იმას დაეკარგა რუსეთის ჯამაგირის იმედი, იმისგან ლუკმის ძლევის იმედი და ახლა თვითონ აპირებს თავის ლუკმის მოპოებას. ეს პერიოდი იმ ხალხის ცხოვრებაში, რომელიც გარემოებით უფრო ძლიერ ხალხის ხელში ჩავარდნილა, სამდევილათ აღდგინების პერიოდია, ჩვენი ახალგაზდობა მოცილდა ჩინოვნიკობის გზას, ის დაადგა თავისუფლათ მოსაპოებელ ლუკმის გზას. ეს პერიოდი აღინიშნა იმითი, რომ ახალგაზდობამ განათლების ძიებაში გზა შესცვალა, ესე იგი ჩრდილოეთისკენ მიმავალი გზა დააგდო და დასავლეთისკენ გაიკვეთა. რასაკვირველია, ამითი განათლების და მოქალაქობის წარმატებამ ერთი ორათ იმატა ჩვენ საზოგადოებაში; მაგრამ ამ მიმართულებას ჩვენი ქვეყნის ბუნება ხომ არ გამოუცვლია, ორგანიზმები იგივე დარჩენ. ნაციის ინდივიდუალობა, იმისი ბუნებითი ძალა ჯერ იგივეა, რამდენი ძველსა და ახალგაზდობაში უწინ იყო მეტნაკლებობა ღირსებით, ახლაც ის არის. უწინაც ყოფილან ჩვენს ცხოვრებაში გიჟი დონკიხოტები და ახლაც არიან, მაგრამ მასსა, როგორც ყოველს ხალხში, საკუთარი პირადი სარგებლობის მაძიებელი სანჩო ყოფილა, ჩვენშიაც ეგრეთია. ეს მასსა არის საშუალო ნაციის ძალა, იმისი ინტენსიეობა, იმის ხვაე, სიმაგრე, ჩვენ თუ გვინდა ჩვენს ქვეყანას სარგებლობა იმდენი მოუტანოთ, რამდენიც შეგვიძლია, კარგათ უნდა ვიცნობდეთ ამ მასსას. ეს მასსა თავის საუკეთესო კაცებს სძევნის. ასეა იმისი კანონი, იმას არ უყვარს გაპირებაში ჩავარდნა, იმას უყვარს შეუშფოთებელი ცხოვრება და ვინც გაბედავს ამ ცხოვრების აშფოთებას უფრო დიდი მომავალი ბედნიერებისათვის, ის ამ მასსას მტრათ მიაჩნია. ამ მასსას ახლა ევროპის ქვეყნებში ჰქვია ბურჟუაზია, უწინ ერქვა არისტოკრატია და სულ ძველათ ინდოეთში ბრამინის წოდება. ჩვენში კი ამ მომავალი მასსის კეერცხები გახლავთ ჩვენი ახლანდელი ახალგაზდობა, რა კუთხეშიაც კი არიან, ჩვენში იყოს თუ რუსეთში, თუ საზღვარსგარეთ, სულერთია, ესენი ცხადათ ხედვენ თავის ცხოვრების გზას, რომელიც მდგომარეობს ჩვენი ქვეყნის თავისუფალი ძალის ექსპლოატაციაში თავის სასარგებლოთ. რასაკვირველია, რომ ეს მასსა შენისთანა ქვეყნის ამშფოთებელს—მტერს დაუძახებს, რომლისთვისაც სანდო ამ ქვეყანაში არა არის რა.

ეს რომ გვიკვირდეს, ან ამაზე გაებრაზდეთ, ჩვენის მხრით მი-

უტევებელი იქნება, მაგრამ ათასათ უფრო მიუტევებელი ის იქნება, რომ ჩვენ ამ მასსას იმავე თვალით დავუწყოთ ყურება, როგორც აქამდის ვუყურებდით, იმავე ნაირათ გვწამდეს ის, იმავე ნაირათ გული გვქონდეს იმაზე დანდობილი, როგორც აქამდის ვფიქრობდით. ს. მესხი ძალიან გარკვევით ლაპარაკობს ამ შემთხვევაში და იმისი სიტყვები სწორეთ ამ მასსის გულითგან ამოღებული სიტყვებია: „მართალია, გ. წერეთელი და ნიკოლაძე ორივე მაენებელნი არიანო, მაგრამ დრომდის რა გზა გვაქვს რომ არ მოვითმინოთო". ჩვენ იმათთვის საშიშნი ვართ და, თუ ჩვენთან რამე საქმის დაჭერა უნდათ, მხოლოდ იმისთვის, რომ იმათ იარაღათ შეეიქნეთ და პირველსავე მომარჯვებულს შემთხვევაშივე კი მოგვიშორონ თავითგან; ჩაგვწვან ცეცხლში, დიახ, ჩვენ იმათ შესახებ ასე უნდა ვუყურებდეთ ჩვენს თავს. ჩვენ უნდა ჩავრაცხოთ ჩვენი თავი მარტოთ მარტო, გულდაუნდობლათ მ ა ს ს ა ზ ე, რომელიც თუ კი ჩვენი ქვეყნის სასარგებლო საქმეზე მოგვიწოდებს, დიდის სიამოვნებით უნდა მივყვეთ ხოლმე იმათ, თუმცა არაოდეს თავითგან არ უნდა ამოვიცილოთ, რომ ჩვენ იმათთან საერთო არა გვაქვს რა, გარდა იმ საზოგადო საქმეებისა, რომლებშიაც ჩვენცა და ისინიც ერთად ვიქნებით საზოგადო სენის მოსასპობათ. როდესაც ამნაირათ დავიჭერთ საქმეს, ეს მოგვცემს ჩვენ საკმაო გაფრთხილებას, ურომლისოთაც ჩვენ ისეთნაირათ წავიმტერევეთ ფეხს, რომ ზეზე ველარ ავდგეთ. რაკი ამნაირათ დაუპირდაპირდით ჩვენს ახალგაზდობას, საჭიროა თვალითაც გავზომოთ ჩვენი და იმათი ძალა, რამდენი ვართ ჩვენ და რამდენი არიან ისინი? ჩვენი რიცხვი თითოობით დაითვლება, იმათი რიცხვი ასობით და ათასობით, მაშასადამე, ჩვენ იმათ რაოდენობაში (в количестве) მოპირდაპირობას ვერ გაუწევთ, იმათ ქუდებიც რომ გვესროლონ, ამითაც გაგვჭყლეტენ, თუ ასეა ჩვენ უნდა გავადიდოთ ღირსებითი ძალა. ისინი თუ რიცხვით ასი ჩვენი დონი არიან, ჩვენ ღირსებით ასი იმათი დონი უნდა ვიყოთ, თუ გვინდა რომ გაჭირებულს საზოგადო მდგომარეობაში, ესე იგი საზოგადო კრიზისში ჩვენს საქმეს გავატანინოთ. ამ სახით ჩვენ გვმართებს ჩვენი თავისა და, ჩვენ გულითადს ამხანაგებს თავიანთ თავის, ორ საგანში რაც შეიძლება დიდი წვრთნა: ც ო დ ნ ი ს შ ე ძ ე ნ ა შ ი დ ა წ ე რ ი ს შ ე თ ვ ი ს ე ბ ა შ ი. საკვირველი ეს არის, რომ როცა კაცი თან სწავლობს და თან მწერლობასაც ეჩვევა, მაშინ იმისი აზრიც უფრო

მწიფდება და რასაც იძენს, უფრო ბეჯითად იძენს. ვინ არის დღეს ჩვენი ამხანაგი, რომელიც ჰირში და ლხინში ჩვენთან იქნება?— ძალიან ცოტანი საზოგადოთ, მაგრამ განსაკუთრებით ყურადღების მისაქცევნი არიან შემდეგი ქალები: ო. ნიკოლაძისა, ო. გურამიშვილისა, კატო ნიკოლაძისა და მ'შიკო წერეთლისა.[3] ამათ კარგა ძალი ბუნებითი ნიჭი და ჭკუა აქვთ და, თუ საპოლიტიკო მეცნიერების საგნებში კარგათ განვითარდენ, და ამასთანავე წერლობასაც მიეჩვიენ, სწორეთ ჩვენ ამათ მეტი ამხანაგებიც რომ არა გვყავდეს, მაინც არა გვიჭირს რა. ამას ერთს კიდევ მივუმატებ: იმ ახალგაზდობაში, რომელიც ახლა არის და შემდეგ გამოჩნდება, ვინც კი გონებით და ნიჭით ღონიერია და ღონიერს ვარჯიშობასაც მისცემია, ისინი ჩვენსკენ იქნებიან უეჭველათ და რომელნიც კი გონებითა და ნიჭით სუსტნი არიან, ისინი, რასაკვირველია, მასსას შეადგენენ და ჩვენსკენ არ იქნებიან, მაგრამ ან კი რათ გვინდა ამისთანები, ისინი, თაეში ტყაპა-ტყუპით უნდა გავდევნოთ ჩვენითგან, თუ კი რომ კიდეც მოგვეკედლონ. აქეთგან ცხადათ სჩანს, რომ ჩვენ ცხოვრებაში სანამდის დავიღუპებოდეთ, ყოველთვის გვექნება იმდენი ძალა, რომ მაკიაველობა და პირფერობით მასსის მობირვა ჩვენსკენ არ დავიწყოთ, არა, ეს ჩვენ არ უნდა ვიკადროთ, ეს მივანდოთ იმ მასსას, რომელიც უჩვენოთ ვერ გაძლებს და გაუწვდინოთ ხოლმე ხელი სიფრთხილით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იმათი წადილი ჩვენს მიმართულებას ეთანხმება. ჩვენ თუ ჩვენი ამხანაგებიანა ის სრულათ შეეიძინეთ, რაც ჩვენი ბრძოლისთვის მიუცილებლათ საჭიროა, ესე იგი ცოდნა და ცოდნის ხერხიანათ გამოთქმა, როგორც სიტყვით, ისე კიდევ უფრო წერლობაში, მეტი არა გვინდა რა. ამასთანავე დრო არის ძალის ხარჯვაში ეკონომიზაცია მოვახდინოთ. საცა რომ გვგონია რამე არ გამოდნება, იქ კაპეიკი არ დავხარჯოთ, ტყულა ხელი არ გავანძრიოთ, არამედ იქ დავხარჯოთ, რაშიაც ბეჯითად დარწმუნებული ვართ, რომ სარგებლობა და ჩვენი საქმის წარმატება გამოვა. როდესაც ნამდვილათ ათი კაპეიკის ღონე გვაქვს, ას მანეთიანს საქმეს არ მოვკიდოთ ხელი ჯერ ჯერობით. ეს არის ჩემი მოკლეთ და ჯერ კიდევ საქმაოთ გაურკვეველი მოსაზრება ჩვენს ახლანდელს და შემდეგს მდგომარეობაზე. იმედი მაქვს მეორეთ კიდევ უფრო დაუწვრილმანდები ამ საგანს.

შენი გიორგი.

P. S. ამ წიგნს რომ ვათავებდი, შენი მეორე წიგნი მივიღე. იმედი მაქვს ამიერითგან ჩვენს მიწერ-მოწერას ექნება მხედველობაში ჩვენს საზოგადო საქმეებზე ბეჯითი აზრის გარკვევა, მტკიცე პროგრამის შედგენა შემდეგ მოქმედებისათვას. ამ შემთხვევაში საჭიროა შენგან გაუწყვეტლათ ამბების მიღება, რომ მეც ვერიო დაახლოვებით შენს საქმეში და ჩემი აზრი გაგიზიარო, მაგრამ ეს მიწერ-მოწერა უნდა იყოს შენ შუა და ჩვენს წრეს შუა, სანამდის წრეში აქ ერთად ვართ. ეს ჩემი წიგნი რომ ვისმე ახალგაზდას აჩვენო, იცი რა მოხდება?.. სულ ეს აზრები, რაც აქ არის გამოყვანილი მარტო პროექტების აზრებათ უნდა გეჩვენებოდეს და სანამ აქ გამოთქმული აზრები ცხოვრებაში არ გამართლდება უფრო ცხადათ, მანამდის ეს წიგნი არავის საჩვენებელი არ არის, თორემ ამას შენ თვითონ მიხვდები, როცა წაიკითხავ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. აქ იგულისხმება ბესარიონ ნიკო და გიორგი ღოღობერიძეები, რომელთა წინააღმდეგ 70-იან წლებში ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელთან ერთად, ცხარე კამათს აწარმოებდა გაზ. „დროების“ ფურცელზე საბანკო საკითხების შესახებ.

2. ცნობილი ბელეტრისტი და პუბლიცისტი ანტ. ფურცელაძე, რომელიც სხვადასხვა საკითხებზე მეტად ცხარე კამათს აწარმოებდა „დროების“ ჯგუფთან—ნ. ნიკოლაძესთან, გ. წერეთელთან, ს. მესხთან და სხვ. 1872 წ. ამ კამათმა არასასურველი ხასიათი მიიღო (იხ. ამ ხანების „დროება“,—„კრებული“—„მნათობი“).

3. მაშიკო წერეთელი—გიორგის და.

წერილი მეხუთე

ჟენევა, 2 აპრილი (1874)

საყვარელო ძმაო ნიკო, მართლაც, რომ საჭირო იყო მე კატეგორიულათ მეკითხნა შენთვის, თუ რა ელაპარაკე სერგეის, ან რანაირი ბაასი გქონდათ მას შემდეგ, რაც მე საკუთრათ შენ და შენ შესაგნებლათ გელაპარაკე,[1] გადმოგეცი ჩემი დაკვირვება და შენიშვნები საზოგადოთ იმ პარტიის კვერცხებზე, რომელიც შემდეგში ჩვენი ქვეყნის მოასპარეზე იქნება. ამ ლაპარაკს ჰქონდა მნიშვნელობა, მხოლოდ, როგორც აზრების და უკანასკნელი გამოკვლევის

გადაცემა ორ სულით და გულით შეკავშირებულს ამხანაგს შუა, რომელთაც შეუფიცნიათ ერთმანეთისთვის ერთი პრინციპის მიდევნაზე. მაშასადამე, ეს გადასაცემი არ იყო, მით უფრო, რომ აქ უფრო მოსაზრება და იჭვიანობა იყო გამოცხადებული ახალ შესანიშნავ მოვლენის შესახებ და არა ისეთი გადაპრილი გამოკვლევა, რომელიც დაფუძნებულია ცხადს ფაქტებს და აღარავისთვის დამალული აღარ არის. შენ კი ამ ლაპარაკის გამო შეგიდგენია მთელი სისტემა მოქმედებისა ერთმანეთზე უკმაყოფილო ამხანაგების შესარიგებლათ და ამით წაგიხთენია საქმე. ერთი რომ სრულებით ის არ გადაგიცია, რაც იყო, მეორე რომ საქმე ერთობ გაგიდიდებია, ალბათ, ესეც იმისთვის, რომ მეორე მხარეზე მოგებდინა დიდი შთაბეჭდილება, შეგეშინებინა, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, და ამით საქმე ისევ გამოგეკეთებინა. მაგრამ ძალიან შემცდარხარ და ჩემის აზრით ეს იმის ბრალია, რომ ჯერ კიდევ კარგათ ვერ გაგიგია და აგიწონია მომავალი პროგრესიულ მასსის ხასიათი და იმის მიმართულება. ამ შენმა მოლაპარაკებამ ერთხელ კიდევ აალაპარაკა ჩვენი ყმაწვილები და უწინდელი ნაგაყი კიდევ გაჩხრიკა. სერგეი რომ ჩამოვიდა, მეორე დღეს ადრიანათ მოვიდა ჩემთან და მაშინვე აქოჩრილ მამალისავით გადგა განზე და მითხრა: „რა ამბავი, რაზე მენდურებიო. ნიკომ ასე მითხრა, გიორგი ისე გაბრაზებულია შენზე, რომ იქ ყოფილიყავ, მგონია, მოგკლავდაო“ და სხვა-დასხვა... მე გამიკვირდა და შენი წიგნი რომ მივიღე, იმან კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ საქმე ძალიან გაგიდიდებია, ჩემი ნალაპარაკევი ბევრათ გადაგისხვაფერებია და ამას ერთი რგოლი კიდევ უდროოთ ჩაუწყვეტია ჩვენს დამოკიდებულებაში. მართლაც, რა სალაპარაკო იყო, როგორც შენს წიგნში იწერები, სერგეისთვის რომ გითქვამს: „ვითომ მენ მის (გ. წერეთლის) წინააღმდეგ კი არ მოქმედებდე, მთელი მისი მოქმედების და წარსული ცხოვრების დამხობას ცდილობდე და სხვ. მე ამას არაოდეს არ ვიტყოდი, ესე იგი არ ვიკადრებდი ამის თქმას, რადგან მე სრულებით არ ვთელი, სერგეის ისეთ გვამათ, რომელსაც შეეძლოს ჩემი წარსული მოქმედების დამხობა და არც ვფიქრობ ამას, რადგან სერგეისთვისაც სასარგებლო არ იქნება, ამისი მოხდენა, რომ კიდეც შესძლებოდეს. მე მხოლოდ ზოგიერთ ნიშნებზე გიჩვენე, რომ ჩაფიქრებულიყავი და ამ ახალ მოელენისათვის ანალიზი გაგეკეთებინა. შენ სულ სხვანაირათ მოიქეცი. საზოგადოთ ეს მხოლოდ გვიმტკიცებს ჩვენს

ჯერ კიდევ გამოუცდელობას პარტიობის მოქმედებაში. ამ ასპარეზზე გადაცემ-გადმოცემა სრულებით გამოუდეგარია, პარტიის მომხრე კაცი სხვა პარტიებს უნდა ადევნებდეს თვალყურს, ან კიდევ ახალი პარტიის დაარსებას შეისწავლიდეს და მოქმედებდეს მხოლოდ იმის და შესადარათ. რაც შეეხება მოსაზრებას და ლაპარაკს ყოველგვარს, ეს თავის პარტიაში უნდა იყოს ან სხვაგან გარეშე სულ სხვა ფორმით უნდა გამოითქვას ეს, უფრო რბილათ და ფთხილათ და არა ისე, როგორც ჩვენ გვჩვევია ეს. თუ რამ დიდი უკმაყოფილება აღიძრა ამ ჩვენს ამხანაგობაში, ან უკეთ ვთქვათ, ახლანდელს საზღვარსგარეთელ ახალგაზდობაში, ამის მიზეზი მომეტებულ ნაწილათ, მართლაც, რომ ჩვენი სულმოკლეობა, კაცის უღირსი გადამეტებული თავმოყვარეობაა, რომელიც გვაფიცხებს და უგუნურათ გვამოქმედებს, თუ ვინცობაა ჩვენზე ვინმე ერთი ცახე ლანძღვა, ან ცუდი აზრი გამოთქვა. მე მგონია, ეს ჩვენი სისუსტის ნიშანიც არის, რომ გვგონია, თუ ვინმე რამე ცუდი გამოთქვა ჩვენზე, ასე გვგონია იმან ჩვენი ღირსება ნამდვილათ დაამდაბლა და ჩათქირა ტალახში ყოვლად უმიზეზოთო, ჩვენ მაშინვე აღვიჭურვებით ყოველნაირი იარაღით მრუდეთი და მართლით და ამ გაკიცხვაში იმავე იარაღს და საშუალებას ვხმარობთ, რომელიც უხმარია ჩვენს მოპირდაპირეებს. ეს ან სულმოკლეობის ნიშანია, ან იმის რომ, მართლაც, ჩვენ თაეს ვერ ვსცნობთ ზნეობით მაგრათ და რაშიაც ცოტაც არის დამნაშავე ვართ, იმისი მით უფრო გვაბრაზებს. შენ კიდეც გაგიკვირდება ასე დაწვრილებით რათ ვაღიარებ და თავის გვემაში (самобичевание) რათ გავერთობი და სხვებს ჩემს ამხანაგებსაც რათ ვიტან ამაში, მაგრამ, მართლაც, რომ დრო არის ამისთანა უხეირო თვისებისაგან განვთავისუფლდეთ. პასუხი არ ვუგინე გაბრაზებას და მძვინვარებას არ მივეცეთ ჩვენი გაკიცხვისათვის და მივანებოთ ყოველივე ჩვენს საქმეს და სულგძელობასა; მეორე მიზეზი ამისთანა უკმაყოფილებისა არის გადასხვაფერებულათ ლაპარაკის გადაცემა, თავის საკუთარი თავის ამ შემთხვევაში ცხვირის წინ წაყენება, მოსამართლეთ, უმაღლეს არსებათ გამოყვანა და თავის ამხანაგების დანაშაულათ შერაცხვა, იმათი დასჯა და ჯვარს ცმა. ეს მეორე თვისებაც, რა საკვირველია რა იმავე გვარათ სულმოკლეობათ, მეტიჩრობათ და კუდაბზიკობათ ჩაითვლება, როგორც პირველი. სანამ ჩვენ ამისთანა თვისებები გვექნება, რომელშიაც სჩანს ამხანაგის დაუფასებლობა, კაცის ღირსების დაჩაგვრა,

მანამდის ჩვენ ნამდვილი მოქმედება არ შეგვეძლება, მანამდის ჩვენ ჟბრალო რიტორები და მჭერმეტყველები ვიქნებით, რომელთაც მუდამ მშვენიერი მეტყველება აქვთ და საქმით კი ულონონი არიან.

ამის შემდეგ მე განვაგრძობ ჩემს უწინდელს საუბარს. მართლაც, რომ შენ მართალი ხარ, როცა ამბობ, ჩვენს განხეთქილების მოსპობას მეტი არა ეშველება რა, რომ ახლავე დავიფანტოთ. ჩვენს სწავლას შევუდგეთ და ერთი მიზნისა და ერთი პრინციპების, ერთი აზრის მიმდევებმა ერთმანეთი მოვნახოთ. ეს სწორეთ ასე უნდა იყოს. შემდეგში, თუ გახსოვს, ჩემს პირველ წიგნში რომ გამოთქმული აზრი იყო, ჩვენ უნდა მოვიქცეთ სიფთხილით ჩვენი ღირსების დაცვით და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებით ყოველ საქმეში იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ მატერიალური საშუალება არ გვექნება და მხოლოდ გონებითი იარაღით ვიქნებით აღჭურვილნი; მასსას კი ხელში ექნება მატერიალური საშუალება, მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ კარტინა შეიცვალა. ჩვენ გონებითს საუნჯესთან მატერიალური საშუალება ჩაგვიყარდა ხელში. მაშინ როგორ უნდა მოქცევა? თუ კი გაიხსენებ ჩვენი მომავალი პროგრესიული მასსის თვისებას, რომელიც მე ორი სიტყვით მოვიხსენე, იმის წადილს ჩვენი ქვეყნის თავისუფალი ძალის ექსპლოატაციისათვის, მაშინ ადვილათ შეგიძლია თუ რა დამოკიდებულებაში იქნება ის ჩვენთან, იმავე დამოკიდებულებაში, როგორც წარსული ახალგაზდობა, მთავრობის ლუკმის შემყურე. ამ პროგრესიულ მასსას ყოველსავე გააკეთებინებს კაცი, რაც რომ იმასგან შესაძლო იქნება, მაშასადამე, ჩვენს ახლანდელს განხეთქილებას საკუთრათ არავითარი მნიშვნელობა არ ექნება მომავლისათვის, თუ გვექნება მატერიალური შეძლება, ეს მასსა ჩვენი მაქებელი და მომხრე იქნება, თუ არ გვექნება და მაშინ რაც უნდა ახლა ვეფეროთ და გულჩვილობა გამოუჩინოთ, მაინც იმის თვალში ჩვენ არ ავმაღლდებით და ისე მოგვექცევა, როგორც ახლა და როგორც კიდეც აცხადებენ ამ მასსის წარმომადგენელნი. მაშ ჩვენი დაახლოებისათვის იმგვარი გულჩვილობა, როგორსაც შენ იჩენ, შეუფერებელია და არაფერს სარგებლობას არ მოგვიტანს, გარდა ჩვენი თავის დაშცირებისა.[3]

ჩვენი გარემოება ახლა თითქმის სულ შემსუბუქდა, იმის გამო, რომ შენგანაც ფულები მოვიდა და ოლიმპიადასაც მოუვიდა. შემ-

სუბუქება რას ნიშნავს!? - ესე იგი, ვალები თითქმის სულ გაისტუმრეთ და ჩვენ სახტათ დავრჩით, სული ამოვითქვით სწორეთ. ამ ცოტახანში გელით შენ და იზმაილოვს.

შენი ერთგული ძმა გიორგი.

P. S. ახალი კონსტიტუციის მიღებაზე შვეიცარიაში აგიტაცია თანდათან დიდდება, ძე მგონია, კენჭის ყრის დროს აქ მუშტიკრივი გაცხელდეს და აქ დასწრება თქვენი სწორეთ კარგი საქმე იქნება, უეჭველათ მოდით ცხრამეტი აპრილისთვის, მაშინ იქნება კენჭის ყრა. შენი საქმეები როგორ მიდის? თუ ძმა ხარ ნურაფერს ამბავს დამაკლებ შენი მოქმედებისას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ა

1. 1874 წ. ს. მესხი და ნ. ნიკოლაძე საზღვარგარეთ იმყოფებოდენ.

2. უნდა ვიფიქროთ, რომ გ. წერეთელს, როგორც წინა წერილში, ისე ამ წერილშიაც მხედველობაში უნდა ჰქონდეს საქართველოს განთავისუფლება რუსეთის ცარიზმისაგან. აქვე უნდა დაუბატოთ რომ 1874 წელს ჟენევაში მოწვეულ კონგრესზე, რომელსაც დაესწრენ სომხეთისა და დაღესტნის წარმომადგენელნიც, წერეთელი იცავდა ამიერ-კავკასიის ფედერატიული რესპუბლიკის პროექტს. ამ საკითხს ცალკე შევეხებით გ. წერეთლის აზროვნების გამორკვევასთან დაკავშირებით.

წერილი მეექვსე

ჟენევა, 9 აპრილს. (1874 წ.)

საყვარელო ძმაო ნიკო, ჩემი წიგნი რომ მრისხანე წიგნათ მიგღია, ამითი დავრწმუნდი, რომ საზოგადოთ ჩემი კილო ლაპარაკისა, ისე არ გესმის, როგორც მე შინდა. მე შენთან, თუ საქმემ არ მოითხოვა, ისე მიწერ-მოწერა არა მაქვს, როგორც იმისთანა კაცთან, რომლისაც ყველაზე უფრო ბწყინს, რომ ხეირიანს საქმეს გააკეთებს. ჩემს წიგნებს შენთან მხოლოდ ერთი ხასიათი აქვს: ეს არის საქმეზე და ჩვენს შეუფერებელს თვისებებზე გულმხურვალედ ლაპარაკი ერთმანეთს შორის და არა გარეშე პირთან, ისეთს გარეშე პირთან, რომელსაც შეუძლია ამ ლაპარაკით ცუდათ ისარგებლოს. უნდა გაგიმეორო, როგორც პატიოსანმა კაცმა, როცა იმ წიგნს ვწერდი და შენგან მოყვანილს სიტყვებსა ვხმარობდი, მე

მაშინ ჩემი თავიც მქონდა შენთან ერთად მხედველობაში, რადგან წარსულში მეც ბევრჯერ შემმთხვევია ამგვარი მოქმედება. ამის შემდეგ ერთს გთხოვ, ჩემს წიგნებს, როცა ნაკლულევანებაზე, და საერთოდ უხეირო მოქმედებებზე გწერ, ნუ მიიღებ ისე, თითქოს მე შენ გლანძღავდე და შენი დამცირება მინდოდეს; რომ დაფიქრდე, გულდამშვიდებით განიხილო ის მოქმედებები, რომლებზედაც მე მოგწერ ხოლმე, ის კი მინდა სწორედ.

ბოტიამ მითხრა, ამ შაფათს მოდიხარ, კარგი იქნება, ახალი ამბების გადაცემით და აზრის გაბმით გავმხიარულდები, ერთ მინუტს მაინც სისხლს ავაჩქეფებ, ისიც კარგია. შენი საქმეები როგორ მიდის?.. გამბეტას გაეცანი?—ჰაი, თუ როგორმე ბეღლის თაგვისავით იმის ოთახში შეიპარე და აქ რომ მოხვალ ყურებს გამოგვიჭექავ, რომ მთელი საფრანგეთის რესპუბლიკელი პარტია ხელში მყავსო... მაგრამ აჰ, დავანებებ თავს ამისთანა ოხუნჯობას... ვინ იცის, იქნება კიდეც წამოიძახო, ეს რა პადლეცობაა, ტრაბახობასაც მეწამებიო. ამ ჩვენი ჟენეველების გულფიცხობა და ბუტიაობა ვგონებ შენც გადაგდებია. მართლაც მაცნობე, როგორი ვიზიტები გააკეთე. მე დარწმუნებული ვარ პირთოლე გზას კარგათ გაგიკვერავდა წარჩინებულ პირებთან.

აქ არაფერი ამბავია მაგდენი, ივანე მესხი მოვიდა ციურიხითგან.

შენი გიორგი.

წერილი მეშვიდე

12 მაისი (1874)

ნიკო, შევიტყვე, რომ ფული მოგსვლია და გთხოვ, რაც დარჩენილია იმ ფულებითგან, რომელიც ზარაფოვმა გასესხა, მალე გამომიგზავნოთ. შენ კარგათ იცი, რომ მე მაგ ფულის იმედით წამოვედი, თორემ ასე ხეპრულათ არ გადმოვარდებოდი ამ უცხო ქვეყანაში შიმშილით თავის მოსაკლელათ.

გთხოვ პასუხი მალე შემატყობინო,

გიორგი წერეთელი.

იმ ფულებითგან, რომელიც მე ზარაფოვმა მასესხა, ექვსასი მათგანი კავკასიაში გამოგართვი და ცხრაას ორმოცი ფრანკი (940) აქ მივიღე, დარჩა 1040 ფრანკი, რომელიც გთხოვ მალე გამომიგზავნო.

გიორგი წერეთელი.

წერილი მერვე

23 სექტემბერი

ძმაო ნიკო, თუ ძმა ხარ, მე რომ ახლა სტატიას ვგზავნი, თუ ღირსი იყოს, მალე დააბეჭდვინე, ჩვენ აქ უფულობით სული ამოგვდის. წარმოიდგინე, სხვათა შორის მაგ სტატიის იმედიც გვაქ, ცოტათ ხელს მოგვითბობს. შენ იცი, როგორი ადეოკატი გაგვეხდები, რომ კარგი კუში გვერგოს. შემდეგში მე მინდა აკაკისთან ერთათ ორგანიულათ დავიწყოთ შრომა, როგორც ქართულში. ისე მაგ თქვენს გაზეთში.[1] ვერ წარმოიდგენ, რა მდიდარი მასალაა აქაურს მიძინებულს და მიგდებულს საზოგადო გამგეობაში; ღმერთო, რამდენი ლექი და საძაგლობაა აქ დაგროვებული და გაზეთებიც, განსაკუთრებით, „ტფილისის ვესტნიკი“, ვინ იცის, რამდენს სარგებლობას მოიტანს, თუ რომ შევიძლეთ ორგანიულათ და სისტემატიურათ გამოაშკარავება ყოველგვარ საძაგლობის, რაც აქ ჰხდება მთავრობასა და საზოგადოებაში.

შენი გიორგი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა

1. ეს წერილი დაწერილი უნდა იყოს დაახლოებით 1878 წ. გ. წერეთელი 1873 წლიდან თითქმის ვეღარ მუშაობდა გაზ. „დროებაში“. რამდენიმე წელი იგი საზღვარგარეთ იყო, ხოლო ოსმალეთთან ომის დროს რუსული გაზეთის სამხედრო კორესპონდენტად იყო გაგზავნილი ფრონტზე. 1878 წ. ნ. ნიკოლაძემ დაიწყო რუსული გაზეთის „Обзор“-ის გამოცემა. 1879 წ. გ. წერეთელი კვლავ თანამშრომლობს გაზ. „დროებაში“, ხოლო ამა წლის ბოლოს, რედაქციასთან უთანხმოების გამო, გადადის „ტფილისის ვესტნიკში“ უახლოეს თანამშრომლად.

წერილები ს. მესხისადმი

წერილი მეცხრე

6 თებერვალი. (1874 წ.)

ძმაო სერგეი, გაჯავრებული იქნები, რომ აქამდის წიგნი ვერ მოგწერე, იმ შენი წიგნის პასუხათ. მას შემდეგ რაც ყმაწვილებს თვითონვე ეფიქრნათ ფულის გამოგზავნა, მე მაინცა და მაინც ჩემი წიგნი არ დამიჩქარებია. უმთავრესი საგანი შენ წიგნის მიღე-

ბამდის რამდენიც შესაძლებელი იყო აგისრულეს. მართლაც, რომ ძალიან ბევრი ვალი ჰმართებთ აქ. ამათ მოუვიდათ ორმოცდახუთი თუმანი და ჯერ ნახევარი ვალი არ გაუსტუმრებიათ. ნიკოს[1] ტელეგრამმა მოვიდა, ჩვენი საქმე ძალიან კარგათ მიდისო, მხოლოდ ცოტა დამაგვიანდებაო. წიგნი და დაწერილებითი ამბავი არა არის რა. ჩვენები ყველანი ძალიან გართულნი არიან თავთავიანთს საქმეში. მე ენებს ვსწავლობ და უფულობისა გამო ალაგიდგან ვერ დავძრულვარ. ნიკოს რომ შესძლებოდა ჩემი ფულის გაჰოგზავნა ახლა გერმანიაში ვიქნებოდი და დარწმუნებული ვარ, უფრო ჩქარა წავიდოდა ჩემი ნემენცურის სწავლა. ახლა მე იმედი არა მაქვს, რომ ნიკომ ასე მალე მოახერხოს თავის საქმეები ისე, რომ მომეტებული ფული ექნეს, ამ გარემოებაში შეიძლება მე ძალიან გაჭირება მომადგეს. ამისთვის, რადგან შენ კარგი პირდაპირი დამოკიდებულება გაქვს ზარაფოვთან, გეცნობებინა იმისთვის ეს ჩემი გარემოება, რომ ამ წლის ფული გამოეგზავნა; მერე კი ჩემი ფული შინიდგან მომეიდოდა და საქმე ჩარხიევით წავიდოდა, თორემ ამისთანა მდგომარეობას, შენც იცი, დროს დაკარგვის მეტი არა მოაქვს რა. ჟენევაში ძალიან სიჩუმეა. არავითარი პოლიტიკური მაჯის ცემა არ ეტყობა.

ჩემის აზრით ტფილისში უფრო გაცოცხლებულია შედარებით ყოველგვარი გონებითი და ვაჭრობითი მოძრაობა, ვინემ აქ. ღიპიანი ბურჟუას მეტს და იმის „თავჩაქინდრულს“ შემოსავალს-გასავლის ანგარიშის მეტს ვერას ამჩნევ. ის ყოველთვის კმაყოფილია თავის ჯიბისა და მუცლისა, დანარჩენი კი თუნდ წყალსაც წაუღიაო, ასე ამბობს ყოველი აქაური მცხოვრები.

ჩემი განზრახვა იყო ერთი თვის შემდეგ რაკი მოვედი, ლეიპციგს წავსულვიყავი. იქ ნემენცური ენა შემესწავლა ექვს თვეს და მერე პარიჟს წამოვსულვიყავი,[2] იქ გამეთია ფრანციულში გასაავითარებლათ. მეორე წელს მივყოფოდი გულდაგულ ჩემს სპეციალურს საგანს ხელს და იმედიც მქონდა მალე მოუღებდი ბოლოს. ახლა კი ჩემი მატერიალური მდგომარეობა ისე დაიფუშა, რომ არც კი ვიცი როგორ წავა. მე იმის შიში მაქვს, ვაი თუ ამ ჟენევაში სულაც გამრიყოს ამ ერთს წელიწადს. სწორეთ კარგი ხუმრობა იქნება! ახლა მიიღე მხედველობაში ეს გარემოება და როგორც ამჯობინო, ისე მისწერე ზარაფოვს.

ჩვენ აქ „უღელის“ გადაკეთების პროექტი შევადგინეთ და იმის

მოლაპარაკებაზე და განსჯაზე გვაქვს კრებები. როცა სულ გათავდება ბაასი, რასაკვირველია, პირს გამოგიგზავნი. „დროება“ ჯერ არ მოგვსვლია, არც „კრებული“. არ ვიცი ტფილისის საქმეები რა მდგომარეობაშია, ღმერთმა იცის ან „სასოფლო გაზეთი“, ან „კრებული“ გამოვლენ თუ არა. თუ ღმერთი გწამს, შენ თუ რამე იცი, მომწერე. წარმოიდგინე, ორი წიგნი მივწერე კირილეს[3] და ჯერ პასუხი არც ერთის არ მომსვლია. ვინ არიან მშრომელნი ან რას იწყებენ, ან როგორ უნდა წაიყვანონ საქმე, კაცმა არ იცის!

იზმაილოვი მომიკითხე, მაგისი კარრიკატურა ჩემზე შეთვისებულია. იმედია, მომავალში ჩვენს სატირიულს გაზეთს ნიჭიერი კარრიკატურისტი ეყოლება. უთხარი ჩემ მაგიერ, რომ ჩემი სტატია რომ წამოიღო მაგან ტფილისითგან ქართულ და სომხურ ენის სწავლებაზე, გამომიგზავნოს. ჩემთვის ძალიან საჭიროა.

პაპოვი მომიკითხე.

შენი გიორგი.

თუ პასუხს არ დააგვიანებ კარგი იქნება. მე ჯერ არ დამიწყია რა ჩვენი ლიტერატურისათვის და არ ვიცი დავიწყებ თუ არა; საკეთებელი კი ბევრი მაქვს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. ნიკოლაძე.
2. სერ. მესხი იმ ხანებში პარიზში იმყოფებოდა.
3. ლორთქიფანიძე.

წერილი მეათე

(1874 წ.)

ძმაო სერგეი, წუხელის შეკრებილება გვქონდა, რომელშიაც კეკეც იყო და იმან მითხრა, ვითამც შენ წიგნი მოგეწეროს და ჩემგან პასუხს ელოდე. მე ძალიან გამიკვირდა ეს ამბავი, რადგან წიგნი არ მიმიღია. არ ვიცი, როგორ უნდა დაკარგულიყო. რაც უნდა იყოს, გთხოვ იმ წიგნის შინაარსი მეორეთ მომწერო. ალბათ, ჩემი შესახები საქმე ეწერებოდა, ან გენდომებოდა გადმოცემა. ამას წინეთ ნიკომ ზიმინსკი დაიბარა და ფულიც ყმაწვილებს გამოუგზავნა. ალბათ, მე არ გავახსენდი, მაშინ, როდესაც მე საშინლათ გაჭირებული ვარ. წიგნი მოვწერე ამ საგანზე და არ ვიცი, რას

შემომითვლის, ალბათ, მომწერს ფული არა მაქვს და ვექსილს მოგცემო. მიიღე მხედველობაში ეს ამბავი, თუ ასე მოიქცა, მე კი არ გამიკვირდება, რადგან მაგან შენთანაც ეს მითხრა.

ტფილისითგან დობროვსკის ქალითგან მივიღე ეს ამბავი, ვითომც ტფილისში ახალი ქართული გაზეთის გამოცემას აპირებდენ და იქ მონაწილეობა უნდა მიიღონო დავით ერისთავმა, გიორგი ჩიქოვანმა და აკ. წერეთელმაო. როგორ მოგწონს ეს ამბავი, ჩემის აზრით მოსაფიქრებელია. შენ ხომ არ იცი რამე ამბები? თუ მომწერ, ძალიან მადლობელი ვიქნები.

კომედიას ამ თვეში მგონია გავათავებ. მერე მივყვები შვეიცარიაზე წიგნების წერას. თუ ოქტომბრამდის ამათ გარდა ისტორიული სურათებიც მოვასწრე, მეტს ვეღარას გავაკეთებ ჩვენი ლიტერატურისათვის.

თუ შეიძლება ლუი ბლანის ისტორია რეეოლიუციისა გამოგზავნე, წაკითხვა მინდა. გუშინ საღამოს შეკრებილებაში[2] კეკემ[3] მოიტანა ქართული პოლიტიკური განხილვა საფრანგეთზე. დაწერილი კარგათ იყო, მაგრამ შინ არ წეეკითხა და ამისათვის ჩქარა ვერ წაიკითხა. მე შევნიშნე და შენც მოსწერე, რომ რაც დასწეროს, იმის კითხვაც კარგათ ისწავლოს, მართლაც, რომ ამ მხრით, ჩვენი საქმეები კარგათ წავა. კრიჟანოვსკიმაც მოიტანა დაწერილი და რიგიანათ იყო დერბის სიტყვის აზრი ქართულათ გადმოღებული. აგრეთვე ჯაფარიძემ ილაპარაკა ისპანიის საქმეებზე და მე გერმანიაზე, ასე რომ წუხანდელი საღამო ცოცხლათ წავიდა. მომიკითხე იზმაილოვი.

შენი გიორგი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. გ. ჩიქოვანი იყო ლიტერატორი-მთარგმნელი. თანამშრომლობა დაიწყო „საქართველოს მოამბეში“, შემდეგში თანამშრომლობდა „კრებულში“.
2. საზ. „უღელის“ კრებაზეა ლაპარაკი.
3. მელიქიშვილის ქალმა.

წერილი მეთერთმეტე

9 ივნისს. 1874 წ.

სერგეი, ჩემი კომედია გავათავე.[1] სულ რომ არ ვარგოდეს, „ჯიბრს“ მაინც ხუთჯერ სჯობია. მინდა ამ დღეებში ტფილისს გავგზავნო, ესე იგი, საკონკურსოთ წარვადგინო. ჩემს ახლანდელს

მდგომარეობაში ოცი თუმნის საჩუქრათ მიღება კარგი საქონელია; მაგრამ მე მაინც იმედი არ მაქვს, რადგან კომედიისთვის დანიშნული ფული აქამდის სხვას რასმე მოხმარდებოდა, რადგან „დროებაში“ იყო გამოცხადებული, თუ აპრილის გასულს არავინ წარმოადგინა კომედია, მერე ფული სხვა საქმეს მოხმარდებაო.

სერგეი, თუ ძმა ხარ, თუ შეგიძლია როგორმე ფული მიშოვნე. ერთი ორასი ან სამასი ფრანკი მაინც, ძალიან მიჭირს. შინითგან უსათუოდ მომივა ფული, მაგრამ მგონია ცოტა კიდევ დააგვიანდეს და მანამდის თითქმის ვერ მოვიცდი. ამ დღეებში თუ დობროვსკიანნი მოვიდენ, და მანამდის ფული არ მომივიდა, უეჭველათ იმათგან ვისესხებ ფულს და შენს ფულს დაგიბრუნებ.

ჩვენი საღამოები კარგათ მიდის. კეკე და კრიჟანოვსკის ქალი ყველაზე უფრო შრომობენ ამ საღამოებისათვის. საზოგადოთ ჩვენი საღამოები ძალიან კარგათ მიდის, სწორეთ თავი შეგვაყვარა ამ საღამოებმა. ტფილისითგან თუ რამე იცი, მომწერე. ახლა ნაციონალურს კრებაში დიდი ამბავია, როგორც სჩანს, და, თუ შეიძლება, შესანიშნავი ამბები შემატყობინე. გამბეტას სიტყვითგან სჩანს, რომ ბონაპარტის პარტია ძლიერდება, უკანასკნელი ამორჩევაც ამას ამტკიცებს, რა მიზეზია მოგწერე.

იზმაილოვი მომიკითხე. მე რომ ჩემს რუსულს ხელნაწერს ვთხოვდი, რატომ არ გამომიგზავნა?

შენი მეგობარი გიორგი წერეთელი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. შეიძლება ეს იყოს კომედია: „ოჯახის ასული“, რომელიც ხელნაწერში დარჩა. გ. წერეთელს. ეს კომედია, მართლაც, ყოფილა წარდგენილი, როგორც „დროების“ ნომრებიდან სჩანს, 1880 წ. დრამატიულ საზოგადოებაში.

2. კომედია „ჯიბრი“ გ. წერეთელს ეკუთვნის და დაბეჭდილი არის „კრებულში“, № 2, 1871 წ.

3. მელიქიშვილი.

წერილები ნიკო ნიკოლაძისადმი

წერილი მეთორმეტე

20 იანვარს.

ჩემი თხოვნა* გაზეთის თაობაზე აქამდის მოსული იქნება в департамент по делам печати, იმედია დაფაცურდები და, თუ

* ამ წერილის მხოლოდ ბოლო ნაწილი იბეჭდება.

მადედან ზაპროსი გამოგზავნონ ცენზურნი კამიტეტში ან გლავნი უპრავლენიაში, მაშინ მე მაცნობე ტელეგრამით და მე ყოველს ღონისძიებას ვიხმარ, რომ აქედან კარგი აზრი წარმოადგინონ ჩემს ვინაობაზე, რომ ღმერთმა ქნას და ნებართვა გამოვიდეს. ჩვენ გვინდა ორი საგანი: ერთი კარგი რედაქციის ბიბლიოთეკა და მეორე ცინკოგრაფია. საჭიროა ამ ორს საგანს ყურადღება მიაქციო და შენი აზრი ან განზრახვები დაწვრილებით მაცნობო.

დიმიტრი ყიფიანი* რკინის გზის ბილეთს გთხოვს, ძალიან კარგი და დიდი შემწეობაც იქნება, თუ რომ მოახერხებ ამას, არამც თუ საკუთრათ დიმიტრი ყიფიანისათვის, არამედ მთელი ჩვენის საზოგიდოებისათვისაც, რადგან ბევრი გვაქვს ისეთი საზოგადო საქმეები, სადაც დიმიტრი ყიფიანის გაგზან-გამოგზავნა ძალიან საჭიროა.

შენი ერთგული გიორგი.

წერილი მეცამეტე

6 მარტს, ტფილისი.

ძმაო ნიკო. დიდი ხანია შენთვის წიგნი უნდა მომეწერა, მაგრამ აქამდის ვერ შევიხვედრე მარჯვე დრო. ახლა მით უფრო ვაჩქარი, რომ ბუნგეც მად არის. გაზეთებიდან შეტყობილი გექნება, რომ ჰალის მთაში ბევრი ნავთი გამოჩნდა და ძალიან კარგის თვისებისა; თვითონ ბუნგემ გამართა ჩემთან მოლაპარაკება კამპანიის შედგენაზე, მაგრამ, როგორც შევატყვე, ვერც გაბედა საქმე დაებოლავებინა კაპიტალის უქონლობის გამო. ახლა საქმე ამნაირს მდგომარეობაშია: სანდრო ერისთავმა მოიყვანა ერთი ფრანცუზი კაპიტალისტი სახელად ლესკანი, რომლისთვისაც თავის გოგირდის მადანი ჩირკატში მიუყიდნია. ის ფრანცუზი აპირებს, მგონია, ჩვენთან კამპანიის შედგენას. მე ახლა ერთი კომბინაცია მაქვს, რომელიც, ეფიქრობ პალაშკოვსკისათვისაც დარჩება სასარგებლო და ჩემთვისაც. ამისთვის გთხოვ, ამ საქმეში დამეხმარო. აი, საქმე როგორ არის. მე შემიძლია ჰალის მთაში დიდი მონაწილეობა ვიყიდო იაფად. მაგალითად, პირობა შემიძლია მივსცე ა თ ა ს თ უ მ ნ ა დ ვუყიდო მონაწილეობა არა ნაკლებ ორი ათასი დესეტინისა, ასე

* ცნობილი საზოგადო მოღვაწე.

რომ დესეტინა მოდის ხუთ მანეთად. უკეთუ ეს მონაწილეობა ექვსი თვის განმავლობაში არ ჩავაბარო კუპჩით, მე ხელი ავიღო ჩემს კანტრახტზე იმის სასარგებლოთ, ვინც მიშოვის ათას თუმანს. საქმე იმაშია, რომ თუ დაფაცურდები და ათას თუმანს რამენაირად იშოვნი, იცოდე, ორი ათას დესეტინის მონაწილეობას ფულის პატრონს ვაშოვინებ და ხუთასი დესეტინის მონაწილედ შენც გაგხდი. მაგრამ საჭიროა ეს საქმე მაისამდის შევასრულოთ, თორემ მერე ნავთის ექსპლუატაცია დაიწყება და მაშინ ამ კომბინაციას არამც თუ ათას თუმნათ, ვეღარც ასი ათას თუმნად ვიშოვით. მაშ ერთი შენებურათ დაფაცურდი და უთხარი პალაშკოვსკის ასე: хотите ли сделаться собственником двух тысяч десятин нефтеносной земли? Если желаете, то выдайте через г. Бунге г. Церетели 10/т. рубл. ამის აღსასრულებლათ, როგორიც უნდა, ისეთს პირობას მივსცემ ჩემის მხრით. ამასთანავე, იცოდე, რა დღესაც პალაშკოვსკის და ბუნგეს გადავცემ ორი ათასი დესეტინის მონაწილეობას ხელში, იმ დღეს შენც გექნება კუპჩა ხუთას დესეტინაზე.

დღეს თუ ხვალ ჭალის მთის საქმე დიდს წარმატებაში წავა და საჭიროა მაგრათ ჩავსდგათ ფეხი შიგ. თუ ეს ჩემი კომბინაციები არ მოგეწონოს, შენ გეთაყვანე, ქე მაინც ნურსად დაიწყებ ლაპარაკს, თვითონ გამოცდილი გექნება, რა რიგათ ავნებს კომერციულ საქმეებს წინდაწინ პლანების გამოაშკარავება. ველი შენგან პასუხს ამ თხუთმეტ დღეში. ჩემი ადრესი ეს არის:

Через Квирилы в м. Сачхери. Георгию Ефимовичу Церетели.

მე მგონია პალაშკოვსკისა და ბუნგესთვისაც ის აჯობებს, რომ მონაწილეობა იშოვნონ ჭალის მთაში ისე იაფად. თუ გარეშე კამპანია გაკეთდა, ეგენი მაინც ბატონები იქნებიან ექსპლუატაციისა. და თუ თვითონ დაიწყეს ექსპლუატაცია, მაინც უფრო იაფათ დაუჯდებათ წარმოება ერთი ათასად.

შენი გიორგი.

P. S. დანილოვმა გამიჭირვა საქმე. ის იყო ბუნგესთან პირობაზე ხელი უნდა მომეწერა და ამ დანილოვმა ჩაშალა. Он из пустяков создал небылицы, терроризовал г. Бунге и затормозил дело. В случае новых соглашений не можешь ли принять на себя эту миссию, чтоб избавится от г. Данилова.

Машико очень плохо. Едва она проживет эту весну.

24 დეკემბერს (1883)

ძვირფასო ძმაო ნიკო. ეს არის შენი წიგნი მივიღე და ვისწრაფი პასუხის მოწერას, მით უფრო რომ ხონის რკინის გზის თანამშრომლები დაჯილდოვებულია უფასო ბილეთებით და ყვირილის გზის თანამშრომლებისათვის ხმაც არ გაგიცია, მაშინ, როდესაც ყვირილის გზაზე კიდევ უფრო საჭიროა ჩვენთვის, რომ ადმინისტრაციის პირები მომადლიერებული გვყავდეს. ეფიმოვსკი გამიტყდა, რკინის გზის გამგეობამ ერთხელ დამსახურებისათვის უფასო ბილეთი მომცაო და მერე რაღაც მიზეზი მიპოვნა და ისევ წამართვაო.

1. მეც ვუთხარი ახლა ამ სოფლის პრიგოვორების შედგენაში დამეხმარე და უსათუოდ ნიკოს ვსთხოვ და გიშოვნი უფასო ბილეთს-მეთქი. შენი ჭირიმე, როგორც ეს წიგნი მიიღო, ისე გამომიგზავნე პირველი კლასის ბილეთი ივან სიმონიჩ ეფიმოვსკისათვის, ორი მეორე კლასის ბილეთი პომოშნიკებისათვის ნიკო ალავიძისა და გიორგი ერისთავისათვის, რომელნიც ძალიან შემეწევიან სასოფლო საზოგადოების პრიგოვორების შედგენაში. უამისოთ ესენი საქმეს წამიხდენენ, ვიცი დაბეჯითებით. თუ შეიძლებოდეს, ერთი ბილეთიც უეზდის მარშლის ალექსანდრე ბაგრატიონისათვის. ამათ საშუალებით შემიძლია ყვირილის საქმე დავაბოლოვო კარგათ. ამ სახით მე მჭირდება ორი პირველი კლასის ბილეთი და ორი მეორე კლასისა.

2. მე ეხლა განსაკუთრებით ხონის საქმეზე ვარ მოცლილი, მინდა ჯერ ხონის რკინის გზის საქმე კარგათ გავათავო. ზოგიერთი ფრიად დაბრკოლებანი შემხვდა, რომელნიც შენთვისაც საინტერესო იქნება საცნობელათ. აქ საშინელი ეჯვიანი ცუდი ხასიათის ხალხი ყოფილა. მეზობელს მეზობლის ეხარბება და მეზობლის მტერია. ამ ერთმანეთის მტრობით ხდება ყოველი საქმე ჩვენში. აქ მაინც ხონის და ჯიხაიშის საზოგადოებანი მთელი იმერეთის ტიპები ყოფილან.

ხონში გავრცელებულია ხმა, რომ ლუკა ქორქაშვილს უპოვნია ლეჩხუმში მადნებიო და ნიკო ნიკოლაძესთან პირობა შეუკრავსო, რომ თუ რკინის გზას გამოიყვან, იმ მადნებს ხელში ჩაგიგდებო, იმათთან ნიკო მინგრელსკიც ამხანაგათ ყოფილაო და ჩვენს ხალხს

და საზოგადოებას კი უფასოდ უნდა გამოგვართვან მიწები და ჩვენი ხალხის ხელით პოლოტნო გვაკეთებინონო. ჩვენ მაგას არ ვიზამთ; თუ ისინი თავის სარგებლობისათვის იკეთებენ რკინის გზას, მაშ თვითონ თავის ფულით გააკეთონო. ჩვენ რათ დაუთმობთ რასმე, ან რათ დავეხმარებითო. ბევრი ლაპარაკი დამჭირდა, სანამდი დავაჯერებდი მოთავე კაცებს, რომ ამისთანა მოსაზრება დურაკობა და უგუნურობაა—მეტი არაფერი-მეთქი.

ამას შემდეგ კი გავფრთხილდი, რომ ლუკა აღარ მოვიხმარო საქმეში, რომ იმის გამო კიდევ უგნური იქვები არ აღიძრას ხალხში.

ინჟინერს ხონის პლანი ჯერაც არ გაუთავებია, იმედია ამ დღესასწაულებზე გაათავებს; როგორც მივიღებ პლანს, მაშინათვე დავფაცურდები; მანამდის, იმედია, შენგანაც მომივა გადაწყვეტილი თანხმობა იმ ხელის მოწერის ფორმებზე, რომელნიც მე გაძოგზავნე გასასინჯავათ, თუ თქვენგან არ მომივიდა დასტური მაგ ფორმებთან ხელის მოწერაზე, ისე ვერ გავბედავ ხელის მოწერინების დაწყებას.

3. ჭალის მთის შესახებ წიგნი მოგწერე და კიდევ გწერ, რაკი რკინის გზა გაგვყავს, რაც შეიძლება, მალე გააბედვინე ბუნგეს, რომ შემოვიდეს ამხანაგათ და არენდის ფული გამოიღოს და მერე ყიდვაც ადვილი იქნება და არენდა ხომ მაინც ხელში გვექნება, თუ ყიდვა არ მოხერხდა. რაკი ჭალელები დარწმუნდენ, რომ რკინის გზა გაგვყავს, იმათაც თვალი გამოაჭყიტეს და დიდი ჯაფა მჭირდება, რომ ამდენი ხალხი შევიჩერო. აწ შენი საქმეა და ეცადე ახლავე გადააწყვეტინე, რომ ეს მშვენიერი მთა მტკიცედ გვჭონდეს ხელში, მე მგონია პალაშკოვსკი უფრო დაგვყვება ამ საქმეში, ის დაიხმარე და იმის შემწეობით მად თუ არ გადაწყვიტეთ, მერე ბუნგე რომ წამოვა, უფრო ძნელი იქნება. ბუნგე ცოტა არ იყოს, მძიმე და შეუგნებელი კაცია. Палашковский более широкая натура.

4. ჩემს საკუთარ საქმეს მეკითხები და აი, რა მდგომარეობაშია: ჩემი მდგომარეობა მანამდის არ იქნება მტკიცეთ, სანამდის მე სამსახურში არ გავწესდები რკინის გზაზე, ახლა მარტო ბუნგეზეა ჩემი ბედ-იღბალი დამოკიდებული. ის თუ ბრძანებს, ჯამაგირს მომცემენ, თუ არა და ხმასაც არავინ მცემს. „Нам о Вас ничего не известно“-ვო. მარტო-მრცხვენია, ამისთანა პასუხები რომ მეს-

მის პახიტონოვის და რეტელსკისგან. შენი ჭირიმე, გაამწესებინე მანდეე ჩემი თავი სამსახურში. მე ბუნგეს განკარგულებით პირველ თვეში 250 მან... მეორე თვეში ხმაც არავინ გამცა, სანამდის შენ ბუნგეს ტელეგრამა არ მოაწერინე პახიტონოვთან; თუმცა ეს ტელეგრამა მოუვიდა პახიტონოვს, მაგრამ იმან მაინც არ მომცა ფული. მითხრა, ნადღესასწაულებს მოგცემო. ახლა წარმოიდგინე ჩვენი მდგომარეობა ერთობით შენი დებისა და ჩემი ამ დღესასწაულებზე.

კაპეიკი არ გაგვაჩნია. არ მსურს შეგაწუხო, თორემ სწორეთ ტრაგიკულია შენი დების მდგომარეობა. ლუკაც და გიგოც საძაგლათ ექცევიან მათ. მეც უსაშვალების გამო ჯერ ვერ გადმოვიყვანე ოლიმპიადა. თუ ფული მივიღე, იქნება ახალწლამდის ჩამოვიყვანო და მაშინ ცოტაც არის ე'მველებათ.

იმედი მაქვს ამ წიგნს, როგორც მიიღებ მაშინვე დაფაცურდები: 1. ნათხოვნს ოთხ ბილეთს გამომიგზავნი; 2. თუ აქამდის არ მოგიწერია, ტელეგრამით მაცნობებ, მოვაწერინო ხელი საზოგადოებას ხონის გზაზე იმ ფორმებით, რომელიც გამოგიგზავნე, თუ არა; 3. ჭალის მთის არენდის საქმეს გადაწყვეტ და 4. ჩემს რკინის გზის სამსახურში ჩარიცხვაზე მაცნობებ. ეს ოთხი საქმე ალასრულე პალაშკოვსკის დახმარებით, რაშიაც საჭირო იყოს, რადგან ყველა ამეებს საზოგადო ინტერესი აქვს.

„ნობათის“* ნიმუში გამოიცა, სწორეთ სამაგალითო გამოცემათ მიმაჩნია. გარეგნობით ამისთანა გამოცემა ჯერ არ ყოფილა ქართულ ენაზე. შინაარსის განსჯა კი თქვენთვის მომინდვია. ოლიკოს სახელზე იგზავნება ერთი წიგნი.

მომიკითხე სიყვარულით დათიკო და ოლიკო.

თქვენი ერთგული ძმა და მეგობარი

გიორგი წერეთელი.

P. S. მომილოცავს. ქუთაისის ბანკში არეულობა მოხდა ვაჭრობის დღეს, როცა მებუკე მოვიდა ბანკში და დაიწყო ვაჭრობა. „გავაგდოთ მებუკე აქედანო“—დაიძახა საზოგადოებამ და ერთის ხმით შემოესიენ, დაუწყეს ცემა-ტყეპა და სულზე მიაგდეს, მერე

---

* ყოველთვიური ჟურნალი „ნობათი“-ს რედაქტორი იყო ღულაძე. პირველი ნომერი გამოვიდა 1883 წ. გ. წერეთელი ითვლებოდა თანამშრომლად. პირველ ნომერში დაბეჭდილია მისი „მგელ-კაცი.“

აიღეს და გარეთ გამოიტანეს, მხოლოდ ქუჩაზე გამოახილა თვალები. „ეს რა დამმართნია, წვერ-ულვაში ვინ დამაგლიჯაო.“ ურიები სად გაქრენ, სად არა, ვეღარავინ გაიგო; ამ საგანზე უფრო დაწვრილებითი აღწერა გავგზავნე დროებაში და იქედან შეიტყობ ყოველფერს. დაიწყეს, დაიწყეს, აწ შენ უყურე დინჯ ქართველებს ტფილისის ბანკში, როგორ იფრინონ „პოიები.“ მაგალითი ხომ გადამდებია.

წერილი მეხუთმეტე

29 დეკემბერს.

ძმაო ნიკო. შენ რომ აქ იყავი, თუ გახსოვს, მაშინ მითხარი, როგორც ჩავალ პეტერბურგს, შენს თავს ჩავანიშნინებ სმეტაში და ტელეგრამას მოგწერო. აქამდის ვუცადე შენგან ამბავს და არა არის რა, ვაი, თუ ჩემი საქმე რამე ნაირათ გაჯანჯღლდა. თუ ძმა ხარ, შემატყობინე მალე ყოველფერი. ხომ იცი, აქაური მოსამსახურეების ამბავი და განსაკუთრებით პრესნიაკოვისა. მაგენი მხოლოდ თავისთვის ცდილობენ და არა საქმისათვის; ყურადღება იქონიე, თორემ ბოლოს რომ წაახდინონ საქმე, მერე ვეღარ გამოასწორებ.

1. ჩემგან შედგენილი დოკლადი სმეკალოვს ძალიან მოეწონა ხონის საქმის შესახებ. გადასცა მწერალს გადასაწერათ და იმედი მაქვს, ოცდა თერთმეტს დეკემბერს ტელეგრამით მოგწერო დოკუმენტებისა და დოკლადის წარდგენა. ნომერსაც გამოგიგზავნი, რომლითაც წარსდგა გლავნოკომანდიუშთან ეს ქაღალდი. მე ვსთხოვე, რომ თვითონ მას გამოეგზავნა ტელეგრამა თქვენთვის, მაგრამ იმან მითხრა, რადგან მე აფიციალური პირი ვარო, ამისთვის მე პრავლენიეს ვერ ვაცნობებო ტელეგრამით ჩემს წარდგინებას, მხოლოდ მე თქვენ მოგცემთ დაწვრილებითს სპრავკას და ტელეგრამით თქვენ თითონ გადაეცით ნიკოლაძესო და იქ ბუნგემ ან პალაშკოვსკიმ სთხოვოს დონდუკოვს, რომ მან ტელეგრამით მოითხოვოსო შეპელოვისაგან ეს წარდგინება საჩქაროთო და მალე მიიღებსო. აწ შენ იცი.

2. გუშინ პრინცი ნიკოლაი პეტროვიჩი მოვიდა ჩემთან და მითხრა: У меня есть сериозное предложение от одной солидной английской компании на счет покупки тквибульских каменоугольных копей. Я готов устроить Николаю Яковлевичу это дело с выгодою для него и конечно для себя. ძალიან შემეხვეწა მიმიწერე წიგნით, რომ დათანხმდეს ნიკოვო და, თუ თანახმა არისო, ორ-სამს თვეზე

ნაღდ ფულს დავუთვლიო, გარდა მის ვალებისა საკუთრად იმას ერგოს ასი ათას მანეთამდისო და მეტიცო. აწ შენ იცი, როგორც მოიქცევი. თუ გინდა შემომითვალე თანხმობა და მეც გადავსცემ. პრინცი ამბობს, თუ ნიკო მიიღებს მონაწილეობას, მას შეუძლია, ორს სამს თვეს ყოველივე დოკუმენტები დაამზადოსო და მე ჩემს თავზე ვიკისრებ ნაღდი ფულები დავუთვალოო.

3. სახლის გადამტკიცების შესახებ ჯერ არაფერი მომხდარა, დღესასწაულებმა მოუსწრო. ნადღესასწაულებს, ვგონებ მალე გათავდეს.

4. მარგანეცის საქმე ძალიან კარგი საქმეა, მომეხმარე ბუნგესთან, он был в одно время очень заинтересован этим делом, потому я счел нужным написать ему по этому вопросу обстоятельное письмо. არ ვიცი, იქნება შენ არც კი დაინახე საჭიროდ გადაგეცა ეს წიგნი? რადგან წიგნის პასუხი დამიგვიანდა, ახლა, დღეს ლიბერმანს ვსწერ წიგნს ამავე საგანზე, თუმცა იმედი არ მაქვს მაგ გაღლეტილ ურიისაგან რამე გამოვიდეს.

5. შენ რომ წახვედი, „კიდობნის“ საქმეც ჩაყუჩდა. ყველას ემჯობინებოდა ამ წრეებში ლაპარაკის მაგიერათ შენ თვითონ გეკისრა ეს საქმე, რომ აქეთ გადმოსულიყავით. მაგალითად, დათიკოს სახელზე რომ ყოფილიყო რედაქტორ-გამომცემლობა აღებული. დარწმუნდი, ოღონდ გამოვიდეს, თანამშრომელები ბევრი გამოჩნდებიან და სურათებიანი გამოცემის საქმე ძალიან კარგათ წავა.

ილიკო სიყვარულით მომიკითხე, აგრეთვე დათიკოც. კნეინას და მის ქალებს თავს დავუკრავ.

შენი გიორგი.

წერილი მეოექვსმეტე

2-го января 1884 г.

საყვარელო ძმაო ნიკო. მოგილოცავ ახალწელიწადს. გისურვებ, ეს ახალი წელი შეიქნეს იმ მომენტის დასაწყისად, რომლის შემდეგაც ჩვენ განგვეახლებინოს ჩვენი ჩვეულებრივი უწინდელი ენერგია, ძმური კავშირი, უფრო მტკიცე დისციპლინა ნაყოფიერს შრომაში ჩვენის ქვეყნის წარმატებისა და აღორძინებისათვის. ვისურვებ შენს ოლიკოსთვის* ქართველ დედა-კაცობას, რომელიც იყო მუდამ პირმცინარად მშვიდობის, სიყვარულის და კავშირის გამამაგრებელი საქართველოს ერთგულთა შვილთა გამედგრებულს ბრძო-

* ნ. ნიკოლაძის მეუღლე—ოლღა გურამიშვილის ქალი.

ლაში მტრის წინააღმდეგ. ვისურვებ ჩვენის პარტიისათვის ახალ სვრელს, ახალს გზას, ნაყოფიერს შრომას, მის წრის გამრავლებას, ერთმანეთის სიყვარულს, დაფასებას და ბოლოს, ერთობით დროშის ამაღლებას! გაგვითენოს მრავალი ახალ წელიწადი, ბედნიერათ, მხიარულათ და ენერგიის მომატებით! მართლაც, შენ მიერ მოწერილი წიგნი აკაკისთან* წავიკითხე, ძალიან მომეწონა, სწორეთ ჰკუიანათ და ტაქტურათ არის დაწერილი. მართლაც, საზოგადო ასპარეზზე მომქმედს კაცს არ ეკადრება ვისმეზე ცუდისათვის გულნაკლულობა იქონიოს. მტერსა და მოყვარეს, ყველას თანასწორათ, დარბაისლურად და სიყვარულით უნდა უყურებდეს, თუ კი რომ იცის, მტერი—პირადი მის საზოგადო საქმისათვის გამოსადეგი არის და იქნება.

1. შენ თითქოს წინათვე გიგრძვნია, რომ აკაკიმ, ვაი თუ გიორგის ხელი შეუშალოსო რკინის გზის საქმეში და მოგიმადლიერებია ბილეთით და დაპირებით; მართლაც საშინლათ მოინდომა ხელის შეშლა, როდესაც წერეთლებმა ხელი მოაწერეს, იმან არ მოაწერა; მაგრამ ვერა გააწყორა, რადგან როგორც დავრწმუნდი, მცირედი გავლენა ჰქონია ხალხზე.

2. დღეს რომ ორი იანვარია, წარმოიდგინე მე დეკემბრის ფული ჯერაც არ მიმიღია. მეშინოდა, შობის მეორე დღეს წავსულიყავი სოფლებში ხელის მოსაწერინებლათ რკინის გზის თაობაზე, მაგრამ აქამდის არ წავსულვარ უფულობის გამო. სწორეთ საქმის დაგვიანება ამას მიეწერება, მეტს არაფერს. ოლიმპიადა** ჩამოვიდა და ყველანი უფულობით ვზივართ ცივს ოთახებში და ვთბებით საბნების მოსხმით. მიკვირს, ბუნგემ გამოუგზავნა პახიტონოვს ტელეგრამა და იმან კი აქამდის ფული არ მომცა. ძმობამ, ძალიან მონდომებული ვარ ხონის საქმეზე, მაგრამ რას იზამ!? უსაშველობით არამც თუ ფეხის გადადგმა, კუჭის გაძღომაც ვერ შევიძლეთ. დაფაცურდი ამ ჩემს საქმეზე.

3. მეისნერის კამპანიას ინჟინრები და ტეხნიკები გამოუგზავნია, ისინი იღებენ პლანს ყვირილის რკინის გზისას. ისინი აჯერებენ ხალხს, რომ ჩვენ საზოგადოების დახმარება არ გვინდა, ჰიათურამდის ჩვენ თვითონ ჩვენის ფულით გავიყვანთ გზასო. ამით ესენი სწორეთ საქმეს წამიხდენენ, თუ ამ საზოგადოებით არ ვისარგებ-

* პეტი აკაკი წერეთელი.

** გ. წერეთლის მეუღლე.

ლეთ. მე მოველაპარაკე ინჟინერს ედუარდ მარტინოვიჩს გარშინგს (Эдуард Мартынович Гаршинг) ამ საგანზე. მე ვუთხარი, კარგი იქნება, რაკი თქვენ აქციონერული კამპანია გყავთ, თქვენი აქციონერული კაპიტალი გადასცენ კავკასიის რკინის გზის საზოგადოებას, შეუერთდენ იმათ და ერთად გაიყვანონ გზა-მეთქი. ის თითქმის დამეთანხმა ამ პროექტზე. ამისათვის, თუ ძმა ხარ, ამ გარემოებას დიდი ყურადღება მიაქციე—და მადევე გამართე მეისნერთან მოლაპარაკება, если он представляет какую нибудь солидность, თუ არა და მომწერე დაწვრილებით ამ მეისნერის კამპანიის საქმის გარემოება; მაშ აწ თვითონ ამ ინჟინრის ამბავს მოგწერ, რომ ეს კაცი ძალიან ენერგიის კაცია, თავის ხარჯზე იღებს პლანს, ახდენს იზისკანიეს და თუ საჭირო იქნება საქმის დაჩქარებისათვის, ამისგანვე ვიყიდოთ ეს იზისკანიე და აღებული პლანი. ეს გარშინგი ყოფილა თვითონ ფოთი-ტფილისის რკინის გზის ერთი აღმშენებელთაგანი, შორაპნის უეზდი ძალიან კარგათ იცის და დამპირდა, რომ ძალიან ადვილათ მოგიძებნი სურამის მოსავლელ რკინის გზის იზისკანიეს ულევის გზაზეო, ისე რომ იზისკანიემ დაამტკიცოსო, რომ შეიძლება ყვირილის სტანციიდან გორამდის რავნინის რკინის გზის გაგებაო (Сооружение равнинной железной дороги). მე სწორეთ ამისთანა ენერგიული და მცოდნე კაცი მინდა ტოტების გასაყვანათ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ძალიან დაგვეხმარება ტოტების გაკეთებაში. ურჩიე ბუნგეს რომ ამისთანა კაცი მოგვცეს საიზისკანიო ინჟინრათ და ტიხანოვისთანა ინჟინრებისაგან გაგვანთავისუფლოს, რომელიც ახდენს საქმეს და არ აკეთებს.*

ილიკოს და დათიკოს სიყვარულით მოეიკითხავ.

შენი ერთგული გიორგი.

---

* რომ ჩვენთვის ნათელი გახდეს გ. წერეთლის წერილების შინაარსი და თხოვნები, საჭიროა ვიცოდეთ, რომ 1890 წ. ნიკო ნიკოლაძე გადასახლებული იქნა სტავროპოლში, ხოლო 1881 წ. იგი შეუდგა რკინის გზის სამსახურში, სადანაც 1883 წ. იგი გადავიდა ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობაში. აქ მას ჩააბარეს ნავთის გადახიდვის მოწესრიგება და ტყიბულის გზისა და სურამის გვირაბის აშენებაზე ზრუნვა. 1884–86 წლებში იგი ეძავე ამ კავკასიის რკინის გზის პატრონთა მინდობილობით მოლაპარაკებას აწარმოებდა უცხოელ კაპიტალისტებთან ბაქოს ნავთის ბების შესახებ. ამ პერიოდში ნიკოლაძე ფართო მუშაობას აწარმოებდა კაპიტალიზმის განვითარების მიმართულებით. თავისი თანამდებობით იგი დიდ დახმარებას უწევდა თავის მეგობრებსაც სამსახურის შოვნის საქმეში. ამ შემთხვევაში გ. წერეთელი პირველთაგანი იყო.

წერილი მეჩვიდმეტე

16 იანვარს.

1. ძმაო ნიკო, შენი ტელეგრამა მივიღე, ნესტორ თავდგირიძე დავიბარე, მოველაპარაკე და ავუხსენი დაწვრილებით ყოველივე, შენი ტელეგრამაც ვაჩვენე, მაზედ რომ სწერ. მაგრამ ვაი შენს მტერს, ვაი თუ ეს კაცი ჩვენ ვერ გამოგვადგეს. ერთობ ცუღლუტი და ზარმაცია. საშა ჰყონიას ვერც გამოცდილებით, ვერც იურიდიკული ცოდნით და ვერც პატიოსნებით ეს ვერ შეედრება. მაგრამ რაკი შენ აგირჩევია, მე დისციპლინის მოთხოვნილებისამებრ მოვიქეცი.

2. ხონის რკინის გზის თაობაზე დიდი გაჭირვება შეგვხვდა და დღესაც ბევრი დაბრკოლება თავიდან ვერ მოგვიშორებია. გლეხობას საშინლათ სძულვებია ადმინისტრაცია და არც არავითარი ძალა და პატივისცემა არ ქონია მისი. ასე გასინჯე, ჩიჯავაძეს გლეხებმა პირში უთხრეს, ალბათ, თქვენ, პოლიციელებმა, რკინის გზის საზოგადოებისაგან ფული მიიღეთო და გინდათ ჩვენ ხალხს უფასოთ გაგვაკეთებიოთ რკინის გზის პოლოტნოვო. ეს ჩიჯავაძე მაინც ყოვლად გლახა ყოფილა, არც ლაპარაკი სცოდნია და უგუნურიც ყოფილა, გლახაკი გამოდგა, წმინდა გლახაკი. ეს დაიარებოდა ჩემთან ხალხში და მერე კი ბევრი ვინანე, მარტო რომ წავსულვიყავი—უფრო ადვილათ მოვაგვარებდი საქმეს. მე ახლა სულ სხვა სისტემას დავადექი და იმედი მაქვს, ეს სისტემა ყოველთვის გაიმარჯვებს, ჩემს სიტყვებს და დამტკიცებებს, ღვთის მადლით, კაი გავლენა ჰქონდა ხალხზე. ზოგიერთმა გამოცდილმა ხონის ვაჭრებმა ჩემს სიტყვებს შემდეგ ილაპარაკეს ჩემ გასაგონათ. მაგ დალოცვილი წერეთელი ამ ჩიჯავაძეს რას მოათრევდა, საქმე ტყულა აარევინაო. მარტო ეგ რომ მოსულიყო, ის აჯობებდაო. ახლა მე ყოველივე მზათ მაქვს, მხოლოდ პლანს ველი, უპლანოთ შეუძლებელია ოტჩუჟდენიის მოხდენა. პლანი კი არსად არის, ეს ტრომპეტერი ძალიან ნელი მუშა ყოფილა, ამ დღესასწაულებზე სადღაც წასულა ცოლიანა და по-минай как звали.

წერილი მეთვრამეტე

ორპირის ჯუჩა, ნიჟარაძის სახლი.

2 თებერვალს. (1884 წ.)*

1. ძვირფასო ძმაო ნიკო. გენდური, რომ შენგან დიდი ხანია წიგნი არა მაქვს. ბილეთებს დამპირდი ზოგიერთ პირებისათვის და ისიც აქამდის არ გამოგიგზავნია. თუ ჯერ არ გამოგეგზავნოს, ოთხი წლიური ბილეთი მინდა. კარგს იზამ, რომ ზედ არ დააწერდე, ისე გამოგზავნიდე. ამიტომ რომ შეიძლება, ვინც ჩვენ ვერასფერში ვერ მოგვეხმარება, იმას ხვდეს ბილეთი და ვინც დიდს სამსახურს გაგვიწევს, იმას არა ხვდეს. მაგალითად, მერაბ ლორთქიფანიძეს გამოუგზავნე ბილეთი და ამას კი არავითარი დახმარება ჩვენ საქმეში არ შეუძლია, მაშინ როდესაც იმის მაგიერათ სხვას, უფრო მოხერხებულს კაცს ჰქონოდა, ისა სჯობდა.

2. ხონის ადგილების უფასოთ დათმობის საქმე კარგათ მიდის, მაგრამ გლეხები ძალიან უარზე დგანან პრიგოვორების შედგენაზე უფასოთ მუშაობის შესახებ, აქ თუ სხვანაირათ არ იმოქმედა კაცმა, ადმინისტრაციის საშუალებით არა გაკეთდება რა. ადმინისტრაციას სრულებით დაკარგვია აქ ხალხში რწმუნება; თვით ხალხში, ყოველ სოფლის საზოგადოებაში უნდა ვიშოვნოთ გავლენის მქონე გლეხკაცები, რომელთაც კარგი ლაპარაკი იციან, პარტიებს მიიმხრობენ და იმათი საშუალებით შედგება პრიგოვორები. უამისოთ საქმის გაკეთება არ მოხერხდება, ამ სახით თითო სოფლის საზოგადოებაზე ორმოცი თუმანი ხარჯი თუ არ გაესწიეთ, თვითონ გავლენის მექონე გლეხების მოსასყიდათ, ისე საქმე არ მოხერხდება. ეს ანგარიში უკიდურესია. ადგილების შესყიდვაზე დოკუმენტებს ვეცდები ამ თებერვალში გავათავო.

შინაურები ყველანი კარგათ არიან; საწყალს ლუკა ქორქაშვილს პაწია ლამაზი ბიჭი რომ ყავდა, კოლია, მოუკვდა, ახლა თვითონაც ავათ გახდა და გაუჭირდება მორჩენა. წიგნი მომწერე უსათუოდ და განსაკუთრებით პასუხს ვითხოვ გლეხების პრიგოვორების შესახებ. ამის გარდა ძალიან საჭიროა, რომ ვექილობა მქონდეს კავკასიის რკინის გზის საზოგადოებისგან.

ოლიკოს და დათიკოს სიყვარულით მოვიკითხავ. შენი ერთგული ძმა გიორგი.

* წერილზე ნიკოლაძის ხელით აწერია რუსულად; პასუხი 12 თებერვალს 84 წ.

წერილი მეცხრამეტე

ჯუთაისი 25 თებერვალს. (1884 წ.)

ძვირფასო ძმაო ნიკო. ეს არის ხონიდან დავბრუნდი, სმეკალოვს ვახლდი ხონის რკინის გზის გასაშინჯავათ პლანითა. მოვედი თუ არა, შენი წიგნი დამხვდა თორმეტ თებერვლიდან მოწერილი და ვისწრაფი პასუხი მოგწერო.

1. გლეხების მოყიდვა ან დაქრთამვა მე პირდაპირ არ მიმიწერია, ამის წინააღმდეგი როგორც შენ, ასე მე ვარ, თორემ არ დავიწყებოდა ჩემი მოლაპარაკება, შენ რომ აქ იყავი, როცა გიამბე, თუ რანაირათ ვიქცეოდი, როცა ჭალის მთა ავიღე არენდით. მაგრამ პრიგოვორების შესადგენათ კი უსათუოდ შემდეგ ნაირათ უნდა მოვიქცეთ, რომელსაც ახლა მოგითხრობ დაწვრილებით. ჩვენი ფორმა პრიგოვორების იმნაირია, რომ სოფლის საზოგადოებამ უნდა აარჩიოს თავის შორის ა თ ი, თ ხ უ თ მ ე ტ ი კაცი, რომელთაც რკინის გზის აგენტთან უნდა შეკრან პირობა, თუ რა წესით უნდა გამოიყვანონ ხალხი მიწის სამუშაოთ და ამ აღმორჩეულებმა რანაირი ზედამხედველობა უნდა იქონიონ. მაშასადამე, ეს კაცები, თითეოს ჩვენი მოჯამაგირეებათ ხდებიან და ამათ თუ არ მოინდომეს, ისე პრიგოვორებიც როშ შედგეს, მაინც არა გაკეთდება რა მიწის მუშაობაში. ამასთანავე, ეს კაცები ცოდვები იქნებიან: ერთსა და ორ თვეს ჩვენს სამსახურში დაკარგვენ და რომ არაფერი მიეცეს ჯამაგირათ, შეუძლებელია. მაშასადამე, ამ კაცებთაგანი თავდგმურათ იქნებიან, უსათუოდ ჯამაგირში უნდა გვყვანდნენ სანამ პოლოტნო გაკეთდებოდეს, რადგან იმათს ერთგულებაზე და გაფრთხილებაზე იქნება დამოკიდებული პოლოტნოს საჩქაროთ გაკეთება. აი იმათ ჯამაგირათ ეიანგარიშე სოფლის საზოგადოებაზე ორმოცი თუმანი. მართალია, როცა ამისთანა გავლენის მქონე კაცებთან მაქვს ლაპარაკი, ვეუბნები უეჭველათ რკინის გზის პოლოტნოს კეთების დროს, რადგან თქვენ თავდგმურად იქნებით, უსათუოდ ჯამაგირი გექნებათ, თვეში თ ვ რ ა მ ე ტ მანეთიდან ოც მანეთამდის-მეთქი. ისინიც მონდომებული არიან და იმედიც მაქვს პრიგოვორები შესდგეს. რაიცა შეეხება გარყვნას, მე ახლა როგორც დავაკვირდი, სოფლის ხალხი კიდევ უფრო ზნეობით გარყვნილია თავად აზნაურობაზე და ჩინოვნიკობაზე. იმათ სასარგებლო საქმეზე რომ დაიწყებ ლაპარაკს, ის კახეთში მოგჩერებია და გულში

ფიქრობს: თუ ეგ ამბავი შენი სასარგებლო საქმე არ იყოსო, ჩემს სარგებლობაზე შენ რათ დაიწყებ ლაპარაკსო და წყალი რომ მოსთხოვო ერთ სტაქან წყალშიაც გამორჩენას მოელის შენგან.

რაიცა შეეხება ჩემს სისტემას მოქმედებისას, დარწმუნდი, რასაც შენ ამბობ, ჯერ იმაზედ არ * და საქებრად არ ვიტყვი, არც დავიკვეხავ, მაგრამ ჩემს სიტყვას და ქადაგებას აგრეთვე მოქცევას, თანდათან უფრო გავლენა ეძლევა ხალხში. იმედია, მალეც ისე დაბოლავდეს საქმე, როგორც შენ გსურს. მხოლოთ ამას კი გეტყვი, საქმე რომ დაიწყო ქაცმა ყოველი ღონით და მუყაითობით უნდა მიაწვე, თორემ ისე არაფერი საქმე, ნამეტურ ხალხთან თუ გაქვს საქმე, ცუღლუტობით არ გაკეთდება. მე ძალიან მიწოლილი ვარ ხონის საქმეზე და სანამდის ამას არ დავაბოლავებ რიგიანათ, მანამდის არ მინდა სხვა ხეობაში დავიწყო საქმე, რადგან ვიცი, თუ მივაყრუე, ცოტა ხნობითაც არის, არ გაკეთდება. ძალიან საჩქაროა ჩემთვის დოვერენოსტი. სმეკალოვმა პატიოსანი სიტყვა მომცა ქაიხოსროს და ალშიბაიას მოგცემო და ისინი, რასაც შენ ეტყვი ისე მოიქცევიანო. ის ხონიდან წავიდა ოზურგეთს; როგორც მოვა ოზურგეთიდან, მაშინვე გამოვთხოვ ბრძანებას და იმ კვირაში შეუდგები პოდპისკებისა და პრიგოვორების შედგენას. ხალხი ახლა და ახლა უფრო მონდომებული და შეგნებულია ამ საქმის გასაკეთებლათ.

2. ხონის რკინის გზის თაობაზე დიმიტრი ჩხიკვიშვილმა დიდი უსინდისობა და აყალმაყალი ასტეხა, მაგრამ ყოველივე მისი ცუდკაცობა თვითონვე დაატყდა თავზე. ახლა საზოგადოება აპირობს იმაზე პრიგოვორის შედგენას და გუბერნატორთან წარდგენას. თითონ სმეკალოვმა სთქვა ჩემთან: не мешало бы ему прогуляться в Архангельскую губернию.

ქალაქის ამორჩევა ქუთაისში ვერ იყო რიგიანი, მაგრამ თითონ ახალგაზდების ბრალია. ქალაქის მცხოვრებლები ასე ამბობდენ: წარსულს სესიაში თუ ახალგაზდები ამოირჩიეთ, ვითომ რა გაგვიკეთესო, იმათ ვერც საქმიანობა გამოგვიჩინეს, და ვერც კეთილ სინდისიანობაო. აწ ჩვენ მაგათი აღარა გვწამს რა, ისევ ჩვენებს ამოვირჩევთო. ძველ გლასნებთაგანში გააშაევეს დავით ლორთქიფანიძე, ახალთაგან ამორჩეულ იქმნა დიმიტრი დადიანი, პეტრე წულუკი-

* სიტყვა ვერ ამოვიკითხეთ.

ძე, დავით აბდუშელი. ღოღობერიძეებთაგანს არავის კენჭი არ უყრიათ, ეშინოდათ გაშავების. გლასნობაზე იყარა კენჭი ლუკა ასათიანმა და ივანე მესხმა—ორივე გააშავეს. ყველას სურდა უპრავის გამოცვლა, მაგრამ იმათ მოწინააღმდეგეთ არვინ გამოჩნდა. ლუკა ასათიანს თავობაზე მოუვიდა თექსმეტი შავი და თვრამეტი თეთრი. იმედი ჰქონდათ დავით ბაქრაძე იყრიდა კენჭს, რომელიც უსათუოთ გათეთრდებოდა და ოცდა ხუთის თეთრით ათის წინააღმდეგ; მაგრამ უარი თქვა კენჭის ყრაზე და ამით შეაწუხა ყველა მისი მომხრენი. ამ კაცისთანა უტაქტო მეორე არ მინახავს. ივანე მესხმა იყარა კენჭი უპრავის ჩლენობაზე და მოუვიდა ჩვიდმეტი შავი და თვრამეტი თეთრი. ვისაც უნდა ეყარა იმის წინააღმდეგ, ყველა გევიდოდა; მაგრამ შეიცოდეს მისი ოჯახობა და არავინ ისურვა იმის წინააღმდეგ გამოსვლა. ამის გამო ქალაქის მცხოვრებლები სწუხან უწინდელის უპრავის შედგენილობის ისევ ამორჩევას.

მართალია შენმა ბიძაშვილმა პირკელ კატეგორიაში თვითონ უარი თქვა კენჭის ყრაზე და შენ წარგადგინა კანდიდატათ. ამოგირჩიეს ჩვიდმეტმა ამრჩეველმა რვის წინააღმდეგ.

3. ბანკის თაობაზე აქაური საზოგადოება ყველა შენანებულია, ყველა შენ გამართლებს და მოელიან შენგან ახალ ბროშურას, რომელშიაც უნდა იყოს დაწვრილებით აღწერილი ახლანდელი ბანკის მდგომარეობა. მართლა, გუშინწინ ბანკის კასსა გასტეხეს და გამოიტანეს ას ოცდა ათი თუმანი. უბედურ კაცსაო ქვა აღმართში მიეწიაო, ისეა ამ ღოღობერიძეების საქმეც. В обществе они возбуждают истинную жалость и презрение.

4. საჩხერის რკინის გზის იხისკანიე ჰიათურამდის კიდეც გაათავა ინჟენერმა გარშინგმა. იმან დაარწმუნა სმეკალოვი და სხვებიც, რომ ჩვენი კამპანია კაპეიკის ხარჯსაც არ მისცემს ხალხსაო, ჰიათურამდის ისე გააკეთებს რკინის გზასო. მე ვარწმუნებ საზოგადოებას, რომ ჩვენი რკინის გზის საზოგადოების მეტი ვერავის მისცემს კონცესიას-მეთქი, მაგრამ თვითონ იფიქრე, ხალხი მაინც, ცოტა არ იყოს, ორთა შუა ჩავარდა, ერთი, კამპანია არაფერს არ ითხოვსო რკინის გზის გაყვანაში, თავის ხარჯით გაყავსო რკინის გზა და იზისკანიეც გაათავაო, მეორე კი საზოგადოებისაგან მსხვერპლსა, და ძუშაობას ითხოვსო. მხოლოთ ჩვენის მხრით საჭიროა ინჟინრების კამანდიროვკა იზისკანიის მოსახდენათ, თუ გარშინგის იზისკანიით არ უნდა პრავლენიეს ისარგებლოს. ყოველ შემთხვევაში როცა

გარშინგი პლანს წამოიღებს პეტერბურღს, მოგწერ და მაშინ დაწვრილებით შემატყობინე საჩხერის რკინის გზის საქმეზე თქვენი გადაწყვეტილი აზრი. ჩემის აზრით, საქმის საჩქაროთ გასაკეთებლათ, ისა სჯობია, ეს გარშინგის იზისკანიე და პლანი თუ მოგეწონოსთ აიღოთ, ამის კამპანიაც ხელში დაიჭიროთ და მე, როგორც პლანის კოპიოს გამოგიგზავნით, მაშინათვე შეუდგები მიწების ოტჩუდენიეს და პრიგოვორების შედგენას.

შენი დები და ბოვშვები კარგათ არიან. ლუკა გადაურჩა სიკვდილს, ახლა კარგათ არის. ანიჩკა გითვლის: ერთი გლეხი იხსნის თავსო. ფულიც მზათ აქვს—ას თუმნამდისო. ლუკას ვსთხოვეთ და მითხრაო, დოვერენოსტი დამეკარგაო და ამასთანავე მითხრაო, მე ჩემი საქმის მოვლაც მიჭირსო და თქვენ საქმეს სად შემოუაროვო, პირობაში გლეხთან გვიწერია შტრაფიო, თუ ამ ერთ თვეს არ გავათავეთო იმასთან საქმეო, ახლა შენ იციო, როგორ მოვიქცეთ, რომ შტრაფი არ გადაგვხთესო.

ნიკო, აქ გაზეთებში სწერენ შენს ახალ დანიშნულებაზე შესახებ სპარსეთში რკინის გზის გაყვანისა, თუ ძმა ხარ, მომწერე შენი ნამდვილი ამბავი, როგორ ხარ, მართალია თუ არა, რაც აქ გაზეთებში ეწერა შენ შესახებ კამისიაში დანიშვნისა. როგორ ხარ, ან კოწია როგორ იქცევა. ოლიკო როგორ არის, სულ დაწვრილებით მომწერე შენი ამბები და ვითარება.

ბლიოხის წიგნი გთხოვე, ძალიან მეჭიერება. ან შენ წამომიღე, თუ მალე წამოხვიდე ან გამომიგზავნე, თუ მალე ვეღარ შეგემთხვევს ჩამოსვლა.

ოლიმპიადა, კატო და ანიჩკა სიყვარულით მოგიკითხავენ.

შენი ერთგული ძმა და მეგობარი გიორგი.

წერილი მეოცე

3 მარტს (1884) ჭუთაისი.

ძვირფასო ძმაო ნიკო; მწერ, თუ ძმა ხარ გაათავე ხონის საქმეო. აბა, რანაირათ უნდა გავათავო, ეს მესამე დღე დაიწყო ჯერ კაპეიკი არ მიმიღია. ეს ათი დღეა, რაც ზუბაროვსკიმ ბუნგესგან ტელეგრამა მიიღო და ჯერ კიდევ ფული არ მოუცია. ისიც ღმერთმა იცის, როდის მომცემს. შენ თვითონ იფიქრე, ამგვარათ გათავდება თუ არა რამე საქმე? თუ რომ ამ რკინის გზის ტოტების საქმე შენი საკუთარი საქმეა, გამოიდევი შე დალოცვილო თავი შენც.

უთხარი ბუნგეს რომ ეს მამაძაღლები მაგათი მოსამსახურეები ყველანი თავის ჯიბისთვის ზრუნავენ და საქმისათვის არავინ არასფერს არ აკეთებს.

ჩემ საკუთარ მდგომარეობაზე აღარაფერს მოგწერ, შენც კარგათ გეცოდინება. ამას კი გეტყვი, რომ თითო ოროლა მანეთობით ჩვენი მეგობრები არ გვეწეოდეს, აქამდის სწორეთ თავს მოვიკლავდი, რომ არ მეყურებინა ოლიმპიადა რანაირათ გაჰქრებოდა უწამლობით და შიმშილით ჩემს თვალწინ, სჯობია ამ მწუხარე სურათს ისევ ფარდა ჩამოვაფაროთ.

1. ხონის საქმე ჩინებულათ მოვამზადე. დიდი წინააღმდეგი პარტია შემიდგინეს დიმიტრი ჩხიკვიშვილმა, გრიგოლ ქორქაშვილმა, ხონის ადვოკატმა და ჩვენმა მეგობარმა არისტო ქუთათელაძემ. მაგრამ იმდენი პატივისცემა და გავლენა კი დავიმსახურე ხონის საზოგადოების წინაშე, რომ ბოლოს მთელს თავადაზნაურობას ხონის მაზრისას პრიგავორი შევადგენიე, ჩხიკვიშვილის და გრიგოლ ქორქაშვილის გადასახლებაზე. დიმიტრი ჩხიკვიშვილს გადუწყვიტეს გადასახლება რუსეთში სამის წლის ვადით და გრიგოლ ქორქაშვილს ბათუმში გამგზავრება. პრიგოვორის შესადგენათ მოგროვდა ოთხასი კომლი თავადი და აზნაური. იმათ ამოირჩიეს ოცდაათი კეთილ-სინდისიანი კაცი. თავსმჯდომარეთ ჰყავდათ ალმასხან ნიჟარაძე. ეს პრიგოვორი ახლა უნდა წარუდგინონ ღუბერნატორს. თუ გინდა წინააღმდეგი პარტიის დამარცხება, ასე უნდა. დღეს ხონში რკინის გზის გაყვანის წინააღმდეგი არავინ არის და როგორც კი მივიღებ ფულებს, თუ კი მეღირსა ფულების მიღება, ერთის თვის განმავლობაში წარმოგიდგენ ხელმოწერილ დოკუმენტებს.

ესეები გთხოვ დაწვრილებით უამბო ბუნგეს. მე ბუნგეს მივწერე ცოტა მკვახე წიგნი, იმედია გადმოგცემს იმის შინაარსს. სხვათაშორის, მე მივეცი შემდეგი აზრი: რადგან ბათუმის ნაეთის ვაჭრობის საქმე დღითი-დღე უნდა გავრცელდეს და კანტორაში საჭიროა იმისთვის ისეთი კაცი ჰყავდეს, რომ ამ ვაჭრობის საქმეს დაწვრილებით ყურადღება ადევნოს და თვით კანტორაში მიწერ-მოწერის საქმეებს დაეხმაროს, ვინიცობაა კანტორის მმართველი სადმე წავიდ-წამოვიდეს, ხანდახან იმისი მაგიერობაც იკისროს-მეთქი, ვთხოვე რომ მე დამნიშნოს ბათუმის კანტორაში მოსამსახურეთ და ამ ჯამაგირით, რაც ახლა მე მაქვს დანიშნული, კანტორაშიც ვემუშავებ და როცა საჭირო იქნება წავალ და რკინის გზის ტო-

ტების საკითხებსაც გავაკეთებ-მეთქი. რადგან ფრანციული და განსაკუთრებით ნემენცური გვარიანათ ვიცი, უცხო ქვეყნის ფირმებთან საკანტორო მიწერ-მოწერაშიაც გამოვდგები-მეთქი, ამ სახით რაკი სამსახურში ვიქნები, ჯამაგირსაც თავთავის დროზე მივიღებ და საქმესაც იმდენს გავაკეთებ, რომ ბუნგე-პოლაშკოვსკი მადლობელი დარჩება. ბათუმში ცოლშვილით ჩემი ცხოვრება კიდევ იმით იქნება კარგი, რომ იქნება ოლიმპიადას მოუხდეს იქაური ჰავა. ამ ბოლო დროს ოლიმპიადას ველარ იცნობ ისე დასუსტდა გულის ტკივილით, დღითი-დღე დნება და თუ ძმა ხარ ამის დარდს ნუ ჩამაყოლებ გულში, მოშეხმარე, შემეწიე, რომ იქნებ მართლაც ბათუმის ნავთის კანტორაში მომიხერხო ადგილის შოვნა და მოვრჩე ამ უბედურს მდგომარეობას, მუდამ უფულობაში ტანჯვას. მე, როგორც ვატყობ, დღეს ჩემი მდგომარეობა არ არის განსაზღვრული, რამდენიმე თვეობით მუდამ ამას უნდა ვღრიტინებდე, რამენაირათ ჩემი შრომის ფასი გადმომიგდონ და მუდამ სიზმრათ უნდა მქონდეს გადაქცეული, ვაი თუ ფული დამიპირონ, არ მომცენ და შიმშილით დამეხოცოს ცოლ-შვილი. ამისთანა მდგომარეობას, სწორეთ გითხრა სიკვდილი სჯობია.

მე დარწმუნებული ვარ, ამ წიგნს რო მიიღებ, მე კიდევ არ მექნება ფული მიღებული და მაშინვე დაფაცურდი, მოიკითხე რომ მომცენ საშვალება ხონის გზის საქმეს გათავებისათვის. მე, ძმაო, ისე მიჭირს, ტელეგრამის ფულებიც ველარსად ვიშოვნე.

2. სმეკალოვთან ძალიან კარგი განწყობილება მაქვს, დარწმუნდა, რომ მე უფრო ქვეყნის სარგებლობისთვის მოვქმედებ ამ ტოტების გაყვანით და არა კამპანიის გულისთვის და ამის შემდეგ უფრო გულახდილათ მელაპარაკება ყოველგვარ საქმეზე. ერთხელ კონფინდენციალურ მოლაპარაკებაში აი რა მითხრა თქვენ რკინის გზის საზოგადოებაზე და იმის გათავებაზე:

გულახდით უნდა გითხრაო, მე კავკასიის რკინის გზის საზოგადოების არა მწამს რაო. მე იმათ შევყურებ ზიზღით და სრულის გულის ანტიპატიითო. ისინი თავის მოქმედებით გვიმტკიცებენ, რომ იმათ უნდა ხალხი ჭოატყუილონ, გაცარცვონ, ტყავი გააძრონ და ვერც ერთი წესიერი და პატიოსანი ხალხის მმართველი გუბერნატორი ვერ დაუახლოვდება და ვერ მისცემს შემწეობას მაგისთანა კაცებსო. რაც მე დანილოვის უსინდისო პროდელკები ვიცი ბათუმში, ოზურგეთისა და ბათუმის ოკრუგებში, როგორ შემიძლია

იმის შემდეგ სიმპატიით ვუყურო იმ საზოგადოებას, რომელსაც მაგისთანა უსინდისო კაცი ადვოკატათ ამოურჩევია და ხალხს აცარცვინებსო.

ამის პასუხათ მე ვუთხარი, არც ბუნგეს, არც პალაშკოვსკის და არც ნიკოლაძეს არა აქვთ გაგებული მაგისი მოქმედება, თორემ თვითონ იგინი მიაყენებდენ მაგას შეურაცყოფას მაგისანა უსინდისო მოქმედებისთვის-მეთქი.

— მაგას ნუ დაიჯერებო. ნუთუ მე არ უნდა ვიცოდეო, ჩემი ხელქვეითები უეზდის ნაჩალნიკები და პრისტავები რას აკეთებენო, მაშ რაღა გუბერნატორი ვყოფილვარო. მაგ შემთხვევაში ხალხური ანდაზა უფრო მართალიაო: Каков поп, таков и приход". ძმობას გეფიცები ამ სიტყვებით დააბოლოვა ბუნგეზე ლაპარაკი სმეკალოვმა. აქედან მე ცხადათ დავინახე, რომ პირველში ჩიჯავაძის მოქმედის მოქმედებას ხონის რკინის გზის საქმეზე ჰქონდა სმეკალოვის გავლენა. მაგრამ ბოლოს იმდენათ დავარწმუნე, თუ რამდენათ წმინდაა მაგ შემთხვევაში შენი და ჩემი განზრახვა, აღვუწერე დაწვრილებით შენი პრინციპები და შენი ბრძოლა ბუნგე-პალაშკოვსკისთან შესახებ უსინდისო კაცების განწესებისა სამსახურებში და იმდენათ დარწმუნდა შენ გულწრფელს მოქმედებაში ხალხის და ქვეყნის სასარგებლოთ, ხონიდან ოზურგეთს რომ წავიდა ხელი ჩამომართვა მაგრად და ასე მითხრა: желаю Вам исполнения всех Ваших искренних и чистых намерений на преуспеяние Вашего родного края. როცა ჩამოხვალ შენ თვითონ დარწმუნდები, რომ ეს მართალია ყველაფერი.

შენი ერთგული ძმა გიორგი.

ოლიმპიადა ძალიან ავათ იყო. იმის მორჩენაზე ყველას ჰქონდა იმედი დაკარგული. ამ ხანობით გამობრუნდა, მაგრამ შემდეგ რა იქნება არ ვიცი. ძალიან დასუსტებულია. შენმა დებმა და ჩემმა შვილებმა სიყვარულით მოგიკითხეს. ხშირათ გახსენებენ: როდის ჩამოვა ბიძია ნიკო? ოლიკოს და დათიკოს სიყვარულით მოვიკითხავ.

წერილი ოცდამეერთე

ტფილისი 4 მარტს. (1884 წ.)

ძვირფასო ძმაო ნიკო. მე რომ მოგწერე ინჟინერი გარშინგი იზისკანიეს აკეთებს-მეთქი, იმან კიდეც გაათავა იზისკანიე და დღეს რომ კვირა არის, სამშაბათს, ექვს მარტს, წამოვა პეტერბურღს და

პროექტებს მად ადგენს, რადგან დაგვიანებული არის და ოტპუსკი რაკი გასულია, ეჩქარება წამოსვლას. ეს ყოფილა პერმის გზაზე მოსამსახურეთ, ცდილობს სამინისტროში ხარკოვის გზაზე გადაიყვანონ.

მე ამას ეუთხარი, როგორც ჩახვიდე პეტერბურღში ბუნგეს და პალაშკოვსკის ნახვა არ დაივიწყო-მეთქი. გერშინგის კვალს მიჰყვენ იზისკანიეში, ეგონებ. თქვენი საზოგადოებიდან დანიშნული ინჟინერი ტიხონოვი და სხვები, მაგრამ ესენი მხოლოდ სეირნობდნენ. გერშინგის იზისკანიით სარგებლობდნენ, რომელიც იმათ წინ მიუძღოდა, თვითონ ისინი კი ბევრს არას მუშაობდნენ, მე ძალიან გამიკვირდა, რომ იმათ მე არაფერი შემატყობინეს, სხვა არა იყოს რა, ჩემს ნაცნობებს თავად-აზნაურებში, კარგს ბინებს მაინც აღმოუჩენდი. რატომ ქნეს, არ ვიცი. ამას გარდა ისინი მივიდენ მხოლოდ ბოსლევამდის და შემდეგ უეცრად უკან დაბრუნდენ. თუ დაიწყეს, რატომ არ გაათავეს, ან თუ არ უნდოდათ დაწყება შუა გზამდის რაღათ მივიდენ და რაღათ ჰქნეს ხარჯი. გერშინგის ისტორია შესანიშნავია. ამას წარსულს წელს გაუმართავს ტელეგრაფით მიწერ-მოწერა ინჟინრებთან პოლიტკოვსკისა და ტიხონოვთან. ამათ სრულის იზისკანიისათვის ჰიათურამდის გერშინგს ათი ათასი მანეთი სთხოვეს თურმე—თვითონ კი გერშინგს არ დახარჯვია სამას თუმანზე მეტი, მგზავრობით—იზისკანიანა. ახლა იფიქრე შენ, რამდენათ თავგასულები არიან თქვენი საზოგადოების ინჟინრები.

თუ ძმა ხარ, ამ ჩემს მდგომარეობას მიაქციე ყურადღება. მე თავის დროზე ფულს ვერაოდეს ვერ ვიღებ. თითო და ოროლ კვირაობით მიგვიანებენ. რაც მეძლევა ჯამაგირი, იმის ნახევარი თითქმის რაზიეზდში მეხარჯება. ან ფულის ძებნას სასესხებლად ვერ გაუვედი, ან საქმის კეთებას. ოც თებერვალს მე და სმეკალოვმა გავსინჯეთ ხონის გზის პლანი. ხალხი ყველა მონდომებულია, რაც შეიძლება მალე გაკეთდეს რკინის გზა. დავბრუნდით თუ არა ჭუთაისს, მე ფულებს ველოდი ქალაქიდან, რომ ბარემც ჯამაგირი მომსვლოდა. წავსულიყავი, პრიგოვორები შემედგინა და დოკუმენტები გამომეგზავნა. დღეს, იფიქრე, ოთხი მარტია, ფული ჯერაც არ მიმიღია, ვისესხე ოცდა ხუთი მანეთი, წამოვედი ქალაქს. ველაპარაკე პირდაპირ პოხიტონოვს, იმან მითხრა, ფული არა მაქვსო და როდის მექნება არ ვიციო. ახლა ვარ აქ ხელ-გულ დაცლობი-

ლი, მე თვითონ არ ვიცი, როდის მივიღებ ფულს, რომ წავიდე ხონის გზის პრიგოვორების შესადგენათ. აქ დამზადებული მყავდა ხალხი და აწ აღარც ის ვიცი, კიდევ როდის მოვამზადებ ხალხს, რადგან ვადები რომ მივეცი, ამ და ამ დროს მოვალ და პირობები ატჩუჟდენიის შევკრათ-მეთქი--ის ვადები ყველანი გაუშვი.

გთხოვ, თუ გინდა ხონის საქმეც მალე გაგითავო და ყვირილის რკინის გზის საქმე სისრულეში მოვიყვანო, ეცადე, რომ მე ყოველს ოც რიცხვს თითოეულის თვისას მიგზავნონ ჯამაგირი. ახლა კი გთხოვ, განკარგულება მოახდენინო ბუნგეს თებერელისა და მარტის ჯამაგირი ერთად მომცენ, რომ საქმეს აღარ მოვცდე და ბარემც დავათავო. შენი ჰირიმე, ამ წიგნის გამო განკარგულება ტელეგრამით მოახდენინე ბუნგეს. მანამდის, მე მეტი გზა არა მაქვს, ტფილისში უნდა ვიცადო, რადგან, ასე გასინჯე, წასასვლელი ფულიც არა მაქვს ქუთაისს და ჩემი ყმაწვილები მშიერი ყრიან ქუთაისს. ოლიკოს და დათიკოს სიყვარულით მოვიკითხავ.

შენი ერთგული გიორგი.

წერილი ოცდამეორე

ტფილისი 31 მარტს.

ძვირფასო ძმაო ნიკო. წუხელი მეუნარგია ვნახე და ვკითხე შენი ამბავი. იმ ოხერმა ცივად მომატყუა ეს ამბავი: „დიფტერიტი სჭირსო". ვერ წარმოიდგენ რანაირათ შემარყია იმ სიტყვებმა: თითქოს იქვე თავზარი, მეხი დამცემოდეს და მიწაში გავერონინებინე. მართალია, იქნება ჩვენ ცხოვრებაში ერთმანეთისათვის კიდეც ბევრი გვეწყენინებინოს, მაგრამ ოცდახუთის წლის ერთის მიზნით და ერთის განზრახულებით შეერთებულნი ჩვენ ერთმანეთისთვის ერთი სისხლი და ერთი ხორცი გამხდარვართ. საზოგადოება ჩვენიც თითქმის ამას გრძნობს: ერთის სატკივარი მეორესიც არის, ერთის უბედურება მეორესაც ხდის უბედურათ; მართლაც, შენ რომ რამე დაგემართოს, არ ვიცი, გარდა შენის საყვარელ ცოლ-შვილისა ვინღა იქნება ჩემზე უბედური, ნუ ფიქრობ, რომ ეს მართლა ლუკმაპურისთვის იყოს გამოთქმული. არა, ძმაო, დარწმუნდი, მე და ჩემი შვილები შიმშილით არ მოვკვდებით. სანამდის ცოცხალი ვარ, არც მე, არც ჩემს შვილებს მაგ მხრით არა გაუჭირდებათ რა, მაგრამ მე ლუკმა პურის უზრუნველობა და მდიდრათ ცხოვრება ჩალათაც არ მიმაჩნია; იმედია, ჩემი წარსული საკმაო მაგალითს მოგცემს

ამის დასამტკიცებელს. მაგრამ მე ვიგრძნობ ჩემს თავს სწორედ უბედურათ, რადგან ყოველს ჩემს კეთილშობილურ განზრახვებს ბურჯი წაექცევა და დღეს რომ იმედებით ვარ გაშხნეებული, ის იმედები სულ ერთიანათ ცეცხლში ჩამეწვის და მეც ცოცხლად დავიმარხები:

„საბრალოა მხოლოდ სული ობოლი,
ვერღა ჰპოვოს რა დაჰკარგოს მან ტოლი.“

ოცდა ხუთის წლის დაჩაგრულათ მოარული ცხოვრების ასპარეზზე, სადაც მე ვფიქროდი მომეპოვებინა სახელი და დიდება და მის სამშობლოს დახმარების გულისთვის, დღეს ძლივს მზის შუქივით ბედმა ღრუბლიდან გამოიჭყიტა, შემომცინა და ახლა აბ წუთს შენ კი რამე უნდა გაგიჭირდეს?! ღმერთმა ნუ ქნას. დაანებე, ძმაო, მაგ წყეულ პეტერბურღის ჰავას თავი, წამოდი ჩემსკენ, დრო არის ეს უკანასკნელი ათი წელიწადი ალაგობრივ ვიშრომოთ, რომ რაც დაგვიწყია, იქნება რამდენიმე ნაბიჯი წინ წავსწიოთ ის საქმეები. თანაგრძნობა საზოგადოებისა ბევრი გვაქვს, ღვთის მადლით, ვგონებ ამ აპრილის გასვლამდის მეც მშვენიერათ გავათავო ჭალის მთის საქმე და მაშინ ნახავ, რა ძვირფასი ვიქნებით ერთმანეთისთვის, როგორ მაგრათ გავუდგამთ ფეხს ჩვენს აზრებს საზოგადოებაში.

თუ ძმა ხარ, თუ ერთმა, ორის კალმის მოსმამ არ გაწყინოს, მოწერე შენი ამბავი და გული დაუმშვიდე ყველა შენს მოყვარულს. შენიანებს. შენს სახლობას სიყვარულით მოვიკითხავ.

შენი ერთგული ძმა და მეგობარი გიორგი წერეთელი.

წერილი ოცდამესამე

ძვირფასო ძმაო ნიკო. იმ ურწმუნო სანდრო ჩოლოყაშვილს ვიღაც ავალიანისათვის გადაუცია ვექსილი ცხრაასი მანეთის, რომელიც შენია და მე ვითავდებე, თუ გახსოვს. მე რა მეგონა თუ შენ თავის დროზე არ გადიხდიდი. აი, უწყებასაც გიგზავნი, რომ უფრო დარწმუნდე. მე გარჩევაში არ წავსულვარ. რა პირით წავიდოდი. დაუსწრებელი განჩინება დაუდგენიათ. ახლა ცდილობს ზაპრეშჩენიე დაადვას ჩემს მამულს. შენ უკეთ იცი ჩემი გარემოება ახლანდელი. ერთადერთი საშუალება დამრჩა შვილების სარჩენი. ცოტა-ცოტათ ვყიდი ადგილ-მამულს და იმათ ვზრდი. ახლა მე თუ ამ ვალში ადგილ-მამული გამიყიდეს, იფიქრე, მე ჩემს თავს აღარ ვზრუ-

ნავ, მაგრამ შვილებს რაღა ვუყო. რითი ვარჩინო. ამისთვის შენი პირიმე, მომიხერხე რამე, რომ ეს შენი ვალი რამენაირათ მომაცილო ჩოლოყაშვილისაგან. თუ გახსოვს, ტფილისში კიდეც გითხარი, წავიდეთ, მოველაპარაკოთ სანდრო ჩოლოყაშვილს მეთქი. შენ ყურადღება არ მიაქციე, ალბათ, საქმეებში გართული იყავი. ახლა გთხოვ, როგორც ძმას და მეგობარს, შეიდევი თავი ამ საქმეზე და გადამარჩინე ხიფათისაგან. ვინაც ჩემი ახლანდელი მდგომარეობა იცის, მე მგონია, შენ კი არა, მტერსაც შეეებრალები.

შენი ერთგული გიორგი.

ოლიკო და შენი ქალი სიყვარულით მომიკითხე. კნეინას, დათიკოს და მის დებს პატივისცემით თავს დავუკრავ.

წერილი ოცდამეოთხე

28 ივლისს, ტფილისი.

ძვირფასო ძმაო ნიკო, შენი წიგნი პარიჟიდან მოწერილი თითქმის იმ დროს მივიღე, რა დროსაც პეტერბურგიდან მოწერილი. გწერ პასუხს ორივე წიგნზე. პარიჟიდან მოწერილმა შენმა წიგნმა მეტად გამახარა, თუ მართალია, რომ ტყიბულის საქმეს კარგათ ათავებ. მე დარწმუნებული ვარ, რაც შენგან შეიძლება, საცადს და ნიჭს არ დააკლებ მაგ საქმეს, თუ რომ გარემოება შეგეწია. როდის იქნება მართლაც, შენი საქმეები იმდენათ გამობრუნდეს, რომ დამშვიდებით ამოითქვა სული და მოხვიდე შენს ქვეყანაში საშრომათ. შენ ვერც კი წარმოიდგენ, რა ენერგიით და სიამოვნებით შეგეწევი, თუ კი რამე შემეძლება. ესთხოვოთ უწყალო გარემოებას აგვისრულოს ჩვენი საწადელი.

1. ბუნგეს ვწერ ხონის რკინის გზის საქმეს და წაიკითხე ის წიგნი და ძალიან დაეხმარე ამ საქმეს; უკეთესად ამ საქმის გათავება არ შეიძლებოდა. როგორც მე გავათავე. თუ გინდა დოკუმენტები საჩქაროთ მოგვივიდეს ხონის გზისა, სთხოვე ბუნგეს მისწეროს აქ პრავლენიაში, რომ თანახმათ ჩოტებისა და ნოტარიუსის ხარჯები გაისტუმროს, მაშინ ხონის ნოტარიუსი მომცემს დოკუმენტებს და მაშინვე გამოგიგზავნი; ყველა დოკუმენტები იმას აქვს შედგენილი და არ მაძლევს, სანამ ანგარიშს არ გავუწმენდ. სულ ხარჯი ექვსას მანეთზე მეტი არ არის.

2. წარმოიდგინე, მაისში რომ ბუნგემ გამოგზავნა ტელეგრამა გიორგი წერეთელი დანილოვის პომოშნიკათ დანიშნეთო, აქამდის

არ დაუნიშნავარ და მუდამ მიჰირებენ საქმეს ამის გამო ფულის მოცემაში. მე დარწმუნებული ვარ, რომ აქ დანილოვის ხრიკებია მიზეზი, მაგრამ შენ რას მიკეთებ მად, ნუთუ შენ ვერ გააბათილებ დანილოვის ხრიკებს. ახლა პრესნიაკოვი მად არის. პირადათ მოელაპარაკე. რაც შეიძლება მალე დაანიშვნინე ჩემი თავი და ტელეგრამით მაცნობე ყოველივე. ველი შენგან მოუთმენლად ჩემი დანიშვნის ტელეგრამას და დოკუმენტების დასახსნელს ფულს.

3. სამეგრელოს ტყეების აღწერილობისათვის ჯერ ვერ მოვიცალე. ახლა ამ წიგნს რომ გწერ, დღეს რომ 28 ივლისია, ორის დღის შემდეგ წავალ სამეგრელოში, წავიყვან თან ინჟინერს ტრომპეტერს და ყოველსავე დაწვრილებითს ცნობებს შენის პროგრამისაებრ გამოგიგზავნი. აწ მხედველობაში უნდა გვქონდეს ორი რკინის გზის ტოტი: ერთი საჩხერის ტოტი. აქ დააგდეს ხმა, ვითომც მინისტრს კიდეც მიეცეს კონცესსია საჩხერის გზაზე მეისნერის კომპანიისათვის. უნდა გითხრა მართალი, თუ ეს ტოტი აცილდა კავკასიის რკინის გზის საზოგადოებას, ძალიან მეწყინება. თუ ძმა ხარ, შეიტყვე ყოველივე დაწვრილებითი ცნობები მაგ სამინისტროში ჰიათურის გზის შესახებ და მომწერე. სამეგრელოს რკინის გზის გაყვანაში მე მგონია, მთავრობაც სიხარულით დაგვეხმარება თუ ჩვენ ვუჩვენებთ სტრატეგიულს მნიშვნელობას ამ ტოტისას. ძალიან ძვირფასი მასალები ამ საგანზე შეგროვილია კრაევიჩის თხზულებაში Описание прибрежского края. შევთანხმდეთ ამ კითხვებში და თუ საჭირო იქნება, მე აქ დავსწერ რამდენსამე სტატიას და მანდ შენც აღძარი ეს კითხვა. რაიცა შეეხება სამეგრელოში პრიგოვორების შედგენას და ადგილების მიცემას, აქ საქმე სულ მზათ მაქვს, ხონზე უფრო ადვილათ და მალე მოვრჩები ამ საქმეს; ამას გარდა, არც საქონლის შესახებ პირობას ჩავაწერინებ დოკუმენტებში, ასე რომ, რა ცუდი იქნება რკინის გზის საზოგადოებას რომ მთავრობამაც მისცეს ფული სოხუმამდის რკინის გზის გასაკეთებლად და საზოგადოებაც დავიხმაროთ ამ საქმეში. საჩქაროთ იფიქრე ამ საგანზე, მოელაპარაკე ბუნგეს და პრესნიაკოვს და მე საქმეს შევუდგები.

4. ჩვენი ბანკის საქმე ძალიან დაპუწული, წამხდარია. მე იმ აზრის ვარ, რაც შეიძლება მალე დაიხუროს ეგ ბანკი, ის ემჯობინება. როგორც შენ ამბობდი, ოდესმე ჩვენი მიწის მქონებელ თავად-აზნაურობისათვის დამღუპველი იქნება ეგ ბანკიო, ცხადად გა-

მოჩნდა დღეს. დიმიტრი დადიანი კი არა, ქრისტე ღმერთიც ველარ გაასწორებს მაგ საქმეს. დიმიტრი დადიანი მაინც არ არის იმისთანა ვაჟი, როგორც შენ გგონია. ეგ ერთი ათად უფრო საბრალოა ჭკუით, მოსაზრებით და მოქმედებით, ვინამც ნიკო ღოღობერიძე. ჩვენ თუ მაგას მოვემხრეთ და ავარჩევინეთ იმისთვის კი არა, რომ ღირსეული ყოფილიყო, არა, ღოღობერიძე-ფაღავას პარტიის დასამარცხებლათ. სხვა ღონე არ იყო, მაგ უნდა გვეხმარა თავის პარტიის იარაღათ. და შენ წრეუნდელს კენჭის ყრას ამ თვალით უნდა უყურებდე, არა სხვა თვალით. ჩვენ ყველამ დიმიტრი დადიანს ის უნდა ვურჩიოთ, რომ თვითონ მოითხოვოს მინისტრისაგან რევიზიის დანიშვნა, და ბანკი გაწმენდილი ჩაიბაროს. შემდეგ კი ყველანი უნდა ვეცადოთ, რომ ეს ბანკი მოკლევადიან სამრეწველო ბანკათ გადაკეთდეს, რომ შეიძლებოდეს ხამუშევრის გიროთი ფულის გამოტანა, რომ მემამულეს შეეძლოს ამ საშუალებით ჩარჩებთან ბრძოლა.

საადგილ-მამულო ბანკი ჯერ ადრეა ჩვენის მეურნეობისათვის და ის მხოლოდ ცარიელზე დასვამს ადგილ-მამულის მეპატრონეებს, სხვა სარგებლობას არ მოიტანს.

აი, ცხადი მაგალითი: ასი ქცევის მეპატრონეს ჩვენში ეძახიან საშვალ მეპატრონეს. მისი წლიური შემოსავალ-გასავალი ორმოც თუმანზე ტრიალებს. საშვალო შემოსავალი ქცევაზე არის მესამედი. ქცევის საშვალო მოსავალი არის სამოცი ბათმანი. მებატონე, მაშასადამე, იღებს ოც ბათმანს. ოცი ბათმანი გაყიდოს ოც აბაზათ. ესეც ქცევის შემოსავალი არის ოთხი მანეთი წელიწადში — წელიწადში ორმოცი თუმანი, რომელიც თვითონ მებატონეს სჭირდება და თუ მას დაგირავებული აქვს ბანკში ეს მამული, ალბათ, იმისთვის რომ კერძო მევალეები აწუხებდა. დააგირავა მამული. მევალე გეისტუმრა, მაგრამ ბანკის პროცენტი შემდეგ მაინც სესხებით უნდა იხადოს, რადგან მამულიდან ერთ კაპეიკსაც ვერ გადირჩენს, როგორც ზემოთ გითხარი, ბევრი-ბევრი ხუთი-ექვსი წელიწადი გაუძლოს ნეუსტოიკებთან პროცენტის ვალის ღებას, მერე მაინც უნდა გაყიდოს მისი მამული. ასე რომ გამოდგა, ჩვენი ბანკი არისო, ანუ გაბზდარა: „Конторою легкого отчуждения земельной собственности для того дворянства, которое считало банк *

* სიტყვა ვერ ამოვიკითხეთ.

против своих экономических недугов. აი, ამისთვის მე ვარ ღრმათ დარწმუნებული, რომ ყოველი კაცი, რომელიც ცდილობს ბანკის გამგეობას, ჩემ თვალში იგივე უსინდისო პირია, როგორც ღოლობერიძეები იყვენ. ისინი ცდილობენ თავის გაკვებას ბანკით და თავად-აზნაურობის ბედ-იღბალი ფეხებზე ჰკიდიათ.

მე ეს აზრები უფრო საფუძვლიან საბუთებით მინდოდა გამომეცხადებინა გაზეთში, მაგრამ იფიქრე, რედაქციებმა ნება არ მომცეს ამისთანა აზრების წარმოთქმისა. მოდი და შენ ამისთანა ახალგაზრდობასთან იმუშავე. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ კირილესთანა კაცებიც კი ისე შემოგვაბერდენ, რომ окончательно обидялотилпсь.

ნურავინ ნუ ფიქრობს, რომ ზაკლადნი ლისტების კარგათ გაყიდვითაც რომ ჩვენი ბანკის საქმე კარგათ წავიდეს. ზაკლადნი ლისტები ას მანეთათაც რომ გავიდენ, მგონი მაინც დამგირავებელს არ მოესპობა მამულის გაყიდვა. ახლა აქსიომათ არის გადაქცეული ეს აზრი: „всякое имение, закладываемое в банк через 5-6 лет подвержено безусловно продаже“, ასეა ეს ამბავი.

5. ჩვენი შინაურობა სიყვარულით მოგიკითხავთ და ისურვებენ შენ ტანმთელათ ცხოვრებას და შენი საქმეების კარგათ დაბოლოებას, თუმცა საწყალი ოლიმპიადა ამებს ვერ მოესწრება. ის არის უკიდურესს მდგომარეობაში და მე თვითონ არ ვიცი, როდის შემემთხვევა უბედურება. აქედან წარმოიდგენ, რანაირს ზნეობითს ტანჯვაში უნდა ვიყო არამცთუ მე, ყველა შენი დები და შენიანები, რომელნიც უყურებენ ოლიმპიადას, თუ როგორ სანთელივით ჰქრება; იმ ზომამდის მიაღწია, რომ ფეხზე ვეღარ დგება. ბავშებმა ურიცხვათ დაგკოცნეს.

შენი ერთგული ძმა და მეგობარი გიორგი წერეთელი.

დათიკო, ოლიკო და მაგათი სახლობა სიყვარულით მომიკითხე.

ჩემი დანიშვნის საქმეს უპრავლენიაში მოსამსახურეთ კიდევ განგიმეორებ, არ დაგავიწყდეს. ინჟინერი ტრომპეტერი ძალიან კარგი გამომადგა. მე მაგის მეტი არავინ მინდა, რომ რკინის გზის ტოტების საქმე კარგათ წავიდეს. თუ შეხვდეს ბუნგესთან ლაპარაკი ტრომპეტერზე, თუ ძმა ხარ, აქე. ჩვენი საქმეებისთვის ძალიან გამოსადეგი კაცია.

წერილი ოცდამეხუთე

29 ოქტომბერს, 1884 წ.

ძვირფასო ძმაო ნიკო. მე ახლა ქუთაისში ვარ. ოლიმპიადა უკიდურეს მდგომარეობაში მყავს. დღეს დოქტორებს კონსილიუმი ჰქონდა და დაუფარავათ გამომიცხადეს თავის აზრი, რომ ჩვენ აღარაფერი აღარ შეგვიძლიაო. ამ უბედურების გაგონების შემდეგ მე აღარაფერის მოქმედება არ შემიძლია ამ ხნობით. გთხოვ შენ მაინც არ ჯსუსტო ამ საქმეს, რომელზედაც ტფილისში მოვილაპარაკეთ და მერე წიგნითაც მოგწერე სტამბის გამართვის საქმე. მე ტფილისში რომ ვიყავი, პრესნიაკოვთან დაწვრილებით მოვილაპარაკე სტამბის გამართვის შესახებ. იმას იამა ჩემი წინადადება და სთქვა, ორას თუმანს მე ახლავე მოვახერხებ, თუ კი რამენაირათ პიტოევის სტამბას ხელში ჩავიგდებთო. მე იმას ვსთხოვე ბაქოში მოგელაპარაკოს შენ და შენის საშვალებით ერისთავთან და პიტოევთან საქმე ადვილათ გათავდება-მეთქი. მერე ქუთაისში ილიკო ბახტაძიდან ტელეგრამა მივიღე, რომ პიტოევ ცოტა უარზე სდგასო, რომ ეს შეიძლება შენ ადვილად გამართო ყოველფერი. სტამბა ვიშოვნოთ და სტამბაში ილიკო ბახტაძე ჩავსვათ და კონტროლი სტამბაზე და მფარველობა რომ რკინის გზის გამგეობას ჰქონდეს ხელში.

საფუძველი ამ საქმის მოხერხებისა აი რასში მდგომარეობს. პრესნიაკოვმა გადმომცა შვედეს მოხსენება, თუ რამდენი დახარჯულა შარშან მარტო რკინის გზის ბლანკებზე—ნეტავ იცოდე სოსო მელიქოვს რამდენი შეუყლაპავს ერთის წლის განმავლობაში—40,000 მანეთი. და შემდეგ შვედე ბრძანებს თავის მოხსენებაში, რომ მომავალს წელს კიდევ მეტი დაჯდებაო ბლანკებზე ხარჯი. მოდი და ამისთანა კაცების ხელში არ გაკოტრდეს რკინის გზა, მე, რასაკვირველია, პრესნიაკოვს ავუხსენი, რომ ამის მესამედიც არ დაჯდება მეთქი, თუ რკინის გზას თავის სტამბა ექნება-მეთქი. იმან მითხრა, დიდის სიამოვნებით მივიღებ მაგ წინადადებას, მხოლოდ ერთი უსიამოვნო ხიფათი დასდევს მაგ საქმესო. პალაშკოვსკიმ მომწერაო პეტერბურღიდან, ვითომც იქაურს მესტამბეს ეთხოვოს იმისთვის ბლანკების ზაკაზი, გვარიც მითხრა იმ მესტამბესი, მაგრამ დამავიწყდა. ჩემის აზრით, ეს აბსურდის საქმეა, რომ პეტერბურღიდან კავკასიაში ბლანკები გაგზავნო, მაშინ ერთი ორათ

დაჯდება და თავის დროზედაც აღარ ექნება რკინის გზას ბლანკები. ერთი სიტყვით, ყოველი გარემოება ესეები მიიღე მხედველობაში და ისე ნუ დაბრუნდები, რომ საქმე არ გააკეთო. შენზეა დამოკიდებული ახლა ეს საქმე, რადგან პრესნიაკოვი სრული თანამგრძნობელია ამ საქმის.

შენი ერთგული გიორგი.

წერილი ოცდამეექვსე

30 ნოემბერს.

საყვარელო ძმაო ნიკო, დიდი ხანია შენგან წიგნი არა მაქვს, სწორეთ დაგენდურებოდი, რომ არ ვიცოდე, რომ შენ ბევრი ჯაფა გაწევს ზურგზე წერის გამო, მაგრამ თუ შეიხვეწდრება დროს და ხანდახანს შენს ამბავს მომწერ ხოლმე, ძალიან დაგიმადლებ.

1. აქ იასტჟებსკი იყო; მგონია ტარიფის ნაწილზე მუშაობს პრავლენიაში. პოლიაკია. იმან მელაპარაკა გორნიჩს ნიკო ნიკოლაძე ძალიან ლანძღავს პეტერბურღში და საზოგადოთ აქაურს უპრავლენიას თავიდან ფეხებამდისო, მაგრამ მე სალანძღავი აქ ვერაფერი ვნახეო. გორნიჩი მშვენიერი კაციაო, პრესნიაკოვთან იდგა და პრესნიაკოვს, როცა რამე უსიამოვნო ტელეგრამა მოუვიდოდა პეტერბურღიდან, გაჯავრებით წამოიძახებდა: აი, თქვენი ნიკოლაძე რაებს მიშობაო, ცხადია რომ ეს იასტჟებსკი ყველას აქაურ ნაჩალნიკებს ელაპარაკებოდა შენს ძვირებს და გასმენდა.

მე ამას გწერ, იმიტომ რომ შენ ყოველივე უნდა იცოდე აქაური ამბავი რაც შენ შეგეხება. ქვეყანაზე მომქმედ კაცს ბევრი მტერი ყავს და გაფრთხილება უნდა.

2. ჩემთან ჰალის მთაში იყვნენ გერმანიის კაპიტალისტების წარმომადგენელი იოლესი და ბელგიის ტყვია-ვერცხლის სამთო მადნის დირექტორი ბილპაცი. ეს უკანასკნელი ძალიან დახელოვნებული ინჟინერი ყოფილა და ავტორიტეტიც ჰქონია. იოლესმა მითხრა, ეს კაცი მიტომ წამოვიყვანეო, რომ ამის დაკლადს დიდი მნიშვნელობა ექნება ბერლინისა და დრეზდენის კაპიტალისტების წრეშიო. ამ ბილპაცს ჰალის მთა მოეწონა თავის ნიმუშებით. წაიღეს რკინის ნიმუში, ვერცხლ-ტყვიის მადნის ნიმუში, ოთხი ბოჭკა, ასე ოც ფუთამდის თედელეთის ნავთი, გიშრის ნიმუში, ქვანახშირის ნიმუში, მარგანეცის ნიმუში და სხვა. დასწერეს ჩემთან წინ და წინი პირობა და ითხოვეს ექვსი თვის ვადა, რომლის

განმავლობაში იმათ უნდა გამოგზავნონ ინჟინრები იზისკანიისათვის და ნამდვილი კანტრახტის შესაკრავათ. მე ჯერ კიდევ არ მჯერა ეს ამბავი, თორემ თუ საქმე ასრულდა, მოვითქვამთ სულს. ამავე კამპანიამ იყიდა პირობით სოლომონ შაშუროვისაგან ჩანახის ზავოდი, ნოეროსიისკში ნავთის ადგილები ლევან მელიქოვისაგან და მოელაპარაკა მირზოევს მისი ზავოდისა და ალაგების ყიდვაზე სამ მილიონათ. ისინი უნდა დაბრუნდნენ ჩემთან მარტში.

კარგი იქნება, რომ პალაშკოვსკის ზავოდი მივაყიდვინოთ ამ კამპანიას. ამას მიტომ გეუბნები, რომ მითხრეს გაარიგე გაყიდვაო.

• იმათ თქვეს, რომ გერმანიაში დგება აქციონერული კამპანია მათის მოქმედებით, რომელსაც ექნება ორმოცი მილიონი ტალერი ფონდი კავკასიის მადნების საზოგადოთ საექსპლოტაციოთო. რამდენათაც რიგიანი კაცები არიან, ამას გამოაჩენს დრო, ვნახოთ.

3. თუ ძმა ხარ, ნიკო, ჩემი მდგომარეობა არ გამოგეპაროს. დანილოვი წამოვიდა მად და თუ შეგხვდეს ლაპარაკი, იქნება ურჩიო მაგას, რომ ითხოვოს პრავლენიაში ჩემი დამტკაცება აგენტათ.

იასტრებსკიმ შემაფიქრა, მითხრა თქვენი მდგომარეობა პრავლენიამ არ იცისო და თქვენ ჯამაგირის შესახებ მუდამ აყალმაყალი ხდება პრავლენიაშიო. ყვირილის გზაზე ახლა იზისკანიე არის для узкоколейной дороги. პრესნიკოვი ძალიან მონდომებულია ამ გზის გასაკეთებლათ. იზისკანიას შვრება რენკვისტის მინდობილობით, ღმერთი არ გაუწყრეს, არ დაგველუპოს, ძნელათ არ გახადოს საქმე.

ნიკო, შენი პირიმე, წლის ბილეთები გამოუგზავნე: დიმიტრი ყიფიანს, თ. ალექსანდრე ბაგრატიონს, შორაპნის ვეზდის მარშალს, ვეზდის ნაჩალნიკს შორაპნისას და ნიკო ალავიძეს, მის პომოშჩნიკს.

შენი ძმა და მეგობარი გ. წერეთელი.

წერილი ოცდამეშვიდე*

12 აპრილი.

მე მინდოდა ყმაწვილები წამომეყვანა აღდგომებზე, მაგრამ ცუდი ამინდების გამო ვერ გავბედე. შემდეგ ოთხშაბათს ყმაწვილები ქალაქს წავიყვანე და ერთს მასწავლებელ ს ქალს მივაბარე, რომელიც ცნობილი პედაგოგია ტფილისში, საყმაწვილო ბაღი აქვს გამართული,

* იბეჭდება მხოლოდ წერილის ნაწილი —ს. ხ.

ამ ბაღთან შკოლაც აქვს მოწყობილი. ორი დანი არიან, გვარად გეტტეკემერ. ჩემის აზრით კარგი გამოცდილი ქალები არიან და ყმაწვილების მოვლაც სცოდნიათ, შენი დები თუმცა ამის გულისთვის საუკუნოთ წამეკიდენ, მგონია, მაგრამ, რა უნდა მექნა? ყმაწვილებს ერთი რომ სწავლის დრო მოუდიოდათ, ლეანი მერევე წელიწადშია და ჯერ რუსულის ლაპარაკი არ იცის. ამის გარდა მაზედ უმცროსი ბავშვი ირაკლი," კატოს ხელში მეტად გაუზნევდა. ვიფიქრე, თუ ეს ბავში კიდევ აქ დარჩა, კაცის შვილად აღარ ივარგებს-მეთქი. თუმცა მეტად კარგათ უვლიდენ და ეფერებოდენ, მაგრამ მომეტებულმა მოვლამ და ბაღბაში ხვევამ, ყმაწვილები უფრო დაასნეულა და გააუზნევა. ჩენსს უფროს ქალს ელიკოს ახლაევ ჯიუტი და უკმეხი ხასიათი გამოაჩნდა.

შენი გიორგი წერეთელი.

წერილი ოცდამერვე

28 დეკემბერს.

ძვირფასო ძმაო ნიკო. დიდი ხანია შენთან წიგნი არ მომიწერია საზოგადო-ლიტერატურის საქმეების შესახებ, „Новое обозрение-“ში წავიკითხე შენი ქართული ლეგენდა. დიდმა ლიტერატურულმა ღირსებამ ამ სტატიისამ მეტად გამაკვირვა და ვამამხიარულა. ჩემის აზრით, შენ ამისთანა ხელოვნური რამ ჯერ არ დაგიწერია. მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ შენ დიდი ხელოვნური ნიჭი გქონდა. იქნება გახსოვდეს ჩემი რეცენზია შენს წიგნზე „სხვათა შორის“ ** თუ გახსოვს, მე მაში ვიწინასწარმეტყველე, რომ ამ თხზულების დამწერი განსაკუთრებით დიდ ხელოვნურს ნიჭს გვიქადებს-მეთქი მომავალში. მითუმეტესად სამხიარულო იყო ახლა ჩემთვის შენი დამწიფებული ნიჭის ნაყოფის წაკითხვა. ამ ერთმა დიდებულმა სურათმა მომაგონა ჩინებულათ და ხელოვნურათ დაწერილი ლეგენდარული სურათები ოპენ ჰეინისა. დაჯერებით გეტყვი, რომ რუსულს ლიტერატურაში ერთი რამ ასე პაწია და ასე ხელოვნურად ნაწარმოები არა არის რა. თუ საქართველოს ისტო-

* შემდეგში ცნობილი მენშევიკი—კაკა წერეთელი.

** ნიკ ნიკოლაძის „სხვათა შორის“ მოთავსებული იყო 1873 წ. „კრებულში“. აქ ნიკოლაძეს აწერილი აქვს თავისი მოგზაურობა რუსეთსა და ევროპაში, რეცენზია ამ ნაწარმოებზე მოთავსებულია „დროებაში“ 873 ნოემბრის ნომერში ს. წერეთლისა, ფსევდონიმით— * * (ორი ვარსკვლავი ფსევდონიმია).

რიას დაწვრილებით შეისწავლი, ვერ წარმოიდგენ რამდენი რაწ ლეგენდები არის შიგ შენის ხელოვნების ღირსი. ვფიქრობ კიდეც, რომ მაღალი საგანი ჩვენის წარსულის ისტორიის ცხოვრებისა ნამდვილი შენას ნიჭის შესაფერი მასალაა და თუ გინდა მოიპოვო უკვდავება და ევროპის ყურადღება, ეცადე წარსულის ჩვენის ცხოვრების ლეგენდარულ მოთხრობების შესწავლას.

ეს სულ ქება, ნუთუ ნაკლულევანებაც ვერა შენიშნა რა გიორგიმ, უნდა მკითხო. მე მხოლოდ პირველი ნაწილი ამ მოთხრობისა წავიკითხე, არ მინდა ჩემი კრიტიკული შეხედულობა ამ წიგნშივე მოვასწრაფო, მინდა მეორე ნაწილიც წავიკითხო და მაშინ გეტყვი ყოველფერს. ნაკლულევანება როგორ არ არის ხელოვნების მხრით. არის და ჩემის აზრით არა მცირედი, რომელიც შენ უსათუოდ უნდა გააგდო ხელიდან, თუ გინდა სრული იქნეს შენი ხელოვნური ნიჭი...

ამ დღეებში შავროვმა* დაბეჭდა რამდენიმე სტატია „კავკაზში“ შენთან საბაასოთ კავკასიის ხალხსნობაზე და ბუნებურს ენებზე სამართლის წარმოების შეუძლებლობაზე. სტატიას აქვს რუსოფილური და კვასნი პატრიოტული მიმართულება.

ამ სტატიების შესახებ ძალიან აღიძრა აქაური საზოგადოება.

ახირებულის გარემოების გამო მე ამ ცოტა ხანში აქაურს არისტოკრატულს წრეებში შემხვდა სიარული.

გეცოდინება, რომ ტრუბეცკოის კნეინას ბალი ჰქონდა, საცა რუსის და განსაკუთრებით ქართული მაღალი წოდება დაესწრო. მე რომ ჩამოვედი ტფილისში დიდი მითქმა-მოთქმა დამხვდა, როგორც ამ ბალზე, ისე შავროვის სტატიებზე; რამდენათაც ბალს აქებდენ მხიარულებით, იმდენათ შავროვის სტატიებს აძაგებდენ უსინიდისო აზრების სარჩულის გამო.

ტრუბეცკოის ბალში ჩვენი ქართველი ღენერალები თურმე შეიკრიბენ ერთს განსაკუთრებულს ოთახში: ზაქარია ჭავჭავაძე, ნიკო ჭავჭავაძე, ნიკო ამილახვარი და სხვ. იმათ დაიწყეს ამ სტატიებზე დაპადლეცი და მერზაევეცი ბევრი უძახეს თურმე სტატიების დამწერს.

ამ ლანძღვაში რომ იყვნენ, ზაქარია ჭავჭავაძემ ანუგეშა ისინი შემდეგი სიტყვებით: Не безпокойтесь, наш Николадзе задаст ему

---

* შავროვი იყო რუს-მემარჯვენეთა წარმომადგენელი ა|კავკასიაში. 1887 წლიდან „Новое обозрение“-ს ფურცლებზე მის წინააღმდეგ ცხარე კამათს აწარმოებს ნ. ნიკოლაძე.

жару, он разнесет его так, как равносили турецкую кавалерию в Бежпахметах". მერე დაიწყეს თურმე შენი ქება და ყველამ, აღიარა, რომ единственный человек, который умеет с этими мерзавцами справляться, თუ ძმა ხარ, უპასუხოთ არ დაგრჩეს ეს სტატიები. აბა შენ იცი რა დღესაც დააყენებ.

ილიკო და შენი სახლობა პატივისცემით მომიკითხე.

შენი გიორგი.

წერილი ოცდამეცხრე

ძმაო ნიკო. მოუთმენლად ველი, როდის გამოვა ჩემი სტატია: ერთი იმისთვის, რომ რაკი დავიწყე წერა ამ საგანზე, მინდა ჩემი პროგრამმა შევასრულო, შენ რომ არ გეთხოვა, მე მაინცა-და-მაინც არ ვაპირებდი დაწერას, რადგან ვიცი და კიდეც შემიტყვია, რომ მაინცდა-მაინც ჩემი სტატიები არაფრათ ეპრიანება შენს რედაქციას. და რადგან დავიწყე, რომ არ გამათავებინო ეს, იმას ემგვანება, რომ ერთმა მეგობარმა მითი უშველა თავის მეგობარს, რომ ხელ-ფეხი გაუკავა, როდესაც მტერი მას ეჩხუბებოდა.

მეორე, კიდევ მითი მეჩქარება ჩემი სტატიების დაბეჭდვა, რომ აქ შიმშილით ვიხოცებით და იქნება, ცოტა რამ მოგვეშველოს.

შენი გიორგი წერეთელი.

ეგნატე ნინოშვილი

1929 წელს* 70 წელი შესრულდა ეგნატე ნინოშვილის დაბადებიდან. უნდა ვსთქვათ, ჩვენდა სამწუხაროთ, რომ ეგ. ნინოშვილის ბიოგრაფია, მისი ცხოვრების, მოღვაწეობის, აზროვნებისა და შემოქმედების განვითარების გზები, ჯერ კიდევ არ არის სათანადოთ შესწავლილი, მიუხედავათ იმისა, რომ არსებობს რამდენიმე შრომა და წერილი მისი ბიოგრაფიის შესახებ.** 70 წლის თავთან დაკავშირებულმა იუბილეემ ინტერესი ეგ. ნინოშვილის ცხოვრებისა და აზროვნება-შემოქმედების შესწავლისადმი გააცხოველა. გამოქვეყნებული იქნა რამდენიმე მეტად საინტერესო მოგონება მის შესახებ, აღმოჩენილი იქნა რამდენიმე მისი კერძო წერილი და გადაწყვეტილი არის მისი სრული ნაწერების აკადემიური გამოცემა, მაგრამ ამით, რასაკვირველია, არ ამოიწურება ეგ. ნინოშვილის შესწავლის საქმე. ეგნატე რევოლუციონერი და სოციალისტი იყო, მას თავისი აზრების და მისწრაფებების ლეგალურად გამოთქმა არ შეეძლო; მისი მოღვაწეობა იატაკს ქვეშ წარმოებდა; ჯერ კიდე ცოცხალი არიან მრავალი მისი თანამებრძოლნი და ნაცნობები.

ამ პირებს დიდძალი საინტერესო ცნობების გადმოცემა შეუძლიათ ეგნატეს ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან. საჭიროა ეს ცნობები შეკრებილი და ჩაწერილი იქნეს საჩქაროთ, თორემ დრო მიდის და ძველ მოღვაწეთა გუნდი თანდათან მცირდება.

---

* 1929 წელს.—რედ.

** ე. ნინოშვილის პირველი ბიოგრაფია დასწერა გ. წერეთელმა 1895 წ. (იხ. „ორი მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა", ჟურნ. „კვალის" გამოცემა, 1895 წ.), იმავე წელს თ. სახოკიამ გამოაქვეყნა „მოამბეში" ცნობები და წერილები მისი ცხოვრებიდან (იხ. „მოამბე", № 12, გვ. 116—136. 1895 წ.). იმავე წელს გ. კ. დასწერა „Новое обозрение"-ში (იხ. № 3878, 1895 წ). შემდეგ დროგამოშვებით იბეჭდებოდა მოკლე ბიოგრაფიული ცნობები. 1914 წ. თბ. სახალხო უნივერსიტეტმაც გამოსცა ცალკე ბროშურად მისი ბიოგრაფია.

ამ წერილში ჩვენ ვაქვეყნებთ ეგნატე ნინოშვილის რამდენიმე წერილსა და კერძო ცნობებს მისი ცხოვრებიდან.

ცნობები შეეხება მისი მოწაფეობის პერიოდსა და საზღვარგარეთ—მონპელიეში ცხოვრების ხანას.

წერილების დიდი უმეტესობა მონპელიედან არის გამოგზავნილი; შემდეგ ეკუთვნის „კვალში“ მოღვაწეობის პერიოდს.

როგორ ცხოვრობდა ეგ. ნინოშვილი მოწაფეობის დროს

ეგ. ნინოშვილი ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში შესულა 1874 წ., როგორც ეს ამავე სასწავლებლის საარქივო მასალებიდან სჩანს.* ეს პერიოდი მისი ცხოვრებისა ასე თუ ისე გაშუქებულია განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ილ. ფერაძემ 1921 წ. გამოაქვეყნა ცნობები ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის არქივიდან, ეგნატეს შესახებ. როგორც ცნობილია, 187ბ წ. ამ სასწავლებელში მოწაფეთა გაფიცვას ჰქონდა ადგილი, სასწავლებელში გამეფებულ რეჟიმის წინააღმდეგ. ეგნატე ამ გაფიცვის მეთაური და სულის ჩამდგმელი იყო, რისთვისაც იგი გამორიცხეს სასწავლებლიდან. ეს მომენტი გააშუქა ი. ფერაძემ იმდენად, რამდენადაც ამის შესაძლებლობას იძლეოდა სასწავლებლის საარქივო მასალები. ქვემოთ მოყვანილ წერილში ჩვენ ვაქვეყნებთ ცნობას მისი პირადი ცხოვრების შესახებ იმავე პერიოდიდან. ცნობებს იძლევა ესმა თოთიბაძე (70 წლის მოხუცი, ამჟამად თბილისში მცხოვრები), რომლის ოჯახშიც ცხოვრობდა ეგნატე მოწაფეობის დროს.**

„14 წლის გამათხოვეს,—დაიწყო ესმა თოთიბაძემ თავის მოგონება ეგნატეს შესახებ,—მიმცეს სინო (სიმონ) თოთიბაძეს, რომელიც ცხოვრობდა ოზურგეთში. წამიყვანეს იქ. ვცხოვრობდით ეხლა რომ სადგურია მატარებლის, იმას ზევით, მაღლობზე. რომ მიმიყვანეს, ეგნატე არ დამხთენია იქ. ჯერ ცხრერობდა მანასე თოთიბაძისას და შემდეგ გადმეიარა, რადგან მოწაფეები სამი ძმაჲ

---

* იხ. ილია ფერაძე: „ეგნატე ნინოშვილის მოწაფეობის გარშემო,“ მოთავსებულია ქუთაისის მწერალთა ლიტერატურულ კრებულში, 1921 წ.

** ეს ცნობა ჩაწერილია სიტყვა-სიტყვით როგორც გადმოსცემდა პატ. ესმა თოთიბაძე.

მელუები გვედგა მაინც. მელუები იძლეოდენ თვეში 4 მანეთს და საჸმელი მისაჸმელით მოქონდენ. ეგნატეს ფულს არ ვახოიებდით, მხოლოდ, რაც კი შეიძლო საჸელი მოქონდა მისი ზურგით შინიდან, რადგან ძაან ღარიბი იყო.

ეგნატე იქნებოდა ჩვიდმეტ წლამდე. სუსტი, მომაღლო ტანის, ძაან ხმელი, ბეჭებში მოხრილი და ვიწრო და გძელ პირის სახის. იდგა იგენთან ერთად ბინაზე ჩვენსას და ოთხიეე დეიარებოდა კლასში. გეეიდა წელიწად ნახევარი და ეგნატე გაგვეყო. ჩვენი ადგილის კუთხეში ფენზე გამოთხარა მიწა. მეიხმარია მელუები და დადგა ჯარგვალე. ასე ოთხ არშინიანი იქნებოდა ირგვლივ. დაასო ოთხი ბოძი და ზედ ააკრა შვაზე გაპობილი შეშები და ფიცრების ნაკიდურე, რომელიც ზოგი ჩვენგან წეიღო, ზოგი მანასედან და ზოგიც სხვა მეზობლებმა მისცა. გადახურა რაცხა საწყლაო და დაღობილი ჩელტის კარი შეკიდა ზედ. ჯარგვალეს გვერდები თითო თითის გორვაზე იყო დაშორებული. შით მიწაზე დადო ორი შეშა და ზედ დადვა სამი ფიცრის ნაკიდურე, რომელზეც ტანგოუხთელი წობოდა პირდაპირ. პირველათ მელუებიც მასთან ცხოვრობდა. ქვეშაგებელი არ ქონდა. ეცვა ერთი პალტო ვინცხეის ნაქონი, ძაან გახუმებული და იმით იყო სულ. ტანისამოს შინაურები ეეფერს უკერეიდა. ძველებს აძლევდენ ხან ჩვენები და ხან მანასესანი. არც ფეხსაცმელი ქონდა. ერთი წეეიდა შინ და შინაურებს ქალამანი შეიკერენ მისდა. ზამთარში ფეხშიშველი ჩამეეიდა და იგი ხელით ჩამეიტანა (გზაზე დაგჯებოდაო).

რაც გეეწყობოდა, სუფთა ბიჭი იყო საწყალი. გაზაფხულზე ან შემოდგომაზე, როიცხა ძაან სიცივე არ იყო, წევიდოდა ნატანების წყლის პირზე, გეიხთიდა ტანზე, გარეცხვიდა ყველაფერს და ტანსაც დეიბანდა.

საქამდე ტანისამოსი შეშრებოდა მიიმალებოდა ჟვეროში და წიგნს კითხულობდა. ჩეიცვამდა მერე ნახევრათ მშრალს და მეეიდოდა შინ.

საჸმელს თვითონ იკეთებდა. ჯარგვალაში ქონდა: კელამიდე (თიხის კეცი), ლიტრე (პატარა დოქი), ხელ-გობა, და გატეხილი ჩახანე (თუჯის ქვაბი). კიდომ კუთხეში ქონდა მიყუდებული ჟვეროს ცოცხი, რომლითაც გვიდა მის სახლს.

ჰადს ზელდა და იცხობდა. თუ იყო რამე მინდორში, მონახვიდა ფხალს და მოხარჩვიდა, რასაც მარილს წააყრიდა, მიაჸმევდა მჰადს,

ან კიდომ ყველს ან ტარანს, თვარა და ჭე იყო მშიერი. მიუხედავათ ამისა სულ კითხულობდა და კითხულობდა. არ იქნებოდა მისი ტყვილა გაჩერება. სულ წიგნზე იყო მიციცქირებული.

სამკითხველო არ იყო მაშვინ, მარა სულ სხვაი და სხვაი წიგნები მოქონდა და კითხულობდა. საცხეიდან ყოველთვის მეიტანდა წიგნს.

წიგნსავით ეგნატეს არაფერი უყვარდა, იშვიათად დეინახავდი გაგორებულს და ან გათამაშებულს, არც იგი მოხთებოდა მისდგან, ახალგაზდა კაცი, რომ ქალებს გიეკიდება და დროს დაკარქავს. წიგნზე ქონდა ჰიპი მიჰრილი.

ჩვენსას მევიდოდა და სიმინდის ფშნაზე რომ მოგეეხმარებოდა, წიგნს ჯორკოზე მიაყუდებდა გადაშლილს და თვალით იმას უყურებდა. კითხულობდა და შლიდა. ღამე შეალამემდი კითხულობდა. დღეი მეიმზადებდა ფიჩხებს და იმით ინათებდა სინათლეს, რის გამო ხშირათ თმაიც კი ქონდა შერუჯული. აბირბილდებოდა ფიჩხის ცეცხლი, წეიკითხვიდა ცოტას და ჩოუქრებოდა. კიდომ შეურთავდა ფიჩხს და ამასობაში წაკითხულს მოყობოდა, რაც ბევრჯელ გამიგონია, რომ დამიტანებია ყური იქითკენ მიმავალს. კიდომ აენთებოდა და კიდომ წეიკითხავდა და ასე მწვალობდა შვა ღამემდი. სახლიდანაც რომ გევიხედავდით განათლდებოდა მისი ჯარგვალე უცფათ და დაბნელდებოდა. კი ჩანდა, ნუ გეშინია, დაღრიოშებულ კედლებიდან. კიდომ განათლდებოდა და მიბნელდებოდა. ასე იყო ზამთარშიც.

ყველას ეძინა და იგი კითხულობდა. რა ქონდა საწყალს! იყო: მშიერი, მწყურვალე, ჩოუცმელ-დოუხურავი, გაყინული სიცივით, უსინათლოთ და მარტუე მიგდებული, მარა მაინც კითხულობდა და კითხულობდა. მიეეცით ჭრაქი და ნაფთსაც ხან ჩვენ, ხან სხვაი აძლევდა. გულზე ქინძისთავი ქონდა და იმით ამოუწევდა გულს, რომ ჩეიწობოდა. ხშირად რომ არ ქონდა ნაფთი და სხვისი შეწუხება ეზარებოდა, მაინც ფიჩხით ინათებდა. უწინ კი სულ მარტუე ფიჩხით იყო საწყალი. არავის არ აწყენინებდა საწყალი, ოღონ ზოგიერთი საყვედურობდა იმიზა, რომ ფიჩხი მიაქვს ჩემი ეზოდანო.

ყანაში კი იშონიდა საშველს, თუ მიეხმარებოდა ვინმეს, მარა მაინც სიმშილი ერჩია — ოღონ წიგნი ეკითხა.

წელიწადნახევარი იმ ჯარგვალაში იყო. მერმედ კლასში რაცხა უჩენიკების აბუნტება დაწამეს და გამუაგდეს იმის გამოისობით.

წევიდა მერმედ საწყალი საცხა და მისი ჯარგვალე კიდომ დიდხანს იდგა იქინე.

ამის მერე ეგნატე წევიდა საცხა, მარა რომ ჩამევიდოდა ოზრუგეთს ყოლთვის მევიდოდა ჩვენთან. დასაქცევი დროი იყო და ქეც დეიქცა, თვარა რას ერჩოდენ საწყალ ეგნატეს, სიმწრით სული მიქონდა, სტავლობდა და იგიც არ დაანებეს".

აგრეთვე დასძენს მთხრობელი: „ჩემი შვილი ნოე თოთებაძე მის გამო კატორღელი გახთა. გეიცნო ეგნატე და ჩეითრია მუშაობაში. ტფილისში სტამბის მუშა იყო ჩემი შვილი და იგი დადიოდა მასთან. ეგნატე რომ მოკეტა, ძრიელ ნაწყენი იყო და მითხრა,—დედა ჩემო! ჩვენსას გაზდილი ბიჭი, რომელსაც თქვენ უბრალო ეგნატეთ იცნობდით, მთელ მოწინავე ხალხის ხელმძღვანელი იყოვო".

ეგნატე ნინოშვილი საზღვარგარეთ

ეგნატეს საზღვარგარეთ—ქ. მონპელიეში ცხოვრების შესახებ დღემდე ძლიერ ცოტა დოკუმენტი არსებობდა. ბიოგრაფები ეყრდნობოდენ მხოლოდ ზეპირად გადმოცემულ ცნობებს და ავტობიოგრაფიულ წერილს („უბის წიგნაკს"). ამჟამად ჩვენ ხელთ არის ეგნატეს მონპელიედან გამოგზავნილი რამდენიმე წერილი, რომელიც გიორგი და ანასტასია წერეთლების არქივში აღმოჩნდა. ეს წერილები საკმაო ნათელს ფენენ ეგნატეს ცხოვრების პირობებს საზღვარგარეთ. აქვე ვაქვეყნებთ საზოგადო მოღვაწის იოსებ გუნცაძის მოგონებას ეგნატეს მონპელიეში ყოფნის შესახებ. აღნიშნული პირი იმ ხანებში მონპელიეში სწავლობდა და ეგნატეც იქვე გაუცნია.

მოგონება ეგ. ნინოშვილზე

პატივცემულო ამხ. სიმონ!

ეგნატე ინგოროყვას ცხოვრების შესახებ საზღვარგარეთ ბევრს ვერას მოგაწოდებთ, რადგან მისი ყოფნა იქ ხანმოკლე იყო. ერთი წელიწადიც არ დაუყვია მას იქ და იმ ხნის განმავლობაში ის უნდებოდა ენის შესწავლას. ის ჩამოვიდა თავის ამხანაგ სამსონ კანდელაკთან ერთათ 1886 წ. ქ. მონპელიეში. ორივენი—უკაპეიკოთ, არავითარი ცხოვრების სახსარი მათ არც ერთს არ ქონდათ. ასე

უკაპეიკოთ მათი ჩამოსვლა მოხთა შემდეგნაირათ: ჟენევიდან ჩამოვიდა მონპელიეში ერთი ქართველი, გვარათ სირბილაძე,* სახელი აღარ მახსოვს, ის გავიცანი აქ და ამას, როგორც ეს თვით ეგნატემ მითხრა, მიეწერა მათთვის, რომ ჩამოსულიყვნენ მონპელიეში. ფულზე ნუ შეწუხთებითო, ჩემთან ერთათ სხვა ქართველებიც არიანო და აქ ჩემთან იცხოვრებთო, ბევრ რამეს შეიძენთ აქო,— წერდა ის თურმე ეგნატეს. იმათაც გზის ფული ეშოვათ და წამოსულიყვნენ, მაგრამ ძალიან გაუკვირდათ, როდესაც აქ სირბილაძე არ დახვეთათ მათ. მას ეს წერილი მიეწერა მონპელიედან და თვითონ კი ჟენევაში გაბრუნდა. ორი ადამიანის შენახვა ძნელი იყო და რადგან კანდელაკი ჯანსაღი კაცი იყო, მუშაობა შეეძლო ფიზიკურათ, მას სამუშაო უშოვე ლუდის ქარხანაში და ეგნატე კი, როგორც სუსტი, არ შეეძლო მას ფიზიკური მუშაობა, ჩემთან ერთად ცხოვრობდა. ის ძალიან მორცხვი ადამიანი იყო, პატიოსანი და გულწრფელი და ძალიან წუხდა ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნას. ერთხელ მან ძალიან მთხოვა მისთვისაც მეშოვა რამე სამუშაო, იქ მუშებთან ენასაც უფრო მალე შევისწავლიო, მაგრამ მან ერთი კვირის მეტი ვერ შესძლო მუშაობა, ისე სუსტი იყო. ენა რომ შეისწავლა იმდენათ, რომ მას შეეძლო წიგნების კითხვა, ის კვლავ დაბრუნდა საქართველოში. ამის შემდეგ მან მიყო მწერლობას ხელი და მიიქცია საზოგადოების ყურადღება.

პატივისცემით იოსებ გუნცაძე.

ეგნატეს წერილები საზღვარგარეთიდან

სამწუხაროთ, ამ წერილის მხოლოდ ნახევებია შენახული. იგი უნდა იყოს ეგნატეს პირველი წერილი, საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი. ამ წერილს იგი იხსენიებს თავის მეორე წერილშიაც და შინაარსსაც იმეორებს. წერილზე თარიღი არ არის აღნიშნული, მაგრამ, როგორც მეორე წერილით ირკვევა, იგი დაწერილია 1886 წ. 10 დეკემბერს.

* უნდა იყოს—სალარიძე.—რედ.

წერილი პირველი

ძვირფასო ბიძავ,
ალექსი!

ფრანციაში მივედი. გზაში არავითარი გასაჭირი არ მინახავს, მაგრამ საქმე ეს არის, რომ ვისთანაც ჩვენ წამოვედით, ის ეხლა ფრანციაში აღარ არის, სადღაც წასულა. უიმისოთ ჩვენი აქ დარჩენა შეუძლებელია. სამსონ კანდელაკი მისველისთანავე ვნახე, მაგრამ რა გამოსადეგია აქ ერთმანეთის ნახვა: რადგან [სალარიძე]... უნდა დავბრუნდეთ. ალექსანდრე კვირკველაძე დიდი ხანია რაც გამობრუნდა. ვიღაც მის ქვეყნის სომეხმა ასესხა გზის ფულები. მე და სამსონს ფულები არ დაგვირჩა, თორემ ჩვენც კვირკველაძესთან წამოვიდოდით. აქ ჩვენი საქმე ძალიან გაჭირვებულია, რადგან სალარიძე ველარ ვნახეთ. უიმისოთ რომ ჩვენ აქ დავრჩეთ, თვითეულს თვეში ოცდათუთხმეტი მანეთი (35 მ.) მოგვინდება. აბა იფიქრე ოცდათუთხმეტ მანეთს მე ვინ გამომი [გზავნის]?..

..... მესწავლა, მერე დიდი ბედნიერი ვიქნებოდით მეც და შენც. მაგრამ რაღაი? აღარ მოხერხდება უფულოთ. ეხლა ჩემო ალექსი, თუ გაახერხო, შინ რომ მომიყვანოს, იმდენი ფული გამომიგზავნე. ნუ შეშინდები: მოვალ, სამსახურში შევალ და ანგარიშებს გავასწორებ. თომამ მივიდეს გრიგოლ [გურიელთან]...

..... თუ წერილი გამოგზავნო, ამაში რომ ადრესია, ისე დააწერეთ. წერილს განგებ გარჩეულათ ვსწერ, რომ წაკითხვა არ გაუჭირდენ. კალანდაძეებთან (ბესარიონთან, ან სიოსთან) მიდი ბათომში და ისინი ყოველიევს გასწავლიან. ეხლა სხვას ვეღარაფერს მოგწერ, ამ წერილის გამოგზავნა მეჩქარება.

ყველანს მოკითხვა. მოულოცავ მომავალ ახალ წელს. იცი ალექსი...

17|29 დეკემბერი, 1886 წელი

ფრანცია
ქ. მონპელიე.

წერილი მეორე

საყვარელო ბიძავ, ალექსი!

უწინარეს ყოვლისა გისურვებ, რომ ახალი წლის დღესასწაული ბედნიერათ და მხიარულათ გაგეტარებიოთ, გარდა ამისა, ალექსი, ამას წინეთ (10 დეკემბერს) წერილი მოგწერეთ, უეჭველათ მიიღებდით. იმ წერილში ყოველიევს გწერდით: თუ როდის მივედი

ფრანციაში და ან როგორ მდგომარეობაში ვარ. მაგრამ ვინ იცის, ეგებ ის წერილი დაიკარგა და არ მიგიღია, ამიტომ საჭიროთ ვრაცხ ამ წერილში დაწვრილებით აღვწერო ჩემი გარემოება: მეც და სხვა ჩემი ამხანაგებიც ფრანციაში წამოვედით სალარიძის იმედით, ის გვწერდა, რომ მოდითო. მაგრამ, წარმოიდგინე ჩვენი მწუხარება, როცა აქ—ფრანციაში მოვედით და სალარიძე აქ აღარ დავგხვთა—გვითხრეს, შვეიცარიის სახელმწიფოში წავიდაო. კიდევ ჩვენი ბედი, რომ აქ ქართველი და სომეხი სტუდენტები ვიპოვნეთ, თორემ შენი მტერია, ჩვენ დავიხოცებოდით. ჩვენდა ბედათ იქნა იმათ აქ ყოფნა, ისე დაფაცურდენ და იზრუნენ ჩვენთვის, ეითომც ძმები მოსცლოდენ შინიდამ. მეტადრე ერთი კახელი თავადიშვილია, გვარათ ვასვახიშვილი, იმან, დიდიამ (მეგრელია) და ორმა სომხებმა აღარა რა დაიშურეს: ოთახები დასადგომათ გვიშოვეს, რესტორანში საჭმელზე გაგვარიგეს და სხვა. მაგრამ საუბედუროთ, ისინიც ღარიბებია, ოჯახიდგან საყოფი ფულები არ მოსდით. რომ შეძლებულები იყვნენ, არა რას დაიშურებდნენ, ბევრი იფაცურეს, ჩვენი შინ წამოსაყალი ფული უნდოდათ ეშოვნათ, მაგრამ ვერ იშოვეს, აქ დარჩენა შეუძლებელია: უკანასკნელი თვეში ოცდააოი მანეთი (30 მან.) უნდა ერთ კაცს. ესეც გაჭირვებით ჩააპურებს. ეს იმიტომ, რომ რუსული ფული მანეთი, აქ ათ შაურათ ღირს (1 მ.=2 ფრანკი და 35 სანტიმ). ასე რომ არ იყოს, შეიძლება თავი გაიტანოს კაცმა. ერთი სიტყვით აქ დარჩენა ჩემი არ შეიძლება, სიღარიბის მიზეზით, რამენაირათ უნდა დავბრუნდე საქართველოში, შინ. მაგრამ უფულოთ ეგეც არ შეიძლება, ძალიან კრიტიკული მდგომარეობაა ჩემი მდგომარეობა. ჩვენში რომ იტყვიან: „წინ წყალი უკან მეწყერიო,“ ისეა სწორეთ. სხვა რაღა ვოგწერო.....

აი ჩემი მდგომარეობა, აწი შენ იცი, ალექსი, მუდამ ზრუნვაში და ტანჯვაში კი გაგატარებიე ცხოვრება. ახია რომ აღარ იზრუნო ჩემთვინ. უწინ რომ წერილი გამოგვგზავნე, თომას ეწერდი: გრიგოლ გურიელთან მიდი და უთხარი ჩემი გარემოება-მეთქი, თუ ჯერ არ მისულა, უეჭველათ აწი მაინც მივიდეს, გრიგოლი თუ აქ დარჩენაზედ შემწეობას არ მომცემს, საქართველოში რომ დავბრუნდე, იმდენ ფულს კი გამოიმეტებს, რომ მოვალ, სამსახურში შევალ და გადავუხთი. თუმცაღა აქედგან გამოსვლას ბევრი ფული უნდა, ასე რომ ას (100 მან.) ნაკლები არ კმარა, მაგრამ გრიგოლ

გურიელისთვინ ეს არაფერია. თუ გრიგოლმა უარი თქვას, ალექსი, კალანდაძეებთან ჩამოდი ბათუმში, იმათ მე მივსწერე და ისინი გაახერხებენ რამეს. ფული რომ მომიჯა, იმის შემდეგ ერთ მინუთს აღარ გავჩერდები აქ—მოვალ და რამე საქმეს დავეკიდები. გული არ გაგიტყდეს, რომ ღარიბი არ ვიყო და რომ წელიწადი აქ თავი შემენახა, ღმერთმა კაი დაგმართოს, კარგი იქნებოდა, მაგრამ დაიქცეს სიღარიბე! სამსონ კანდელაკს მგონია, ძმები გამოუგზავნიან აქ, რომ თავი ირჩინოს და ისწავლოს, იმდენ ფულს. ალექსანდრე კვირკველაძეს ფული მოუვიდა და დაბრუნდა საქართველოში, მხოლოდ მე ჯერ-ჯერობით ძრიელ უიმედოთ ვარ და თუ რამე გაგიხთება, შენ იცი!

13 ამა დეკემბერს ჩოჩხათის სოფლის სხოდს მოვწერე წერილი, რომლითაც ვსთხოვ შემწეობას. იქნება ქნან კაცობა და არ დაიზარონ ამ საქმისთვინ შემწეობა, მაშინ ხომ გაკეთდა საქმე. სამ წელს აქ დავრჩები, ვისწავლი, შემდეგ დავბრუნდები და ქვეყანას ვემსახურები. თქვენც თქვენის მხრით სთხოვეთ, რომ მომცენ შემწეობა, თუ კი ტყვილა უარს არ იტყვიან, მათ სრულიადაც არ გაუჭირდებათ ეგეთი შემწეობა, რომ დავბრუნდები, მათ სამსახურში ჩაველევ სიცოცხლეს და დანახარჯს, ფულათ გადავუხთი...

ჩემო ალექსი, როგორც ეს წერილი მიიღო, ტელეგრამით მამცნე, მომივა რამე, თუ არა. მამცნე აქ დასარჩენი მომივა, თუ წამოსავალი. თუ არც ერთი არ მომივა, ისიც მამცნე. მაშინ სხვა რამეს ვიფიქრებ. ერთი სიტყვით, აგი რომ მიიღო, ტელეგრამა იმ დღეს გამომიგზავნე. თუმცაღა აქ გამოსაგზავნი ტელეგრამა ძრიელ ძვირათ ღირს, მაგრამ რაც უნდა ღირდეს მოახერხე, თორემ წერილი დიდ ხანს ვერ მოვა. მოსელამდე ჯავრით დავილევი. ტელეგრამის შემდეგ წერილიც მომწერე. მომწერე ყოველივე გარემოება, შინის ამბავი არაფელი არ დატოვო მოუწერელი. ყველას მოკითხვა.

მომიკითხე ყველა მოკეთეები. მიულოცე ჩემ მაგიერ დღესასწაული. გაახსენე ჩემი თავი.

შენი შემაწუხებელი ძმისწული ეგნატე ინგოროყვა. წერილს ან ტელეგრამას თუ მოიწერებით, აი ადრესი:

France.

Ecole d' Agriculture, Monsieur Wakhwakhoff, Monpellier.

გთხოვთ გადასცეთ ეგნატე ინგოროყვას.

ადრესის დამწერმა ფრანგული წერა უნდა იცოდეს ან ლათინური, თორემ ვერ დასწერს.

კიდევ ვიმეორებ: თუ ფულს ვერ გამომიგზავნი წამოსავალათ, ტელეგრამით მამცენეთ, რომ ვერ გამოგიგზავნი-თქო. მაშინ სხვა რამეს ან ავს და კარგს ვიფიქრებ. რაც იყოს ტელეგრამას ველოდები.

P. S. ალექსი, კალანდაძეებმა, საზოგადოებამ და ან ვინმემ შემწეობა თუ არ აღმოგიჩინოს, არ იფიქრო, გულში არ გაივლო, შენ ჩემი აქ დარჩენა შეგეძლოს; უკანასკნელი თვეში ოცდაათ-ოცდაათი მანეთი (30 მან·) სჭირდება. იფიქრე ეს სამ წელიწადს რას შეადგენს?—ათას მანეთზე მეტია თითქმის, და თუ კი ვინმე შემწეობას შომცემს, ან გრიგოლ გურიელი, ან საზოგადოება და ან კალანდაძეები, მაშინ ხომ ცხადი ბედნიერება იქნება—სამ წელიწადში შევასრულებ აქ სწავლას.

ამასთან გთხოვ მომწერო, გრიგოლ გურიელმა დაიყენა ვინმე მწერალი, თუ არა. ჯერ თუ არავინ ყავს, მითხოვეთ არავის მისცეს—მე მოვალ (თუ გზის ფული მომივა) და დავდგები მასთან. სხვა ადგილს ის ეშჯობინება. ეს კია, რომ გზის ფულათ ას მანეთზედ ნაკლები არ კმარა, აქედგან დაბრუნება ისე იაფათ არ ღირს, როგორც იქიდგან წამოსვლა.—აქედგან ორჯერ მეტი სჭირია.

ე გ ნ ა ტ ე.

7 მარტი / 23 თებერვ. 1887 წ. ფრანცია. ქ. მონპელიე.

წერილი მესამე

ალექსი ინგოროყვას.

ბიძავ ალექსი! ამ ერთი თვის წინათ მივიღე ტელეგრამა, ფულებს გიგზავნითო, მაგრამ მე კი არაფერი მომსვლია. თუ არაფერს გზავნიდი, რაღას მატყუებდი, ან ტელეგრამის ფული რათ დაჰკარგე? ეხლა, როგორც ეს წერილი მიიღო, ტელეგრამით მამცენე: გამოგზავნილია ფული, თუ არა? თუ გამოგზავნილია, როდის, და თუ ჯერ არ არის გამოგზავნილი, როდის გამოგზავნით? ეს ცნობა იმიტომ არის საჭირო, რომ შეიძლება მე აქედგან სხვაგან წავიდე და ფული ტყვილა დაიკარგება, თუ წინდაწინ ტელეგრამა არ მოშივიდა. ტელეგრამაში ნამდვილ უნდა იყვეს თუ რა დღეს გამოგ-

ზავნი ფულს. ფულის გამოგზავნა ბანკით შეიძლება, ბანკით გამოგზავნილი ფული ოთხ დღეს მოვა აქ, ფოჩტით გამოგზავნილს კი თვრამეტი დღე სჭირია. რაც უნდა იყვეს ტელეგრამა მაინც გამოგზავნეთ, ძრიელ ძვირათ არ ღირს: ორ მანეთამდე წაიღებენ. აგრეთვე ესეც უნდა იცოდე, რომ თუ მაშინდულებ მომატყუეთ, ძრიელ ცუდი იქნება. მაშინდელმა მოტყუებამ ძრიელ დამაბრკოლა და ეხლა ხომ სულ დამღუპავს. ერთი სიტყვით, „კი“ თუ „არა“ მართალი უნდა იყვეს. თუ ამის მიღებისთანავე არ გამოგზავნეთ ტელეგრამა, მერმე ტყვილა დაიკარგება: მე აქ აღარ ვიქნები, სადმე წავალ! ესეც მიკვირს: თუ ფული ვერ იშოვეთ, რატომ არ მომწერეთ. შვიდ კაპეიკს ხომ კი იშოვნიდით. ახლა მაინც მომწერეთ წერილი, თუ იმას ფიქრავთ, რომ ადრე მოვა რაღათ მივსწეროთო, აი...* თუ მაინც-დამაინც წამოსავალათ არის ჩემი საქმე და აქ მოცდაზედ არავინ შემწეობას არ მომცემს, მაშინ დღეიდგან ერთი თვის განმავლობაში თუ ფული მომივა, ორასი მანეთი მჭირია წამოსავალათ და აქაური ანგარიშებისთვინ და რამდენს იქით-იქით გაიწევს იმდენს იმატებს. ეცადე, რომ აქ დავრჩე და ვისწავლო, თქვენდაც კარგი იქნება და ჩემდაც. ასე ჩქარა დაბრუნება ძრიელ ცუდი იქნება, ტყვილა ჩაიელის ამდენი ხარჯი, ეცადე და შემდეგ მეც ვეცდები შეგასვენოთ. ყველა‹ი› მოკითხვა.

შენი ეგნატე ინგოროყვა.

ადრესი: Франция. Monpellier, Ecolle d'agriculture, Vakhvakhoff ეგნატე ინგოროყვაზედ გადასაცემათ.

ფრანცია ქ. მონპელიე 15/3 მარტი. 1887 წ.

წერილი მეოთხე

ეს ისეთ ვინმეს წააკითხვე. რომ კარგი კითხვა იცოდეს. გლახა ნაწერია, სიმონ ჭყონიას თუ ნახავ ის კარგათ წაიკითხავს.

ალექსი ინგოროყვას

ალექსი! თქვენგან ტელეგრამა მივიღე, რომ ფულები გამოგიგზავნეთო, მაგრამ ტყვილი გამოდგა: მე ფული არ მომსვლია და აწი თუ აქ ფული მოვიდა ტყვილა დაიკარგება, რადგან მე ხვალ

* ერთი სიტყვა ვერ ამოვიკითხეთ.—ს. ხ.

ანგლიაში მივდივარ და ანგლიიდან შეიძლება ამერიკაშიც წავიდე. ჩემთან წამოვა სამსონ კანდელაკიც, თუ რატომ მივდივარ ინგლისში (ანგლიაში) იმის მოწერა ამ პატარა წერილით არ შეიძლება. თუ გინდათ ჩემი ამბავი გაიგოთ, ამ მარტის 24-ს ჩამოდი ქ. ბათუმში, იქ, მოვა ამ დროს ორი სტუდენტი, რომლებმაც აქ, ფრანციაში დაასრულეს სწავლა. ერთი იმათგანი რუსია და მეორე კავკასიელი ლეკი, ქართული ლაპარაკი არ იციან, მაგრამ ვინმეს მიიყოლიებ, რუსული ან ფრანციზული, რომ იცოდეს (ინგლისური, ნემეცური და იტალიანურიც იციან) და მიხვალთ იმათთან, ისინი ყოველივე ჩემს ამბავს გეტყვიან, შეიძლება შინ, ჩვენსას, გამოიარონ, კარგა მომზადებული იყავით, უცხო კაცებია და სირცხვილია პატივი რომ ვერ სცეთ. იმ პარახოდს, რომლითაც ის სტუდენტები მოვლენ ბათუმში ქვია სახელათ: Mingrelie—Marseille. ბესარიონ კალანდაძესთან ან სიოსთან რომ მიხვიდოდე, ისინი ყოველივეს გასწავლიან, თუ სად უნდა დახვდე პარახოდს. შეიძლება პარახოდმა დაიგვიანოს (თუ ცუდი დარი შეხვდა) და მოცდა დაგჭირდეს ბათუმში, ცოტა ფული იქონიე თან. ამ ზედმეტი, ამ პაწია წერილით რაღა უნდა მოგწერო: ჯერ კიდევ ვემზადები, უნივერსიტეტში არ შევსულვარ ჯერ-ჯერობით, რადგან დიდი მომზადება უნდა შესასვლელათ, მომავალ ოქტომბრის თვეში შევალ უნივერსიტეტში. ფრანციზული თითქმის გვარიანათ შევისწავლე, ლექციების გაგება შემიძლია. სხვა ენები: ნემეცური, ინგლისური და იტალიანური ჯერ-ჯერობით ძლიერ ცოტა ვიცი, ძლივს გავაგებინებ კაცს, თქვენგან რომ ფული მომსვლოდა ამ ზაფხულში დავბრუნდებოდი საქართველოში და ვინმე ვიხმეს შემწეობას მოვსთხოვდი. ენკენისთვემდე თბილისში დავრჩებოდი და შემდეგ ისევ დავბრუნდებოდი ფრანციაში, ეხლა ამას ვეღარ ვახერხებ უფულოთ.

მოკითხვა ყველას. მშვიდობით, შენი

ეგნატე ინგოროყვა.

ფრანცია, ქ. მარსელი, 18|6 მარტი, 1887 წ.

წერილი მეხუთე

ალექსი! ამას წინათ მე მოგწერე, რომ საფრანგეთიდგან ორი სტუდენტი მოდის და 24 მარტს ბათუმში შეხვდი-მეთქი. ეხლა იმ წერილის დამატებათ გწერ ამას: იმ სტუდენტებმა მე მასესხეს სამოცი

ნანეთი და თუ შეგიძლია ბათუმში, რომ მოვიდენ დაახვედრე ეს ფულები თუ თლათ არ შეგიძლია, რამოდენიმე მაინც. მე რომ ტელეგრამით მომწერე: ფულებს გიგზავნიო, თუ გაქ, მე ნულარ მიგზავნი, აგინს დაახვედრე. აგინმა ძრიელ კარგი საქმე მიქნეს, გზის ფული მოუვიდათ და მე მომცეს, ეხლა თუ შენ ფული, ის ფული არ გადაუხადე, შინ წასავალი ფული აღარ დაურჩებათ, ბათუმში უნდა დარჩენ. ეცადე რამე. მე ეხლა მარსელში ვარ. აქედგან ადრე წავალ სხვაგან.

შენი ეგნატე ინგოროყვა.

რაც უნდა იყოს, 24 მარტს ბათუმში დახვთი.

ეგ. ნინოშვილის წერილი ვარ. ჭიჭინაძესადმი *

გამარჯობა ვარლამ! რას შერები, ხომ ადრე ჩამოხვალ? მაშ ერთი დიდი ურემი ამბები ჩამომიტანე მანდე პიტერიდან. თუმცა ეხლა ბევრს არაფერს გწერ, მაგრამ როცა ჩამოხვალ, ჩვენც გრთ დიდ ბეღელ ამბავს დაგახვედრებთ. იცი, შენ კაზიონი კი არა, არა კაზიონი ამბები ჩატენე გოდრებში. კაზიონებს, ძმავ, ჩვენც კი ვტყობილობთ „Московския ведомости“-ში.

სხვა, ჯანზე ხომ კარგა ხარ? ხომ არ გშიან? მაშ, სხვაფრივ რა უყოთ, გავძლოთ.

მართლა, ძლიერ სასიამოვნო იყო შენი წერილი (უკაცრავად, გვიან გამახსენდა). ბევრი ცნობები, ბევრი დარიგება და კაი სიტყვა.

იმის შესახებ კი არ ვიცი, რომ ამბობ—ტიმოფეევს რატომ წაეჩხუბეო. კაცო, სადაც წასაჩხუბებელია, იქ წაჩხუბება უნდა. რას მიქვიან მოთმენა და ისიც ადგილის გულისთვის! ჯანი გავარდეს იმ სიცოცხლეს, თუ კი ჩემს დღეში კომპრომისებზე ვიელი! იცი, ვარლამ, ჩვენი ცხოვრება უამისოდაც კომპრომისებით არის სავსე. არა, ძმაო, სადაც უსინდისობას დაინახავ, იქვე უნდა უკიჟინო. კიდევ კარგი, რომ ჩემი აფხაზ-გურული სისხლი თავის კალაპოტში დამაგრდა და არ გადმოხეთქა, ესე იგი, რომ მართლა დიდი სკანდალი არ მოვახდინე, ისე წამოველ ტიმოფეევიდან. მაგრამ ეს ეხლა გავლილი ამბავია, ლაპარაკათ არ ღირს.

* ეს წერილი დაბეჭდილია „გრიგალში“ (№ 10, 1905 წ.), მოგვაწოდა ი. გრიშაშვილმა.

მე კიდევ ზესტაფონში ვარ და კიდევ ვალებით ვცხოვრობ. ზესტაფონში ეხლა კარგი სამყოფია. იმოდენა წიგნები გამოიწერეს ყმაწვილებმა, რომ მგონია თფილისშიაც ვერ იშოვოს კაცმა მეტი.

ამ თვეში დავიწყე და ეს არის ამ ორ-სამ დღეში გავათავებ ერთ მოთხრობას, რომელსაც სახელად ქვიან „ქრისტინე“. შედარებით სხვა ჩემ მოთხრობებთან არც ამას უშავს-რა. მინდა ამ დღეებში „იეერიის“ რედაქციას გავუგზავნო.

კარლო კარგათ არის. მარქსს სწავლობს. მომავალ ზამთარში, თუ მას შემდეგ—უგზაფხულ'ში, იოსებ კაკაბაძე და ის აპირობენ საზღვარგარეთ.

არ ვიცი, ვარლამ, ფილოქსერის პარტიაში იშონი ადგილს, თუ ვერა. მგონია, ძნელია.

რადგანაც ადრე ვნახავთ ერთმანეთს, ეხლა ამაზე მეტს არაფერს გწერ.

შენი ეგნატე ინგოროყვა.

1 აპრილი. 1892 წ. დ. ზესტაფონი

წერილები ანასტასია წერეთელისადმი

წერილი პირველი

პატივცემულო
კნ. ანასტასია მიხეილის ასულო!

მოგილოცავთ ახალ წელს. ვისურვებ რომ მრავალს დასწროზოდეთ მომავალშიც ბედნიერი ცხოვრებით, მრავალჟამიერ იყოს თქვენი ნაყოფიერი მოღვაწეობა ჩვენი ქვეყნისთვის.

გთხოვთ გადასცეთ აგრეთვე ჩემი გულითადი მოკითხვა ბ. გიორგი ექვთიმეს ძეს. ვუნატრი მრავალჟამიერ სიცოცხლეს და საქმეში მისებრ სულიერიე ძლიერებას.

თქვენი წერილი და 20 მანეთი ფული გუშინ მივიღე. დიდ მადლობას მოგახსენებ დახმარებისათვის. მადლობელი ვარ აგრეთვე წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის, რომელსაც გადაუწყვეტია დამეხმაროს თვიურად თუთხმეტი მანეთით.

ძლიერ მჯსიამოვნა, რომ ჩემი სტატია დაიბეჭდება. ჩემი მოთხრობების დაბეჭდვისათვის მე არას დროს არ ავჩქარებულვარ, სტატიების დაბეჭდვა კი ყოველთვის მეჩქარება, ყოველთვის ბავშვივით მიძგერს გული, მინამ ჩემ სტატიას დაბეჭდილს დავინახავ-

დე. როცა მოთხრობას ვწერ, სრულიად დამშვიდებული ვარ, სტატიის წერის დროს კი ჩემი გული ღელავს, თითქო ვიღაცას პირადად ვებრძოდე, ვეჩხუბებოდე. მოთხრობებში მე ვცდილობ, შეძლების და გვარად, დაესატო ჩვენი ხალხის ბნელი მხარე და წყლულები, სტატიებით კი ვებრძვი იმათ, ვინც თავიანთ ცრუ აზრებით ხელს უშლიან ყველას, ვინც კი ზრუნავს ხალხის წყლულის განკურნვაზე, ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, რომ ეს უკანასკნელი (სტატიები) უფრო საყურადღებოა ჩემთვის.

ჩემი მოთხრობა, „ჩვენი ქვეყნის რაინდი", ისეთ დროს არის დაწერილი, რომ არ მგონია, როცა სულ ბოლომდე გადაიკითხავთ თქვენ ის მოთხრობა მოგეწონოთ, შარშან, როცა იმ მოთხრობის წერა დავიწყე, თბილისში ვიყავ. ჯერ ერთი თავი არ დამეწერა, რომ მომივიდა ტელეგრამა—„მამა გიკვდება და მოდიო". მივატოვე მოთხრობის წერა და წამოველ სოფელში, სადაც დავრჩი ავადმყოფ მამასთან რამდენიმე დღე. შემდეგ ისევ დავბრუნდი თბილისს და განვაგრძე წერა. მაგრამ დავწერე თუ არა რამდენიმე თავი, მომივიდა მეორე ტელეგრამა, რომლითაც მაცნობებდენ მამის სიკვდილს. მივატოვე ხელმეორედ თბილისი და წამოველ მამის დასამარხად. შემდეგ, როცა მეორეჯელ დავბრუნდი თბილისს, როგორც იყო, დაღლილმა, მოქანცულმა დავასრულე მოთხრობა. მოგეხსენებათ, ასეთ დროს დაწერილი მოთხრობა სუსტი გამოდგებოდა, ჩემი ფიქრით, შეუკეთებლად არ ივარგებს. მე კიდეც დავწერე ორ თაბახ ქაღალდზე, თუ როგორ უნდა შეკეთდეს და ამასთანავე ვაგზავნი ცალკე ბანდეროლით.

მინდოდა რამე ერთი პატარა სურათი დამეწერა ამ სადღესასწაულოდ „კვალისთვის", მაგრამ ვეღარ შევიძელი.

მუდამ თქვენი პატივისმცემელი
ეგნატე ინგოროყვა.

1 იანვარს, 1894 წ.
ს. ჩოჩხათი.

P. S. გთხოვთ გაზეთები მიგზავნოთ შემდეგი ადრესით: Ст. Джуматы. Г-ну начальнику станции для передачи И. Ингороква.

ამასგარდა, მომავალშიც თუ თქვენ იხებებთ საზოგადოების ფულის გამოგზავნას (15 მან. თვიურად), ჩემი ადრესი ეს არის: В. М. Ланчхуты. Проживающему на ст. Джуматы Игнатию Ингороква.

$18\frac{1}{23}-94$ ს. ჩოჩხათი.

წერილი მეორე

ბატივცემულო

კნ. ანასტასია მიხაილის ასულო!

თქვენთან და ბატონ გიორგისთან ორი სათხოვარი მაქვს: — „იევრიის“ რედაქციისაგან გასულ წელში ავანსად მქონდა მიღებული ოცდა თუთხმეტი (35) მანეთი. გასულ ნოემბერში, როცა მოთხრობა „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, დავიბრუნე „იევრიის“ რედაქციისაგან, გრ. ყიფშიძეს სიტყვა მივეცი, რომ მომავალი იანვრის დალევამდე ან თქვენგან ავანსად მიღებულს 35 მანეთს დაგიბრუნებ და, თუ ფული ვერ ვიშოვნე, მოთხრობას მოგცემ დასაბეჭდათ და. იმით დაგაკმაყოფილებთ-მეთქი. მოთხრობა ჯქნებოდა, თუ ფული, უეჭველად ამ იანვრის დამლევამდე უნდა ჩამებარებია, ახლა, ეს არის, ეს იანვარი ილევა, იმდენი ფული მე ამ ხანაში ვეღარ ვიშოვნე, რომ ჩემს აუცილებელ საჭიროებაზედაც მყოფნოდა და კიდევ 35 მანეთი გადამენარჩუნებია (11 მანეთის და 20 კ. მარტო წამლები მინდება თვიურად). რაც შეეხება მოთხრობას, მართალია, ძველი თუ ახალი, მაქვს პატარ-პატარა მოთხრობები, რომლითაც შემიძლია გადავიხადო „იევრიის“ რედაქციის ვალი. მაგრამ ეს პატარ-პატარა მოთხრობები, რომ იმათ გადავსცე, გაიზოგებენ და მთელი წლის განმავლობაში იყოფინებენ „იევრიაში“ საბეჭდავად, რაო და თითქო მე კიდევ იმათი თანამშრომელი ვიყო. აი, ეს აღარ მინდოდა, აღარ მინდოდა, რომ ჩემი კალმით დაწერილი მოთხრობა, თუ სტატია გაზ. „იევრიაში“ დაბეჭდილიყო, ამ უკანასკნელ დროს მისგან არც არავინ მოელოდა უკეთესს. ერთი სიტყვით, ჩვენ ქვეყანაში აზროვნობას სძინავს და მხოლოდ ხანდახან ბოდვასავით ნაპერ-ნაწყვეტად წამოიძახებს იმას, რაც უკვე ნახევარი საუკუნეა სააზროვნო არხივში არის გადადებული, ამიტომ საჭიროა რომელიმე სამწერლო ორგანომ ვალად ჩასთვალოს ჩვენს ქვეყანაში აზროვნობის გამოფხიზლება. შარშან ეტყობოდა, რომ „კვალი“ არ გაურბოდა შორს ასეთს მოვალეობას, ის არ უშინდებოდა კვაზი-პატრიოტების საყვედურებს. წრეულსაც, იმედია, „კვალი“ არ უმუხთლებს ამ თავის ვალს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჭეშმარიტება გამორკვევისთვის დავა და პოლემიკა აცოცხლებს და საინტერესოდ ხდის გაზეთს ანუ ჟურნალს და არამც და არამც არ აფრთხობს საზოგადოებას მისგან (გაზეთისგან), რო-

გორც ეს ჩვენში ბევრებს ჰგონიათ, ადრე თუ გვიან ჰეშმარიტებას უფრო ბევრი თაყვანისმცემელი ეყოლება, მანამ დღეს ჩვენ ქვეყანაში მოწონებულს სოფიზმებს და დამყაყებულ აზრებს.

მე ამ უკანასკნელ დროს ფიზიკურად ძლიერ დავსუსტდი, მაგრამ ამისი კი სრული იმედი მაქვს, რომ ჩვენი აზრი, რომელსაც კი ბეჭდვით გამოვთქვამ, ფაკტებიანად დავამტკიცო, ჩვენს კვაზი-პატრიოტებთან საბრძოლველად ჯანიც მეყოფა, სწავლაც და ფაქტებიც, ამათი ცრუ აზროვნობის გამოაშკარავებას ბევრი არა უნდა რა. ვაბოლოებ ჩემს წერილს—დიდი ფული დამედვა ვალად „კვალის“ რედაქციის, მაგრამ იმედი მაქვს გადავიხდი.

ბატონ გიორგი ექკთიმეს-ძეს მორჩილს სალამს მოვახსენებ, მარად თქვენი პატივისმცემელი.

ეგნატე ინგოროყვა.

P. S. წერა-კითხვის საზოგადოებას გამოვუგზავნე წერილი, რომ დეკემბრის ფული—15 მანეთი მივიღე-მეთქი.

ჩემი ადრესი. Ст. Джуматы. И Ингороква.

ამიტომ გთხოვთ, თუ შეიძლება, დამავალეთ კიდევ და გადაეცით ჩემ მაგიერ გრ. ყიფშიძეს „ივერიის“ რედააქციისთვის ოცდა თუთხმეტი მანეთი. მართალია, ძლიერ დიდი ვალი მექნება მაშინ თქვენი, მაგრამ იმედი მაქვს გადავიხადო. თუ ერთად არ შეიძლება 35 მანეთის გადახდა ყიფშიძისთვის, ნახევარი, ან მესამედი უშოვეთ და დანარჩენი შემდეგისთვის იყოს. მხოლოდ ეს კია, რომ კვიტანცია, უეჭველად, უნდა ჩამოართოთ მიცემულ ფულში ყიფშიძეს, თორემ, ვინ იცის... იქნება დაავიწყდეს.

ბოდიშს ვიხდი, რომ იმდენზე გავკადნიერდი, ჩემი საქმეების გასწორების მონდობაც კი გაგიბედეთ. მაგრამ იმედი მაქვს თქვენი კეთილი ადამიანობის, მაპატიებთ.

აი ეს გახლავთ პირველი ჩემი სათხოვარი.

მეორედ ჩემი სტატიის „ძველი, თუ ახლის“ დაჩქარებით დაბეჭდვას გთხოვთ. მოთხრობა „ჩვენი ქვეყნის რაინდი“-ის დასრულებამდე თუ ის სტატია დაუბეჭდელი დარჩა, მაშინ ძლიერ დაგვიანებული იქნება. ძლიერ საინტერესოა გავიგოთ, რა ფაქტებს და მოსაზრებანს დაუყენებენ წინ ჩვენი კვაზი-პატრიოტები ჩემს სტატიას? მე რომ „მოამბის“ პროგრამა და შინაური და უცხოეთის ქრონიკები წავიკითხე! ღმერთო ჩემო! ასე გეგონებათ, ამ კა-

ცებს საფრანგეთის პირველ რევოლიუციას აქეთი ფაქტების, მიმართულებანის, კლასების, დასების და სხვების, რომლებიც ევროპაში არსებობის დღეს გაჩნდენ და მომდინარეობენ, ამბათაც კი არ გაუგიათ რაო. პოლიტიკური ეკონომიის ხომ, მგონია, ადამ სმიტის გარდა, არა წაუკითხავთ რა ამ საგანზე. „იერია“ ხომ ადგია და ადგია რეაქციის გზას.

ს. ჯიბლაძის წერილი ეგნატეს უკანასკნელი დღეების შესახებ

დიდათ პატივსაცემო ბატონო

ანასტასია მიხაილის ასულო!

ეგნატე ინგოროყვამ მიიღო თქვენგან გამოგზავნილი ფულები. რადგანაც მას პასუხის მოწერის თავი აღარ აქვს, მე მომანდო გულწრფელი მადლობა მოგიძღვნათ თანაგრძნობისათვის,—ეგნატე ეხლა სოფელშია. აქ არჩია დალიოს უკანასკნელი დღეები თავისი მწარე სიცოცხლისა. თუთხმეტი დღეა, რაც დავსცქერი მის აუტანელ ტანჯვას. ბათუმის ექიმების სიტყვით ის ამ გაზაფხულს ვერ გადიტანს. მადა სულ დაეკარგა, ხმა მიუწყდა, ლოგინიდან ადგომა სრულებით არ შეუძლია. მიუხედავათ ამისა, როცა უკეთ იგრძნობს თავს, ცდილობს განაგრძოს თავისი ახალი მოთხრობა „პარტახი“. მაგრამ ამაოდ: კალამი ხელიდგან უვარდება და საშინელი აღელვებული იწყებს ცურვას თავისი მწარე ოფლში. აგრე ლევს სულს ეგ კეთილშობილი ადამიანი. საშინლად ტანჯავს მას ის გარემოე ბაც, რომ არ ძალუძს პასუხი მოგწეროსთ თქვენ და სხვა პატივსაცემ პირებსაც, რომლიდგანაც ის თანაგრძნობის წერილებს ღებულობს.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი
ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო ჯ ი ბ ლ ა ძ ე.

25 აპრილი.

P. S. მინდოდა პასუხი მომეწერა ბ. იაკობ ექვთიმეს ძე* გოგებაშვილისათვისაც, მაგრამ ვერ ვახერხებ, რადგანაც სამწუხაროდ მათი ადრესი დავკარგე, დიდათ დამავალებთ, თუ აცნობებთ, რომ მისგან გამოგზავნილი ფულებიც მივიღეთ.

ს. ჯიბლაძე.

* უნდა იყოს: სვიმონის-ძე,—რედ.

* * *

ეგნატე ნინოშვილის ნაწერების აკადემიურ გამოცემასთან დაკავშირებით, სხვადასხვა პირთა და მოღვაწეთა არქივებში, ძველ ჟურნალ-გაზეთებსა და მუზეუმებში დიდძალი ახალი საინტერესო მასალები იქნა აღმოჩენილი ეგნატეს შესახებ. საგრძნობი ნაწილი ამ მასალებიდან თვითონ ეგნატეს კალამს ეკუთვნის „მნათობისა“ (№ 8—9—10. 1930 წ.) და „ქართული მწერლობის“ (№ 11-12, 1929 წ.) ნომრებში ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ ზოგიერთი საინტერესო მასალები ეგნატეს შესახებ და მისი კერძო წერილები და ავტობიოგრაფია. ამჟამად ჟურ. „მნათობის“ რედაქციის თბოვნით ვაქვეყნებთ ჩვენი მწერლის ჯერ გამოუქვეყნებელ სამს კერძო წერილსა და ოთხს კორესპონდენციას 1888-89 წლების „იერიაში.“

ეგნატე ნინოშვილის კერძო წერილები

ა) წერილი სიმონ ჭუმბურიძისადმი

18 IX/26 86 წ.

სოფ. ჩიბათი

ძვირფასო ხულიერო ძმაო სიმონ!

ძლიერ მომენატვრა თქვენი ნახვა, მაგრამ ოხერი აქაური აბანდული და უმნიშვნელო საქმეების გადამკიდეს სად მაქვს დრო, რომ დავსტკბე ძმა მეგობრების ნახვით და ლაპარაკით? ვფიქრობ, გამოვეთხოვო აქაურობას, მაგრამ ჯერ-ჯერობით თითქო მოჯადოებული ვარ, ვერ ვახერხებ. თუ ღმერთმა ქნა და გამოვეთხოვე, ნახვევარ თვეს არსად არ წავალ—სულ სახლში დავრჩები და იმედი მაქვს ამ დროს განმავლობაში არ მოვაკლდები თქვენს ხშირს ნახულობას. არ ვიცი თქვენ იგრძენ ჩემში რაიმე სიმპატია, თუ არა და მე კი რაღაც ისეთი სიმპატიური კაცი გავიცან თქვენში, რომ თქვენი დაახლოება ძრიელ სასიამოვნოდ მიმაჩნია. აქაურ მასწავლებელთანაც ძმურათ და მეგობრულათ განწყობილი ვარ; იმის გამო ძლიერ მენანება აქაურობის დატოვება. ეს ისეთი ყმაწვილი არის, რომელიც არ აუჩქარდება კაცის გაცნობას და დაახლოებას, ესე იგი, სინამ დინჯათ არ გაიგებს კაცის გარემოებას, არ გაუხსნის გულს, ხოლო როცა კაცს გაიცნობს, მაშინ კი მთელს მის გულის სიღრმეში ჩაახედვებს, გულის სიღრმეში, სადაც პატიოსნება,

კეთილშობილური გრძნობები და ლტოლვილებანი გაცხოველებულან და ცხოველდებიან—ერთი სიტყვით ის არის ტიპი ნამდვილი ივერიელისა, თავგანწირული პატრიოტი, რომელიც მე დარწმუნებული ვარ, ოდესმე შესწირაეს სიცოცხლეს თავის სამშობლო...* გარდა ამისა, სიმონ, მაკვირვებს: ერთი როგორ არ შეგვხვდა საჭიროება ლანჩხუთისაკენ გამომგზავრებისა? იქნება კიდეც იყავ და ჩვენთან არ ჩამოუხვიეთ. უეჭველია შეეჩვეოდით ამდენს ხანს ჩოჩხათის Mademoisel-ებს და ველარ პოულობთ დროს წასვლა-წამოსვლისა. სხვანაირი სოფელია ჩოჩხათი! უცბათ შეიტყუებს მლოცველებს ვენერის საყდარში ტერფსიხორას ფეხებზედ სამთხვევევლათ, მაგრამ ნამეტანი ლაყბობა მომივიდა, უეჭველად თავი მოგაბეზრე და ამიტომ კიდეც ვათავებ ეხლა, გინატრი რა წარმატებას და კეთილ დღეობას.

თქვენი სულიერი მეგობარი ეგნატე ინგოროყვა.

P. S. გაზეთები თუ რამე გამოიწერე, მამცნე.

ამ წერილში მოხსენებული სიმონ ჭუმბურიძე ახლო მეგობარი იყო ეგნატესი. იგი 1886-88 წლების განმავლობაში მსახურობდა მასწავლებლად გურიაში,—სახელდობრ სოფ. ჩოჩხათში. ს. ჭუმბურიძე გურიიდან ხშირად გზავნიდა წერილებს გაზ. „ივერიაში". 1888 წ. ივნისიდან მან ჩოჩხათის სკოლას თავი დაანება და ზემო იმერეთში—ამაშუკეთის სკოლაში დააწყო მასწავლებლობა. თავის კორესპონდენციებს ხშირად აწერდა ღ ო რ ე შ ე ლ ს. შემდეგ იგი მღვდლად ეკურთხა, მიწერ-მოწერა ეგნატესა და ჭუმბურიძის შორის ხშირი ყოფილა 1889 წლამდე. სამწუხაროდ, ეგნატეს წერილებიდან მხოლოდ ეს ერთი აღმოჩნდა ჭუმბურიძის არქივში. არის კიდევ ერთი პატარა ნაწყვეტი მისი წერილი, რომელიც თვით ს. ჭუმბურიძეს მოყავს 1894 წელს დაწერილ თავის მოგონებაში ეგნატე ინგოროყვას შესახებ. ჭუმბურიძის ეს მოგონება ჯერ-ჯერობით არსად არ დაბეჭდილა. მასში საინტერესო ცნობებია ეგნატეს ცხოვრებიდან. მოგვყავს ერთი ადგილი ამ „მოგონებიდან."

„ჩვენი ერთმანეთის გაცნობის შემდეგ (1886 წ.) არ გასულა

* აქ ერთი სიტყვა ვერ ამოვიკითხეთ.—ს. ხ.

ერთი კვირა, რომ ეგნატესაგან დაახლოებით შემდეგი შინაარსის წერილი მივიღე:

„სულიერო ძმაო სიმონ! პირველად მეგობრულ მოკითხვას მოგიძღვნი და გინატრი ყოველ კეთილ საქმეში წარმატებას. შენ ჯერ შეუჩვეველი ხარ მადაურობას და, ალბათ, მოწყენილი იქნები, მაგრამ მალე გაგიცნობენ, მიგიწვევე-მოგიწვევენ და გულს გადააყოლებ. მე ხომ შენში ისეთი სიმპატიური კაცი გავიცანი, რომ ნახვას არ მოგაკლებ, თუ ამ დასაქცევ კანცელარიას დავაღწიე თავი. სიღარიბეს დაუდგა თვალი, თორემ სოფლის კანცელარიაში განა დაიდგომება კაცი. ორიოდე გროში მაქვს ამოსაგები და ის თუ დავტყუე როგორმე გაიძვერა მამასახლისს, მერე აქ რომ დამაბან, მაინც არ დავდგები. მგონია მალე განვთავისუფლდე აქედამ და გნახავ. შენი სულიერი ძმა ეგნატე ინგოროყვა.“

მართლა არ გასულა ამის შემდეგ ოხი ხუთი დღე, რომ ეგნატეს კანცელარიისათვის თავი დაენებებია და ჩოჩხათში ჩამოვიდა. შინ ყოფნის დროს უფრო ხშირად ჩემთან იყო. ის სკოლაში შეგირდებს ან მე მეხმარებოდა სწავლებაში ან იქვე თავის ნათესავ ვასაძესას იყო. სკოლას რომ მოვრჩებოდი, დავიწყებდით ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების კითხვას. ხან ის კითხულობდა და მე ვისმენდი, ხანაც მე ვკითხულობდი და ის ყურს მიგდებდა; ხან ისეც ვშვებოდით, რომ ის რომელიმე წიგნს შინ წაიღებდა წასაკითხავად, შემდეგ მოვიდოდა და იმის შინაარსს მე მომიყვებოდა და აგრეთვე მეც გადავცემდი ჩემგან წაკითხული წიგნის შინაარსს. წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს უხვად გვიგზავნიდა ბ. სპირიდონ თოფურია სამოქალაქო სკოლის წიგნთ-საცავიდან და სამოქალაქო კლუბიდან, სადაც საერთო ფულით ჰქონდათ გამოწერილი მასწავლებლებს საუკეთესო რუსული და ქართული ჟურნალ-გაზეთები. განსვენებულს ძლიერ უყვარდა მოთხრობებში ტიპების დაკვირვება და აწონ-დაწონვა. ის უფრო გაიტაცა ტურგენიევის, ტოლსტოის, გოგოლის და დოსტოევსკის თხზულებებმა. ტურგენიევის ნაწერებში ძლიერ მოსწონდა მოთხრობა „Отцы и дети,“ მას აკვირვებდა ბაზაროვის სულიერი ძალა, ენერგია და არკადის ბედოვლათობა. ამნაირად გავატარეთ დრო თითქმის შუა ნოემბრამდე. ამ დროს ეგნატემ და ორმა სკოლის მასწავლებელმა გადასწყვიტეს საფრანგეთში წასვლა და იქ საჯარო ლექციების სმენა. ფრანგული ენა შინაურულად ცოტა შეისწავლეს. იმათ ჰქონდათ გან-

ზრახვა რაიმე ხელობა მეცნიერულად შეესწავლად და ბოლოს იგივე ცოდნა სამშობლოში გაევრცელებინათ. მეც მირჩიეს მათ წავყოლოდი, მაგრამ შეძლება არ მქონდა, ამასთან ფრანციულ ენასთან ძლიერ უკაცრავად გახლდით და ამიტომ უარი ვსთქვი. ეგნატეს რაც წიგნები ჰქონდა მთლად მე გადმომცა. ესენი ჩემთვის საჭირო აღარ იქნება და ფულად მისაგძლე რამეო. მე რაც შემეძლო ფული მიველი, ზოგი მამამ შეაგროვა და გიორგობისთვის გასულს 1886 წელში ეგნატე და მისი ამხანაგები მარსელში გაემგზავრენ. იქ ძლიერ ძვირად დაჯდომოდა ეგნატეს ცხოვრება და 1887 წლის იანვარში თუ თებერვალში, სწერდა მამა-ბიძებს, მე და აგრეთვე სხვა მეგობრებსაც: ფული მომაშველეთ, შიმშილი მკლავს, ერთი სამშობლოში ცოცხალი მოვიდე და ყველას გადაგიხდით ვალსაო (აკი აგვისრულა კიდეც). მარტში თუ აპრილში, კარგად არ მახსოვს, ეგნატე გურიაში მოვიდა".

როგორც ცნობილია, საფრანგეთში ეგნატემ რამდენიმე თვე დაჰყო (1886-87 წ.) დღემდე ეგნატეს საფრანგეთში ცხოვრების შესახებ ძლიერ ცოტა ცნობები გვქონდა, ისიც მეორე პირის მიერ გადმოცემული. ამჟამად აღმოჩნდა თვით ეგნატეს ექვსი წერილი საფრანგეთიდან გამოგზავნილი 1886-87 წლების პერიოდში. ნაწილი ამ წერილებისა—სახელდობ ეგნატეს წერილები თავის ბიძა ალექსი ინგოროყვასადმი—ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ 1930 წლის „მნათობში",* მოგვყავს აქ ახლად აღმოჩენილი ექვსი წერილი საზღვარგარეთიდან.

ბ) წერილი სიო კალანდაძისადმი

7 მარტი / 23 თებერვალი 1887 წ. ფრანცია. ქ. მონპელიე.

ძმაო ხიო!

იქნება გაჯავრებული იყვეთ ჩემზედ, რომ, ცალკე წერილი ვერ მოგწერეთ, მაგრამ მე მგონია თქვენ და ბესარიონ ერთ სულს შეადგენთ, თქვენში ყოველივე საერთოა და ამიტომ ყოველთვის საერთო წერილს გწერდით აქომამდე (ექვსხელ მოგწერე წერილი, თქვენგან არც ერთ ხელ პასუხი არ მღირსებია). წერილები ვრცელნი არ იყვნენ, მაგრამ ჩემს მდგომარეობას უეჭველათ შეიტყობდით იმ წერილებიდგან. მეტადრე ჩემსს ადრესს, რომელსაც ისე გულ

* იგულისხმება ზემოთ მოთავსებული ხუთი წერილი.—რედ.

ვხურვალეთ მთხოვდი წამოსვლის დროს. მე მეგონა თუ მართლა რამე საჭიროებას შეადგენდა თქვენთვის ჩემი ადრესი. მაშინდელ თქვენ სიტყვებში ისეთი ენერგიული კილო ერია, რომ მე დარწმუნებული ვიყავი, ერთი თვის შემდეგ ჩემი წამოსვლიდგან, თქვენც აქ მოხვიდოდით. მეგონა თუ სწავლის და განათლების სურვილი გაგაბედვინებდა აქ წამოსვლას. თქვენ რომ ანბობდით: მდიდარი ოჯახი მაქვს, ფულებს ადვილათ მოვიკიდებ ხელს და წამოვალო, მე მართალი მეგონა. იმ წამში სწორეთ მართალიც იყო, მაგრამ შემდეგ ვინმე ბოროტმა სულმა, კეთილის მტერმა, დაგიშალა ეგ კეთილი განზრახვის აღსრულება. ცოტა არიან ქვეყანაზედ ბოროტები?! ეხლა მაინც ამ წერილს შემდეგ ეცადე, როგორმე წამოხვიდეთ და თან იმოდენი ფულები წამოიღოთ, რომ მეც და სამსონ კანდელაკსაც რამე გვხთეს. თქვენი ოჯახი მეტათ მდიდარია და თქვენ რომ განზრახვა გაქვთ იმდენი ფულების წამოღება ვერა რას დააკლებს, არც კი დაეტყობა. არ იფიქროთ, რომ ეგ ფულები გამოუდექრათ ჩაგელიოთ ევროპაში. იმ ფულებით თქვენ ორ კეთილ საქმეს იზამთ: ერთი თავის თავს გაანათლებთ სწავლით და მეორეთ საქართველოს სამ ნასწავლ კაცს შესძენთ (შეიძლება მეტსაც თუ ფულები ბლომათ იქნება). ოჰ! სიო, რომ იცოდე აქაური განათლების ანბავი?! აქ რომ ვისწავლით, ჩვენი თვალები ისე განათლდება, რომ მტერს მტერათ გვაცნობებს და მოყვარეს მოყვარათ. ეხლა ანუ ჯერე, კი ვერც ერთს ვერ ვხედავთ! სიბნელის ფარდა გვახვევია თავზედ და გვეხვევა კიდეც, თუ აქაურმა სუფთა ახალმა ჰაიერმა არ გარეკა ჩვენი თავიდგან ის მთელი ბურუსი. ერთი სიტყვით აქ თქვენი წამოსვლა ყოველ გვარათ საუმჯობესოც არის და საჭიროც და კიდევაც ეცადე როგორმე წამოხვიდე, დასძლიე ყოველგვარ დაბრკოლებას, გაბედე, ნუ შეგეშინდება ყოველივე ადვილია. ამაზედ მეტს ეხლა ვერაფერს გწერ, რადგან ქაღალდი ილევა, თორემ მოსაწერი ბევრი მქონდა.

თუ წამოსვლას ფიქრავ, ამის მიღებისთანავე ტელეგრამმით გვამცნე. აი ადრესი: Франция. Monpellier. Wakhwakhoff Ecole d'agriculture, pour Jngorokwa ou Kandellaki. მარსელში შეგხვდებით თუ მოგვწერ.

შენი ეგნატე ინგოროყვა.

P. S. ამ ერთი თვის წინეთ ბათომითგან ტელეგრამმა მივიღე ინგოროყვას სახელით (ალექსიდგან უნდა ყოფილიყო). იმ ტელე-

გრამმის პასუხი შენ სახელზედ გამოვგზავნე. უეჭველათ მიიღებდით. აგრეთვე გეცოდინება ისიც, ფული გამოგზავნილია თუ არა—დაიხარჯეთ შენ და ბესარიონმა და ტელეგრამით მამცენეთ ყოველივე ამის შესახებ, ორიევს ერთი ტელეგრამის ფასი (3 თუ 2 მან.) არ დაგლუპაყთ. თუ გამოგზავნილია—მამცენეთ რომელი თვით და რიცხვით და თუ ჯერ არ არის გამოგზავნილი, როდის გამოგზავნიან. ურჩიე ალექსის, რომ ფული ბანკით გამოგზავნოს. თუ ტელეგრამით არ მამცენეთ ფულის გამოგზავნა, შეიძლება ტყუილა დაიკარგოს ფული, რადგან მე სხვაგან წავალ. მოველი ტელეგრამით.

ეგნატე.

ეს წერილი საინტერესოა ეგნატეს ცხოვრების გასაცნობად საზღვარგარეთ. წერილში მოხსენებული ალექსი არის ეგნატეს ბიძა; ბესარიონ კალანდაძე,—ეგნატეს ახლო მეგობარი; თვით სიო კალანდაძე იყო ახლო მეგობარი ეგნატესი და ბათომში მსახურობდა. ვახვახოვი—მონპელიეს აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტი ა. ვახვახიშვილი, რომელთანაც ჩამომხტარი იყო ეგნატე; სამსონ კანდელაკი—ეგნატეს პირადი მეგობარი, რომელთანაც ერთად წავიდა ის საფრანგეთში. ეგნატეს წერილთან ერთად იმავე კონვერტით წერილი გამოუგზავნია ამ კანდელაკსაც, რომელშიც ამცნევს სიო კალანდაძეს მისსა და ეგნატეს მდგომარეობას მონპელიეში.

გ) წერილი პეტრე უმიკაშვილისადმი

[1892 წ 14 თებერვალი]

ძვირფასო ბ. პეტრე იოსებიძევ!

თქვენი წერილი მივიღე. დიდ მადლობას მოგახსენებთ კეთილ დარიგებისათვის. თქვენი ერთი სიტყვაც ძვირფასია ჩემისთანა გამოუცდელი კალმით მოვარჯიშისათვის. თქვენი წერილი რაღდენიმეჯელ გადავიკითხე. უნდა მოგახსენოთ, გული გამითბო, გამამხნევა, მისმა გულ წრფელმა მამობრივმა კილომ. ამ წერილს ისე შევინახავ ჩემ სიკვდილამდე, როგორც ერთ ძვირფას განძს.

რაც შეეხება ყაჩაღობას ჩვენს სამშობლოში და კერძოთ გურიაში, მე თანახმა ვარ, რომ აქ, დღევანდელ გარემოებას გარდა შთამომავლობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი (საქართველოს) ისტორიული ცხოვრება ისეთი იყო, რომ. ყოველად შეუძლებელია

იმისაგან ტრადიციულად გადმოცემული ცუდი ზნე-ჩვეულება ასე ადვილად ამოიფხვრას ჩვენში. ჩვენს ხალხში ტრადიციულად გადმოცემული ცუდი ჩვეულება და ინსტიქტი რომ გაიწმინდოს, ამისათვის კიდევ რამდენიმე საუკუნეა საჭირო.

მაგრამ ამასთან ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ დღევანდელი გურიის ხალხის საყოველთაო ყაჩაღობის მიზეზი იმდენად შთამომავლობითი ცუდი ინსტიკტი არ არის, რამდენათაც სოციალური და ადმინისტრატიული წესწყობილება. დასამტკიცებლად ამისა ისიც კმარა, რომ სამოციან და სამოცდა ათიან წლებში, როცა შედარებით ეხლანდელთან გვარიანი კარგი მაზრის უფროსები იყო და როცა ხალხს სწამდა შრომით და გარჯილობით ხეირიანად მოვაწყობთ ჩვენს ცხოვრებასო, გურიაში ყაჩაღი არ მოიპოებოდა. მაგრამ გავიდა წლები, გაცრუვდა იმედები, იმ დროინდელი რბილი ადმინისტრაცია შეიცვალა სასტიკს, ხალხის შეურაცმყოფს ადმინისტრაციაზედ, მაზრის უფროსებმა წალმა და უკუღმა, ბრალზე და არა ბრალზე—დაუწყო ხალხს მათრახით ცემა და გურულმაც, ამპარტავანმა გურულმაც ვეღარ მოითმინა,—„ამ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს“-ო, სთქვა და აიღო თოფი ხელში. ვინც ახლო იცნობს დღევანდელ გურიის ყოფა-ცხოვრებას, ის რა თქმა უნდა იმისთანა „დანოსი“-სებურ ფელეტონს არ დასწერს გურულებზე, როგორც გუშინ წინ ს ა ნ ო ს (სტ. ჰრელაშვილის) ფელეტონი იყო „ივერიაში“. ის გურიის ხალხს კი არა, დღევანდელ წესწყობილებას დასდებს ბრალს გურიაში ფირალობის გამო.

მე, რასაკვირველია, სრულიადაც არა მაქვს პრეტენზია მაზედ, რომ ჩემს „სიმონა“-ში სრულად ყოფილიყოს დახატული დღევანდელი გურიის ხალხის მდგომარეობა. მე ჯერე ამისთვის საკმაო ძალაც არა მაქვს და მერე კიდევ. თუნდა ძალაც მქონდეს, სად შემიძლია დინჯად და ძლიერ დაკვირვებით ვხატო ხალხის ცხოვრება მაშინ, როცა ლუკმა პურისათვის მოუსვენრად იქით-აქეთ ვწახწალებ? ძლიერ უკაცრავად დამრჩა „ივერიის“ რედაქცია: აგერ რაღაც ათი თვის განმავლობაში ოთხი (დიდი და პატარა) მოთხრობა და ერთი დიდი სტატია დაღესტნის შესახებ დაბეჭდა ჩემი, დაბეჭდა და თან ქებასაც მეუბნებოდა—კარგია შენი ნაწერებიო, მაგრამ ფულად კი ერთი გროში არ გამოიმეტა ჩემთვის. რა უშავდა მცირეოდენი ხელფასი მოეცა, ამით მეც საშვალება მომეცემოდა შემდეგაც დამეწერა რამე. რომ ისე ღარიბი იყოს „ივერიის“ რედაქ-

ცია, არ შეეძლოს თანამშრომლისათვის ფულის მიცემა, მაშინ მეც არ დამწვავდა გულს. მაგრამ სხვებს კი აძლევს და მე რაღა ვიყავ? თუ კი ჩემი ნაწერი რაღაც ათი თვის განმავლობაში ოცდა ორი ფელეტონი მიაწოდა მკითხველებს, ურიგობა იქნებოდა, რომ ორიოდე გროში ჩემთვისაც გაემეტებია? არ ქნეს და ეს იყო მიზეზი, რომ გუშინ უარი მოვსწერე,—თქვენს გაზეთში არაფელს დავბეჭდავ-მეთქი. ბრძანდებოდეთ ნეტარებით, თქვენი ერთგული

ეგნატე ინგოროყვა.

P. S. უკაცრავად. ამ მცირე წერილში ვერ მოვახერხე საკმაოდ მებაასნა თქვენთან: ეგნატე.

*

ეს წერილი აღმოჩნდა პეტრე უმიკაშვილის არქივში, რომელიც პროფ. ფ. გოგიჩაიშვილთან ინახება (უღრმესი მადლობა პროფ. ფ. გოგიჩაიშვილს ამ წერილის დედნის გადმოცემისათვის). სამწუხაროდ, პეტრე უმიკაშვილის წერილი არ არის შენახული. იგი, ალბათ, ეგნატეს არქივთან ერთად დაიღუპა.

ეგნატეს ეს წერილი დაწერილია 1892 წლის თებერვლის 14-ს, (თვით წერილის დედანზე პ. უმიკაშვილის ხელით მოწერილია: „მივიღე 18 თებერვალს, 1892 წელს).

პეტრე უმიკაშვილი (1838—1904) 60-იანი წლების ერთერთი ცნობილ მოღვაწე მწერალია. 80-იან წლების მეორე ნახევარში იგი მსახურობდა ნ. ღოღობერიძის ზესტაფონის კანტორაში, სადაც გაეცნო ეგნატე ნინოშვილს. მისი წერილი გამოუწვევია ეგნატეს მოთხრობას „სიმონას“, რომელიც „ივერიის“ 1892 წლის იანვრის ნომრებში დაიბეჭდა ფელეტონებად და რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მკითხველ საზოგადოებაზე. ყაჩაღობის, ფირალობის შესახებ ეგნატეს მთელი რიგი წერილებისა ჰქონდა მოთავსებული 1888-89 წლების „ივერიაში“ (იხ. ქვევით).

წერილში მოხსენებული სანო—არის ცნობილი პუბლიცისტი სტ. ჭრელაშვილი, ერთ დროს ნაროდნიკი და აღნიშნულ პერიოდში კი გაზ. „ივერიის“ უახლოესი თანამშრომელი და მისი იდეოლოგიის მოზიარე. ნინოშვილის მიერ დასახელებულ წერილში („ქართველთა შორის“) სანო აღნიშნავს, რომ გურია ყოველი მხრივ კარგ მდგომარეობაში იმყოფება,—მდიდარი ბუნება, სააღებ-მიცემო-გზები და შაჲი ზღვა, და მრავალი სხვა. მშვიდობიან მდგო-

მარეობასთან ერთად, ხელს უნდა უწყობდეს გურიის წარმატებასა და ეკონომიურ აყვავებას; მაგრამ გურიის ხალხი არ სარგებლობს ამ მშვიდობიანი, ხელსაყრელ პირობებით, და ნაცვლად ენერგიული შრომისა თოფს ჰკიდებს ხელს საყაჩაღოთ. სანო სრულიად ვერ ხედავს, ან არ სურს დაინახოს, რომ ყაჩაღობა სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკურ-ადმინისტრატიული პირობების შედეგი იყო გურიაში. ყაჩაღობის მიზეზებს იგი გურული ხალხის ფსიქოლოგიურ განწყობილებაში ეძებდა. სანოს ამ წერილს ძლიერ აღუშფოთებია ეგნატე. სანოს წერილი დაბეჭდილია „ივერიის“ 1892 წლის 12 თებერვლის ნომერში.

1891 წლისა და 1892 წლის (თებერვლამდე) „ივერიაში“ ეგნატემ მოათავსა შემდეგი თავისი მოთხრობები: „არშიყნი“, „უცნაური სენი“, „პალიასტომის ტბა“, „სიმონა“ და „წერილი დაღესტნიდან“. ეგნატეს ნაწერებს ხალხი ძლიერ ეტანებოდა და „ივერიის“ მკითხველთა რიცხვი ამით საგრძნობათ გაიზარდა.

სამწუხაროდ, ეგნატეს წერილები „ივერიის“ რედაქციისადმი დღეს-დღეობით დაკარგულია. ჩვენ ვფიქრობდით, რომ იგი აღმოჩდებოდა გრ. ყიფშიძის არქივში, მაგრამ თვით ეს არქივი აღმოჩნდა სრულად განადგურებული.

ეგნატე ნინოშვილის წერილები გაზ. „ივერიაში“

ქვევით ჩვენ ვაქვეყნებთ ეგნატეს რამდენიმე წერილს, რომელიც შოთავსებულია გაზ. „ივერიაში“. ეს წერილები დღემდე სრულიად უცნობი იყო, მაგრამ მისი ახალი ფსევდონიმის ე—ი-ს გახსნამ და „ივერიის“ ნომრების ხელახლა გადასინჯვამ საშუალება მოგვცა ამ წერილებზე ეგნატეს ავტორობა დაგვედგინა.

უკვე ცნობილია, რომ ეგნატე 1887 წლიდან თანაშრომლობდა გაზ. „ივერიაში“. პირველი მისი წერილი—„გურიის ამბები“—ფელეტონად დაიბეჭდა ეგ-ინ — ის ფსევდონიმით „ივერიის“ 1887 წლის ნომერში (№ 165). შემდეგ, მისი კერძო წერილებიდან ჩვენ ვიცით, რომ იგი 1888 წელშიაც გზავნიდა წერილებს „ივერიაში“. სამწუხაროდ, ყველა ამ წერილების დადგენა ერთობ ძნელია ამჟამად. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ წერილებს რედაქცია ამოკლებდა და სრულიად ხელმოუწერლად ათავსებდა გაზეთის „ახალ ამბებში“.

მკითხველის საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ აქ გამოქვეყნებულ წერილებს ჩვენ ამჟამად უკომენტარიოდ ვბეჭდავთ. ვრცელი კომენტარიები ამ წერილებს გაკეთებული ექნება „ეგნატე ნინოშვილის აკადემიური გამოცემის“ მესამე ტომში, სადაც მოთავსდება ეს წერილები ვრცელი შენიშვნებითა და განმარტებებით.*

აღვნიშნავთ აგრეთვე, რომ ამ კორესპონდენციებში მოყვანილი ზოგიერთი ცნობა ეგნატეს გამოუყენებია შემდეგ თავის მოთხრობებში; მაგ. „გოგია უიშვილში“, „სიმონაში“ და სხვ.

გ უ რ ი ა**

წერილი პირველი

როგორც ყველგან, ისე გურიაშიაც გზები (გარდა რკინის გზისა) და ბოგირები გლეხ-კაცის შრომით გახლავსთ გაკეთებული. ვინ მოსთვლის რამდენი სიმწარე და მწუხარება უნახავსთ გზის საკეთებლად გაწვეულს გლეხებს! რამდენს თოვლ-ჟყაპიანს და ყინვიანს ტაროსებში გდებულან უსახუროდ ტრიალს მინდორში! ვინ მოსთვლის იმასაც, რამდენჯერ გზის საკეთებლად გაწვეულ გლეხებს „ნაზირატელის“ ოჯახშიაც უმსახურნია მთელის კვირაობით, უზიდავს წყალი, შეშა, ფქვილი და სხვანი „ნაზირატელის“ ოჯახისათვის. მაგრამ ამ უკანასკნელ დრომდე, რაკი გზის კეთება მარტო გლეხების მკლავზედ იყო დამოკიდებული და არა იმათს ჯიბეზე, ისინი როგორც იყო უძლებდნენ ყველაფერს. ამ უკანასკნელ დროს კი, გლეხების სამწუხაროდ, სულ სხვანაირად გადატრიალდა საქმე: ერთმა ხერხიანმა კაცმა, რომელსაც გზის საქმეში ხელი ჰქონდა, მოიფიქრა: მოდი, გლეხებმა თავიანთი ბარ-ნიჩბები იქით წაიღონ და სამაგიეროდ გზების გასაკეთებლად თეთრი ფულები მოიტანონ; მერე, რაკი ფულები ბლომად იქნება, გზებს—კი არა, რაგინდა, რომ მე ვერ გავაკეთოვო. ამის მოფიქრება და აღსრულება ერთი იყო (რადგანაც მომფიქრებელი ახირებული ვინმე არ გახლავსთ). „ტარშინებმა“ გამოუცხადეს გლეხებს—გზის საკეთებლად გაწვევა გვიპატიებია, მაგრამ სამაგიეროდ გზის გასაკეთებელ ფულებზე ბევრი ჭინჭილ-მინჭილი არ იყოსო! რამდენიც გიბძანოთ, მოიტანეთ,

* ამ შენიშვნებისა და განმარტებების დაწერა განსვ. სიმონ ხუნდაძეს აღარ დასცალდა. ეგ. ნინოშვილის მესამე ტომი, მის მიერ გამზადებული, 1935 წ. გამოიცა მისი წინასიტყვაობისა და კომენტარიების დაურთველად.—რედ.

** „ივერია“, № 201, 1888 წ.

ასეა ბრძანებაო. აქ-კი დაადგათ გასაჭირის ოფლი ჩვენს გლეხებს. ფულით გზების კეთება ჩვენ სად შეგვიძლიან. მამასახლისს ჩვეულებრივის თავის ფხანით უპასუხებს გლეხობა:—„ჩვენი ფული ჩვენივე მკლავიაო". „ტარშინებმა" ამ პასუხს ყურიც არ ათხოვეს, გაუსიეს სოფლებს თავიანთი „პომოშნიკები" და ყოველ ორს თვეში თითო ჯერ მაინც ახდევინებენ გლეხებს ოჯახეულობაზედ ორს-სამს მანათსა და მეტსაც.

ასე და ამგვარად, დღეს გურიაში გზების გაკეთება გლეხობისთვის წინანდელზე ოცჯერ უფრო ძნელია, მაგრამ სამაგიეროდ გზის „ნაზირატელსა" და „პოდრაჩიკს" კი გაუადვილდათ საქმე. აი ეს არის ოსტატობა, აი!

ვის არ ახსოვს, რა შიში და მოძრაობა დაჰბადა შარშან გურიაში მიწის ძვრამ! პარასკევი, შაბათი, მკვდარი, ცოცხალი—სულ ყველა გაჩუქთა იმ მიწის ძვრის სახელობაზედ. ბოლოს ძლივ-ძლიობით დაიწყნარეს გურულებმა გული და მოუბრუნდენ თავიანთ საქმეს. მაგრამ დახე, იმოდენა ქთამმა და საჩუქრებმა სულ ამაოდ ჩაიარა და ამ მდგომარე სეკტემბრის 14-ს განთიადისას ამ დაუნდობელმა დედამიწამ ქე არ შეანძრია გურიაში თავისი ზურგი! წინანდებურადვე შიშმა შეიპყრო ჩვენი მკვირცხლი გურულები, მართალია, მიწის ძვრა ისე მძლავრი არა ყოფილა, როგორც წარსულს წელს, მაგრამ შიშს დიდი თვალები აქვს.

— მოგვაკითხა, ძამიავ, და მაინც მოგვაკითხა! პაწაი რომ კიდევ გაჭარბებულიყო, კვერცხსავით გასკდებოდა.—ამბობენ ბევრნი გურიაში ამ მიწის ძვრის შესახებ. საწუხარო ის არის, რომ ვისაც ძველი, ფეხებ-შერყეული საწოლი აქვსთ, ისინი 14 სეკტემბრიდან მოყოლებული ყოველ ღამეს ჰგრძნობენ მიწის ძვრას, რადგანაც თავიანთი საწოლის რყევა მიწის ძვრა ჰგონიათ და ხალხს აშინებენ:

— ამხელა კაცი მოვიხარე და ამდონი მიწის ძვრაც აღარ მინახავს! ფარსაგი აღარ მოელის ქვეყანასო,—ამბობს ხან ერთი და ხან მეორე.

თუ რა ქთამსა და საჩუქარს გაიმეტებენ ამ ხელად ამ მიწის ძვრის სახელობაზედ ჩვენი გულუხვი გურულები, ეს-კი არ ვიცი, თუმცაღა-კი იმედია, დაუსაჩუქრებელს არც ეხლა დასტოვებენ მეუფეს.

ე—ი.

გ უ რ ი ა*

წერილი მეორე

გასულ ზამთრიდგან დაწყებული ვიდრე ამ მდგომარე ოქტომბრის თვემდე ძალიან კარგი ამინდები დაიჭირა გურიაში: არც ნამეტანი წვიმები იყო, არც ნამეტანი გვალვა და არც ძლიერი ქარი. ამ ოქტომბერმა—კი წვიმები დაიწყო, წვიმებით გაატარა და ამ ბოლოს კიდეც ჩამოგვითოვლიანა, დღეს 31 ოქტომბერს გურიის არე-მარე თოვლით მოთეთრებულია (ოქტომბრის თვესა გურიაში თოვლი ძლიერ იშვიათი ამბავია!) მაგრამ ამ ერთი თვის ავი ტაროსი არაფრად გამოჩნდება, რომ შევადაროთ გასულ თვეების ნასიკეთავარს, სწორეთ ღვთის შეცოდება იქნება, რომ გურულმა კაცმა წრევანდელ ამინდებზე და მოსავალზე საყვედური თქვას. როგორც ჩვენში იტყვიან, წელს წმ. ელიამ სიკეთის თვალით მოხედა გურულებს და წმ. გიორგიმ კი—სიუხვის კალთა დაიბერტყა ჩვენს ყანებში. გურულმა მუშებმა გამოკატრეს თავიანთი ნალიები (სასიმინდოები) ღომ-სიმინდით. „პამეშჩიკებმა“ და მათმა ბოუ ჯავებმაც ხომ მუშებზე კიდევ უფრო მოითბეს ხელი წლევანდელის მოსავლით.

სამაგიეროთ ბახუსი ძალიან მოწყენილი და დაღვრემილი შეგვექნა, რადგანაც გურიაში ვაზები ნაცარმა სულ ერთიანად შემუსრა. ის დაღოცვილი, აქამდე დაწუნებული, „ადესაიც“-კი (იზაბელას ვაზი) დაჭირიანდა და იშვიათად თუ ვისმე ახალწლამდე სამყოფი მოსელოდეს. არ ვიცი—კი, ღვთის წინაშე, წელს რით-ღა ჩაიმხიარულებენ ხახას, „აბადელას“ დროს, ჩვენი მხიარული გურულები? ნიშანში-კი ეტყობათ, რომ რუსული „აჩიშჩენნაია“ უნდა შემოიღონ ხმარებაში. აბა როცა ეს ფიცხელი სასმელი (არაყი) და ფიცხელი გურულები ერთად შეიყრებიან, მაშინ ვნახავთ სეირს, მაშინ შევესწრებით ხანჯლების ტრიალს.

მორჩნენ რა ნამუშევრის აღებასა და მოიმსუყეს რა გული კარგის მოსავლით, გურულები ეხლა წუხს უდებენ თავიანთის ეკლესიების შენობებს—ძველია, არ გეეკადრება, უკეთესი ავაშენოთო. ოცამდე სოფელი კი იქნება დღეს გურიაში, რომ ეკლესიების ქვიტ-

---

* „ივერია.“ № 236, 1888 წ.

კირის შენობების აგებისათვის ფაცი-ფუცობს და ათასობით ფულს აგროვებს ამ საგნისათვის; თვითეულ კომლზე ასი-ორასი მანეთი გააწერეს, თუმცა-და ღარიბები კი წიწმატობენ—არ შეგვიძლია ამდენი ფულის გადახდა, ამდენი ფული რომ გადავიხადოთ, სულ გავნადგურდებით, ფუტი (კომლი) გაგვიცივდებაო, მაგრამ, როგორც ყველგან, ისე ჩვენშიაც ღარიბ-უბედურის სურვილი მდიდარ-შეძლებულის სურვილის კუდი გახლავთ.

ეხლა საქმე იმაზე მიდგა თუ რომელს ადგილას ააშენონ ახალი ეკლესიები. ადგილის გამორჩევამ დას-დასობა და დავიდარაბა გამოიწვია. ყველა კუდა-მწყერა ჩვენებურს მდიდარს უნდა, რომ ეკლესია მის სიახლოვეს აშენდეს. ამგვარმა სურვილმა და დას-დასობამ ამას წინათ იმსხვერპლა აქაური ერთი გამოჩენილი კაცი, რომელიც ერთის დასის მოთავედ ითვლებოდა.

დას-დასობის საქმე მეტად გაამწვავეს დედაბრებმა, რომელთ ღამ-ღამობით ანგელოზები ეცხადებათ და ეუბნებიან: აქა და აქ უნდა დასდგან ეკლესიაო. საჭირ-ბოროტო ის არის, რომ ყველა დასს თავიანთი სახელგანთქმული, ანგელოზთან მოსაუბრე დედაბერი ჰყავს და ერთი დასი მეორეს არ უჯერებს, რადგანაც თავისის დედაბრის სიტყვები მიაჩნია ჭეშმარიტებად. ღმერთმა ჰქმნას, რომ მშვიდობიანად და უსისხლოდ დაბოლოვებულიყოს ეს საქმე ჩვენში! თუმცაღა-კი ჩვენ ჩვენობით იმედი არა გვაქვს ასეთს გამწვავებულის საქმის მშვიდობიანად დაბოლოვებისა, მეტადრე მაშინ, როცა საქმე მივარდნილია ისეთს მოციქულებზე, როგორიც სოფლის დედაბრებია!..

ყველა ყველაა, მაგრამ ამ ვიღაც ყაჩაღებმა შიშის ზარი დასცეს დღეს გურიის მკვიდრთ; ამ ყაჩაღებს შიშით დღეს ჩვენში ხუთი-ექვსი კაცი თუ არ არის ერთად, ისე გზად წასვლას ვეღარავინ ჰბედავს; ქალები და ბავშვები სახლიდგან ვეღარ გამოჰაჰანებულან, ზოგიერთები ვერც თავიანთ სახლში გახლავან უშიშრად. აგერ ერთი კვირა არ არის მას შემდეგ, რაც სოფ. ჩოჩხათში ერთის გლეხის ჯალაბს დაეცენ ყაჩაღები, საწყალი სახლის უფროსი სულ ერთიანად დაჰკეპეს, თუ რამ ნივთი ებადათ წაართვეს და გაუდგნენ გზას. ხარსა, ძროხას და სხვა საქონლის მოპარვას ხომ საზღვარი არა აქვს; ოზურგეთის სიახლოვეს ისე დღე არ გაივლის, რომ ვისმე საქონელი არ მოჰპარონ.

სამწუხარო და თან სასაცილო კიდევ ის არის, რომ ზემოხსე-

ნებული ყაჩაღები ზნეობითს მოძღვარობასაც ჩემობენ. „ადამიანს“, რომლის ჯიბეებს ეს ყაჩაღები „ობისკ“-ს უშვრებიან, თუ არაფერი აბადია, ესე იგი, ან ფული და ან ნივთი არა აქვს, სულ პანღურის ცემით დაჟეჟენ,—როგორ იქნება ასე ხელცარიელი გზაში წასვლაო! მეორეხელ არ მოგივიდეს ეგ ბაიყუშობა. თორემ სულს ამოგწვდითო!

— რა ვქნა ღარიბი ვარ, არაფერი გამაჩნიაო, ემუდარება თურმე ყაჩაღებს ამ გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, სანამ კარგა არ შეზელენ, მანამ არ მოეშვებიან.

— ნუ ზარმაცობ, გაანძრიე ხელი და აღარ იქნები ღარიბიო, დააბარებენ თურმე ეს თავ-გასული მორალისტ-პოლიტიკო-ეკონომები, მიატანენ კიდევ რამდენსამე პანღურს და გაისტუმრებენ.

ე. ი.

გ უ რ ი ა*

წერილი მესამე

აგერ რამდენიმე წელია მას აქეთ, რაც ლანჩხუთელებმა განიზრახეს ორკლასიანი სასწავლებლის დაარსება, იმ ხელად, ღვთის წინაშე, უნდა ვსთქვა, ძალიან კარგათ დაიწყეს საქმე, კლასებისთვის კარგი, სუფთა ოთახებიანი სახლი უნდა აეგოთ და კარგი მასწავლებლები უნდა მოეწვიათ. ასე გასინჯეთ, სასწავლებლის მოსამსახურე ბიჭებიც რჩეულნი უნდა ჰყოლოდათ. ასე იყო იმ თავითვე ლანჩხუთის რჩეულთა აზრი და ვინ ენა-ყბედი გაჰბედავდა მაშინ იმის თქმას, რომ ეს განზრახვა ლანჩხუთელებისა აუსრულებელი დარჩებაო. ყველანი სიხარულით მოველოდით—აი ლანჩხუთელები გაჰმართავენ ორ-კლასიანს სასწავლებელს, გაჩაღდება სწავლა და ლანჩხუთელ მოსწავლეებთან ერთად, იქნება, გარეშე სოფლელების ბავშვებსაც ჰხვდეს ერთი-ორი მონაგარდი სკამიო. მზად ვიყავით ლანჩხუთის ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლები, რომ, როცა ლანჩხუთელები სკოლის საქმეს შეუდგებოდნენ, ჩვენც ჩვენის მხრივ,

* „ივერია“, № 275, 1888 წ.

რაც შეგვეძლო, შეჰწეობა გაგვეწია იმათთვის. გაეიდა რამდენიმე წელი. ლანჩხუთელებმა ამ ხნის განმავლობაში ბევრი საქველ-მოქმედო საქმე ჩაიდინეს, ბევრი სასაფლაო გადათხარეს—კვნესა ისმის სასაფლაოდგან და უეჭველად მიცვალებულებს ბატონები დაემართებოდათო,—ბევრი „პრიგოვორები“ შეადგინეს „მარხვის მჭამელებისა“ და „პარასკევის გამტეხლების“ დასასჯელად, ბევრი დედაბრების წინასწარ-მეტყველება—ქადაგება ისმინეს, ბევრი, ბევრი ამისთანები მოიმოქმედეს, მაგრამ ორ-კლასიანი სასწავლებელი-კი არსად არის!!! რატომ? რამ შეუშალა ხელი? ნუთუ „პრიგოვორები“-ს წერასა და სასაფლაოების თხრას ეგ კეთილი განზრახვა შეესრულებინათ, ის არ სჯობდაო? იკითხავს მკითხველი. დიაღ სჯობდა. ამაზე თვითონ ლანჩხუთელებიც დაგეთანხმებათ, მაგრამ რა ვუყოთ? ლანჩხუთელებმა ორ-კლასიანი სასწავლებლის დაარსების შესახებ იმდენი იფიქრეს, რომ ამ ფიქრში აზრი დაივიწყეს და ორ-კლასიანი სასწავლებლის მაგიერ კაცებმა ვერცხლის ქამრები გაიკეთეს, ქალებმა—ტურნურები და ამით დასრულდა საქმე. ღმერთმა ჰქმნას, რომ ამ გვარობას აშორებოდნენ სოფ. ბახვისა და ბასილეთის (ოზურგეთის მაზრაში) მცხოვრებლები, რომლებსაც განუზრახავთ ორ-კლასიანი სასწავლებლის დაარსება.

„ივერიის“ მკითხველებმა უკვე იციან, რაც შავი დღე შეასწრეს ყაჩაღებმა გურიას: ზოგს სჭრიდნენ, ზოგს ჯიბეს უცალიერებდნენ, ზოგს აპანღურებდნენ და ვინ იცის რაებს არ სჩადიოდნენ გამგეღებული ყაჩაღები. ამ ყაჩაღებისაგან შეწუხებულ გურულების წყევა-კრულვა ცასა სწვდებოდა. ამასობაში მოახლოვდა ბატონი კალანდა, აბა ვინ არ იცის, რომ გურული კაცი კალანდის სიხარულით, დრომდე მაინც, ყოველსავე ტანჯვას ივიწყებს ხოლმე. ეხლა ვიღას ახსოვდა ყაჩაღები! ყველანი საკალანდოდ მზადებას შეუდგნენ: საკალანდო ხორაგისათვის ვინ დატვირთულ ურემს მიაპრიალებდა ქ. ფოთში ანუ ქ. ოზურგეთში, ვინ „საქირაოს“ მიდიოდა, ვინ ფულს სესხულობდა. ქათმები და ღორები ხომ დიდი ხანია ყველა ოჯახებმა ჩაასუქეს. მოეწყო რაღა საქმე. კალანდის მობძანებას რამდენიმე დღე-ღა აკლია და აგერ მთელს გურიას მოედება ლხინი და ქეიფი, დავიძახებთ „აბა დელა“, „ხასან ბეგურას“, „მრავალ-ჟამიერ“ და სხვა. მაგრამ დახე ამ უსინდისო ყაჩაღების მოწყალებით როგორ უცბათ ჩაშხამდა გურიას ეგ მზადება, ეგ სიხარული! ყაჩაღების შესაპყრობად გურიის სოფლებში მობრძანდნენ ბატონი

უფროსები. უფროსებს მოჰყვენ ყაზახ-რუსები, ჩადგნენ აქა-იქ სოფლებში და გამოუცხადეს მამასახლისებს—ხარჯი სოფლებმა უნდა გვაძლიონო. ამ ბრძანების ძალით მამასახლისები დადიან სოფელში, თან უცხადებენ ხალხს—ეკუციას (ვითომ-და ეგზეკუციას) ხარჯი უნდა აჰამოთო და თან ჰხოცენ ძროხებს, ღორებს, ქათმებს, ბატინდოურებს და მიაქვთ ყაზახ-რუსებისათვის (ზოგი თავისთვისაც). ასე და ამ გვარად წავიდა ხელთაგან კალანდის ტაბლა! კალანდის სახელობაზე გასუქებულები ყაზახ-რუსებმა მიირთვეს, ანუ სხვა გვარად რომ ვსთქვათ, რაც ყაჩაღებს მოურჩათ, „ეკუციას" მოუნდა.

— ყაჩაღებს ხომ მაინც შეიპყრობდნენო? იკითხავს ვინმე. შეპყრობით კი არ შეუპყრიათ, პირიქით, ყაჩაღების რიცხვს თითო-ორ-ორი ყოველ კვირაში ემატება, რადგანაც ოზურგეთის საპატიმროს კარები, როგორც ეტყობა, ძლიერ სუსტია.

ე. ი.

ხმა გურიიდამ *

წერილი მეოთხე

ვერაფერი სასიამოვნო ამბებია გურიაში! ბოროტმა სულებმა და უშრომლად დიდის ლუკმის მყლაპავმა ქვეყნის მტერმა ყაჩაღებმა ეს-ეს არის აგვიკლეს და დაგვაწიოკეს. შენს მტერს ღმერთმა ისე გაუჭიროს, როგორც ჩვენ საქმე გაჭირვებული გვაქვს და მოსვენება დაკარგული. შეგვეპაძეს ერთიან, ჩაგვნთქეს და დაგვაფრთხეს ამ ღვთის მტრებმა.

ისე მოშინაურდნენ, რომ უბრალო სოფლის კაცისაგან ძნელი გასარჩევი არიან; ირევიან და დანავარდობენ სოფლებში, დაბებში და ქალაქებში. ვერაფერმა ვერ შეაშინა. მთელი მაზრა ხელში ჰყავთ მომწყვდეული, დამორჩილებული და ყველას იმათი ეშინიან. „სტრაჟის" შემოღებამ არამც თუ შეაფერხა ავ-კაცობა, პირიქით გალესა და გააძლიერა უფრო, აკი ამას წინად მოგახსენებდით, რომ ასეთი წესით ყარაულობის შემოღება ჩვენში წყალ-წაღებულის კაცის ხავსისთვის ხელის წაველებაა და საქმეს, თუ არ არევ-დარევს, არაფერით არ გააუმჯობესებს-მეთქი. ისე ყველაფერი საკე-

* „ივერია," № 186, 1889 წ. ეს წერილი ხელმოუწერელია: ვფიქრობთ, რომ იგი უნდა ეკუთვნოდეს ეგნატეს კალამს.—ს. ხ.

თილო საქმე თქვენ აგიხდეთ, როგორც მე წინასწარმეტყველება ამიხდა, რადგან ამას დიდი შორს მხედველობა არ სჭიროდა. ამიტომ მე არც თავი მომწონს. მხოლოდ საქმე ის გახლავთ, რომ ხალხი ორ აუტანელ ტვირთქვეშ იზნიქება: ერთის მხრივ საყარაულო გადასახადი აწუხებს და მეორეს მხრივ—ყაჩაღების ონავრობა. რომ „სტრაჟის“ შემოღების შემდეგ იმატა გურიაში ავ-ქაცობამ, ამის დასამტკიცებლად მარტო ჩამოთვლაც საკმარისია იმ ბოროტ-მოქმედებათა, რომელიც ამ ბოლო ხანებში მოხდა.

სოფ. საჯავახოში გასტეხეს ე. ქორიძის დუქანი და გაიტანეს ყველაფერი, რაც შიგ იპოვებოდა. სოფელი დამნაშავედ ისევ ყარაულებს ასახელებს ამ საქმეში, მაგრამ ღმერთმა იცის, მართალია იმისი დაწამება, თუ ტყუილი. ესროლეს თოფი მაზრის უფროსს შიგ ოზურგეთში და კინაღამ სული გააფრთხობინეს. კიდევ კარგი, რომ ტყვია უბის საათს მოჰხვდა და ჭრილობა მსუბუქი გამოდგა. დაბა ჩოხატაურის მახლობლად საღამოს ჟამს რამდენიმე შეიარაღებული კაცი დაპატიჟებულ სტუმრებსავით ეწვივნენ ბ-ნს ს. ხუნდაძეს, შებრძანდნენ სახლში და მოსთხოვეს ვახშამი, სტუმრის მოყვარე მასპინძელსაც მშვენიერი სუფრა გაუმართავს და სტუმრები მეუზარხოშებია. ნავახშმევს გაუმცხადებიათ იმისთვის, რომ ფულებისათვის ვართ მოსულნი და არა ვახშმისათვისაო. მაშინ კი იკბინა ნეკჯედ მასპინძელმა, მაგრამ გვიანღა იყო. მიაბჯინეს ხანჯლები და „დააყაქვინეს“ 227 მანეთი ფულად. ნივთები თეითონ ყაჩაღებს მოუგროვებიათ სახლში და ჩაულაგებიათ ხურჯინებში. ბოლოს ჩამოუღიათ კედლიდგან ხატი და ზედ დაუფიცებიათ მასპინძელი, რომ ამ ავ-ქაცობასა არაფერი გაამჟღავნოს და არც ყაჩაღები მისცეს მთავრობას ხელში. თუ მაინც და მაინც არ დაიშლიო—უთქვამთ ფიცის შემდეგ:—და გაგვცემ, თავი მოამზადე საიქაოსათვისაო, და წაბძანებულან არხეინად. ეს საცოდავიც ვეღარა ჰბედავს ხმის ამოღებას ცალკე ფიცის შიშით და ცალკე მუქარის გამო, თუმც, როგორც ამბობენ ყაჩაღები იცნოვო.

ამ დღეებში ს. ასკანაში დასცემიან ერთ რომელღაც ჩხეიძის სახლში და გაუძარცვავთ. ახლა ყურები დაცქვეტილები გვაქვს, აცა საიდამ მოგვივა გაძარცვა-გაგლეჯის ამბავიო. ყველანი-კი მომზადებულნი ვართ სასხვერპლოდ. არა ნაკლებ უხეთქავენ გულს ხალხს ყაჩაღები წერილებით: ხან ეროს მიუგზავნიან წერილს და სოხოვენ, ანუ, უკეთ ვსთქვათ უბრძანებენ ამდენი და ამდენი ფუ-

ლი გამოგვიგზავნეო და ხან მეორეს. ამბობენ, ყაჩაღების რიცხვმა იმატა და რამდენსამე დასადაც არის გაყოფილი. ჩვენში რომ იკითხო ამათი ასეთი გახელების მიზეზი, გიპასუხებენ: „იგენი“ „სტრაჟების“ ჯინზე შერებიან ამ საქმესო, ყაჩაღები კიდეც ამბობენო: აბა მოვიდენ მაგი ყაზირალები და დაგვაკლონ რამეო. მართლაც ვერაფერს დააკლებენ. ამას წინად ხუთმა ყარაულმა ერთად მიასწრეს ერთ ყაჩაღ დათუნაიშვილს მისსავე სახლში. შეტევა ვერ გაუბედეს და წავიდენ ყველანი მთავრობის შესატყობინებლად. იქ დარაჯობა ვერ გაუბედეს: არ გამოვიდეს, არ მოგვკლასო, როცა რამდენისამე ხანს შემდეგ სახლს ჯარი შემოახვიეს, აღმოჩნდა, რომ შიგ აღარ იყო; ყაჩაღს გამოეძინა და წაბძანებულიყო ადრე ღამიან. იგიც კია სათქმელი, „სტრაჟები“ არც ისეთ არიან მოცლილნი, რომ იმათის თქმისა არ იყოს, „ზდიონ ვინცხა გადარეულ ყაძახებს ტყეში“. მთელი დღე თითქმის სულ ძილს უნდებიან. „ნეტაი ძილი არ დახოცდეს მაგ საცოდავებს, თუ არა ქურდების დაჭერას ვინ უკვეთსო“, იტყვის გურული ხშირად საყარაულოში გულ-აღმა წამოპარჭყულ ყარაულების გროვაზედ: ან „მაგენის დაჭერულ ქურდს ხელ-მეორედ დაჭერა უნდაო“.

„ერთი ცხვრისკენ თქვი მეორე მელიისკენო“, ამბობს ჩვენებური ანდაზა. ყოველთვის და ყველაფერში რომ ყაჩაღებს ვამტყუნებთ, ვლანძღავთ, ვაგინებთ და დავსტირით მარტო იმათ ნასისხლარს და ამას ვახმარებთ ამდენს დროს, რატომ ერთხელ იმ მიზეზებზედაც არ დავფიქრდებით, რომელნიც ჰბადებენ ყაჩაღობას, მართალია, კაცი ხომ ყაჩაღად არ იბადება? ალბათ იზრდება და მერე ცხოვრება სწვრთნის ყაჩაღობაში. მეტად საგულისხმოა გამორკვევა, რა მიზეზი აღებინებს კაცს ხელს საყვარელს ცოლსა და შვილზედ, მეზობელსა და ნათესაობაზედ, მშობლიურს მიწა-წყალზედ, მამა-პაპეულს ზნე-ჩვეულებაზედ და გაუყენებს განსაცდელითა და სატანჯველით სავსე გზას? არ გეგონოთ-კი, რომ ყაჩაღს თავისი ცხოვრება ტკბილ ცხოვრებად ჰქონდეს მიჩნეული, პირიქით, ჰგრძნობს სატანჯველს და ხშირად ნანობს თავის ავ-კაცობას იქნება, როცა დაფიქრდება, მაგრამ რა ჰქნას! სოფელ-ქვეყანაში თავი არ გამოეყოფა: ყველასაგან მოძულებულია და როგორც გამკვრელ მგელს, ისე უცქერიან. რაკი ერთხელ ფეხი გადასცდომია სწორე გზიდამ, მერე სულ უკუღმართად მიდის იმისი საქმე. ვერც იმას ვიტყვით, რომ ყაჩაღები ან გონებით, ან ჯანით სუსტები იყვნენ და რომ სიგიჟით

სჩადიოდენ ბოროტებას, მაშინ ამდენ მოხერხებასა და სიმარდეს ვერ გამოიჩენდნენ. მაშ როგორ უნდა მოეწყოს ჩვენი ცხოვრება, რომ მავნე და მაზარალებელთ მაგიერად საზოგადოებას ეზრდებოდნენ კეთილი და სასარგებლო მუშა-მოღვაწენი?! ვიცით, როგორც უნდა მოეწყოს, მაგრამ ჩვენ ვინა გვკითხავს...

შინაური ყაჩაღებიც დიდ ამბავში არიან. იკბინებიან და იგლიჯებიან რაც-კი გაუვათ. ხომ ასეა ეს დასაქცევი, როცა დრო გაქესატდება და სოფელში სიღარიბე ჩამოვარდება, მაშინ ყველა სოფლის წვრილი და მსხვილი მოხელენი, ერი და ბერი ყველა წაგლეჯასა ჰფიქრობენ და არაფერს საშუალებას არა ჰზოგვენ, რომ სხვებს პირიდგან ლუკმა გამოაცალონ. წელსაც ასე მოხდა ჩვენში: თავიანთ ხელობას სოფლის მოხელენი მარჯვედ ხმარობენ სისხლის გამოსაწოვ მანქანად. წელს სიმინდმა, თუთუნმა და თითქმის ყველაფერმა სოფლის ნაწარმოებმა ფასი დაჰკარგა, ამიტომ ყველა ესენი მოქრთამე მოხელეებმა ფულზედ შესცვალეს და მეტად გამსუნაგებულნიც არიან. ამასთან ისეთის ოინბაზობითა და ეშმაკურად იქცევიან, რომ თვით ჩოხატაურელ ადვოკატ-მწერლებსაც არ დაუვარდებიან ვერაგობაში. ცხადათ ეტყობათ იმ ავ-სულების ზედგავლენა. ნასისხლარ ტუჩებს რომ უხედავდე, ისე ხერხიანად იწმენდს სისხლს მოქრთამე, რომ მერე რა გინდა ეცადო, ვერას უზამდა პასუხს ვერ აგებინებ.

აქაც უნდა ვიკითხოთ: რა მიზეზი უმართავს ხელს ამისთანა შავსა და ბნელს საქმეებს ჩვენს ცხოვრებაში? ქრთამებზედ და ადამიანის ყიდვა-გაყიდვაზედ იქნება სულ აშენებული ჩვენი სასამართლოები? ნუთუ ხსნა არსით არის?!.

არის ხსნა, მაგრამ ჩვენ ვინა გვკითხავს.

* *

როგორც უკანასკნელ დროს აღმოჩენილ ცნობებიდან ირკვევა, ე. ნინოშვილს დარჩენია დიდძალი ხელნაწერები, ლიტერატურული ხასიათის დოკუმენტები და მიწერ-მოწერები სხვადასხვა პირებთან. „კვალში“ ვკითხულობთ:

„ეგნატე ნინოშვილს, დარჩა მრავალი ხელნაწერები; ამათში უმთავრესათ დაუსრულებელი მოთხრობები და სურათებია. დასრულებულია ორი: „სოფლის გმირები“, რომელსაც მეორე სახელათ „პატარა სურათი“ აწერია, და ერთი დიდი ისტორიული რო-

მანი „სამწუხარო შედეგი“. ყველა ეს ჩვენ იმდენათ საინტერესოთ მიგვაჩნია, რომ გადავწყვიტეთ „კვალში“ დაებეჭდოთ“.*

მართლაც, 1901 წლიდან შეუდგნენ „კვალში“ ეგ. ნინოშვილის დაუბეჭდავი მოთხრობების ბეჭდვას. 1901 წ. გამოაქვეყნეს „სოფლის გმირები“ (№ 5), „ცოლი და ქმარი“ (№ 6, 7, 8, 9, 10 და შემდეგი). 1902 წ. დაიბეჭდა ნაწილი ისტორიული რომანისა „სამწუხარო შედეგი“. 1901 წ. უცდიათ გამოექვეყნებიათ ერთი მისი პუბლიცისტური წერილი: „საბაასო“, მაგრამ ეს წერილი ცენზურას არ გაუშვია. როგორც ვიცით, ბევრათ ადრე, 1894-95 წ. გ. წერეთელმა გამოაქვეყნა „პარტახი“.

რასაკვირველია, ეგ. ნინოშვილის ხელნაწერები აქ აღნიშნული დაბეჭდილი თხზულებებით არ ამოიწურებოდა. სხვა დოკუმენტებიდანაც სჩანს, რომ მას უფრო მეტი ხელნაწერები ჰქონია, ვინემ ეს გამოაქვეყნა 1901 წლიდან „კვალმა“. მაგალითად, გ. წერეთლის მიერ დაწერილ ეგნატეს ბიოგრაფიიდან ჩვენ ვიცით, რომ მას ჰქონია დაუმთავრებელი მოთხრობა ბათომის მუშათა ცხოვრებიდან. ამ დაუმთავრებელ მოთხრობიდან გ. წერეთელმა მხოლოდ პატარა, მაგრამ მეტად საინტერესო ციტატა მოიყვანა ეგნატეს ბიოგრაფიაში. გარდა ამისა, ეგნატეს კერძო წერილებიდან 1893-94 წლებში „კვალის“ რედაქციისადმი,—გ. წერეთლისა და ან. წერეთლისადმი,—ჩვენ ვტყობილობთ, რომ მას 1893 წელს ვრცელი პუბლიცისტური წერილი დაუწერია შემდეგი სათაურით: „ძველი თუ ახალი“, რომელიც პლეხანოვისა და მეველეს წინააღმდეგ ყოფილა მიმართული. ამ წერილს იხსენიებს პუბლიცისტი ა. ნა—ლი (ა. ნანეიშვილი) ერთს თავის პოლემიკურ წერილში. ეხება რა იგი ეგ. ნინოშვილს, სწერს: „...ნინოშვილს რამოდენიმე პოლემიკური წერილები დაუბეჭდია და ერთი გრძელი პუბლიცისტიკური წერილი დაუტოვებია, რომელიც ჯერჯერობით დაბეჭდილი არ არის.** ეგ. ნინოშვილის ახლად აღმოჩენილი კერძო წერილების მიხედვით უკვე ნათელი არის, თუ რისთვის არ დაიბეჭდა 1893-94 წლებში მისი პუბლიცისტური წერილი „კვალში“. გ. წერეთელს არ მოსწონდა ამ წერილის შინაარსი და ამიტომ გაურბოდა მის დაბეჭდვას. სამწუხაროთ, ეს წერილი ჯერჯერობით არსად სჩანს. ხოლო ეგნატეს უკანასკნელი ხა-

* იხ. „კვალი“, №, 5 გვ. 78, 1901 წ.

** იხ. „მოამბე“, № 7, გვ. 127, 1894 წ.

ნების აზროვნების შესასწავლად ამ წერილს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

გარდა ამ მასალებისა, იმავე გ. წერეთლის მიერ 1895 წ. დაწერილ ბიოგრაფიიდან ირკვევა, რომ ეგნატეს ჰქონია „დ ღ ი უ რ ი“, საიდანაც მოყავდა გ. წერეთელს ცნობები ეგნატეს ცხოვრების შესახებ.* შემდეგში ეგნატეს ბიოგრაფები არა ერთხელ უთითებდენ ამ „დ ღ ი უ რ ზ ე“ ან „უ ბ ი ს წ ი გ ნ ზ ე“, მაგრამ არ სჩანდა დაბეჭდილი იყო ეს დ ღ ი უ რ ი, თუ ხელნაწერით სარგებლობდენ. უმეტესობა გ. წერეთლის მოყვანილი ციტატებით სარგებლობდა, ხოლო თვითონ დ ღ ი უ რ ი მათ არ ენახათ. ეგ. ნინოშვილის სრული ნაწერების სამს გამოცემაშიაც (კ. თაყაიშვილაძის 1904 წ., წერა-კითხვის საზოგადოების—1920 წ., სახელგამის—1924 წ.) ეს დ ღ ი უ რ ი არ ყოფილა დაბეჭდილი. ცხადია, ეს დიდი დანაკლისი იყო ყოველის მხრივ. საკუთარი ხელით დაწერილი ეგნატეს დ ღ ი უ რ ს დიდი დახმარების გაწევა შეეძლო მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის საქმეში. სწორეთ ამიტომ, როდესაც სახელგამთან არსებულ კლასიკოსთა ქვესექციის დავალებით ეგნატე ნინოშვილის სრული ნაწერების აკადემიურ გამოცემას შეუდექი, არსებითი ყურადღება ამ დ ღ ი უ რ ი ს ბედის გამორკვევას მივაქციე. სამწუხაროთ, მისი დედანი ვერსად აღმოვაჩინე, ვერ ვნახე ვერც წამკითხველი ამ დღიურისა. სამაგიეროთ გამოირკვა, რომ იგი დაბეჭდილი ყოფილა 1901 წლის „კვალში“. აღნიშნულ წელს 7 წელი შესრულდა ეგ. ნინოშვილის გარდაცვალებიდან და „კვალმაც“ წერილი უძღვნა სახელოვან ბელეტრისტსა და რევოლიუციონერს.** ამ ცალკე წერილში ვრცელი ციტატის სახით მოყვანილია „სიტყვა-სიტყვით“ ეგნატეს აღნიშნული დ ღ ი უ რ ი. სწორეთ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ეგნატეს ეს ავტობიოგრაფია დაავიწყდათ იმ დროის „კვალის“ თანამშრომლებსაც კი და არც სრულ თხზულებებში იყო გადმობეჭდილი და ვერც მკვლევარები იყენებდენ მას.

ამ ჟამათ ამ „ავტობიოგრაფიას“ ჩვენ ვაქვეყნებთ „კვალის“ ტექსტის მიხედვით და მცირედი კომენტარიით, სრულს თხზულე-

* იხ. „ორი მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა“ გ. წერეთელის წინასიტყვაობით, გვ. II-III, 1895 წ.

** იხ. „კვალი“, № 21, გვ. 546-48, 1901 წ. წერილი: „ეგნატე ინგოროყვა (ნინოშვილი)“.

ბაში მას გაკეთებული ექნება ვრცელი კომენტარიები და თუ სადმე აღმოჩნდა დედანი შედარებული იქნება მასთან.*

აღნიშნულ წერილის უცნობი ავტორი („კვალში“ აღნიშნული წერილი ეგნატეს შესახებ ხელმოუწერელია) შემდეგ წინასიტყვაობას უკეთებს ეგნატეს ავტობიოგრაფიას:

„8 ამ თვეს (მაისს) შესრულდა 7 წელიწადი მას შემდეგ, რაც ჩვენი საყვარელი მწერალი და მეგობარი ეგ. ინგოროყვა მიწას მივაბარეთ. ჩვენი საზოგადოება მას იცნობს უმთავრესათ, როგორც მწერალს...** მოვა დრო, როცა საზოგადოება განსვენებულ ეგნატეს გაიცნობს და ღირსებისამებრ დააფასებს.

დღეს, 20 ამ თვეს, ქვაშვეთის წმინდა-გიორგის ეკლესიაში დანიშნულია განსვენებულის სულის მოსახსენებლათ პანაშვიდი. ჩვენ მასზე იმაზე უკეთესს ვერას ვიტყვით, რასაც ერთ თავის უბის წიგნში თვითონ ლაპარაკობს. ამ მოკლე ავტობიოგრაფიიდან მკითხველი გაიგებს მის ცხოვრებას და სულის კვეთებას. აი ეს ავტობიოგრაფია სიტყვა-სიტყვით“.***

ამის შემდეგ მოყვანილია წერილის ტექსტში ეგნატეს ავტობიოგრაფია.

როგორც ამ ავტობიოგრაფიიდან და მისი სათაურიდან სჩანს, ეს დღიური არ არის. წერილის სათაური—„ძველი სამახსოვრო წიგნებიდან ამოწერილი“—ამოწმებს, რომ ეგნატეს ამის გარდა, დღიური ან სამახსოვრო წიგნები ჰქონია, რომლის მიხედვითაც შეუდგენია ეს თავისი ავტობიოგრაფია.

ვფიქრობთ, გ. წერეთელიც ამ ავტობიოგრაფიით სარგებლობდა და არა დღიურით, ან სამახსოვრო წიგნებით, რადგან გ. წერეთლის მიერ მოყვანილი ციტატები საესებით ეგუება ავტობიოგრაფიას (გ. წერეთელს მხოლოდ რამდენიმე ადგილას სტილი შეუსწორებია).

აქედან ცხადია, რომ ეგნატე ნინოშვილის დღიური, ან როგორც თვითონ უწოდებს „ძველი სამახსოვრო წიგნები“ ჯერ-ჯერობით არსად სჩანს და იგი საძებარია.

საინტერესოა საკითხი: როდის არის დაწერილი ეგნა-

---

* ვერც ამ კომენტარიების დაწერა მოასწრო ს. ხუნდაძემ (იხ. ეგ. ნინოშვილის თხზ. ტ. III. 1935 წ. გვ. 1—6).—რედ.

** აქ ცენზორის მიერ არის ამოღებული ადგილი.—ს. ხ.

*** „კვალი“, № 21, გვ. 546, 1901 წ.

ტეს ავტობიოგრაფია. როგორც ამ ავტობიოგრაფიიდან სჩანს, მასში შეტანილი არის 1892 წლის დეკემბრის 13-ის ფაქტები—ბიძის წერილი ეგნატესთან. ეგნატე გარდაიცვალა 1894 წლის აპრილის 29-ს. ამ დროის განმავლობაშია დაწერილი იგი. სახელდობრ როდის—ამის თქმა ძნელია, სანამ დამატებითი ცნობები არ იქნება აღმოჩენილი.

მოვისმინოთ ახლა ეგნატეს ავტობიოგრაფია.

ძველი სამახსოვრო წიგნებიდან ამოწერილი

შვიდი თუ რვა წლისა ვიქნებოდი, როცა ჩემმა მამიდამ ერთ დილას წამიყვანა მდინარეზე, ჩამადგმევინა ფეხი შიგ და დამაწყებინა „ან“ „ბან“-ის კითხვა კარანდაშით დაწერილ ნაგლეჯ ქაღალდზე (ეს ანბანი მამაჩემმა მოიტანა, წინა დღით ერთს აზნაურიშვილს დაეწერა მისი თხოვნით). ამ კარანდაშით დაწერილ 34 ასოს გარდა, სხვა დაწერილზე დახედვა, აგრეთვე წერის დაწყება აკრძალული მქონდა, რადგანაც, მამიდას ფიქრით, სწავლაზე ხელს შემიშლიდა. ანბანის გაზეპირების შემდეგ წამიყვანეს ერთი აზნაურის ოჯახში, ღვდელთან (ეს აზნაურის ოჯახი მეტათ გარყვნილი რამ იყო). აქ ღვდელი მასწავლიდა რაღაც ლოცვებს; მხედრული წერა-კითხვა თითონ მღვდელმა არ იცოდა და არც შეეძლო ჩემთვის ესწავლებინა და არც მასწავლიდა. თუმცაღა სახლში ბავშვობისას ძრიელ ფუფუნებით და სათუთათ აღზრდილი ვიყავ, მაგრამ აზნაური ღვდლის ოჯახში (დიდ ჯალაბიანი იყო) აუარებელ საქმეს მაკეთებინებდენ, ერთ წამს არ მასვენებდენ. ნახევარი წლის შემდეგ ღვდელთან ყოფნისა მშობლებმა გამგზავნეს ქ. ფოთს ამ ღვდლის ძმისწულთან, რომელსაც ქალაქ ფოთში ხის ვაჭრობა ჰქონდა. მთელი ერთი შემოდგომა, ზამთარი და გაზაფხული, ვეგდე ამ ვაჭარი აზნაურის სამზარეულოში და ვაცხობდი მის ბრძანებით შჯადს. წერა-კითხვის, ან სხვა რამეს სწავლა-კი ჩემთვის აღარსად იყო ამ დროს. უკანასკნელ, მშობლებმა (ბიძამ) მომაშორა ამ საშინელ ცუდ მდგომარეობას, წამომიყვანა შინ და მიმცა სოფლის სასწავლებელში.

1871—1875 წლების განმავლობაში ხან შინ ძროხებსა და ცხვრებს ვწყესავდი და ხან, დრო-გამოშვებით, შკოლაში დავდიოდი. ერთის სოფლის შკოლიდან შემდეგ გადაველი მეორეში, რადგანაც

შამაჩებში კამელარიის აღწერის დროს შეაწერეს მეორე სოფელს. მასწავლებლები ამ სკოლებისა არც ერთი არ იყო სახეირო, თუმცა-ღა პირველს მეორე სჯობდა. 1876 წელს, სასწავლო წლის შუას (თებერვალში) შევედი ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში. მიმიღეს მოსამზადებელი კლასის მეორე განყოფილებაში. იმავე თვეში გადამიყვანეს მესამე განყოფილებაში, ვსწავლობდი გაკვეთილებს ამ განყოფილებისათვის და აგრეთვე ვემზადებოდი მოსამზადებლიდან პირდაპირ მეორე კლასში გადასასვლელათ. იმავე წელს, ეგზამენების დროს, მართლაც გადავედ მეორე კლასში. შემდეგ წელს გადავედ მესამეში. 1878 წელს, როცა მესამე კლასს ვასრულებდი, სკოლაში (მესამე კლასის შაგირდებში)... იმავე 1878 წელს, სექტემბერში, გადავედი თუ არა მეოთხე კლასში გამოველ სასწავლებლიდან...*

1878 წელს შემოდგომა და ზამთარი ოზურგეთს გავატარე, ჩემს ამხანაგ შეჯირდებთან, თუმცა-ღა სკოლაში აღარ ვიყავ, მაგრამ გაკვეთილებს მაინც ვსწავლობდი, რაც შესაძლო იყო უმასწავლებლოთ. 1879 წელს გაზაფხულზე წავედ ქუთაისს სახალხო სკოლის დირექტორთან (მარსოვი იყო), დავიჭირე ეგზამენი სახალხო სკოლის მასწავლებლობისა (მამასახლისის მოცემული შინაური სწავლის შოწმობა მქონდა) და შემოდგომაზე (ოქტომბერში 1879 წელს) გავემგზავრე ჩემსავე სოფელში (ჩოჩხათის საზოგადოებაში) მასწავლებლათ. 1881 წ. მარტში დავანებე თავი მასწავლებლობას და ვეძებდი რამე საქმეს იმ დროს ახლათ დაწყებულ ბათომის რკინის გზაზე; მინდოდა ფული შემეგროვებინა და ხელ-ახლა სწავლას შევდგომოდი, შევედი ამხანაგათ ერღაც „პოდრიაჩიკებთან“, მაგრამ ვალების მეტი არა დამრჩენია რა. 1882-1883 წლებში ვყავი ტელეგრაფისტათ იმავე გზაზე. 1884 წელს ზამთარში ვიყავი თფილისში არსენ კალანდაძის ტიპოგრაფიაში „ნაბორშჩიკათ“, მაგრამ ჯამაგირი-კი არ მქონია, მხოლოდ ხარჯის ფულს ღებში 7 კაპეიკს მაძ-

---

* აქ ცენზორის მიერ არის ამოღებული. როგორც ეგნატეს ბიოგრაფიიდან ვიცით, 1878 წ. მოხდა მოწაფეთა არეულობა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში. არეულობის მეთაური ეგნატე იყო. ამოღებული ადგილები სწორეთ ამ მოძრაობას ეხება. ეგნატე კი არ გამოსულა სასწავლებლიდან, არამედ დაითხოვეს. ამ ცოტა ხანში ჩვენ გამოვაქვეყნებთ „მნათობში“ ამ არეულობისა და მასში ეგნატეს მონაწილეობის შესახებ დოკუმენტებს და მოგონებებს.

ს. ხ.

ლევდა კალანდაძე. მეტის მოცემა არ შეეძლო, რადგანაც შემოსავალი მცირე ჰქონდა.

1885 წელი გავატარე ჩემს სახლში; წიგნები და ჟურნალ-გაზეთობა არსად იშოვებოდა.

1886 წელს ექვს თვეს ვიყავი სოფლის მწერლათ.

იმავე 1886 წელს, ნოემბერში (26) წავედი საფრანგეთში (Пароход Mingrelie-Marsseille, კაპიტანი—ჟიბუენი. გავიარეთ ტრაპიზონი, ორდა, სამსონი, სტამბოლი და მიველით მარსელში, იქიდან რკინის გზით მონპელიეში). 1887 წლის მარტამდე ვიმყოფებოდი მონპელიეში. 25 მარტს დავბრუნდი საქართველოში (სტანციები მარსელსა და მონპელიეს შუა: 1) ნიმი, 2) ტარასკონი, აქ სხვა მატარებელში უნდა ჩაჯდე, 3) შირმა ესენმასა. სულ 6 საათის გზაა).

1887 წელს აპრილამდე ვიმყოფებოდი შინ. აპრილ'ში დავდექი გრიგოლ გურიელთან მწერლათ.

1888 წელს 7 ნოემბერს გურიელთან ყოფნას დავანებე თავი და 1889 წლის ოქტომბრამდე ვიმყოფებოდი შინ.

ოქტომბერში (1889) ჩაველ ბათუმს სამუშაოს საძებნელათ, ათი დღე, ოქტომბერში, ვიმუშავე პრისტანზე, ვიღაც ცატუროვთან. ჟესტებს ვზიდავდი, ვაწყობდი ყუთებში, ვბეჭდავდი და ვაწყობდი დანიშნულ ადგილას. მეტათ მძიმე სამუშაოარი იყო ჩემთვის. დღეში მაძლევდენ ათ შაურს. ორი დღე ვიმუშავე ბურგლარდტის ზავოდში (სტანკაზე რაღაც ჟესტის თავებს „კაპსულებს“ ვაკეთებდი. ჩემზე წინ აქ ერთი ჩვენი მახლობელი სოფლის ბავშვი მუშაობდა, ლომიძე ყოფილიყო, ხელი გაეფუჭებინა და შემდეგ მე მომცეს ეს ადგილი). 1889 წელს ოქტომბრის დამლევიდან დაწყებული 1890 წლამდე ვმუშაობდი როტშილდის ზავოდში (ჟესტებს ვაწყობდი იაშჩიკებში და ვბეჭდავდი) დღეში მანეთათ.*

* ინტერესს არ იქნება მოკლებული აქ მკითხველს გავაცნოთ ერთი ადგილი გ. წერეთლის მოგონებიდან ეგ. ნინოშვილის ბათომის მუშებთან დაახლოების შესახებ. 1890 წელს ბათომში გაიფიცა როტშილდის ქარხნის ხუთასამდე მუშა. საქმის ვითარებამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. „ამ დროს,—სწერს გ. წერეთელი,—ქართველი მუშების არტელის დასაარსებლათ ვიყავი მოწოდებული ბათომში და ასე, წირვის დრო იქნებოდა, რომ როტშილდის ქარხნის მუშები ერთიანათ შემოვიდენ ჩემი არტელის კანტორაში და მთხოვეს შუამდგომლობა გამეწია სამხედრო გუბერნატორის თანაშემწესთან, თ. ნ. ერისთავთან, როგორც ქართველ კაცთან. ისინი თხოვდენ მას პატრონობას როტშილდის ქარხნის უფროსის ზრიდლოვსკის მიერ შევიწროებისაგან. ერთმა ამ მუშათაგანმა ამოიღო

1889 წელს ბათუმში ზამთარი მეტად ცუდი, ქარიანი, წვიმიანი იყო; მე დაცვეთილი საზაფხულო ტანსაცმელი მქონდა. უნდა ავმდგარიყავი დილის 4 საათზე, აბ საშინელ დარში გამეველო კარგი დიდი მანძილი და მივსულიყავ ზავოდში. ხან ზავოდის კარი დაკეტილი დამხვდებოდა და უნდა მეცადნა გარეთ.

1890 წელს დავდექი ნ. ღოღობერიძის კანტორაში დ. ზესტაფონს. მეტად ბევრი საქმე იყო. მე მგონია, ჩემი ჯანი და სიმრთელე დავღუპე ბათუმში და ამ კანტორაში მუშაობით. ამ დროიდან მოწყებული შემეჩვია ავადმყოფობა და მას შემდეგ იშვიათათ ვყოფილვარ კარგათ, თუმცა-ღა წინეთ იშვიათათ ვიცოდი ავადმყოფობა. 1891 წელს დავანებე თავი ღოღობერიძის კანტორას და შეველი საფილოქსერო დასში (აგრონომ ტიმოფეევის „პარტიაში"). ვიმყოფებოდი 1891 წლის ოქტომბრის დამლევამდე. ამ დასში მუდამ ერთმანეთთან ჩხუბით და უსიამოვნობით სცხოვრობდენ. მოვიარეთ დაღესტანი (დერბენტი, პეტროვსკი, შურა, გიმრი, სუმტარ-კალე და სხვა), ლეჩხუმის და რაჭის მაზრების რამდენიმე სოფელი (ლეჩხუმში—დღნორისა, ალპანა, აქარა, საირმი, ზოგიში, დაგორა, ცაგერი, სადაც მაზრის უფროსია, რაჭაში—ტოლა და ორი სხვა).

1891 წლის ნოემბრიდან 1892 წ. აპრილამდე ვცხოვრობდი ხან ბათუმში და ხან ზესტაფონში.

1892 წელს 15 აპრილს ხელ-ახლა დავდექი ღოღობერიძესთან

ჭაღალდის ნახევი და იქიდან მაგრდახე გადმომიყარა ორი წაჰრილი თითი: „ა. ბატონო, ჩვენი გაჰირვება ამით დაინახე: თითები აღარ შეჰვრჩენია და მკლავებიო. დღენიადაგ ასე წვალებაში ვართ, თერთმეტი საათი ვმუშაობთ ქარხანაში, ჩექმები, ტანისამოსი ნავთის ცეცხლში გვეხრაკება, რასაც ქირას ვიღებთ ტანისაჰოსსა და მაშინისგან მოჰრილ თითების წამალში არ გვყოფნის და იჰასაც კი გვინაბევრებენო".

— სად არის ახლა ჩვენი ეგნატე ინგოროყვა, რომ ამას არ ხედავს, მეუთაურათ, პატრონათ გაგვიხდებაო, წამოიძახეს მუშებმა, თითქოს ჩემ წასაქეზებლათ.

— ვინ არის-მეთქი ეგნატე ინგოროყვა.

— იგი ჩვენი ძმა კაცია, ჩვენი ჰირში და ლხინში მოზიარე, ჩვენი მასწავლებელიაო. იგი რომ გვყოლოდა, ამას ვერ გვიზამდა ეგ ავი კაცი ზრიდლოვსკია, თუ ვინცხაა!..

— მერე რა იქნა ეგ, ინგოროყვა?—ვკითხე მუშებს.

— ავათ გახდა და კე"წავიდა საბლში, თვარა კაი მოგცეს ღმერთმა, კაი მოთავე იგი ჩვენ გვეყოლებოდა ეხლა!" (იხ. „ორი მოთხრობა", გვ. 9—11).

გომის კანტორაში. იმავე წელს აგვისტოში დავანებე თავი ღოღობერიძეს, ამ დროდან 10 ოქტომბრამდე ვიმყოფებოდი შინ.

1 ნოემბრიდან—ტფილისში. 1892 წელს დეკემბრის 13-ს ტფილისში მომივიდა შინიდან წერილი, რომლითაც მატყობინებდა ალექსი (ბიძა) ნინოს (ჩემი მამიდა) სიკვდილს: 9 ამ თვეს მოკვდაო.

* *

ამით თავდება ეგ. ნინოშვილის ავტობიოგრაფია. შემდეგი ხანა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობისა — 1893 წელი, მთლიანად 1894 წ. აპრილის გასულამდე ამ ავტობიოგრაფიაში გაუშუქებელია. რა საკვირველია, აქ ჩვენ არ შეუდგებით ამ პერიოდის მისი მოღვაწეობის დახასიათებას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ როდესაც 29 აპრილს ეგნატე გარდაიცვალა, მის მშობლებს და ახლობლებს დასამარხი ფული არ აღმოჩენია და დასასაფლავებელი ხარჯების გასაწევათ ფული მოუგროვებიათ სიით, რომელიც იწყება შემდეგი სიტყვებით:

„შემოწირულება დასამარხავათ ქართველი ბელეტრისტის ეგ. ინგოროყვასი (ე. ნინოშვილის), რომლის დასაფლავებისათვის სახსარი არ მოეპოებათ მის მახლობელთ“.

ეს განცხადება მრავლის მეტყველია და არც კომენტარიებს საჭიროებს.

* *

დასასრულ, ვაქვეყნებთ ე. ნინოშვილის ორს ახლად აღმოჩენილ წერილს. პირველი მათგანი მოყვანილია „კვალის“ იმავე წერილში, რომლიდანაც ჩვენ გადმოვებეჭდეთ ავტობიოგრაფია. წერილი სტატიის ტექსტშია დაბეჭდილი და შემოკლებით არის მოყვანილი. ვის მიმართ არის მიწერილი, არა სჩანს. „კვალის“ უცნობი ავტორი გადმოგვცემს, რომ იგი გაგზავნილია ეგნატეს მეგობრისადმი. წერილი დაწერილია 1894 წლის მარტში, ოცი რიცხვის შემდეგ. ეს წერილები ეკუთვნის იმ პერიოდს, როდესაც ეგნატე მეტად დასუსტებული და თითქმის ლოგინადჩავარდნილი იყო.

მეორე წერილი აღმოჩნდა საქ. მუზეუმის ხელნაწერების განყო-

ფილებაში*. იგი დაწერილია 1888 წ. ოქტომბერში. წერილში მოხსენებული სამსონ კანდელაკი 1888 წელს ეგნატე ნინოშვილთან ერთად გაემგზავრა საფრანგეთში, მონპელიეში. ვინ არის ალექსანდრე, რომელსაც უგზავნის ეგნატე წერილს, ამის თქმა ძნელია. შეიძლება ეს იყოს ქ. მონპელიეს რომელიმე ქართველი სტუდენტი, ან ალექსანდრე კვირკველაძე, რომელიც ეგნატესთან ერთად გაემგზავრა მონპელიეში და რომელსაც იგი რამდენჯერმე იხსენიებს მონპელიედან გამოგზავნილ თავის წერილებში.

წერილი პირველი

[1894 წ. მარტი]

ოცს ამ თვეს (მარტი), როგორც იყო გავემგზავრე ბათომისაკენ. ვესტუჩრე ბათომს, მაგრამ ვაი ამ სტუმრობას! სახლები ბლომათ არის ბათომშიო, რომ გვეგონა, სულ ბათომში ოთხი ოთახი აღმოჩნდა ცალკე გასაქირავებელი, ისიც ჩვენი გემოვნების არა. მაგრამ გაიგეს თუ არა, რომ ბე ავადმყოფი ვარ, უარი თქვეს, ავადმყოფს ჩვენს სახლში ვერ დაეყენებთო... მიემართეთ „გასტინიცას“. პირველ ღამეს ღამე იყო, რომ მიველდით და მიგვიღეს, მაგრამ მეორე დღეს, როცა მიტკლის ფრათ თეთრ ჩემს „სახე-სკელეტს“ შეხედეს, გამომიცხადეს: მიბრძანდით, ავადმყოფს ნომერს ვერ მივაქირავებთ, რადგანაც სხვა პასაჟირები დაგვიფრთხებაო. რაღა გვექნა, მოვიცადეთ დაღამებამდის (ვითომდა კარგა ვერ დაგვინახავენ სახესო) და დაღამებულში შევატყუეთ თავი ერთ სასტუმროს პატრონს..

წერილი მეორე

$18\frac{X}{11}$ 88 წ. ს. ჩოჩხათი.

ალექსანდრე!

თქვენი წერილი, ათასგვარი რეცეპტებით „Отчет“-ებით, les mots picants (თქვენი ტერმინია) და კიდევ ათასი სხვა რამეებით გავსებული, მივიღე. მწერთ, რომ სამსონ კანდელაკის ამბავი და

* იხ. ხელნაწერი 142. ამ წერილზე მიგვითითა პ. ინგოროყვამ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

ადრესი მამცვნეო. დიდის კმაყოფილებით, მე რაც ვიცი, მოგწერთ.

გასულ წლის დეკემბერში სამსონის წერილი მივიღე; მწერდა—ბათომში მოველო. მე, რა თქმა უნდა, ვიშოვე გროში თუ არა, ჩაველ ბათომში მის სანახავათ. ჩასვლისთანავე გავიგე, რომ სამსონ სიო კალანდაძესთან დგასო და ამიტომ არ გამძნელებია მისი ნახვა. ძრიელ მეწყინა ისეთ ცუდ მდგომარეობაში იყო იმ დროებით; ისეთ ცუდ კაცებთან ცხოვრობდა (სიო კალანდაძესთან იმ დროებით კიდევ ოცი ვიღაც კინტო-კინტო ყმაწვილები ცხოვრობდა), რომ ზიზღი მომივიდა გულზედ: არც ერთი მდგმურთაგანი სამსონის მდგომარეობას (მე ვამბობ უფულობაზედ) არ თანაუგრძნობდა, პირიქით, კიდევაც ჩუმ-ჩუმათ (მაშ ცხადათ სამსონს ვერ გაუბედავდნენ) დასცინოდნენ—პარიჟიდამ მოსული ბულანჟეაო. როცა სამსონს გამოვკითხე თუ რა საქმეს ადგეხარ-მეთქი, მითხრა—სამუშაო თუ ვიშოვე, დროებით ბათომში დავრჩებიო. მეც, ჩემის მხრით მოუწონე ეგ განზრახვა: სულ უსაქმოთ გაჩერებას, რასაკვირველია, საქმეს დაადგეთ ის აჯობებს-მეთქი. ის დღე და ღამე ერთად გავატარეთ მე და სამსონმა და მეორე დღეს მე წაველ სოფელში და სამსონი კი იქ დარჩა. იმ დროდამ მოწყობილი ვიდრე გასულ აგვისტოს თვემდე მხოლოთ ორიღა წერილი მივიღე მისგან (ხომ იცით სამსონი წერილის მიწერაში პურადი არ არი, მას არ უყვარს უსაქმოთ მიწერ-მოწერა); პირველი წერილით მწერდა, რომ 30 მან. თვიურათ ადგილი ვიშოვნეო და მეორეთი-კი ის ადგილი მივატოვეეო. გასულ აგვისტოს თვეში (კარგათ არ მახსოვს აგვისტო იყო თუ ივლისი) თვითონ ჩემთან, სოფელ ორაგვეს (გრიგოლ გურიელის აგარაა), გამოიარა სამსონმა ბათომიდან, ერთი ღამე დარჩა და მეორე დღეს სადღაც წავიდა. ჩემ კითხვაზედ—სად მიდიხარ-მეთქი, მიპასუხა: იქიდამ მოგწერ წერილს, ეხლა არ არის საჭირო გითხრაო. მე ცოტა არ იყო, იქვე შემივიდა—არაფერი აუტეხოს თავის თავს მეთქი. არ გასულა მისი წასვლის შემდეგ ორი კვირა, რომ სამსონიდან ერთი ღია წერილი მივიღე, რომლითაც მოკლეთ მაცნობებდა—რაზედაც წავედი, ის არ აღმისრულდა და ეხლა თბილისში ვიმყოფებიო. ამაზე მეტი არც სამსონის ადრესი კოფილა იმ წერილში არც-რა. ის დღე იყო და ის, მას შემდეგ სამსონისგან წერილი არ მიმიღია. ეხლა თვითონ მე არ ვიცი სად უნდა იმყოფებოდეს სამსონ. ჟორდანიას (თბილისის სა-

სულიერო სემინარიის შეგირდია) მივწერე, გაიგე და მამცნე-მეთქი, მაგრამ ჯერ-ჯერობით იმისგანაც არაფერი მომდის. იქვი არ არის, რომ სამსოხის მდგომარეობა ეხლა მაინცდამაინც სახარბიელო აღარ არის, ის გაჯავრებულია თავის ხვედრზედ, რომ ისეთი კეთილი განზრახვის, როგორც მას ქონდა, განხორციელება შეუფერხდა და ამიტომ აღარაივისთან მიწერ-მოწერაში არ არის.

აი სულ ეს არის, რაც მე ვიცი სამსონზე. თუ რამ აწი გავიგე, იმასაც მოგწერ.

ჩემი მდგომარეობის რა მოგწერო? ერთხელ, რომ მოგწერე, კიდევ იგია. თუ დაგავიწყდათ, ბატონი ბრძანდები, განგიახლებ ამის შესახებ ცნობებს.

მე ჯერ-ჯერობით კიდევ გრიგოლ გურიელთან ვიმყოფები და შეჰყურებ უკბილო პირში—იქნება გალოკილი ძვალი გავარდეს-შეთქი. ჯამაგირი თვიურათ თითო თუმანი მაქვს, მაგრამ ეს ხარჯათ არ მყოფნის და ამიტომ თანდათან ვალები მემატება. მომავალი ჩემი ჩემთვინაც ამოცანაა, არ ვიცი თუ რა საქმეს დავადგები, როცა ეს ასი წლის ყმაწვილი გრიგოლ წაბრძანდება წიაღსა აბრამისასა, თან თუ წავუყვები, თორემ სხვა გზა ჯერჯერობით არა ჩანს. ოფიციალურ სამსახურში შესვლა არ შემიძლია, რადგან ვინმე „კუჭს“ მობაყვანიებს და ტყვილა „გამაუბედურებენ“. ამბობენ, რომ ვიღაც ბელგიელი კაპიტალისტები (ანდრიეს კამპანია) მოდის გრიგოლ გურიელის მამულში ნავთის მადნის საძებნელათო. ვნახოთ. იქნება მაშინ შეიცვალოს ჩემი მდგომარეობა. ფრანგულის შესწავლას თავი გავანებე. თუ საჭიროთ დაგინახე, აწიც შემიძლია შევისწავლო. აი გათავდა, ჩემი ცხოვრების ავან-ჩავანი ეგ არი.

ისეთი შესანიშნავი სხვა არაფელია, რომ მოწერათ ღირდეს. მართალია, ამ დროებით ბრიყვეთში (საქართველოსთვის ახალი ამოკვლეული სახელია) ამ დროებით ხელმწიფე მოგზაურობს და დიდ სიხარულში არიან მკვიდრნი ბრიყვეთისანი. გათავდა ესე წერილი ვითა სიზმარი ღამისა.

Отчет-სა ...შესახებ, და თქვენგან გამოგზავნილ წამალს (ზეთს) ამასთანავე უკანვე გიგზავნით, რადგან ჩემთვინ არც ერთი საჭირო არ არის.

გიწატრი ხეირს.

შენი მეგობარი ე გ ნ ა ტ ე ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა.

სამოცდაათიანი წლების არალეგალური ქართული გაზეთი „დროშა"

ბრიტანეთის მუზეუმში ახლად აღმოჩენილი ქართული ჰექტოგრაფიული გაზეთი ერთი საყურადღებო ეპიზოდი არის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. ამ გაზეთის სახელწოდება არის: „დროშა", რომელსაც ქვევით აწერია: ქ ა რ თ უ ლ ი ს ო ც ი ა ლ უ რ ი გ ა ზ ე თ ი. გაზეთზე გამოხატულია გაშლილი დროშა, რომელზედაც დაწერილია ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „თუმცა აწმყო არ გვწყალობს, მომავალი ჩვენია". ამ გაზეთის გამოცემა დაუწყიათ 1873 წ. აპრილის პირველს (14) პარიზში. გაზეთის ტექსტი იწყება ნ. ნიკოლაძის ხელით დაწერილი სარედაქციო შენიშვნით: „რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ". „დ რ ო შ ა", ქ ა რ თ უ ლ ი ს ო ც ი ა ლ უ რ ი გ ა ზ ე თ ი გ ა მ ო ი ც ე მ ა პ ა რ ი ზ შ ი ა თ ი დ ღ ი ს გ ა ნ მ ა ვ ლ ო ბ ა შ ი, ყ ო ვ ე ლ დ ღ ე ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ. ა მ გ ა ზ ე თ ზ ე ა რ ც ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა მ ი ი ღ ე ბ ა დ ა ა რ ც ც ა ლ ც ა ლ კ ე ფ უ რ ც ლ ე ბ ი ს გ ა მ ო წ ე რ ა. ი ს მ ა რ ტ ო რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა თ ვ ი ს ი ბ ე ჭ დ ე ბ ა. ა თ ი დ ღ ი ს შ ე მ დ ე გ ე. ი. 11 (24) ა პ რ ი ლ ს 1873 წ. „დ რ ო შ ი ს" ბ ე ჭ დ ვ ა მ ო ი ს პ ო ბ ა".

ასე სწერს „დროშის" რედაქცია თავის განცხადებაში. ჩვენს განკარგულებაში ამჟამად არის მხოლოდ სამი ნომერი (№ 1, 2 და 3).

საკითხავია ვინ არის „დროშის" რედაქტორი და საიდან მოხვდა იგი ბრიტანეთის მუზეუმში, როგორია ამ გაზეთის წარმოშობის ისტორია?

„დ რ ო შ ი ს" პირველი ნომრის მეორე წერილში ჩვენ ვკითხულობთ: „ის („დროშა") ს ა მ. ი ო დ ე ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ს სამახსოვრო წიგნებიდან ამოხეული თაბახებიაო". ეს სამიოდე ახალგაზრდა ნ. ნიკოლაძის გადმოცემით არიან: დ ა ვ ი თ მ ი ქ ე ლ ა ძ ე, თბილისელი სომეხი პ ა ვ ლ ე ი ზ მ ა ი ლ ო ვ ი და თვით ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ე. 1873 წელს დ. მიქელაძე, როგორც მისი წერილიდან ირკვევა,

იმყოფებოდა პარიზში, ხოლო ნ. ნიკოლაძე საქართველოდან 1872 წ. გაზაფხულის თვეებში გაემგზავრა საზღვარგარეთ და იქ ერთ წელზე მეტი დაჰყო. გაზეთის წარმოშობის ისტორიას ასე გადმოგვცემს ნ. ნიკოლაძე:

პატივცემულო ამხ. სიმონ!

თქვენ მეკითხებით, თუ რა გარემოებაში ვბეჭდავდით ჩვენ, პარიზში 1873 წ. გაზაფხულზე, ქართულ გაზეთ „დროშას", რომლის პირველი სამი ფურცელი სრულიად უცაბედათ აღმოვაჩინე წარსულ დეკემბერში „ბრიტიშ მუზეუმი"-ს საწყობში. სიამოვნებით გაცნობებთ, რომ იმ გაზაფხულზე მოვხვდით პარიზს დათა მიქელაძე, ქართულ მწერლობაში უფრო ცნობილი „მეველეს" სახელით, პაელე ობმაილოვი, შემდეგ მყოფი თბილისის ქალაქის თავად და მე. იმ დროს მე ვმუშაობდი ქართული შრიფტის გამარტივებაზე და ქართული სტამბის მოწყობაზე. ამ ძიების დროს გავეცანი ახალ აღმოჩენას, რომელიც ერთობ აადვილებდა ლიტოგრაფიების მოწყობას და ხმარებას, რაც კავკასიის ხალხების არეულ და აუწყობელ ანა ბანებს საშუალებას მიცემდა მოეწყოთ გაადვილებული პროპაგანდა ახალი ევროპული აზრების ადგილობრივ ენებზე. ამ მიზნით განვიზრახეთ და კიდეც ავასრულეთ, ათი სამაგალითო ფურცელი დაგვებეჭდა „დროშასი".

გაზეთს ვბეჭდავდით ას-ას ცალს და მუქთად უგზავნიდით ქართველებს და კავკასიელებს, ვინც გვეგულებოდა ციურიხს, ჟენევაში, ვენაში და სხვ. გაგება არა მაქვს, ვის ჩარჩენია და შეუწირავს „ბრიტიშ მუზეუმისათვის" სამი პირველი ცალი „დროშისა", რომლის ასლი თქვენ ხელში გაქვთ.

ვრჩები სრული პატივისცემით, ნ. ნიკოლაძე.

„ბრიტიშ მუზეუმში" „დროშის" სამი ნომერი გაუგზავნიათ 1895 წ. ვინ გაგზავნა ეს ნომრები „დროშისა", ან საიდან შეიძინა იგი მუზეუმმა, არ სჩანს. აღსანიშნავია ის, რომ პროფ. ალ. ხახანაშვილმა, რომელმაც 1905 წელს აღწერა ბრიტანეთის მუზეუმში მოთავსებული ქართული ხელთნაწერები, ერთი სიტყვითაც არ მოიხსენია „დროშა". ხახანაშვილმა შედარებით ვრცლად გადმოგვცა საყოველთაო ჟურნალ „მუშა"-ს შინაარსი, რომელიც გამოდიოდა თბილისში არალეგალურად 1889—1891 წლებში. ამ „მუშის" ათი ნომერი 1898 წელს, 10 თებერვალს მიუძღვნია მუზეუმისათვის ცნობილ ქართველ ანარქისტსა და ემიგრანტს ვარლამ ჩერ

ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ს.* ხოლო ჩერქეზიშვილისათვის ეს ნომრები გადაუცია ზ. ჭიჭინაძეს, როგორც ის სწერს ერთ თავის მოგონებაში. ალ. ხახანაშვილისათვის გაზ. „დროშა“, ალბათ, უცნობი იყო, თორემ იგი არ დატოვებდა მას აღუნუსხავად, რაკი არალეგალური „მ უ შ ი ს“ შინაარსი გადმოგვცა. ეს ნომრები გასული წლის დეკემბერში შემთხვევით აღმოაჩინა ნ. ნიკოლაძემ. ბრიტანეთის მუზეუმს, როგორც ნ. ნიკოლაძე გადმოგვცემს, საუცხოოდ შეუკინძავს „დროშის“ ეს ნომრები საფიანით.

„დროშის“ პირველ ნომერზე ხელით მიწერილია ინგლისურად, რომ გაზეთი გამოდიოდა ჟენევაში და მისი რედაქტორი იყო ს. მესხიო. ეს ცნობა არ არის სწორი. გაზეთი გამოდიოდა პარიზში, ხოლო მისი რედაქტორი არ ყოფილა ს. მ ე ს ხი. როგორც „დროების“ 1874 წ. წერილებიდან ირკვევა, სერგეი მესხი საზღვარგარეთ გამგზავრებულა 1873 წლის ივლისის 6-ს და იქ ერთი წელიწადი დარჩენილა.** „დ რ ო შ ა“, როგორც დავინახეთ, გამოსულა 1873 წ. აპრილის 1-ს, ასე რომ მისი რედაქტორობა არ შეეძლო ს. მესხს.

აღსანიშნავია ის, რომ ბრიტანეთის მუზეუმს გაზეთთან ერთად მოუთავსებია ს. მესხის პორტრეტიც. ეს პორტრეტი დახატული უნდა იყოს ქართველი მხატვრის ა. ბ ე რ ი ძ ი ს მიერ. იგივე სურათი მესხისა მოთავსებული არის მსგავსიევ წარწერით, როგორიც ბრიტანეთის მუზეუმის სურათ ქვეშ არის—ჟურ. „თ ე ა ტ რ შ ი“, რომელიც ვ. აბაშიძის რედაქტორობით გამოდიოდა 1885 წლიდან.*** ცხადია, მას, ვისაც ს. მესხის ეს სურათი გადაუცია ბრიტანეთის მუზეუმისათვის, უსარგებლია ჟურნალ „თეატრში“ მოთავსებული სურათით.

ეხლა გაზეთის შინაარსი:

პ ი რ ვ ე ლ ნ ო მ ე რ შ ი მოთავსებულია შემდეგი ხელმოუწერელი წერილები: 1. რედაქციისაგან (დაწერილია ნ. ნიკოლაძის ხელით); 2. წინასიტყვაობა (მისივე); 3. ვისი ბრალია – დ. მიქელაძის; 4. ეკლესია და სახელმწიფო (ნ. ნიკოლაძე); 5. ჩვენი საზო-

---

* იხ. ალ. ხახანაშვილი: ბ რ ი ტ ა ნ ე თ ი ს მ უ ზ ე უ მ ი ს ქ ა რ თ უ ლ ი ხ ე ლ თ ნ ა წ ე რ ე ბ ი, ჟურ. „მოამბე“, № 8, 1905 წ. შესაძლებელი არის „დროშის“ ეს ნომრებიც გ. ჩერქეზიშვილმა გადასცა მუზეუმს.

** იხ. ს. მესხის ნაწერები, ტ. I, გვ. 167 და სხვ.

*** იხ. „თ ე ა ტ რ ი,“ № 18, 1895 წ.

გადოების სიყალბე (პ. იზმაილოვის); 6. აღდგომა (ნ. ნიკოლაძე); 7. წვრილი ამბები (მისივე).

მ ე ო რ ე ნ ო მ ე რ შ ი: 1. საფრანგეთის გარეგანი პოლიტიკა (ნ. ნიკოლაძე;) 2. სისულელე და უზრდელობა სიბრძნის მანტიაში (დ. მიქელაძის); 3. ერობის თვითმართველობა როგორ გამოგვადგება (პ. იზმაილოვის); 4. თანამედროვე სურათები (ნ. ნიკოლაძე); 5) ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამბები (დ. მიქელაძის და ნ. ნიკოლაძის).

მ ე ს ა მ ე ნ ო მ ე რ შ ი: 1. რას უნდა ვეცადოთ (დ. მიქელაძის); 2. პარტიული დისციპლინა (ნ. ნიკოლაძე); 3. თანამედროვე სურათები (მისივე) ცოტ-ცოტა... (პ. იზმაილოვის); 5 ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამბები (ნ. ნიკოლაძე).

„დ რ ო შ ი ს“ ფორმატი 21×27 სანტ. თითეული ნომერი ოთხი გვერდისაგან შესდგება.

საკითხების მიხედვით გაზეთი შემდეგ თემებს ეხება: 1. საგარეო პოლიტიკის საკითხებს. 2. ნაციონალურ საკითხს; 3. მუშათა მოძრაობის საკითხს; 4. სოციალიზმის პრობლემას და 5. სხვა სოციალურ და ისტორიულ ხასიათის საკითხებს.

საინტერესო არის გაზეთის წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა, დაწერილი ნიკოლაძის მიერ, რომელიც გვიხსნის და გვიმარტავს თავის უმთავრეს დანიშნულებას.

მოგვყავს ეს წერილი, როგორც დოკუმენტი:

წინასიტყვაობა

„სწორედ გასაკვირველი და გულმომკვლელი საქმეა, კაცი დღევანდელ გონიერების ცხოვრებას ესწრაფებოდეს და მის გაგებას კი არ ცდილობდეს, მის დაკვირვებას არ იწყებდეს და მისგან საკმაო ხელმძღვანელი საფუძვლის გამოკრებას არ ეძებდეს. ჯირკის და დაბალი პირუტყვების მეტს არც ერთ გვამს არ უნდა სურდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსდგომა, გაყრუება და უმნიშვნელო, უმიზნო სიცოცხლე, მაგრამ ბევრი სულიერი ამ მხრით ჯირკზე უარესია, ბევრი ცოცხლებ შუა ცხოვრობს და ცოცხლების ცხოვრებაში კი არ ურევია.

დღეს ეს მით უფრო სამწუხარო და დამაღონებელი მოვლენაა, რომ ეხლანდელი ცხოვრება 1870 წლის ომის მადლით უწინდელ მის სიყრუიდან და სიბნელიდან გამოვიდა. დღეს მთელი ევროპა გაღვიძებულია. ყოველგან ისმის გაუმჯობესების სიტყვა, გაახ-

ლების სურვილი სჩანს, ცხოვრების წინააღმდეგი ძალა მოქმედებს და ახალი წესის დაარსება იწყება. გაქრა უწინდელი დამთურგუნველი, ბევრი ძალა უკანასკნელი სასიკეთილო კლაკნაში იკარგება და იხარჯება ძველი თაობის და მიმართულების უკანასკნელი წამები; ახალი თაობა საჭვიდრებლის მისაღებად ირაზმება, მზადდება ახალი წესი და ვინ იცის როგორი პოლიტიკური მოვლენები. და ამ დროს ყრუ და ბრმად დარჩენა შეცდომა კი არაა მარტო, მძიმე დანაშაულობაა შემდეგი თაობის და ხალხის წინ.

ჩვენ ამნაირ შეცდომის და დანაშაულობის თავიდან აცილება გვსურდა, გვსურდა ჩვენი ახალგაზრდობისათვის მაგალითი გვეჩვენებია, თუ როგორ შეიძლება ეხლანდელ ცხოვრების დაკვირება და გაცნობა, ასე, რომ კაცს ცხოვრებაში სამოქმედო ხელსაძღვანელო აზრი და გამოცდილება ჰქონდეს. „დროშას“ მეტი მიზანი არ აქვს, ის სამიოდე ახალგაზრდის წიგნებიდან ამოხეული თაბახებია, ის იმ მუსაიფის და სიტყვების გამოსახვაა, რომელსაც ეს ახალგაზრდები გამოთქვამენ ხოლმე, როცა გაგებულ ამბებს, შენიშნულ მოვლენებს, გაცნობილ აზრებს ერთმანეთს აცნობენ. ათი თაბახი საკმაოდ დაანახვებს მკითხველს ამგვარ სამახსოვრო წიგნების და მუსაიფების სარგებლობას და საჭიროებას. და თუ „დროშამ“ ჩვენ ახალგაზრდობაში შორეულ დაკვირვებისა და მომზადების სურვილი აღძრა, თუ მისი მაგალითი უკვალო და უნაყოფო არ გამოდგა, „დროშის“ მიზანი სრულებით მიღწეული იქნება“ (№ 1).

შემდეგ ერთ წერილში სწერია:

„აი ჩვენი საზოგადოებრივი იდეალი:

თავისუფალი ფედერაცია ყველა კავკასიელი ხალხებისა, განწყობილთა ყველა მოქალაქეების ეკონომიურ თანასწორობისამებრ.

ამ იდეალს და ეხლანდელ მდგომარეობის შუა ისეთი განსხვავებაა, რომ ერთბაშად იდეალის მიღწევის იმედის ქონა შეუძლებელია. ეკონომიური დახლართულობის გარდა არ შეიძლება არ შევამჩნიოთ, რომ გასული ცხოვრება კავკასიელი ხალხებისა იყო დაცალცალკავებული და მტრული. ამ გარემოებამ დღემდინაც დატოვა კვალი და სხვადასხვა ხალხების ურთიერთ მტრობა ისეთი ძლიერია, რომ შეცდომა იქნებოდა მათი დავიწყება“ (№ 2).

მესამე ნომრის ერთ წერილში ეკითხულობთ:

„რომელ მხარეს საზოგადოებრივ ცხოვრებისას (არ უნდა) გადავაგლოთ თვალი, თუ კი იმას ცოტაოდნად დააკვირდებით, შენიშნავთ, რომ საფუძვლად იმას ეკონომიური ხასიათი უძევს... ევროპა ისეთ პოლიტიკურ ერთობის შედეგებისაკენ მიისწრაფება,

რომელშიაც საზოგადოებრივი განწყობილება სოციალური იდეალისამებრ შეიცვლება, ისე, რომ შრომას უპირატესობა მიეცეს და მშრომელი ხალხი წინაადგილზე დააყენოს.

აი, ეს მშრომელი ხალხი თვითონ იწყებს ეხლა თავისი რაზმების შედგენას და თავის ძალას შესაფერ ორგანიზაციას აძლევს.

„მუშების კავშირები"-ს შედგენით და სხვადასხვა საზოგადოების დაარსებით, ამ საზოგადოებებში და კავშირებში მონაწილეობას იღებენ მარტო ერთი რომელიმე ქალაქის ან ქვეყნის მუშები კი არა, თითქმის მთელი ევროპის და ხანდისხან ამერიკის მშრომელებიც,—და ამნაირად ნელ-ნელა არსდება მშრომელი ხალხის ურთიერთობა და შეერთება... ეს „მუშების კავშირები" მომავალი ევროპის სოციალური შეერთებული რესპუბლიკის თესლად გამოდგებიან".

ჩვენ მოვიყვანეთ რამდენიმე ამონაწერი გაზეთის სამი ნომრიდან, მაგრამ საკმარისი არ არის მარტო ამ აზრების გაცნობა. საჭიროა მათი შეფასება ისტორიული საზომით, მათი სოციოლოგიური და სოციალური საფუძვლების გამორკვევა. ეს კი არ შეადგენს ამ წერილის საგანს.

„დ რ ო შ ი ს" სამივე ნომერი გადაეცემა საქართველოს რევოლუციის მუზეუმს.

ბოსლეველი

(ესტატე მჭედლიძე)

ბოსლეველი ერთი იმ მწერალთაგანია, რომელიც თითქმის სავსებით დავიწყებული იყო ჩვენს მწერლობაში და უკანასკნელ ხანამდე მას სათანადო ყურადღება არ ღირსებია. იგი 80-იან წლების დასაწყისში გამოვიდა სომოღვაწეო ასპარეზზე. თითქმის ამავე ხანებში გამოვიდნენ მწერლობაში ა. ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა; ხოლო პუბლიცისტიკასა და სალიტერატურო კრიტიკაში ივ. მაჩაბელი, ნ. ხიზანაშვილი (ურბნელი და სხვ.), ს ტ. ჰრელაშვილი (ტატალა, სანო), ი. ბახტაძე (ი. ხონელი), დ. კეზელი (დავით სოსლანი, არაგველი, ზოილი), რ. ფანცხავა (ხომლელი), ალ. ნანეიშვილი (ა. ნა-ლი), გრ. ყიფშიძე და სხვები. ამავე ხანებში გაცხოველდა ჟურნალ-გაზეთების გამოცემა და კამათი მიმდინარეობათა შორის პრესაში: თბილისში გამოვიდა (1881-83 წ.) „ტეტიათა მოტრფიალეების“ ორგანო „იმედი“, ქუთაისში დემოკრატიული მიმდინარეობის ორგანო „შრომა“ (1881-83). ცნობილმა დ. ლამბაშიძემ 1883 წ. დაიწყო გამოცემა რუსულსა და ქართულ ენაზე კლერიკალურ-რეაქციონური ორგანოსი—„მწყემსი“; 1884 წ. გამოვიდა პედაგოგიური ორგანო „ნობათი“, 1883 წ. ქალთა წრემ გამოსცა თავისი არა პერიოდული ორგანო. რუსულად დაიწყეს გამოცემა „Юридическое обозрение“-მ (1881 წ.) და „Новое обозрение“-მ (1884 წ.). ამავე ხანებში განაგრძობდა გამოსვლას ორი დიდი ქართული ორგანო: „დროება“ (1885 წლამდე) და „ივერია“. ე. მჭედლიძე „შრომის“ დაარსების დღიდანვე თანამშრომლობდა ამ ორგანოში. მისი დახურვის შემდეგ წერილებს ათავსებდა „დროებაში“, აქვს რამდენიმე წერილი მოთავსებული „ივერიაშიც“. მისი ლიტერატურული ფსევდონიმები იყო: ბოსლეველი, გარეშე მაყურებელი, მანელი. მრავალი მისი წერილი ხელმოუწერლად არის მოთავსებული „შრომაში“, სწერდა პუბლიცისტურ წერილებს,—ამ მხრივ ყველაზე უფრო საინტერესოა მისი პოლემიკა გ. მაიაშვილთან და ჟურ. „იმედის“

ნაროდნიკ პუბლიცისტებთან. წერილები დამახინჯებულია მაშინდელი ცენზურის მიერ: მაიაშვილის საწინააღმდეგო 9 ფელეტონიდან დაბეჭდილია მხოლოდ სამი; აქვს მთელი რიგი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი. აქედან მეტად საინტერესოა ი. ჭავჭავაძის „განდეგილის“ გარჩევა; „დროებაში“ (1883-85 წ.) იბეჭდებოდა მისი საინტერესო „ქუთათური ფელეტონები“ ყოველდღიურ საპირბოროტო საკითხების შესახებ.

„ბოსლეველის ნაწერებს ამჩნევია მარქსიზმის თავისებური გავლენა. „შრომაში“, სხვათა შორის, პირველად ვხედავთ ჩვენ რამდენიმედ მარქსისტული აზროვნების გამომხატველ წერილებს... მარქსის გავლენა უფრო ძლიერად სჩანს ბოსლეველის წერილებზე. რა თქმა უნდა ბოსლეველი ჰეშმარტი მარქსისტი არ. ყოფილა და ვერც იქნებოდა“ (ფ. მახარაძე).

ბოსლეველი მონაწილეობას ღებულობს 70-80 წლების რევოლიუციონურ მოძრაობაში, მოწაფეობის დროს იგი მონაწილეობდა მოწაფეთა წრეებში, ხოლო შემდეგ მოსკოვში, სადაც იგი ისმენდა ლექციებს. რევოლუციონურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის იძულებული შეიქმნა საქართველოში გამოქცეულიყო. აქაც მას არ ასვენებდნენ ალექსანდრე მესამის აგენტები. ბოლოს მან თავი შეაფარა ეპ. გაბრიელს და მისი კანცელარიის მდივნად იქნა დანიშნული. გაბრიელის შუამდგომლობამ და ავტორიტეტმა რამდენადმე იხსნა პოლიციის დევნისაგან, სამაგიეროდ იმერეთის სამღვდელოება გადაეკიდა: მჭედლიძემ გამოაქვეყნა მთელი ის სიბინძურე და მეკრთამეობა, რომელიც გამეფებული იყო იმერეთის სამღვდელოებაში. მანვე გამოაქვეყნა ბლაღოჩინ დ. ღამბაშიძის ის დანოსი ქართულ პრესაზე, რომლითაც ის ასაბუთებდა ქართულ ჟურნალ-გაზეთების დაკეტვას და კლერიკალურ „მწყემსის“ გამოცემას. ამ გარემოებით მჭედლიძემ დიდი რისხვა დაიმსახურა ბოროტი ბლაღოჩინისა სამღვდელოებამ მოინდომა მისი ფიზიკურად მოსპობა; მეთაურებმა დაიწყეს საიდუმლო კრების გაბართვა და ბრძოლის მეთოდებიც გამოიმუშავეს. „სულიერმა მამებმა“ მოყიდული პირის, კლერიკალური კლიკის ერთ-ერთი ძმის, საშუალებით 1885 წ. მაისში ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, 27-28 წლის მებრძოლი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი გამოასალმეს წუთისოფელს. დილას სამსახურში მიმავალ მჭედლიძეს ბაგრატის ტაძრის შეღმართზე დაეწია ცხენზე მჯდომი „სულიერ მამების“ მოყიდული აგენტი და

რევოლვერით ზურგიდან განუგმირა. ამ საზიზღარმა მკვლელობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია საზოგადოების მოწინავე წრეებში. მკვლელი აღმოჩენილი იქნა და კატორღაში გაგზავნილი. ამგვარად დაისაჯა მხოლოდ ფიზიკური მკვლელი, მხოლოდ ამ მკვლელობის ორგანიზატორები და სულისჩამდგმელნი უვნებლად გადარჩენ და დაუბრკოლებლად განაგრძეს თავიანთი საგმირო საქმენი იმას შემდეგ, რაც თავიდან მოიცილეს დაუძინებელი მტერი ე. მჭედლიძე.

ასე დაიღუპა 80-იანი წლების ეს ნიჭიერი პუბლიცისტი და კრიტიკოსი.

ხომლელი—რომანოზ ფანცხავა

(1861—1928)

ხომლელი ჩვენ მოღვაწეთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე 80-იან წლებში გამოვიდა, ხოლო ეს ეპოქა კი ორი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მომენტით ხასიათდება: ერთის მხრივ, ალექსანდრე მესამის სასტიკი რეაქციით, მეორეს მხრივ—ნაროდნიკობის, უკვე სახელოვან ნაროდოვოლცების იდეოლოგიისა და რევოლუციონური მოღვაწეობის კრიზისით. ამ ორ გარემოებას არ შეეძლო თავისი დაღი არ დაესვა ჩვენი ახალი თაობის საქმიანობასა და აზროვნებაზე.

ხომლელმა პოლიტიკურად იმ პერიოდში გაახილა თვალები, როდესაც ჯერ კიდევ უდრეკი ენერგიით იბრძოდა „ნაროდნაია ვოლიას" რევოლუციონურ-ტერორისტული პარტია, ხოლო მისი პოლიტიკური დავაჟკაცება მაშინ დაიწყო, როდესაც რუსეთში ნაროდოვოლცების იდეოლოგიის და ტაქტიკის კრიზისი ნათელი შეიქნა და საფუძვლები ჩაეყარა მარქსისტულ მიმდინარეობას რუსეთის ნიადაგზე.

80-იან წლების პირველ ნახევარში ხომლელი განიცდიდა ნაროდოვოლცების დიდ გავლენას. ჯერ კიდევ სემინარიის მოწაფე, იგი მხურვალე მუშაობას აწარმოებდა თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობასა და მუშების წრეებში. ამავე პერიოდში გამოვიდა იგი სალიტერატურო ასპარეზზე და 1882-83 წლებში ქუთაისის გაზ. „შრომაში" მოათავსა წერილი,—რომანოზის ფსევდონიმით—მუშათა შესახებ. აღნიშნული გაზეთი „შრომა" ნიჭიერ კრიტიკოსის ბოსლეველის (ესტ. მჭედლიძის) ხელმძღვანელობით გამოდიოდა. ბოსლეველმა ჩვენი ახალთაობის სულიერ აღზრდაში, 80-იან წლებში, საგრძნობი როლი ითამაშა. ჩემთვის პირადათ არაერთხელ გადმოუცია ხომლელს, თუ როგორის აღფრთოვანებით შესცქეროდა ახალგაზრდობა კრიტიკოს ბოსლეველს; მოსწავლე ახალგაზრდობა თავის წრეებში კითხულობდა ბოსლეველის ნაბეჭდსა, თუ ხელთნაწერ შრომებს,—რომელნიც ცენზურის გამო ვერ იბეჭდებოდენ,—და ადგენდა მათ კონსპექტებსო,—მეუბნებოდა ხომლელი.

1885 წელს იგი ოდესის უნივერსიტეტში მოხვდა მსმენელად.

აქ მან მხურვალე მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა მოძრაობაში, მეთაურობდა ქართველ სტუდენტთა ჯგუფს და უახლოესი კავშირი ჰქონდა ნაროდოვოლცების წრეებთან. ამ პერიოდის მისი მოღვაწეობიდან ჩემს ხელთ არის რამდენიმე მისი საინტერესო კერძო წერილი ზ. პიპინაძისადმი. 1885 წ. იგი სწერს: „საჭიროა, აუცილებლად საჭიროა საიდუმლო გამოცემა ქართულს ენაზე, რადგან უნდა შემუშავდეს ჩვენი ახალგაზრდობის მიზანი, მოქმედების საშუალებანი და მრავალი სხვანი, რომელნიც აკეთილშობილებენ და აცხოველებენ ყოველი ერის მაჯის ცემასა და სიცოცხლის მოძრაობას... ამ საზოგადოებას ჩვენ პირი უნდა შეეკვიოთ და, ვიტყვი კიდევ, იმათთან უნდა შევკრათ კავშირი, რომლის ბედი და იღბალი ირკვევა დღეს ყოველს განათლებულს ქვეყანაში. ამ ჩაგრულთ და მშრომელთ უნდა განუცხადოთ ძმობა სიტყვითა და საქმით, რადგან იმისია მომავალი. იმის ბედნიერებაზედაც უნდა აშენდეს ჩვენი საქართველოს ბედიც. ჩვენ და ქართველი გლეხკაცობა და სხვა წოდებიდან პატიოსანი მშრომელი—ჩვენა და შრომა უნდა ვიყვეთ ერთმანეთზე გადაბმული. თუ აქ ნაყოფიერად ვიმუშავებთ, თუ აქ სინდისიერად და მართლა ახალგაზდურად ვიმოქმედებთ—გრწამდეს, რომ ჩვენს მომავალსაც მომავალი გაუღიმებს“...

ხომლელი იმ პერიოდში, როგორც ნაროდნიკული აზროვნების მიმდევარი, საქართველოს ხსნას და მის აღორძინებას მშრომელი გლეხობის ბედნიერებაში ხედავდა: რეეოლიუციონური ახალი თაობა და მშრომელი გლეხობა—ეს ორი განუყრელი მოკავშირე იყო მისი წარმოდგენით. მაგრამ ამ ნაროდნიკულ აზროვნებაზე იგი არ შეჩერებულა და უკვე ოდესაში ყოფნის დროს ხომლელი ეცნობა მარქსისტულ ლიტერატურას, რის მიმდევარიც იგი შემდეგში გახდა. უნდა აღინიშნოს, რომ 1887 წ. ოდესის სტუდენტთა არეულობის გამო უნივერსიტეტი დახურეს, მრავალი სტუდენტი—მათ შორის ქართველებიც—დააპატიმრეს; ხომლელს წილად ხვდა 15 წლის პოლიციის საიდუმლო ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა. ოდესიდანვე იგი წერილებს ათავსებდა გაზ. „ი ვ ე რ ი ა შ ი“.

1889-90 წლებში ხომლელი ხელმძღვანელობდა პატარა ორგანოს—„თ ე ა ტ რ ს“, რომელშიაც ათავსებდა კრიტიკულსა და პოლიტიკურ-მეცნიერული ხასიათის წერილებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის მის წერილებს უკვე ატყვია მარქსიზმის გავლენა, თუმცა იგი არ არის სავსებით მარქსისტული; ხშირად ხომლე-

ლი აკრიტიკებდა ქართველ ნაროდნიკებს, რომლებსაც თავი შეეფარებიათ გაზ. „იევრიაში“, და ააშკარავებდა მათ ყალბ მხარეებს. 1890-92 წლებში იგი უახლოვდება ე. ნინოშვილსა და მონაწილეობას იღებს კრებაზე ზესტაფონში. 1893 წლიდან იგი თანამშრომლობს ჟურ. „კვალში“ და ათავსებს იქ საინტერესო მარქსისტული ხასიათის წერილებს. უნდა ვსთქვათ, რომ პირველი ოფიციალური მარქსისტული წერილი ქართულ ლიტერატურაში ხომლელის მიერ იყო გამოქვეყნებული. 1893 წელს „კვალში“ მან მოათავსა წერილები „ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა“ (იხ. № 16, 17, 20, 21), რომლებშიაც განიხილა მთელი რიგი მაშინდელი საჭირბოროტო საკითხებისა. ხომლელმა აღნიშნა ჩვენი ცხოვრების ეკონომიური ვითარების შინაარსი და დაასაბუთა, თუ კაპიტალისტური წყობილება როგორ არღვევდა ჩვენი ნატურალური მეურნეობის ფორმებს. ეს საკითხი შემდეგ წლებში ერთ-ერთ მთავარ სადავო საკითხად გადაიქცა ქართველ ნაროდნიკებსა და მარქსისტებს შორის.

ხომლელსვე ეკუთვნის ნაროდნიკობის პირველი ოფიციალური მკვეთრი კრიტიკა მარქსისტული საზომით. დასახელებულ წერილებში ხომლელმა პირველად ქართულს ლიტერატურაში გამოააშკარავა ნაროდნიკობის,—რომელთაც უწოდა „ტეტიათა მოტრფიალენი“,—სოციალური საფუძვლები და მაოი წვრილბურჟუაზიული რაობა. მაშინდელ ხომლელის ლიტერატურული მიმდინარეობისა და პოლიტიკური შეხედულებათა დასახასიათებლად ჩვენ აქ მოვიყვანთ ერთ ადგილს მისი წერილიდან. 1895 წ. იგი სწერდა: „ჩვენ არ უნდა ვემსახურებოდეთ ინტერესებს იმ კლასისას (ე. ი. ბურჟუაზიის.—ს. ხ.), რომელიც ამ ახლო მომავალში აპირებს ჩვენში გაბატონებას და „გაძლიერებას“, იგი უჩვენოდაც კარგად გაიკაფავს გზას, რადგან დღევანდელი ცხოვრება, საზოგადოთ, სულ ერთიანად მისია. ჩვენ ფრთხილად და დიდი გამოცდილებით უნდა გამოვნახოთ და უჩვენოთ თანამედროვე ბატონის წინააღმდეგი ელემენტები (ე. ი. პროლეტარიატი.—ს. ხ.) თვით საქართველოშივე, რომელიც თანდათან ბურჟუაზიის ზრდასთან უჩინრად იმალება დღეს ჩვენში, და რომლის ხელით და მეოხებით უნდა დამკვიდრდეს და განხორციელდეს ჩვენის ქვეყნის არე-მარეზე უკეთესი და უმაღლესი მერმისი ჩვენი ერისა“ (იხ. „კვალი“, № 39, 1895 წ.)

აღსანიშნავია, რომ ხომლელი იმ პერიოდში ჩვენში სოციალის-

ტური წყობილების დამკვიდრების საქმეს პირდაპირ უკავშირებდა ქართველ ახალგაზრდა პროლეტარიატის განვითარების და გაძლიერების საქმეს.

ხომლელი ცნობილია არა როგორც მხოლოდ პუბლიცისტი, არამედ უმთავრესად როგორც კრიტიკოსი. მის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი კრიტიკულ წერილებისა, რომელშიაც იგი ახალი, მარქსისტული მეთოდით არკვევდა ჩვენი ლიტერატურის ვითარებასა და მის წარმომადგენლებს. როდესაც დაიწერება ქართული კრიტიკის ისტორია, მასში საპატიო ადგილი დაეთმობა ხომლელს, როგორც ნიჭიერ კრიტიკოს-ლიტერატორს. როგორც კრიტიკის დარგში, ისე პუბლიცისტურ სფეროშიაც იგი პირდაპირი მემკვიდრე იყო უდროოდ დაღუპულ ბოსლეველისა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ხომლელის პოლიტიკური შეხედულებანი არ განვითარებულა იმ ხაზით, როგორითაც იგი გამოვიდა 90-იან წლებში „კვალის“ ფურცლებზე. ხომლელი თანდათან გადაიხარა ნაციონალიზმისა და ოპორტუნიზმისაკენ. ამ მხრივ მისი შემდგომი დროის ნაწერები იმდენად საინტერესო არ არის, როგორც „კვალის“ პერიოდის მისი მოღვაწეობა.

ხომლელს ბოლომდე არ გაუგდია ხელიდან კალამი და ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე იგი ხშირად ათავსებდა, როგორც ლიტერატურულ წერილებს, ისე თავის მოგონებებს.

ქართული აზროვნებისა და მწერლობის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ხომლელის ლიტერატურულ მოღვაწეობას. იგი შესაფერისს ადგილს დაუთმობს ხომლელს ჩვენს წარსულს მოღვაწეთა რიგებში.*

* დაბეჭდილია ჟურ. „ქართულ მწერლობაში“ № 4—1928 წ.

დავით კლდიაშვილის მოგონებანი*

„ეს მოგონებები იწერება იმ მოსაზრებით, რომ რომელიმე მკვლევარმა ჩვენი წარსული ცხოვრების სურათის დასახატავად—შეიძლება ამ სტრიქონებშიაც იპოვოს გამოსადეგი მასალა. თუ ეს ასე იქნება, მაშინ ამის დაწერაც გამართლე'ული იქნება და დაწერიც დიდათ დაკმაყოფილებული".

ასე სწერს ავტორი ამ საინტერესო მოგონებების წინასიტყვაობაში და უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ავტორმა საესებით მიაღწია თავის მიზანს: სარეცენზიო წიგნი მეტად საინტერესო ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის დოკუმენტს წარმოადგენს.

სამწუხაროდ, ჩვენი მწერლობა და გამომცემლობა ერთობ ღარიბია მემუარული ჟანრის ლიტერატურით. რაღაც მიზეზების გამო, ჩვენს მწერლებსა და მოღვაწეებს საჭიროდ არ მიაჩნიათ დაუტოვონ მემკვიდრე თაობას თავიანთი მოგონებანი და ამით მისცენ მათ საჭირო მასალა წარსული ცხოვრების შესასწავლად. მკითხველი დაგვეთანხმება, რომ მ ე მ უ ა რ ე ბ ს მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წარსული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლის საქმეში. ჩვენი ლიტერატურის კორიფეებმა ამ მხივ ვერ გაგვიწიეს შესაფერი დახმარება. ჩვენი ლიტერატურის საგანძურში ჯერ-ჯერობით ძლიერ მცირე მემუარია შესული: დ. ყ ი ფ ი ა ნ ი ს დაუმთავრებელი მემუარები; ა კ ა კ ი ს ა და ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი ს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გაბნეული მოგონებანი; ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს დაუმთავრებელი მოგონებანი (ძლიერ მცირე იმისა, რის დაწერასაც ის აპირებდა უკანასკნელ ხანებში); ალ. ორბელიანის დაუბეჭდავი ცნობები და სხვ. ალ. ყაზბეგი, პ. უმიკაშვილი, ა. ფურცელაძე,—აი რით ამოიწურება მე-19 საუკუნის ჩვენი მემუარული ლიტერატურა. გ. წერეთელს, ს. მესხს, ალ ყაზბეგს („ნამწყემსარის მოგონება"—მხატვრული ნაწარმოებია), ვაჟა ფშაველას, ი. მაჩაბელს, რ. ერისთავსა და სხვ. არ დასცლიათ მოგონებათა დაწერა.

ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მ მხოლოდ ოთხგვერდიანი ავტობიოგრაფია

* რეცენზია დ. კლდიაშვილის წიგნზე—„მეამუარები"—სახელგამი, 1932 წ.

დაგვიტოვა. ე. ნინოშვილსაც ორგვერდიანი ავტობიოგრაფია დარჩა.

დ. კლდიაშვილის მემუარები სასიამოვნო მოვლენას წარმოადგენს ჩვენს ლიტერატურაში. იგი მეტის მეტად ცოცხლად და მოხდენილი ენით არის დაწერილი. იკითხება დიდი ინტერესით. ავტორის ჩვეულებრივი თავისებური წერის მანერა სავსებით დაცულია ამ მემუარებშიაც. მემუარების შინაარსი ვრცელ ისტორიულ ცხოვრებას ეხება: გასული საუკუნის 60-იან წლებიდან თებერვლის რევოლიუციამდე. აქ აწერილია 60-იანი წლების სოფ. სიმონეთის ცხოვრება და შეძლებული იმერელი აზნაურის ტიპიური ოჯახი— ის გეოგრაფიულ-საზოგადოებრივი ფონი, რომელიც შემდეგში ავტორის უკვდავ ტიპების საწინდარს წარმოადგენდა. კიევის სამხედრო სასწავლებლის ცხოვრება, სადაც ავტორის „გარუსება“ მოხდა, 80-90—იანი წლების ბათომის მღელვარე ცხოვრება, როდესაც ეს ქალაქი ერთ-ერთ დიდ სამრეწველო ცენტრად გადაიქცა ამიერ-კავკასიაში, ქუთაისი რეაქციის პერიოდში და სხვა. აქვეა მოცემული საინტერესო ცნობები ქართველ ლიბერალურ ინტელიგენციის ცხოვრებიდან, გურიის გლეხთა მოძრაობიდან (1902 წ.), ბათომის მუშათა მოძრაობიდან (1902 წ.), 1905 წლის რევოლუციონური მოძრაობიდან ბათომსა და საქართველოში; რეაქციის თავხედობის შესახებ და ომის ამბები. მძიმედ არის დატვირთული მემუარები სამხედრო ცხოვრების ცნობებით. შედარებით მცირედი, მაგრამ მეტად საინტერესო ცნობები არის ავტორის ლიტერატურული ცხოვრებიდან. დ. კლდიაშვილს ფართო ნაცნობობა და ურთიერთობა ჰქონდა ჩვენს საზოგადოებრივ მოღვაწეებთან და მწერლებთან; ცნობებს მათ შესახებ (ს. ყაზბეგი, გრ. ვოლსკი, დ. ყიფიანი, ლუკა ასათიანი, ა. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, ე. ნინოშვილი, გ. წერეთელი, ს. წულუკიძე, გ. მაიაშვილი, კ. აბაშიძე, გრ. რაზმაძე და სხვ.) საპატიო ადგილი უჭირავს ავტორის მემუარში. საერთოდ ეს წიგნი დიდძალი ცნობებით არის დატვირთული და დიდის ხალისით იკითხება.

მაგრამ ძ ე მ უ ა რ ე ბ ი განსაკუთრებული თვალსაზრისით არის დაწერილი.

ეს არის ქართველი ლიბერალი მწერლის ეპოპეია, იმ მწერლის, რომელსაც ცხოვრების ობიექტურმა პირობებმა მხრებზე ეპოლეტები დააკერა და მეფის ჯარის მოსამსახურე გახადა, ხოლო გული

პატრიოტიზმის გრძნობით აღუვსო. არა ერთი და ორი ცნობაა წიგნში მოყვანილი იმის შესახებ, თუ ავტორს როგორ უხდებოდა აღესრულებია ის, რაც მის რწმენასა და მსოფლმხედველობას ეწინააღმდეგებოდა. განა ხაზგასმით აღსანიშნავი არ არის ის ტრაღიკული მდგომარეობა, რომელშიაც ჩავარდა ავტორი ბათომის მუშების დახვრეტის დროს 1902 წელს.

ამ საინტერესო წიგნის შესაფერისი გამოცემისათვის ნაკლებად უზრუნვია სახელგამს. გარეგნულად წიგნი ლამაზად არის გამოცემული, მაგრამ მას აკლია გამოცდილი და მცოდნე რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ს ხელი. ასეთი წიგნის გამოცემა შესაფერისი შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი ს გარეშე დაუშვებელია. რუსეთში გამომცემლობა „აკადემიამ“ დიდძალი მემუარები გამოსცა ცნობილ მწერლებისა, მაგრამ არც ერთი მათგანი შესაფერი შენიშვნებისა და რედაქციის გარეშე არ არის გამოცემული. რატომ ჰგონია სახელგამის სალიტერატურო სექტორს ჩვენი მწერლების ნაწერები ამას არ საჭიროებდნენ?—გაუგებარია.

რომ მკითხველისთვის ეს ნათელი გახდეს, ჩვენ მიუთითებთ შემდეგ მნიშვნელოვან ფაქტებზე: მიუხედავად იმისა, რომ მემუარები ცოცხლად არის დაწერილი და განსაკუთრებული სიცხოველით არის გადმოცემული წარსული ცხოვრების ფაქტები,—მ ა ს შ ი მ ა ი ნ ც ა ქ ვ ს ფ ა ქ ტ ი ურ შ ე ც დ ო მ ებ ს ა დ გ ი ლ ი. ეს არც გასაკვირია, რადგან ავტორმა 40—60 წლის ამბები გადმოგვცა თავის საკუთარ მეხსიერებაში შენახულ ცნობების მიხედვით: იგი სწერდა ისე, როგორც მას ახსოვდა. არ უნდა გაგვიკვირდეს, რ ო მ 65 წ ლ ი ს მ ო ხ უ ც ს ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ს ი ს წ ო რ ი თ ა რ დ ა მ ა ხ ს ო ვ რ ე ბ ო დ ა. მოვიყვანოთ ფაქტები:

1. ავტორი აღნიშნავს ი. ხონელის გალაშქრებას ს. ყაზბეგის წინააღმდეგ 80-იან წლების დასაწყისში (გვ. 46). არსებითად დ. კეზელმა (სოსლანმა) გაილაშქრა მის წინააღმდეგ, რასაც შედეგად მოყვა დ. კეზელის „დროების“ რედაქციიდან წასვლა (იხ. „დროება“, № 127, 137, 169, 175, 184, 1883 წლ.).

2. დ. კლდიაშვილს არა აქვს ისტორიული სისწორით გადმოცემული 1885 წ. ყოფილი მეფის მოადგილის მიხეილ ნიკოლოზისძის საქართველოში ჩამოსვლისა და დუნდუკოვ-კორსაკოვის რუსიფიკატორულ პოლიტიკის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის ფაქტები (გვ. 49-50). ავტორი პრეველობას ლ უ კ ა ა ს ა თ ი ა ნ ს

ანიშებს. არსებითად კორსაკოვის წინააღმდეგ ბრძოლის მეთაური დიმ. ყიფიანი იყო. თავიდანვე მათ კონფლიქტი მოუხდათ. 1885 წ. დიმ. ყიფიანმა მიაცილა მიხეილ ნიკოლოზისძე ბათომიდან—ბორჯომამდი და გზებზე მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლები შეახვედრა. ბორჯომში, ყიფიანმა გადასცა მას დუნდუკოვ-კორსაკოვის რუსიფიკატორული პოლიტიკის ფაქტების შესახებ ცნობები. შემდეგ ყიფიანი მისივე ინიციატივით მიიწვიეს ქუთაისში, სადაც წარმოსთქვა მთავარმართველის საწინააღმდეგო სიტყვები; დასაბუთებული სიტყვა წარმოსთქვა ლუკა ასათიანმაც. ეს იყო აშკარა დემონსტრაცია დუნდუკოვის წინააღმდეგ. უკანასკნელმა იმპერატორს აცნობა ყოველივე და დ. ყიფიანს გაკიცხვა გამოუცხადა იმპერატორმა. ამას მოყვა 1896 წელს ჩუდეცკის მკვლელობასთან დაკავშირებით დ. ყიფიანის გალაშქრება ეგზარხოსის წინააღმდეგ, რამაც დ. ყიფიანის გადასახლება გამოიწვია. მემუარებში ცნობები დამახინჯებულადაა გადმოცემული.

3. „მემუარებში“ სწერია: მკვლელი (დ. ყიფიანისა), რა თქმა უნდა ვერ აღმოაჩინეს (გვ. 51),—ფაქტიური მკვლელები აღმოჩენილი იქნა და კიდეც გაასამართლეს 1889 წ. (იხ. „ივერია“, 1889 წ. № 165, 167, 171, 172, 173, 177, 178, 181, 183), ხოლო მკვლელობის ორგანიზატორები მთავარმართებლის სასახლეში იყვნენ და მას მართლა არ აღმოაჩენდნენ.

4. დუნდუკოვის შემდეგ მთავარმართველად იყო შერემეტიევი (1893-96), ხოლო გოლიცინი ამის შემდეგ იქნა გამოგზავნილი (იხ. გვ. 53). ავტორს ეს ფაქტი დავიწყებია.

5. ავტორი ეხება გოგიტიძისა და ლ. გურიელის ამბავს (გვ. 229-31) და უკავშირებს მას 1902 წლის მოძრაობასა და პარტიის საქმიანობას. გოგიტიძის მოკვლა და გურიელის გასამართლება მოხდა 1891 წ.

ცხადია, ავტორს ფაქტი სწორად დამახსოვრებია, მაგრამ იგი სხვა ისტორიულ პერიოდში აქვს გადატანილი და სულ სხვაგვარ მოვლენებს უკავშირებს.

6. ავტორი ეხება ე. ნინოშვილის დასაფლავებაზე წარმოთქმულ ს. ჯიბლაძის სიტყვას და აღნიშნავს, რომ „ამგვარი რამ თორმეტი წლის წინადაც იყო ქართულ პრესაშიო“ (გვ. 130). მხედველობაში აქვს 1882 წ. გ. მაიაშვილის წერილი ჟურნალ „ივერიაში“. რასაკვირველია, აქ არავითარ მსგავსებაზე არ შეიძლება ლაპარაკი, ეს ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება.

ცხადია, ამ შეცდომებს შესწორება უნდოდა შენიშვნებში მაინც. უკვე აღვნიშნეთ, რომ ფაქტები გაშუქებულია ქართველ ლიბერალის თვალსაზრისით და ესეც გვიკარნახებდა შენიშვნების გაკეთებას. გარდა ამისა, თანამედროვე მკითხველისათვის დიდძალი ფ ა ქ ტ ი და დასახელებული პ ი რ ე ბ ი თითქმის სრულიად უცნობია. ეს გარემოებაც დაჟინებით მოითხოვდა შესაფერის რედაქციისა და შენიშვნების გაკეთებას.

არც შესაფერისი დასურათებისათვის მიუქცევიათ სათანადო ყურადღება. წიგნი შეიძლებოდა დამშვენებული ყოფილიყო იმ პირებისა და ფაქტების ფოტოგრაფიული სურათებით, რომელნიც მემუარებში არიან მოხსენებულნი. ეს დიდ ხარჯებს არ გამოიწვევდა და სასარგებლოც იქნებოდა. ახლა მხოლოდ რამდენიმე სურათია მოთავსებული. წიგნს აკლია საძიებელიც.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სოციოლოგია

ვაჟა-ფშაველას ქართულ მწერლობაში საკმაოდ დიდი და საპატიო ადგილი აქვს დათმობილი. ეს მწვერვალი ჩვენი ლიტერატურისა—ვაჟა-ფშაველა—დიდი პათოსისა და დიდი გაქანების მგოსანია; მისი მხატვრული ნიჭი, მისი შემოქმედებითი პოტენცია დაუშრეტელი და მრავალფეროვანია: მიუხედავათ ვაჟას ლექსიკის პროვინციულობისა და გადაჭარბებული, კუთხური ბარბარიზმისა მისი პოეზიის მუსიკალობა და მაღალი შემოქმედებითი ენერგია უცილო ლიტერატურულ ფაქტს წარმოადგენს. ჩვენი ფიქრით, ვაჟა-ფშაველა მეცხრამეტე საუკუნის არც ერთ დიდ ქართველ მგოსანს არ ჩამოუვარდება თავისი შემოქმედებითი პოტენციით, და შეიძლება გადაჭრით ითქვას, ზოგგან აჭარბებს კიდეც ქართული ლიტერატურის ისეთს დიდ ჭურჭებს, როგორიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. მიუხედავათ ამისა, ვაჟა-ფშაველა არ ყოფილა პოპულარული მგოსანი ამ სიტყვის ისტორიულ-საზოგადოებრივ მნიშვნელობით: მისი პოპულარობის კონტიგენტი ქართველი ინტელიგენციის საზღვრებით შემოიფარგლებოდა. მას არ ჰქონდა მოხვეჭილი ის პოპულარობა, რომელიც ილიამ და აკაკიმ მოიპოვეს ჩვენ საზოგადოებაში უკვე 60-იან წლებიდან, და არც ის მასიურ-პოპულარული გავლენა, რომელიც ეგ. ნინოშვილმა დაიპყრო მშრომელთა წრეებში. ვაჟა-ფშაველას გავლენა ქართულს ლიტერატურაში ძლიერ მცირედი იყო: მას არ შეუქმნია ისეთი ლიტერატურული სკოლა, რომელშიაც აღზრდილიყო ძალთა ახალი თაობა და განმტკიცებულიყო ლიტერატული მემკვიდრეობა ჩვენში. თვით ვაჟა იყო მიმდევარი და გამგრძობი იმ ლიტერატურულ სკოლისა, რომელიც ჩვენს მწერლობაში, ჩემი აზრით, რაფიელ ერისთავმა დაიწყო, ვაჟა-ფშაველამ თავისი ძმებთან, ბაჩანასთან და თედო რაზიკაშვილთან ერთად, ეს გატკეპნილი ლიტერატურული გზა გააფართოვა, მაგრამ მემკვიდრე თაობა კი ვერ შექმნა მწერლობაში. ვაჟა-ფშაველა არ ყოფილა ქართული ლიტერატურისა და კულტურის რეფორმატორი. მან ვერ ითამაშა ეს დიდი როლი ქართული მწერლობის

განვითარების საქმეში, რომელიც ისტორიულად წილად ხვდა ი. ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს 60-იან წლებში, ან რომელიც უახლოეს დროში, მეოცე საუკუნის მიჯნაზე, ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებამ ითამაშა დემოკრატიულ-პროლეტარული მიმდინარეობის განმტკიცების საქმეში.

ზოგიერთებს ვაჟა-ფშაველა ჩამორჩენილ, უკულტურო ადამიანათ მიაჩნდათ. ეს შეცდომაა. თუ იგი ჩაფხუტსა და გმირებს უმღეროდა, საშუალო საუკუნოებრივ მორალს ქადაგებდა, ეს მისი უკულტურობით და ჩამორჩენილობით კი არ აიხსნება, არამედ მისი მსოფლმხედველობით, მისი იდეოლოგიით, მისი აზროვნების სისტემით. ვაჟა-ფშაველა გარკვეული მსოფლმხედველობის მატარებელი პიროვნება იყო და ამ მსოფლმხედველობის ძირითად საფუძველზედ არის აგებული მთელი მისი მხატვრული შემოქმედება და პუბლიცისტურ-ეთნოგრაფიული წერილები. თვით ეს მსოფლმხედველობა და იდეოლოგია იყო ჩამორჩენილი, იგი ვერ ეგუებოდა მაშინდელი ეპოქის ძირითად ტენდენციას, მის საზოგადოებრივ-ეკონომიურ სტრუქტურას. ვაჟა-ფშაველასთვის 80-90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიურ და კულტურულ-სოციალური წყობილება, რომელიც არსებითად კაპიტალისტურ-ბურჟუაზიული შინაარსით ხასიათდებოდა, პრინციპიალურად მიუღებელი და უარსაყოფი იყო. ისე, როგორც ტოლსტოის აზროვნება და მსოფლმხედველობა ვერ თავსდებოდა კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობილების ფარგლებში, და რადიკალურად და ძირეულად უარყოფდა მას და მედგარი ძახილით მოუწოდებდა ნატურალური მეურნეობის აღდგენისაკენ — ვაჟა-ფშაველაც ამავე თვალსაზრისიდან და ამავე პროგრამით გამოდიოდა. მაგრამ ლ. ტოლსტოი არავის მოუსათლავს არც უკულტურო ადამიანად და არც ჩამორჩენილ მწერლად. იგი დიდი მოაზროვნე იყო და ღრმად განვითარებული პიროვნებაც, მაგრამ მისი აზროვნების სისტემა, აღმოცენებული გარკვეული სოციალური კლასის ნიადაგზე და გამომხატველი გარკვეული კლასის ინტერესებისა, არსებითად უარყოფდა თანამედროვე კაპიტალისტურ კულტურას და უკან, უკვე დრომოჭმულ ნატურალურ-საზოგადოებრივი წყობილების აღდგენისაკენ მოუწოდებდა საზოგადოებას. მართალია, ვაჟა-ფშაველა ტოლსტოის აზროვნების სიმაღლეზე არ ასულა, მისი განვითარების ჰორიზონტი ტოლსტოის

ერუდიციას ვერ შეედრებოდა, მაგრამ არც ისე ჩამორჩენილი იყო, რომ იგი უკულტურო ადამიანთა რიგში მოვაქციოთ და მისი შემოქმედების თემატიკა, მისი მსოფლმხედველობა მისი ჩამორჩენილობით ავხსნათ. ასეთი მსჯელობა შეცდომა იქნება და ვერ მოგვცემს შესაფერის მასალებს ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სოციოლოგიის გასაგებად.

ვაჟა-ფშაველა ისე, როგორც ყოველი მწერალი, გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობის პროდუქტია და მისი შემოქმედება აშენებულია სოციალურ-კლასიურ ინტერესების საფუძველზე: ვაჟა-ფშაველას საშუალო საუკუნოებრივი მორალი, მისი ჩაფხუტი და გმირობის იდეოლოგია, პრიმიტიულ-ველური ფანტაზია და ანტიკაპიტალისტური მსოფლმხედველობა აღმოცენებული იყო გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობის საწარმოო ძალთა განვითარების შესაფერისი დონის პირობებისა და გარკვეულს კლასიურ ნიადაგზე. როგორი იყო ეს საზოგადოებრივი ურთიერთობა და რომელი იყო ეს კლასი?

ვაჟა-ფშაველა მთების შვილი იყო: იგი დაიბადა, აღიზარდა, დავაჟკაცდა და თითქმის მთელი თავისი ცხოვრება გაატარა იმ საზოგადოებაში, სადაც ჯერ კიდევ გაბატონებული იყო ძველი პატრიარქალური წესი და თემობრივი საზოგადოებრივი ურთიერთობა. აქ ადამიანის შეგნება ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეების დონეზე იდგა, ხოლო მისი გრძნობა და განცდები პრიმიტიული ჩამორჩენილობის ელფერს ატარებდა. ვაჟა ორგანიულად შეზრდილი იყო ამ საზოგადოებასთან, მისი ჰირისა და ლხინის მატარებელი, გამომსახველი იყო.

ვაჟა სოციალური შთამომავლობით დაბალ ფენას ეკუთვნოდა. მამა მისი პაველ ჯერ სოფლის მედავითნედ ყოფილა, შემდეგ მღვდლობა მიუღია და თავისივე სოფელში გამწესებულა.

ვაჟას მთელს ოჯახს ახლო კავშირი ჰქონია მელექსეობასა და მწიგნობრობასთან. მამა მისი მოლექსე ყოფილა, დედა—ფხიკელაანთ გვარის ქალი, თავის ქმარს არ ჩამორჩებოდა ლექსთა თქმაში; უმცროსი ძმები—ბაჩანა და თედო სახელგანთქმული მგოსნები იყვნენ ქართულს ლიტერატურაში; ხოლო უფროსი ძმა გიორგი—მწიგნობარი იყო. ამრიგად, ვაჟას „ოჯახი“ თავისებურ ლიტერატურულ „კოლექტივს“ წარმოადგენდა. მაგრამ ამ კოლექტივიდან განსაკუთრებული სახით ვაჟას სახელი მოსჩანს.

ვაჟა-ფშაველას ცხოვრება და მოღვაწეობა მარტივია. თავისებურს, რაიმე განსაკუთრებულს იგი არ შეიცავს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მკვლევარი რაღაც თავისებურსა და განსაკუთრებულს ეძებს ვაჟას ცხოვრების გზებში, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ვაჟას მიერ განვლილი ცხოვრების მოედანი ჩვეულებრივი და პრიმიტიული იყო. პირველად იგი თელავის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, აქედან თბილისში გადაყვათ—საოსტატო ინსტიტუტთან არსებულ სამოქალაქო სასწავლებელში. ბოლოს, გორის საოსტატო სემინარიაში სწავლობს. 1883 წელს, სემინარიის დასრულების შემდეგ, ვაჟა სოფელ ერწოში მასწავლებლობს. ორი წლის მასწავლებლობის შემდეგ, იგი დაბეზღებით დაითხოვეს, როგორც არაკეთილსაიმედო და პეტერბურგს წავიდა, უნივერსიტეტში სწავლის მისაღებად; აქ იგი ორი წელიწადი დარჩა უნივერსიტეტის თავისუფალ მსმენელად; სიღარიბის გამო იძულებული შეიქმნა შინ დაბრუნებულიყო; მცირე ხნის განმავლობაში „წერაკითხვის საზოგადოების“ სკოლაში მასწავლებლობდა სოფ. თონეთში, მაგრამ მალე დაანება თავი მასწავლებლობას, დაბრუნდა თავის სოფელში, თავი შეაფარა ფშავის მთებს და ჩვეულებრივი ფშაველივით დაიწყო ცხოვრება; ხელი მოჰკიდა მეურნეობას და მამა-პაპური საშუალებით შეუდგა თავისი ოჯახის რჩენას. მაგრამ ვაჟას, გარდა ჩვეულებრივი მეურნის ხელობისა, მეორე დიდი „ხელობაც“ ჰქონდა: იგი ხარბად დაეწაფა მწერლობასა და მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

მწერლობა ვაჟამ 1877-78 წლებში დაიწყო. იგი პირველად კორესპონდენციებს გზავნის ფშავეთიდან გაზ. „დროებაში“ ლ. რ. ფსევდონიმით, შემდეგში ვაჟა უახლოესი თანამშრომელი იყო „ივერიისა“, „კვალის“, „მოამბისა“ და სხვა პერიოდული ორგანოების, რომლებშიაც ხშირად იბეჭდებოდა მისი მხატვრული ნაწერები, პუბლიცისტურ-ეთნოგრაფიული წერილები და კორესპონდენციები. მას ბოლომდე არ გაუგდია ხელიდან კალამი და მთებში გახიზნულ ნამდვილ პროფესიონალურ მწერალს წარმოადგენდა.

ის გარემოება, რომ ვაჟა, დიდი და სახელგანთქმული მგოსანი, მთებში იყო გაჩრილი და უბრალო გლეხივით მეურნეობას ეწეოდა, არავითარ განსაკუთრებულ განსაცვიფრებელ მოვლენას არ შეიცავს; მთის შვილთა ცხოვრებაში ეს ჩვეულებრივი მაგალითი იყო;

არა ერთი ფაქტია ჩვენში ცნობილი, რომ უაღრესად განვითარებული მთიელი ინტელიგენტი კვლავ უბრუნდებოდა თავის სოფელს და ჩვეულებრივ უბრალო ცხოვრებას ეწეოდა.

როგორც ბიოგრაფიულ ცნობებიდან ირკვევა, ვაჟა-ფშაველა შეეზარდა თავის სოფელს; თავისი ეკონომიური ყოფით იგი ბევრად არაფრით განსხვავდებოდა თავისი მეზობელი გლეხებისაგან და როგორც მთის მცხოვრები, როგორც „სოფლელი“, იგი საუკუნოებით განმტკიცებულ წესს მისდევდა და ჩვეულებრივ ცხოვრებას ეწეოდა. ტყუილა არ ამბობს მგოსანი:

...მეც იმათ ჯოგიდამა ვარ,
ვინც სიღარიბით ცნობილა,
ამ წუთისოფლის თორნეში
ბევრი სხვა გამოცხობილა,
ჩემს გარდა ასეთ ყოფაში
მრავალი სხვაცა ყოფილა.

პოეტი, დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილ ლექსში, ამბობდა:

პოეტად ვიხსენიები,
თუმცა ხარი ვარ ლაბაო,
ჩემისთანები ბაგებზე
ასი, ათახი აბაო,
ტან-ფეხ შიშველი დავდივარ,
ცოლს არ მიცვია კაბაო..*

* წერილი დაუმთავრებელია.—რედ.

გლეხთა მოძრაობა საქართველოში

(კონსპექტური ნარკვევი)*

1. საქართველოში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ისტორიული მიზეზები. 2. გლეხთა მოძრაობის უმთავრესი პერიოდები საქართველოში. 3. გლეხთა საერთო მდგომარეობა და მოძრაობა მე-18 საუკუნეში. 4. რუსეთის მმართველობის დამკვიდრება საქართველოში და გლეხთა საერთო მდგომარეობა და მოძრაობის ფორმები მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. 5. მთიულეთის აჯანყება 1804 წ. 6 გლეხთა უკმაყოფილების ფაქტები 1807-10 წლებში. 7. კახეთის 1812 წ. 8 საქ. ოსთა მოძრაობა მეჰამულეთა წინააღმდეგ. 9. გლეხობის როლი იმერეთის 1819-20 წ. აჯანყებაში. 10. 1829 წ აჯანყება საქართველოში. 11. გლეხთა აჯანყება გურიაში 1841 წ 12. გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1857 წ. 13. გლეხთა მოძრაობა რეფორმის წინა პერიოდში (1858-63 წ წ.) 14. აფხაზეთის გლეხთა აჯანყება 1866 წ 15. საგლეხო რეფორმა და საქ. ეკონომიური განვითარება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, 16. გლეხთა საერთო მდგომარეობა და მოძრაობის ფორმები იმავე პერიოდში. 17. გლეხთა აჯანყება სვანეთში 1875-76 წ. 18. გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1875-76, წ. 19. ქიხიყის აჯანყება 1878 წ. 20. გურიისა და სამეგრელოს გლეხთა მოძრაობა 1901 წ.

1. საქართველოს მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის ისტორიული მიზეზები

საქართველოში გლეხთა მოძრაობის ისტორიის, მისი სოციალ-ეკონომიური მიზეზების წარმოშობის და ფორმების შესწავლა მეტად საინტერესო თემას წარმოადგენს. ამ ინტერესს უფრო აღრმავებს ის უდავო ისტორიული ფაქტი, რომელიც საქართველოს პროლეტარიატისა და გლეხობის მტკიცე კავშირში გამოიხატება; შეიძლება დღეს გადაჭრით ითქვას, რომ არსად რევოლუციონურ პროლეტარიატს ისეთი დიდი გავლენა არ მოუხდენია გლეხობაზე და არ დაუყენებია სოფლის ფართო მასები თავისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ, როგორც ამას ჰქონდა ადგილი რუსეთის ტერიტორიაზე: 1905 წლის რევოლუციონურმა მოძრაობამ უდიდესი გავლენა მოახდინა მთელი რუსეთის იმპერიის გლეხობაზე და უშუალოდ ჩაება იგი რევოლუციონურ მოძრაობაში; ხოლო შემდეგ ხანებში—შავი რეაქციის, იმპერიალისტური ომისა და თებერვლის

* ნარკვევი დაუმთავრებელია. იბეჭდება მხოლოდ პირველი სამი თავი. დანარჩენი თაები ავტორს, როგორც სჩანს, აღარ დაუწყვია.—რედ.

რევოლუციის პერიოდებში—პროლეტარიატისა და გლეხობის ინტერესების მტკიცე დაკავშირება ხდებოდა, რასაც ბუნებრივად მიჰყავდა რუსეთის საზოგადოება ოქტომბრის რევოლუციისაკენ; დღეს საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცისა და წარმატების ერთ-ერთ უდიდეს ფაქტორს სწორედ რევოლუციონური პროლეტარიატისა და გლეხობის ეს პოლიტიკური კავშირი წარმოადგენს.

საქართველო თავისი სოციალური სტრუქტურით ძლიერ წააგავდა ძველ რუსეთს. ბუნებრივია, რომ აქაც გლეხთა მოძრაობა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ვერ ასცდა იმ საერთო გზასა და ფორმებს, რომელიც განიცადა ამავე მოძრაობამ მთელს რუსეთში. მაგრამ ერთი მაინც უნდა აღვნიშნოთ: ჩვენში გლეხთა მოძრაობა უფრო მტკიცე იყო თავისი კავშირით პროლეტარიატთან, ვინემ რუსეთში. ჯერ კიდევ 1905 წლის წინა ხანებში და თვით რევოლუციის პერიოდშიაც გლეხთა მოძრაობა გრანდიოზული ფორმით მიმდინარეობს ჩვენში. ამ მოძრაობამ აალაპარაკა მთელი რუსეთის პრესა. უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისადანვე საქართველოში გლეხთა მოძრაობამ გარკვეული სახე მიიღო. აღმოცენებული ეკონომიურ წინააღმდეგობის ნიადაგზე—იგი თავიდანვე ატარებდა მოძრაობის ხასიათს; მაგრამ შემდეგში პროლეტარიატისა და სოციალ-დემოკრატიის ზეგავლენით, გლეხთა მოძრაობამ გარკვეული პოლიტიკური შინაარსი მიიღო. ასე რომ, ამ აგრარულ-პოლიტიკური შინაარსით საქართველოს გლეხთა მოძრაობამ თვით რევოლუციის პერიოდში უწვერვალეს ხარისხამდე მიაღწია. გლეხთა შეიარაღებული აჯანყება და მათი ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მეტად დიდი ისტორიული ფაქტი იყო 1905 წლის საქართველოს ცხოვრებაში და ამ ფაქტმა ნათელჰყო ფორმა და შინაარსი გლეხთა მოძრაობის შემდეგი განვითარების. 1905 წლის გურიის გლეხთა მოძრაობის ერთ-ერთი მეთვალყურე, ცნობილი აკადემიკოსი ნიკ. ბარი, ამ მოძრაობის შესახებ სწერდა:

„სოფლებში ინტენსიური საზოგადოებრივი ცხოვრებაა. კრებას კრებაზე მართავენ, და გიკვირს, თუ როგორ ასწრებენ ყველგან გამოცხადებას საყანე მუშაობით დატვირთული გლეხები: იღებენ ცხარე მონაწილეობას კამათში და მთელ საათებს, ხანდისხან მთელ ღამეებს ატარებენ სხდომაზე. დღეს სასამართლო, ხვალ ადგილიდან ადგილზე გადამავალ განთქმული ორატორის მონაწილეობით პოპულიარულ საზოგადოებრივ კითხვათა შესახებ მსჯელობა, ზეგ

ადგილობრივ საქმეთა განხილვა: სასკოლო, გზის, მიწის და სხვა საქმეთა... კრებებზე იკრიბებიან ყველა სოფლელები, როგორც მამაკაცები, ისე ქალებიც... განვითარებულ მუშებს შორის სოფლად ფრიად სიმპატიური ტიპებია, რომელთაც სწყურიათ ცოდნა და დიდათ აფასებენ მეცნიერებას, დამოუკიდებლივ მისი გამოყენებითი, უტილიტარული მნიშვნელობისა... და მით უფრო მეტი გატაცებით მეცადინეობენ ისინი, ეს მუშები თვითგანვითარებით, აარსებენ ამ მიზნით წრეებს და ამხანაგობებს,—მეცადინეობენ ახლაც, საომარ მომენტის დროს"...*

ნიკო მარმა ასეთი შთაბეჭდილება გურიის გლეხთა მოძრაობისაგან უშუალოდ მიიღო: თავისი შთაბეჭდილებანი ხალხური მოძრაობის უშუალო ზეგავლენის ქვეშ დასწერა, როცა ის 1905 წელს თავის სამშობლო გურიაში მოხვდა. მარის პირით ისტორიული სინამდვილე ლაპარაკობდა: 1905 წელს გურიისა და საერთოდ საქართველოს გლეხობამ ნათლად გამოამეღავნა თავისი რევოლუციონური ენერგია და შეგნება. მაგრამ ეს გლეხთა მოძრაობა სოც-დემოკრატიისა და პროლეტარიატის უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა; ქართველ გლეხობისა და სოციალ-დემოკრატიულ ხელმძღვანელობით ბომჭმედ საქართველოს პროლეტარიატის შეურყეველი კავშირი გაიმტკიცდა; ქართველმა გლეხობამ პროლეტარული მოძრაობისა და სოც.-დემოკრატიის პროგრამის უდიდესი გავლენა განიცადა და ეს უდიდესი პოლიტიკური ღირებულების ფაქტს წარმოადგენდა, რომელსაც გარკვეული გზით უნდა მიემართა საქ. საზოგადოებრივი განვითარება.

1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ ვერ შესძლო პროლეტარიატისა და გლეხთა შორის არსებული პოლიტიკური კავშირის დარღვევა. პირიქით, ეს კავშირი უფრო ღრმა და მტკიცე შეიქნა შემდეგ პერიოდებში. ხოლო მენშევიკების ბატონობის ხანაში ეს კავშირი, რევოლუციონური გლეხობისა მოწინავე მუშათა წრეებთან ყველაზე უფრო თვალისაჩინო გახდა, როდესაც მთელი 3—4 წლის განმავლობაში მთელ რიგ რაიონებში ქართველი გლეხობა რევოლუციონურ აჯანყებებს აწყობდა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით „დემოკრატიული" მთავრობის წინააღმდეგ.

---

* Проф. Н. Марр: Из гурийских впечатлений и наблюдений. 1905 г. იხ. აგრეთვე: В. Старосельский: „Крестьянское движение в Кутаисской губернии", ჟურნ. „Былое", № 9—11, 1906 г. М. Шихназаран: „Крестьянское движение в Грузии", 1906 г.

სად უნდა ვეძიოთ ქართველი გლეხობის ასეთი რევოლუციონერობის მთავარი მიზეზები და რამ შეუწყო ხელი მუშათა კლასსა და ქართველ გლეხობის შორის ასეთი რევოლუციონურ-პოლიტიკური კავშირის განმტკიცებას?

ამ კითხვებზე ჩვენ გარკვეული პასუხს მოგვცემს გლეხთა მოძრაობის ისტორიისა და ფორმების გათვალისწინება და მათი მთავარი მიზეზების გამორკვევა. მაგრამ წინასწარ მაინც შესაძლებელია რამდენიმე ძირითადი დებულების წამოყენება.

პირველი მთავარი მიზეზი ჩვენ უნდა ვეძიოთ გლეხთა ეკონომიურ მდგომარეობასა და მის სოციალურ პირობებში. ისტორიული ფაქტია, რომ დასავლეთ ევროპის გლეხობა, განსაკუთრებით კი საფრანგეთის გლეხკაცობა 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, ძლიერ ხშირად კონტრ-რევოლიუციონურ როლს თამაშობდა და ხელს უწყობდა მონარქიზმის განმტკიცებას. უდაო ფაქტია, რომ 1848 წლის რევოლუციის დამარცხება რამდენადმე გლეხთა კონტრ-რევოლუციონური განწყობილებით იყო გამოწვეული და მხოლოდ მათი დახმარებით შესძლო ნაპოლეონმა საფრანგეთის ტახტის აღდგენა. მაგრამ მაშინ, როდესაც საფრანგეთის გლეხობა მეფის ტახტს ამაგრებდა, რუსეთსა და საქართველოში გლეხური მოძრაობა მიმართული იყო არსებული აგრარული ურთიერთობის წინააღმდეგ და ძირს უთხრიდა ცარიზმის ბატონობას. ამ ორ შემთხვევაში ერთი და იგივე ეკონომიური ფაქტი სხვადასხვაგვარ მიმართულებას აძლევდა გლეხთა მოძრაობას.

1789 წლის რევოლუციამ დაამხო საფრანგეთში ფეოდალური ურთიერთობა და ხელი შეუწყო მიწების გადასვლას გლეხობის ხელში. ამიტომ აქ გლეხობას ბრძოლა უხდებოდა უმთავრესად არა მიწის მოსაპოვებლად, არამედ მოპოებული მიწის შესანარჩუნებლად. რუსეთსა და საქართველოში 1861 წლის ნახევრად ბურჟუაზიულ თავად-აზნაურულმა რეფორმამ გააძვალტყავა გლეხობა და ისევ დაუმორჩილა იგი მემამულეებსა და ახლად აღორძინებულ ბურჟუაზიას. განსაკუთრებით საქართველოში გაანადგურა აღნიშნულმა „რეფორმამ“ გლეხობა და დიდი ნაწილი მიწისა გამოაცალა მას ხელიდან. რეფორმის შემდეგ პერიოდში ქართველი გლეხის მთავარ მიზანს შეადგენდა ბრძოლა მიწისათვის და მემამულეთა და ბურჟუაზიის ბატონობისაგან თავის დახსნა. მაგრამ არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას და მემამულეთა ინტერესებს მთელი თა-

ვისი ძალღონით იცავდა თვითმპყრობელობა. ასეთ პირობებში არსებული აგრარული ურთიერთობის მოსპობასა და გლეხის დაკმაყოფილებას მიწით წინ ეღობებოდა მემამულეთა პოლიტიკური აპარატი — ცარიზმი; პირველის განხორციელება აუცილებლად მოითხოვდა მეორეს მოსპობას: ე. ი. გლეხთა მიწით დაკმაყოფილება აუცილებლად მოითხოვდა თვითმპყრობელობის დამხობას. ამრიგად, აგრარული მოძრაობა საქართველოში ისტორიულად დაეჯახა არსებულ პოლიტიკურ წყობილებას და ამიტომაც გლეხთა მოძრაობამ თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე გარკვეული რევოლუციონური და პოლიტიკური შინაარსი მიიღო.

ჩვენ ქვევით დავინახავთ, რომ გლეხთა მოძრაობასა და ბრძოლას მიწისათვის საქართველოში ვრცელი ისტორია ჰქონდა; იგი არ დაწყებულა რუსეთის მართველობის დამკვიდრებით საქართველოში. მძიმე საზოგადოებრივი პირობები წინეთაც არსებობდა ჩვენს ქვეყანაში: გლეხთა დამონებული მდგომარეობა და ეკონომიური სივიწროვე ძლიერ ხშირად, ძველ საქართველოშიც, მე-18 საუკუნის გასვლამდე, იწვევდა გლეხობის უკმაყოფილებასა და აჯანყებას მემამულეთა წინააღმდეგ. ისტორიკოსის თქმით, მიუხედავათ მძიმე პოლიტიკური პირობებისა, მთელი მე-18 საუკუნის განმავლობაში აგრარული მოძრაობა საქართველოში არ შეწყვეტილა: ხან აქ, ხან იქ აგრარული მოძრაობა დროგამოშვებით ხელახლა იფეთქებდა ჩვენში და ამით ააშკარავებდა იმ უსამართლობას, რომელიც არსებობდა საქართველოში,* რასაკვირველია, XVII—XVIII საუკუნეების მოძრაობა სტიქიურ-ეკონომიურ ხასიათს ატარებდა და მას არ შეეძლო დიდ პოლიტიკურ ფაქტორად გადაქცეულიყო. ამისათვის საჭირო იყო ღრმა ხასიათის ეკონომიური ცვლილებები ჩვენს საზოგადოებრივ ურთიერთობაში და ახალი სოციალური ფაქტორის წარმოშობა, უკეთ რომ ვთქვათ,—გლეხთა მოძრაობას უნდა გამოსჩენოდა ხელმძღვანელი დაჩაგრული კლასის სახით. მარქსისტულმა სოციოლოგიამ დიდი ხანია გამოარკვია გლეხთა სოციალური მდგომარეობა საზოგადოებრივ ურთიერთობაში და მისი როლი რევოლუციონურ მოძრაობაში; თავისი სოციალ-ეკონომიურ პირობების გამო გლეხობას არ შეუძლია დამოუკიდებელი ბრძოლა თავის ინტერესებისათვის და

* И. Джанашвили: «Политическое и социальное движение в Грузии в XIX веке», გვ. 5, 1906 წ.

არც საზოგადოებრივ მოძრაობის ხელმძღვანელობა. თვით მას ესაჭიროება ხელმძღვანელი.

დასავლეთ ევროპის სინამდვილეში პირველად გლეხთა ინტერესების წარმომადგენლობას ბურჟუაზია ჩემობდა, ხოლო შემდეგში გაბატონებული კლასების სხვადასხვა ჯგუფები იყენებდენ გლეხთა მოძრაობას თავიანთ ინტერესებისათვის. ჩვენს ისტორიულ სინამდვილეშიაც გლეხთა მოძრაობა მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში ფეოდალურმა არისტოკრატიამ გამოიყენა თავიანთი ინტერესებისათვის და დაუპირისპირა ეს მოძრაობა რუსეთის თვითმპყრობელობის ცენტრალისტურ ბიუროკრატიულ აპარატს. ბურჟუაზია საქართველოში არ წარმოადგენდა საგრძნობ სოციალურ ძალას და მას არ შეეძლო რაიმე მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა პოლიტიკურ მოძრაობაში; ამიტომ ბურჟუაზია ვერ გამოიყენებდა ჩვენში არსებულ გლეხთა მოძრაობას რაიმე პოლიტიკურ მიზნებისათვის, რომელიც მას არც კი გააჩნდა. ამ მხრივ გლეხთა მოძრაობაზე და საერთოდ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების საქმეზე გადამჭრელი გავლენა იქონია მუშათა კლასის წარმოშობამ მე-19 საუკ. მეორე ნახევარში და სწორეთ აქ უნდა ვეძიოთ მეორე მთავარი მიზეზი ჩვენში გლეხთა რევოლუციონური მოძრაობის დაწინაურებისა და წარმატებისა.

კავშირი ქართველ გლეხობისა და მუშათა კლასს შორის აუცილებლად უნდა დამყარებულიყო არა მარტო იმისათვის, რომ ეს ორი კლასი ეკონომიურად ძლიერ დაჩაგრულ სოციალურ ფენას წარმოადგენდა, არამედ იმიტომ, რომ მათ შორის ერმა მნიშვნელობის სოციალური ურთიერთობა და ნათესაობა არსებობდა. საქმე ის არის, რომ საქართველოს პროლეტარიატი თავისი შთამომავლობით უმთავრესად გლეხურია. პროლეტარიატის კადრი ჩვენში უმთავრესად გაღატაკებულ გლეხობიდან სდგებოდა. 1864-67 წლების რეფორმამ იძულებით დასცა ეკონომიურად ჩვენი გლეხობა, რომ იგი იძულებული შეიქნა პურის საძებნად ქალაქებისაკენ წასულიყო და სწორედ აქედან წარმოსდგა საქ. მუშათა კლასის მთავარი კადრი. ამრიგად, გლეხების გაღატაკების პროცესთან ერთად ხდებოდა საქართველოს პროლეტარიატის კონსოლიდაციის პროცესიც. მაგრამ ეს პროლეტარიატი, გამოსული საქართველოს სხვადასხვა პროვინციებიდან და ჩაბმული კაპიტალისტურ ურთიერთობის მძიმე პროცესში, სრულიად არ სწყვეტდა კავშირს თავის

სოფელთან. ის მრავალ-მხრივი ძაფებით იყო მიმაგრებული თავის პროვინციასთან. ჩვენ მეორე შრომაში უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ჩვენი მუშათა კლასის რიგებში სამი უმთავრესი კატეგორია შეიძლება გამოიყოს: 1) ნამდვილი პროლეტარი, „მოხარშული" კაპიტალისტურ ფაბრიკაში; 2) ნახევრად პროლეტარული ელემენტი, რომელიც სავსებით არ გაშორებია სოფელს: ცალი ფეხით სოფელში სდგას, ცალით კი--ქალაქში; მისი მთავარი საჰუშაო ბაზა ქალაქია, მაგრამ სოფელთანაც ურთიერთობა აქვს, მასთან ნათესაურსა და ეკონომიურს დამოკიდებულებაში იმყოფება; ეს სოფლისა და ქალაქის შემაერთებელი რგოლია; 3) ნახევრად გლეხური ელემენტი, რომელიც ქალაქსა და წარმოებაში სეზონობით მუშაობს, ხოლო მთავარი დასაყრდენი მაინც მისთვის სოფლის მეურნეობა არის.* ჩვენი პროლეტარიატის ასეთ ურთიერთობას სოფელთან და გლეხობასთან მეტის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენში საზოგადოებრივი წარმატების საქმეში; ქალაქის მუშა, გაწვრთნილი და განვითარებული ახალს ატმოსფეროში, ითვისებს რა ახალს იდეებს და ბრძოლის მეთოდებს, ძალაუნებურად გადააქვს ეს იდეები და ბრძოლის მეთოდები სოფლებშიაც და ამრიგათ გლეხთა კადრებს აცნობს ახალი მოძრაობის შინაარსს. უკვე ისტორიული ფაქტია, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში ბათომის გაფიცული მუშების დათხოვნამ და მათმა გაფანტვამ გურიის სოფლებში მეტად დიდი გავლენა მოახდინა გურიის გლეხობის პოლიტიკურად გამოფხიზლების საქმეში და ამით კი გლეხთა რევოლუციონური მოძრაობის განმტკიცებაში.**

* ს. ხუნდაძე: სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. II, 1927 წ.

** Мхеидзе и Каландадзе: «Очерк революционного движения в Гурии», 190- წ.

ამ გარემოებას თავის დროზე ყურადღება მიაქცია კავკასიის მეფის ნაცვალმა—ვორონცოვ-დაშკოვმა. 1907 წ. თავის ბოხსხებაში მეფისადმი იგი სწერდა: „Громадный успех социал-демократических идей среди грузин возможно объяснить себе только крепким невежеством (??) сельского, крепкого к земле, населения и обширнейшим числом пропагандистов, вышедших из среди того же населения. Дело в том, что почти все сельское население рабочего возраста в Гурии, Имеретии и Мингрелии занимаются отхожими промыслами, отнюдь не порывая связи с родиною. Гурийцы и мингрельцы составляют главный контингент всевозможных рабочих во всех Черноморских портах, начиная с Батума, Поти и Сухума и кончая Одессою и Константинополем. Рабочее движение, с которым пришлось столкнутся выходцев из грузинских провинций в портовых и других торговых пунктах, не могло не поразить внешней легкостью возможности

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, და ეს არის მესამე მთავარი მიზეზი ზემოთ დასახელებული მოვლენებისა, რომ თავიდანვე აბობოქრებულ მუშათა მოძრაობას საქართველოში სათავეში მოექცა სოციალ-დემოკრატია. მუშათა კლასი, განიცდიდა რა სოციალ-დემოკრატიის დიდ გავლენას, თავის მხრივ სოციალისტური იდეები თავისებურად შეჰქონდა გლეხურ მასაში და თავის გავლენის ქვეშ აყენებდა გლეხობას.

მაგრამ ჩვენი სოციალ-დემოკრატიის სამოღვაწეო ასპარეზი მარტო მუშათა კლასით არ განისაზღვრებოდა. ს.-დემოკრატიის პროპაგანდისა და ორგანიზაციული მუშაობის ასპარეზი გლეხობაშიაც იყო გადატანილი. მთელი რიგი პროვინციალური ს.-დემოკრატიული ორგანიზაციების დაარსება 1905 რევოლიუციის წინახანებში და თვით რევოლუციის პერიოდში იმის მაჩვენებელი იყო, რომ გლეხობაში ფართო გასავალი ჰპოვა ს.-დემოკრატიულმა მოძრაობამ.

აი ის მთავარი მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ჩვენში გლეხური მოძრაობის გარკვეული რევოლუციონური გზით მიმართვას და მუშათა და ფართო გლეხურ მასებს შორის მტკიცე კავშირის განმტკიცებას. ეს კავშირი გლეხობასა და მუშათა კლასს შორის არ აღმოცენებულა შემთხვევითი ფაქტების ზეგავლენით, მას ღრმა სოციალური ფაქტები ედო სარჩულად და იგი თანდათან მტკიცდებოდა ისტორიულ პირობათა ზეგავლენით. ამიტომ არის იგი მტკიცე და შეურყეველი.

2. გლეხთა მოძრაობის უმთავრესი პერიოდები საქართველოში

როგორც დავინახეთ, გლეხთა მოძრაობას საქართველოში ვრცელი ისტორია აქვს. საკმაო დოკუმენტები მოიპოვება მე 18 საუკუნის გლეხთა მოძრაობათა შესახებ. მაგრამ ეს სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ მე-18 საუკუნემდე საქართველოში არ ჰქონია ადგილი გლეხთა უკმაყოფილებასა და ამბოხებებს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს პერიოდი, ისე როგორც საერთოდ ძველი საქართველოს სოციალური ცხოვრების ვითარება, არ არის სათანადოთ შესწავლი-

---

победы пролетариата над капиталом... В Грузии социал-демократическая пропаганда раскрострапяется в виду особых обстоятельств лицами, которые для сельских местностей являются своими людьми. При таких условиях успех пропаганды не мог не быть обеспечен" („Всеподданнейшая записка по управлению Кавказским краем", გვ. 26, 30, 1907 წ.)

ლი. საქართველოს ისტორიისა და სოციალური მოძრაობის შემდეგი შესწავლა, ალბათ, უფრო ძველი ეპოქებიდანაც აღმოაჩენს ფაქტებს გლეხთა აჯანყების შესახებ.

მაგრამ ის ფაქტები, რომელიც დღეს ცნობილია, მოითხოვს სათანადო მიდგომასა და გაშუქებას. საქართველოს ისტორიულმა განვითარებამ მე-18 საუკუნიდან მოყოლებული დღევანდლამდე მეტად საინტერესო პერიოდი განვლო; ამისდამიხედვით საქართველოს გლეხობას სხვადასხვა საზოგადოებრივ ურთიერთობაში უხდებოდა ცხოვრება და მისი სოციალური პირობები და ეკონომიური მდგომარეობა სხვადასხვა იყო. თავის თავად ცხადია, რომ გლეხთა აჯანყების მიზეზები და მათი ამოცანებიც სხვაგვარი უნდა ყოფილიყო სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში. მაგ., 1905 წლის გლეხთა რევოლუციონური მოძრაობის შინაარსი და ფორმები სხვაგვარი უნდა ყოფილიყო, ვინემ მე-18 საუკუნის გლეხთა მოძრაობისა; აგრეთვე მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის გლეხთა მოძრაობის შინაარსი სრულიად არ შეესაბამება მენშევიკების ბატონობის პერიოდში წარმოებულ გლეხთა მოძრაობის შინაარსსა და ამოცანებს. ეს გარემოება ჩვენ გარკვევით იმას გვიკარნახებს, რომ გლეხთა მოძრაობის ისტორია საქართველოში შესწავლილი უნდა იქნეს გარკვეული ისტორიული პერიოდების მიხედვით.

ამ მხრივ აღსანიშნავია შემდეგი პერიოდები:

პირველი პერიოდი შეიცავს ეპოქას მე-18 საუკუნის დამლევამდე, როდესაც საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური შენობა ფეოდალურ ნიადაგზე იყო აგებული. საქართველოს ამ მძიმე ისტორიულ ხანაში, როდესაც იგი გარედან ათასგვარ შევიწროებას განიცდიდა მეზობელ სახელმწიფოთა თავდასხმის წყალობით, ხოლო შიგნით ფეოდალთა თავაშვებულება არღვევდა ნორმალურ განვითარების შესაძლებლობას, გლეხთა მოძრაობის შინაარსი ბატონყმური ურთიერთობის ფარგლებით განისაზღვრება. ამ პერიოდში შეუძლებელი იყო საქართველოში გლეხთა მოძრაობას ფართო მასიური ხასიათი მიეღო და მთელი თავისი შინაარსით ბატონყმურ წყობილების წინააღმდეგ ყოფილიყო მიმართული. ეს ისეთი ხანა იყო საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრების ისტორიაში, როდესაც ჯერ კიდევ გლეხობას არ შეეძლო პატრონის გარეშე არსებობა. თვით სისტემა საზოგადოებრივ წყობილებისა იმას მოითხოვდა, რომ ყოველი საზოგადოებრივი ფენა უნდა და-

მორჩილებოდა არსებულ წესს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ამოვარდნილი იქნებოდა საზოგადოებრივ ურთიერთობიდან. აქედან წარმოსდგა ის, რომ თავისუფალი პიროვნება იძულებული ხდებოდა ყმად შესულიყო,—ვინმეს ყმად გამხდარიყო. ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველი ნიადაგი მე-18 საუკუნის საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული არც ეკონომიურად, არც სოციალურად. ცხადია, ის, რაც ვერ მოამზადა საერთო ცხოვრების ვითარებამ და ისტორიულმა გარემოებამ, ვერ გახდებოდა ყველაზე უფრო ჩამორჩენილი წოდების მთავარ ამოცანად. თუ ქართველი გლეხობისათვის ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო საერთოდ ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა, სამაგიეროთ იგი გაცხარებით ებრძოდა ამ სისტემის მახინჯ მხარეებს. უკეთ რომ ვთქვათ, გლეხობა ცდილობდა ბატონყმურ წყობილების ფარგლებში გაეუმჯობესებია თავისი მდგომარეობა, შეექმნა ერთგვარი შეღავათიანი პირობები თავისთვის. ამ მხრივ ჩვენ ვხვდებით მთელ რიგ დოკუმენტებს, რომელნიც ნათელს-ჰყოფენ ამ პერიოდის გლეხთა მოძრაობის ძირითად ამოცანებს; ეს არის ბრძოლა ამა თუ იმ სასტიკ მემამულისა, თუ ცალკე ფეოდალური ორგანიზაციის (ეკლესია, მონასტერი) წინააღმდეგ. როცა მემამულენი ყმებს ზედმეტ ექსპლოატაციას უწევდნენ და მათი თავგასულობა ფეხქვეშ თელავდა გლეხთა ინტერესებს, ან როცა ართმევდნენ ზედმეტ გადასახადს, ჰყიდდნენ მათ და სხვ. აი, ასეთი პირობები იწვევდა გლეხობის უკმაყოფილებას და მემამულის წინააღმდეგ ბრძოლას. ფაქტებს უფრო ვრცლად ჩვენ გავეცნობით ქვევით.

X მეორე პერიოდი რუსეთის მართველობის დამკვიდრებით (1801 წ.) საქართველოში დაიწყო სრულიად ახალი ხანა. რუსეთი შემოვიდა საქართველოში როგორც აბსოლუტისტური მონარქიული სახელმწიფო, რომელიც სრულიად ვერ ურიგდებოდა ფეოდალურ კარჩაკეტილობას. ამ ფაქტით დაიწყო საქართველოში ფეოდალური წყობილების ლიკვიდაცია, მოისპო ფეოდალური სისტემის პოლიტიკური წყობილება, ხოლო მისი ეკონომიური საფუძვლები—ბატონყმობა და ბატონყმური მეურნეობა ხელუხლებელი დარჩა. რუსეთის მართველობის განმტკიცებით საქართველოში ფრიად განვითარდა საგაჭრო კაპიტალიც, რამაც გამოიწვია ნატურალური მეურნეობის დარღვევა და თავად-აზნაურობის ეკონომიურად დაცემა. ეს პერიოდი მეტის მეტად მძიმე შეიქნა ქართველი გლეხებისათვის.

ფეოდალური წყობილების ლიკვიდაციის პროცესმა და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განმტკიცებამ ეკონომიურად ძლიერ დასცა გლეხობა და მასთანვე მეტის-მეტად გაამწვავა წოდებათა შორის ურთიერთობა.

მთელი მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი ბატონყმობის გაუქმებამდე საქართველოში (1864 წ.), აღსავსე არის გლეხთა მასიური მოძრაობით, რომელიც ძლიერ ხშირად გრანდიოზულ ხასიათს ღებულობდა (მთიულეთის აჯანყება 1804 წ., კახეთის ორჯერ—1812 წ., გურიის—1841 წ., სამეგრელოსი—1857 წ.). გლეხობა უკვე იბრძვის მასიურად ბატონყმური უღლისა და მძიმე ბიუროკრატიული აპარატის წინააღმდეგ. აქ გლეხთა მოძრაობა გარკვევით გამოწვეულია ახალი პირობებითა და განუსაზღვრელი გადასახადებით. ეს არის ბრძოლა ბატონყმობის პერიოდში—ბატონყმობისავე წინააღმდეგ, ბრძოლა პირადი თავისუფლების მოსაპოებლად. მაგრამ ეს დიდი პერიოდი (1801—1864 წ.) თავისი მხრით ჩვენ უნდა გაეყოთ ორ ხანად: დაახლოვებით მე-19 საუკუნის 30-იან წლებამდე გლეხთა მოძრაობა გრანდიოზულ ხასიათს ღებულობს საქართველოში, მაგრამ ამ მოძრაობით უმთავრესად სარგებლობს ფეოდალური არისტოკრატია (ბატონიშვილები, დიდი-ფეოდალები და საერთოდ ანტირუსული მიმდინარეობა, რომელთაც სურდათ აღედგინათ საქართველოში მეფობა). აქ პირველ ხანაში გლეხთა მოძრაობა უმთავრესად მიმართული იყო რუსეთის მართველობის სისტემის წინააღმდეგ და რამდენადმე იჩრდილებოდა წოდებრივი ბრძოლის ხაზები. 30-იან წლების დასაწყისიდან რუსეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაამარცხა ფეოდალური არისტოკრატია. უკანასკნელი შეთქმულება (1832 წ.) არისტოკრატიის დამარცხებით დამთავრდა და საქართველოს თავადაზნაურობამ მთლიანად ქედი მოიხარა რუსეთის თვითმპყრობელობის წინაშე. ამ ხანიდან გლეხთა მოძრაობა თავისი დამოუკიდებელი წოდებრივი გზით წავიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ 30-იან წლებიდან გლეხობაში ფართოდ განვითარდა ბატონყმური უღლიდან თავის დაღწევის ლტოლვა. გლეხობა სასამართლოს გზითაც კი ცდილობდა მონობიდან განთავისუფლებას. ამასთანავე, საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს 1857 წ. სამეგრელოს გლეხთა აჯანყება, რომლის მეთაურები და ხელმძღვანელები გლეხთა წრიდან იყვენ გამოსულნი. ამ წელს რამდენიმე თვის განმავლობაში არსებობდა გლეხთა მართველობა, რომლის

მთელი ენერგია მიმართული იყო მებატონეთა წინააღმდეგ. ბატონყმობის მოსპობის წინა ხანებში საქართველოს მთელ რიგ პროვინციებში ჰქონდა ადგილი ხელჩართულ ბრძოლას მემამულეთა და ყმათა შორის. მაგრამ ბატონყმური ურთიერთობის მოსპობა საქართველოში არა გლეხთა რევოლუციის გზით მოხდა, არამედ ლეგალური გზით,—თვითმპყრობელობის ბიუროკრატიული აპარატის საშუალებდთ.

✕ მესამე პერიოდი. ეს პერიოდი შეიცავს რეფორმის შემდეგ ხანას (1864—1904 წ.), 1905 წ., რევოლუციამდე. ამ პერიოდის გლეხთა მოძრაობა და ბრძოლა ეკონომიურ-სტიქიური ხასიათისა იყო და მის ძირითად ამოცანას შეადგენდა მიწის მოპოება. თუ ბატონყმურ პირობებში გლეხი იბრძოდა პირადი თავისუფლებისათვის, ბატონყმური უღლის მოსპობისათვის,—ახალს საზოგადოებრივ ურთიერთობაში ქართველი გლეხის წინაშე ახალი ამოცანა აღიმართა: ბრძოლა მიწისათვის მისი არსებობის მთავარ მიზნად გადაიქცა. საქმე ის არის, რომ 1864 წ. „რეფორმამ" გლეხს იურიდიული თავისუფლება მიანიჭა, იგი გაანთავისუფლა ბატონობის უღლისაგან, სამაგიეროდ ეკონომიურად, მატერიალურად, გლეხს დიდი ზარალი მიაყენა: დიდძალი საუკეთესო მიწა, რომელიც ბატონყმობის დროს მის განკარგულებაში იმყოფებოდა, რეფორმამ ხელიდან გამოაცალა და მებატონეს გადასცა სრულ საკუთრებად. ხოლო ის მიწები, რომელიც გლეხობას დაუტოვეს, მას უნდა გამოეყიდნა განსაზღვრული ვადის განმავლობაში მემამულისაგან. ამრიგად, ქართველი გლეხის წინაშე აღიმართა ახალი ამოცანა—მისი საარსებო წყაროს—მიწის მოპოების შესახებ. აღსანიშნავია ის მთავარი გარემოებაც, რომ რეფორმის შემდეგ პერიოდში საქართველოში დაიწყო კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფი განვითარება. რკინის გზის გაყვანა, სამთამადნო წარმოების განვითარება, ფაბრიკა-ქარხნების ზრდა, სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერება და სხვა. ეს ფაქტები გადაჭრით ამბობენ იმის შესახებ, რომ საქართველოში ახალი სამეურნეო ურთიერთობა დაიწყო, რასაც თავისი გავლენა უნდა მოეხდინა სხვადასხვა სოციალურ კლასებზე.

ქართველი გლეხი, რომლის სოციალური მდგომარეობა უკვე შეირყა, ყოველმხრივ საექსპლოატაციო ობიექტი გახდა. ერთი მხრივ, ყოფილი მებატონე, მეორე მხრივ, მთავრობა სხვადასხვა გადასახადების სახით, მესამე მხრივ, სამღვდელოება, ხოლო მეოთხე

მხრივ, ახლად აღორძინებული კაპიტალი დაუნდობლად ყვლეფდა ჩვენს გლეხობას. ასეთს პირობებში გლეხობაში გაიზარდა უკმაყოფილების გრძნობა და გაღრმავდა წოდებათა შორის ბრძოლა. ბრძოლის მეთოდები ამ პერიოდში სხვადასხვაგვარი იყო: დაწყებული შეიარაღებული აჯანყებიდან და ხელჩართულ ბრძოლიდან მემამულეებთან, დამთავრებული ბოიკოტითა და გაფიცვით. რეფორმის შემდგომ პერიოდში გლეხთა აჯანყებას საქართველოში არ ჰქონდა ისეთი გრანდიოზული ხასიათი, როგორც ეს იყო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. მაგრამ აჯანყებას მაინც ჰქონდა ადგილი საქართველოს სხვადასხვა პროვინციებში: 1875-76 წლებში—სვანეთში, 1875-76 წლებში—სამეგრელოში, 1878 წ.—ქიზიყში, 1902 წ.—გურიას და სამეგრელოში. ეს აჯანყებები სტიქიურ ხასიათს ატარებდნენ და ნათლად გამოხატავდნენ გლეხთა უკმაყოფილებას არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობით, განსაკუთრებით კი აგრარული ურთიერთობით და სხვადასხვა გადასახადებით. ამ მოძრაობათა რგოლიდან გამოყოფილი უნდა იქნეს 1902 წლის გურიის გლეხთა მოძრაობა. ეს მოძრაობა უნდა ჩაითვალოს საქართველოში გარდამავალ საფეხურად გლეხთა სტიქიურ-ეკონომიურ მოძრაობიდან ორგანიზაციულ-პოლიტიკურ მოძრაობისაკენ. თუ წინათ გლეხთა მოძრაობას სარჩულად ედვა წმინდა ეკონომიური მომენტები და უმთავრესად სტიქიურად სწარმოებდა, ჯერ კიდევ არ იყო მასში შეტანილი პოლიტიკური მომენტი, ამ პერიოდიდან გლეხთა მოძრაობას თვით ხელმძღვანელი გაუჩნდა ს.-დემოკრატიისა და მუშათა კლასის სახით, რომლებმაც გლეხთა აგრარულ მოძრაობაში საყურადღებო ორგანიზაციული პრინციპი შეიტანა, მოძრაობას გარკვეული პოლიტიკური შინაარსიც მისცა. ამით ქართველმა გლეხებმა უდიდესი მოკავშირე და ხელმძღვანელი მოიპოვა, ხოლო თვითმპყრობელობამ და მემამულეებმა—უდიდესი მტერი. ასე დაიწყო სრულიად ახალი პერიოდი საქართველოს გლეხთა მოძრაობის ისტორიაში.

მეოთხე პერიოდი სწორედ ამ ახალი მომენტებით ხასიათდება: გლეხთა მოძრაობამ საქართველოში აშკარა პოლიტიკურ-ორგანიზაციული შინაარსი მიიღო ს.-დემოკრატიისა და მუშათა კლასის ზეგავლენით და მის მთავარ ამოცანად გადაიქცა არა მარტო ძველი აგრარული ურთიერთობის მოსპობა, არამედ თვითმპყრობელობის დამხობა და დემოკრატიული წყობილების დაწესება. ამ პოლიტიკურ აგრა-

რული მოთხოვნილებებით ამოიწურებოდა გლეხთა მოძრაობა 1905 წლის რევოლუციისა და შემდეგ ხანებში 1918 წლამდე.

მე-20 საუკუნის დასაწყისი საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში ხასიათდება ძუშათა გაცხოველებული მოძრაობით, საზოგადოებრივი მოძრაობის ფონზე ახალი დიდი პოლიტიკური ფაქტორის გამოსვლით, რასაც გადამჭრელი როლი უნდა ეთამაშნა ამიერ-კავკასიის საერთო ცხოვრების ვითარებაში. მუშათა მოძრაობის გაცხოველებამ და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მოღვაწეობამ გადამჭრელი გავლენა მოახდინა გლეხთა მოძრაობაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავი არის გურიის გლეხთა მოძრაობა, რომელსაც სათავეში სოციალ-დემოკრატია ჩაუდგა და რომელმაც თავის მხრივ შეითვისა სოციალ-დემოკრატიული პროგრამა. უსაბუთოდ არ სწერდენ მთავრობის ოფიციალურ მოხსენებაში: „გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ გურულები ავანაგარდია მთელ კავკასიაში რევოლუციონური იდეების გატარების საქმეში... გურულები 1904 წლის დასაწყისიდან შეეცადენ გაეტარებიათ ცხოვრებაში თავისი სოც.-დემოკრატიული იდეები წოდებათა გათანასწორების, კაპიტალიზმის მოსპობის და არსებული სახელმწიფო წესწყობილების შეცვლის შესახებ მუქარით, მკვლელობით, ძალდატანებითა და ტერორით.*

აღსანიშნავია, რომ რევოლუციონურ მოძრაობაში გურულმა გლეხებმა დიდი ენერგია და ორგანიზაციული ნიჭი გამოიჩინეს. მათ საესებით გადმოიღეს ქალაქის მუშათა კლასის ბრძოლის მეთოდები და ენერგიულად ებრძოდნენ მემამულეთა და მთავრობის აგენტებს. რევოლუციის დასაწყისშივე გურიის მოძრაობის შესახებ საზღვარგარეთული გაზეთ „საქართველოში“ ერთ-ერთი კორესპონდენტი სწერდა: „გურიის მდგომარეობა ამნაირია:

„მემამულენი გარბიან, სტოვებენ თავიანთ სახლ-კარს; მათი გაქცევა იმით აიხსნება, რომ გლეხები ემუქრებიან და მამულების ექსპლოატაციის სურვილს აცხადებენ. ხალხი მთავრობის სამსახურში აღარ დადის და ბევრმა, ხალხის შიშით საჩივარზე ხელი აიღო. ოზურგეთის მსაჯულს გამოეცხადებინა, არავითარი საქმე არა მაქვს. ხალხი ჩემთან აღარ დადისო, ყველა საქმეებს თურმე ხალხის მიერ ამორჩეული სამსჯავრო სწყვეტს.** ამრიგად აჯანყებულმა

* ფ. მახარაძე, „1905 წ. ამიერ-კავკასიაში“, გვ. 62, 70, 80.

** „საქართველო“, № 22, 1905 წ., პარიზი.

ხალხმა რევოლუციონური გზით გააუქმა თვითმპყრობელობის დაწესებულებანი და ხალხური თვითმმართველობა დააწესა. ხალხი გადაჭრით აყენებდა პოლიტიკურ მომენტსა და თვითმპყრობელობის მოსპობის საკითხს. მთავრობის წარმომადგენელს, კრიმ-გირეის, ხალხი უყენებდა რა მთელ რიგ პოლიტიკურ და აგრარულ-ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილებებს, უმტკიცებდა, რომ ყოველივე ამის განხორციელება ცხოვრებაში არ შეუძლია ახლანდელ მთავრობას, რომელიც ხალხს ჩაგრავს და სახლ-კარს უოხრებს. „ვთხოულობთ, რომ მოიწვიონ მთელი ქვეყნის სახალხო კრება. მხოლოდ ხალხის წარმომადგენელთ შეუძლია ხალხის საჭიროების გამოხატვა და ჩვენც მხოლოდ ამგვარ მთავრობას განუცხადებთ ჩვენს ნდობას. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი ქვეყნები ბევრია, მაგრამ ისიც ვიცით, რომ იქაც ბევრია ღარიბი და მდიდარი, ჩაგრული და დამჩაგვრელი, ესენი არიან მდიდრები, კაპიტალისტები და ღარიბები—იქ ისინი ებრძვიან ერთმანეთს. ასე მოგვივა-ჩვენც, მხოლოდ კაპიტალისტური მონობის მოსპობის შემდეგ დამყარდება ქვეყნად თანასწორობა და ბედნიერება. ეს კი ჩვენი შორეული მიზანია.*

საყურადღებო არის სამეგრელოს და კერძოდ ზუგდიდის მაზრის გლეხობის ბრძოლა. აქაც კლასიურმა ბრძოლამ მემამულეთა და გლეხებს შორის უმაღლეს ხარისხამდე მიაღწია. 1905 წ. ერთ-ერთი კორესპონდენტი სწერდა: „სამეგრელოში გლეხთა მოძრაობა დაიწყო აგრარულ ნიადაგზე ამ სამიოდე წლის წინად, როგორც გურიაში, თითქმის ერთსა და იმავე დროს. ს. აბასთუმანს და სხვაგან ხდებოდა ხალხის ყრილობები და მოლაპარაკება, მაგრამ ეს მოლაპარაკება მალე ჩაჭრა, რადგან არ ჰყავდა მომზადებული ხელმძღვანელები და მთავრობამაც სწრაფად დაიჭირა და გადაასახლა შეგნებული ელემენტები. წელს (1905 წ.) კი, როდესაც მთელი რუსეთი აბობოქრდა, გურიის ამბები ქვეყანას მოედო და საერთო გამოღვიძება დაიწყო, სამეგრელოში საოცარი ძალით იფეთქა მოძრაობამ... მოხდა სოფელში გლეხთა ყრილობა, სადაც შეფიცეს ერთმანეთს და გადასწყვიტეს ბოიკოტი გამოუცხადონ თავად-აზნაურთ, არ დაამუშავონ მემამულეთა მიწები, გააუქმონ სოფლის კანცელარიები, მოსპონ გადასახადები. შეხვედრის დროს ყველა ულოცავდა: „გაუმარჯოს ერთობას“. თავად-აზნაურობაზე ძალიან გადამტერებული იყვენ გლეხები და საქმეს უფრო

* „მოგზაური“, № 7, 1905 წ.

ამწვავებდა ზოგიერთი ცნობილი თავადი და აზნაური, რომელნიც წამდა-უწუმ პოლიციაში გარბოდნენ და გლეხებს აბეზღებდნენ. რამდენიმე ასეთი მემამულე გადასწვეს კიდეც. ხალხს მოაგონდა ძველი დრო, როდესაც უტუ მიქავას წინამძღოლობით გლეხები აჯანყდნენ (1857 წ.), ბატონთა უღელი თავიდან გადაიგდეს.*

შემდეგში ზუგდიდის გლეხთა ენერგიული დახმარებით რევოლუციონერმა პარტიებმა მთავრობის დაწესებულებანი გააუქმეს და მთელი მხარის მართველობა რესპუბლიკურ წესზე მოეწყო.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ 1905 წლის რევოლუციაში ქართველმა გლეხობამ დიდი აქტიური როლი ითამაშა და ამით დამტკიცდა, რომ გლეხთა რევოლუციონურ მოძრაობაში დაიწყო ახალი პერიოდი, პერიოდი პოლიტიკური ბრძოლისა მუშათა კლასის მეთაურობით თვითმპყრობელობის მოსასპობად და ხალხური თვითმმართველობის განსამტკიცებლად, გლეხობისათვის ნათელი შეიქნა, რომ მიწის საკითხის მოწესრიგება მათდა სასარგებლოდ, აურაცხელი გადასახადების გაუქმება და ადამიანური ცხოვრების მოპოება შეუძლებელი იყო, სანამ თვითმპყრობელობა ბატონობდა რუსეთში, სანამ ძალაუფლება ხელთ ეპყრო მემამულეთა კლასს. აქედან ნათელი გახდა გლეხობისათვის, რომ ბრძოლა მემამულეთა წინააღმდეგ და მიწის მოსაპოვებლად თხოულობდა უწინარეს ყოვლისა პოლიტიკურ ბრძოლას თვითმპყრობელობის მოსასპობად. ეს გამოცდილება მიიღო ჩვენმა გლეხობამ წარსული ცხოვრების ვითარებიდან და ნათლად შეითვისა ახალი ბრძოლის მეთოდები.

✗ მეხუთე პერიოდი: გლეხთა მოძრაობა ჩვენში არ შეჩერებულა „დემოკრატიულ-პოლიტიკურ“ ბრძოლის მომენტზე და როდესაც ჩვენში დაიწყო ბრძოლა (1918-21) საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, გლეხთა რაზმები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ამ ბრძოლაში. ბრძოლა საბჭოთა წყობილებისათვის—აი გლეხთა მოძრაობის მთავარი ამოცანა ამ პერიოდში. მენშევიკურ მთავრობის წინააღმდეგ წარმოებული გლეხთა აჯანყებები სამეგრელოში, ლეჩხუმში, გურიაში, დუშეთში და სხვ. ნათლად ამტკიცებდნენ, რომ რევოლუციონური გლეხობა ენერგიულად ეხმარებოდა მუშათა კლასს სოციალისტურ რევოლუციის წარმოების საქმეში. ეს ბუნებრივი მოვლენა იყო და ამას მოითხოვდა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ლოგიკაც:

* „ცნობის ფურცელი“, № 2844, 1905 წ.

ბრძოლა დემოკრატიისათვის და ბურჟუაზიული რესპუბლიკისათვის აღარ შეესაბამებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატების საქმეს; ცხოვრების მოძრაობამ უკვე შესდგა ფეხი უმაღლესი განვითარების საფეხურზე; მეორე მხრივ, ის დიდი გავლენა, რომელიც მოიპოვა პროლეტარიატმა ქართველ გლეხობაზე მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, იძლეოდა სრულ გარანტიას იმისას, რომ ეს ხელმძღვანელობა ბოლომდე შერჩებოდა მუშათა კლასს.

ასეთი იყო ის ფორმები და პერიოდები, რომელიც განვლო გლეხთა მოძრაობამ საქართველოში.

3. გლეხთა საერთო მდგომარეობა და მოძრაობა მე-18 საუკუნეში

მე-18 საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი წყობილება ფეოდალურ სისტემაზე იყო აშენებული. მაშინდელი საქართველო დაყოფილი იყო რამდენიმე სახელმწიფოთ და სამთავროთ და ამიტომ საქართველოში არ არსებობდა ერთი ცენტრალური ხელისუფლება. მაგრამ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი შენობა ცალკე სახელმწიფოების იერარქიულ წესზე იყო აგებული. ამ წყობილების ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენდა მიწათმფლობელობის ბატონობა: მიწა იყო უმთავრესი წყარო სიმდიდრისა. ამ მიწისმფლობელობის საფუძვლებზე იყო აგებული პოლიტიკური შენობის სისტემაც. მიწის მფლობელობიდან გამომდინარეობდა განსაკუთრებული უფლებები ბატონობისა და გამგებლობისა იმ ტერიტორიის მოსახლეობაზე, რომელიც მიწისმფლობელის განკარგულებაში იმყოფებოდა: ყოველი დიდი მიწისმფლობელი იმავე დროს იყო მმართველი თავისი ტერიტორიის მოსახლეობისა. საქართველოს მეფეც ამ მიწისმფლობელთა შორის პირველთაგანი იყო და ამიტომ იგი აღჭურვილი იყო მთელი უფლებებით და თეორიულად მის ხელში იყო მთელი სახელმწიფოს ბედ-იღბალი, ფაქტიურად კი მეფის უფლებას ზღუდავდნენ დიდი მიწადმფლობელნი, „დიდ-დიდი თავადნი“, რომელთა განკარგულებასა და სამართალს ემორჩილებოდა მისი ტერიტორიის მოსახლეობა. მაგრამ სენიორი (ბატონი—მიწისმფლობელი) სრული დამოუკიდებელი როდი იყო; იგი დამოკიდებული იყო მეფეზე; ხოლო მსხვილ ფეოდალს, ბატონს თავისი მხრით დამოკიდებულებაში ჰყავდა მასზე უფრო დაბლა მდგომი მიწათმფლობელი ბატონი. აქედან წარმოსდგა საქართველოს სახელ-

მწიფოებრივ წყობილებაში იერარქიული სისტემა, რომელიც დაბლიდან ზევით მიემართებოდა. აქედან ცხადია, რომ ცენტრალური ხელისუფლება ძველს საქართველოში სუსტი იყო; მას ძლიერ ხშირად მეტოქეობას და ურჩობას უწევდა მსხვილი მიწათმფლობელი, რომელიც პოლიტიკური ძლიერებითაც იყო აღჭურვილი. ასეთი იყო საქართველოს ცალ-ცალკე სახელმწიფოების პოლიტიკური წყობილება მე-18 საუკუნეში. ასეთი პოლიტიკური წყობილება საქართველოში ერთი ხელის მოსმით არ აღმოცენებულა. იგი საუკუნეთა განმავლობაში მტკიცდებოდა და მაგრდებოდა. იგი არც ქართველი ერის „ნაციონალურ საკუთრებას“ შეადგენდა: ასეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება განვლეს ევროპის ყველა ერებმა, მაგრამ იქ ფეოდალიზმის რღვევის პროცესი დაიწყო ახალი საუკუნეების დასაწყისიდან კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისა და ბურჟუაზიის წარმოშობის ზეგავლენით. ჩვენი ცხოვრების ეკონომიური განვითარება 17—18 საუკუნეებში ვერ წავიდა აღნიშნული გზით და თვით საქართველოში ვერ მომზადდა ობიექტიურად ნიადაგი,—ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებისა და მესამე წოდების წარმოუშობლობის გამო, ფეოდალიზმის ლიკვიდაციისათვის. ის, რაც ვერ მოხდა შინაური განვითარებით, შესაძლებელი შეიქნა გარეშე ძალის ჩარევით: რუსეთის ბიუროკრატიულმა მართველობამ დაშალა ფეოდალური წყობილება და სხვა გზით მიმართა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების განვითარება.

მაგრამ მე-18 ე საუკუნის საქართველოსთვის არ იყო დამახასიათებელი მარტო ზემოთ ჩამოთვლილი პოლიტიკური წყობილების ფორმა: მის სოციალ-ეკონომიურ სტრუქტურას ახასიათებდა ბატონყმური ურთიერთობა. ბატონყმობა, როგორც აღნიშნავს პროფ. ა. ხახანაშვილი—ყველგან და ყოველთვის იყო პირველად აშენებული მამულის მფლობელობის ნიადაგზე. მას ედო სარჩულად ეკონომიური დამოკიდებულება მამულის პატრონთა და მის დამმუშავებელთა შორის; იგი აშენდა პირველად მატერიალურ უფლებაზე და მხოლოდ შემდეგ, ჩვეულებად მიღებული დედააზრი განმტკიცებულ იქნა იურიდიული სანქციით. რასაკვირველია, ბატონყმური ურთიერთობის საფუძვლები მატერიალურ-ეკონომიურ ნიადაგზეა აღმოცენებული: ერთი მხრივ, საკუთრებას მოკლებული პიროვნება, მეორე მხრივ, საკუთრებით (მიწით) აღჭურვილი პიროვ-

ნება უპირისპირდება ერთი მეორეს. ამ ეკონომიურ საფუძვლებზე იყო აშენებული ბატონყმური ურთიერთობაც: ერთი—უფლება აყრილი იყო, ხოლო მეორე—უფლებით მოსილი. აქედან წარმოსდგა გარკვეული კანონმდებლობაც ბატონისა და ყმის ურთიერთობის შესახებ საქართველოში: ამ კანონმდებლობამ ყმა საესებით დაუმორჩილა მემამულეს, ბატონს. ყმა მებატონის სრულ საკუთრებად გადაიქცა, როგორც უფლებას მოკლებული ნივთი. ვახტანგ მეფის კანონით: „ყმის-ყველა ბატონისა არის“ (§ 258); ეს დებულება ნათლად გამოხატავდა, ერთი მხრივ, იმ უფლებებს, რომლითაც აღჭურვილი იყო ბატონი, მიწისმფლობელი თავისი ყმისადმი და მეორე მხრივ, იმ უუფლებობას და შევიწროებულ მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფებოდა ყმა-გლეხი. ყმა გადაიქცა ბატონის საკუთრებად და მას შეეძლო ის, როგორც ნივთი, მოეხარა. „მის შემდეგ, რაც ბატონყმობამ მიიღო სახელმწიფო ხასიათი,—სწერს ა. ხახანაშვილი—ბატონი მეფის მოხელე გახდა, ბატონის უფლება გაორკეცდა და შესდგა ორი ელემენტისაგან—ეკონომიურისა და პოლიტიკურის ხელისწიფობისა: როგორც მამულის მფლობელი, იგი სარგებლობს ყმის შრომითა და საბსახურით; როგორც სახელმწიფოს აგენტი ბჭობს ყმათა საქმეს, ყურს უგდებს იმის ობლებს და პასუხისმგებელია ყმისა მთავრობის წინაშე. ბატონი გახდა ხელმწიფის წარმომადგენლად პროვინციაში, მიეცა განსაკუთრებული უფლებები და მოვალეობა; ბატონი გახდა მზრუნეელი და მსაჯული ყმისა, გაუფლდა იმის პიროვნებაზე, როგორც კანონიერი, მთავრობისაგან დაყენებული მოხელე, რომელსაც ნება აქვს დატუქსოს და დასაჯოს მოუდრეკელი, ურჩი ყმა.*

ქართული კანონების მიხედვით ყმა ორგვარ სამსახურს უწევდა მებატონეს: ერთი ხრივ, იგი, როგორც ბატონის მამულზე დასახლებული და მისი მიწების დამმუშავებელი, ბატონს აძლევდა შემოსაელის ნაწილს ნატურის სახით (ღალა, კულუხი და სხვ.). ეს იყო მატერიალურ-ქონებრივი გადასახადი გაწერილი ყმაზე; არც ერთი ეს გადასახადი არ იყო განსაზღერული კანონით და მემამულეს შეეძლო თავისი სურვილის ხიხედვით გაეძრო ტყავი ყმებისათვის; მეორე მხრივ, გარდა ქონებრივი გადასახადისა, ყმა პირად სამსახურს უწევდა მებატონეს (ბეგარა და სხვა**). ამას ემატება აგრეთვე სხვადასხვაგვარი სახელმწიფო გადასახადები. ასეთი

* ალ. ხახანაშვილი: „ბატონყმობა საქართველოში“, ჯგ. 5—6, 1910 წ.
** იქვე, გვ. 75-6.

იყო ყმასა და ბატონის იურიდიული უფლებები, გარკვეული ვახტანგ VI კანონების მიხედვით. ამ კანონებმა ყმა ბატონის სრულ მონა-მორჩილად გადააქციეს, იგი ბატონის ხელში „ცოცხალი ნივთი“ იყო, როგორც სურდა ბატონს, ისე ხმარობდა მას. თუ ასეთი იყო კანონები, მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ როგორ სახეს მიიღებდა იგი რეალურ სინამდვილეში. ქვევით მოყვანილი ფაქტები ამას ნათელს მოჰფენენ.

ყმა მარტო მებატონეს არ ჰყავდა. ყმის მფლობელად საქართველოში გამოდიოდა სამი დიდი სოციალური ძალა და ამისდამიხედვით ყმები სამ სახედ ან კლასად გაიყოფებოდენ: მებატონე—ა) უწინარეს ყოვლისა ყმის მფლობელად გამოდიოდა, აქედან წარმოსდგა საბატონო ყმა, ბ) სახელმწიფო, აქედან—სახელმწიფო ან სახასო ყმა; გ) ეკლესია, აქედან—საეკლესიო და სამონასტრო ყმა. ეკლესია საქართველოში ისეთივე ფეოდალური ძალა იყო, როგორც დიდი მემამულე—ფეოდალი. ქრისტიანული მოძღვრების გამავრცელებელი ეკლესია, ისე, როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიაც საკმაოდ დაემორჩილა საზოგადოებრივი ცხოვრების კანონებსა და გადაიქცა ერთ-ერთ უდიდეს ფეოდალურ ორგანიზაციად. მის განკარგულებაში იყო დიდძალი მამული და ყმები, ისიც იმავე წესით ეწეოდა ყმა-გლეხობის ექსპლოატაციას, როგორც მემამულე-ბატონი. მაგრამ ეკლესიის, როგორც დიდი ფეოდალური ორგანიზაციის მნიშვნელობა მაშინდელს ფეოდალურ ურთიერთობის სისტემაში, შედარებით სხვებთან მეტად დიდი იყო... ეკლესია ფეოდალურ სისტემაში წარმოადგენდა სახელმწიფოს სახელმწიფოში, თავის სამფლობელოში ის თითქმის დამოუკიდებელი იყო. მას დიდძალი შემოსავალი ჰქონდა, სხვადასხვა შეწირულებების სახით მისი ქონება დღითი დღე იზრდებოდა; ასე რომ, ეკონომიურად იგი უძლიერესი ორგანიზაცია იყო. ეკლესიებსა და მონასტრებს ხშირად სწირავდნენ მამულსა და ყმებს. 1632 წ. ერთ-ერთ გუჯარში ვკითხულობთ: მეფე თეიმურაზმა თავისი მეუღლითურთ მანგლისის ეკლესიას შესწირა ხუთი კომლი გლეხი და ზემო მონისის ვენახი. ეს გლეხები მეფემ გაანთავისუფლა ყოველგვარ გადასახადისაგან, გარდა სათათრო გადასახადისა.* ასე რომ, ყმები ეკლესიის სრულ განკარგულებაში გადაიდენენ. ეკლესია ისევე ეწეოდა ყმების ყიდვა-გაყიდვას, როგორც სხვა ფეოდალები. 1773 წ. გუჯარი გადმოგვცემს: რუსთავის ეპისკოპოსმა კირილემ იყიდა უმიწაწყლო გლეხები

* Д. Пурцеладзе: „Грузинские церковные гуджары“, вз. 7, 1881 წ.

და დაასახლა ისინი რუსთავის ეკლესიის მამულზე.* 1710 წ. ჯავახიშვილმა მეფის ნებართვით მიყიდა მანგლისის ეპისკოპოსს იოსებს თავისი გლეხის მამული.** ასეთი მაგალითები უამრავია საქართველოს ეკლესიის ისტორიაში.

ყმა მემამულის არსებობის ერთ-ერთ უდიდეს წყაროს შეადგენდა. ბატონს ყმის გარეშე არსებობა არ შეეძლო და არც წარმოედგინა. იმ ხანებში ყმა და მიწა-მამული ორი დიდი საფუძველი იყო ბატონის ეკონომიური სიძლიერისათვის. 1783 წ. ბეგი იესე ოსეს შვილი თავის მემამუარებში სწერდა: „მე ეს მინდა, ჩემს შვილებს ყმა ჰყვანდესთ, რომ თავის ამხანაგებთანაც კარგად გამოვიდნენ და სარჩოსაც მოურჩენდნენ... უყმო კაცს რა სარჩო ექნება და რომელი უმჯობესია, თქვენ გასაჯეთ. იფიქრეთ, ბერიკაცი, ავადმყოფი ორ თუმანს ვიშოვი თუ მეტსა და ნაკლებს, ჩემთვის ვერ გავიმეტებ, ყმაში მივცემ ხოლმე“...***

როგორც ზევით დავინახეთ, ყმა არა მარტო ეკონომიურ-ქონებრივ და პირად სამსახურს უწევდა მემამულეს, არამედ იგი, როგორც ნივთი, სავაჭრო ობიექტსაც წარმოადგენდა. საქართველოში ყმის ყიდვა-გაყიდვა მეტად გავრცელებული იყო და ამას კანონიც აძლევდა ნებას. აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენა სრულიად არ შეწყვეტილა მე-19 საუკუნეშიაც, როდესაც მან მეტის მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. მემამულეები და ეკლესია-მონასტრები ყიდდენ და ყიდულობდენ ყმებს როგორც მთელი ოჯახებით, ისე ცალ-ცალკე ოჯახის წევრს. ამის შესახებ უამრავი დოკუმენტები არსებობს. რუსეთში გაგზავნილ 1800 წ. ტრაქტატში ჩვენ ვკითხულობთ: „ეს-რედევე ვიდრე ამ დრომდე იყო საქართველოსა შინა ჩვეულება, რომელ მუნებურნი მებატონენი გლეხთა თვისთა ჰყიდდენ ვინ, როგორ, რაოდენსაც ინებებდა და ამისათვის არაკეთილნებულ იქნებისა, რომელ ესე ვითარი მსყიდველობა ან დაყენებულ იქმნას და ებრძანოს, რათა გასყიდონ არა სხვაგვარ, არამედ ერთბაშად სახლეულობით და უძრავის მამულით თვისითა“. **** უნდა აღინიშნოს, რომ ტრაქტატი არ მოითხოვს ყმის ყიდვა-გაყიდვის მოსპობას: ის მხოლოდ ოჯახითა და მამულით ითხოვს ყმების ყიდვა-გაყიდვის დაწესებას რუსეთის ხელისუფლებისაგან. ზემოთ დასახელებული მდივანბეგი სწერს: „ოსეთში კაცი გავგზავნე ოსების საშოვნელად.

* Д. Пурцеладзе: „Грузинские церковные гуджары, გვ. 6.
** იქვე, გვ. 10.
*** „თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა“, ს. კაკაბაძის გამოცემა, გვ. 128.
**** პ. იოსელიანი: „ცხოვრება მეფე გიორგი XIII-სა“, გვ. 137.

ბევრი დამეხარჯა, მეპირებიან და ჯერ არსად სჩანს რა. ეგების ყმა გაგიმრავლდესთ''.* საფუძვლიანად სწერს იმ ეპოქის შესახებ პროფ. ა. ხახანაშვილი: „ამ არეულს, დაულაგებელს ცხოვრებაში ყმობა და ყმათა გაცემ-გამოცემა წარმოადგენდა საშინელ სურათს კაცობრიულ ღირსების დამცირებისას. ყმის აღებ-მიცემობის საგნად გახდომა ამტკიცებს გონებითა და ზნეობრივ დაცემულობას მაშინდელის საზოგადოებისას''.** რასაკვირველია, თანამედროვე თვალსაზრისით ადამიანით ვაჭრობა არა ნორმალურ მოვლენას წარმოადგენს. მაგრამ ბატონყმურ ურთიერთობისა და მორალის თვალსაზრისით იგი გამართლებული იყო: ყმების ყიდვა გაყიდვა არსებითად ანარეკლი იყო მაშინდელი საზოგადოებრივი ურთიერთობის, რომელიც აშენებული იყო ერთი პიროვნების მეორეზე ბატონობის საფუძველზე.

მე-18 საუკუნის ქართველი გლეხობის მდგომარეობას ნათლად წარმოვიდგენთ, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ეს საუკუნე საქართველოსათვის მეტად აუტანელი და მძიმე იყო. მიუხედავათ იმისა, რომ ამ ეპოქაში, შედარებით წინა საუკუნეებთან, საქართველოს საერთო მდგომარეობა გაუმჯობესდა, იგი მაინც კრიტიკულად უნდა ჩაითვალოს. ეკონომიურად ჩვენი ქვეყანა დაცემული იყო. ამ „აღორძინების ეპოქაში'', როგორც მას ჩვეულებრივად უწოდებენ ისტორიკოსები, საქართველომ ვერ შესძლო ვაჭრობისა და წარმოების განვითარება და მისი შესაფერის დონეზე დაყენება. მართალია, ვაჭრობა ცოტაოდნად გამოცოცხლდა, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობა დამყარდა,*** მაგრამ ეს კიდევ ჩანასახის პროცესში იმყოფებოდა და საერთოდ ქვეყნის ეკონომიური აღორძინება მას არ შეეძლო. პოლიტიკურად საქართველო გარშემორტყმული იყო უამრავი მტრებით და დღითი-დღე ომების გადახდა სჭირდებოდა. დოკუმენტები გადმოგვცემენ, რომ არამც თუ გლეხები, არამედ თვით თავად-აზნაურებიც საგრძნობ ეკონომიურ შეჭირვებას განიცდიდენ. დასახელებული ერეკლე მეფის მდივანბეგი ოსეშვილი თავის მემუარებში 1763 წ. სწერს:... „ავი დრო იყო, ყოველ დღე დამფხობას მოველოდით, ლეკისაგან აკლებასა, საქართველოს სრულიად დაშერასა. კარგი არა სჩანდა მეფის ჰკუისა და ღვთის მოწყალებას მეტი. ყოველ დღე დიდ ჯარებს გამოვე-

* „თავგადასავალი'', 122.
** ა. ხახანაშვილი, „ბატონყმობა საქართველოში'', გვ. 91.
*** ს. კაკაბაძე: საქ. ეკონომიური ვითარება მ ე-18-ე საუკუნეში.

ლოდით, საქართველოს წალეკას და ჩვენს აკლებასა და დიდი გამარჯვება იქნებოდა თუ რუსეთს დავეკარგებოდით“.*

ასეთი პირობებში, რასაკვირველია, ძნელი იყო მეურნეობასა და ეკონომიური ცხოვრების წარმატებაზე ზრუნვა; სისტემატიური ომები და თავდასხმები ხელს უშლიდა სამეურნეო აღორძინებაზე ზრუნვას. იგივე მდივანბეგი გადმოგვცემს, როგორ ეკონომიურ შევიწროვებას განიცდიდა თავად-აზნაურობა. „მანეჩარ სოლოღაშვილი ამოვიდა, დიდი საქმის გაჰიერება მიამბო, რაც შენ მომეც (ფული), სულ ვალებს დაურიგეო, დიდის ფიცით მითხრა, ორი დღე არის, არ მჭონია პური, არც ჩემს შვილსაო. ძიძამ შემომიგდო, აღარ აწოვა, საჯამაგიროს მთხოვსო, ექვსის თვისა მმართებსო, ის ჩემი შვილი გუშინ წუხელის და დღეს ჩემს სახლში გდია, უძლური ტირისო, ისე მიკვდება და ვისაღასთვის მინდა მამულიო“... (იქვე, გვ. 51). თავად-აზნაურობისა და ხალხის საერთო ეკონომიურ გასაჭირს 1770 წ. აღნიშნავდა თავის მოხსენებაში მთავრობისადმი რუსეთის რეზიდენტი იაზიკოვი: „ხალხი ქართლ-კახეთში ძლიერ ღარიბია. გლეხები ძლივს თვეში ერთხელ ერთ ნაჭერ ხორცს თუ მოიხარშავენ—ტანისამოსსა და პერანგს სრულს დაფლეთამდე ატარებენ. აზნაურები ბევრნი არიან, მაგრამ ნახევარზე მეტი ისეთი ღარიბია, რომ მთელი დღეობით უჭელი სხედან“. მებატონეთა ასეთი ეკონომიური დაცემის ზეგავლენით ურთიერთობა წოდებათა შორის,—ყმებსა და მემამულეთა შორის უფრო უნდა გამწვავებულიყო, ნებატონის სურვილი თავიანთ მოთხოვნილებების გლეხთა ექსპლოატაციით დაკმაყოფილებისა უფრო უნდა გაზრდილიყო. და მართლაც, თავიანთ დანაკლისის ანაზღაურებას მემამულენი გლეხთა გაასკეცებული ექსპლოატაციით ცდილობდნენ. ამ შეძთხვევაში პრაქტიკულად სიხარბეც ის მცირედი იურიდიული უფლებებიც კი წაართვა გლეხობას, რომელსაც მას კანონი ანიჭებდა; ყმა ცხოვრებაში ბატონის სრული მონა-მორჩილი გახდა, მისს სრულ საექსპლოატაციო ობიექტად გადაიქცა. „ვახტანგის დროს პრაქტიკაშ უფრო შეხუთა ყმა, შეუმცირა რა თავისუფლება, მოაკლო ქონებრივი უფლება ბატონს სასარგებლოდ.** შემდეგში ეს პროცესი შეუჩერებლივ მიმდინარეობდა გლეხთა მდგომარეობის გაუარესებისაკენ. ცნობილი მოგზაური, აკადემიკოსი გილდენშტეტი, რომელმაც 1771-73 წლებში ბოიარა აღიერ-კავკასია და საქართველო, ჩვენი გლეხების მდგომარეობის შესახებ სწერდა: „Простой народ без

* „თავგადასავალი“, გვ. 53.
** ხახახაშვილი, გვ. 331.

исключения нации и веры крестьянского рабского состояния. Он не имеет собственности, должен давать и делать то, что угодно господину, который может его заложить, продать, подарить другому, словом поступить с ним произвольно". * საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს სამეგრელოს გლეხთა მდგომარეობის შესახებ მე-17 საუკუნის ფრანგი მოგზაური შარდენი: „მაღალი წოდება სრული ბატონია თავისი ქვეშევრდომებისა, მათი ქონება იმისია, მათი სული და ხორცი იმის ხელშია; უფლება აქვს სიცოცხლეც კი მოუსპოს, რაც უნდა, იმას უშვრება; წაართმევს ცოლშვილს, შეუძლია გაუყიდოს, ანდა ისე მოიხმაროს, როგორც მოესურვება. ყოველ გლეხს ბატონთან მოაქვს გადაჭრილ ზომის ხორბალი და სხვა ნაწარმოებები, მიჰყავს საქონელი, ასე რომ, ბატონის სიმდიდრე გლეხების რიცხვზეა დამოკიდებული. გარდა ამისა გლეხი ვალდებულია, წელიწადში ერთ-ორ-სამ დღეს ასეას, აჭამოს თავის ბატონს, ამიტომ მებატონე მთელი წლის განმავლობაში იქითაქეთ დადის და თავის გლეხებს სახლებში ჩაუჯდება და მისი ხარჯითა ცხოვრობს... მთავარიც ასე ცხოვრობს, ასე რომ, ძნელია მისი სამყოფის გაგება. თან დაყავს მთელი თავისი ოჯახი, ქალები, მუშები, მოსამსახურენი, სტუმარნი, ელჩნი და სხვა პატივსაცემი უცხოელნი, როცა ესენი ეწვევიან; აცათ ემატება ფეხშიშველი გლეხები, რომელთაც ქვევითად ზურგითა და თავით მთავრის ბარგი-ბარხანა მოაქვთ, ასე რომ რიცხვმრავალი ამალა შესდგება ხოლმე. მთავარი ამ სიარულის დროს ხარკს ჰკრებს ხოლმე და ვისგანაც კი არ ერგება, საჩუქრებს ართმევს. **

საინტერესო სურათს გადმოგვცემს გლეხთა მდგომარეობის შესახებ სამეგრელოში იოანე ბატონიშვილი თავის „ქალმასობის" ახლად აღმოჩენილ მეორე ნაწილში, რომელშიაც იგი უმთავრესად დასავლეთ საქართველოს ვითარებას ეხება. ავტორს მასალად აღებული აქვს მე-18 საუკუნის ვითარება, თუმცა ძლიერ ხშირად მე-19 საუკუნესაც ეხება. ქვემოთ მოყვანილი სურათი გამოხატავს მე-19 საუკუნის წოდებრივ ურთიერთობასაც. ქალმასობის გმირი, ბერი იოანე ხელაშვილი სამეგრელოს ეწვია, „ბერი (ხელაშვილი) და ეს მღვდელი ჩამოახდინეს ერთადერთ გლეხისას და უმასპინძლა გლეხმა მან მას ღამეს, ხოლო მეორესა დღესა იხილა ბერმა (ხელაშვილმა), რომელ მოყვანდაი ბოქაულთა ძროხა ორი და რამოდენიმე

* И. Гильденштет: „Описание Грузии и Кавказа" გვ. 276-7, 1809 წ.
** Путешествие Шардена по Закавказью; აგრეთვე: „ბატონ-ყმობა სამეგრელოში" გვ. 9—10, 1927 წ.

თხა და ღორი. უკან მისდევდა მწუხარედ მოხუცებულნი კაცნი და მიგვარეს მესტუმრეს. მესტუმრემ უბრძანა მზარეულთა ცქვიტათ დაკალით და მოხარშეთ, სადილს ადრე მიირთმევს მგონიო. მათ აღასრულეს ბრძანებული მისი. ბერი უყურებდა და ამ კაცთა მწუხარებას ფიქრობდა. მაშინ კითხა ხუცესსა: ეს კაცნი რათ სწუხანო. ხუცესმა: ეგ ძროხები და თხები მაგათი იყო და მათთვის, რომ დაუკლესო... და ამ სოფელში ორი კვირა იდგენ. ყოველდღე გლეხნი თავისას მოსადგურეთ უმასპინძლდებოდა თხით, ღორითა, ქათმითა, კრავითა, ქვევრების მოხდით და ღვინოებით, ღომით, სიმინდით, ღომის ჩალით და ცხენთათვის აუხდიდენ დაფარულ სახლებს, და აჰშენდენ ცხენს. სწვავდენ ჰიგოთა, სართა და აქცევდეს ვენახთა და ბაღებთ, ღობეებს და შერე სახლებსაც გვერდებს გამოუქცევდენ დასაწვავად. რა ეს იხილა ბერმა სთქვა: ხუცესო, ამ სოფელს რა შეცოდება აქვსო, რომ ამ ყოფაში გყავსო. ხუცესმა: არაფერი, სტუმრებს ასე უნდა დახვდენო... რათ გიკვირს შვილებსაც გაუყიდიან აქ თავის მებატონენი თათრებზე, რომ სკალატი იყოლიონ ტანისამოსად და სხვა ფარჩები, რომ დაუშალო მშიერი მოუკეტები და ტიტველი, რა ჭკუა არის.“*

გლეხთა ამ შევიწროებულ ეკონომიურ პირობებსა და ბატონის განუსაზღვრელ ექსპლოატაციის შესახებ გოდებენ ის ხალხური ლექსები, რომელიც ბატონყმურ ურთიერთობას შეეხებიან. მოვიყვანოთ რამდენიმე ნიმუში.

1 მუხრან-ბატონის ყმობითა
ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა,
ვერც ლურჯი ჩოხა ჩავიცვი,
ვერც ახალუხი ქობითა,
ვერც დეკეული გავხედნე,
ვერც კალო ვლეწე მოზვრითა.

2 დ-საქცევი მებატონე
ჩამოივლის ვაოიანსა,
წიოკობას აუყენებს
ქათამსა და ვარიასა.

3 ვაი და ვაი მასაო
ამილახვრიანთ ყმასაო,
წამომკიდებენ ქვასაო,
დააძახებენ „ვაჰსაო.“

4 ქართლი იმისთვის დავაგდე,
თოვლს დასდებს, აღარ აიღებს,

* ს. კაკაბაძის „საისტორიო კრებული“, წიგნი IV, გვ. 51-2.

რაც რომ მოსავალი მოვა,
მოვა ბატონი წაიღებს.

ასე გამოსთქვამდა ხალხური ლექსებში ყმა-გლეხი თავის აუტანელ მდგომარეობას.

ჩვენ ზევით საკმაო საბუთები მოვიყვანეთ იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი იურიდიული და ფაქტიური დამოკიდებულება არსებობდა ბატონსა და ყმას შორის და საერთოდ, როგორი იყო გლეხობის მდგომარეობა: უფლებააყრილი ბატონის სრულს მორჩილებაში მყოფი ყმა დიდ ეკონომიურ შეიწროებას განიცდიდა. ასეთს მდგომარეობას არ შეეძლო არ გამოეწვია გლეხთა პროტესტი, არ შეეძლო არ მიეყვანა გლეხობა აქტიურ უკმაყოფილებამდე. მაგრამ კითხვა იბადება, როგორ ფორმებში შეიძლებოდა გამომჟღავნებულიყო ეს უკმაყოფილება და პროტესტი და ან როგორი იყო მე-18 საუკუნის გლეხთა მოძრაობის მთავარი ამოცანები. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ მე-18 საუკუნის გლეხთა მოძრაობას ჩვენში არ შეიძლება ძირითად ამოცანად ბატონყმური ურთიერთობის შოსპობა ჰქონოდა. მაშინდელი საზოგადოებრივი ურთიერთობა ამისაგვის არ იძლეოდა შესაძლებლობას: მაშინდელ ისტორიულ პირობებში ჯერ კიდევ არ იყო ეკონომიურად და სოციალურად ნიადაგი მომზადებული ბატონყმური ურთიერთობის მოსასპობად, ხოლო გლეხობას, არსებულ ფეოდალურ სისტემაში დამოუკიდებელი, თავისუფალი არსებობა არ შეეძლო. მას პატრონი ესაჭიროებოდა, გარეშე ამ ბატონისა და პატრონისა იგი ამოვარდნილი იქნებოდა საერთო ცხოვრების ვითარებიდან. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, - რომ დამოუკიდებელი თავისუფალი გლეხი მაშინ არ არსებობდა. რასაკვირველია, ასეთებიც იყვნენ,* მაგრამ ესენი იყვნენ ეკონომიურად მოღონიერებული გლეხობა, მატერიალურად უზრუნველყოფილნი სხვადასხვა პირობების გამო. მაგრამ გლეხთა ასეთი კატეგორიის რიცხვი მცირედი იყო. გლეხი ეკონომიურ პირობებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის ზეგავლენით იძულებული ხდებოდა პატრონი ეძებნა და ყმად შესულიყო. ეს ყმად შესვლა ჩვეულებრივი მოვლენა იყო საქართველოში. 1630 წ. დოკუმენტი გადმოგვცემს, რომ მემამულემ გამოიყიდა გლეხი ტყვეობიდან, მისცა მას მიწა და სხვ. გლეხიც თავისი ოჯახით შევიდა მის ყმად საუკუნოდ. 1794 წ. თ. გიორგიშვილმა მის-

* მიუხედავად საქართველოს საზოგადოებრივი სტრუქტურის სიმარტივისა, მაშინდელი სოციალური კლასები და ფენები მრავალნაირი იყო. ბატონიშვილი ვახუშტი შეძდეგ კატეგორიებს ჩამოთვლის: სოფლიერნი 1) ერისთავნი 2) მთავარნი; 8) ახნაურნი; 4) ვაჭარნი; 5) მსახურნი და 6) ძუშაკნი გლეხნი. („სა-

ცა მდიევან თუმანიშვილს გუჯარი, რომ ის მოვიდა უცხო ქვეყნიდან და არ ჰყავდა ბატონი და ამიტომ მოისურვა რა შეევიდეს მის ბატონობაში, მისცა მას თავისი თავი შვილებითა და შვილშვილებით ყმად.* ოსესშვილი თავის მემუარებში 1779 წ. სწერს: „ხელაძე პაატას კაცი მოეგზავნა, იმერეთიდან გადმოსული ვარო, აქ ქალაქში ვარ დიდი ხანიაო, ვალი დამატყდა და არც სარჩო მაქვსო. ეს ვალი გადამიხადე, წლის სარჩო მომეცი და წიგნს მოგცემ, შენი ყმა ვიქნებიო“ („თავგადასავალი“, გვ. 120). რასაკვირველია, დღევანდელი თვალსაზრისით ეს თავის თავის გაყიდვა და სხვის ყურმოჭრილი ყმად შესვლა გაუგებარია, ხოლო მაშინდელს პირობებში ეს ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. თავის თავად ცხადია, რომ ასეთ ისტორიულ ეპოქაში გლეხთა მოძრაობას უმთავრესად სარჩულად ექნებოდა მდგომარეობის გაუმჯობესება ბატონყმურ პირობებშივე, ბრძოლა მებატონის თავხედობისა, უსამართლობისა, ზედმეტი გადასახადებისა და არაადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ.

საინტერესო არის სოფ. ფონას გლეხების—ნოზაძეების ისტორია. მათი მებატონეები ჩხეიძეები ძლიერ ავიწროებდნენ ამ გლეხებს. 1770 წლებში გლეხებმა ვეღარ გაუძლეს მებატონეების სისასტიკეს, აიყარნენ და იმერეთს გადასახლდნენ. კაი ხნის მოლაპარაკების შემდეგ გაჩეხული გლეხები 1794 წ. მეფეს შემდეგი შინაარსის არზას აძლევენ:

„ღმერთმა ბედნიერი ხელმწიფის ჰირი სურამიდამ ფონელებს ნოზაძეებს მოგვცეს. ამას მოგახსენებთ, ძველთაგან თქვენი სახასო ყმანი გახლავართ. ჩვენი გვარი კაცი სამოცდახუთი კომლი გახლავართ, სხვა იმერეთსა და ოსმალში არიან გაფანტულნი. ჩვენი გვარი კაცი მეფე ვახტანგს ჩხეიძეებისათვის მიუბარებიათ, რომ მიბა-

---

ქართველოს ისტორია“, გვ. 4). ამ სქემაში სხვადასხვა წოდების (კლასების) ფენებიც არის დასახელებული დამოუკიდებლად და იგი არ აოის დამაკმაყოფილებელი. უმთავრეს სოციალურ კლასად მე-18 საუკუნის საქართველოში შეადგენდნენ: 1) თავადაზნაურობა და სამღვდელოება, რომელნიც თავისი ძალით რამდენიმე ფენებად და კატეგორიად იყოფოდნენ; 2) გაჭრები და 3) გლეხობა. ეს უკანასკნელი არ წარმოადგენდა ერთ ძალიანს. ის მეტისმეტი აჩრდილებული იყო და სხვადასხვაგვარ ფეოდებისგან შესდგებოდა. გლეხობა ძირდეგ კატეგორიებად იყოფოდა: 1) მსახური; 2) ახატი; 3) ძებეგრე; 4) მოჯალაბე და 5) ე. წ. ბიზანი (იხ. С. Авалиани: „Крестьянский вопрос в Закавказьи. ტ I. გვ. 60—64). ბიზანთა მდგომარეობას დაგვანახვებს 1777 წ. ერთ-ერთი დოკუმენტი: „აქ ვცხოვრობთ ბიზნები და მრავალ შევიწროებას განვიცდით, ჩვენ არ გვყავდა მფარველი და ბატონი... აქაური გადასახადები... და მოვალეობანი ჩვეთვის მეტად ძნელი არის“ (А. Цурцеладзе, Крестьянские Грамоты“, გვ. 29, 1883 წ.).

* Крестьянские Грамоты გვ. 3, 59.

რებული ვართ, ჩხეიძეების სამკვიდრო არა ვართ. დღეს ახლა ასე გვიჭირდა ჩხეიძეებისაგან, რომ დაკარგვის მეტი ღონე არა გვაქვს. მოგეხსენებათ სურამი, ხეფინის ხევი და ფონა ერთი ბატონის ყმა ყოფილა სახასოთ. ახლა თუ ჩვენ ჩხეიძეების ხელისაგან გვეშველებათ და ერთ-ერთ ბატონიშვილს მიგვცემთ და ერთი შინა მოგვეცემა, რაც ჩვენის გვარის კაცი დაფასტული არის იმერეთსა თუ ოსმალეთში, სულ ჩვენ მოგარომევთ, სადაც თქვენი ნება იქნება და თუ თქვენი საფარველი ჩვენ არ დაგვადგა, ჩვენც დავიკარგებით. მოგვიხსენებია და ნება თქვენი სიმაღლისა აღსრულდეს".*

ეს საინტერესო ისტორიული დოკუმენტი მე-18 საუკუნის მოძრაობიდან ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ ძირითად ამოცანებს ისახავდა იმ ეპოქაში გლეხური მოძრაობა. მის აზროვნებაში ჯერ კიდევ არ იყო გაღვიძებული შეგნება ბატონყმურ ურთიერთობის უღლის მოსპობის შესახებ, სამაგიეროთ, იგი მთელი თავისი ენერგიით ებრძოდა ამ ინსტიტუტის მახინჯ ფორმებს და ცდილობდა არსებულ წყობილების ფორმებში თავის დაცვას.

ამ უკმაყოფილებისა და პროტესტის ფორმები მაშინ არ ყოფილა ფართო მასიური აჯანყება და ორგანიზაციული რევოლუციონური გამოსვლები: მოძრაობა ატარებდა სტიქიურ-ეკონომიურ ხასიათს; ფორმები ამ მოძრაობისა იყო: ტეროორი,—როდესაც ყველაზე უფრო მკაცრსა და დაუნდობელს ბატონს ჰკლავდა ყმა და გარბოდა უცხო მხარეს, ბეგარაზე და გადასახადზე უარის თქმა, გაქცევა მებატონისაგან სხვა მებატონესთან ან უცხო ქვეყნებში, აჯანყება და სხვა. ყველა ეს ფორმა პროტესტისა პასიური ხასიათისა იყო და ხშირად ინდივიდუალურ იერს ატარებდა, მაგრამ კოლექტიურ აჯანყებასაც ჰქონდა ადგილი. ქვემოთ მოყვანილი ცნობები, რომელიც ამოკრეფილია საგლეხო და საეკლესიო გუჯრებიდან, ნათლად ამტკიცებენ, რომ მე-18 საუკუნეში გლეხთა უკმაყოფილებასა და მოძრაობას ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები, თუმცა ამ პერიოდში ფართო მასშტაბით ეს მოძრაობა არ განვითარებულა. მაგრამ, როდესაც ობიექტური პირობები მოწიფდა, ეს მოძრაობა თავის თავად გადაიქცა გრანდიოზულ მოძრაობად. ეს ხდება მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე.

გლეხთა უკმაყოფილებასა და ბრძოლას სასტიკ მებატონეთა წინააღმდეგ ნათლად გადმოგვცემს იგივე ხალხური ლექსები. ერთი ასეთი ლექსი ამბობს:

* ეს დოკუმენტები გადმომცა ს. კაკაბაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

შენ, ზაალ თუმანიშვილო,
გაზრდილო მეფის კარზედა,
მებალახობა ვინ მოგცა
იმ ზემო-ქართლის ცხვარზედა?
უსამართლობა იხმარე
ორ-ორს იღებდი რვაზედა.
მივედენ, ბატონს (ე. ი. ერეკლეს) შესჩივლეს
თუმანიშვილის თავზედა.
უსამართლობა იხმარა,
ორ-ორს იღებდა რვაზედა.
ბატონმა მეხლმეს უბრძანა,
ხმალი გალესე წამზედა,
დაჯდა გალესა ფრანგული,
ცერი აუსო ფხაზედა.
— წადით და იქ მოიხმარეთ
თუმანიშვილის თავზედა,
იმისი თავი დაჰკიდეთ
იმავ მეცხვარის კარზედა

განუვითარებელი ყმა, შეევიწროებული მემამულისაგან, დარწმუნებული იყო, რომ მეფე ერეკლე მის მხარეზე იყო და მეფის სახელით სურს ალესილი ფრანგულით (ხმლით) თავი მოაცილოს მოძალადე ბატონს. რასაკვირველია, მეფეც ისეთივე მებატონე იყო, როგორც სხვები და ქვევით დავინახავთ, თუ როგორ იცავდა ის მემამულეებს გლეხთა „თავხედობისაგან.“ მეორე ლექსი რევოლუციონური მოწოდებაა ბატონზე თავდასასხმელად.

ხიდის თავს შევკრათ პირობა,
ჩვენ გავხდეთ ღვიძლი ძმანია,
ჩაუხვდეთ მუხრან-ბატონსა
თავს დაკანგრიოთ ბანია,
რაც რომა ჰქონდეს წავართოთ
თვალ-მარგალიტი ლალია,
შავიდეთ, გამოვიყვანოთ
თვალ-ყუყუნ თეთრი ქალია...
სამი ისეთი ვაკოცოთ
ლოყას ავაძროთ ტყავია.

ასეთი არის ამ რევოლუციონური ხალხური პოეზიის მოტივები: „პირობის შეკვრა“ ერთმანეთთან და თავდასხმა მყვლეფელ ბატონზე ნათლად გამოხატავდა მაშინ გამეფებულ წოდებრივ ბრძოლის შინაარსს.

ძველ საქართველოში გლეხთა მოძრაობის შესახებ შემდეგი საინტერესო ცნობები მოიპოება. 1630 წ. მეფე თეიმურაზი უბრძა-

ნებს მანგლისის ეკლესიის გლეხობას უყოყმანოდ შეასრულონ საეკლესიო ბეგარა.* 1794 წ., ერეკლე მეფე სწერს ნაიმ დავით აბდუშელიშვილს, რომ მას მინდობილი აქვს მანგლისის ეკლესიის გლეხობა და მაშული და ის მოვალეა იზრუნოს, რომ ეს გლეხები პირნათლად ემსახურონ მანგლისის ყოველად სამღვდელოს და გადაუხადოს მას ის, რაც ვალდებული არიან აძლიონ. „არაეის არ უნდა მისცეთ ნება უმიზეზოთ შეაწუხონ ისინი (ჯლეხები), ყოველივე ძისი საქმის შესახებ უნდა გვაუწყოთ ჩვენ და როგორც ჩვენ გიბრძანეთ, ისე უნდა მოიქცეთ".**

ცხადია, რომ აქ გლეხთა უკმაყოფილებას ჰქონდა ადგილი, რომლის დაწუნარებასაც ანდობს ერეკლე თავის მოხელეებს და იცავს კიდევაც გლეხობას, რომ არავინ უმიზეზოთ არ შეაწუხოს ისინი. ერთი წლის შემდეგ 1795 წ. იგივე ერეკლე უბრძანებს თავ. დავით ორბელიანს—დასძებნოს ყველგან მანგლისის ეკლესიის გლეხები და დააბრუნოს ეკლესიის მამულში.*** მანგლისის ეკლესია, სჩანს, სასტიკად ეპყრობოდა თავის გლეხობას, რომ 1630—1795 წლების განმავლობაში მისი გლეხები პროტესტს აცხადებდნენ, ხან გარბოდნენ და ხან კი უარს ამბობდნენ ღალა-კულუხისა და ბეგარის გადახდაზე. 1712 წ. მეფე იმამ-ყული ხანმა უბრძანა თავის ნაზირს, რომ ყვარელის გლეხობა მოიყვანოს მორჩილებაში და აიძულოს მათზე დაწესებული ბეგარის გადახდა.**** 1719 წელს ბაქარ მეფემ შესწირა მონასტერს თრიალეთის სოფ. კარწახი; გლეხები ეკლესიასთან ისეთსავე დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყვენ, როგორც სხვა სოფლებში; გლეხები მთაყრობას არ დაემორჩილენ, წინააღმდეგობა გაუწიეს, აღელდენ, მაგრამ მეფემ ისინი იარაღით დაიმორჩილა.***** აქ უკვე შეიარაღებული აჯანყების მაგალითი გვაქვს ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელსაც უნდოდა გლეხობა უარეს მდგომარეობაში ჩაეგდო. 1749 წ. კათალიკოსმა ანტონიმ მისწერა ბოლნისის ყველა გლეხებს, რომელთაც უარი სთქვეს გადასახადის მიცემაზე, რომ აუცილებლად გადაეხადათ დაწესებული გადასახადი****** 1776 წ. ურბნისის ეპისკოპოზის იუსტინეს თხოვნით მეფე ერეკლემ მისწერა ამილახვარს მოეყვანა ურბნისის მცხოვრებნი ეკლესიის მორჩილებაში და აეძულებია მათთვის ეხადათ დაწესებული ღალა. „საქართველოში

---

* Церковные грамоты, გვ. 7.
** იქვე, 22.
*** იქვე, გვ. 12—13;
**** იქვე, გვ. 36.
***** იქვე, გვ. 81.
****** იქვე, გვ. 35.

არაეის არასოდეს არ გაუგონია, რომ ვინმეს უარი ეთქვას საეკლესიო გადასახადზე"-ო.* 1794 წ. მეფე ერეკლე უბრძანებს ზაზას დაახელოს ყველგან რუისის ეკლესიის გლეხები და ისინი უკანვე დაუბრუნოს ეპ. იუსტინეს.** 1775 წ. ბერი გრიგოლი აცნობებს მეფე ერეკლეს, რომ პორტაიტის მონასტრის გლეხები არ ემორჩილებიან მას. ამის გამო ერეკლე ქიზიყის მოურავს რევაზს უბრძანებს: „...ბერის მითითებით გაროძგოს ისინი, ვის გაროძგეასაც ის (ბერი) მოისურვებს; დააპატიმროს ისინი, ვის დაპატიმრებასაც იგი მოისურვებს; ბორკილები დაადვას... დაარბიოს... წაართვას საქონელი და ქონება, ძლიერ მკაცრად მოეპყარით მეამბოხეთ და მოიყვანე ისინი სრულს მორჩილებაში". *** ამრიგად ერეკლემ ეკლესიის ინტერესების დასაცავად და გლეხების დასამორჩილებლად მონასტრისათვის თავისი სახელმწიფოებრივი აპარატი—მოურავი გამოიყენა და გლეხები კვლავ აიძულა დამორჩილებოდნენ ეკლესიას. მეორე შემთხვევაში, ერეკლემ თვით ყოვლად წმინდა ეკლესია გამოიყენა მემამულეთა ინტერესების დასაცავად. 1791 წ. ერეკლე სწერს ნეკრესის ეპისკოპოსს: „ახმეტის მცხოვრებნი არ ემორჩილებიან მოურავებს, არ ეხმარებიან მას. როდესაც მიიღებ ამ ბარათს, მოიხმე ახმეტის მცხოვრებნი და მოურავი და შეარიგე ისინი. როგორც ჩვენ მიერ ნაბრძანებია, ასე აიძულე მცხოვრებნი დამორჩილდენ და ემსახურონ თავიანთ ბატონებს, თუ თქვენ არ გაგიგონებენ, მაშინ დატუქსე და აიძულე ისინი აღასრულონ ჩვენი ბრძანება". ****

საინტერესო არის მე-18 საუკუნის დასაწყისის ერთი დოკუმენტი, რომელიც ს. კაკაბაძეს აღმოუჩენია და რომელიც ჩვენ სავსებით მოგვყავს. აქ ეკითხულობთ „ესე წიგნი მოგართვით სასოსა ჩვენსა ქართველთა მნათობთა დიდებულის წმინდა ნინოს ბოდბეს ჩვენ კახეთის ჯანიშინმა ბატონიშვილმა თეიმურაზ და დედამა ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან ანამ, ესე საბოლოთ გასათავებელი წიგნი დავდევით. ბოდბელის ყმამან იჯანღა, მოხელები დარბივა, რიგის ძროხა არ გვაძსო, ბოდბელისთვისა მოეხსენებინათ—თუ არ ამოგვიკვეთო, ავიყრებითო. ბოდბელს ჩვენც უბძანეთ—ცოტა ხანს დააცა-

* Церковные грамоты, გვ. 27

** იქვე, გვ. 75.

*** „Крестьянские Грамоты" გვ. 27. აღსანიშნავია, რომ ეს გლეხები ვერც ასეთი სასტიკი ზომებით „მოუყვანიათ ჭკუაზე" და მათ შეჰდგომიაც აოა ერთხელ გამოუცხადებიათ თავიანთი ურჩობა. 1737 წ. პორტაიტის მონასტრის ბერი სთხოვს მეფეს დანიშნოს კაცი, რომელიც გადაახდევინებს გლეხებს ყოველივეს, რაც მონასტერს ეკუთვნის. გლეხები არ მემოროჩილებიანო (იქ. 64).

**** იქვე. გვ. 50.

ლეთო. კეკუანის (ქეეყნის?) აშლის გულისათვის ლეკიც სცემდა. ბოდბელმა ცოტახანს აპატივა, ერთმანერთსა არბევდენ. მოხელეები შაეხვეწნენ ბოდბელს დრამადრო ნუღარ სთხოვო. უწინაც ექნათ რიგის ძროხაზედ ჯანღი. წიგნებიც მიეცა ბოდბელს, მაგრამ ბატონს მამაჩვენს არ ეპატივებინა, ჯანღის თაეები დაეპირა, ჯარიმაც ბევრი წაერთმიეა, გუჯარით შეეწირა, რაც კიზიკს სდებია, ის ბოდბეს და ჭევს რიგის ძმობა, როგორც კიზიკს სდებია ისე წმინდის ნინოს ყმას. თუ ღმერთი ჩვენის ძმის მოსვლას გვაღირსებს, ის ისევ გაარიგებს და გადაახდევინებს, როგორც მამაჩვენმა უყო, თუარადა ცოტა ხანს უკან ჩვენ გადავახდევინებთ, როგორც გუჯარში სწერია ამისი მშლელი არავინ არის. თუ ბოდბელის წიგნი გამოჩნდეს, ამ წიგნებმა გაამტყუნოს. გუჯარშიც ისე სწერია. ჩვენც როგორც გუჯარში სწერია, ისე გარიგებული იყოს რაც კიზიკს ედვას, ის ბოდბელის ყმას ედვას.“

ზემოთ ჩვენ ვეცნობოდით უმთავრესად საეკლესიო ყმების ბრძოლასა და ამბოხებას ეკლესიისა და მონასტრების წინააღმდეგ; ეხლა საჭიროა მემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლის ფორმებსაც გავეცნოთ. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ეკლესიის დოკუმენტები და გუჯრები უფრო შენახული არის, ვინემ მემამულეთა და ამიტომაა, რომ ჩვენ უხვად გვაქვს გლეხთა უკმაყოფილების ფაქტები ეკლესიის წინააღმდეგ. მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ გლეხთა ბრძოლა მემამულეთა წინააღმდეგ უფრო მკაცრი და შეუპოვარი იყო. აქ ჩვენ ტერორისტულ აქტებთანაც გვაქვს საქმე. 1791 წ. მეფის განკარგულებაში ვკითხულობთ: „კორინთელებმა ჩვენ მოგვეახსენეს, რომ ოსები ბრალს დებენ მათ ძმას ტყვე ოსის გაყიდვაში. ამ საქმის გარჩევა ჩვენ მივანდევით ჩვენს შვილს იულონს, მაგრამ ოსები არ მივიდენ მასთან სასამართლოში, ხოლო ღამით 71 კაცამდე თავს დაესხენ კორინთელის სახლს, დასჭრეს ორი ძმა თოფით, დაამტვრიეს კოშკის კარები და ყველაფერი დაიტაცეს. ამგვარად ოსები დამნაშავენი არიან, ერთი მხრივ იმაში, რომ არ გამოცხადდენ ჩვენ შვილთან სასამართლოში, მეორე მხრივ იმაში, რომ დაესხენ კორინთელის სახლს, დასჭრეს და გაძარცვეს ისინი“.* 1776 წ. მეფე აგზავნის ბრძანებას; „უბრძანებთ გ. ზუმბულიძის გლეხობას, რომელნიც ჩვენ მას უბოძეთ, ბატონყმობის რიგით ემსახურონ და დაემორჩილონ მას“.** საინტერესო არის 1799 წ. გლეხთა განცხადება

* „Крестьянские грамоты“ გვ. 27.

** იქვე. გვ. 27-28;

მეფისადმი: „ჩვენ და ჩვენი წინაპრები იყვენ სახასო გლეხები და ჟინვალში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, სახასო მამული იყო. მიუხედავად იმისა, პაპუა ორჯონიკიძე გვაიწროებს ჩვენ და მოითხოვს, რომ ჩვენ გავხდეთ მისი ყმები, ან გადავსახლდეთ სხვა ადგილებზე, ჩვენ ჩვენი ოჯახობით გადავსახლდით სურამში... მიუხედავად ამისა, პაპუა ორჯონიკიძე 50 კაცით მაინც დაგვეცა თავზე და მოითხოვა, რომ ჩვენ ხელახლა გადავსახლებულიყავით მასთან. ნუ მისცემთ, თქვენო უმაღლესობავ, თქვენს გლეხებს ორჯონიკიძეს ყმად; ჩვენს შორის არის 18 კაცი, რომელთაც შეუძლიათ თოფისა და ხმლის ტარება და თუ თქვენ მიგვცემთ ორჯონიკიძეს, მაშინ ჩვენ ამოვწყვლეტთ ერთმანეთს (ალბათ ორჯონიკიძის ამალას.—ს. ხ.), ხოლო ჟინვალში კი არ გადავსახლდებით''.*

საინტერესო სურათს გვაძლევს ს. კაკაბაძის მიერ აღმოჩენილი 1786 წ. დოკუმენტი. ეს დოკუმენტი ჩვენ სავსებით მოგვყავს. იგი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი ურთიერთობა დამყარდა მემამულეთა და ყმებს შორის მე-18 საუკ. მიწურულში.

„ქიზიყის მოურავს ზაქარიას, ნაზირს იოანეს, მდივანს დაეითს, ჩვენ, თქვენი ძმანი, ოთხნი თუ ხუთნი სალამს გკადრებთ. რადგან ჩვენის ქვეყნის შვილნი და ჩინებულნი კაცნი ხართ, თანამდებობა გაქვთ კახეთისთვის იზრუნოთ. ჩვენ ვხედავთ და გვესმის, რომ კახეთის ხალხი დიდს არეულობასა და მითქმა-მოთქმაში არის. ზოგნი სოფლეულად გაიფიცნენ ეკლესიებში, ზოგნი ერთმანეთს სიკვდილსა და ჭრილობას არ არიდებენ, ზოგთა მარხვის ჭამა და ეკლესიის გარეშე ყოფაქცევა დაიწყეს და ლამის რომ განძლიერდენ. ჩვენ ამაზედ შევწუხდით და შეძლება კი არ გვქონდა, რომ ჩამოვსულიყავით და მაგათის უმაღლესობისათვის გამოგვეცხადებინა და ან თქვენ გვენახენით და ბატონს დედოფალს არზა ვაახელით და ჩვენი ძმა მოძღვართ მოძღვარი და ეს ამბავი მოვახსენეთ და ერთერთი თავისი შვილი ჩვენს მეურნეთ და მომლელად ვთხოვეთ, რომ კახეთის ამბავი ხომ მოგეხსენებათ, რომ კვლავაც მომხდარა ამ გვარები და მებატონეთ დაუნელებიათ. ახლა მაგათი უმაღლესობა შორს ბრძანდება და ერთ-ერთი შვილი, რომელიც ჩვენ სათნო გვიჩანს, ვთხოეთ ამების დასანელებლად და ჩვენს მომლელად. ახლა მტკიცედ და ბეჯითად მოგახსენებთ, რომ შემწეობა უყოთ ამ ჩვენს მონახსენს. ზალოას შვილი უჯდა წმინდის გიორგის ეკლესიას მეურნედ და ჩვენ რომ მაგათ თავიანთი შვილი გვიბოძონ და ის აღტეხილე-

* „Крестьянские грамоты", გვ. 27.

ბა დამდოვრონ ვიდრე სრულ ყოფამდე საქმისა. არაგეს გლურჯიძე უჯდა მეურნეთ და ჩოლოყაშვილი და არაგვის ტოლნი როგორ არა ვართ, რა დაკვეთართა".

გლეხთა უკმაყოფილებისა და არეულობის შესახებ მაშინდელი ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ საკმაო ცნობებს გადმოგვცემს დივანბეგი იესე ოსეს შვილი, თავის მემუარებში 1791 წ. იგი სწერს: „ზარშან რომ რუსები შემოვიპირე, ივანე—პატარა დიღმიდამ, სტეფანე თიანეთიდამ, ნიკოლა ჯინჯილ ხანიდამ, დიდი ივანე სასტიკის საპყრობილიდამ, შიშველი, სასიკვდილოდ მიცემული გამოვიყვანე—ჯერ ეს იყო იოსე გამიქცია, ახლა ერთად გაიქცენ და თოფხანაში შევიდნენ. ამ დროს ჩემმა მეთხე არუთინამაც კიდევ მიღალატა, აიყარა ჩუმად, დურნუკს გაიპარა. მრავლის ცდით დიდის სასჯელით ვიპოვე ისევ და გამოვიყვანე" (გვ. 129). ქიტესა გორელი მენაველ გაიქცა, რომელიც სხვა მრავალი გვასმია და მეც მექნა. **ვისცა დავტუქსავდით, წავიდის კახეთს და ესეც გავიდა კახეთს"** (გვ. 74). „ერთი იმერელი მოჯამაგირე მყავდა, ცხენებს უვლიდა, ერთი მოახლეღა მყავდა ესეც გამებქცა" (110). 1783 წ. იგი სწერს: „ოცი რომ ეიყიდე (ყმა) თუ ვიშოვე, ათი გამექცა და ათი დამრჩა და რაც ფასი მეღირა ორი იმდენი იმათ შენახვაზე მეხარჯება... ყმას ვყიდულობ დიდის გაჭირვებით, ათს რომ ვიყიდი, ორი თუ დამიდგება. ზოგი იმერეთს მირბიან, ზოგი კახეთს. ზოგი სად." (გვ. 126-7). როგორც მკითხველი ხედავს, მემუარების ავტორი, თვით მემამულე, ზემოთ მოყვანილ ციტატებში გლეხთა ბრძოლის მხოლოდ ერთ მეთოდზე მიგვითითებს: შეიწროებული გლეხი ყმა თავს აღწევს მრისხანე ბატონისაგან გაქცევით, შორეულ მხარეში გადაკარგვით, ან სახელმწიფო დაწესებულებაში, თოფხანაში შავ რუშად შესვლით. მაგრამ იგივე ავტორი გლეხთა ბრძოლის სხვა მეთოდზედაც მიგვითითებს გაკვრით. 1784 წ. ავტორი თავის დღიურში სწერს; „დედოფალმა დარეჯანმა მიბოძა დიღომს მამუჩის შვილი გიორგი, იასე გეხებაშვილი, თედიაშვილი, მარიაშვილი და როსტიაშვილი სვიმონ და კავთელა. როსტიაშვილები სამეფოსი არიან, მაგრამ ისინი სადედოფლონი, და გენებაშვილი დავითი მზარეული და მისი ძმის წული რომ ბატონსა (მეფეს) და ბატონის შვილს ახლავენ, იმათ მაგიერ ესენი დავაწერინე. თუ იმათ მომცემენ, იმათ მიეცემ, მაგრამ ესენი შვილმრავალნი იყვნენ და მისთვის ვქენ ჯერ **მოურაობით მინდა შეუვიდე, რომ გლეხი კაცი დავამშვიდო... არ აჯანყდეს"** (გვ. 129-30).

როგორც ვხედავთ, გლეხ-კაცის აჯანყების შიში დიდი არის ჩვენს ავტორში, უდავოა რომ ასეთ ფაქტებს ჰქონდა მაშინ ხშირად ადგილი და ამიტომ ჩვენი მებატონე—ავტორი, სიფრთხილითა და ტაქტიკით უდგება საქმეს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გლეხებისათვის სახელმწიფო (სახასო) ყმობიდან გადასვლა საბატონო ყმობაზე მეტისმეტად საზარალო იყო და ამიტომ არის სწორედ, რომ ასეთი ფაქტიდან ოსესშვილი გლეხთა აჯანყებას მოელის.

ამრიგად, მე-18 საუკუნის საქართველოში გლეხობა მეტად შევიწროებული იყო ბატონყმური უღლითა და სხვადასხვაგვარი გადასახადებით. ამ შევიწროვებულმა მდგომარეობამ გლეხობაში გამოიწვია ბუნებრივი პროტესტი. ამ პროტესტის ფორმები სხვადასხვაგვარი იყო. მეთვრამეტე საუკუნის გლეხთა მოძრაობა სტიქიურ-ეკონომიური ხასიათისა იყო; ორგანიზაციულ შეგნებულ ბრძოლას არსებულ საზოგადოებრივ წყობილების წინააღმდეგ იმ პერიოდში არ ჰქონია ადგილი.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური პირობები ძირეულად შეიცვალა. ამ ცვლილებებთან ერთად შეიცვალა გლეხთა მდგომარეობაც და გლეხთა მოძრაობამაც მეტად გრანდიოზული და მასიური ხასიათი მიიღო.

გამომცემლობისაგან

პროფ. ს. ხუნდაძის ბევრი ნაწერი, თავის დროზე დაბეჭდილი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, არ შესულა მისი გარდაცვალების შემდეგ გამოცემულ წიგნში „ნარკვევები" (გამომც-ბა „ფედერაცია", 1941 წ.)

ამ ნაწერებს დღესაც არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა და შეიცავენ გარკვეულ ისტორიულ-ლიტერატურულ ინტერესს; მათი ნაწილი ქვეყნდება წინამდებარე კრებულში.

ამავე წიგნში შესაძლებლად ვცანით შეგვეტანა ქართველ მწერალთა (ი. ჭავჭავაძის, ს. მესხის, გ. წერეთლისა და ეგ. ნინოშვილის) პირადი ბარათები, რომელთაც ს. ხუნდაძის საფუძვლიანი შენიშვნები და განჭარტებები აქვთ დართული.

მასალა დალაგებულია თემატიკურ-ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ე. ი. დაცულია თანმიმდევრობა ეპოქებისა, რომელსაც ეკუთვნის საკვლევი ობიექტი ამა თუ იმ წერილში და არა თარიღები ამ წერილების დაწერისა ავტორის მიერ.

გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ნარკვევი „გლეხთა მოძრაობა საქართველოში", რომელიც თავისი სპეციფიური შინაარსით განსხვავდება სხვა წერილებისაგან. იგი დამატების სახით ერთვის კრებულს.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნ. გ. ჩერნიშევსკი და 60-იანი წლების ქართველი ინტელიგენცია . . 3

ქართველ მწერალთა კერძო წერილები:

ილია ჭავჭავაძე 26
სერგეი მესხი 50
გიორგი წერეთელი 101
ეგნატე ნინოშვილი 166
სამოცდაათიანი წ. არალეგალური ქართული გახეთი „დროშა“ . . . 214
ბოსლეველი (ესტატე მჭედლიძე) 220
ხომლელი — რომანოზ ფანცხავა 223
დავით კლდიაშვილის მოგონებანი 227
ვეჟა-ფშაველას შემოქმედების სოციოლოგია 232
გლეხთა მოძრაობა საქართველოში 237
გამომცემლობისაგან 272

СИМОН ХУНДАДЗЕ

Материалы по истории грузинской литературы и общественного мышления XIX века

(На грузинском языке)
Изд-во „Сабчота Мцерали“
19 Тбилиси 40

* *

რედაქტორი: ლევან აბათიანი

* *

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.II.1949 წ., საავტორო ფორმა 15, სასტამბო ფორმა 17, წიგნის ზომა 6X0 1/4 ტირაჟი 5120.

შეკვ. № 1057 შე—01403

გამ-ბა „საბჭოთა მწერალი“ სტამბა, თბილისი, ჰლეხანოვის, 181.